

თომას მანი

ლოტე ვაიმარში



* * *

ტრანსოქსანების ჟღერა
მთელი ხმითა და გზნებით,
ჩვენი თამამი მღერა
ლაღად ქუხს შენი გზებით!
შიში შენს სავანეში
ჩვენს სულს არ ეუფლება;
გქონდეს სიცოცხლე გრძელი,
მუდმივი მეუფება!
გოეთე
«დასავლურ-აღმოსავლური დივანი»

თავი პირველი

ვაიმარის სასტუმრო «სპილოს» კელნერმა მაგერმა, განათლებულმა კაცმა, თითქმის ჯერ კიდევ ზაფხულივით დარიან დღეს, 1916 წლის სექტემბრის მიწურულს, ამაღელვებელი, სასიხარულო და გამაოგნებელი გრძნობა განიცადა. თუმცა არაბუნებრივი არაფერი მომხდარა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, მაგერს ეგონა, წუთიერი სიზმარი ხომ არ ვნახეო.

ამ დღეს დილით, რვა საათი გადასული იქნებოდა, გოთიდან ჩვეულებრივი საფოსტო ეტლით ჩამოვიდა და ბაზართან ცნობილი სახლის წინ გაჩერდა სამი ქალი; ერთი შეხედვით, და თუ გნებავთ, მეორე შეხედვითაც, განსაკუთრებულს ვერაფერს შეამჩნევდით. მათ ურთიერთდამოკიდებულებასაც ადვილად გამოიცნობდით. ისინი გახლდნენ დედა, ქალიშვილი და მოახლე. მაგერი თალიან შესასვლელში იდგა და პირმოთნე მისალმებისთვის უკვე მზად ბრძანდებოდა. უყურებდა, როგორ ეხმარებოდა მსახური პირველ ორ ქალს, რათა ეტლის

საფეხურებიდან ქვაფენილზე ფეხი ჩამოედგათ. ამ დროს მათი მოახლე, სახელად კლერჰენი, მეეტლეს ეთხოვებოდა. მის გვერდით მჯდარიყო და ეტყობოდა, კარგადაც გართულიყო მასთან საუბრით. კაცი აღმაცერად შეჰყურებდა და იღიმებოდა. ალბათ, თანამგზავრის ლაპარაკის უცხო კილოზე თუ ფიქრობდა. ერთგვარი დამცინავი ყურადღებით ადევნებდა თვალს მოახლეს, რომელიც მაღალი კოფოდან მომეტებული პრანჭვა-გრებით, უადგილო კოკობზიკობით ჩამოდიოდა და კაბის კალთას კეკლუცად იკრეფდა. შემდეგ მეეტლემ ზურგიდან ყაწიმით[5] მხარიღლივ გადაკიდებული საფოსტო ნაღარა გადმოიღო და რამდენიმე ბიჭუნასა და მათი ჩამოსვლის დამსწრე ნაადრევი გამვლელების საამებლად მეტად მგრძნობიარედ აახმიანა.

მანდილოსნები ჯერ კიდევ სახლისკენ ზურგშექცევით იდგნენ და თვალყურს ადევნებდნენ საფოსტო ეტლიდან თავიანთი მცირე ბარგის ჩამოღებას. მაგერი უცდიდა იმ წუთს, როდესაც მანდილოსნები, თავიანთი მოკრძალებული ავლადიდების ხელუხლებლობაში დარწმუნებულნი და დაწყნარებულნი, შესასვლელისკენ გამოსწევდნენ და ისიც ქვაფენილზე დახვდებოდა, პირწავარდნილი დიპლომატივით სავალდებულო, თავაზიან და ამასთან ოდნავ მორიდებულ ღიმილს შეაგებებდა. მის ყველისფერ სახეს მოჟღალო ქილვაში შემოვლებოდა. მაგერი ღილშებნეულ ფრაკში გამოპრანჭულიყო, აფშეკილ საყელოზე გახუნებული ყელსახვევი დაემაგრებინა და მეტად გრძელ ფეხებზე ვიწრო შარვალი შემოეწვართა.

– გამარჯობა, ჩემო მეგობარო! – თქვა იმ ორი ქალიდან ერთ-ერთმა, საკმაოდ ხანში შესულმა ოჯახის დედამ, ოდნავ ხორცსავსე ქალმა, რომელიც სულ ცოტა, სამოც წელს მიტანებული იქნებოდა, თეთრი კაბა ეცვა, შავი წამოსასხამი ეხურა, ხელთ მკედით ნაქსოვი უთითო თათმანი მოერგო, თავზე მაღალი ჩაჩი ეხურა, მის ქვეშ ხუჭუჭა ფერფლისფერი, ოდესღაც ქერა თმა მოუჩანდა, – ამრიგად, ჩვენ გვჭირდება ბინა სამი ადამიანისთვის. ორსაწოლიანი ოთახი ჩემთვის და ჩემი ბავშვისთვის (ეს ბავშვიც აღარ გახლდათ მაინცდამაინც ახალგაზრდა, ოცდაათს მიტანებული იყო, წაბლისფერი კულულები ჰქონდა, ტანთ ეცვა ყელზე ფურფუმებშემოვლებული კაბა; დედის კოხტად მოყვანილი ცხვირი ქალიშვილის სახეზე ოდნავ მკვეთრად მეორდებოდა და

უფრო უხეშად ისახებოდა) და ერთიც სენაკი ჩემი გოგოსთვის, ოღონდ შორს ნუ იქნება. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ გვექნება ყოველივე ეს?

ქალს მიმზიდველი, მქრქალი ცისფერი თვალები კელნერის იქით, სასტუმროს წინხედისკენ მიეპყრო. მისი პატარა პირი განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოძრაობდა მოხუცებულობისგან ოდნავ სიმსუქნემოკიდებულ ღაწვთა შორის. ახალგაზრდობაში ის უფრო მიმზიდველი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად მისი ქალიშვილი. თვალში გეცემოდათ თავის ოდნავი კანტური, რაც ნაწილობრივ მისი სიტყვების დადასტურებისა და თანხმობის დაუყოვნებლივი მოთხოვნის შთაბეჭდილებას უფრო ახდენდა. ასე რომ, ამის მიზეზი იმდენად სისუსტე როდი ჩანდა, რამდენადაც სიმკვირცხლე, ანდა ერთიც და მეორეც თანაბრად.

– ძალიან კარგი! – უპასუხა მსახურმა, რომელიც დედასა და ქალიშვილს შესასვლელისკენ წაუძღვა, მაშინ როდესაც მოახლე ქუდის კოლოფის ქნევით შორიახლო მისდევდა მათ, – მართალია, ჩვეულებრივად ჩვენი სასტუმრო მუდამ სავსეა მდგმურებით და ადვილად შეიძლება ისეთ ყოფაშიც აღმოვჩნდეთ, იძულებული გავხდეთ, თვით წარჩინებულ პირებსაც კი უარი ვუთხრათ, მაგრამ არავითარ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ თქვენი სურვილი რაც შეიძლება უკეთ დავაკმაყოფილოთ.

– აი, ეს კი ჩინებულია, – უპასუხა უცხო ქალმა და სახეგაბადრულმა თავის ასულს მხიარული, ერთგვარი პატივისცემით გამსჭვალული მზერა შეავლო იმ კაცის მარჯვედ შერჩეული მჭევრმეტყველური და მასთან თიურინგიულ-საქსონიურ კილოზე მაგრად შეფერილი სიტყვების გამო.

– უმორჩილესად გთხოვთ! ძალიან გთხოვთ! – თქვა მაგერმა და ქათინაურებით წინკარში გაატარა, – მისაღები მარჯვნივ გახლავთ. ფრაუ ელმენრაიჰი, სასტუმროს დიასახლისი, დიდად ნასიამოვნები დარჩება! გთხოვთ, შებრძანდეთ!

ფრაუ ელმენრაიჰი, რომელსაც თმაში ისარი გაერჭო და მაღალი გულმკერდი მოქსოვილი ზედატანით დაეფარა კარის სიახლოვის გამო, დახლისმაგვარ მაგიდასთან დაბრძანებულიყო და ირგვლივ ფრთის კალმები, საქვიშენი და საანგარიშო მანქანა შემოეწყო. დახლი განჯინისებურ მისაღებ

ოთახს დერეფნისგან ჰყოფდა. იქვე ახლოს თავისი მაღალი პულტიდან ჩამოსული მოხელე ინგლისურად ესაუბრებოდა ვიღაც წამოსასხამიან მამაკაცს, რომელსაც ალბათ შესასვლელთან დაგროვებული ჩემოდნები ეკუთვნოდა. სასტუმროს დიასახლისმა მოსულებს უგულისყუროდ გადახედა და უფროსის სალამსა და უმცროსის ძლივს შესამჩნევ მუხლმოდრეკას ღირსეული თავდახრით უპასუხა. კელნერის მოხსენებას ოთახების მოთხოვნის თაობაზე ყური მიუგდო, სახლის გეგმა გადმოიღო და ზედ ფანქრის წვერი მიატარ-მოატარა.

– ოცდაშვიდი, – განსაზღვრა მან და მწვანეწინსაფრიან მსახურს მიუბრუნდა, რომელსაც ახალმოსულთა ბარგი ეჭირა და ელოდებოდა, – ცალკე სენაკს ვერ მოგიხერხებთ. ფროილანს მოუხდება ერფურტელი გრაფინიას, ლარიშის მოახლე გოგოსთან ერთად საზიარო ოთახში ყოფნა. ამჟამად სასტუმროში ბევრი სტუმარი გვყავს, საკუთარი მსახურებით ჩამოსული.

კლერჰენმა თავისი ქალბატონის ზურგს უკან სახე დამანჭა, მაგრამ ქალბატონი დაეთანხმა. როგორმე შეეთვისებიან ერთმანეთსო, – განაცხადა და ითხოვა, ოთახისკენ წასძლოლოდნენ, ჩემოდნებიც იქ გადაეტანათ. ის-ის იყო, წასვლაც დააპირა.

– ერთი წუთით, ქალბატონო! – უთხრა კელნერმა, – იქნებ ინებოთ კიდევ ერთი ფორმალობის შესრულება. უმორჩილესად გთხოვთ, რამდენიმე სტრიქონი ჩაგვიწეროთ. ეს მოსაბეზრებელი ჩვეულება ჩვენ არ დაგვიდგენია, წმინდა ჰერმანდადმა[6] შემოიღო. მას ხომ ვერ დავარღვევთ. კანონები და უფლებანი, შეიძლება ითქვას, მარადიულია, ავადმყოფობასავით მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაზე. მაქვს უფლება, გაგიბედოთ და მოწყალება გთხოვოთ?

ქალს გაეცინა და ისევ თავის ქალიშვილს გადახედა, გამხიარულებულმა და გაკვირვებულმა თავი დაუქნია.

– რა თქმა უნდა! – თქვა მან, – სულ დამავიწყდა. შევასრულოთ ყველაფერი, როგორც ჯერ არს! თუმცა, როგორც ვატყობ, თავიანი კაცია (ის ისევ მესამე პირით მიმართვას იყენებდა, რაც ჯერ კიდევ მის ახალგაზრდობაში იყო ჩვეულებრივ მიღებული),

ნაკითხი და ციტატებმომარჯვებული. აბა, მომცეს! – და მაგიდასთან დაბრუნდა. დიასახლისმა ზონრით დაკიდებული ფიქლის ფანქარი გაუწოდა. მან ნახევრად დაფარული ხელის ნაწი თითებით გამოართვა და სიცილით დაიხარა განცხადებათა დაფაზე, სადაც უკვე რამდენიმე გვარი იყო აღნიშნული.

იგი დინჯად წერდა; თანდათან მისი სიცილიც შეწყდა და მხოლოდ მსუბუქი, ნარნარი, ოხვრის მაგვარი ბგერებილა ისმოდა, ისინიც სულ მალე მიწყდა და სახის ნათელი, მხიარული გამომეტყველებაც გაუქრა. ახლა თავი უფრო უცახცახებდა, ვიდრე ჩვეულებრივ, – ალბათ მოუხერხებელი მდგომარეობის გამო.

ყველა მას მისჩერებოდა. ერთი მხრივ, მხარზემოდან დაჰყურებდა ქალიშვილი, რომელსაც მშვენიერი, თანაბარზომიერად გადარკალული წარბები შუბლზე აყვარა (დედისგან მემკვიდრეობით დაჰყოლოდა ესოდენ ლამაზი წარბები), პირი მოეკუმა და ტუჩები დამცინავად აებზუებინა; მეორე მხრიდან მის ნაწერს უმზერდა კელნერი მაგერი. ცალკე იმ მოსაზრებით, რომ თვალი ედევენებინა, სწორად ავსებდა თუ არა წითლით აღნიშნულ რუბრიკებს, ცალკე – პროვინციული ცნობისმოყვარეობითა და კმაყოფილებით, რასაც თან ახლდა ერთგვარი ღვარძლიანი სიხარული, რომ აი, ვიღაცას დაუდგა ისეთი წუთი, როდესაც უცნობის რამდენადმე მაღლიანი როლი უნდა დაეთმო, თავისი თავი დაესახელებინა და გაემჟღავნებინა. რაღაცის გამო ბიუროს მოხელესა და

ბრიტანელ მგზავრსაც საუბარი შეეწყვიტათ და ათვალთქვინდნენ თავმოკანტურე ქალს, რომელსაც თითქმის ბავშვური გულმოდგინებით გამოჰყავდა ასოები.

მაგერმა თვალების ხამხამით წაიკითხა: «კარის მრჩევლის ქვრივი შარლოტე კესტნერი, წარმომავლობით ბუფი,[7] ჰანოვერელი, უკანასკნელი ადგილსამყოფელი – გოსლარი; დაბადებული 1753 წლის 11 იანვარს ვეცლარში. ქალიშვილთან და მოსამსახურე გოგოსთან ერთად».

– საკმარისია ეს? – იკითხა კარის მრჩევლის მეუღლემ; და რადგანაც არავინ უპასუხა, თვითონვე დაასკვნა: – საკმარისი უნდა იყოს! – და უნდოდა ენერგიული მოძრაობით ფიქალის ფანქარი მაგიდაზე დაედო. დაავიწყდა, რომ იგი თავისუფალი არ იყო, და ლითონის სადგარი, რომელზეც დაემაგრებინათ,

გადმოაყირავა.

– რა მოუხერხებელი ვარ! – წამოიძახა წამოწითლებულმა და კვლავ შეავლო მზერა თავის ქალიშვილს, რომელსაც დამცინავად მოეკუმა პირი და თვალები ძირს დაეხარა, – ყოველივე ეს სწრაფად აღდგება და საქმეც გამოსწორდება. ახლა კი დროა, ოთახისკენ გავწიოთ! – და წასასვლელად აჩქარდა.

ქალიშვილი, მოსამსახურე გოგო, კელნერი და მათ უკან ყუთებითა და სამგზავრო ჩანთებით დატვირთული მელოტი მუშა, მას წინკარით კიბისკენ გაჰყვნენ. მაგერს არ შეუწყვეტია თვალების ხამხამი, ისე გაიარა მთელი გზა; თანაც სამჯერ თუ ოთხჯერ ძალიან სწრაფად დაახამხამა ქუთუთოები და შემდეგ გაწითლებული თვალებით ერთ წერტილს მიაშტერდა; პირი ღია დარჩენოდა, მაგრამ ყეყეჩვით კი არ გამოიყურებოდა, არამედ, ასე ვთქვათ, უფრო დახვეწილი, ფიქრიანი სახე ჰქონდა. პირველი კიბის ბაქანზე მთელი ჯგუფი გააჩერა.

– გთხოვთ, მომიტევეთ! – წარმოთქვა მან, – გულწრფელად გთხოვთ, მაპატიოთ, თუ ჩემი კითხვა... ეს ჩვეულებრივი უადგილო ცნობისმოყვარეობა როდი გახლავთ. ნუთუ ჩვენ პატივი გვაქვს ვიხილოთ ფრაუ კესტნერი, კარის მრჩევლის მეუღლე, ფრაუ შარლოტე კესტნერი, წარმომავლობით ბუფი, ვეცლარელი?

– დიახ, მე გახლავართ, – ღიმილით დაუდასტურა მოხუცმა ქალმა.

– მე ვგულისხმობ... გთხოვთ, მაპატიოთ... ცხადია, მე ვგულისხმობ... მაგრამ... ნუთუ ბოლოს... მაშასადამე, ხომ არ არის ლაპარაკი შარლოტე, შემოკლებით ლოტე კესტნერზე, დაბადებით ბუფზე, გერმანული სახლიდან, ვეცლარის გერმანული ორდენის[8] სახლიდან, ყოფილ...

– დიახ, სწორედ მასზეა ლაპარაკი, ჩემო კარგო! მაგრამ მე სრულიადაც არ გახლავართ ყოფილი. მე აქ სავსებით ნამდვილი გახლავართ და გულით ვისურვებდი, როგორმე ჩემთვის განკუთვნილ ოთახში მოვხვდებოდე...

– დაუყოვნებლივ! – წამოიძახა მაგერმა, თავი დახარა და თითქოს წასასვლელად გაემზადა, მაგრამ ადგილზე ჩაკირულივით დარჩა და ხელები ერთმანეთს გადააჭდო.

– ო, ღმერთო ჩემო! – წარმოთქვა მაგერმა გრძნობამორევით, – ღმერთო ჩემო! ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! დაე, მაპატიოს ქალბატონმა კარის მრჩევლის მეუღლემ, თუ ჩემი აზრი მაშინვე ვერ მისწვდა აქ არსებულ იგივეობას და გადაშლილ პერსპექტივებს... ეს ხომ, ასე ვთქვათ, მოწმენდილ ცაზე ქუხილსა ჰგავს... მაშასადამე, ჩვენს სახლს წილად ხვდა პატივი და ფასდაუდებელი საჩუქარი, კეთილმობრძანება უსურვოს ჭეშმარიტსა და ნამდვილ პირველსახეს, თუ შეიძლება ასე გამოვხატოთ... ერთი სიტყვით, მე წილად მხვდა ბედნიერება, წარვდგე ვერტერისეული ლოტეს წინაშე...

– სწორედ ასე გახლავთ, ჩემო მეგობარო, – ღირსეული სიმშვიდით უპასუხა კარის მრჩევლის მეუღლემ და თან დამტუქსავი მზერა მიაპყრო მოხითხითე მოახლეს, – და თუ ეს თქვენთვის კიდევ ერთი საბუთი იქნება იმისა, რომ დაღლილ ქალებს დაუყოვნებლივ გვიჩვენოთ ჩვენი ოთახი, მით უფრო კმაყოფილი დავრჩები.

– ახლავე, – წამოიძახა მსახურმა და სწრაფად გაეშურა, – ოთახი ნომერი ოცდამეხუთე, ღმერთო ჩემო, მეორე სართულზეა, ორი კიბეა ასასვლელი. ჩვენი კიბე, როგორც ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ხედავს, ძალიან მოხერხებულია... მაგრამ ჩვენ რომ სულ მცირე მიხვედრილობა მაინც გვქონოდა და წინასწარ გვეგრძნო... მართალია, ჩვენი სასტუმრო ფრიად დაკავებულია, უეჭველად გამოიძებნებოდა... თუმცა ეს ოთახიც ჩინებულია, სარკმელები ბაზრის მოედანს გადაჰყურებს და, ვფიქრობ, არ დაიწუნებთ. ჯერ კიდევ ამ მცირე ხნის წინ იქ ბინადრობდნენ ფრაუ და ჰერ მაიორი ფონ ეგლოფშტაინები,[9] როდესაც სანახავად ეწვივნენ თავიანთ დეიდას, იმავე გვარის ქალბატონს, უმაღლესი დარბაზთუხუცესის მეუღლეს. ცამეტი

წლის ოქტომბერში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, დიდი მთავრის, კონსტანტინეს გენერალ-ადიუტანტს ეჭირა იგი. ეს, ასე ვთქვათ, ისტორიული მოგონებებია... მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას ვლაპარაკობ

ისტორიულ მოგონებებზე! მგრძნობიარე გულის ადამიანისთვის ისინი ოდნავაც ვერ შეედრებიან... კიდევ რამდენიმე ნაბიჯი! კიბიდან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯია ამ დერეფნის გასწვრივ. როგორც ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ხედავს, ყველა კედელი ახალი შეთეთრებულია. ცამეტი წლის დამლევს, მას შემდეგ, რაც დონელი კაზაკები გვეწვივნენ, სრული განახლება დაგვჭირდა – კიბის, ოთახების,

ტალანების, დერეფნებისა და სასტუმრო ოთახებისა, რაც შესაძლებელია დიდი ხნის შესაკეთებელი იყო. მსოფლიო ისტორიის ველურმა ძალმომრეობამ გვაიძულა, ეს გაგვეკეთებინა, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების განახლება იქნებ ზოგჯერ ძალდაუტანებლად არც ხდებოდეს. თუმცა ჩვენი განახლების დამსახურება მხოლოდ კაზაკებს როდი მინდა მივაწერო. ჩვენს სახლში იდგნენ აგრეთვე პრუსიელები და უნგრელი ჰუსარები, აღარაფერს ვამბობ ფრანგებზე, რომლებიც მათ წინ უსწრებდნენ... აგერ, მიზანსაც მივალწიეთ. ნება მომეცით, ვთხოვო ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს, მობრძანდეს.

თავი დაუკრა, კარი ყურთამდე გაუღო და ოთახში შეუშვა. ქალებმა სწრაფად მოავლეს გამომცდელი თვალი ორივე ფანჯრის გახამებულ მარმაშის ფარდებს, მათ შორის ოდნავ დაბინდულ, მქრქალლაქებიან და ოქროსჩარჩოიან, ფეხებიან სარკეს, თეთრზეწრიან საწოლებს, რომელთაც ერთი საერთო პატარა გავალაკი[10] ჰქონდათ, და სხვა მორთულობას. კედელს ამკობდა სპილენძვიფარი, რომელზეც გამოსახული იყო ანტიკური ტაძარი შემოგარენით. გაპრიალებული იატაკი ბრწყინავდა.

– მართლაც, სასიამოვნოა, – თქვა კარის მრჩევლის მეუღლემ.

– რა ბედნიერი ვიქნებოდით, თუ ქალბატონებს აქ ნამდვილად მოეწონებოდათ! თუ რამე საჭირო იქნება, აგერ გახლავთ ზარი. თავისთავად ცხადია, რომ ცხელი წყლისთვის ვიზრუნებ. უაღრესად ბედნიერად მივიჩნევთ თავს, თუკი ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს ვასიამოვნებთ...

– რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო. ჩვენ უბრალო ადამიანები ვართ და არც განებივრებულნი გახლავართ. მადლობას მოგახსენებთ, კეთილო კაცო, – უთხრა მსახურს, რომელმაც მხრიდან ტვირთი მოიხსნა, იატაკზე დადო და განშორდა.

– თქვენც მადლობას მოგახსენებთ, ჩემო მეგობარო! – ქალმა თავი დაუკრა კელნერს წასვლის ნიშნად, – ყველაფრით მომარაგებული და უზრუნველყოფილი გახლავართ, ახლა გვინდოდა მხოლოდ ცოტა რამ...

მაგრამ მაგერი უძრავად იდგა, თითები ერთმანეთში ჩაეჭდო, აწითლებული თვალები მოხუცი ქალის სახის ნაკვთებისთვის მიეპყრო.

– ღმერთო, დიდებულო, – თქვა მან, – ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლევ, ეს რა წიგნის ღირსი მოვლენაა! შესაძლებელია, ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს არ შეუძლია მთლად გაიგოს გულითადი ადამიანის გრძნობები, რომელსაც სრულიად მოულოდნელად და ანაზღაურულად თავს დაატყდა ასეთი ამბავი, რაც ამაღელვებელ შესაძლებლობებს გადაგვიშლის თვალწინ... ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე, ასე ვთქვათ, იმდენად მიჩვეულია ვითარებას და ყველა ჩვენგანისთვის ესოდენ წმინდად ქცეულ მისსავე იგივეობას, რომ ამგვარი რამ რაც შეიძლება იოლ ყოველდღიურ მოვლენად მიაჩნია, და მთლად ვერ ჩასწვდომია იმას, თუ რა

ხდებამგრძობიარეადამიანისსულში.ვინც

ახალგაზრდობიდანვე ლიტერატურის თაყვანისმცემელი ყოფილა და სულ მცირედიც კი მხედველობიდან არ გამორჩენია, ისეთი პიროვნების გაცნობის ჟამს, თუ ნებას მომცემთ, ასე გამოვთქვა – გთხოვთ მომიტევოთ, – ისეთ პიროვნებასთან შეხვედრის დროს, ვინც პოეზიის შარავანდედით არის მოსილი და თითქოს ცეცხლოვანი ხელებით სამარადისო დიდების ზეცაშია აყვანილი...

– ჩემო კარგო მეგობარო, – უპასუხა თავდასაცავად კარის მრჩევლის მეუღლემ ღიმილით, თუმცა კელნერის სიტყვებზე თავის კანტური უფრო შესამჩნევი გაუხდა, რაც შეიძლება კაცს მოწონების თუ თანხმობის ნიშნად მიეღო (მოახლე გოგო მის უკან იდგა და მხიარული ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა გულაჩუყებული მამაკაცის თითქმის სატირლად ათრთოლებულ სახეს: ამ დროს ქალიშვილი მოჩვენებითი გულგრილობით ოთახის სიღრმეში ნივთებს ალაგებდა), – ჩემო კეთილო მეგობარო, მე ერთი უპრეტენზიო მოხუცი ქალი ვარ, ისეთივე ადამიანი, როგორც ყველა სხვა; თქვენ კი ესოდენ არაჩვეულებრივი, მაღალფარდოვანი გამოთქმის კილო გაქვთ.

– ჩემი სახელია მაგერი, – თითქოს განსამარტავად წარმოთქვა კელნერმა. მან წარმოთქვა «მააჰერ» თავის შუაგერმანულ რბილ კილოზე; და ამ ხმაში იყო რაღაც მავედრებელი და ამაღელვებელი, – მე გახლავართ ამ სახლში, თუ ქედმაღლურად არ ჟღერს ეს სიტყვა, ფაქტობრივად[11], როგორც იტყვიან, მარჯვენა ხელი ამ სასტუმროს მფლობელის, ფრაუ ელმენრაიჰისა. იგი დიდი ხანია დაქვრივდა. სამწუხაროდ, ჰერ ელმენრაიჰი ჯერ კიდევ 1806 წელს მსოფლიო ამბების მსხვერპლი გახდა ტრაგიკულ ვითარებაში, რაზე ლაპარაკიც აქ

უადგილოა. ჩემი თანამდებობის კაცი, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, მრავალ ადამიანს შეხვდება, ისიც ისეთ დროში, ჩვენმა ქალაქმა რომ გამოიარა; აქ მრავალ გამოჩენილ ადამიანს გამოუვლია, გამოჩენილს წარმოშობითა თუ დამსახურებით, და ბუნებრივია, რომ კაცს ერთგვარი გულგრილობა შეიპყრობს მაღალი წრის, მსოფლიო ისტორიაში ჩაბმული პირებისა და პატივისცემის აღმძვრელ, წარმოსახვის ამაღელვებელ სახელთა მიმართ. ეს ასეა, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! მაგრამ ეს თანამდებობრივი განებივრება და ყურადღების მოჩლუნგება სად გაქრა ახლა! გამოგიტყდებით, ჩემს ცხოვრებაში წილად არ მხვდომია, ვინმე მიგველო, მოვმსახურებოდეთ და ასე აეფორიაქებინოს ჩემი გული და გონება, როგორც დღევანდელმა, ნამდვილად ღირსსახსოვარმა შეხვედრამ ამაღელვა. რადგან, როგორც ადამიანს ემართება ხოლმე, მე ვიცოდი, რომ ღირსპატივისცემი მანდილოსანი, იმ მარად სანუკვარი არსების ნამდვილი პირველსახე, ცოცხალთა შორის იმყოფებოდა და სწორედ ქალაქ ჰანოვერში ცხოვრობდა, ახლა კი ვხედავ, რომ მართლა მცოდნია. ოღონდ ეს ცოდნა ჩემთვის რეალური არ იყო და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე შესაძლებლობა მექნებოდა ამ წმინდა არსებას პირისპირ შეხვედროდი. უბრალოდ, ვერც კი ვიოცნებებდი, არც დამესიზმრებოდა. დილას რომ გავიღვიძე – ამ რამდენიმე საათის წინ, დარწმუნებული ვიყავი, რომ დღეს ისეთივე დღე მექნებოდა, როგორც ყველა სხვა ასობით დღე მექონია, სადაგი დღე, სავსე ჩემი ხელობის ჩვეულებრივი, ერფეროვანი საქმეებით დერეფანსა და მაგიდასთან. ჩემი მეუღლე, – დაქორწინებული გახლავართ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, ფრაუ მაგერს სამზარეულოში მზარეულთუხუცესის თანამდებობა უჭირავს, – დიახ, ჩემი მეუღლე დამემოწმება, წინაგრძნობის ნატამალიც კი არ მექონია, რომ დღეს არაჩვეულებრივი რამ მოხდებოდა. სხვაგვარად არც მიფიქრია, მეგონა, დღეს საღამოს იგივე კაცი ჩავწვებოდი ლოგინში, რაც დილას ავდექი. და აი, ახლა! ხშირად ის ხდება, რასაც არ ელიო – რა სწორად ამბობს ამას ეს უბრალო ხალხური სიბრძნე! ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე, ალბათ, მაპატიებს ღელვას და შესაძლებელია, ჩემს მიუტყვებელ ენამრავლობას. სისავსისაგან გულისა ბაგენი მეტყველებენო, ამბობს ხალხი არცთუ ძალიან ლიტერატურული, მაგრამ მაინც მოსწრებული ენით. რომ იცოდეს ქალბატონმა კარის მრჩევლის მეუღლემ, თუ, ასე

ვთქვით, ბავშვობიდანვე რაოდენი სიყვარულითა და პატივისცემით ვარ გამსჭვალული ჩვენი მგოსანთა მეფის, დიდი გოეთესადმი და როგორ ვამაყოფ, ვითარცა ვაიმარელი მოქალაქე იმით, რომ ამ დიდებულ ადამიანს ჩვენად ვუხმობთ... რომ იცოდეთ, თუ როგორ ათრთოლებდა ჩემს გულს ოდითგანვე სწორედ ტანჯვანი ჭაბუკ ვერტერისა...

მაგრამ ჯობს დავდუმდე, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, ძალიან კარგად ვიცი, რომ ღირსი არა ვარ მასზე ვიმსჯელო, – თუმცა ისიც ხომ მართალია, რომ ასეთი ღრმა გრძნობით გამსჭვალული ნაწარმოები ყველა ადამიანს ეკუთვნის და დიდსა თუ მცირეს სულის უღრმესი მღელვარებით აჯილდოებს, მაშინ როდესაც ისეთი ქმნილებანი, როგორც არიან «იფიგენია» და «უკანონო ასული»,^[12] შესაძლებელია, მხოლოდ უმაღლესი ფენებისთვის არის მისაწვდომი. როდესაც ვფიქრობ, თუ რაოდენ ხშირად ფრაუ მაგერი და მე გრძნობამორეულნი და სულით აღტყინებულნი დავხრილვართ საღამოობით სანთლის შუქით განათებულ ამ ღვთაებრივ ფურცლებზე, ახლა უცბად ცხადი ხდება ჩემთვის, რომ ამ წუთს ჩემ წინაშე დგას მსოფლიოში სახელგანთქმული და უკვდავი გმირი ქალი, ცოცხალი და ხორცშესხმული, ისეთივე ხორციელი ადამიანი, როგორც მე... ღვთის გულისათვის, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – წამოიძახა მან და შუბლზე ხელი იტკიცა, – რამდენს ვლაპარაკობ, უეცრად თავში გამიელვა, რომ ერთხელაც არ ვიკითხე, ქალბატონმა კარის მრჩევლის მეუღლემ საერთოდ დალია თუ არა ყავა!

– გმადლობთ, ჩემო მეგობარო, – მიუგო მოხუცმა ქალმა, რომელიც მშვიდად, თავშეკავებით უმზერდა და ამასთან ოდნავი ბაგის თრთოლით უსმენდა ენაწყლიანი კაცის გულისნადების გამჟღავნებას.

– ჩვენ დროზე გეახელით. თუმცა, ჩემო ძვირფასო ჰერ მაგერ, ძალიან შორს იჭრებით თქვენი შედარებებისას და მეტისმეტად აჭარბებთ, როდესაც უბრალოდ ერთმანეთში ურევთ იმ საქვეყნოდ განთქმული წიგნის გმირ ქალსა და ჩემს პიროვნებას, ან თუნდაც იმ ახალგაზრდა არსებას, რაც მე ოდესღაც ვიყავი. თქვენ პირველი არ ბრძანდებით, ვისაც იძულებული ვარ, ეს შევახსენო; მე სულ ამას ვქადაგებ აგერ უკვე ორმოცდაოთხი წელიწადია. მართალია, იმ რომანის გმირმა ქალმა ესოდენ საქვეყნოდ გავრცელებული, ესოდენ

დასრულებული და სახელგანთქმული არსებობა მოიპოვა, რომ ვიღაცას შეუძლია მოვიდეს და გითხრას, ამ ორთაგან სწორედ ის არის ნამდვილი, თუმცა მე მაინც უარს ვიტყვდი. ამასთან, რომანის გმირი ქალი ძალიან განსხვავდება მაშინდელი ჩემი არსებისგან, ახლანდელზე ხომ აღარაფერს ვამბობ. მაგალითად, ყოველ ადამიანს შეუძლია დაინახოს, რომ მე ცისფერი თვალები მაქვს, მაშინ როდესაც ვერტერის ლოტე, როგორც ცნობილია, შავთვალია.

– პოეტური თავისუფლება! – წამოიძახა მაგერმა, – ვინ არ იცის, რა არის ეს, – პოეტური თავისუფლება! მაგრამ იგი ოდნავაც ვერ ამცირებს არსებულ იგივეობას! პოეტს შეეძლო შეფარვის მიზნით კვალი ოდნავ წაეშალა.

– არა, – თქვა კარის მრჩევლის მეუღლემ და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, – შავი თვალები სხვა ვინმესგან წარმოდგება.

– თუნდ ასეც იყოს, – შეესიტყვა მაგერი, – იგივეობა შეიძლება მცირე გადახვევებით ოდნავ შესუსტდეს...

– არსებობს კიდევ უფრო მეტი გადახვევები, – დაბეჯითებით ჩაურთო კარის მრჩევლის მეუღლემ.

– მაგრამ სრულიად ხელშეუხებელი რჩება მეორე იგივეობა, მასთან გადაჯვარედინებულ-გადახლართული და განუთიშველი, – იგივეობა თავის თავთან, მე მინდა ვთქვა, იგივეობა იმ ამდენადვე ლეგენდარულ პიროვნებასთან, რომლის სურათი დიდმა ადამიანმა ამ მოკლე ხანში თავის მოგონებებში ასე გულწრფელად, ალაღმართლად დაგვიხატა, და თუ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე მაინცდამაინც სულ უკანასკნელ წვეთამდე არ გახლავთ ვერტერის ლოტე, თქვენ ხომ ფეხის ფრჩხილებამდე და მიუხვევ-მოუხვევლად ბრძანდებით ლოტე გოე...

– ჩემო ძვირფასო, – შეაწყვეტინა კარის მრჩევლის მეუღლემ მბრძანებლური კილოთი, – კარგა ხანი გავიდა მას მერე, რაც თქვენ თავაზიანად გვიჩვენეთ ჩვენი ოთახი. როგორც ჩანს, გადაგავიწყდათ, რომ ახლა უკვე ხელს გვიშლით, იმით ვისარგებლოთ.

– ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – ვედრებით გაშალა ხელები სასტუმრო «სპილოს» კელნერმა, – მომიტევეთ! აპატიეთ ადამიანს, რომელიც... ჩემი საქციელი მიუტევებელია,

ეს ვიცი, და მაინც გთხოვთ პატიებას. ჩემი დაუყოვნებელი განშორებით... პატივისცემასა და თავაზიანობაზე რომ არაფერი ვთქვა, ისედაც გული მიმიწევს აქედან; რადგან როდესაც ვფიქრობ, რომ ფრაუ ელმენრაიჰს აქამდე გუმანიც კი არა აქვს, ალბათ, სტუმართა დაფისთვის თვალიც არ შეუვლია, ეგეც არ იყოს, კიდევაც რომ შეეხედა, მისი ესოდენ მარტივი ჭკუა...

მერედა, ფრაუ მაგერი, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! როგორ მიმიწევს დიდი ხანია გული სამზარეულოსკენ, ერთი სული მაქვს, პირველმა შევატყობინო ასეთი დიდი და ცხელ-ცხელი ქალაქური და ლიტერატურული ამბავი. იმისთვის, რომ გულის ამაღელვებელი ახალი ამბავი შევაგვსო, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, მაინც ვბედავ, გთხოვთ პატიება და კიდევ ერთადერთი კითხვის ნება დამართოთ...

ორმოცდაოთხი წელიწადი! და ამ ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში ბატონი კარის საიდუმლო მრჩეველი არ გინახავთ?

– ასე გახლავთ, ჩემო მეგობარო, – უპასუხა ქალმა, – მე ვიცნობ სამართლის დარგის ახალგაზრდა პრაქტიკანტს, დოქტორ გოეთეს, გევანდსჰასეზე რომ ცხოვრობდა ვეცლარში. ვაიმარის სახელმწიფო მინისტრი, გერმანიის დიდი მგოსანი არასოდეს თვალით არ მინახავს.

– საოცარია! – ამოიხვნეშა მაგერმა, – საოცარია, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! და აი, ახლა ჩამობრძანდით ვაიმარს, რომ...

– ახლა ვაიმარს ჩამოვედი, – გააწყვეტინა ლაპარაკი მოხუცმა ქალმა ერთგვარი მედიდურობით, – რომ მრავალი წლის უნახავი ჩემი და – კამერმრჩეველ რიდელის მეუღლე მოვინახულო და ჩემი ქალიშვილი შარლოტეც წარვუდგინო, რომელიც ჩემს სანახავად ელზასიდან ჩამოვიდა, სადაც ის ცხოვრობს, და ახლა ამ მგზავრობაშიც გამომყვა. ჩემს მოახლესთან ერთად ჩვენ სამნი ვართ, და არ შემეძლო, ჩემი და ბინაზე შემეწუხებინა, რადგან თვითონაც ოჯახი აქვს. ამიტომ სასტუმროში ჩამოვხდით, მაგრამ სადილად ჩვენს საყვარელ ნათესავებთან ვიქნებით. დაკმაყოფილდით?

– სავსებით, სავსებით! თუმცა ამრიგად ჩვენ მოგვაკლდება პატივი, ქალბატონები ჩვენს სასტუმრო მაგიდასთან ვიხილოთ. ჰერ და ფრაუ რიდელები, ესპლანადე[13] ექვსი, ოჰ, ვიცი! ასე რომ, ქალბატონი კამერმრჩევლის მეუღლე დაბადებით... მაგრამ

ეს ხომ ვიცოდი! ურთიერთობანი და დამოკიდებულებანი ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ სინამდვილეში ვერ წარმომედგინა... ჰოი, მოწყალეო ღმერთო! მამასადამე, ქალბატონი კამერმრჩევლის მეუღლე იმ ბავშვთა გუნდში იმყოფებოდა, რომელნიც გარს ეხვივნენ ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს მონადირეთა სახლის წინა დარბაზში, როდესაც ვერტერმა პირველად შედგა იქ ფეხი, და ისიც თავის პაწია ხელს უწვდიდა სამხრისთვის, რომელსაც ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე...

– ჩემო ძვირფასო მეგობარო, – კვლავ ჩამოართვა შარლოტემ სიტყვა, – არავითარი კარის მრჩევლის მეუღლე იმ მონადირეთა სახლში არ ყოფილა. გეთაყვა, უმჯობესია, სანამ ჩვენს კლერჰენს, რომელიც კარგა ხანია გელოდებათ, მის ოთახს უჩვენებდეთ, გვითხრათ: შორს არის აქედან ესპლანადე?

– სულაც არა, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე. ძალიან მცირე მანძილია. ჩვენს ვაიმარში ასეთი გრძელი გზები არ არის; ჩვენი სიდიადე გონის სფეროშია. მე სიხარულით შემოგთავაზებდით ჩემს სამსახურს, მზად ვარ, კამერმრჩევლის სახლამდე თვითონ მიგაცილოთ, თუ თქვენ არ არჩევთ ეტლს ან ტახტრევანს, რაც ჩვენს დედაქალაქს უხვად აქვს... მაგრამ კიდევ ერთი, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, მხოლოდ ეს ერთი რამ! მართალია, ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე პირველ ყოვლისა, თავისი დის სანახავად ჩამობრძანდა ვაიმარში, უეჭველად ექნება შემთხვევა აგრეთვე ფრაუენჰაუსე...

– ვნახოთ, ჩემო ძვირფასო, ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ახლა კი გოგო ქვევით წაიყვანეთ, რადგან მალე დამჭირდება.

– დიახ, გზად მითხარით, – აჭიკჭიკდა უმცროსი ქალი, – სად ცხოვრობს ის კაცი, ვინც დიდებული «რინალდო»[14] დაწერა, ამაღელვებელი რომანი, რომელიც უკვე ხუთჯერ წავიკითხე, წავიკითხე კი არა, პირდაპირ გადავყლაპე, და კიდევ შეიძლება წილად მხვდეს ბედნიერება და ქუჩაში შევხვდე მას?

– შეიძლება ასეც მოხდეს, სავსებით შესაძლებელია მოხდეს, – უპასუხა დაბნეულმა მაგერმა და თან მასთან ერთად გაემართა კარისკენ. მაგრამ აქ ერთხელ კიდევ შეჩერდა, ცალი ფეხით იატაკს დაეყრდნო, ხოლო მეორე წონასწორობის შესანარჩუნებლად ჰაერში გააჩერა.

– კიდევ ერთი სიტყვა, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე!
– შევედრა იგი, – ერთადერთი უკანასკნელი სიტყვა, მასზე პასუხის გაცემა ქალბატონს არ გაუძნელდება! ქალბატონმა კარის მრჩევლის მეუღლემ უნდა გამიგოს: – ადამიანს მოულოდნელად წილად ხვდა ბედნიერება შეხვედროდა პირველსახეს, თვით პირველწყაროს, არ შეიძლება ასეთი შემთხვევით არ ისარგებლოს, – ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, ხომ მართალია, ის უკანასკნელი საუბარი ვერტერის გამგზავრების წინ, ის ამაფორიაქებელი, გულგამგმირავი სცენა სამთა, როდესაც საუბარი ნეტარხსენებულ დედასა და სამარადისო განშორებას ეხებოდა, ვერტერს ლოტეს ხელი ეჭირა და წამოიძახა: «ჩვენ კვლავ ვნახავთ ერთმანეთს, ვიპოვით ერთიმეორეს, მრავალ სახეთა შორის ვიცნობთ ურთიერთს!»[15] – ხომ მართალია, ხომ ჭეშმარიტებას ემყარება იგი, ხომ არ მოუგონია ბატონ საიდუმლო მრჩეველს, ხომ ასეა ნამდვილად?!

– ჰო და არა, ჩემო მეგობარო, ჰო და არა, – გულთბილად უპასუხა შეკითხვებისგან თავგაბეზრებულმა ქალმა თავის კანტურით, – ახლა კი წადით! წადით!

და აღელვებული მაგერი ფისუნია კლერჰენთან ერთად სწრაფად გავარდა გარეთ.

შარლოტემ ღრმად ამოიხვნეშა და ქუდი მოიხადა. დედას დამცინავად შეხედა ქალიშვილმა, რომელიც მთელი ამ საუბრის განმავლობაში საქმიანობდა, თავის და თავისი დედის ტანსაცმელს კარადაში კიდებდა და აბგიდან ამოღებულ ნივთებს პირსაბანის თავზე ანაწილებდა.

– კვლავ ამობრწყინდა შენი ვარსკვლავი. შთაბეჭდილება ცუდი როდი გახლდათ, – შენიშნა მან.

– ახ, შვილო, – მიუგო დედამ, – რასაც შენ ჩემს ვარსკვლავს უწოდებ, და რაც ჯვარი უფროა, თუნდაც იგი ორდენისა იყოს, ჩემს დაუხმარებლად ვლინდება. მე მას ხელს ვერ შევუშლი და ვერც დავმაღავ.

– საყვარელო დედა, თუ მთელი ჩვენი ექსტრავაგანტური მგზავრობისას არა, ერთხანს მაინც დაფარული დარჩებოდა იგი, დეიდა ამალიასთან რომ დავბინავებულობიყავით და არა ამ საქვეყნო სასტუმროში.

– შენ კარგად იცი, ლოტკენ, რომ ეს შეუძლებელი იყო. შენს ბიძას, შენს დეიდას და შენს დეიდაშვილებს სულაც არა აქვთ ზედმეტი ფართობი, თუმცა წარჩინებულთა უბანში ცხოვრობენ. სწორედ ამიტომ შეუძლებელი იყო სამი ადამიანი თავს დავცემოდით ბინაში. არასასიამოვნო იქნებოდა, ასე შეგვევიწროებინა ისინი თუნდაც რამდენიმე დღით. ბიძაშენ რიდელს, როგორც მოხელეს, თუმცა შემოსავალი აქვს, მაგრამ მძიმე განსაცდელი გამოიარა: ექვს წელს ყველაფერი დაკარგა; ის სულაც არ არის მდიდარი კაცი და ჩვენც არ გვეკადრება, რომ მის ჯიბეს ტვირთად დავაწვეთ. მაგრამ ვის შეუძლია მისაყვედუროს, რომ მომენატრა ჩემი უმცროსი დის, ჩვენი მალის, ამდენი ხნის განშორების შემდეგ გულში ჩახუტება და იმ ბედნიერებით გახარება, რითაც იგი თავის ჩინებულ მეუღლესთან ერთად ტკბება. ნუ დაივიწყებ, რომ შესაძლებელია ამ ჩვენს საყვარელ ნათესავებს მე ძალიანაც გამოვადგე. შენს ბიძას იმედი აქვს, დიდი ჰერცოგის კამერდირექტორის თანამდებობისა, – შესაძლებელია ჩემი ურთიერთობებითა და ძველი ნაცნობობით მე აქ, ადგილზე აღმოვჩნდე და ხელი შევუწყო მისი სურვილების განხორციელებას. და განა ეს წუთი, როდესაც, შვილო ჩემო, ათი წელიწადის განშორების შემდეგ კვლავ ჩემ გვერდით ხარ და შეგიძლია ჩემი თანამგზავრი იყო, ყველაზე ხელსაყრელი, მარჯვე დრო არ არის მათ სანახავად? განა ამ განსაკუთრებულმა ბედმა, წილად რომ მხვდა, ხელი უნდა შემიშალოს, ჩემი გულის სამართლიან წადილს ავყვე?

– რასაკვირველია, არა, დედა, რა თქმა უნდა, არა!

– გარდა ამისა, ვის შეეძლო ეფიქრა, – განაგრძო კარის მრჩევლის მეუღლემ, – რომ მაშინვე ხელში ჩავუვარდებოდით ისეთ გახელებულ ენთუზიასტს, როგორიც ეს ქილვაშიანი განიმედა?[16] გოეთეც ხომ უჩივის თავის მემუარებში იმ წამებას, რასაც ადამიანთა ცნობისმოყვარეობის გამო მუდამ განიცდიდა: რომელია ნამდვილი ლოტე და სად ცხოვრობს იგი? ამ მოზღვავებულ ცნობისმოყვარეობას ვერსად ემალებოდა, – ნამდვილ სასჯელს უწოდებს მას და ფიქრობს, თუ ამ პატარა წიგნით შესცოდა, სამაგიეროდ, შემდეგში საფუძვლიანად და ზომაზე მეტად მოინანია თავისი ცოდვა. მაგრამ აქ ჩანს, რომ მამაკაცები – მით უფრო პოეტები – მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობენ და სულაც არ დაგიდევენ იმას, რომ ეს ცნობისმოყვარეობის გასაჭირი ჩვენც გადავიტანეთ, როგორც

მან, თანაც რა დაგვატეხა თავს შენს ნეტარხსენებულ მამას და მე იმით, რომ ერთმანეთში საშინლად აურია პოეზია და სინამდვილე...

– ცისფერი და შავი თვალები.

– ვისაც ზიანი მოსვლია, ვერც დაცინვას გაექცევა, მით უფრო თავისი ქალიშვილის მხრივ. უნდა გამეგდო. ეს შმაგი ადამიანი, რომ სწორედ ასეთი, როგორც ახლა ვარ, ვერტერის ლოტედ მიმიჩნია.

– საკმაოდ უტიფარი ბრძანდებოდა, ზოგიერთი შეუსაბამობის გამო ვითომ შენდა საწუგეშებლად გოეთეს ლოტე რომ გიწოდა.

– მე მგონია, არც ეგ გარემოება დამიტოვებია უყურადღებოდ და აშკარა, დაუფარავი გულისწყრომით შევნიშნე, – მაშინ კარგად ვერ უნდა გიცნობდე, შვილო ჩემო, რომ არ მეგრძნო: შენი მკაცრი შეხედულებების თანახმად, იმ კაცისთვის თავიდანვე ლაგამი უნდა ამომეგდო. მაგრამ მითხარი, როგორ? ჩემს თავზე უარის თქმით? დამერწმუნებინა, რომ ჩემს თავსა და ჩემს ამბებზე არ მინდა ვიცოდე რამე? მაგრამ მაქვს კი ამ გარემოებებზე განკარგულების უფლება, რაკი ისინი მთელ მსოფლიოს ეკუთვნის? შენ, შვილო ჩემო, სულ სხვა ბუნებისა ხარ, ვიდრე მე, მაგრამ ნება მომეცი დავძინო, ამით ჩემი შენდამი სიყვარული ერთი ბეწოთიც არ მცირდება. შენ არ ხარ ის, რასაც გულზიარ ადამიანს ეძახიან. რა თქმა უნდა, ეს თვისება ჯერ კიდევ ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც

თავგანწირულება, თავისი სიცოცხლის სხვისთვის მსხვერპლად მიტანის მზადყოფნა ჰქვია. ხშირად ისიც კი მეგონა, რომ ერთგვარ სიმკაცრეს ამჟღავნებს სხვისთვის თავგანწირვა, სხვისი სამსახური. დიახ, ამას ვამბობ არა ვინმეს საქებრად ან გასაკიცხად, ანდა უფრო საქებრად, ვიდრე გასაკიცხად, ხოლო ასეთი თავგანწირვის სიმკაცრე სულაც არ უწყობს ხელს გულზიარობას. შენ, შვილო ჩემო, სულ მცირედაც არ შეგიძლია ეჭვი შეიტანო ჩემს პატივისცემაში შენი ხასიათისადმი, ისე როგორც შენდამი ჩემს სიყვარულში. აგერ უკვე ათი წელიწადია მფარველ ანგელოზად მოევლინე ელზასში შენს საყვარელ, საბრალო ძმას, კარლს, რომელმაც ახალგაზრდა ცოლი და ფეხი დაკარგა – უბედურება ხომ იშვიათად გვეწვევა კენტად! რა დაემართებოდა ჩემს საბრალო ავადმყოფ ბიჭს, შენ რომ არ მოვლენოდი. შენ ხარ მისი მომვლელი, მასზე მზრუნველი, დამხმარე, დიასახლისი და

დაობლებული შვილების დედა. შენი ცხოვრება შრომა და თავგანწირული სიყვარულის სამსახურია, აბა, როგორ არ ჩანერგავდა იგი შენს სულში სერიოზულობას, სიმკაცრეს, რაც წინ აღუდგება ყოველგვარ უქმ მგრძნობიარობას როგორც შენს, ისე სხვის გულში. შენ ყოველდღიურ მწარე სიმართლეს უფრო უჭერ მხარს, ვიდრე იმას, რაც საინტერესოა, – შენც მართალი ხარ შენი მხრივ. დამოკიდებულებანი ვნებებისა და მშვენიერი გონის დიდი სამყაროსადმი, ჩვენ რომ წილად გვხვდა...

– ჩვენ? ასეთი დამოკიდებულებები მე არა მაქვს.

– ჩემო შვილო, ისინი ჩვენთან დარჩებიან და ჩვენს სახელთან იქნებიან გადაწული მესამე და მეოთხე თაობამდე, სულერთია, გვესიამოვნება თუ არ გვესიამოვნება. და როდესაც გულთბილი ადამიანები თავს გვაბეზრებენ თავიანთი აღფრთოვანებისა თუ მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო, სად გაატარებ აქ საზღვარს, გვაქვს კი უფლება გულძუნწობა გამოვიჩინოთ და აბეზართ ზიზღით ვკრათ ხელი? ხედავ, აქ არის განსხვავება ჩვენ შორის. მე და შენ სხვადასხვა ბუნების ადამიანები ვართ. ჩემი ცხოვრებაც სუსხიანი იყო და მეც ბევრ რამეზე უნდა ამელო ხელი. მე მგონია, ცუდი მეუღლე არ ვიყავი შენი ძვირფასი, დაუვიწყარი მამისთვის. თერთმეტი შვილი გავუჩინე და ცხრა პატიოსან ადამიანებად აღვუზარდე, რადგანაც ორი ზეცამ წამართვა. მეც გავილე მსხვერპლი ტანჯვით. მაგრამ თანაზიარობას თუ სათნოებას, რაც უნდა კიცხვით მოიხსენიო შენ, არ დავუღუპავ ვერ, ცხოვრების სიმკაცრემ მე ვერ გამამკაცრა, ვერ გამაგულქვავა. როგორც გინდა, ისე განსაჯე, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება ასეთ კაცს, როგორც მაგერია, ზურგი შევაქციო და პირში მივახალო: «სულელო, ჩამომეხსენი!»

– შენ ისე ლაპარაკობ, საყვარელო დედა, – უპასუხა ლოტე-უმცროსმა, – თითქოს მე საყვედურს გეუბნებოდე და შვილისთვის შეუფერებლად თავს გავდიოდე. მე ხომ ხმაც არ ამომიღია. მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ადამიანები შენს გულკეთილობას და მოთმინებას ასე ბოროტად იყენებენ და გლლიან თავიანთი აღტაცებით, როგორც აი, ეს ახლახან მოხდა, – ნუთუ ამას დანაშაულად ჩამითვლი? აი, ეს ტანსაცმელი, – თქვა მან და დედის ბარგიდან კაბა ამოიღო და ძალა ასწია – თეთრი კაბა, ღია ვარდისფერი ბაფთებით მორთული, – ცოტა გაუთოება ხომ არ დასჭირდება, სანამ ჩაიცვამდე? ძალიან

დაჭმუჭნილა.

კარის მრჩევლის მეუღლე გაწითლდა, რაც მას ძალიან უხდებოდა და მიმზიდველს ხდიდა, საოცრად აახალგაზრდავებდა, ქალწულებრივ სინაზეს, შნოსა და ლაზათს ანიჭებდა მის სახეს: მაშინვე წარმოიდგენდით, როგორი იქნებოდა იგი ოცი წლისა; ალერსიან და სხივჯავარიან ცისფერ თვალებს, გადაკალმულ წარბებს, ნატიფად გამოძერწილ ლამაზ ცხვირს და სასიამოვნო პატარა პირს ვარდისფერმა შუქმა რამდენიმე წუთით დაუბრუნა ოდინდელი მშვენიერება. ამტმანის სახელოვანი ქალიშვილი, მისი დაობლებული ბაღლების დედა, ვოლპერტჰაუზენის[17]

მეჯლისების ფერია ერთხელ კიდევ გაცოცხლდა მოულოდნელად ამ დაწვებშეფაკლული მოხუცი ქალის სახით.

ფრაუ კესტნერმა შავი წამოსასხამი გაიხადა და ახლა იდგა ისეთივე თეთრი, საგარეო კაბით მორთული, როგორც მის ქალიშვილს ეჭირა ხელში და დედას უჩვენებდა. წელიწადის თბილ დროებში (იმჟამად კი ისევ ზაფხულივით ამინდი იყო) მას მუდამ თეთრი კაბა ეცვა ამოჩემებული მიდრეკილების გამო. მაგრამ ქალიშვილს რომ ხელთ ეჭირა, ის ღია ვარდისფერი ბაფთებით იყო დამშვენებული.

უნებურად ორივე ქალი შებრუნდა, უფროსმა, ჩანს, კაბას შეაქცია ზურგი, უმცროსმა კი პირი იმიტომ იბრუნა, რომ გაწითლების გამო დამშვენებული და გაახალგაზრდავებული დედის შეხედვა არ სიამოვნებდა.

– არა-მეთქი, არა, – უპასუხა კარის მრჩევლის მეუღლემ შარლოტეს წინადადებაზე. რა საჭიროა ამდენი დავიდარაბა! ეს კრეპი, კარადაში რომ დაკიდებ, თავისითაც მალე გასწორდება. ესეც არ იყოს, ვინ იცის, საერთოდ ჩავიცვამ კი მაგ კაბას?

– რატომ არ უნდა ჩაიცვა, – უთხრა ქალიშვილმა, – მაშ, რისთვის წამოიღე? მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ როგორც კი შემთხვევა გექნება, უთუოდ ჩაიცვამ, ნება მიბოძე, საყვარელო დედა, ჩემი თავმდაბალი კითხვა გაგიმეორო, ხომ არ ინებებ მკერდსა და სახელოებზე დაბნეული ეს ღია ფერის ბაფთები უფრო მუქი, ვთქვათ, სოსანისფერით შეცვალოთ. ამას ხელდახელ გავაკეთებ...

– აჰ, კმარა, ლოტჰენ! – მიუგო მოთმინებადაკარგულმა კარის მრჩევლის მეუღლემ, – შენ, შვილო, სულ არ გესმის ხუმრობა.

მინდა ვიცოდე, რად გსურს, ეს ჩემ მიერ ჩაფიქრებული პატარა გონებამახვილური ხუმრობა, ეს მსუბუქი ნართაული და ყურადღება დამიშალო. ნება მიბოძეთ, გითხრათ: მართლაც ცოტას ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ისე მოკლებული იყვნენ იუმორის გრძნობას, როგორც შენ.

– არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეგ გრძნობა აქვს იმას, ვისაც არ ვიცნობთ, ან ვეღარ ვიცნობთ, – უპასუხა ქალიშვილმა.

შარლოტე-უფროსს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მათი საუბარი კლერჰენის დაბრუნებამ შეწყვიტა; მან ცხელი წყალი მოიტანა და მხიარულად აუწყა, რომ გრაფინია ლარიშის მსახური სულაც არ არის უხეირო გოგო და საფიქრებელია, რომ კარგად შეეგუებიან ერთმანეთს; გარდა ამისა, კომიკური ჰერ მაგერი მტკიცედ შეჰპირდა, რომ აუცილებლად დაანახვებს ბიბლიოთეკარ ვულპიუსს, ვინც დიდებული «რინალდო» შეთხზა და ვინც ამასთან ჰერ გოეთეს ცოლისძმაა; უჩვენებს მაშინ, როცა ის სამსახურში წავა, ამასთან შეუძლია უყუროს სკოლაში მიმავალ მის ვაჟიშვილს, რომელსაც სახელგანთქმული რომანის გმირის სახელი რინალდო ჰქვია თურმე.

– ძალიან კარგია, – თქვა კარის მრჩევლის მეუღლემ, – მაგრამ ახლა უკვე დროა, ლოტჰენ, ესპლანადეზე დეიდა ამალიასთან გაემგზავროთ ორივე, კლერჰენი გამოგყვება, შეატყობინეთ ჩვენი ჩამოსვლა, ალბათ არ ჰგონია, რომ ჩვენ უკვე ჩამოსულნი ვართ, ნაშუადღევს ან საღამოს თუ მოგველის, შესაძლოა ვარაუდობს, გოთაში ლიბენაუსთან შევეყოვნდებოდით, ჩვენ კი იქ არ შევჩერებულვართ. წადი, შვილო! კლერჰენს კარგად გამოაკითხვინე გზა; წინასწარ დამიკოცნე სანუკვარი დეიდა, ამასობაში დეიდაშვილებს დაუმეგობრდი. მე, მოხუცი ქალი, ერთ-ორ საათს აუცილებლად უნდა წამოვწვე საწოლზე და მეც მოგყვებით, როგორც კი ცოტას დავისვენებ.

ქალიშვილს თითქოს შესარიგებლად აკოცა, მოახლეს თავი დაუკრა, როცა იგი ოდნავი მუხლმოდრეკით გამოემშვიდობა, და მარტო დარჩა. სარკის მაგიდაზე მელანი და კალამი იდო. დაჯდა, ფურცელი აიღო, კალამი მელანში ჩააწო და თავის ოდნავი ცახცახით სწრაფად დაწერა გაკრული ხელით წინასწარ მომზადებული სიტყვები:

«პატივცემულო მეგობარო! ჩემს ქალიშვილთან, შარლოტესთან

ერთად რამდენიმე დღით თქვენს ქალაქში ჩემი დის სანახავად ჩამოვედი; სურვილი მაქვს ჩემი ქალიშვილი წარმოგიდგინოთ. როგორ გავიხარებ კვლავ ვიხილო სახე ადამიანისა, რომელიც მსოფლიოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გახდა იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ ორივემ, თითოეულმა თავისი ძალღონისდაკვალად, ცხოვრებაში გამოვიარეთ, – ვაიმარი, სასტუმრო «სპილო», 22 სექტემბერი, 16 წ. შარლოტე კესტნერი, დაბადებით ბუფი».

ნაწერს ქვიშა მოაყარა, აცალა გაშრობა, გადაბერტყა, ქაღალდის ბოლოები ერთმანეთში მარჯვედ შეკეცა და მისამართი დააწერა. შემდეგ ზარი დარეკა.

თავი მეორე

შარლოტემ დიდხანს ვერ მოისვენა, თუმცა არც მაინცდამაინც ცდილობდა მოსვენებას. მართალია, როგორც კი ზედა ტანსაცმელი გაიხადა, შალი დაიხურა და ერთ-ერთ მცირეგავალაკიან საწოლზე გადაწვა, სახეზე ცხვირსახოცი დაიფარა, რადგან სარკმლებზე მუქი ფარდები არ ეკიდა და სინათლე თვალს სჭრიდა, თვალეზიც დახუჭა, მაგრამ ფიქრებმა გაიტაცა, რის გამო გულმა ძგერას მოუხშირა და არა და არ მოეკიდა რული, რაც ესოდენ გულით ეწადა და რასაც გონიერება მოუხმობდა. სწორედ ეს ყმაწვილური უგუნურება იმის დამადასტურებლად და ნიშნად მიაჩნდა, რომ იგი შინაგანად გამოუფიტავი, უდრეკი და უცვლელი დარჩენილიყო, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, და ეს იდუმალ ღიმილსა და კმაყოფილებას ჰგვრიდა კიდეც. რაც ოდესღაც იმ ყმაწვილმა კაცმა გამოსათხოვარ ბარათზე დაუწერა: «მე ბედნიერი ვარ, სანუკვარო ლოტე, როცა თქვენს

თვალეებში ვკითხულობ, რომ გწამთ, არასოდეს შევიცვლები»[18] – ეს ჩვენი ახალგაზრდული რწმენაა, გულის სიღრმეში ამ რწმენას ვერასოდეს შეველევი. ის, რომ მან გაუძლო დროის გამოცდას, ჩვენ იგივენი დავრჩით, გარეგნულად სხეული მოხუცდა, მაგრამ არაფერს ძალუმს დაეუფლოს ჩვენი შინაგანი სამყაროს მუდმივობას, ამ უგუნურ, მრავალათეულწლებამოვლილ «მე»-ს, – ეს ისეთი დაკვირვებაა, რომელიც მანუგეშებელია მოხუცებულობისას, –

იგი ჩვენი სიბერის ღირსების ნათელი და მორცხვი საიდუმლოებაა. ხანში შეხვედი, ეგრეთ წოდებული მოხუცი ქალი ხარ, თვითონაც დაცინვით ბებერს უწოდებ შენს თავს, და აი, გზას გაუდექი ოცდაცხრა წლის ქალიშვილთან ერთად, იგი მეცხრე შვილია იმ შვილთა შორის, შენს ქმარს რომ გაუჩინე. აი ახლა აქ წევხარ და გული ისე გიძგერს, როგორც მოსწავლე გოგონას გიჟური ცელქობის წინ. შარლოტემ წარმოიდგინა ადამიანები, რომლებიც ამას მომხიბლავად ჩათვლიდნენ.

მაგრამ უკეთესი იყო მისი გულის ჩქროლვის მოწმეთა შორის არ წარმოედგინა ლოტჰენ-უმცროსი. მართალია, შესარიგებლად კიდევ აკოცა თავის ქალიშვილს, მაგრამ დედა გულისწყრომას მაინც ვერ იოკებდა და ბრაზობდა «იუმორის უქონლობისა» და კრიტიკის გამო, ქალიშვილმა ვითომ ტანსაცმლისა და ბაფთების თაობაზე რომ წამოიწყო, არსებითად კი მისი კრიტიკა მოიცავდა მთელ ამ ღირსეულად და ბუნებრივად დასაბუთებულ მოგზაურობას, რასაც მან «ექსტრავაგანტურად» უწოდა. არ არის სასიამოვნო, თანამგზავრად მეტისმეტად გამჭრიახი გონების ადამიანი წაიყვანო და თან არწმუნო, მთელი ეს მოგზაურობა შენი გულისთვის მოვაწყვეო, მაშინ როდესაც თვითონაც კარგად ხედავს, რომ მას საბაზად და საფარად იყენებ. კიდევ უფრო არასასიამოვნო და შეურაცხმყოფელია ისეთი გამჭრიახობა, უფრო კი შურიანი და ალმაცერი თვალი, რომელიც ამა თუ იმ საქციელის ყველა ერთმანეთში გადახლართულ მოტივთა შორის მხოლოდ სათუთად შეფარულსა და გაუმხელელს ხედავს, მხოლოდ ამ დაფარულს მიიჩნევს ჭეშმარიტად, ხოლო რიგიანს, წესიერსა და ენით გამოთქმულს, რაც უნდა ღირსეული და საპატიო იყოს, საბაზად და მომიზეზებად გამოაცხადებს და დასცინებს. შარლოტეს ბრაზი მოერია, რა შეურაცხმყოფელია ამგვარი და, შესაძლოა, ყოველგვარი გულთამხილაობა. თავში მხოლოდ ის აზრი უტრიალებდა, რომ მისი ქალიშვილი გულზიარი ადამიანი არა ბრძანდებოდა.

ნუთუ ამ გამჭრიახ გულთამხილავებს არაფრის ეშინიათ? – ფიქრობდა ის, – განა არ იციან, რომ გულთამხილაობა ორლესულსა ჰგავს? ერთიც ვნახოთ, შებრუნდეს და მათი გამჭრიახობის გამომწვევი მიზეზები გამომზეურდეს, რაც შესაძლებელია ჭეშმარიტების სიყვარულით სრულიადაც არ აიხსნებოდეს? ლოტჰენის უგულვებელმყოფი გულცივობა, – ისიც შეიძლება განჭვრიტოს ავმა და გამჭრიახმა თვალმა, ისიც

იძლევა სულში ჩახედვის საბაზს და არცთუ ძალიან ხელსაყრელს. ის განცდები, რაც დედას ხვდა წილად, ღირსკატივსაცემ ქალიშვილს ერთხელაც არ შეხვედრია და, თუ მისი ბუნების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძნელად რომ ოდესმე შეხვდეს; განცდები იმ განთქმული სამეულის[19] გამო, ასე მხიარულად, მშვიდობიანად რომ დაიწყო, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთი წევრის სიშმაგის გამო მტანჯველ შფოთვად და ძრწოლად იქცა, რაც კეთილშობილი გულისთვის დიდი, მაგრამ პატიოსნად დაძლეული ცდუნება იყო, – რათა ერთ დღეს, ჰოი, ამაყო საშინელება, მთელ მსოფლიოს გაეგო, სინამდვილეზე მალლა დამდგარიყო, უმაღლესი არსებობა მოეპოვებინა, ადამიანები ისე აეფორიაქებინა და შეეძრწუნებინა, როგორც ოდესღაც ქალწულის გული, და თვით მსოფლიოც ხშირად სახიფათო და საძრახის ალტყინებაში მოეყვანა.

შვილები მკაცრნი და მოუთმენელნი არიან დედის პირადი ცხოვრების მიმართ, ფიქრობდა შარლოტე, ეგოისტური და ამკრძალავი მოწიწების გამო, რასაც შეუძლია სიყვარული უსიყვარულობად აქციოს, და მით უფრო საქები არაფერია, თუ მას ქალური შურიც ურევია, შური დედის გულის თავგადასავლის გამო, რასაც დამცინავი ზიზღის სახე მიუღია ამ თავგადასავლის საქვეყნოდ გავრცელებული დიდებისადმი. არა, მკაცრ ლოტკენს არასოდეს განუცდია ის საშინლად მშვენიერი და დანაშაულებრივი, მომაკვდინებელი სიტკბოება თუ სიამოვნება, რაც მისმა დედამ განიცადა იმ საღამოს, როდესაც ქმარი საქმეებზე გაემგზავრა და ის მოვიდა, თუმცა შობის საღამომდე აღარ უნდა გამოჩენილიყო; როდესაც მან მეგობარი ქალების დასაძახებლად გოგო ამოდ გაგზავნა და მასთან მარტოდმარტო დარჩენა მოუხდა; ყმაწვილმა კაცმა ოსიანის ნაწარმოებიდან ადგილები წაუკითხა, საკუთარი შავბნელი მწუხარებით გათანგულს, გმირის ტკივილებმა სძლია, კითხვა შეწყვიტა, სასოწარკვეთილი დაემხო მის ფერხთით, მისი ხელები თვალებზე, ბედშავ შუბლზე მიიღო, ხოლო სიბრალულის გრძნობით შეპყრობილმა ქალმა ხელები მოუჭირა, უცბად მათი გავარვარებული დაწვები ერთმანეთს შეეხო, და სამყარო თითქოს დაინთქა გაშმაგებული კოცნის გრიგალში, როდესაც ვაჟის ტუჩებმა ცეცხლით დადაღეს მისი ურჩად მოდუდუნე ბაგენი...

ამ დროს აზრმა გაუელვა, რომ არც მას განუცდია ეს. იგი დიადი სინამდვილე იყო, და ახლა, თვალებზე ცხვირსახოცაფარებული,

ერთმანეთში რევდა იმ მცირე სინამდვილესთან, სადაც ყოველივე ასე ბოზოქრად არ წარმართულა. შმაგმა ჭაბუკმა მხოლოდ ერთი კოცნა მოსტაცა – ანუ, თუმცა ეს გამოთქმა ორივეს მაშინდელ გუნება-განწყობილებას არ შეეფერებოდა, ვაჟმა გულწრფელად აკოცა, ნახევრად გრიგალისებურად, ნახევრად მელანქოლიურად, ჟოლოს კრეფის დროს, მზისგულზე, – აკოცა სწრაფად, გულდიად, აღფრთოვანებით და ნაზი სიხარბით, და მანაც ამის ნება დართო. მაგრამ ამის შემდეგ ყმაწვილი ქალი ისევე ჩინებულად იქცეოდა ამქვეყნად, როგორც ზევით, მშვენიერების სამფლობელოში, – დიახ, სწორედ იმიტომაც შეძლო მან, ლოტემ, სამუდამოდ გამოეწვია იქ ესოდენ ფაქიზი კეთილშობილი პატივისცემა, რომ მან აქ იცოდა თავის დაჭერა ისე, როგორც ამას თვით მისი მკაცრი ზნეობის ქალიშვილი ინებებდა. რადგან, მიუხედავად მთელი გულწრფელობისა, იგი გამაცბუნებელი, თავგზის ამბნევი და უაზრო, ნებადაურთველი, არასაიმედო და თითქოს სხვა

სამყაროდან მომავალი კოცნა იყო, კოცნა ყარიბი უფლისწულისა, ვისთვისაც იგი ძალიან ცუდიც იყო და ძალიან კარგიც. და თუ ყარიბთა ქვეყნის საბრალო უფლისწულს, ისე როგორც მასაც, თვალზე ცრემლი მოადგა, მან ხომ პატიოსანი, უზადო გულისწყრომით უთხრა ჭაბუკს: «ფუი, რცხვენოდეს! თუ ამისთანა რამეს ერთხელ კიდევ ჩაიდენს, მაშინ ჩვენი გზები გაიყრება! ეს ჩვენ შორის არ დარჩება, დაე, იცოდეს მან. დღესვე ვეტყვი კესტნერს».[20] თუმცა ბევრი ეხვეწა, არ ეთქვა, იმავე დღეს ქალმა თავის კეთილ გულის სწორს პატიოსნად გაანდო, რადგან საქმროს უნდა სცოდნოდა არა ის, რომ ჭაბუკმა ეს ჩაიდინა, არამედ ის, რომ ქალმა ამის ნება დართო. როგორც ჩანს, ამან ალბერტს გული საკმაოდ ატკინა. შემდეგ, საუბარში თავიანთი გონივრული და დაურღვეველი კავშირის საფუძველზე გადაწყვიტეს მათთვის ძვირფასი მესამე პირისთვის[21] ლაგამი ამოედოთ და ეგრძნობინებათ, რათა საქმის ნამდვილ ვითარებაში გარკვეულიყო.

მრავალი წლის შემდეგ დღესაც ესოდენ გასაოცარი სიცხადით ხედავს თვალდახუჭული მის სახეს, როდესაც დანიშნულებმა იგი მეტისმეტად ცივად მიიღეს კოცნის მესამე დღეს. სადამოს ათ საათზე მოვიდა, როცა ისინი სახლის წინ ისხდნენ; ხელში ყვავილები ეჭირა. ყვავილები ისე უსულგულოდ მიიღეს, რომ მან განზე გადაყარა და უცნაურ უაზრობას მოჰყვა, ხატოვან გამოთქმებს იშველიებდა. მაშინ შესამჩნევად გრძელი სახე

ჰქონდა, პუდრდაყრილი თმა ყურებთან დახვეოდა, სევდითა და ვედრებით სავსე თაფლისფერი თვალები ჩამოშვებულ ცხვირთან შედარებით წვრილი მოუჩანდა, მაგრამ საოცრად ლამაზი, აბრეშუმით ნაზი შავი წარბები ამშვენებდა მათ, პაწია ულვაშის წვრილი ჩრდილი დაჰფენოდა ქალურ ბაგეებსა და რბილ, მგრძობიარე ნიკაპს.

ასეთი იხილა ლოტემ იგი კოცნის მესამე დღეს, როდესაც გადაწყვეტილების თანახმად, მკაცრი, სუსხიანი სიტყვებით გამოუცხადა: ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროს, რომ ნურასოდეს ნურაფრის იმედი, გარდა კარგი მეგობრობისა, ნუ ექნება. განა მან ეს არ იცოდა? მაშ, სწორედ ამ ცხად და ნათელ გადაწყვეტილებაზე რატომ ჩაუცვივდა ლოყები და რატომ გაფითრდა ისე, რომ თვალები და აბრეშუმით ნაზი შავი წარბები კიდევ უფრო მუქად გამოეკვეთა გაფითრებულ სახეზე? ნამგზავრმა ქალმა ცხვირსახოცქვეშ შეიკავა გრძობამორეული ღიმილი, როცა ეს უჭკუო და სასოწარკვეთილი სახის გამომეტყველება მოაგონდა, შემდეგ კესტნერს რომ აუწერა, და რამაც ნაკლებად როდი შეუწყო ხელი იმ გადაწყვეტილებას, რომ სანუკვარი და სულელი კაცისთვის ორივეს, მისი და კესტნერის დაბადების დღეს, დაუვიწყარ ოცდარვა აგვისტოს, გაეგზავნათ ჰომეროსის პატარა გამოცემასთან ერთად ბაფთაც, კაბის ბაფთა, რაღაც მაინც რომ ჰქონოდა მისგან სამახსოვროდ...

შარლოტე გაწითლდა ცხვირსახოცქვეშ და სამოცდასამი წლის მანდილოსანს მოსწავლე გოგონასავით გულმა კვლავ ძალუმად და აჩქარებით უწყო ძგერა. უმცროსმა ლოტჰენმა ჯერ კიდევ არ იცოდა, დედის ჩანაფიქრი თუ ასე შორს მიდიოდა და გამზადებულ კაბას, რომელიც ლოტეს კაბის წაბადვა იყო, ბაფთა მოცილებული ჰქონდა; მისი ადგილი ცარიელი იყო, რადგან ბაფთას ფლობდა ის, მოკვეთილი, ვისაც თავისი დანიშნულის თანხმობით, სანუგეშებლად გაუგზავნა, ვინც კეთილი გულით მიძღვნილი სამახსოვრო ათასი გაშმაგებული კოცნით დაფარა... თავისი ძმის, კარლის მომვლელი ზიზღით აიბზუებდა ტუჩებს, როდესაც დედის ამ გამონაგონის წვრილმანს გაიგებდა! ყოველივე მისი ძამის ხსოვნის პატივსაცემად იყო მოგონილი, იმ კეთილი და ერთგული ადამიანისა, რომელმაც მაშინ არათუ მოიწონა საჩუქრის გაგზავნა, თვითონვე წააქეზა, და მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც გადახდა უღირსი უფლისწულის გამო,

თავის ლოტკენტან ერთად ტიროდა, როდესაც განშორდა ის, ვინც კინალამ ყველაზე ძვირფასი და საყვარელი არსება მოსტაცა.

«ის წავიდა», – უთხრეს მათ ერთმანეთს, როდესაც ღამით და დილით ნაკაწრი ბარათი წაიკითხეს: «გტოვებთ ბედნიერთ, თქვენი გულიდან არ ამოვიშლები... მშვიდობით, ათასგზით მშვიდობით!»[22] «ის წავიდა», – რიგრიგობით ამბობდნენ ისინი. ყველა ბავშვი სახლში დაბორილებდა, თითქოს ეძებდა და დაღონებული იმეორებდა: «ის წავიდა!» ლოტეს ცრემლი მოადგა თვალზე ბარათის კითხვის დროს. შეეძლო წყნარად ეტირა, დასამალი თავისი სანუკვარი საქმროს წინაშე არა ჰქონდა რა, რადგან მასაც აუცრემლიანდა თვალები და მთელ დღეს მხოლოდ მეგობარზე სურდა ლაპარაკი: რა ჩინებული ადამიანია, ზოგჯერ უცნაური თავისი არსებით, ზოგიერთ რამეში არასასიამოვნოც კი, მაგრამ ისეთი აღსავსე გენიით, ისეთი მიმზიდველი და თავისებური, რომ თანაგრძნობას აღძრავს, მისდამი ზრუნვითა და გულითადი მოწიწებით გაგმსჭვალავს.

ასეთი იყო მისი ძვირფასი, კეთილი საქმრო. როგორ სურდა ლოტეს მადლიერების გრძნობით მიყრდნობოდა, მიჰკვროდა ისე ძლიერ, ვიდრე ოდესმე, რადგანაც ასე ლაპარაკობდა; რა ბუნებრივად მიაჩნდა მას საცოლის ტირილი, როცა ის, მესამე, განშორდა მათ! და აი, ახლაც, საწოლში, თვალებზე ცხვირსახოცდაფარებული ნამგზავრი ქალის მოუსვენარ გულში კვლავ განახლდა ამ მადლიერების გრძნობის მთელი სითბო; მისი სხეული მოძრაობდა, თითქოს კვლავ უნდოდა მიჰკვროდა და მიყრდნობოდა საიმედო მკერდს; მისი ბაგენი იმეორებდნენ იმ სიტყვებს, რომლებიც მაშინ თქვა: «ვარგია, რომ ის[23] წავიდა, გარედან მოსული მესამე», – ბუტბუტებდა ქალი, – რადგან იგი ვერ მისცემდა იმას, რაც ვაჟს მისგან სურდა. მისი ალბერტი სიამოვნებით ისმენდა ამ სიტყვებს, რადგან ისიც მასავით ძლიერად გრძნობდა განშორებული ადამიანის უპირატესობას და მაღალბუნებოვან ბრწყინვალეობას, იმდენად ძლიერად გრძნობდა საქმრო ამას, რომ ეჭვიც კი შეეპარა თავიანთ გონივრულ, ნათელმიზნიან ბედნიერებაში და ერთ დღეს პაწია ბარათით მიცემული სიტყვის უკან დაბრუნებაც კი დააპირა, რათა ქალს თავისუფალი არჩევანი მოეხდინა მასა და ბრწყინვალე ადამიანს შორის. და მანაც ამოირჩია – მაგრამ ამოირჩია კი? – სახელდობრ, ამოირჩია ისევ და ისევ ის,

უბრალო, თავმდაბალი, თავისი ტოლი და სწორი, თავისი დანიშნული საბედო, თავისი ჰანს-კრისტიანი, – არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიყვარული და ერთგულება უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ცდუნება, იმიტომაც, რომ გულის სიღრმეში დაუძლეველ შიშს გრძნობდა მეორის იდუმალებით სავსე არსების გამო, იმის გამო, რომ მის ბუნებაში იყო რაღაც არანამდვილი, არაჩვეულებრივი, ცხოვრებაში არასაიმედო, ისეთი რამ, რასაც მან ვერ მოუძებნა და ვერც გაბედავდა მოეძებნა სახელი და რაც მხოლოდ შემდეგლა ნახა იმავე პიროვნების მოსაზრებულ აღსარებაში: «არაადამიანი – უმიზნო და მოუსვენარი»... მაგრამ საოცარია, როგორ შეეძლო ამ არაადამიანს იმდენად საყვარელი და გულლია, ალალი და პატიოსანი ყმაწვილი ყოფილიყო, რომ ბავშვები დაეძებდნენ და დაღონებული გაიძახოდნენ: «ის წავიდა!»

ზაფხულის იმ დღეთა უამრავმა სურათმა გაიარა მისი გონების თვალწინ, ცხვირსახოცს ქვეშ, მის წარმოსახვაში ცოცხლად ამოტივტივდებოდნენ, აენტებოდნენ მზის ნათელი სხივებით გაშუქებულნი, გაცოცხლებულნი, ალაპარაკდებოდნენ და კვლავ გაქრებოდნენ: – აი სურათი, როდესაც სამნი ერთად იყვნენ. კესტნერი სამსახურიდან თავისუფალი იყო და მათთან ერთად შეეძლო ყოფნა. მთის ქედზე გაისეირნეს; იქიდან გასცქეროდნენ ბორცვებიან ველს, მინდვრებსა და მდელოებს, სადაც მდინარე მიიკლავნებოდა, უცქერდნენ კრიალა სოფლებს, სასახლეს, საგუშაგო კოშკს, მონასტრისა და ციხის ნანგრევებს. ის ალტაცებას ვეღარ ფარავდა, ერთგულ

მეგობრებთან ერთად ტკბებოდა სამყაროს უხვი მშვენიერებით, ამაღლებულ საგნებზე ლაპარაკობდა და თან ათასნაირ სასაცილო ოინებს სჩადიოდა, იმდენს ხუმრობდა, დანიშნულებს სიცილისგან სიარულიც კი აღარ შეეძლოთ. აი, წიგნის კითხვის დღეები ოთახში თუ მდელოზე, როდესაც ის თავის საყვარელ ჰომეროსს[24] ან «ფინგალის სიმღერას»[25] უკითხავდა მათ, და უცბად წიგნი გატყორცნა მან, თვალები ცრემლებით ავესო, თითქოს შთაგონების რისხვამ შეიპყრო, მაგიდას ხელი დაჰკრა, მაგრამ შემდეგ, როგორც კი მათ შეცბუნება შეამჩნია, გულლიად და მხიარულად გადაიხარხარა...

აგერ ორნი ერთად, ჭაბუკი და ყმაწვილი ქალი, როდესაც ის მეურნეობაში, ბოსტანში ეხმარებოდა, ქალთან ერთად ცერცვს იღებდა ან გერმანიის ორდენის ბაღში ხილს კრეფდა, – ძალიან კარგი ყმაწვილი და საყვარელი ამხანაგი იყო, ერთი შეხედვით

ან თავდაჭერილი სიტყვით შეგეძლო გონს მოგეყვანა, თუ სევდიანი გულისნადების გამჟღავნებას დააპირებდა. ქალი ხედავდა და ისმენდა ყოველივე ამას: თავის თავს, იმ ყმაწვილკაცს, სახის ყოველ მოძრაობას, გამომეტყველებას, შემახილებს, შეგონებებს, ხუმრობას, «ლოტეს!» «ძვირფასო ლოტკენ!» და «მანაც თავი დაანებოს მიკიბ-მიკიბულს! ისე სჯობია, ხეზე ავიდეს და კალათში ვაშლი ჩამომიყაროს!» მაგრამ საყურადღებო ის იყო, რომ ყველა ამ სურათისა და მოგონებათა

არაჩვეულებრივი სიცხადე, გარკვეულობა, ძალა ბრყინვალებისა, წვრილმანთა მთელი სიუხვე, ასე ვთქვათ, უშუალო როდი გახლდათ; თავდაპირველად მებსიერებას არ ძალუძდა ყველაფერი ასე კარგად დაეჭირა, მხოლოდ შემდეგ, მოგონებათა სიღრმიდან ნაწილ-ნაწილ, სიტყვასიტყვით აღდგა. ისინი გამოიძებნა, ხელახლა აეგო ზუსტად მთელი თავიანთი წვრილმანებითა და გარემოებებით, გაკრიალებული და გაჩირაღდნებული, ვითარცა ლამპართა შორის დადგმული, იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მათ შემდეგ, ყოველგვარი ვარაუდის საწინააღმდეგოდ შეიძინეს.

მოგონებათა სურათებმა, ახალგაზრდობის სამყაროში მოგზაურობის ამ გასაგებმა და თანმხლებმა მოვლენებმა გული აუბგერეს, ერთმანეთში აირ-დაირივნენ, უცნაურ ზმანებებად გადაიქცნენ და მთვლემარებაში ჩაინთქნენ. დილაადრიან ამდგარსა და გზაში ჯაყჯაყისგან დაღლილ სამოცი წლის ქალს ორი საათით რული მოერია.

ძილის დროს ლოტეს სრულიად დაავიწყდა თავისი მდგომარეობა, უცხო სასტუმროს ოთახი, სადაც ის იწვა, ეს მოსაწყენი საფოსტო სადგური ახალგაზრდობის სამყაროში მოგზაურობის გზაზე; წმინდა იაკობის სასახლის ეკლესიის საათმა ათზე და თერთმეტის ნახევარზე დარეკა, მაგრამ მას მაინც ეძინა. თვითონ გაეღვიძა, სანამ ვინმე გააღვიძებდა, მაგრამ გაეღვიძა მოახლოებული გარეგანი ხელშეშლის იდუმალი გავლენით, და შინაგანმა მზადყოფნის გრძნობამ გააფრთხილა დაესწრო, რაც შესაძლოა ნაკლებად დამაბული და საგრძნობი ყოფილიყო, მას ნახევრად სასიხარულო, ნახევრად შემაწუხებელი წინათგრძნობა რომ არ დაჰკავშირებოდა; ფხიზლად ყოფნის ეს შინაგანი მოთხოვნა დის მოლოდინით კი არა, სხვა უფრო ამაფორიაქებელ მოთხოვნათა მხრიდან მოდიოდა.

წამოჯდა, საათს შეხედა, ცოტა შეშინდა, რომ კარგა დრო გასულიყო, და სხვა არაფერი უფიქრია, გარდა იმისა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო თავის ნათესავებთან. ის-ის იყო, შეუდგა ტანსაცმლის გასწორებას, რომ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

– რა მოხდა? – იკითხა მან კართან. მის ხმაში ერთგვარი გაღიზიანება და ჩივილი გაისმოდა, – შემოსვლა არ შეიძლება!

– ეს მე გახლავართ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – უპასუხეს გარედან, – მაგერი გახლავართ. გთხოვთ მომიტევოთ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, რომ გაწუხებთ, ოღონდ აქ გახლავთ ერთი ქალი, მის კაზლი, ინგლისელი, ჩვენი სახლის სტუმარია, ცხრამეტ ნომერში ცხოვრობს...

– მერე, რაო?

– მე ვერ გავხედავდი დამერღვია თქვენი მცუდროება, – უთხრა მაგერმა კარს იქიდან, – მაგრამ მის კაზლს შეუტყვია, რომ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ამ ქალაქშია და ჩვენთან ცხოვრობს. ახლა დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ, თუნდაც სულ მცირე დრო დაუთმოთ.

– ქალბატონს უთხარით, – მიუგო შარლოტემ კარს აქედან ჭუჭყრუტანაში, – რომ ჩაცმული არა ვარ და, როგორც კი ჩავიცვამ, უნდა წავიდე. ძალიან ვწუხვარ, – მაგრამ ამ სიტყვების საწინააღმდეგოდ ხალათი წამოისხა და მტკიცედ გადაწყვიტა, მოულოდნელი თავდასხმა მოეგერიებინა, ხოლო თუ ვერ გაიტანდა, სრულიად მოუმზადებელი მაინც არ დახვედროდა.

– არც კი მჭირდება თქვენი სიტყვები მის კაზლს მოვახსენო, – უპასუხა მაგერმა დერეფნიდან. – მას თავადაც ესმის, რადგან აქვე, ჩემ გვერდით დგას. საქმე ის არის, რომ მის კაზლს აუცილებლად უნდოდა თუნდაც ერთი წუთით ენახა ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე.

– მაგრამ მე არ ვიცნობ მაგ ქალბატონს! – წამოიძახა ცოტა გულისწყრომით შარლოტემ.

– სწორედ ამიტომ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – მიუგო კელნერმა. – მის კაზლი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს

თუნდაც სახელდახელოდ, წამიერად თქვენს გაცნობას, თუ შეიძლება, She wants to have just a look at you, if you please,[26] – წარმოთქვა მან ხელოვნურად გადასხვაფერებული ბგერებით და პირის ისეთი მოძრაობით, თითქოს მეტყველებაში მთხოვნელის პიროვნებად გარდასახვა ეწადა, რაც გარეთ მყოფი ქალისთვის ერთგვარ ნიშნის მიცემასავით გამოდგა, რათა თავის საქმეს თვითონვე გასძლოლოდა და შუაკაცისთვის ხელიდან გამოეგლიჯა; გარედან მაშინვე მოისმა ბავშვური მაღალი ხმით სტვირივით გაბმული ტარტარი, გაჩერებას რომ არც კი აპირებდა, პირიქით, დაუშრეტელი ნაკადივით მორაკრაკებდა, შიგადაშიგ ხმამაღლა გაისმოდა: most interesting[27] და highest importance.[28] ასე რომ, ოთახში მყოფი და შევიწროებული შარლოტე თანდათან დარწმუნდა, უმჯობესი იყო როგორმე შეეჩერებინა ეს, მომხდურის აბეზარ სურვილს დაჰყოლოდა და სჩვენებოდა. სულაც არ ჰქონდა განზრახვა, აბეზარასთვის თავის დროის წართმევა ენობრივი თავაზიანობით (ინგლისურად საუბარზე გადასვლით) გაეადვილებინა. მაგრამ იგი საკმაოდ ბრძანდებოდა გერმანელი, რომ თავისი კაპიტულაცია ნახევრად ხუმრობით გამოეცხადებინა: Well, come in, please[29] და მაშინვე გაეცინა მაგერის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე thank you so very much[30], როცა თავისებური მანერით კარი გააღო, ზღურბლზე ოთახისკენ უმორჩილესად გადმოიხარა, რომ მის კაზლი გამოეტარებინა.

– Oh dear, Oh dear![31] – თქვა პატარა ქალმა, რომელიც ორიგინალური და სასიამოვნო ჩანდა. – You’ve kept me waiting, [32] თქვენ მე მაცდევინეთ, but that is as it should be,[33] ზოგჯერ ბევრად მეტი მოთმინება დამჭირვებია, მიზნისთვის რომ მიმეღწია. I am Rose Cuzzle. So glad to see you.[34] როგორც მან განაცხადა, ამ წუთს გაუგია მოახლე გოგოსგან, რომ მისის კესტნერი დღეს დილას ამ ქალაქს ჩამობრძანებულა და ამავე სასტუმროში მისი ნომრიდან ორიოდე ოთახის შემდეგ იმყოფება. ბევრი აღარც უფიქრია, პირდაპირ სანახავად გამოსწია. მან კარგად იცის (I realise), თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს in german literature and philosophy[35] მისის კესტნერი. თქვენ სახელგანთქმული ქალი ბრძანდებით, a celebrity and that is my hobby, you know, the reason I travel.[36] ხომ არ ინებებდა dear[37] მისის კესტნერი, ნება დაერთო ახლავე სასწრაფოდ ჩაეხატა მისი მიმზიდველი სახე თავისი ესკიზების

ალბომში?

ფართო ფორმატის ტილოსყდიანი ალბომი ილლიაში ამოედო. ქალს თავზე უხვად ეყარა წითელი, მთლად წითელი თმის კულულები, ასევე მეტისმეტად წითელი სახე და ჭორფლიანი პაჭუა ცხვირი, მსხვილი, მაგრამ სასიამოვნოდ აბურცული ტუჩები ჰქონდა, რომელთა შორის თეთრი და ჯანმრთელი კბილები უკრთოდა; ლურჯ-მწვანე, სასიამოვნო, ოდნავ ელამი თვალები უციმციმებდა. ანტიკურ ყაიდაზე მაღალსარტყელიანი

კაბის ღრმად ამოჭრილი გულისპირიდან ფართოდ გაშიშვლებული, მისი ცხვირით ჭორფლიანი მკერდი თითქოს ეგ არის, ბურთივით მხიარულად ამოგორებას აპირებსო, მსუბუქი, სახიანი, გრძელნაოჭებიანი ქსოვილი ფეხებიდან აეკრიფა და მკლავზე გადაეფინა. მხრებზე გამჭვირვალე მოსახვევით მოებურა. შარლოტემ იფიქრა, ოცდახუთი წლის თუ იქნებაო.

– ჩემო საყვარელო შვილო, – უთხრა მან ოდნავ შეცბუნებულმა თავისი ბიურგერულობის გამო ამ არსების მხნე ექსცენტრულობის წინაშე, მაგრამ მაინც მზად იყო მაღალი წრის ქალის სიდარბაისლე, მოთმინება და შემწყნარებლობა გამოეჩინა, – ჩემო საყვარელო შვილო, მე მესმის ის ინტერესი, თქვენ რომ გამოძრავებთ ჩემი მოკრძალებული პიროვნების მიმართ. ნება მომეცით, ისიც დავუმატო, რომ თქვენი შეუპოვრობა ძალიან მომწონს. მაგრამ თქვენ ხედავთ, თუ რაოდენ მოუმზადებელი გახლავართ მნახველთა მისაღებად, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ არა მცალია პორტრეტის დასახატად დავჯდე. წასვლას ვაპირებ, ჩემი ძვირფასი ნათესავები მოუთმენლად მომელიან. ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, თუმცა სულ მოკლე ხნით, როგორც თქვენ თვითონ ბრძანეთ. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ მცირე შეხვედრას უნდა დავჯერდე. ჩვენ ერთმანეთი ვინახულეთ, – მეტი უკვე პირობის დარღვევა იქნებოდა. ამრიგად, ნება მომეცით, კეთილმოზრძანებასთან ერთად დაუყოვნებლივ კარგად ყოფნაც გისურვოთ.

არ ვიცით, გაიგო თუ არა მის როუზმა მისი სიტყვების აზრი; ისე კი, სულ არ ეტყობოდა, რომ რაიმე ანგარიშს უწევდა ნათქვამს. ის თავისას არ იშლიდა, შარლოტეს dear-ს ეძახდა, სასაცილო ფუნთუშა ტუჩებს არ აჩერებდა, ტარტარებდა და ცდილობდა ლალი, ძალდაუტანებელი იუმორისტულ-ზრდილობიანი

კილოთი განემარტა თავისი წვევის აზრი და აუცილებლობა, მინდობოდა მას, დაუდგრომელ არსებას, ერთგვარი მეკვლისა და შემგროვებლის ვნებიანი გატაცების მსახურს.

ნამდვილად ირლანდიელი გახლდათ. მოგზაურობდა და თან ხატავდა. ამასთან, მიზანსა და საშუალებაში ადვილად ვერ ერკვეოდა. ჩანს, იმდენად ნიჭიერიც ვერ ბრძანდებოდა, რომ საგნის სენსაციურ მნიშვნელობას შელეოდა, არადა, პრაქტიკული სიმკვირცხლე და სიკისკასე იმდენად დიდი ჰქონდა, რომ თავისი ხელოვნების სრულქმნისთვის წყნარ და მოთმინებით ვარჯიშს ვერ დასჯერდებოდა. ამიტომ მას მუდამ ნახავდით, როგორ დასდევდა თავისი თანამედროვე ისტორიის ვარსკვლავებს, ანდა როგორ დაეძებდა ისტორიულად სახელგანთქმულ ადგილებს, რათა როგორმე მოეხელთებინა ისინი და ხშირად არახელსაყრელ ვითარებაში თავისი ესკიზების ალბომებში შეეტანა და, თუ შესაძლებელი იყო, ნახატი სათანადო დამადასტურებელი ხელმოწერითაც დაემოწმებინა. შარლოტე უსმენდა და გაკვირვებული შესცქეროდა, – სადღა არ ყოფილა ეს გოგონა! ნახშირით ჩაუხატავს არკოლის ხიდი,[38] ათენის აკროპოლისი[39] და სახლი კენიგსბერგში, სადაც დაიბადა კანტი. ტალღებზე მოქანავე ნავში მჯდომარემ პლიმუთის რეიდზე დახატა იმპერატორი ნაპოლეონი «ბელეროფონზე», როდესაც იგი სადილის შემდეგ გემბანზე გამოვიდა და, მოაჯირთან მომდგარმა, ბურნუთი ინება. ნავის დაქირავება ორმოცდაათი გირვანქა დაუჯდა. თვითონვე აღიარა, რომ სურათი ვერ იყო კარგი: მას მუშაობის დროს ხელს უშლიდა ნავების გიჟური შეხლა-შემოხლა, ტალღების რწევა, აგრეთვე იმპერატორის ხანმოკლე ყოფნა გემბანზე; ირგვლივ ნავები სავსე იყო მამაკაცებით, ქალებითა და ბავშვებით, «ჰურას» რომ ღრიალებდნენ, და თვით გმირიც, რომელსაც სამკუთხა ქუდი ეხურა, გამობერილ მუცელზე ჟილეტი ეცვა და ზედა სამოსის კალთები გაფშეკოდა, დაბრეცილი გამოიყურებოდა, როგორც მრუდე სარკეში, თითქოს ზემოდან ქვემოთ დაუჭყლეტიათ და სიგანეში სასაცილოდ გაუბერავთო. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა ამ ბედილბლიან ხომალდზე ნაცნობი ოფიცრის წყალობით მიეღო იმპერატორის ხელმოწერა, უფრო სწორად, ნაუცბადევი ნაჯღაბნი, რაც მის ხელწერად უნდა მიჩნეულიყო...

არც ველინგტონის ჰერცოგს[40] დაუკლია მისთვის პატივი, თავისი ხელრთვა ებოძებინა. ვენის კონგრესმა[41] ბრწყინვალე

ნადავლი არგუნა. ის დიდი სისწრაფე, როგორითაც მის როუზი მუშაობდა, თვით ყველაზე უფრო დასაქმებულ და მოუცლელ ადამიანსაც კი საშუალებას აძლევდა, საქმეთა შორის მისი სურვილი აღესრულებინა. ასე მოიქცა თავადი მეტერნიხი[42], ჰერ ტალეირანი[43], ლორდ კასლრი,[44] ჰერ ჰარდენბერგი[45] და მრავალი სხვა ევროპელი დიდკაცი თუ შუაკაცი. რუსმა ხელმწიფე ალექსანდრემ ალბათ იმიტომ ინება თავისი ხელმოწერით ეღიარებინა თავისი ქილვაშიანი, მეტად სასაცილოდ აპრეზირებული ცხვირით შემკული პორტრეტი, რომ მხატვარმა ქალმა შეძლო მისი თავის გამელოტებული ნაწილის ირგვლივ, საფეთქლებთან აშლილი თმისთვის დაფნის გვირგვინის შესახედაობა მიეცა. ფრაუ რაჰელ ფონ ვარნჰაგენის,[46] პროფესორ შელინგისა[47] და თავად ბლიუხერ ფონ ვაალშტადტის[48] პორტრეტები იმას მოწმობდნენ, რომ მის კაზლს არც ბერლინში დაუკარგავს დრო ტყუილად.

დროს კი იგი ყველგან კარგად გრძნობდა და მარჯვედაც იყენებდა. მისი ალბომის ტილოს ყდის ქვეშ კიდევ მრავალი სხვა ნადავლი იფარებოდა, რასაც იგი შეცბუნებულ შარლოტეს უჩვენებდა და თან გაცხოველებით უხსნიდა. ახლა იგი ვაიმარში ჩამოსულა, ამ ქალაქის სახელს მოუზიდავს of this nice little place,[49] მსოფლიოში სახელგანთქმული გერმანული სულიერი კულტურის ცენტრს, რომელიც მისთვის სახელმძოხვეჭილ ადამიანებზე ნადირობის ასპარეზად ქცეულა. იგი ნანობდა, რომ საკმაოდ გვიან მოხვდა აქ. Old[50] ვილანდი,

[51] ჰერდერი,[52] რომელსაც იგი great preacher-ს[53] უწოდებდა, ასევე the man, who wrote the «Rduber»,[54] სიკვდილმა გამოჰგლიჯა ხელიდან. მისი ჩანიშვნების მიხედვით ჯერ კიდევ ცოცხლობენ და ადგილზე არიან მწერლები, ჰერ ფალკი[55] და ჰერ შიუტცი, რომლებზე ნადირობაც ღირდა. შილერის ქვრივი[56] ნამდვილად უკვე ალბომში ჰყავდა, ასევე მადამ შოპენჰაუერი[57] და სასახლის კარის თეატრის ორი თუ სამი სახელოვანი მსახიობი ქალი, მადამ ენგელსი და მადამ ლორცინგი.[58] მადამ ჰაიგენდორფამდე, უფრო სწორად, იაგემანამდე[59] ჯერ კიდევ ვერ მიაღწია, მაგრამ იმდენად გულმოდგინედ მიიწევდა იგი ამ მიზნისკენ, რომ მშვენიერი ფავორიტი ქალის წყალობით სასახლის კარის დაპყრობასაც კი იმედოვნებდა, და ამის იმედი მით უფრო მეტად შეეძლო ჰქონოდა, რამდენადაც დამაკავშირებელი ძაფები დიდ

ქალბატონთან,[60] მემკვიდრე უფლისწულის მეუღლესთან უკვე გაება. რაც შეეხება გოეთეს, რომლის სახელსაც, ისე როგორც უმრავლეს სხვა სახელს, მის კაზლი იმდენად საშინლად წარმოთქვამდა, რომ შარლოტე დიდხანს ვერც კი მიხვდა, ვის გულისხმობდა, მის კვალსაც მიაგნო, თუმცა იგი ჯერ კიდევ ვერსად დაღანდა. იმ ამბავმა, რომ გოეთეს ახალგაზრდობის განთქმული რომანის გმირი ქალის საქვეყნოდ ცნობილი მოდელი დღეს დილიდან ამ ქალაქში, იმავე სასტუმროში, თითქმის მეზობელ ოთახში იმყოფება. იგი აღეგზნო არა მარტო თვით ობიექტის, მისი პიროვნების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ ნაცნობობით, და ეს მან გულახდილად აღიარა, ორი, ორი კი არა, თვით სამი კურდღლის დაჭერას ლამობდა: ვერტერის ლოტე უთუოდ გზას გაუკაფავდა «ფაუსტის» ავტორისკენ; ხოლო ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა დასჭირდებოდა, რომ მას ფრაუ შარლოტე ფონ შტაინის[61] კარი გაუღონ; იფიგენიას სახისადმი ამ ქალის დამოკიდებულებაზე მის კაზლს დასამახსოვრებლად რაღაც ჩაუნიშნავს უბის წიგნაკის განყოფილებაში *German literature and philosophy*, რაც არ დააყოვნა და დიდი მიაშიტობითა და თავმოწონებით უჩვენა მის დღევანდელ სახელმოზიარე დას, სეხნია ქალს პირველსახეთა სამეფოში.

ისე მოხდა, რომ შარლოტე თეთრი, საშინაო წამოსასხამით დაუხვდა და ასევე დარჩა როუზ კაზლთან არა რამდენიმე წუთს, როგორც ნავარაუდები იყო, არამედ მთელ სამ მეოთხედ საათს. ამ პატარა პიროვნების მიაშიტი მიმზიდველობითა და მჩქეფარე ენერგიით გატაცებულმა, მისი ნანადირევის ან უკვე მიკვლეული ნადავლის მთელი სიდიადით შეპყრობილმა და გაოგნებულმა ლოტემ აღარ იცოდა, როგორ მიეღო ყოველივე ეს, სულელურ გატაცებად ჩაეთვალა ეს მხატვრული სპორტი, თუ უმჯობესი იყო, კეთილი სურვილით, თვალი დაეხუჭა და არ შეემჩნია; რაც უნდა იყოს, მაინც თავმოსაწონი და საამოა იმის განცდა, რომ ისიც ჩაურიცხავთ დიდებულთა იმ სამყაროში, რომლის სიოც მის კაზლის «მონადირის წიგნიდან» მოქროდა, ენახა მის ფურცლებზე თავისი თავი სახელოვან ადამიანთა დასში ჩარიცხული. მოკლედ, თავისივე თავაზიანობის მსხვერპლი შარლოტე იჯდა სასტუმრო ოთახის ერთ-ერთ კრეტონგადაკრულ სავარძელში და გაღიმებული უსმენდა მეორე სავარძელში მჯდომი მოგზაური მხატვარი ქალის ტარტარს.

ხატავდა იგი ხმაურით, ვირტუოზული შტრიხებით, რაც ყოველთვის იმდენად მარჯვე როდი გახლდათ, რამდენადაც ძალდაუტანებელი, რადგან ხშირად შლიდა დიდი საშლელით, თუმცა ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე. შარლოტეს სიამოვნებდა მისი ოდნავ ელამი თვალების შეხედვა. ეს თვალები იმას სულაც არ გამოხატავდნენ, რასაც მათი პატრონი ლაპარაკობდა. ჯანმრთელი და თვალის გამახარებელი იყო მისი ამობურთული მკერდისა და ბავშვური ფუნთუშა ტუჩების ცქერა; მისი ბაგენი მოუთხრობდნენ შორეულ ქვეყნებზე, სახელგანთქმულ ადამიანებთან შეხვედრებზე; ბაგეთა შორის გამოკრთოდნენ თეთრად მოქათქათე ლამაზი კბილები. ვითარება ერთსა და იმავე დროს უწყინარი და საინტერესო იყო. ამიტომ შარლოტემ ერთხანს ასე ადვილად დაივიწყა, რომ ძალიან უგვიანდებოდა. ლოტკენ-უმცროსი კიდევაც რომ დასწრებოდა საუბარს და გაბრაზებულიყო ამ მონახულების გამო, თავისი უკმაყოფილების ნამდვილ მიზეზად დედის სულიერ სიმშვიდეზე ზრუნვას ვერ დაასახელებდა. სულ არ იყო საჭირო შიში და სიფრთხილე ამ პაწია ანგლოსაქსი ქალის მხრივ რაიმე უბოდიშობისა და კადნიერების გამო, – ასე შორს არ იჭრებოდა იგი. ყოველივე ეს უფრო დამამშვიდებელი იყო და მასთან ყოფნა – ერთგვარად მაცდუნებელიც. მხოლოდ ის ლაპარაკობდა, შარლოტე კი მხიარულად უსმენდა. იმდენად გაერთო, რომ გულიანად იცინა, როდესაც როუზმა მუშაობის დროს ერთი ამბავი ჩაუჭიკჭიკა: თუ როგორ მოახერხა მან თავისი გალერეისთვის მიემატებინა აბრუცის მთებში მოთარეშე ავაზაკთა ბელადის, სახელად ბოკაროსას სურათი;

თავისი გამბედაობითა და საშინელი სიმკაცრით სახელგავარდნილი ყაჩაღთა მეთაური, შიშის ზარს რომ სცემდა ყველას, მისი ყურადღებით იმდენად მოიხიბლა, რომ ბალღივით გაიხარა თავისი გამოსახულების მამაცური გამოხედვის გამო, თავის ხალხს უბრძანა, გამოსალმების დროს თავიანთი ძაბრისებრი ლულიანი თოფებიდან მის როუზის პატივსაცემად სალუტი მიეცათ, და საიმედო რაზმიც გააყოლა, რომ მის ბოროტმოქმედებათა სათარეშო უბნიდან უვნებლად გაეყვანათ. შარლოტე ძალიან გაართო ამ ესკიზების ალბომის ამხანაგის ველურმა და, როგორც მას ეგონა, საკმაოდ ცრუმედიდურმა რაინდობამ. იმდენად გაიტაცა ამ ამბავმა, რომ იგი გულიანად იცინოდა და დაბნეულმა გაკვირვების გამო ვერც კი შეამჩნია, როგორ გაჩნდა უცბად ოთახში მაგერი; კელნერს თვალები მიაპყრო. მისი განმეორებითი კაკუნნი

ლაპარაკსა და მხიარულებაში ვერც კი გაიგონეს.

– Beg your pardon[62]– თქვა მან, – ვწუხვარ, რომ საუბარს გაწყვეტინებთ, მაგრამ ჰერ დოქტორი რიმერი[63] დიდ პატივად ჩათვლის, თუ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე მიიღებს მას, რათა თავისი უმორჩილესი ერთგულება დაგიდასტუროთ.

თავი მესამე

შარლოტე სწრაფად წამოიჭრა სავარძლიდან.

– ის არის, მაგერი? – იკითხა დაბნეულმა. – რა მოხდა? ჰერ დოქტორი რიმერი? ვინ არის ჰერ დოქტორი რიმერი? რაო, ახალ ვიზიტს ხომ არ მთავაზობთ? რა აზრი არ მოგივათ თავში! ეს სრულიად შეუძლებელია! განა რა დროა? ძალიან დაგვიანებულია! ჩემო საყვარელო ბავშვო, – მიუბრუნდა მის როუზს, – ახლავე უნდა დავამთავროთ ჩვენი მეგობრული ერთად ყოფნა. რას ვგავარ, როგორ გამოვიყურები? ტანთ უნდა ჩავიცვა და წავიდე. მე ხომ დიდი ხანია მიცდიან! კარგად ბრძანდებოდეთ! თქვენ კი, მაგერ, მოახსენეთ იმ ბატონს, რომ ისეთ დღეში ვარ, მისი მიღება არ შემიძლია, რომ მე უკვე წავედი...

– ძალიან კარგი, – მიუგო მოსამსახურემ, სანამ მის კაზლი წყნარად განაგრძობდა დატუშვას, – ძალიან კარგი, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლევ. მაგრამ არ შემიძლია თქვენი ბრძანება შევასრულო მანამდე, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლისთვის ცნობილია აქ მობრძანებული ბატონის იგივეობა...

– რა იგივეობაზე ლაპარაკობთ! – წამოიძახა გაბრაზებულმა შარლოტემ. – აღარ დამტოვებს ჩემთვის წყნარად, აღარ მომასვენებს ეს კაცი ამ თავისი იგივეობებით? სრულიად არა მაქვს დრო ამ თქვენი იგივეობებისთვის. მოახსენეთ მაგ თქვენს ბატონ დოქტორს...

– უთუოდ! – მორჩილად მიუგო მაგერმა, – მაგრამ მე მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს მოვახსენო, რომ ლაპარაკია ჰერ დოქტორ რიმერზე, ფრიდრიხ ვილჰელმ რიმერზე, მისი უდიდებულესობის ბატონ საიდუმლო მრჩევლის მდივანზე, ნდობით აღჭურვილ პირსა და

მეგზურზე. მე მგონია, არც ის არის გამორიცხული, რომ შესაძლებელია, ბატონი დოქტორი წარმოგზავნილიც იყოს...

შეცბუნებულმა შარლოტემ სახეში შეხედა, ლოყები გაუწითლდა და თავმა შესამჩნევად უწყო ცახცახი.

– აჰ, ასეა?! – თქვა დაბნეულმა ქალმა, – მაგრამ სულერთია, არ შემიძლია ვნახო ეს ბატონი, არავის მიღება არ შემიძლია. მინდა მართლაც ვიცოდე, მაგერ, რას ფიქრობთ, როგორ შემიძლია მივიღო ბატონი დოქტორი! ჯერ იყო და, მის კაზლი შემომაპარა, ახლა კი სურს, რომ დოქტორი რიმერი ასე დაუდევრად, შინაურულად გამოწყობილმა მივიღო, ისიც მაშინ, როდესაც სასტუმრო ოთახში ასეთი უწესრიგობა სუფევს?

– არა, ეს სულაც არ არის საჭირო, – მიუგო მაგერმა. – პირველ სართულზე გვაქვს სასაუბრო ოთახი. იმ იმედით, რომ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე თანხმობას განაცხადებდა, მე ვთხოვე ბატონ დოქტორს, იქ დაეცადა, სანამ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ჩაცმას დაამთავრებდა, შემდეგ კი ნებართვა მინდოდა მეთხოვა, ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე რამდენიმე წუთით დაბლა ჩამეცილებინა.

– იმედია, – თქვა შარლოტემ, – თქვენ იგულისხმეთ არა ის წუთები, რომლებიც მე ამ მომხიბლავ ქალიშვილს მივუძღვენი. ჩემო საყვარელო გოგონა, – მიუბრუნდა იგი კაზლს, – თქვენ ბრძანდებოდეთ და ხატეთ... თქვენ ხედავთ ჩემს გაჭირვებას. ჭეშმარიტად მადლობას მოგახსენებთ ასეთი სასიამოვნო შეხვედრისთვის, ხოლო რაც თქვენს ჩანახატს კიდევ აკლია, უთუოდ წარმოსახვით მოგიხდებათ მისი აღდგენა მეხსიერებაში...

შარლოტეს გაფრთხილება არც იყო საჭირო, მის როუმმა გაიცინა, თეთრი ქათქათა კბილები გამოაჩინა და განაცხადა, რომ სურათი მზად იყო.

– I'm quite ready,[64] – თქვა მან და თან თავისი ნაწარმოები, რომელიც ხელში ეჭირა, განზე გასწია და მოჭუტული თვალებით სინჯავდა. – I think, I did it well.[65] გნებავთ ნახოთ?

მაგერს უფრო უნდოდა ენახა და, რაღა თქმა უნდა, პირველად ის მიიჭრა სურათთან გულდაგულ.

– უაღრესად ძვირფასი ფურცელია, – დაასკვნა მან და მცოდნე

კაცის სახე მიიღო, – ამასთან დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც სამუდამოდ დარჩება.

შარლოტე ეშურებოდა თავის ოთახში ტანსაცმელი წესრიგში მოეყვანა და ახალშექმნილი ნახატის თვალის შევლება ძლივს მოასწრო.

– დიახ, დიახ, მართლაც მშვენიერია! – თქვა მან. – ეს მე ვარ? ჰო, რა თქმა უნდა, რაღაც მსგავსება თუ ნათესაობა არის. ჩემი ხელმოწერა? აბა, მომეცით, – ოღონდ ჩქარა!

ფეხზე მდგომარემ ნახშირის ფანქრით გამოიყვანა თავისი ხელმოწერა, რომელიც ნაუცბადეობით ნაპოლეონის ხელმოწერას არ ჩამოუვარდებოდა. სწრაფი თავის დაქნევით მადლობა უძღვნა ირლანდიელი ქალის გამოსათხოვარ სალამს და მაგერს დაავალა, ჰერ დოქტორ რიმერისთვის ეთხოვა, რამდენიმე წუთს მისაღებ ოთახში მოეთმინა.

როდესაც წასასვლელად მოემზადა, საგარეო ტანსაცმელში გამოეწყო, ქუდი დაიხურა და წამოსასხამი მოიხურა, ხელჩანთა და ქოლგა მოიმარჯვა, ოთახიდან გავიდა. იქვე დერეფანში ნახა, კელნერი უკვე ელოდებოდა. იგი ქალს კიბეზე ჩაუძღვა და ქვემო სართულზე წინ გაუშვა, ისე როგორც მას სჩვეოდა, კარი გაუღო და სთხოვა, სასაუბრო ოთახში შებრძანებულიყო. შარლოტეს გამოჩენაზე სტუმარი წამოდგა სკამიდან, რომლის გვერდით მას თავისი მაღალი ქუდი დაედო.

დოქტორი რიმერი მეორმოცე წელიწადში გადამდგარიყო, საშუალო სიმაღლისა გახლდათ. ჯერ კიდევ ხშირი, ოდნავ შექალარავებული წაბლისფერი თმა საფეთქლებთან კულულებად დაევიარცხნა ჯაგრისით, ერთმანეთისგან შორიშორ ჩამჯდარი, ოდნავ დაჭყეტილი თვალები, სწორი ხორციანი ცხვირი და ფუნჩულა პირი ჰქონდა, რომლის ირგვლივ რაღაც ჯავრიანი, ბუტია ნაოჭი შემოვლებოდა. მას ეცვა ყავისფერი სერთუკი, რომლის სქელი და მაღალი საყელო კეფას ებჯინებოდა, წინ პიკეს ჟილეტი და ყელსახვევის გადაჯვარედინებული ბოლოები მოუჩანდა. საჩვენებელ თითზე ბეჭდით დამშვენებულ თეთრ ხელში ეპყრა სპილოს ძვლის ბუნიკიანი ხელჯოხი ტყავის ფუნჯით. თავი ცოტა მოღრეცით ეჭირა.

– თქვენი მონა-მორჩილი, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე,
– თქვა მან წკრიალა სასისმიერი ხმით და თავი

დახარა, – ჩემს თავს უნდა ვუსაყვედურო ესოდენ ძნელად საპატიებელი მოუთმენლობისა და მოურიდელობის გამო, რომ მაშინვე შემოვიჭერი და მყუდროება დაგირღვიეთ. ასეთი თავშეუკავებლობა უეჭველად არ შეჰფერის ახალგაზრდობის მომღვარსა და დამრიგებელს. მაგრამ ეს იმით თუ გამართლდება და აიხსნება, რომ ჩემში ხანდახან პოეტის ვნება გაიღვიძებს ხოლმე და ასეთ ოინებს მიწყობს. როგორც კი მთელ ქალაქში ხმა დაირხა თქვენი ჩამობრძანებისა და აქ ყოფნისა, დაუძლეველმა სურვილმა შემიპყრო, ჩემი პატივისცემა და ჩვენთან მშვიდობით მობრძანება მომეხსენებინა იმ ქალისთვის, ვისი სახელიც ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს სულის ისტორიასთან – მე ვიტყვოდი: ჩვენი გულების ფორმირებასთან.

– ბატონო დოქტორო, – მიუგო შარლოტემ და თან მის სალამ-ქალამს თავაზიანი ცერემონიებით უპასუხა, – თქვენი დამსახურების ადამიანის ყურადღება არ შეიძლება ჩვენთვის სასიამოვნო არ იყოს.

ის გარემოება, რომ ამ კაცის დამსახურებანი მისთვის საკმაოდ ბუნდოვანი იყო, მის ერთგვარ საზოგადოებრივ მოუსვენრობას იწვევდა. ქალს გაუხარდა, როდესაც მან მოიხსენია, რომ ეს კაცი აღმზრდელი იყო, თან ისიც გაიგო, რომ იგი პოეტიც ყოფილა. მაგრამ ამავე დროს ეს მინიშნებანი ქალის გაკვირვებას თუ თვით მოუთმენლობასაც კი იწვევდა, რადგან მას ეგონა, ამით უფრო ახლოს მივიდოდა ამ კაცის ნამდვილ და ერთადერთ აღსანიშნავ ღირსებასთან, რომ იმ მაღალ თანამდებობაზე[66] მსახურობდა. ქალმა წამსვე იგრძნო: კაცი მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ მისი პიროვნების ღირსება ადამიანებს მარტო ამ დამსახურით არ შემოეფარგლათ, – რაც მას ახირებულ უცნაურობად ეჩვენებოდა. სულ ცოტა, ის მაინც უნდა გაეგო ამ კაცს, რომ მისი მნიშვნელობა ქალისთვის მხოლოდ ერთი კითხვით ამოიწურებოდა, იყო თუ არა ეს კაცი რაიმე ამბის მომტანი «იქიდან».[67] ლოტემ გადაწყვიტა საუბარი უფრო საქმიანად წარემართა და ამ საკითხის გადაჭრით შემოეფარგლა. კმაყოფილი იყო, რომ მისი ტანსაცმელი ამ მიზნით ეჭვს არ იწვევდა. ქალმა განაგრძო:

– მადლობა უნდა მოგახსენოთ იმის გამო, რასაც თქვენ მოუთმენლობას უწოდებთ და რასაც მე პატივს ვცემ, ვითარცა ფრიად რაინდულ აღტყინებას. მართლაც, მიკვირს, როგორ

მოაღწია თქვენს ყურამდე ისეთმა კერძო მოვლენამ, როგორც ჩემი ვაიმარს ჩამოსვლაა და ჩემს თავს ვეკითხები, ვისგან შეგემლოთ გაგეგოთ ეს ამბავი. იქნებ ჩემი დისგან, კამერმრჩევლის მეუღლისგან, შესაძლებელია, – დაუმატა მან ერთგვარი გულსწრაფობით, – როგორც ხედავთ, ახლა ჩემს დასთან მივეშურები და, იმედია, მაპატიებს დაგვიანებას, როდესაც მოვახსენებ, რომ ასეთი ძვირფასი სტუმარი მეწვიეთ. გარდა ამისა, თავის გასამართლებლად და საპატიებლად ისიც შემძლია მოვიყვანო, რომ თქვენს მობრძანებას წინ უძლოდა სხვა, არცთუ ესოდენ მნიშვნელოვანი, რამდენადაც სასერიო წვეულება: ერთი მოგზაური მხატვარი ქალი გახლდათ, რომელმაც მოიწადინა, სახელდახელოდ დაეხატა მოხუცი ქალის პორტრეტი, რაც, რამდენადაც შევატყვე, საკმაოდ მიახლოებით გამოუვიდა... მაგრამ ხომ არ დავსხდეთ?

– ასე რომ, – უპასუხა რიმერმა, რომელსაც სკამის ზურგზე ედო ხელი, – ჩანს, ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს საქმე ჰქონდა ისეთ პიროვნებასთან, რომლის სურვილი და მისწრაფება არ შეეფარდება მის შესაძლებლობებს და რამდენიმე შტრიხით ძალიან ბევრი რამის შექმნა ნებავს.

– რასაც კი მივწვდი, დღეს მართლაც, ის მხოლოდ შავად მოვხაზე, – ღიმილით წარმოთქვა მან, – მაგრამ კარგად ვხედავ, რომ პირველი არ ვიყავი მოედანზე, და თუ ჩემი მოუთმენლობისთვის რამდენადმე მიტევებულად ვგრძნობ თავს იმ შენიშვნის გამო, რომ სხვამაც გაიზიარა იგი, მაშინ მით უფრო საჭიროა, რომ ეს წუთიერი წყალობა მომჭირნეობით გამოვიყენო. რა თქმა უნდა, სიკეთის მნიშვნელობა ჩვენთვის, ადამიანებისთვის მით უფრო იზრდება, რაც უფრო ძნელია მისი მოპოვება, და, უნდა გამოგიტყდეთ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, რომ ძალიან ძნელი იქნება, ხელი ავილო ბედნიერებაზე, ვიდრე აქ თქვენ წინაშე, მით უფრო, რომ სულაც არ არის ადვილი თქვენკენ გზის გაკაფვა.

– ადვილი არ არისო? – გაუკვირდა ქალს. – მე მგონია, იმ კაცს, ვისთვისაც აქ იმის ძალა და უფლება მიუციათ, ხლართოს და გამოხსნას ყველაფერი, სახელდობრ, ჩვენს ჰერ მაგერს, სულაც არა აქვს ცერბერის შესახედაობა.

– სწორედ რომ არა, – დაუდასტურა რიმერმა. – მაგრამ დაე, ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე თვითონ დარწმუნდეს!

ამ სიტყვებით ჰერ რიმერმა იგი მიიყვანა ფანჯარასთან, რომელიც, ისევე როგორც შარლოტეს საძინებელი ოთახი, ბაზრის მოედანს გადაჰყურებდა, და გახამებული ფარდა ასწია.

მოედანი, დილას მათი ჩამოსვლისას რომ უკაცრიელი იყო, ახლა ხალხის ჟრიამულს გაეცოცხლებინა, ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და «სპილოს» ფანჯრებს შეჰყურებდნენ. განსაკუთრებით სასტუმროს შესასვლელის წინ ნამდვილი ჭედვა და ხალხის მცირე შეხლა-შემოხლა იყო. ორი ზემდეგი თვალყურს ადევნებდა, რადგან სულ უფრო მეტი და მეტი ხალხი იყრიდა თავს. ისინი ცდილობდნენ შესასვლელი თავისუფალი ყოფილიყო. ადამიანთა ჯგუფები უმთავრესად ხელოსნებისგან, ორივე სქესის ახალგაზრდა ნოქრების, მოვაჭრეების, აგრეთვე დარბაისელ მოქალაქეთა ტიპებისგან შედგებოდა. ქალებს ბავშვები ხელში აეყვანათ. მორბოდნენ ჭაბუკები და ხალხის გუნდი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

– ღმერთო, ზეციერო! – თქვა შარლოტემ და გარეთ გახედვისას თავი უფრო ძლიერ აუცახცახდა. – ვის გამო არის ეს?! ვის უთვალთვალევენ?!

– სხვას ვის, თუ არა თქვენ! – უპასუხა დოქტორმა. – თქვენი ჩამოსვლის ხმა ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. შემოდგომა დაგარწმუნოთ, თუმცა ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე თვითონაც ხედავს ამას, რომ ქალაქი აფორიაქებული ჭიანჭველების ბუდესა ჰგავს. ყოველი ადამიანი იმედოვნებს, თქვენი პიროვნების ბრწყინვალეობა მასაც მოეფინოს. ეს ხალხი ჭიშკრის წინ იმას ელოდება, როდის გახვალთ სახლიდან.

შარლოტე უნებურად ჩაეშვა სავარძელში.

– ღმერთო ჩემო! – თქვა ქალმა, – ამას სხვა ვინ დამაწევდა თავს, თუ არა ის ავბედითი ენთუზიასტი მაგერი. მან პირდაპირ ზარების რეკვა ატეხა ჩვენი ჩამოსვლის გამო. ახლა ეს მჭირდებოდა კიდევ, იმ მოგზაურმა ჯღაბნია ვაიმხატვარმა რომ ხელი შემეშალა ჩემს გზას დავდგომოდი, სანამ გასასვლელი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო! და იმ ხალხსაც ქვევით, ბატონო დოქტორო, სხვა უკეთესი საქმე არა აქვთ რა, რომ ბებერი ქალის ბინას ალყა შემოარტყეს მაშინ, როცა ეს ქალი სულაც არ გახლავთ ისეთი ბუნებისა, რომ უცნაური ცხოველის როლი ითამაშოს და ყველაფერს ის ურჩევნია, წყნარად თავის პირად

საქმეებს მიხედოს.

– მათ ნუ გაუბრაზდებით! – თქვა რიმერმა, – ხალხის ეს მოზღვავება უფრო კეთილშობილ გრძნობებს მოწმობს და არა უბრალო ცნობისმოყვარეობას, სახელდობრ, ჩვენი მოსახლეობის კავშირს ერის უმაღლეს საქმეებთან, გონის პოპულარობას, რაც თავის მხრივ ამაღელვებელი და გულის გასახარელია, თუნდაც მას რაიმე ფინანსური ინტერესებიც ერთვოდეს. განა არ უნდა გვიხაროდეს, – განაგრძო მან და შეცბუნებულ შარლოტესთან ოთახის სიღრმეში დაბრუნდა, – როდესაც ბრბო, რომელიც თავისი იმთავითვე უბირი რწმენის გამო უგულვებელყოფდა გონს, ახლა მისთვის გასაგები ერთადერთი წესით ამ სულისა და გონების პატივისცემის გზას დასდგომია, სახელდობრ, სასარგებლოდ მიიჩნევს მას? ჩვენი პატარა ქალაქი, რომელსაც მრავალი მნახველი ეტანება, ზოგიერთ ხელშესახებ და საგრძნობ სარგებლობას ხედავს გერმანიის გენიის თაყვანისცემაში, რაც მსოფლიოსთვის მასში, ხოლო აქ ჩვენთვის ისევ და ისევ თითქმის ერთ პიროვნებაშია თავმოყრილი. რა გასაკვირია, რომ მისი წესიერი მოსახლეობა თანდათან დაადგა იმის პატივისცემას, რასაც სხვა დროს ლაზღანდარობად მიიჩნევდა, და აი, ახლა მხატვრულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და ყველაფერს, რაც კი მათთან არის დაკავშირებული, თავის ნამდვილ საქმედ მიიჩნევს? ამასთან გონის ქმნილებანი მისთვის, ისე როგორც ყოველი სხვა ბრბოსთვის, მაინც მიუწვდომელი რჩება და პირველ ყოვლისა, იმ განსაკუთრებულ პიროვნებებს სცემს თაყვანს, ვისი წყალობითა და ვისი გულისთვისაც ეს ნაწარმოებები შეიქმნა.

– მე მგონია, – მიუგო შარლოტემ, – თქვენ ამ ადამიანებს ერთი ხელით აძლევთ მხოლოდ იმისთვის, რომ მეორე ხელით ისევ წაართვათ. რადგან თქვენ, როგორც ჩანს, გსურთ ჩემთვის ესოდენ მომაბეზრებელი მათი ცნობისმოყვარეობა კეთილშობილური გონისეული თვალსაზრისით დაასაბუთოთ, შემდეგ კი ამ საუკეთესო მხარეს კვლავ რალაცნაირად ჩვეულებრივი ანგარებიანი მატერიალური საფუძველი მოუძებნოთ, რაც სულაც არ შეიძლება ჩემთვის ამ საქმეში სასიამოვნო და სანუგეშო იყოს, პირიქით, ერთგვარად საწყენი და შეურაცხმყოფელიც კი მგონია.

– პატივცემულო ქალბატონო, – თქვა მან, – ვეჭვობ, რომ ძნელია ისეთ ორაზროვან არსებაზე, როგორიც ადამიანია, სხვანაირად

ილაპარაკო, თუ არა ორაზროვნად; ამგვარი ლაპარაკი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჰუმანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას. მე ვფიქრობ, ავისმოსურნე ბნელმხილველად კი არა, სიცოცხლის მეგობრად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც ცხოვრების კარგ და სასიხარულო მოვლენებთან ერთად მის უკუღმა მხარესაც ხედავს, სადაც შეიძლება ხეშეში კვანძებიც იყოს გამოჩრილი და ზოგიერთი ულაზათო ძაფებიც ეკიდოს. თქვენი მოუთმენლობის საპირისპიროდ იქ, ქვემოთ მდგომი პირდაღებული ჭყეტიების დაცვის მიზეზი და საფუძველი მეც

მაქვს, რადგან მხოლოდ ჩემი საკმაოდ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა მთიშავს მათგან, თორემ შემთხვევით და საბედნიეროდ, ახლა აქ, ზემოთ, თქვენ წინაშე რომ არ ვიდგე, რაც დიახაც შესაშურია, მაშინ მეც სიამოვნებით გავერეოდი ამ სათნო მდაბიო ბრბოში და მეც ალბათ ზემდეგები გამაგდებდნენ. იმავე გულის წადილმა, რამაც ეს ხალხი აქ მოიყვანა, განსაზღვრა ჩემი საქციელიც, დაე, თუნდაც

ჩემი მხრივ უფრო ამაღლებული და უფრო გაკეთილშობილებული სახით, როდესაც ჩემმა დალაქმა ამ ერთი საათის წინ პარსვის დროს საპნის წასმისას შემატყობინა ქალაქის ახალთახალი ამბავი, რომ შარლოტე კესტნერი დილით ადრე, რვა საათზე, საფოსტო ეტლით ჩამოსულა და სასტუმრო «სპილოში» ჩამომხდარაო, ისე როგორც მან, ისე როგორც მთელმა ვაიმარმა, მეც ძალიან კარგად ვიცოდი და ღრმად ვგრძნობდი, ვინ არის იგი, რას ნიშნავს ეს სახელი; მე ჩემს ოთხ კედელს შორის აღარ მედგომებოდა; სანამ მთელი ჩემი განზრახვის გააზრებას მოვასწრებდი, სასწრაფოდ გადავიცვი ტანსაცმელი და აქეთ გამოვეშურე, რათა მომეხსენებინა ჩემი თაყვანისცემა და მოწიწება თქვენდამი. – თაყვანისცემა უცნობი კაცისა და ბედით მონათესავისა, თვით ძმისაც კი, ვისი არსებობა მამაკაცურ ყაიდაზე ასევე იმ დიად ცხოვრებაშია ჩაწნული, რაიცა ესოდენ აკვირვებს მსოფლიოს, გადმომეცა ძმური სალამი მამაკაცისა, რომლის სახელი მომავალმა თაობამ მუდამ უნდა მოიხსენიოს როგორც მეგობრისა და თანაშემწის სახელი, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება დიადი ადამიანის ჰერკულესისებურ საქმეებზე.

შარლოტეს, რომელსაც არცთუ ძალიან ესიამოვნა ეს საუბარი, მოეჩვენა, რომ ამ პატივმოყვარე სიტყვებზე დოქტორს პირის ირგვლივ მუდამ განაწყენებული იერის ნაოჭი კიდევ უფრო გაუძლიერდა, თითქოს მისი მბრძანებლური საბოლოო

მოთხოვნა მომავალი თაობისადმი საკუთრივ უნდობლობის გამოხატულება ყოფილიყოს, ნამდვილად შეასრულებდა კი იგი ამას.

– ოი, ოი! – თქვა ქალმა და თან სწავლულის სუფთად გაპარსულ სახეს დააკვირდა, – თქვენმა დალაქმა წაიყბედა? თუმცა ეს მის ხელობასა და წოდებას კიდევაც შეეფერება. მაგრამ სულ ერთი საათის წინ? ასე მგონია, ბატონო დოქტორო, ძილის მოყვარულ კაცს გავეცანი.

– უნდა გამოვტყდე, რომ ასეა, – უპასუხა და ცალყბად გაიღიმა.

ისინი დასხდნენ მოჩუქურთმებულზურგიან სკამებზე პატარა მაგიდასთან, რომელიც იქვე, დიდი ჰერცოგის პორტრეტის ქვეშ იდგა. სურათზე ჰერცოგი გამოსახული იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ასაკში, მაღალყელიანი ჩექმებითა და ორდენის ბაფთით შემკული, ყოველგვარი საომარი ემბლემებით დამძიმებულ ანტიკურ კვარცხლბეკზე დაყრდნობილი. ნაოჭებით დაფარული ფლორას თაბაშირის ფიგურა ამკობდა ავეჯეულობით ძუნწად გაწყობილ ოთახს, მაგრამ სამაგიეროდ, კარები უხვად იყო შემკული მითოლოგიური ჩუქურთმებით. თეთრი სვეტისებრი ღუმელი, მარმარილოს ყვავილწნული რომ მისდევდა, მეორე წალოში ქალღმერთის საპირისპირო მორთულობას ქმნიდა.

– ვაღიარებ ჩემს ამ სისუსტეს, – თქვა რიმერმა, – დილის ძილი ძალიან მიყვარს. რომ შეიძლებოდეს ასე თქმა, «სისუსტეს ემორჩილებათ», მაშინ ამ გამოთქმას ავირჩევდი. თავისუფალი კაცის ნამდვილზე უნამდვილესი ნიშანი, თანაც როცა თვალსაჩინო ხელსაყრელი საზოგადოებრივი ადგილი უჭირავს, ის არის, რომ ლოგინიდან მამლის პირველ ყივილზევე არ წამოდგეს. და მეც ჩემს თავს ვანიჭებდი ამ თავისუფლებას, მძინებოდა მანამდე, სანამ დღე დადგებოდა, მუდამ მტკიცედ ვიცავდი ამ წესს, მაშინაც კი, როდესაც ფრაუნჰოლანზე[68] ვცხოვრობდი, – სახლის პატრონი მამლევდა ამის ნებას, თუმცა თვითონ თავისი ზუსტი, რომ არ ვთქვათ, პედანტური დროის კულტით, დღეს რამდენიმე საათით ჩემზე ადრე იწყებდა. ადამიანები სხვადასხვანაირნი ვართ. ერთი სიამოვნებას იმაში ხედავს, რომ სხვას ყველას დაასწროს და სამუშაოს შეუდგეს მაშინ, როდესაც სხვებს სძინავთ; მეორეს კი ის მოსწონს, რომ ბატონკაცურად ერთხანს კიდევ დაჰყოს მორფეუსის უბეში, მაშინაც კი, როცა გაჭირვება კარს უკაკუნებს. მთავარია,

ერთმანეთს მოვუთმინოთ, მოთმინებაში კი, უნდა ვალიარო, მაისტერი ჭეშმარიტად დიდია, თუმცა უნდა ითქვას, ამ შეწყნარებით კაცი მთლად კარგად ვერ გრძნობს თავს.

– კარგად ვერ გრძნობსო? – ჰკითხა შეწყუბებულმა ქალმა.

– «კარგად ვერ გრძნობს» ვთქვი? – გაიკვირვა რიმერმა და ოთახში დაბნეულად მიმოიხედა, ქალს თავისი ოდნავ გადმოკარკლული შორიშორ ჩამჯდარი თვალები მიაპყრო. – მის გვერდით ადამიანი ძალიან კარგად გრძნობს თავს, სხვაგვარად განა ჩემსავით მგრძნობიარე კაცი გაუძლებდა, ცხრა წელიწადი თითქმის შეუცვლელად და განუწყვეტლად მასთან ვყოფილიყავი? დიახ, კარგად, ძალიან კარგად. ზოგიერთი გამოთქმა ჯერ მეტისმეტად უნდა გააზვიადო, რომ შემდეგ ასევე მეტისმეტად შეზღუდო. ეს უკიდურესობა თავის საწინააღმდეგოს შეიცავს. ჭეშმარიტება, სათაყვანებლო ქალბატონო, ყოველთვის ლოგიკას როდი სჯერდება: ჭეშმარიტებას რომ არ დაშორდე, აქა-იქ ზოგჯერ შენს თავს უნდა ეწინააღმდეგებოდე. ამ დებულებას რომ მოგახსენებთ, მე მხოლოდ მოწაფე ვარ იმისა, ვისზეც ახლა ლაპარაკია, და მეტი არაფერი. მისგან ხშირად მოისმენთ ისეთ აზრებს, რომლებიც უკვე წინააღმდეგობას შეიცავენ, – ჭეშმარიტების გულისთვის თუ ერთგვარი არაერთგულეების გამო, თუ სამასხროდ, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ვერ დავიფიცებ. შესაძლოა, პირველი მოსაზრება უფრო მისაღები იყოს, რადგან მას მიაჩნია, რომ ბევრად უფრო ძნელი და საპატიოა ადამიანთა დაკმაყოფილება, ვიდრე მათი გაცბუნება... მეშინია საკითხს არ გადავუხვიო. ჩემი მხრივ ჭეშმარიტებას არ ვღალატობ, როდესაც დაბეჯითებით მოგახსენებთ იმ არაჩვეულებრივ სასიამოვნო გრძნობაზე, რომელსაც ადამიანი მის გვერდით განიცდის, – მაგრამ აქაც შეინიშნება გულისმომკვლელი წინააღმდეგობა, უსიამოვნების იმდენად ღრმა გრძნობა, რომ ადამიანს თავის სკამზე აღარ ეჯდომება და გაქცევას ლამობს. უძვირფასესო ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, ეს ისეთი წინააღმდეგობებია, მტკიცედ რომ ჩაკირულან, ცხრა წელიწადს გამაგრებულან, ცამეტ წელიწადს დამკვიდრებულან, რადგან სიყვარულსა და აღტაცებაში გადასულან, სიყვარული და აღტაცება კი, როგორც საღმრთო წერილი გვაუწყებს, ყოველგვარ გონებაზე მაღალია...

...კაცს ენა დაება, ნერწყვი ჩაყლაპა. შარლოტე დუმდა, ჯერ

ერთი იმიტომ, რომ სურდა რიმერს ლაპარაკი განეგრძო, მეორეც იმიტომ, რომ ცდილობდა შეედარებინა თავისი მოგონებები ამ კაცის ერთსა და იმავე დროს მიკიბულ-მოკიბული და განაწყენებულ-გამქირდავი ცნობებისთვის იმ შორეულზე.

– რაც შეეხება მის შემწყნარებლობას, – დაიწყო მან ხელახლა, – მის მიმტევებლობასა და ნებაზე მიშვების შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ, – ხომ ხედავთ, აზრი მოვიკრიბე და სულაც არ ვკარგავ ფიქრთა ძაფს, – აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ თვინიერებიდან წარმომდგარი შემწყნარებლობა

– მე ვგულისხმობ საკუთარი შეცდომებისა და მიტევების, ქრისტიანული, – ფართო გაგებით ქრისტიანული – გრძნობიდან წარმომდგარ შემწყნარებლობას, ანდა არც ამას; არსებითად, მე ვგულისხმობ სიყვარულისგან წარმომდგარ შემწყნარებლობას და, მეორე, გულგრილობისგან, არადჩაგდებისგან წარმომდგარ შემწყნარებლობას, რაც უფრო ძნელია, რაც უფრო მწვავედ მოქმედებს, ვიდრე ყოველგვარი სიმკაცრე და შეჩვენება, რაც კიდევ უფრო აუტანელი და გამანადგურებელი იქნებოდა, ღვთისგან რომ მოდიოდეს, – ამ შემთხვევაშიც, ყველა ჩვენი ცნების თანახმად, შეუძლებელია სიყვარულისგან არაფერი დარჩენილიყო, აქ კი ნამდვილად ესეც არ არის; იქნებ მართლაც ასე იყოს, რომ სიყვარული და უგულუბელებლობა ამ შემწყნარებლობაში ერთად თავსდებოდეს, მაგრამ იგი სულაც არაფერს მოგვაგონებს ღვთაებრივს; საიდან უნდა იყოს ეს, რომ მას არათუ უძლებენ, არამედ მთელი სიცოცხლე მონურად ემორჩილებიან... რა მინდოდა მეთქვა? იქნებ გამახსენოთ, როგორ მოვედით ამ საკითხებამდე. უნდა გამოვტყდე, ახლა კი ერთი წუთით მაინც დამეკარგა ფიქრთა ძაფი.

შარლოტემ შეხედა მას. სწავლულ კაცს ხელები თავისი ჯოხის ბუნიკზე გაეშალა, შეწუხებული ხარისებრი თვალები სიცარიელისთვის მიეპყრო. უცბად ქალი სრულიად ნათლად და ცხადად მიხვდა, რომ ეს კაცი მისი გულისთვის არ მოსულა აქ, ხელსაყრელი შემთხვევა გამოუყენებია, რათა იმაზე, იმ თავის ბატონსა და მასწავლებელზე ილაპარაკოს და ამ გზით როგორმე მიუახლოვდეს მაინც მრავალ წელს გამოტარებული გამოცანის ამოხსნას, მთელი ცხოვრება რომ არ ასვენებდა. უეცრად თავი ლოტჰენ-უმცროსის როლში იგრძნო, რომელმაც ყოველი საბაბი და მიზეზი განჭვრიტა, ღვთისნიერ თვითმოტყუებაზეც აიმრიზა; იგი მზად იყო პატიება ეთხოვა, რადგან თავის თავს უთხრა, ჩვენ როდი ვართ დამნაშავე ჩვენს

გამჭრიახობაში, გარედან რომ მოგვხვევია თავს და ამასთან ამ გამჭრიახობას თან ერთგვარი უსიამოვნებაც ახლავსო. არც იმის შეგნება იყო მოსაწონი, რომ მას უბრალო საშუალებად იყენებდნენ; მაგრამ ქალმა ისიც დაინახა, რომ ამ კაცისადმი სასაყვედურო არა ჰქონდა რა, რადგან არც შარლოტეს მიუღია იგი მისივე გულისთვის, ისევე როგორც არც რიმერი მოსულა მხოლოდ მის სანახავად. ლოტეც ხომ იმავე მოუსვენრობამ მოიყვანა აქ, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტანჯავდა გადაუწყვეტელი და წინაუგრძნობლად განდიდებული წარსულის გამო, ისიც ხომ შეეპყრო დაუძლეველ სურვილს, კვლავ გაეცოცხლებინა იგი და მასთან «ექსტრავაგანტური» წესით დაეკავშირებინა აწმყო. ისინი რამდენადმე თანამონაწილენი და თანამოზიარენიც კი იყვნენ; თითქოს საიდუმლო შეთანხმებით ქალი და მისი მნახველი სტუმარი ერთად შეეყარა მტანჯველ და ამავე დროს გამაბედნიერებელ მესამე რაღაცას თუ ვიღაცას, ორივე რომ ტკივილმომგვრელი დაძაბულობით შეეპყრო, რის ახსნა-გარჩევასა და შესაძლებელ მოგვარებაში ერთმანეთს უნდა მიშველებოდნენ. ქალმა ხელოვნურად გაიღიმა და თქვა:

– განა გასაკვირია, ჩემო სანუკვარო ბატონო დოქტორო, რომ ფიქრთა ძაფს კარგავთ, რაკი ცდუნებას აპყობიხართ და ისეთ უწყინარ მცირე ადამიანურ ფაქტს, როგორც არის თქვენი ძილის მოყვარულობა, ესოდენ გრძელ მორალურ რეფლექსიებსა[69] და გარჩევა-განხილვას უკავშირებთ? თქვენმა განსწავლულობამ ოინი გიყოთ. მაგრამ როგორღა მოხდა ეს? შეგემლოთ თქვენი თავისთვის ნება მიგეცათ და დამორჩილებოდით მაგ სისუსტეს, როგორც თქვენ უწოდებთ, – მე კი მას ისეთივე ჩვეულებას ვუწოდებ, როგორც ყოველ სხვა ჩვეულებას, – თქვენი ადრინდელი მდგომარეობის დროს, იმ ცხრა წელიწადს; მაგრამ თუ მე მართალი ვარ, დღეს თქვენ ქალაქის მასწავლებლის თანამდებობა გიჭირავთ – თუ არ ვცდები გიმნაზიის დოცენტი ბრძანდებით, ხომ მართალია? როგორ ათავსებთ თქვენს ახლანდელ მდგომარეობას მაგ მიდრეკილებასთან, რომელსაც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან როლს ანიჭებთ?

– ყოველ შემთხვევაში ვათავსებ, – უპასუხა მან და ფეხი ფეხზე გადაიდო, ჯოხს ორივე ბოლოზე მოჰკიდა ხელები და მუხლზე გარდიგარდმო გაიდო. – ყოველ შემთხვევაში, სწორედ ადრინდელი თანამდებობის პატივისცემის გამო, ადრინდელი

თანამდებობა ხომ ახლანდელთან შედარებით თითქმის განუსაზღვრელად შორს დგას და ბევრად ცნობილიც არის, რომ მას რაიმე ყურადღება არ მიექცეს. – ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე სრულიად მართალი ბრძანდება, – თქვა მან და გასწორდა, რადგან წინა მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა შეუფერებლად მიიჩნია, მხოლოდ ერთი წუთით მისცა თავის თავს ამის ნება იმ ყურადღებითა და პატივისცემით ნასიამოვნებმა, რომლის საგანიც თვითონ ბრძანდებოდა. – ოთხი წელიწადია აქაურ გიმნაზიაში ვმსახურობ და საკუთარ დამოუკიდებელ მეურნეობას ვუძღვები. ჩემი ცხოვრების ნირის შეცვლა გარდაუვალი იყო და ეს წუთიც დადგა. მართალია, დიდი ადამიანის სახლში ცხოვრება სულიერ და მატერიალურ სიამოვნებასა და სიხარულს მანიჭებდა, მაგრამ ჩემთვის, ოცდაცხრამეტი წლის კაცისთვის, რამდენადმე მამაკაცური თავმოყვარეობის, ამ ყველაზე გამაღიზიანებელი მამაკაცური თავმოყვარეობის საქმე იყო, სათაყვანებლო ქალბატონო, ასე თუ ისე საკუთარ ფეხზე დადგომა. მე ვამბობ «ასე თუ ისე», რადგან ჩემი სურვილები, ჩემი ოცნებანი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მასწავლებლის საშუალო წოდება, და ვერა და ვერ შეურიგდნენ მას სავსებით. ჩემი სურვილები და ოცნებანი ისწრაფოდნენ უფრო მაღალი მეცნიერული მიზნებისკენ, უნივერსიტეტში მოღვაწეობისკენ, ჩემი სათაყვანებელი მასწავლებლის, განთქმული კლასიკური ფილოლოგის, ჰალეელი ვოლფის[70] მაგალითისამებრ. მათ აღსრულება არ ეწერა, ბედმა ასე განაგო, არა და არ ამიხდა დღემდე ჩემი ოცნება. შეიძლება ეს ვინმეს კიდევაც გაუკვირდეს, მართლაც ასეა, არა? შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩემს ხანგრძლივ, ყველასთვის ცნობილ თანამშრომლობას დიდ ადამიანთან, სწრაფი და მტკიცე საშუალება უნდა მოეცა ჩემი სურვილებისა და მიზნის განსახორციელებლად, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მაღალ და გავლენიან მეგობრობასა და მფარველობას უნდა გაეადვილებინა ლექტორის სანატრელი ადგილის მიღება გერმანიის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. მგონია, ამგვარ კითხვებს ვხედავ თქვენს თვალებში. ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ასეთი ხელშეწყობა, ასეთი დახმარება და თანადგომა, ასეთი ჯილდოს მომზადველი ბრძანება, ყოვლისშემძლე გადამწყვეტი სიტყვა არ ყოფილა, ყოველგვარ ადამიანურ მოლოდინთა და ვარაუდთა მიუხედავად, ასეთი რამ წილად არ მხვდომია. მაგრამ რას შევლის ახლა მწარე ფიქრები? მართალია, ზოგჯერ დღის თუ

ღამის საათებში თავს ვიმტვრევ ამ პრობლემაზე ფიქრით, მაგრამ აქედან არაფერი გამოდის და არც შეიძლება რამე გამოვიდეს. დიდ ადამიანებს სხვა აქვთ საფიქრალი და თავიანთი ხელქვეითი თანაშემწეების პირად ცხოვრებასა და პირად ბედნიერებაზე არ ნაღვლობენ, რაც უნდა სარგებლობა მოეტანოთ მათთვის და მათი საქმისთვის. როგორც ჩანს, უწინარეს ყოვლისა, ისინი თავის თავზე ფიქრობენ, და როდესაც მათთვის ჩვენი სამსახურის მნიშვნელობა გადაწონის, ჩვენ მათთვის და მათი შემოქმედებისთვის აუცილებელი და შეუცვლელი ვართ, უჩვენოდ იოლად ვერ წავლენ, მაშინ ჩვენი კერძო ინტერესების საწინააღმდეგოდ მათ მხარში ამოვუდგებით ხოლმე და ეს იმდენად საპატიოა, იმდენად თავმოსაწონია ჩვენთვის, რომ ჩვენს ნებისყოფას უხალისოდ ვუერთებთ მათ ნებას, მათ გადაწყვეტილებას ერთგვარი მწარე, მაგრამ ამაყი სიხარულით ვემორჩილებით. ასე, მაგალითად, ბევრი ფიქრის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე უარი მეთქვა როსტოკის უნივერსიტეტის მიწვევაზე, ამას წინათ რომ შემომთავაზეს.

– უარი თქვით? რატომ?

– იმიტომ, რომ ვაიმარში დარჩენა მსურდა.

– მაგრამ, ბატონო დოქტორო, მაპატიეთ, მაშინ საჩივლელიც არაფერი გაქვთ.

– განა მე ვჩივი? – კვლავ განცვიფრებით იკითხა მან, – ასეთი განზრახვა სულაც არ მქონია. მგონი, სწორად ვერ გამიგეთ. მე მხოლოდ ცხოვრების, გულის წინააღმდეგობაზე მოგახსენებთ და დიდ პატივად მიმაჩნია, ჩემი ფიქრები გონიერ ქალს გავუზიარო საუბარში. ვაიმარს განვშორდე? ოჰ, არა! მე იგი მიყვარს, მასზე ვარ დამოკიდებული, მასთან ვარ დაკავშირებული, ცამეტი წელიწადია, როგორც მოქალაქე შევეზარდე, შევესისხლხორცე მის საზოგადოებას, მის ცხოვრებას, მის საერთო არსებას. უკვე ოცდაათი წლის კაცი ჩამოვედი აქ პირდაპირ რომიდან, სადაც ბატონი ელჩის, ჰუმბოლდტის[71] შვილების შინაური მასწავლებლის მოვალეობას ვასრულებდი. მისი რეკომენდაციის მადლობელი ვარ, რომ ამ ადგილას დავიდე ბინა. შეცდომები და ჩრდილოვანი მხარეები? ვაიმარს ადამიანური შეცდომები და ჩრდილოვანი მხარეები აქვს. პირველ ყოვლისა, პატარა პროვინციული ქალაქის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი.

შესაძლოა, შეზღუდული და დიდკაცურ-კარისკაცურად გაჭორილ-გამოჭორილი იყოს ეს ბუდე, გაბლენძილნი ზემოთ და გამოყეყეჩებულნი ქვემოთ. მართალ, პატიოსან კაცს აქ, ისე როგორც ყველგან, გაუჭირდება ცხოვრება, – შესაძლებელია, აქ უფრო მეტად, ვიდრე ყველგან. იქ, ზემოთ, ჩვეულებრივ, გაიძვერები და უსაქმურები სხედან, შესაძლოა, უფრო აშკარად, ვიდრე ჩვეულებრივ, მაგრამ სწორედ ამიტომ იგი დიდებული, ნოყიერი, მასაზრდოებელი პატარა ქალაქია. მე არც კი ვიცი, ვერც წარმომიდგენია, სხვაგან თუ სადმე ვისურვებდი ან შევძლებდი ცხოვრებას. ჩვენს ღირსშესანიშნაობათაგან თუ გაქვთ უკვე რამე ნანახი? სასახლე? სავარჯიშო სასპარეზო მოედანი? ჩვენი თეატრი? პარკის მშენიერი ნარგავები? ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, თქვენ ნახავთ. იმასაც შეამჩნევთ, რომ ჩვენი უმრავლესი ქუჩა საკმაოდ მრუდეა. მაგრამ უცხო ადამიანმა დათვალიერების დროს არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი ღირსშესანიშნაობანი თავისთავად კი არ არიან შესანიშნავი, არამედ იმით, რომ ისინი ვაიმარის ღირსშესანიშნაობანი არიან. წმინდა ხუროთმოძღვრული თვალთ თუ შევხედავთ, სასახლე დიდი არაფერია, თეატრიც შეიძლებოდა უფრო შთამაგონებელი შესახედაობისა წარმოედგინა კაცს, თუ ჯერ კიდევ ვერ იცნობს, სასპარეზო-სავარჯიშო მოედანი ხომ სისულელეა. თავისთავად ვერც გაიგებს ადამიანი, ისეთ კაცს, მე რომ ვარ, როგორ შეუძლია მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სწორედ ამ კულისებსა და გადასადგმელ-გადმოსადგმელ დეკორაციებს შორის იმოდროს, ისეთი გრძნობებით იყოს მასზე მიჯაჭვული, რომ უარი თქვას მიწვევაზე, რომელიც ყველა მის, ახალგაზრდობიდანვე ნასაზრდოებ-ნალოლიავებ სურვილსა და ოცნებას ეთანხმება, ფრთას ასხამს. ისევ როსტოკს ვუბრუნდები, რადგან მგონია, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლეც, თქვენ ჩემი საქციელი ამ საქმეში გეუცხოვათ. თქვენ წარმოიდგინეთ, მე უარი ვთქვი ამ წინადადებაზე განსაზღვრულ გარემოებათა ზეგავლენით. ამ მოწვევის მიღება მეკრძალებოდა – განზრახ საუბრის უპიროვნო ფორმას ვირჩევ, რადგან არსებობს ისეთი რამეები, რომელთა აკრძალვა არავის სჭირდება, იმიტომ რომ ისინი თავისთავად აკრძალულია, თუმცა ეს აკრძალვა შეიძლება აქაც გამოიხატოს პირადად იმ ადამიანის გამოხედვასა და გამომეტყველებაში, რომელზეც დამოკიდებულია კაცი. ყველა როდია, სათაყვანებლო ქალბატონო, საიმისოდ დაბადებული, საკუთარი გზით იაროს,

საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს, საკუთარი ბედნიერების მჭედელი იყოს, ანუ უფრო სწორად, ზოგიერთი, ვინც წინასწარ არაფერი იცოდა და ეგონა საკუთარ გეგმებსა და იმედებს თავს ევლებოდა და ელოლიავებოდა, აღმოაჩენს, საკუთარ თავზე გამოსცდის, რომ მისი უსაკუთრესი ცხოვრება და პირადი ბედნიერება სწორედ ორივეზე ხელის აღება ყოფილა. ასეთი ადამიანისთვის პირადი ცხოვრება, რაც უნდა პარადოქსული იყოს ეს, თვითგანსხვისებაა, თავის თავზე ხელის აღება, უარტქმაა ისეთი საქმის სამსახურისთვის, რომელიც არც მისია და არც თვით მას წარმოადგენს, და იმიტომ არც შეიძლება იყოს, რამეთუ ეს საქმე უაღრესად პიროვნულია, კიდევ მეტი, თვით პიროვნებაა. ამის გამო მისდამი სამსახური უმეტესად დაქვემდებარებული და მექანიკური ბუნებისა შეიძლება იყოს, – თუმცა ეს ისეთი ღირსებანია, არაჩვეულებრივად დიდი პატივით რომ აიწონება და ანაზღაურდება, რასთანაც ამ საკვირველი საქმისადმი სამსახურია დაკავშირებული თანამედროვეობისა და მომავალი თაობების თვალში. უდიდესი პატივით! შეიძლება გითხრან, რომ მამაკაცის ღირსება ის არის, საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს და საკუთარ საქმეს გაუძღვეს, რაც უნდა უბრალო იყოს ეს საქმე. მაგრამ ბედმა მასწავლა, რომ არსებობს ორგვარი პატივი – მწარე და ტკბილი; და მე ვაჟკაცურად მწარე ავირჩიე, თუკი სწორედ ადამიანი ირჩევს – მართალია, არა? – თუკი ბედისწერა არ ახდენს არჩევანს და მისთვის სხვა ხვედრს აღარ ტოვებს. უთუოდ დიდი ცხოვრებისეული ტაქტია საჭირო, ბედისწერის ამგვარ კარნახს ფეხი აუწყო, ასე ვთქვათ, საკუთარ ხვედრს შეურიგდე, და თუ შემძლია ასე გამოვთქვა, კომპრომისს, ერთგვარ გარიგებას მიაღწიო მწარე და ტკბილ პატივს შორის, თუმცა მუდამ ამ უკანასკნელისკენ არის მიმართული ადამიანის ნატვრა, სურვილები და პატივმოყვარეობა. სწორედ მამაკაცური თავმოყვარეობის გრძნობამ მიმიყვანა არაჯანსაღ აუტანელ მდგომარეობამდე, გარდაუვალ უგუნებობამდე, რამაც ბოლო მოუღო ჩემს მრავალწლიან ყოფნას იმ სახლში, სადაც პირველად დავიდე ბინა, და ისიც განსაზღვრა, რომ საშუალო სკოლის მასწავლებლობა მეკისრა, რაც მე არასოდეს მეწადა. აი, ესეც თქვენი კომპრომისი, თუმცა ზემდგომი უფრო აფასებს ამას. ასე რომ, ბერძნულ-ლათინური საათების გეგმა, როგორც ვთქვი, ჩემს მიმდინარე საპატიო ვალდებულებებსაც ითვალისწინებს, თუმცა იმ სახლის გარეთ ვარ, და როდესაც იქ ჩემი სამსახური არ სჭირდებათ, როგორც, მაგალითად, დღეს,

მაშინ შესაძლებლობა მეძლევა ვისარგებლო საზოგადოებრივი უპირატესი უფლებით და დილით ტკბილად გამოვიძინო. ის კი არა, კიდევ უფრო შორს წავედი მწარე და ტკბილი პატივის ამ მორიგებაში, ამ პატივს, უბრალოდ მამაკაცური პატივი შეიძლება ვუწოდოთ, – საკმაოდ მტკიცედ დავმკვიდრდი და გავმაგრდი, საკუთარი ოჯახური კერა შევქმენი. აგერ უკვე ორი წელიწადია, რაც დავქორწინდი. მაგრამ აქაც, პატივცემულო

ქალბატონო, თქვენ დაინახავთ, ჩემი ცხოვრების განსაკუთრებით თვალში საცემ კომპრომისულ ხასიათს! ამ ნაბიჯს, დაქორწინებას, თითქოს უნდა განემტკიცებინა ჩემი

თვითმყოფობა, დამოუკიდებლობა და მამაკაცური თავმოყვარეობა, იმ მწარე პატივის სახლისგან თითქოს უნდა გავეთავისუფლებინე, მაგრამ პირიქით, კიდევ უფრო მჭიდროდ დამაკავშირა, – ანუ უფრო სწორად რომ ვთქვა, თავისთავად გასაგები აღმოჩნდა, რომ ამ ნაბიჯით ხსენებულ სახლს ვერ დავშორდი, ასე რომ, ნამდვილად თუ ვიტყვით, რაიმე ნაბიჯზე ლაპარაკი არც კი შეიძლება. რადგან კაროლინე, ჩემი მეუღლე, თავისი ქალიშვილობის გვართ კაროლინე ულრიხი, იმავე სახლის შვილია, ახალგაზრდა ობოლი გოგო, რომელიც რამდენიმე წლის წინ თანამდგომად, თანამოსაუბრედ და თანამგზავრად აუყვანია საიდუმლო მრჩევლის ამ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ მეუღლეს. გამოირკვა, რომ მთელი სახლის უდავო სურვილი იყო, ამ ქალის საქორწინო უზრუნველყოფა მე მეკისრა; მათი აზრით, მე ვიყავი სწორედ მისი შესაფერისი საქმრო; ამ სურვილს ვკითხულობდი მათ თვალეებსა და გამომეტყველებაში და ეს სურვილი ჩემი თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას ისე მოურიგდა, რომ ობოლი ქალი მართლაც სიმპათიური მეჩვენა... მაგრამ თქვენი გულკეთილობა და მოთმინება, ძვირფასო ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, მაცდუნებს ძალიან ბევრი ვილაპარაკო საკუთარ თავზე...

– არა და არა, ძალიან გთხოვთ, მე დიდი ინტერესით გისმენთ, – მიუგო შარლოტემ.

სინამდვილეში იგი ოდნავი უკმაყოფილებით, ყოველ შემთხვევაში, გაორებული გრძნობით უსმენდა. ამ კაცის პრეტენზიები და განაწყენება, შელახული პატივმოყვარეობა, მისი ამაო დიდების წყურვილი და უღონობა, უმწეო ბრძოლა-ჭიდილი ღირსების მოსაპოვებლად აღიზიანებდა ქალს, სიძულვილს უნერგავდა იმთავითვე არამეგობრულ

თანაგრძნობასთან ერთად, მაგრამ ამავე დროს სტუმართან ერთიანობის, ურთიერთგაგების გრძნობას და ერთგვარ კმაყოფილებას ჰგვრიდა, იმის შეგრძნებასა და შეგნებას უღვიძებდა, რომ ამ კაცის საუბრის სახე და წესი მასაც უფლებას აძლევდა, – სულერთია გამოიყენებდა თუ არა იგი ამ უფლებას, – საკუთარი გულისნადები, საკუთარი გრძნობები გადაეშალა და ამით სულისთვის შვევა მიეცა.

მიუხედავად ამისა, ქალს მაინც შეეშინდა იმის გამო, რომ კაცმა, თითქოს აზრებს მიუხვდაო, საუბარს ასეთი გეზი მისცა შემდეგი სიტყვებით.

– არა, – თქვა მან, – მე ბოროტად ვიყენებ მხიარულ ბლოკადას, ცნობისმოყვარეობის გარემოცვას, რომლის მსხვერპლიც ჩვენ ვართ – არც ისე დიდი ხანია ომის ქარცეცხლი გამოვიარეთ, რომ არ ვიცოდეთ ასეთ ვითარებას თავდაჭერით, თვით ერთგვარი იუმორითაც კი შევეთვისოთ და შევეგუოთ. მე მინდა ვთქვა, რომ სწორედ ამას ჰქვია ხელსაყრელი საათის უხეიროდ გამოყენება, თუ ჩემს მოვალეობას – წარმოგიდგინოთ ჩემი თავი – გაზვიადებული კეთილსინდისიერებით შევასრულებ. მართლაც, აქ მომიყვანა არა იმის სურვილმა, რომ მე მელაპარაკა, არამედ იმან, რომ მენახეთ და თქვენთვის მომესმინა. ამ საათს ხელსაყრელი ვუწოდებ, აჯობებდა კი ძვირფასი მეწოდებინა. აი, ახლა პირისპირ ვდგავარ იმ არსებასთან, ვისაც ჯეროვნად მიუძღვნიან საზოგადოების ყველა ფენის ცნობისა და ნახვის მოყვარულნი, ბავშვურად გულუბრყვილო ხალხიდან დაწყებული და უაღრესად განათლებული ადამიანებით დასრულებული, თავიანთ ამაღელვებელ მოწიწებას და პატივისცემას: თვალებში შევყურებ იმ ქალს, ვინც გენიოსის ისტორიის დასაწყისში, ან თითქმის დასაწყისში დგას, ვისი სახელიც თვით სიყვარულის ღმერთმა სამარადისოდ ჩააქსოვა მის ცხოვრებაში, და, მაშასადამე, სამშობლოს სულიერი და გონებრივი სამეფოს

ქმნადობაში, გერმანული აზრის სამბრძანებლოს ჩამოყალიბებაში... და ახლა როგორ შემეძლო მე, ვისაც წილად ხვდა ამ ისტორიაში რაღაც როლი ეთამაშა და ჩემს, მამაკაცის კვალობაზე გმირის მრჩველიც კი ვყოფილიყავი. როგორ შემეძლო მე, ვინც, ასე ვთქვათ, იმავე გმირული ცხოვრების ჰაერით ვსუნთქავ თქვენთან ერთად, არ დამენახა თქვენში უფროსი და, როგორ გამიძლებდა გული, არ დამეხარა თავი თქვენ წინაშე, როგორც კი თქვენი აქ ყოფნის ხმა ჩემს ყურს

მოსწვდა, როგორ შემეძლო არ დამენახა თქვენში და, დედა, თუ გნებავთ, ახლობელი, ყოველ შემთხვევაში მონათესავე სული, რომლისკენაც მოვისწრაფოდი, რათა გამეზიარებინა ბევრი რამ, უფრო კი იმისთვის, რომ მისგან მომესმინა... რა მინდოდა მეკითხა – ეს კითხვა დიდი ხანია ენაზე მადგას. მითხარით, უძვირფასესო ქალბატონო, მითხარით თუნდაც ჩემს, რა თქმა უნდა, ნაკლებმნიშვნელოვან აღსარებათა საპასუხოდ... ჩვენ ვიცით, ყველამ იცის, მთელი კაცობრიობისთვის სავსებით ცნობილია, თუ რაოდენი ტანჯვა გამოიარეთ თქვენ და თქვენმა ცხოვრებულმა მეუღლემ გენიოსის მოურიდელობის გამო, მისი სამოქალაქო თვალსაზრისით ძნელად გასამართლებელი საქციელის გამო, თქვენს პიროვნებას, თქვენს ურთიერთობას ასეთი პოეტური თავნებობით, რომ მოეპყრო, მთელი მსოფლიოს წინაშე, პირდაპირ მთელ დედამიწის ზურგზე დაუფიქრებლად რომ გამოგაფინათ და მასთან სინამდვილე და გამონაგონი ერთმანეთში აურია იმ სახიფათო ხელოვნებით, რომელსაც ძალუძს სინამდვილეს პოეტური სახე მისცეს და გამონაგონს სინამდვილის დაღი დაასვას. ასე რომ, განსხვავება მათ შორის, ფაქტობრივად, მოხსნილია და გათანაბრებული; მოკლედ რომ ვთქვათ, იტანჯეთ მისი დაუნდობლობის, მოურიდელობის გამო; მან უგულვებელყო ერთგულება და რწმენა, რაშიც უეჭველად დამნაშავე იყო, რადგან მეგობართა ზურგს უკან, იდუმალი მოქმედებით ერთსა და იმავე დროს კიდევ განადიდა, ხოტბაც შეასხა და კიდევაც შებღალა წმიდათაწმიდა უფაქიზესი რამ, რაც შეიძლება სამ ადამიანს შორის არსებულებო... ყველამ იცის ეს, სათაყვანებლო ქალბატონო, ყველა თანაგიგრძნობთ. მითხარით, გეთაყვა, გემუდარებით, ერთი სული მაქვს მოგისმინოთ: როგორ გაუძელით თქვენ და ნეტარხსენებულმა კარის მრჩეველმა ამდენ ხანს ამ განმგმირავ და გამაცბუნებელ განსაცდელს, უნებურ მსხვერპლთა ხვედრს? მე ვგულისხმობ: როგორ და

რამდენად მოახერხეთ შეგეთანხმებინათ მიღებული ჭრილობით გამოწვეული ტკივილი, შეურაცხყოფის გრძნობა იმის გამო, რომ თქვენი არსებობა გამოიყენეს თავის მიზნის განხორციელების საშუალებად, სხვა, უფრო გვიანდელ გრძნობებთან, რომლებიც უნდა გამოეწვია თქვენი არსებობის, თქვენი ცხოვრების ესოდენ ამაღლებას, ესოდენ მძლავრ ქება-დიდებას, სახელის განთქმას? თუ შემეძლია ამაზე თქვენგან რამე მოვისმინო...

– არა, არა, ბატონო დოქტორო, – სწრაფად მიუგო შარლოტემ, – ჩემ შესახებ ახლა არა. ჩემ შესახებ ყოველ შემთხვევაში უფრო მოგვიანებით, უკეთ რომ ვთქვათ, სხვა დროს მოგახსენებთ. ჩემთვის ის უფრო მთავარია, დაგარწმუნოთ, რომ fazon de parler[72] როდი გახლავთ, როდესაც ვამბობ, დიდი თანაგრძნობით გისმენთ-მეთქი. მე მგონია, თქვენი ურთიერთობანი გენიოსთან უდავოდ და შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი და მოხსენიების ღირსია.

– ეს ძალიან სადავოა, დიდად პატივცემულო.

– მოდით, ერთმანეთს ქათინაურებს ნუ ვეტყვით! თქვენ ხომ წარმოშობით ჩრდილოგერმანელი ბრძანდებით, ბატონო პროფესორო, განა მართალი არა ვარ? გამოთქმის კილოზე შეგატყვეთ.

– სილუზიელი გახლავართ, – მცირე ხნის შემდეგ დინჯად მოახსენა რიმერმა. ისიც გაორებულ გრძნობას შეეპყრო. ცოტა არ იყოს, ეწყინა, რომ ქალმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა; მაგრამ, სამაგიეროდ, ჭკუაში დაუჯდა, როდესაც ლოტემ სთხოვა მას, განეგრძო თავის თავზე ლაპარაკი.

– ჩემი ძვირფასი მშობლები როდი გახლდნენ ამქვეყნიური ბედნიერებითა და უხვი დოვლათით დაჯილდოებულნი, – განაგრძო მან, – მე არც კი ძალმიძს მათი დიდი ამაგი სათანადოდ დავაფასო თქვენ წინაშე: ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ღვთით მონიჭებული მაღლი განვეითარებინათ, ჩემი სწავლა-განათლება შესაძლებელი გაეხადათ. ჩემი მასწავლებელი, საყვარელი საიდუმლო მრჩეველი ჰალეელი ვოლფი ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა. ჩემი გულითადი სურვილი იყო ცხოვრებაში მისი მაგალითისთვის მიმებადა. ყველაზე მეტად მიზიდავდა უნივერსიტეტის მასწავლებლის პატივითა და სახელით შემკული ასპარეზი, რაც ადამიანს თავისუფალ დროსა და მოცალეობას სთავაზობს იმისთვის, რომ შვების მომცემი ურთიერთობა ჰქონდეს ესოდენ ცვალებად მუზებთან, რომელთა წყალობას მთლად როდი ვარ მოკლებული. მაგრამ საიდან უნდა იშოვოს კაცმა საშუალებანი იმისთვის, რომ თავი გაიტანოს ამ ლოდინის ჟამს, მრავალი წელი იდგეს ტაძრის ჭიშკართან? იენაში ყოფნის მეოთხე წელს გამოვეცი ჩემი დიდი ბერძნული ლექსიკონი, რომელზეც ჯერ კიდევ მაშინ ვმუშაობდი და რომლის მეცნიერულმა სახელმა შესაძლებელია

თქვენამდეც მოაღწია. არასახეირო სახელია, ულუკმაპურო დამსახურება. მის მოსახვეჭად თავისუფალი დრო მჭირდებოდა, ამის საშუალება კი იმან მომცა, რომ ვოლფმა მასწავლებლის ადგილი მიშოვა სწორედ რომში ელჩად გაგზავნილ ჰერ ფონ ჰუმბოლდტის შვილებთან. ამ ვითარებაში დავყავი რამდენიმე წელიწადი მარადიულ ქალაქში. შემდეგ ამას მოჰყვა ახალი მიწვევა: ჩემმა დიპლომატმა მარჩენალმა თავის გამოჩენილ ვაიმარელ მეგობარს ურჩია, რომ მე ავეყვანე. ათას რვაას სამი წლის შემოდგომა იყო, – ჩემთვის ღირსსახსოვარი, და ღირსსახსოვარი შესაძლებელია ოდესმე მომავალში გერმანული ლიტერატურის უფრო დაწვრილებითი ისტორიისთვისაც. ჩამოვედი, წარვუდექი, ნდობა აღვუძარი. ფრაუნჰოლანზე მდებარე სახლის შინაურ წრეში შესვლის მიწვევა გახლავთ დიდ ადამიანთან ჩემი პირველი საუბრის შედეგი. როგორ არ უნდა დავმორჩილებოდი ამ წინადადებას? სხვა არჩევანი არ მქონდა. სხვა, უკეთესი მომავლის ხედი მაშინ არ ჩანდა. სკოლის მასწავლებლის თანამდებობა, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩემი ღირსების, ჩემი ნიჭის შეუფერებლად მიმაჩნდა...

– მაგრამ, ბატონო დოქტორო, სწორად გაგიგეთ თუ არა? თქვენ ძალიან ბედნიერი უნდა ყოფილიყავით იმ უზრუნველყოფისა და მოღვაწეობის გამო, რაც ესოდენ აღემატებოდა თავისი პატივითა და მიმზიდველობით, ბრწყინვალეობით ყოველ სხვა საქმიანობას, არა მარტო სკოლის მასწავლებლის თანამდებობას!

– ასეც გახლდათ, პატივცემულო ქალბატონო. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი და ამაყი. აბა, დაფიქრდით: ყოველდღიური შეხვედრები, ყოველდღიური ურთიერთობა ასეთ ადამიანთან! მეც საკმაოდ პოეტი გახლდით, რომ ამ ადამიანის განუზომელი გენიალობა გამეზომა. ჩემი შემოქმედების ნიმუშებს ვუჩვენებდი ხოლმე, და ზომიერად რომ ვთქვა, მოსწონდა კიდეც, თუკი მის მსჯავრს გამოვაკლებთ იმას, რაც მის განსაკუთრებულ თავაზიანობაზე მოდიოდა. ბედნიერიო? მე უაღრესად ბედნიერი გახლდით! რა შესამჩნევ, თვით შურისაღმძვრელ მდგომარეობამდეც კი

არაერთგზის ავუმაღლებივარ განათლებულთა და წარჩინებულთა სამყაროში ამ კავშირს! მაგრამ, ნება მომეცით, გულახდილი ვიყო, მაინც სადღაც ეკალი ესობოდა გულს, დიახ, ეკალი, იმის გამო, რომ სხვა არჩევანი არა მრჩებოდა. განა ასე არ

არის – ის გარემოება, რომ აუცილებლად მადლობელი უნდა იყო, ოდნავ გვიბღალავს მადლიერების გრძნობას, რამდენადმე წარიტაცებს სიხარულს. მოდით, ვიყოთ გულახდილნი, ჩვენ გულს გვტკენს, როდესაც ადამიანი, რომელიც უმაღლეს მადლიერებას გვავალებს, ჩვენს იძულებით მდგომარეობას თავის სასარგებლოდ იყენებს. ის აქ უდანაშაულოა; ბედი, ბედნიერების არათანაბარი განაწილებაა ამის გამო პასუხისმგებელი, მაგრამ ისიც სწორედ ამას იყენებს... ეს თვითონ უნდა გამოსცადოს ადამიანმა... მაგრამ, სანუკვარო ქალბატონო, ამგვარი ზნეობრივი მოძღვრების მსჯელობებს ნუ გავყვებით! საქმე, ჩემთვის ესოდენ საპატიო და ამამაღლებელი საქმე, ყოველ შემთხვევაში ის იყო, რომ ჩვენი დიდი მეგობარი ფიქრობდა, რომ მისთვის შეიძლებოდა საჭირო ვყოფილიყავი, თუმცა ფორმალურად ის მეკისრებოდა, ბერძნული და ლათინური მესწავლებინა მისი შვილის, ავგუსტისთვის,[73] ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ვაჟიშვილისთვის, ფრაუ ვულპიუსთან რომ შეეძინა. თუმცა ამ მხრივ საქმე მანამდე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, მალე მივხვდი, რომ ამ ამოცანას, როგორც საკმაოდ არაარსებითს, ის მოელოდა, რომ უკან დაიხევდა მამის პიროვნებისა და საქმისადმი სამსახურის ეგზომ უფრო მშვენიერი და უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობების წინაშე. ასეთი იყო უეჭველად თავიდანვე აზრი. მართალია, მე ვიცნობ იმ წერილს, ბატონმა მოძღვარმა მაშინ ჩემს მასწავლებელსა და მფარველს ჰალეში რომ მისწერა, რომელშიც ჩემს მიწვევას ასაბუთებდა კლასიკურ სფეროში ბიჭის უკმარის ცოდნაზე ზრუნვით, როგორც თვით ის გამოთქვამდა, უბედურებით, რომლისთვისაც არ იცოდა, როგორ ეშველა. მაგრამ ეს მხოლოდ თავაზიანობა იყო დიდი ფილოლოგის მიმართ. ნამდვილად კი ჩვენი მასტრო ნაკლებად უჭერს მხარს ნამდვილ აკადემიურ სისტემურ განათლებასა და აღზრდას, და უფრო იმას ემხრობა, რომ ახალგაზრდობას საშუალება მიეცეს, რაც შეიძლება თავისუფლად დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ცოდნის ის წყურვილი, რასაც იგი მასში ვარაუდობს. აი, აქაც კვლავ მისი მიმნდობლობა, შემწყნარებლობაა, რაშიც შეიძლება მისი გულკეთილობა, დიდსულოვნება, სუვერენობა, ახალგაზრდობისადმი კეთილისმსურველი მხარდაჭერა იყოს სასკოლო წვრთნისა და პედანტობის წინააღმდეგ, მე ამას არ უარყოფ და მინდა დავეთანხმო ამ მოსაზრებას; მაგრამ აქ სხვა რამეც იჩენს თავს, რაც ნაკლებ სასიხარულოა, – რაღაც

უგულებელმყოფელობა, დაუფასებლობა ახალგაზრობისა და მისი განსაკუთრებული არსებობისა, რომლის უფლებებსა და მოვალეობებს ვერც კი იცნობს და, ასე განსაჯეთ, იმ აზრისაც კი ჩანს, თითქოს ბავშვები მხოლოდ მშობლებისთვის არსებობენ. თითქოს მათი ამოცანა მხოლოდ ის იყოს, მშობელთა სწორი მოიყარონ, გაიზარდონ მათსავით და თანდათანობით მათი ცხოვრება აითვისონ...

– ჩემო ძვირფასო ბატონო დოქტორო, – ჩაურთო შარლოტემ, – ყველგან და ყოველთვის, ყველა დიდ სიყვარულში, არსებობს ზოგჯერ რაღაც გაუგებრობა და უთანხმოება მშობლებსა და შვილებს შორის, ზოგჯერ შვილები ვერ ითმენენ მშობელთა პირად ცხოვრებას, რასაც საპასუხოდ შეიძლება მშობლების მხრივაც შვილების განსაკუთრებული უფლებისადმი არასასიამოვნო დაუდევრობის გრძნობა დაუპირისპირდეს.

– უეჭველია, – თქვა უგულისყუროდ სტუმარმა და სახე ჭერს მიაპყრო, – მე ხშირად მისაუბრია მასთან პედაგოგიურ საკითხებზე. ეტლშიც და სამუშაო ოთახშიც – მისაუბრია, მაგრამ არ მიკამათია, რადგან მე უფრო ის მეწადა, მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით მისი აზრები გამეგო, და არა ის, რომ საკუთარი შეხედულებები მემტკიცებინა. მართლაც, ახალგაზრდობის აღზრდა მას ესმის როგორც მომწიფების პროცესი, რაც შეიძლება მეტ-ნაკლებად თავის თავს, ბუნებრივი განვითარების პროცესს მივანდოთ ხელსაყრელ პირობებში, ხოლო თავისი ვაჟიშვილის პირობები მას სამართლიანად მიაჩნია როგორც ყველაზე ხელსაყრელი – რა თქმა უნდა, იგულისხმება მისი, მამის მხრივ, რადგან რაც შეეხება დედას, ახლა ამას თავი დავანებოთ... ავგუსტი მისი ვაჟიშვილია, – თითქმის ამ ღირსებით ამოიწურებოდა იმთავითვე მისთვის ბიჭის, ყმაწვილი კაცის არსებობა, რომლის დანიშნულება სხვა არა იყო რა, თუ არა ის, რომ მისი ვაჟიშვილი ყოფილიყო და დროთა განმავლობაში იგი ყოველდღიური მომქანცველი საქმეებისგან გაეთავისუფლებინა. ეს ყმაწვილს, რაც უფრო იზრდებოდა, თავისთავად ენერგებოდა. თავის პირად აღზრდა-განათლებაზე, თავის საკუთარ მიზნებზე ნაკლებად ფიქრობდა. ასე რომ, რისთვის არის საჭირო ამდენი იძულება და სისტემატური სწავლა-წვალება? დავუფიქრდეთ იმას, რომ ახალგაზრდობისას თვით მაისტერი თავისუფალი გახლდათ ამგვარი რამეებისგან. მოდი, საგნებს თავისი სახელი დავარქვათ და გულახდილად ვთქვათ: არც მამას მიუღია თავის

დროზე ნამდვილი სწავლა-განათლება, სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ჟამსაც მხოლოდ მცირე რამ გაიარა საფუძვლიანად, ამას ასე ადვილად ვერავინ შეატყობს, უკიდურეს შემთხვევაში ეს შეუძლია შეამჩნიოს მხოლოდ ისეთმა კაცმა, რომელსაც დიდხანს ახლო ურთიერთობა ჰქონია მასთან და თვითონაც ფრიად გამორჩეული და საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნა მიუღია. რადგან, გასაგებია, მას მეტად მკვირცხლი გაგების უნარი, მტკიცე მეხსიერება, გონის უმაღლესი ცხოველმყოფელობა აქვს და ამიტომ ძალიან დიდი ცოდნა სახელდახელოდ, დანდობილად აუტაცია და აუთვისებია. შემდეგ კი, უწინარეს ყოვლისა, ამ თვისებათა წყალობით, რომლებიც გონებამახვილობის, მიმზიდველობის, ფორმისა და მჭევრმეტყველების სფეროს ეკუთვნის, მათ მარჯვედ და ბედნიერად შეასხამს ხორცს, ვიდრე სხვა სწავლული, ვისაც ძალიან დიდი ცოდნა დაუგროვებია...

– მე ყურადღებით გისმენთ, – უთხრა შარლოტემ, რომელიც მოხერხებულად ცდილობდა თავის შესამჩნევი კანტურისთვის თანხმობისა და სწრაფი თავის დაქნევის აზრი და მნიშვნელობა მიეცა, – მე დიდი გულისყურით გისმენთ და თან ვცდილობ, თქვენი სიტყვები ავწონ-დავწონო, ახსნა მოვუძებნო. სადად უბნობთ, მაგრამ ამასთან თქვენს ლაპარაკში არის რაღაც ამაღელვებელი, რადგან გისმენთ და მალეღვებს, როდესაც დიდ ადამიანზე ლაპარაკობთ არა აღტაცებით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ დამშვიდებითა და მშრალად, ერთგვარი რეალიზმით, რაც მასთან ყოველდღიური შეხვედრების ინტიმურ გამოცდილებაზეა აგებული. ახლა, როცა მე თვითონ ვიგონებ და საკუთარ დაკვირვებებს მსჯელობის საგნად ვხდი, თუმცა ეს დაკვირვებები ძალიან ხანდაზმულია, მაგრამ ისინი ხომ სწორედ იმ ახალგაზრდას ეხება, რომლის თავისუფალ აღზრდაზე ახლახან ლაპარაკობდით, მაშინ მას საკუთარი მაგალითით უფლებაც კი აქვს საკუთარ აღზრდის წესს მკაცრ სისტემასთან შედარებით უპირატესობა მიანიჭოს. ყოველ შემთხვევაში, ამ ოცდასამი წლის ახალგაზრდას კარგად ვიცნობდი, დიდხანს ვუთვალთვალებდი, და შემძლია მხოლოდ დავადასტურო, რომ თავისი მეცადინეობით, შრომისმოყვარეობით, სამსახურებრივი გულმოდგინებით არ გამოირჩეოდა, ძალიან მცირე ვინმე ან სულ არაფერი იყო. ვეცლარში ნამდვილად არაფერს აკეთებდა; ამ მხრივ, ეს უნდა ვთქვა მე, ყველა თავის ამხანაგს, პრაქტიკანტსა და მოხელე

მაძიებლებს ჩამორჩებოდა, ვინც უნდა დავასახელოთ რაინდულ წოდებათა რიგის მიხედვით, – კილმანსეგე, ლეგაციის მდივანი გოტერი, რომელიც ლექსებსაც წერდა, ბორნი[74] და სხვები, თვით საწყალი იერუზალემი,[75] რომ აღარაფერი ვთქვათ კესტნერზე, რომელიც მაშინაც უკვე ძალიან სერიოზულ, საქმიან ცხოვრებას ეწეოდა, და რომელმაც ფრიად დამაფიქრა, ჩემი ყურადღება ამ განსხვავებას მიაქცია: თუ რა ადვილია მამაკაცმა ქალთა გული მოინადიროს. საზოგადოების სული და გული, მუდამ მკვირცხლი, ცოცხალი, მხიარული, ბრწყინვალე იყოს, ყველას გონებამახვილი ეჩვენოს, გოგონებში გასავალი ჰქონდეს, როცა ამ ღვთით მოცემულ ქვეყანაში გასაკეთებელი არა აქვს რა, ლაღი ცხოვრებითა და სრული თავისუფლებით ტკბება, მაშინ როდესაც სხვებს სამუშაო დღის შემდეგ, შრომითა და ზრუნვით, საქმეებით დაღლილთ ისიც აღარ შეეძლოთ, შეყვარებულთან თავი ისე დაეჭირათ, როგორც გულით სურდათ. აქ რომ უსამართლობა იყო, ამას ყოველთვის ვხედავდი და ამიტომ ჩემი ჰანს კრისტიანის სასარგებლოდ ვწყვეტიდი ყველაფერს, თუმცა თან ეჭვიც მეპარებოდა, სხვა უამრავ ახალგაზრდასაც ჰქონია თავისუფალი დრო და მოცალეობა – მართლაც რაღაც თავისუფალი დრო მათაც ხომ ჰქონდათ, – მაგრამ ისეთი მაღალი გონება, მაღალი სულიერი ღირსებანი, გაფურჩქნილი ძალები, თბილი, გულწრფელი ენამახვილობა და გამჭრიახობა, როგორც ჩვენმა მეგობარმა იცოდა, არავის გამოუჩენია. მაგრამ სხვა მხრივ მისი მგზნებარების ერთ ნაწილს მის უსაქმურობას მივაწერდი, აგრეთვე იმას, რომ მას შეეძლო თავისი სულის ბუნებრივი თვისებანი ასე მთლიანად, დაუღვევლად მიეძღვნა მეგობრობისთვის, – ერთი ნაწილი-მეთქი, რადგან მისი გულის მშვენიერი ძალა და, – არ ვიცი რა ვუწოდო. – სიცოცხლის ბრწყინვალეობა, ამგვარი ახსნა-განმარტებით არ ამოიწურება. და მაშინაც კი, როდესაც იგი უკმაყოფილო, დაღვრემილი და გამწარებული ჩანდა, მთელ ქვეყანასა და საზოგადოებას აუგად ახსენებდა, მაშინაც ის ყოველთვის კიდევ უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ჩვენი შრომისმოყვარენი და მუყაითნი კვირადღეობით. ეს მე სრული სიცხადით მახსოვს. იგი ხშირად დამასკურ ხმალს მაგონებდა – ახლა უკვე აღარ შემძლია ზუსტად გითხრათ, რა აზრით ვადარებდი, – ანდა ლაიდენის ქილას, – ამ შედარებას კი უკვე ვახდენდი დამუხტულობის აზრით, რადგან იგი ისე მოქმედებდა, თითქოს უაღრესად დამუხტული იყო. ასე რომ, უნებურად გაგიჩნდებოდა

წარმოდგენა, საკმარისია თითო დააკარო, რომ დენს დაგარტყამს, როგორც ეს რომელიღაც გვარეობის თევზმა იცის. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სხვა, ასევე ჩინებული ადამიანები მასთან შედარებით ცოტა დონდლოებივით მოჩანდნენ მაშინაც, როდესაც ის მათთან ერთად იყო, და მაშინაც, როდესაც ის მათთან არ იყო. მახსოვს, განსაკუთრებით ნათელი შემოხედვა ჰქონდა. ნათელი-მეთქი, იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მას თაფლისფერი და ოდნავ ერთმანეთთან ახლოს მდებარე, საოცრად დიდრონი თვალები ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ მათი შემოხედვა მართლაც მეტად ნათელი, მადლმოფენილი და სულით გაცისკროვნებული იყო, ამ სიტყვის ფრიად ღრმა გაგებით, ხან კი ისე ჩაუმუქდებოდა ხოლმე თვალები, შავი გეგონებოდათ, როდესაც გულითადობის გრძნობით აივსებოდნენ და აელვარდებოდნენ. ნეტავი, დღესაც ისეთი თვალები აქვს?

– თვალები, – თქვა დოქტორ რიმერმა, – თვალები ზოგჯერ მძლავრია. – თვით რიმერის შუშისებრი გადმოკარკლული თვალები, რომელთა შორის გამაწამებელი ფიქრების კვალი ჩაჭდევებულიყო, მეტყველებდნენ, რომ ყურადღებით არ უსმენდა და საკუთარ ფიქრთა მსვლელობას გამოსდევნებოდა. ჩანს, ქალის თავის კანტურიც არ მოხვედრია თვალში, რადგან როგორც კი თავისი დიდი თეთრი ხელი ორგანის ბუნიკიდან აიღო და სახესთან მიიტანა, რომ რაღაც ოდნავი ქავილი ცხვირზე ბეჭდიანი თითის წვერის მსუბუქი შეხებით ზრდილობიანი კაცის კვალობაზე აზიზად მოეცილებინა, აშკარად შეეტყო, რომ მასაც ხელი უკანკალებდა. თვით შარლოტემ შეამჩნია ეს და ცოტა არ იყოს, უსიამოვნო გრძნობამ გაჰკრა გულში, რომ იგივე მოვლენა მაშინვე დაფარა თუ გადაასხვაფერა, რასაც სრულიად მარჯვედ ახერხებდა, როცა კი ცდილობდა.

– ფენომენია, – განაგრძო დოქტორმა საკუთარი გზით, – ღირს, რომ ღრმად ჩაუკვირდე, საათობით იფიქრო, თუნდაც ეს ფიქრები საკმაოდ უნაყოფო და არაფრის მაქნისი იყოს. ასე რომ, ამ შინაგან აზრთა მოქმედებას უფრო ოცნება უნდა ვუწოდოთ და არა ნამდვილი გააზრება: ღვთაებრიობის ეს ბეჭედი, – მინდოდა მეთქვა, – მიმზიდველობა და ფორმა, რითაც ბუნება ამა თუ იმ მაღალი გონების ადამიანს რაღაც თავისებური ღიმილით აჯილდოებს, – უნებურად ასეთი წარმოდგენა შეგექმნებათ, – რაც ამრიგად მშვენიერი სულის ადამიანად

აქცევს, – სიტყვა, სახელი, მექანიკურად რომ წარმოვთქვამთ, რათა კაცობრიობისთვის ჩვეულებრივი და სასიამოვნო კატეგორია აღვნიშნოთ, თუმცა თუ ახლოს შევხედავთ და უფრო ყურადღებით გავსინჯავთ, იგი გამოუცნობ, შემაწუხებელ, ხოლო პირადად რაღაც შეურაცხმყოფელ ამოცანად რჩება... თუ არ ვცდები, ლაპარაკი უსამართლობაზე იყო, აქაც, უეჭველია, უსამართლობაა, ბუნებრივი და ამიტომ პატივისცემის ღირსი, თვით აღმაფრთოვანებელი უსამართლობაც კი, თუმცა გულისმომწყვლელი და არა უეკლო, ვისაც წილად ხვდომია ყოველდღიურად თვალი ედევნებინა და კარგად განეჭვრიტა, საფუძვლიანად შეეფასებინა. აქ არის ღირებულებათა ცვლაც, გაუფასურებაც და გადაჭარბებული შეფასებაც, რომელთაც კმაყოფილებით, უნებური მოწონებით იღებ, რამეთუ უარს ვერ იტყვი შენს მხიარულ აღიარებაზე ისე, რომ ღმერთისა და ბუნებისადმი მეამბოხე არ გამოხვიდე. მაგრამ სამართლიანობის გრძნობა ჩუმად, იდუმალ, სიწყნარის ჟამს მოწიწებით ყოფნისას, მაინც ხელახლა დაგაგმობინებს მათ. რამეთუ იცი, რომ შრომა-გარჯით მოპოვებულ ცოდნას, მკვიდრსა და საფუძვლიან ცოდნას დაუფლებიხარ ცოდნისვე შეძენის წყურვილით. ამასთან, მრავალგზის მკაცრ და პატიოსან გამოცდებშიც შეგიმოწმებია ეგ ცოდნა, მაგრამ აქ თავისებურად დიად და ამასთან მწარე, დაცინვის ღირს გამოცდილებას იგემებ, როდესაც ესოდენ გამოკვეთილი და მადლცხებული სულისა და მაღალი გონების ადამიანი იმ ხარვეზიანი ცოდნის ნამსხვრევებს, რომელთაც იგი როგორღაც სახელდახელოდ აიტაცებს ანდა მას თავად მიაწვდიან – გარნა თუ ეს ასეა: მას ცოდნის მიმწოდებლად ემსახურებიან, – იმავე მიმზიდველობისა და ფორმის საშუალებით – მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სიტყვებია – არა, უბრალოდ იმის გამო, რომ ეს ადამიანი შემთხვევით ათვისებულს ქვეყანას ისევ უბრუნებს და, ასე ვთქვათ, თავისი მეობიდან თავის თვისებას დაუმატებს, თავის საკუთარ ხატსა და სახეს აღბეჭდავს მასზე, ორმაგად და სამმაგად მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე ოდესმე ჩვენს შინზრდილ სწავლულთა მთელ მასას, მსოფლიოსა და კაცობრიობას მიუცია. მართლაც, სხვები შრომობენ, წელში წყდებიან, ეძიებენ, იკვლევენ, ზვერავენ, წმენდენ, ხვეწენ, ამდიდრებენ, აგროვებენ, მეფე კი დუკატებს ჭრის იქიდან!.. რა არის ეს? მეფის უფლება? პიროვნებაზე ლაპარაკობენ, – მასაც სიამოვნებით უყვარს ამაზე ლაპარაკი და, როგორც ცნობილია, მიწიერთა, წუთისოფლის შვილთა

უმადლესი ბედნიერება უწოდა მას. ასეთია მისი განაჩენი და რაკი ასეა, მაშასადამე, ეს განაჩენი მთელი კაცობრიობისთვის უთუოდ სავალდებულოა. მაგრამ ეს ხომ განსაზღვრება არ არის, დიდი-დიდი, აღწერად ჩავთვალოთ. ეგეც არ იყოს, როგორ შეიძლება მისტერიის განსაზღვრა? ჩანს, მისტერიას, იდუმალებას ადამიანი ვერ შეეღწევა. თუ ქრისტიანული საიდუმლოებისადმი მან გემოვნება და ალღო დაკარგა, წარმართულ ან პიროვნების ბუნებრივ საიდუმლოებაში პოვნებს სიხარულს. ქრისტიანულ მისტერიებს ჩვენი გონთა მეუფე მაინცდამაინც არ ცნობს. იმ მგოსანსა და ხელოვანს, ვინც ქრისტიანულ მისტერიებზე ჩამოუგდებს მას საუბარს, მისი გულისწყრომა მოელის. მაგრამ ბუნების საიდუმლოებას იგი ძალიან მაღლა აყენებს, რადგან ეს მისი საიდუმლოებაა. უმადლესი ბედნიერება – მართალია, ეს საიდუმლოება ჩვენთვის, წუთისოფლის შვილებისთვის, ცოტა რამეს როდი წარმოადგენს, თორემ სხვაგვარად ვერ ავხსნით, რომ ნამდვილი სწავლულნი, კაცნი განათლებულნი და მეცნიერნი არათუ განძარცვად, დიდ პატივად მიიჩნევენ, სიხარულითა და ღირსებით ეხვიონ გარს მშვენიერ გენიოსს, მიმზიდველ მამაკაცს, მისი შტაბი და ამაღლა შეადგინონ, ცოდნა თუ ცნობა მიაწოდონ, მისი ცოცხალი ლექსიკონები გახდნენ, მის განკარგულებაში იყვნენ, რათა თვით მას არ დასჭირდეს ცოდნის ხარახურა ათრიოს. სხვაგვარად ვერ ავხსნი, რომ ჩემსავით კაცი ნეტარი ღიმილით, რაც თვითონ მეც ზოგჯერ სულელურად მომჩვენებია, წლითიწლობით უბრალო მწერლად ვემსახურები.

– მომიტევეთ, ძვირფასო ბატონო პროფესორო, – შეაწყვეტინა შეცბუნებულმა შარლოტემ, რომელსაც ერთი სიტყვაც კი არ გამოჰპარვია, – ამით ხომ არ გინდათ თქვით, რომ მთელი ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მართლაც დაქვემდებარებულ, მეორეხარისხოვან და თქვენთვის შეუფერებელ საკანცელარიო სამსახურს ეწეოდით?

– არა, – უპასუხა რიმერმა რაღაც დროის შემდეგ, როცა აზრები მოიკრიბა, – ეს არ მინდა გითხრათ. და თუ ამის მაგვარი რამ ვთქვი, მაშ, ძალიან შორს შემიტოპავს. საჭირო არ არის საგნებზე გაზვიადებულ წარმოდგენათა შექმნა. ჯერ ერთი, სიყვარულით სამსახურმა, დიდსა და ძვირფას ადამიანს რომ უწევ, ღირსება და ხარისხები არ იცის. აქ ერთი ისეთივე დიდია და მცირე, როგორც მეორე. ამაზე როდი ვლაპარაკობ. მაგრამ

შემდეგ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ საერთოდ შეუფერებელია ჩვეულებრივმა ჯღაბნიამ წეროს მისი კარნახით. აფსუსია დიდი საქმე ასეთ უღირსს ჩაუგდო ხელში. რომელიმე მდივან ჯონს, კროიტერს ან მსახურს დააკისრო ეს საქმე იმას ნიშნავს, რომ ღორებს მარგალიტები დაუყარო. ასეთი აზრის თავში გაელვებაც კი გულისწყრომას მოჰგვრის განათლებულ კაცს, ვისაც გრძნობა და გონება გააჩნია. ასეთი საქმე შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მეცნიერს, მაშასადამე, ისეთ კაცს, როგორც მე ვარ, რომელსაც უნარი აქვს შეაფასოს ამ ვითარების მთელი მიმზიდველობა, მთელი მისი საკვირველება და ღირსება. სათაყვანებლო ქალბატონო, უნდა იცნობდეთ, უნდა დატკბეთ ამ საკვირველი, მდინარესავით მოჩუხჩუხე, საყვარელი, მჟღერი ხმის დრამატული კარნახით, საათობით მომდინარე, განუწყვეტელი, დაუოკებელი შემოქმედებით, რასაც უკიდურეს შემთხვევაში მოზღვავებული გრძნობა თუ შეაფერხებს ხოლმე. უნდა იხილოთ იგი ზურგზე ხელებდაწყობილი, ნათელ შორეთს მიჰყრობილი გამჭრიახი მზერა მისი, სიტყვისა და ფორმის მბრძანებლური და თითქოს

ლალი გრძნეულებით გამოწვევა, აბსოლუტური თავისუფლებისა და სითამამის სულის სამეფოში ბატონობა; ჩქარ-ჩქარა ვაწობ კალამს მეღანში და ვცდილობ კვალდაკვალ მივყვე, ყველაფერი ჩავიწერო მრავალი შემოკლებით. ასე რომ, შემდეგ გადათეთრებისთვის მაინც დიდი სამუშაო მრჩება; ყველაფერი ეს უნდა იცოდეთ და თვითონ განიცადოთ, დატკბეთ ამ საოცრებით, რომ გულმხურვალე მზრუნველობით მოეპყროთ თქვენს მოვალეობას და თავცარიელ ადამიანებს არ დაუთმოთ იგი. რასაკვირველია, უნდა შევნიშნოთ და დასამშვიდებლად გავიხსენოთ, რომ აქ არავითარ შემთხვევაში საქმე არ ეხება წუთიერ შემოქმედებას, რომ აქ ციდან სასწაულები არ ვარდება, აქ დღის სინათლეზე გამოდის ის, რაც წლების, შესაძლებელია, ათეული წლების განმავლობაში გულით უტარებია და სულში უმზადებია, დიდხანს ღრმად უფიქრია, და რომლის ერთი ნაწილი სამუშაო საათის წინ საკარნახოდ დაწვრილებით, ზუსტად და სათუთად მოფიქრებული და მოაზრებული, უკვე მზა სახით ხელთ ჰქონია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ წინაშე არა ზეგარდმო მირონცხებული და ნიჭიერი მგოსანი, არამედ უფრო მერყევი, ყოყმანა ადამიანი, გადადება რომ უყვარს, ამასთან ყველაფრის ამწონ-დამწონი, გაუბედავი, უწინარეს ყოვლისა, მეტისმეტად ადვილად რომ იღლება, მუდმივ, ხანგრძლივ

მუშაობას რომ ვერ უძლებს, ვერასოდეს ერთსა და იმავე ამოცანაზე დიდხანს რომ ვერ ჩერდება და იმის გამო, რომ უაღრესად დასაქმებულია, ყოველმხრივ მოღვაწეობაშია ჩაბმული, უმთავრესად მრავალი წელიწადი სჭირდება ერთი ნაწარმოების დასამთავრებლად. იგი ისეთი ბუნების კაცია, რომელიც სრულიად იდუმალი ზრდისა და მშვიდი განვითარებისადმი მიდრეკილი, ერთ ნაწარმოებს დიდხანს, ძალიან დიდხანს, შესაძლებელია ახალგაზრდობის დროიდანვე ითბობს მკერდში, სანამ მის განხორციელებას შეუდგებოდეს. მისი სიბუჯითე არსებითად და მთლიანად მის მოთმინებაშია. ამით მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალფეროვნებას ესწრაფვის, შეუძლია უშველებელი დროის განმავლობაში ჯიუტად და თავაულებლად უჯდეს ერთსა და იმავე საგანს და რთას და ქსოვოს გაუთავებლად. დამიჯერეთ, ყოველივე ეს ასეა: მე ხომ ამ გმირული ცხოვრების თავგადადებული დამკვირვებელი ვარ. ამბობენ და ამას თვითონაც სიამოვნებით ლაპარაკობს, რომ იგი დუმს და არაფერს ამბობს იმაზე, რაც მის გულსა და გონებაში საიდუმლოდ ყალიბდება და მზადდება, რათა ზიანი არ მიაყენოს, არავის გაუმხილოს, რადგან არავის შეუძლია გაიგოს ის გულითადი შემოქმედებითი და მომხიბლავი მშვენიერება, რის გამოც იგი აღფრთოვანებულია და რასაც იგი საგულდაგულოდ თავს ევლება. მაგრამ არც მთლად დაურღვეველია ეს დუმილი. ჩვენი კარის მრჩეველი მაიერი, ვგულისხმობ ხელოვნებათმცოდნე კუნშტმაიერს, როგორც მას ქალაქში დაარქვეს ციურიხზე დიალექტის გამო. აი, ეს მაიერი,[76] რომელსაც, არ ვიცი, რა სასწაულების გამო, იგი რანაირ დამსახურებას აღარ მიაწერს, ფრიად იკვებნის, რომ დიდმა მასწავლებელმა ვრცლად მიაიმბო «არჩევითი ნათესაობა» ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თავის გულში ატარებდაო; შეიძლება ეს მართალიც იყოს, რადგან ერთ დღეს მეც გატაცებით გადამიშალა ამ ნაწარმოების გეგმა, და ისიც მანამდე, სანამ მაიერს გაანდობდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ ნაბიჯზე წაღმა-უკუღმა არ ვბაქიბუქობ. რაც მე მახარებს და სიამოვნებას მანიჭებს, ეს ის არის, რომ საიდუმლოების ამგვარ განდობაში, ასეთ გულზიარობასა და გულღიაობაში ჩანს ადამიანური მოთხოვნილება, დაუძლეველი გრძნობა მიმნდობლობისა. რადგან კეთილისმყოფელი და მანუგეშებელია, სულის გამამხნეველებელი და გამაცისკროვნებელია, როდესაც დიდ ადამიანში აღმოაჩენ

ადამიანურ თვისებებს, მცირე ფანდებსა და გამეორებებს უნახავ, ეკონომიას შეამჩნევ, რაც ჩვენთვის ესოდენ თვალუწვდენელ სულიერ მეურნეობაში სუფევს. სამი კვირის წინ, თექვსმეტ აგვისტოს, ჩემთან საუბარში მან გერმანელებზე ისეთი რამ თქვა, ცოტა არ იყოს, უკბინა მათ კიდევაც; ცნობილია, რომ თავის ერზე ის მუდამ კარგს როდი ლაპარაკობს: «მე უკვე ვიცნობ სანუკვარ გერმანელებს: ჯერ გაჩუმებული არიან, მერე შარს ატეხენ, შემდეგ გზიდან ჩამოიცილებენ, გაქურდავენ და მიჩქმალავენ». მე ზუსტად მოგახსენეთ, საუბრის შემდეგ მაშინვე სიტყვასიტყვით ჩავიწერე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩინებულად მივიჩნიე, მეორეც, იმიტომ, რომ იგი მისი ფხიზელი და უაღრესად გასაგები გამოთქმის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად მომეჩვენა: როგორ მახვილგონივრულად და ზუსტად განსაზღვრა მან სახელდახელოდ გერმანელთა ცუდი ყოფაქცევის სტადიები. ბერლინში არის ვინმე ცელტერი,[77] მუსიკოსი და გუნდის ხელმძღვანელი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რატომ მიიჩნევს იმის ღირსად, რომ ძმურად შენობით მიმართავს. რას იზამ, ასეთ არჩევანსაც თავი უნდა დაუხარო, თუმცა აქ უნებურად გრეტჰენის სიტყვები გაგახსენდება: «ვერ გამიგია, რა ნახა მასში».[78] ეს, რაც უნდა იყოს და ვინც უნდა იყოს, სულერთია, – აი, სწორედ ამ ცელტერისგან გავიგე, რომ იგივე წინადადება, მე რომ თექვსმეტ აგვისტოს ჩავინიშნე, ზუსტად და სიტყვასიტყვით ეწერა ცხრა აგვისტოს თარიღით ტენშტედტიდან მიწერილ წერილში. ჩანს, ეს წინადადება მას ძალიან მოსწონდა, რომ დიდი ხანია შავით თეთრზე უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა, როდესაც საუბარში უეცრად წამოჭრილ გონებამახვილური აზრით შემომთავაზა, – ეს მცირეოდენი ცუდლუტობაა, რასაც ღიმილით შენიშნავს კაცი. საერთოდ, ასეთი მძლავრი გონებისა და სულის სამყაროც კი, რაოდენ ვრცელიც უნდა იყოს, მაინც ჩაკეტილი, შეზღუდული სამყაროა, მთლიანი და ერთიანი, სადაც მოტივები მეორდება და დიდი ხნის შემდეგ იგივე წარმოდგენები კვლავ ბრუნდება. «ფაუსტში» მარგარიტა შეყვარებულს უამბობს ბაღში იმ ძვირფასი საუბრის დროს თავის დაიკოზე, იმ ციციქნა გოგოზე, რომელსაც დედა ძუძუს ველარ აწოვებს, და ამრიგად ის თვითონ სულ მარტოდმარტო ზრდის «რძითა და წყალით». რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და აი, დღესაც ოტილიე შარლოტეს და ედუარდის ვაჟიშვილს სიყვარულით ზრდის «რძითა და წყალით». რძითა და

წყალითაო. რა მაგრად ჩამჯდარა ამ დიდი ადამიანის თავში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეს წარმოდგენა ამ მოცისფრო წყალწყალა, ბოთლში ჩასხმულ თხიერ საკვებზე. რძე და წყალი. ვერ მეტყვიტ, რატომ დავიწყე ამ რძესა და წყალზე ლაპარაკი, და რამ მომიყვანა ამ, როგორც მე მეჩვენება ახლა, სრულიად უქმ და გზასგადახვეულ საუბრამდე წვრილმან საკითხებზე?

– თქვენ ლაპარაკი დაიწყეთ იმ საპატიო ღირსებაზე, ბატონო დოქტორო, რომელიც შეგფერით ჩემი ახალგაზრდობის დიდი მეგობრის საქმესა და შრომაში თქვენი დახმარებისა და მონაწილეობისთვის, რაც ოდესღაც უთუოდ საისტორიო გახდება. ამასთან, ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ, თითქოს თქვენი სიტყვები უქმი და უინტერესო ყოფილიყოს!

– ნუ უარყოფთ, პატივცემულო ქალბატონო! როცა საუბარი ჩამოვარდება ყველაზე დიად, ყველაზე მწვავე საკითხსა თუ საგანზე, მუდამ უქმ რაღაცებს ლაპარაკობენ. გამალებით, ციებაატანილივით რაღაც აბდაუბდას ამბობენ, არათუ საკუთრივ მნიშვნელოვანსა და მწვავე საკითხს არ ეხებიან, არათუ უგუნურად გამოტოვებენ, არამედ თვითონაც ეჭვი ეპარებათ, რომ მათ მიერ თქმული ყველაფერი მხოლოდ საბაბია იმისა, რომ ნამდვილსა და მნიშვნელოვანს გვერდი აუარონ. არ ვიცი, რა უთავობა, შიში თუ დაბნეულობაა ეს. ყოველ შემთხვევაში, აქ შეიძლება შეგუბების, შეკავების მოვლენაზეც იყოს ლაპარაკი: სწრაფად გადმოაპირქვავეთ სავსე ბოთლი, ნახავთ, რომ სითხე უცბად არ წამოვა, ბოთლში შეყოვნდება, თუმცა გზა გახსნილი აქვს. ეს მოგონება და ასოციაცია იმდენად არაარსებითია, რომ ახლა კვლავ სირცხვილს ვგრძნობ. და მაინც მინდა ვთქვა! რა ხშირად არის, რომ ჩემზე ბევრად დიდი ადამიანები, განუზომლად დიდი ადამიანები, არაარსებით ასოციაციებს გვერდს ვერ უვლიან! აი, ჩემი მეორადი ან, სიმართლეს თუ ვიტყვით, მაინც მთავარი და

ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთი მაგალითი რომ მოგახსენოთ: გასული წლიდან ვაქვეყნებთ ახალ სრულ გამოცემას, გათვალისწინებულია ოცი ტომი. გამოსცემს კოტა[79] შტუტგარტში და საკმაოდ კარგ თანხასაც იხდის, თექვსმეტი ათას ტალერს.[80] ფართო გაქანების დიდსულოვანი, უფრო მეტიც, გაბედული კაცია! ის რაღაც მსხვერპლს იღებს, დამიჯერეთ, რადგან უდავოა, რომ საზოგადოებას ჩვენი მგოსნის ნაწარმოებთა დიდი ნაწილის

შესახებ უბრალოდ არც კი სურს რომ იცოდეს რამე. და აი, ამ სრული გამოცემის მიზნით მე და მან ერთად ხელახლა გადავხედეთ «სწავლის წლებს»; ჩვენ ერთად წავიკითხეთ თავიდან ბოლომდე; ამასთან მე მომიხდა ზოგიერთ წმინდა გრამატიკულ საეჭვო შემთხვევებზე მითითება, აგრეთვე შევძელი უდავო სასარგებლო რჩევა-დარიგება მიმეცა მართლწერისა და სასვენ ნიშანთა ხმარების დარგში, რაშიც იგი მაინცდამაინც ძლიერი ვერ გახლავთ. აგრეთვე შიგადაშიგ რამდენჯერმე ჩამოვარდა მშვენიერი საუბარი მის სტილზე: ის ფრიად გაერთო, როცა ეს სტილი დავუხასიათე და განვუმარტე, რადგან მან ცოტა რამ იცის თავის თავზე, ყოველ შემთხვევაში თვითონვე აღიარა, რომ იმ დროს, როდესაც «მაისტერს» წერდა, სამუშაოს მთლად ძილში მოარულივით შეუდგა. ამიტომ ბავშვურ სიამოვნებას ჰგვრის, როცა მას გონებამახვილურად განმარტავენ, რაც კვლავ არც მაიერის და არც ცელტერის, არამედ ფილოლოგის საქმეა. ღმერთმა უწყის, რა მშვენიერი იყო ის საათები, როდესაც ვკითხულობდით ნაწარმოებს, რომელიც ეპოქის სიამაყეა და ყოველ ნაბიჯზე აღტაცების ამდენ საბაბს გვაძლევს, თუმცა გასაოცარია, რომ მასში თითქმის სულ არ არის ბუნების ხოტბა და პოეზია, ხედების,

შემოგარენის სურათები. რაკი უქმ ასოციაციებზე ვლაპარაკობდით, პატივცემულო ქალბატონო, რა გრძელ-გრძელი, ცივი, მშვიდი მრავალსიტყვაობა გვხვდება შიგადაშიგ ამ წიგნში! უმნიშვნელო აზრთა ძაფების რა ნართი და ნათხზია! ხშირად საჭიროა ამაში გარკვევა! – მთელი მიმზიდველობა, მშვენიერება და დამსახურებაც მხოლოდ უკვე დიდი ხნის მოაზრებულისა და ნათქვამის საბოლოო, მარჯვე, ნათელ, გამამხნეველ და ზუსტ ფორმულირებაში უნდა ვეძიოთ, რასაც უკავშირდება, რასაკვირველია, სიახლის ნიშან-თვისებები და მიმზიდველობა, მეოცნების ისეთი სითამამე და უაღრესი გამბედაობა, სუნთქვას რომ შეუკრავს ადამიანს. დიახ, თავდაჭერილი, თავაზიანი სიდარბაისლისა და სითამამის ეს წინააღმდეგობა, თვით უგუნურებაც კი არის სწორედ წყარო იმ ტკბილი მღელვარებისა, რომელსაც ჩვენ ეს ერთადერთი და თავისებური ავტორი გვარგუნებს. როდესაც ერთ დღეს სათანადო სიფრთხილით ვუთხარი ეს მას, გაიცინა და მითხრა: «კეთილო ბავშვო, მე ვერ შევცვლი იმის გამო, რომ ჩემი სასმელი ზოგჯერ თავს გიხურებთ». ის გარემოება, რომ მე, ორმოც წელს გადაცილებულ კაცს, რომელსაც შემძლია ზოგ რამეში რჩევა-დარიგება მივცე, «კეთილ ბავშვს» მიწოდებს,

ვინმეს უცნაურად შეიძლება ეჩვენოს, მაგრამ ეს მე გულს მიჩუყებს კიდევ და სიამაყითაც მივსება, რადგან ასეთი მიმნდობლობა ყოველ შემთხვევაში იმას ამტკიცებს, რომ ეს სიახლოვე სრულიად სპობს განსხვავებას მაღალ და დაბალ, ღირსეულ და უღირს სამსახურს შორის. ჩვეულებრივი ჩამწერის სამსახური? ამის გამო მხოლოდ მედიმება, პატივცემულო კარის მრჩევლის მეუღლე. იმიტომ რომ, ხანგრძლივად, მრავალი წლის განმავლობაში, დიდ ნაწილს მიწერ-მოწერისას ვეწეოდი არა მარტო მისი კარნახით, არამედ სრულიად დამოუკიდებლადაც მისთვის, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვითომც თვითონ მას დაეწეროს, ვწერდი მის მაგიერ, მისი სახელითა და სულისკვეთებით. როგორც ხედავთ, აქ ისეთი სახისა და ხარისხის დამოუკიდებლობას ვიღებთ, რაც თითქოს დიალექტიკურად თავის საპირისპიროში გადადის და სრულ თვითგასხვისებად იქცევა, ისე რომ მე აღარც კი ვარსებობ საერთოდ და მხოლოდ ის ლაპარაკობს ჩემი პირით, რადგან მე ისეთ ძველებურ კურიალურ, საკარო-სასამართლო, არაბუნებრივ და მეტისმეტად ღვლარჭნილ წინადადებებს ვხმარობ, რომ ჩემ მიერ შედგენილი წერილები უფრო გოეთესებრი ჰგონიათ, ვიდრე თვით მის მიერ ნაკარნახევი; და რაკი საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი ჩემი საქმიანობა, ამიტომ ხშირად მტანჯველი ეჭვი წარმოიშობა ხოლმე, ესა თუ ის წერილი მე დავწერე თუ მან, თუმცა ყოველივე ეს უგუნური და ფუჭი ზრუნვაა! ბოლოს ხომ სულერთია, როგორც ამას ვინმე გამკილავი კილოთი დაუმატებდა. მართალი გითხრათ, მეც შემიპყრობს ხოლმე ეჭვი, მაგრამ ის უფრო ღირსების პრობლემას ეხება, რაც ერთ-ერთ უძნელეს და ამაღელვებელ პრობლემად რჩება. საკუთარ მამაკაცურ მეობაზე ხელის აღება, საერთოდ თუ ვიტყვით, ერთგვარად სამარცხვინოც კია, – ყოველ შემთხვევაში ხანდახან ვეჭვობ, რომ ასეა. მაგრამ თუ ამ სახით გოეთედ იქცევი და მის წერილებს წერ, ამაზე უფრო დიდი პატივი და დაფასება წარმოუდგენელიც კია. მეორე მხრივ, ვინ არის იგი? საბოლოოდ ვინ არის ყოველივე ამის შემდეგ იგი, ვისი გულისთვისაც დიდ პატივადაც კი მიგვაჩნია საკუთარი ცხოვრება და მეობა მას შევწიროთ და მის პიროვნებაში ჩავიკარგოთ? ლექსები, ღმერთმა უწყის, რა მშვენიერი და დიდებული ლექსებია! მეც პოეტი ვარ – anch'io sono poeta, მაგრამ შეუდარებლად მცირე, ამას თავზარდაცემული მოგახსენებთ. ისეთი ლექსები ჰქონდეს კაცს დაწერილი, როგორიც არის «მიძგერდა გული», «განიმედე»

ან «იცნობ შენს მხარეს» – ერთ-ერთი მათგანიც რომ ჰქონდეს ადამიანს დაწერილი, რას არ გაიღებდა, – ო, ჩემო ძვირფასო, – იგულისხმება, რომ ბევრი რამ უნდა ჰქონოდა გასაცემი! მართალია, მას აქვს ფრანკფურტული რითმებიც, რომელთაც ხშირად მიმართავს, რადგან იგი დაუეჭვებლად რითმავს «ცაიგენ» (ჩვენება) და «ვაიჰენ» (გადახრა), იმიტომ, რომ ზეპირსიტყვიერადაც ამბობს «ციჰენ», ისიც თუ მთლად «ცაიშეს» არ ამბობს, – ასეთ რითმებს ჩემს ლექსებში ვერ შეხვდებით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მე ფრანკფურტელი არ გახლავართ, გარდა ამისა, ჩემს თავს ნებას არ მივცემ, ასეთი რითმები ვიხმარო. მაგრამ განა მას მართლაც ესა აქვს ერთადერთი ადამიანური თავის შემოქმედებაში? არა და არა! რა თქმა უნდა, არა! რადგან მისი ნაწარმოებები ბოლოს და ბოლოს ადამიანის შემოქმედებაა, ადამიანის ხელით ქმნილი და არასგზით მართლ სრულქმნილი ოსტატური თხზულებებისგან არ შედგება. არც თვითონ მას ჰგონია ასე, «ვინ ქმნის მხოლოდ და მხოლოდ სრულქმნილ დიდ ოსტატურ ნაწარმოებებს?» – სრულიად სამართლიანად იტყვის ხოლმე იგი. «კლავიგოს» მისი ახალგაზრდობის მეგობარმა, ჰკვიანმა მერკმა[81], – თქვენ ხომ იცნობთ მას – «როშვა» უწოდა. თუმცა არც მისთვის უნდა იყოს ეს აზრი უცხო და შორეული, რადგან ამის თაობაზე ისიც იტყვის ხოლმე: «ყველაფერი ხომ არ შეიძლება ყველაფერზე უკეთესი იყოს». არის კი ეს თავმდაბლობა, თუ არა? მაშ რა არის ეს? მაშინ იგი საეჭვო თავმდაბლობაა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ის გულის სიღრმეში ნამდვილად თავმდაბალია, იმდენად თავმდაბალი, რომ სხვა მის ადგილზე შესაძლებელია არც ყოფილიყო ასე თავმდაბალი. ის კი არა, გაუბედაობაც შევნიშნე მას. «არჩევითი ნათესაობის» დასრულების შემდეგ ის მართლაც ხმას ვერ იღებდა მორიდებულობის გამო. შემდეგლა შეექმნა მას ის დიდი წარმოდგენა ამ ნაწარმოებზე, რისი ღირსიც უეჭველად არის. იმდენად მგრძნობიარეა ქებისადმი, რომ სწამს, მაღალოსტატური ნაწარმოები შექმნა, თუმცა ადრე თვითონ სერიოზული ეჭვებით იყო შეპყრობილი. რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მის თავმდაბლობას თან თვითცნობიერებაც, თვითდარწმუნებაც ახლავს, რაც ხანდახან უცნაურობამდე მიდის. როცა თავისი ბუნების უცნაურ თვისებებზე, ერთგვარ სისუსტესა და მძიმე მხარეებზე ლაპარაკობს, ისიც კი შეუძლია მიამიტურად დაურთოს: «ყოველივე ეგ ჩემი დიდი ღირსებების შებრუნებულ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ». გარწმუნებთ,

გაოცებისგან კაცს პირი ღია დარჩება, როცა ასეთ რამეს მოისმენს, თითქმის შეაჯრუოლებს კიდეც ამგვარი გულუბრყვილობის გამო, თუმცა იმასაც აღიარებს: ალბათ, ასეთ მიაშიტიობასთან არაჩვეულებრივი სულიერი და გონებრივი ნიჭიერების შეხამებაა, რომ მსოფლიოს აღტაცებას იწვევს. მაგრამ განა შეიძლება ამით დაკმაყოფილება? განა ეს კმარა მამაკაცის მსხვერპლად თავშეწირვის გასამართლებლად? რატომ არის მხოლოდ ის ესოდენ განდიდებული? ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, როდესაც სხვა პოეტებს ვეკითხულობ, უწყინარ, ღვთისმომშიმ კლაუდიუსს,[82] სანუკვარ ჰელტის,[83] კეთილშობილ მატისონს.[84] განა მათ ნაწარმოებებში არ ისმის ბუნების საამო ჟღერა, შინაგანი გულწრფელი სულიერი ცხოვრების ხმა და ძვირფასი გერმანული მელოდია, ნუთუ მხოლოდ მასთან გვხვდება იგი? «აღავსებ კვლავ ბუჩქსა და ველს...» – მარგალიტია, ჩემს სადოქტორო დიპლომს მივცემდი, ამ ლექსის ორი სტროფიც რომ შემეჩქმნა. მაგრამ ვანდსბეკერის «მთვარე ამოცურდა»[85] განა ნაკლებია, და განა ჰოლტის «მაისის ღამეს» ითაკილებდა იგი? – «როცა ვერცხლისფერი მთვარე ბუჩქნარში ციმციმებს». სრულიადაც არა. პირიქით! შეგვიძლია მხოლოდ სიხარული გამოვხატოთ, რომ მის გვერდით სხვებიც მხნედ დგანან, მისი სიდიადის გამო არ იჩაგრებიან, არ ისრისებიან და არ ბეჩავდებიან, არ დადამბლავებულან, პირიქით, მის გულმართლობას თავისას უპირისპირებენ და ისე მღერაინ, თითქოს ის არც არსებობდეს. ამის გამო მათ სიმღერას მით უფრო მეტად უნდა ვცემდეთ პატივს, რადგან მარტო ნაწარმოების აბსოლუტურ ღირსებას როდი უნდა ვსინჯავდეთ, იმის ზნეობრივ მხარესაც ხომ უნდა ვაფასებდეთ, რა პირობებში იქმნებოდა იგი. გეკითხებით: მხოლოდ ის რატომ განადიდეს ასე! კიდეც რა არის ის, რაც მას ნახევარღმერთად აქცევს, ვარსკვლავებამდე აღამაღლებს? ძლიერი, დიადი ხასიათი? მაგრამ რა დიადი ხასიათისა არიან მისი გმირები – ედუარდი, ტასო, კლავიგო და თუნდაც თვით მაისტერი ან ფაუსტი? იგი თავის თავს რომ ხატავს, მაგით მხოლოდ პრობლემატიკოსებს, ხელმარცხიანებსა და დონდლოებს გვიხატავს. ჭეშმარიტად, უძვირფასესო ქალბატონო, არის ისეთი საათები, როდესაც მე დიდი ბრიტანელის, «კეისრიდან» კასიოს სიტყვებს ვიგონებ: «ოჰ, ღმერთნო, მიკვირს, ვით შეიძინა ესე სუსტმა ეს ძლიერება და ამ დიდებულ ცისქვეშეთსა დაეპატრონა!»[86].

სიჩუმე ჩამოვარდა. რიმერის დიდი თეთრი ხელები, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე რომ ოქროს ბეჭედი უბრწყინავდა, შესამჩნევად კანკალებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯოხის ბუნიკზე დაეყრდნო. მოხუცი ქალიც მიწყვიტ განაგრძობდა ჩქარ-ჩქარა თავის კანტურს. შარლოტემ მოახსენა:

– მე თითქმის ვალდებულად ვგრძნობ თავს, ბატონო დოქტორო, დავიცვა ნეტარხსენებელი ჩემი განსვენებული ქმრისა და ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი, «ვერტერის» შემქმნელი. ავტორი იმ შედეგისა, რომელსაც თქვენ არც კი ახსენებთ, თუმცა იგი მისი დიდების საყრდენია და, ჩემი აზრით, მაინც ყველაზე მშვენიერია იმ ნაწარმოებთა შორის, რაც მას დაუწერია. დიახ, დავიცვა იმ ერთგვარი საწინააღმდეგო მოსაზრებებისგან, რომლებიც თქვენ, როგორც ჩანს, გნებავთ მის სიდიადეს დაუპირისპიროთ. მაგრამ მე თავს ვიკავებ ასეთი ცდუნებისა თუ მოვალეობისგან, როგორც კი გავიხსენებ, რომ

ამ დიდებულ ადამიანთან, მე ვიტყვოდი, თქვენი კეთილდამოკიდებულების გრძნობა ჩემსას როდი ჩამოუვარდება, რომ ცამეტი წელიწადია მისი მეგობარი და თანაშემწე ბრძანდებით, და თქვენი კრიტიკა – არ ვიცი, რა უნდა დავარქვა მას – მოკლედ, რასაც თქვენი შეხედულებათა წესის რეალიზმი ვუწოდებ – გულისხმობს ერთგული ალტაცების ერთგვარ საზომს, რომლის წინაშეც დაცვა ჩემი მხრივ სასაცილოც კი იქნებოდა და მხოლოდ გაუგებრობას გამოიწვევდა. მე ერთი უბრალო ქალი გახლავართ, მაგრამ სავსებით მესმის, რომ ზოგიერთ რამეს მხოლოდ იმიტომ ამბობენ, რომ სხვაზე უფრო ღრმად არიან იმ შეგნებით გამსჭვალული, საგანი მათ კრიტიკას იოლად გაუძლებს, თუმცა აქ ალტაცება გულისწყრომის ენით ლაპარაკობს და ძრახვა, გაკილვა ხოტბა-ქების სხვა ფორმად იქცევა. სწორად თუ გაგიგეთ?

– თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, – უპასუხა მან, – როცა იმის მხარეზე დგებით, ვინც დაცვას საჭიროებს, თანაც მეგობრულად და სწორად განმარტეთ ჩემი სიტყვები, შემთხვევით რომ წამომცდა. გულახდილად უნდა ვაღიარო, არც კი ვიცი, რა ვთქვი, მაგრამ თქვენი სიტყვებიდან ვასკვნი, რომ შემთხვევით რაღაცები წამცდენია, გადამიჭარბებია. ზოგჯერ ენა წვრილმანებში ოინს გვიწყობს, უნებლიეთ ერთ-ორ სიტყვას უაღრესად კომიკურად შევატრიალებთ და იძულებული ვხდებით, მსმენელებთან ერთად გავიციხოთ

ჩვენს თავზე. მაგრამ დიდ საკითხებში წანაცდენიც დიდ ზომას აღწევს; ღმერთი სიტყვას დიდხანს აბრუნებს და ატრიალებს ჩვენს პირში ისე, რომ ვაქებთ იმას, რაც გვინდოდა გაგვეკიცხა, და ვწყველით იმას, რისი დალოცვაც გვსურდა. მე წარმომიდგენია, რომ ზეციერთა სამეფო ზანზარებს ჰომერული ხარხართ ჩვენი ესოდენი ენამარცხიანობის გამო. მაგრამ სერიოზულად ვთქვათ: უსარგებლოდ და შეუფერებლად მიმაჩნია, როდესაც დიადზე ნიადაგ იმას გაიძახიან: «დიადია! დიადია!», და სირეგვნეც კია, ადამიანმა უალრეს მომხიბვლელობაზე ქათინაურით ილაპარაკოს. საუბარიც ხომ სწორედ ამას ეხება – უსათუთეს ფორმას, რომლითაც სიდიადე, პოეტური გენია, გვევლინება დედამიწაზე; ლაპარაკია დიადზე, რომელიც უმაღლესი სიყვარულის ღირსი მომჯადოებელი ფორმით წარმოგვიდგება, მომჯადოებელი, სიყვარულის ღირსი, ამაღლებული სიდიადე. ამრიგად ცხოვრობს იგი ჩვენ შორის და ანგელოზის ენით მეტყველებს. დიახ, ანგელოზის ენით, უძვირფასესო ქალბატონო! გადაშალეთ მისი ნაწარმოები, გახსენით მისი შემოქმედებითი სამყარო, სადაც გნებავთ; ავიღოთ თუნდაც «პროლოგი თეატრში»[87] – ამ დილასაც გადავიკითხე ხელახლა, სანამ დალაქს ველოდებოდი. აიღეთ თუნდაც ისეთი მხიარული და ღრმააზროვანი სასხვათაშორისო ლექსი, როგორც არის იგავი ბუზის სიკვდილზე:

პირველი ყლუპი რაკი იგემა,[88]

შხამიან სასმელს სწოვს და კვლავ უნდა;

ნეტარებს მეტად და ველარა გრძნობს,

ფეხის სახსრები რომ დაუდუნდა...

მაგრამ სასაცილო შემთხვევაა, უალრესად ბრმა თვითნებობა, რომ სწორედ ეს ამოვირჩიე და არა სხვა რომელიმე მისი უძვირფასესი თვალმარგალიტის თვალუწვდენელი საგანძურიდან – მოკლედ, განა ყოველივე ანგელოზის ბაგეებით არ არის თქმული, ღვთაებრივი ბაგეებით არ არის სრულქმნილ მშვენიერებად ჩამოქნილი, გამოქანდაკებული და გამოძერწილი ყოველი მოვლენა, ყოველი სახე, ყოველი ნაწარმოები, – პიესა, სიმღერა, მოთხრობა, გერმანული ნაკვესები, ფრთიანი გამოთქმები, ყველაფერს მისი პიროვნული მომხიბლაობის, – ეგმონტისებრი

მომჯადობელობის ბეჭედი აზის! ასე ვუწოდებ მე. სწორედ ეს ნაწარმოები იჭრება ახლა ჩემს აზრებში, რადგან აქ განსაკუთრებული ბედნიერი ერთიანობა და შინაგანი შესაბამისობა სუფევს, თუმცა გმირის არცთუ მთლად წუნდაუდებელი ღირსება თავად ამავე ნაწარმოების არცთუ ესოდენ წუნდაუდებელ ღირსებას ზუსტად შეესატყვისება. ანდა აიღეთ მისი პროზა, მოთხრობები და რომანები, – ამ თემას ჩვენ, მგონია, უკვე შევვხებით. ბუნდოვნად მახსოვს, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ, რაღაც წამცდა კიდეც. არ არსებობს ამაზე უფრო ოქროსავით ბრწყინვალე და მიმზიდველი მომხიბლაობა, ამაზე უფრო მოკრძალებული და ნათელი გენიალობა. აქ არ არის არც ზარ-ზეიმი, არც მაღალფარდოვნება, ამაღლებული გრძნობა, ენთუზიაზმი, არც გარეგნულად საზეიმო ამაღლებული სტილი,

– თუმცა ყველაფერი შინაგანად საოცრად ამაღლებული და დიადია, და გადმოცემის ყოველი სხვა სტილი, სახელდობრ ამაღლებული სტილი, მასთან შედარებით უგვანი ჩანს, – არავითარი ზარ-ზეიმი და ქადაგის მანჭვა-გრეხა, არავითარი აღზნებულობა და გადაჭარბება, არავითარი ცეცხლოვანი გრიგალები და ვნებათა გუგუნი თუ ჭექა-ქუხილი, – წყნარ, ნაზ შრიალსა და ჟღურტულში, ჩემო სანუკვარო, ღვთაებაც აქ არის. შეიძლება ვინმემ საღ თუ ფხიზელ განსჯასა და წმინდა, პეწგაკრულ სიკობტავეზე ილაპარაკოს, თუ იმაზე არ ვიფიქრებთ, რომ ამ ენას, რასაკვირველია, ყოველთვის უკიდურესობანი მოსდგამს, მაგრამ ის მაინც შუა ხაზს მისდევს, დინჯად, დარბაისლურად, სრული წესიერებით, მისი სითამამე თავშეკავებულია, მისი გამბედაობა – ოსტატური, პოეტური ტაქტი – უცდომელი. შესაძლებელია, მე მუდამ ღრმად ვიჭრები, ძალიან გავაბი ლაპარაკი და რაღაც წამცდეს, მაგრამ ვფიცავ, – თუმცა ამ საქმეში მხურვალე ფიცი აბა, რა მოსატანია, – რომ ახლა ისევე ვცდილობ სიმართლე ვილაპარაკო, როგორც მაშინ, როდესაც საწინააღმდეგო გამოთქმებს ვხმარობდი. მე ვამბობ, ვცდილობ, ვთქვა, რომ ყველაფერი საშუალო სიძლიერით, საშუალო რეგისტრშია ნათქვამი, სრულიად ზომიერად, მთლად პროზაულად, მაგრამ ეს საოცრად ლალი პროზაიზმია, როგორც კი მსოფლიოს უნახავს: ახალშექმნილ სიტყვას აქვს რაღაც ღიმილნარევი ჯადოსნური გრძნეული აზრი, ნათელმხიარულ მოლანდებად იქცევა, იმავე დროს ოქროსფერიც კი ხდება, ანუ «ოქროსებრი», როგორც მის სამშობლოში ამბობენ, და სრულიად ამაღლებული, სასიამოვნოდ თავშეკავებული, ფაქიზად

მოდულირებული, სრულიად ბავშვური, ჭკვიანური თილისმა ზნეკეთილი სითამამით არის გამოხატული.

– თქვენ შესანიშნავად ლაპარაკობთ, დოქტორო რიმერ. მე დიდი მადლობის გრძნობით გისმენთ, რასაც სიზუსტე აღძრავს. თქვენ საქმის ვითარებას ისე აღწერთ, რომ იგი საფუძვლიან ცოდნას, ხანგრძლივ და გამჭრიახ დაკვირვებას მოწმობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა გამოგიტყდეთ, დარწმუნებული არა ვარ, არის კი მთლად გაუმართლებელი თქვენი სიფრთხილე, როცა ასეთ არაჩვეულებრივ საგანზე ამბობთ, შეიძლება ახლაც რამე წამცდესო. არ შემიძლია უარყო, რომ ჩემი სიამოვნება, ჩემი მოწონება ჯერ კიდევ საკმაოდ შორს არის ნამდვილი კმაყოფილებისგან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სავსებით კმაყოფილი ვარ. თქვენს ხოტბაში, – შესაძლებელია სწორედ მაგ თქვენი სიზუსტის გამო, – არის რაღაც დამამცირებელი. მას მუდამ გაკილვის ელფერი დაჰკრავს, რაც გულის სიღრმეში იდუმლად მაშინებს და ჩემი გულის წინააღმდეგობას აწყდება. გული მიგრძნობს და მეუბნება, მაგ თქვენს სიტყვებს მცდარი ვუწოდო. შესაძლებელია მართლაც სირეგვნე იყოს, დიადზე სულ ის იძახოს კაცმა: «დიადია! დიადიასო!» ეგებ თქვენ ამჯობინებთ მასზე მეტისმეტი სიზუსტითა და დაწვრილებით ილაპარაკოთ, რომლის ხასიათიც, დამერწმუნეთ, მესმის, რადგან ვიცი, კარგად ვგრძნობ, რომ იგი სიყვარულისგან წარმოდგება. მაგრამ გთხოვთ, ჩემი კითხვა ცუდად არ გაიგოთ, არის კი მიზანშეწონილი მარტოოდენ წვრილმანი სიზუსტით ახსნათ პოეტური შთაგონების ნაწარმოები?

– შთაგონება, – გაიმეორა რიმერმა. მან დინჯად და ნელ-ნელა დახარა თავი ჯოხის ბუნიკისა და მასზე დაწყობილი ხელებისკენ. მაგრამ უცბად შეჩერდა და მოძრაობას მიმართულება შეუცვალა, თავი მარჯვნივ და მარცხნივ აქეთ-იქით გააქნია.

– თქვენ ცდებით, – თქვა მან, – იგი შთაგონებული არ არის. იგი რაღაც სხვა არის, არ ვიცი, რა, შესაძლებელია, უფრო მაღალიც კი. ჩვენ ვამბობთ: იგი მაღლით არის გაცისკროვნებულიო, მაგრამ შთაგონებული არ გახლავთ. შეგიძლიათ უფალი ღმერთი შთაგონებულად წარმოიდგინოთ? არ შეგიძლიათ. ღმერთი საგანია შთაგონებისა, მაგრამ თვით შთაგონება მისთვის აუცილებლად უცხოა. შეუძლებელია, თავისებური

სიცივე, გამანადგურებელი გულგრილობა არ მიაწერო. რისთვის უნდა, რას აქნევს ღმერთი მაგ შთაგონებას? ვის მხარეს უნდა დადგეს? ის ხომ ერთი მთლიანია, და თვით არის იგი თავისი მხარეც და თვითონვე დგას თავის მხარეზე, მისი საქმეც, ცხადია, ყოვლისმომცველი ირონიაა. მე თეოლოგი არ გახლავართ, სათაყვანებლო ქალბატონო, არც ფილოსოფოსი, მაგრამ გამოცდილებამ მაიძულა, მეფიქრა, ყოვლისა და არარაობის ნათესაობაზე, თვისებრიობაზე, მათ ერთიანობაზეც კი, ნიჰილიზმზე, და, თუ ნებას მომცემთ ამ ავბედითი სიტყვიდან გამოვიყვანო ნაწარმოები სიტყვა, რომელიც აზრთა წყობას, მსოფლდამოკიდებულებას აღნიშნავს, მაშინ ყოვლისმომცველ გონს იმავე უფლებით ნიჰილიზმის გონი შეიძლება ვუწოდოთ, – საიდანაც ის დასკვნა გამოვიდოდა, რომ სრულიად მცდარია, როცა ღმერთი და ეშმაკი ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპებად მიაჩნიათ. პირიქით, თუ სწორად შევხედავთ საქმეს, ეშმაკისეული ღვთაებრივის მხოლოდ ერთი მხარეა. თუ გნებავთ, შებრუნებული მხარე, თუმცა რატომ შებრუნებული მხარე? აბა, სხვაგვარად როგორ იქნება? რაკი ღმერთი მთლიანობაა, მაშინ იგი ეშმაკიც არის; ცხადია, ღვთაებრივს ვერ მიუახლოვდები, თუ ეშმაკისეულსაც არ მიუახლოვდი, ასე ვთქვათ, ერთი თვალიდან ზეცა და სიყვარული იცქირება, მეორიდან კი – გამყინავი უარყოფისა და გამანადგურებელი ნეიტრალობის ჯოჯოხეთი. მაგრამ ორი

თვალი, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, სულერთია, ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ თუ შორიშორ, ერთ მზერას, ერთ მხედველობას ქმნის. და ახლა მინდა გკითხოთ: ეს რა მზერაა, რომელშიც თვალთა ესოდენ შემაძრწუნებელი წინააღმდეგობა ქრება? მე მინდა გითხრათ თქვენ, დიახ, თქვენ, და ამავე დროს ვუთხრა ჩემს თავს: იგი ხელოვნების, აბსოლუტური ხელოვნების მზერაა, რომელიც ამავე დროს აბსოლუტური სიყვარული და აბსოლუტური განადგურება ან გულგრილობა გახლავთ, და იმ ღვთაებრივ-ეშმაკეულთან შემაშფოთებელ მიახლოებას ნიშნავს, რასაც ჩვენ «დიადს» ვუწოდებთ. აი პასუხიც... ამას რომ ვამბობ, ასე მგონია, ეს სწორედ ის არის, რაც თქვენთვის მინდოდა მეთქვა იმ წუთიდან, დალაქმა თქვენი ჩამოსვლის ამბავი რომ მაუწყა, რადგან ვიფიქრე, დაგაინტერესებდათ, თუმცა იმ ინტერესმაც მომიყვანა აქ, რომ საკუთარი სულისთვის შვება მიმეცა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს წვრილმანი როდია, ცოტა არ იყოს, ამაღელვებელი და გამაღიზიანებელიც კი არის, ამ

გამოცდილებით ყოველდღიურად ცხოვრობდე და უყურებდე ასეთ ფენომენს, რაც ძალთა ერთგვარ დაძაბვას მოითხოვს და რასაც მაინც ვერ გავეყარე, რათა როსტოკს გავემგზავრო, სადაც ამისთანა რამეები უდავოდ აღარ შემხვდება, არადა, სრულიად შეუძლებელია... იმისთვის, რომ საქმის მდგომარეობა უფრო კარგად აგიჩეროთ, – მე მგონია, არ ვცდები, როცა ვფიქრობ, რომ თქვენ ასეთი რამ დაგაინტერესებთ და ამის თაობაზე ჩემგან უფრო დაწვრილებითი რამეების მოსმენას მოისურვებთ, – მოკლედ, თუ ნებას დამრთავთ ორიოდ სიტყვა ამ მოვლენის თაობაზე კიდევ წარმოვთქვა, უნდა მოგახსენოთ, რომ მას ხშირად გაუხსენებია ჩემთვის იაკობის კურთხევა შესაქმის, საღმრთო წერილის პირველი წიგნის ბოლოს, სადაც, მოიგონეთ, ნათქვამია, რომ იოსებს შეეწია ყოვლად ძლიერი ღმერთი: «გაკურთხა შენ კურთხევითა ზეცისათა ზენაით, და კურთხევითა ქუეყანისა მტვირთელისა ყოველთასა».[89] მაპატიეთ, მხოლოდ მოჩვენებითი შორი გადახვევა გახლავთ, როცა საღმრთო წერილიდან ეს ადგილი მომყავს, – მე ჩემს აზრებს ერთად მოვუყარე თავი და სრულიად არ მელის ჩემს ფიქრთა ძაფის დაკარგვის ხიფათი. ჩვენ ხომ ვლავარაკობდით უძლიერეს სულიერ ნიჭთა და გასაოცარი მიაშიტობის ერთი ადამიანის აღნაგობაში გაერთიანებაზე და აღვნიშნეთ, რომ სწორედ ეს შეერთებაა, კაცობრიობის უდიდეს აღფრთოვანებას რომ იწვევს. იმ კურთხევის სიტყვებში სხვა არაფერზეა ლაპარაკი. საქმე ეხება სწორედ სულისა და ბუნების ორმაგ კურთხევას, რაც, თუ კარგად ჩავუფიქრდებით, საერთოდ მთელი კაცთა მოდგმის კურთხევაა, მაგრამ მთლიანად იგი წყევლაა და ამიტომ შიშით შეპყრობის გრძნობა უფრო არის; ადამიანი თავისი არსების მნიშვნელოვანი ნაწილით ძირითადად ხომ ბუნებას ეკუთვნის, მეორე ნაწილით კი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ნაწილით – გონის სამყაროს, ისე რომ ეს შეიძლება ერთგვარად სასაცილო, მაგრამ საქმის მთელი ვითარების გამომხატველი სახით საკმაოდ კარგად გამოითქვას: ცალი ფეხით ერთ სამყაროში ვდგავართ, მეორე ფეხით – მეორე სამყაროში, – თავსატეხი მდგომარეობაა, რომლის სინელის ღრმად და ცხოვლად შეგრძნობა ქრისტიანობამ გვასწავლა: კაცი ქრისტიანია, თუ ამ საშიშ და ხშირად სამარცხვინო სიტუაციას ნათლად უწევს ანგარიშს და ბუნებრივი ბორკილებისგან გათავისუფლებული, წმინდას და სულიერს ესწრაფვის. ქრისტიანობა კაემანია, ჭირთა თმენაა, ვფიქრობ, ამ განსაზღვრებით არა ვცდები. მგონია, მესაედან

მეთასეზე გადავხტი, მაგრამ დარდი ნუ გაქვთ! მეთასის გამო არც მეთასეს ვივიწყებ და არც პირველს, და ძაფი ხელში მტკიცედ მიჭირავს. და აი, ახლა ჩვენ წინაშეა ზემოხსენებული ფენომენი სიდიადისა. დიდი ადამიანისა, რომელიც სინამდვილეში ისევა ადამიანი, როგორც დიადი, რამდენადაც ის წყევლა-კურთხევა, ის გაცნობიერებული საშიში ადამიანური ორმაგი სიტუაცია მასში ერთსა და იმავე დროს, ჩანს, გამახვილებულია და მოხსნილი. მოხსნილი-მეთქი, იმ აზრით ვამბობ, კაემანსა, ჭირთა თმენასა და მის მაგვარ მათხოვრობაზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლება და ორმაგი კურთხევა, «კურთხევა ზეცისათა ზენაით და კურთხევა ქუეყანისა, მტვირთველისა ყოველთასა ქვემოით» ყოველგვარი წყევლის ელფერს მოკლებულია და იქცევა, ურჩი თუ არა, ასე ვთქვათ, დაუმორჩილებელი ჰარმონიისა და მიწიერი ნეტარების ფორმულად. დიდ ადამიანში გონისეული საწყისი უმაღლეს წერტილს აღწევს, მაგრამ სრულიად არ გააჩნია რაიმე მტრობა ბუნებრივისადმი; რადგან მასში გონი ისეთ ხასიათს იღებს, რომ ბუნებას მისდამი ისეთივე მინდობა აქვს, როგორც თვით შემოქმედი გონისადმი, იმიტომ რომ იგი ამ უკანასკნელთან როგორღაც არის დაკავშირებული, შემოქმედებას მინდობილი გონია, ბუნების ძმა, რომელსაც ბუნება თავის საიდუმლოებებს სიამოვნებით გამოუცხადებს, რადგან შემოქმედება გულითადი დაძმური ელემენტია, რომელიც გონსა და ბუნებას აკავშირებს და რომელშიც ისინი ერთნი არიან. თქვენ მიხვდებით, რომ დიადი გონის ამ ფენომენს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბუნების საყვარელი, რჩეული და რწმუნებული არსებაა, არაქრისტიანული ჰარმონიისა და ადამიანური სიდიადის ამ ფენომენს შეუძლია დაგატყვევოთ სამარადისოდ, არათუ ცხრა თუ თოთხმეტ წელიწადს, და არავითარ მამაკაცურ თავმოყვარეობას არ ძალუმს გაუძლოს მას და იბოგინოს, თუკი ეს თავმოყვარეობა მასთან ურთიერთობაზე ხელის აღებას უკავშირდება. მე ვლაპარაკობდი ტკბილსა და მწარე პატივზე, – მახსოვს, ეს განსხვავება კიდევაც დავადგინე. მაგრამ რომელი პატივი შეიძლება იყოს იმაზე ტკბილი, ვიდრე ამ ფენომენთან სანუკვარი სამსახური; წყალობაა მის გვერდით ცხოვრება და ყოველდღე მისი შეხედვით დატკბობა, თვალს ვერ მოაშორებ, რაკი ერთხელ იხილავ. თქვენ, მგონი, მკითხეთ, ადამიანი მასთან თავს კარგად თუ გრძნობსო. ბუნდოვნად მახსოვს, მგონი, უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა კარგად გრძნობს თავს ადამიანი მის მახლობლად, რა არაჩვეულებრივ მაღლს მოაფენს

იგი, როდესაც თქვენს ახლოს იმყოფება, რაც ამასთანავე დაკავშირებულია ერთგვარ შემოთქმებასა და იძულებასთან, ისე რომ, ხანდახან კაცი სკამზე ვერც კი გაჩერდება და იქიდან გაქცევას მოისურვებს... ახლა კი ზუსტად გავიხსენე კავშირი, – ჩვენ მასზე, მისი მომთმენობის, ნებაზე მიშვების, დამთმობლობის თაობაზე ვლაპარაკობდით. მე მგონია, ეს გამოთქმა წამცდა, რამდენადაც მან შეიძლება შეგვაცდინოს, რადგან შეიძლება თვინიერება და ქრისტიანობა, ან სხვა ამის მაგვარი რამ გაიაზროს კაცმა, რაც ასევე მცდარი იქნებოდა, სახელდობრ, იმიტომ, რომ შემრიგებლობა, დამთმობლობა, მომთმენობა, ნებაზე მიშვება თავისთავად სულაც არ გახლავთ ფენომენი, არამედ იგი თავის მხრივ დამყარებულია ყოვლადობისა და არარაობის ერთიანობაზე, ყოვლისმომცველობისა და ნიჰილიზმის, ღმერთისა და ეშმაკის ერთიანობაზე, – ის სინამდვილეში ამ ერთიანობის მიერ არის წარმოშობილი და ამიტომ გულმოწყალებასთან საქმე არა აქვს, პირიქით, უფრო სრულად თავისებურ სიცივემდე, გამანადგურებელ გულგრილობამდე, გულცივობამდე, აბსოლუტური ხელოვნების ნეიტრალობასა და ინდიფერენტიზმამდე მიდის, უძვირფასესო ქალბატონო, თვითონ წარმოადგენს თავის მხარესა და პარტიას, და როდესაც ლექსში ამბობს – «მე ჩემი საქმე დავამყარე არარაობას»[90], ამით ყოვლისმომცველი ირონიის გამოხატვა სურს. ერთხელ ეტლში მითხრა: ირონია მარლის ის კვნიწია, რაც სუფრაზე მოტანილ საჭმელს საერთოდ გემოს აძლევს და საჭმელად ვარგისსა ხდისო. ამ სიტყვებზე არათუ პირი ღია დამრჩა, ჟრუანტელმაც კი დამიარა ზურგში, რადგან, სათაყვანებლო ქალბატონო, თქვენ ჩემი სახით ხედავთ მამაკაცს, რომელიც შიშის საკითხში სულაც არ გახლავთ ისეთი მოუსაზრებელი, როგორც ის (უშიშარი), შიშის სამებნელად და სასწავლად რომ წავიდა.[91] მე ადვილად დამივლის ხოლმე შიშის ჟრუანტელი, ამას პირდაპირ ვადიარებ, და აქ უეჭველად საკმაო საბაბიც იყო. ჩაუფიქრდით, რას ნიშნავს ეს, რა სურს თქვას ამით: არაფერს არა აქვს გემო, თუ ირონიით არ არისო შეზავებული, – *id est* ნიჰილისტურია, თავად ნიჰილიზმია და შთაგონების არაფრად ქცევა, ოღონდ ერთი პირობით, თუ არაფერს ვიტყვით აბსოლუტური ხელოვნებით შთაგონებაზე, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეიძლება შთაგონება ვუწოდოთ. ეს გამოთქმა არასოდეს დამვიწყებია, თუმცა საერთოდ ერთ რამეს დავაკვირდი – და ეს დაკვირვება საშინელი რამ არის, –

მის ნათქვამს ადვილად ივიწყებენ. დიახ, ადვილად ივიწყებენ. ეს ნაწილობრივ შეიძლება იქიდან წარმოდგებოდეს, რომ ის გვიყვარს, მეტისმეტად პატივს ვცემთ, ყურადღებას ვაქცევთ მის ხმას, მზერას, გამომეტყველებას, რითაც ის რაღაცას ამბობს; ასე რომ, ნათქვამის აზრის გასაგებად საკმაოდ ყურადღება აღარც კი გვრჩება, – უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნათქვამიდან შესაძლებელია ბევრი აღარაფერი დარჩეს, მზერას, ხმას და გამომეტყველებას თუ ჩამოაცილებთ, რადგან ისინიც საქმის არსს ეკუთვნიან, ხოლო მასთან საქმის არსი ჩვეულებრივზე უფრო მეტად მის პიროვნებასთან არის დაკავშირებული და ეს კავშირი, ჩემს თავს ნებას ვაძლევ ვთქვა ეს, მის ჭეშმარიტებას იმდენად განაპირობებს, რომ ბოლოს თუ ამ პიროვნულს არ დაურთავ და პიროვნულით არ გაამაგრებ, ეს ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად აღარც კი რჩება. ყოველივე ეს შეიძლება ასეც იყოს, ამის საწინააღმდეგოდ არაფერს ვიტყვი, მაგრამ მაინც სულ არ კმარა ამით ახსნა, რატომ ავიწყდებათ ასე ადვილად მისი სიტყვები. კიდევ სხვა მიზეზიც უნდა არსებობდეს, თვით მის ნათქვამში ჩამარხული, და მე ვფიქრობ, მიზეზი აქ ის წინააღმდეგობაა, რომელსაც მისი ნათქვამი შეიცავს. ის ენით უთქმელი ორაზროვნება, რაც, როგორც ჩანს, ბუნებისა და აბსოლუტური ხელოვნების არსია და მათ სიმტკიცეს, მათ მახსოვრობას არყევს. დასამახსოვრებელი და საწყალი ადამიანის გონისთვის გამოსადეგი მხოლოდ მორალურია. მაგრამ რაც მორალური კი არ არის, არამედ ელემენტარული, ნეიტრალური და თავგზააძმნევი, მოკლედ ელფური, – მოდით ამ სიტყვაზე შევჩერდეთ: მე ვთქვი ელფური, – ის, რაც ზოგადი ყოვლის აღიარებისა და გამაარავებელი შემწყნარებლობის სამყაროდან, რაღაც უმიზნო და უმიზეზო სამყაროდან წარმოდგება, სადაც ბოროტებასა და სიკეთეს თანაბარი ირონიული უფლება აქვთ, მას ადამიანი ვერ დაიმახსოვრებს, რადგან არ შეიძლება მისდამი ნდობა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, თუ გამოვაკლებთ იმ უშველებელ ნდობას, რაც მისდამი მაინც აქვს და რაც ამტკიცებს, რომ ადამიანს შეუძლია წინააღმდეგობრივს წინააღმდეგობრივად მოეპყროს. რადგან, უძვირფასესო ქალბატონო, ეს უსაზღვრო ნდობა შეესაბამება გაუგონარ გულკეთილობას, რაც ელფურ არსებას უკავშირდება და ამავე დროს ისე უპირისპირდება, რომ მას ეწინააღმდეგება და მიუგებს: «რას გაუგებ ადამიანს, რა სჭირდება!» და თვითონვე უპასუხებს: «წმინდა სიტყვა მუდამ აღძრავს კეთილ საქმეს. კაცი, როცა საჭიროა, თავის გრძნობებს სრული

შეგნებით სიმღერებად გადმოაფრქვევს». ამრიგად, მხოლოდ გულკეთილობის გამო ბუნებრივ-ელფური საწყისი და ყოვლისმომცველი ირონია მაინც მორალური ხდება, – მაგრამ, გულახდილად ვთქვათ, ის საშინელი ნდობა, რასაც მისდამი იჩენენ, სრულიადაც არ გახლავთ მორალური, თორემ ასე უსაშველო არ იქნებოდა. მისი მხრივ იგი ელემენტარული, ბუნებრივი და ყოვლისმომცველია. ის ამორალურია, მაგრამ ადამიანების მთლად განმსჭვალავი ნდობა გულკეთილობისადმი, მათ დიდ კაცს აქცევს თანდაყოლილ სულიერ მამად, მოძღვრად და დიად აღმსარებლად, ვინც ყველაფერი იცის და ყველაფერს იცნობს, და ვისაც სავსებით შეუძლიათ უთხრან და გაანდონ ყველაფერი, რადგან გრძნობენ, რომ ის სიამოვნებით მოიღებს ადამიანებზე რაღაც სიკეთეს, ქვეყანას შეულამაზებს და ცხოვრებას ასწავლის – არა მათი პატივისცემით, არამედ სწორედ სიყვარულით. ანდა, იქნებ უმჯობესია ვთქვათ, სიმპათიით; მოდი, სწორედ ეს სიტყვა ამოვირჩიოთ, რადგან, ჩანს, ის ყველაზე უფრო უხდება და გამოხატავს იმ მრავალგზის ხსენებულ და სრულიად არაჩვეულებრივ კარგად ყოფნას, რასაც ადამიანი მის მახლობლად განიცდის, და რასაც კვლავ ვუბრუნდები, რადგან გული ვერ ვიჯერე ამ საკითხზე ლაპარაკით. მე მგონია, ეს სიტყვა უფრო შესაფერია და უკეთესად ხსნის საქმის ვითარებას, ვიდრე სხვა რომელიმე უფრო პათეტიკური. თვით კარგად ყოფნაც როდია პათეტიკური, მინდოდა მეთქვა, როდია გონითი, არამედ უფრო... უფრო, – თქვენ ხედავთ, როგორ მიჭირს სათანადო სიტყვის პოვნა! – უფრო საქმიანი, გრძნობადი სახისა არის, თუმცა ისიც შეიცავს თავის მხრივ

თავისსავე საწინააღმდეგოს, სახელდობრ, უაღრეს შეზღუდულობას და შეშფოთებას; და თუ მე იძულებული ვიყავი მელაპარაკა იმ სკამზე, რომელზეც წყნარად ვერ ზიხარ და ერთი სული გაქვს დაფეთებულმა მოკურცხლო იქიდან, ეს უსათუოდ დაკავშირებული უნდა იყოს კარგად გრძნობის არა-გონით, არა-პათეტიკურ და არა-მორალურ არსთან. მაგრამ პირველ ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უსიამოვნო გრძნობა უშუალოდ ჩვენგან კი არ წარმოდგება, არამდე იქიდან, საიდანაც ჩვენც გვაზიარებს იმ კეთილყოფნას, რომლის თანაზიარია იგი, სახელდობრ, ყოვლადობისა და არარაობის

იგივეობიდან, აბსოლუტური ხელოვნებისა და ყოვლისმომცველი ირონიის სფეროდან. იქ რომ ბედნიერება არ სუფევს, ჩემო სანუკვარო, ამის გამო ისეთი საშინელი

წინათგრძნობა მაქვს, რომ ხანდახან ლამის გული გამისკდეს. ნება მომეცით, გკითხოთ, განა თქვენ ბედნიერ არსებად მიგაჩნიათ პროტეუსი, რომელიც ყველა ფორმად გარდაიქმნება და ყველგან და ყველგან თავს შინ გრძნობს, მართალია, ყოველთვის პროტეუსად რჩება, მაგრამ მუდამ სხვა არის და მართლაც «თავისი საქმე არარაობაზე დაუმყარებია?» ის ან ღმერთია, ან რაღაც ღმერთის მაგვარი, ღვთაებრივი, ღვთაებრივს კი ჩვენ მაშინვე ალღოთი ვგრძნობთ; ძველნი გვასწავლიდნენ, ღვთაებრივისგან განსაკუთრებული კეთილსურნელება მოეფინებაო, რითაც წამსვე ვიცნობთ მას. ამ ღვთაებრივი ოზონით, რომელსაც მის მახლობლად შვეისუნთქავთ, შვეიცნობთ ღმერთსა და ღვთაებრივს, – ეს აუწერლად სასიამოვნო შთაბეჭდილებაა. მაგრამ როდესაც ვამბობთ, ღმერთიო, ამით უკვე რაღაც არაქრისტიანულს ვამბობთ, და საერთოდ აქ არავითარი ქრისტიანობა არ არის, ცხადია, რომ ეს არ არის არც რწმენა რაიმე კეთილისა ამქვეყნად და არც მხარდაჭერა კეთილისა, მე ვიტყვოდი: არ არის არც არავითარი სული, არც აღმაფრენა, რამეთუ აღმაფრენა იდეალურს განადიდებს, მთლად ბუნებად ქცეული გონი კი იდეებს უაღრესად ნაკლებად აფასებს, იგი არამორწმუნე, უსულგულო გონია, რომელიც უბრალოდ სიმჰათიისა და ერთგვარი გარყვნილების ფორმით ვლინდება მასში, და საერთოდ კი მისი საქმეა ყოვლისმომცველი სკეპტიციზმი, პროტეუსის სკეპტიციზმი. იმ საუცხოო და სასიამოვნო შთაბეჭდილებამ, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ, ჩემი რწმენით, არ უნდა შეგვაცდინოს და არ უნდა დავიჯეროთ, რომ აქ ბედნიერება სუფევს. თუ მთლად თავგზა არ დამეზნა, ჩემი აზრით, ბედნიერება მხოლოდ რწმენასა და აღმაფრენაშია, კიდევ უფრო მეტი, რაიმესადმი მხარდაჭერაშია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის იგი ელფურ ირონიასა და გამანადგურებელ გულგრილობაში. ღვთაებრივი ოზონი დიახაც კარგია! მისი სუნთქვით ვერასოდეს გულს ვერ იჯერებ. მაგრამ შეუძლებელია ცხრა წელიწადი, ამას მიუმატეთ კიდევ ოთხი წელი, ამ ფლუიდებით დატკბეთ ისე, რომ არავითარი გამოცდილება არ მიიღოთ და არ წააწყდეთ ისეთ მოვლენებს, რომლებიც უდავოდ ცუდად როდი გვესმის ადამიანებს, თუ მას მივიჩნევთ იმის რამდენადმე საშინელ დასაბუთებად, რაც მე ბედნიერების შესახებ ვთქვი: ეს არის მეტისმეტი პირქუშობა, უგუნებობა, უხალისობა და უსაშველო დუმილი, რისიც დიდი რიდი აქვს საზოგადოებას; აი უბედურებაც, თუ

გნებავთ, ეს გახლავთ, – მაგრამ არა მასპინძლის მხრივ, როცა ის მასპინძელია, ასეთი რამის ნებას თავის თავს არ მისცემს, როცა სტუმრად არის, მოილუმება, გაჩუმდება და კუმტი და პირქუში, სევდიანი სახით მოკუმავს ბაგეებს და ერთი კუთხიდან მეორეში მიდის და მოდის. წარმოიდგინეთ, რა უგუნებობა და უბედურებაა ეს! ყველა და ყველაფერი დუმს, რადგან ვინ გაიღებს ხმას, როცა ის გაჩუმებულია? შემდეგ წამოიჭრება და გავარდება. ყველა სახლებში წავა-წამოვა და შეცბუნებული ბუტბუტებს: «იგი უგუნებოდ იყო». ცოტა არ იყოს, ხშირად არის ასე. მაშინ კი როგორი სიცივე და სუსხი, როგორი

თავდაჭერილობა, ცერემონიის ჯავშანი ფარავს მის იდუმალებით სავსე შეცბუნებას, არაჩვეულებრივად სწრაფ მოქანცულობასა და გაწამებულ სახეს; იწყება კარჩაკეტილი ცხოვრების წრებრუნვა: ვაიმარი – იენა – კარლსბადი – იენა – ვაიმარი, სულ უფრო და უფრო მომეტებული მარტოობის, გაშეშებულობის, ტირანული შეუწყნარებლობის, პედანტობის, უცნაურობისა და მაგიური მანერულობისკენ იხრება. ჩემო სანუკვარო, ჩემო კარგო და უძვირფასესო ქალბატონო, ეს მარტო მოხუცებულობის ბრალი როდია. მოხუცებულობისას აუცილებელი არ არის ასეთი იყოს ადამიანი. რასაც მასში ვხედავ, რისი დანახვაც მე ვისწავლე, ეს დასრულებული ურწმუნოების და ელფური ყოვლისმომცველი ირონიის წყარო, საშინელი ნიშნებია, შთაგონებას დროის ჩამკვლელი სამსახურით, სასწაულებრივი საქმიანობითა და მაგიური წესრიგით რომ ცვლის. ეს ყოვლისმომცველი ირონია ადამიანებს პატივს არა სცემს: პირუტყვები არიანო და არც ოდესმე იქნებიანო უკეთესნი. ამ ირონიას არც იდეები სწამს: თავისუფლება, სამშობლო – ეს საკუთარ ბუნებას მოკლებული ცარიელი სიტყვებია, ჩალაბულაა, წყლის ნაყვა. მაგრამ ის ხომ აბსოლუტური ხელოვნების აზრი და არსია, სწამს კი ირონიას ხელოვნება? – არა და არა, ჩემო სათაყვანებლო ქალბატონო! არსებითად ის ზევიდან დაჰყურებს მას. «ლექსი, – გავიგონე ერთხელ, როგორ თქვა მან, – სინამდვილეში არაფერია. იცით, ლექსი კოცნასავით არის, ქვეყანას რომ უძღვნი. მაგრამ კოცნას ჯერ ბავშვი არ გაუჩენია». ამის მეტი არაფერი უთქვამს. მაგრამ, თუ არ ვცდები, თქვენ რაღაც გინდოდათ გეთქვათ?

აკანკალებული ხელი ქალისკენ გაიშვირა, თითქოს სიტყვას სთავაზობსო. ხელი იმდენად უკანკალებდა, რომ შემფოთებასაც კი იწვევდა. მაგრამ კაცი, ეტყობა, ვერც

ამჩნევდა ამას; თუმცა შარლოტეს დაჟინებით სურდა, რომ მას ხელი უკან წაეღო, რიმერი არც აქცევდა ამას ყურადღებას და დიდხანს ეჭირა ჰაერში თითქოს მიწისძვრისგან აცახცახებული ხელი, აქეთ-იქით მოძიგბიგე თითები. ჩანს, მამაკაცი მთლად მოიქანცა, ანდა რა გასაკვირი იყო, რომ მოღლილიყო.

შეუძლებელია ამდენ ხანს ილაპარაკოს კაცმა სულმოუთქმელად, ისიც ასეთი დამაბული, კეთილ-

დარბაისლური ტონით ისეთ საგნებზე, დოქტორის გულისთვის ასეთი ახლობელი რომ იყო, და მეტისმეტად არ მოიქანცოს, ისეთი სიმპტომები არ გამოავლინოს, რაც შარლოტემ შენიშნა აღელვებითა და – სტუმრის გამორჩეული სიტყვა რომ ვიხმაროთ – «აპრეჰენზიით», თუმცა არცთუ მთლად ზიზღის გარეშე შეუმჩნევია ქალს, რომ მამაკაცი გაფითრებულიყო, შუბლი ოფლით დასცვაროდა, ხარის თვალები გადმოკარკლოდა და გამტერებით იცქირებოდა ბრმად, გაურკვეველად. პირდაფჩენილი, ისედაც მუდამ გაბუტული სახე ტრაგიკულ ნიღაბს დამსგავსებოდა, მძიმედ, აჩქარებით სუნთქავდა, ისე რომ მოსმენა შეიძლებოდა.

ძლივძლივობით დამშვიდდა, შეწყდა ქმენა და სხეულის ცახცახი, და რადგანაც არც ერთ ფაქიზი გრძნობის ქალს არ სიამოვნებს და არასაკადრისად მიაჩნია უყუროს ასეთ აქოშინებულ მამაკაცს, თუნდაც საპატიო ვითარებაშიც კი, შარლოტე თამამად შეეცადა, მიუხედავად თავისი აღელვებისა და დამაბულობისა, ხელი შეეწყო ამ დამშვიდებისთვის მხიარული სიცილით, კოცნის თაობაზე წარმოთქმული სახუმარო სიტყვით რომ იყო გამოწვეული. მართლაც ეს მისთვის ერთგვარ საბაზად იქცა და მას მოძრაობით უპასუხა, რაც რიმერმა ლაპარაკის სურვილად მიიჩნია, – არც შემცდარა. თუმცა ქალისთვის ნათელი არ იყო, რისი თქმა უნდოდა, მაინც თქვა ანდედ, რაც ენაზე მოადგა:

– მაგრამ რა გნებავთ, ჩემო ძვირფასო ბატონო დოქტორო? პოეზიას არაფერი აკლდება და არცთუ უმართებულოა, როცა მას კოცნას ადარებენ. პირიქით, მშვენიერი შედარებაა, პოეზიას სავსებით მიაგებს მისთვის ჯეროვანს, სახელდობრ, პოეტურს, და სათანადო საპატიო სახით უპირისპირებს ცხოვრებასა და სინამდვილეს... გნებავთ იცოდეთ, – ჰკითხა ქალმა უცბად, თითქოს თავში ისეთმა აზრმა გაუელვა, რითაც შეძლებდა აღელვებული მამაკაცის ყურადღების მიპყრობას და სხვა აზრების შთანერგვას, – რამდენ ბავშვს ვაჩუქე სიცოცხლე?

თერთმეტს, თუ იმ ორსაც მივათვლი, რომლებიც ღმერთმა ისევ თავისთან მიიხმო. მაპატიეთ, თავის ქება გამომდის, მაგრამ თავგადადებული დედა გახლდით; მე იმ დედათა რიცხვს ვეკუთვნი, ვინც ამით ამაყობს, თავის გამოჩენა უყვარს და თავისი ბედნიერებითა და ღვთის კურთხევით ხარობს. – ქრისტიან ქალს არ უნდა ეშინოდეს იმ საბედისწერო შურისგებისა, წარმართ დედოფალს რომ დაატყდა თავს, – ხომ არ ინებებდით შემახსენოთ და მომაშველოთ მისი სახელი? – დიახ, ნიობეა,[92] რომელსაც უბედურება გადახდა იმის გამო, რომ ესოდენ ამაყობდა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ მრავალშვილიანობა ჩვენს ოჯახში ჩვეულებრივია და ჩემი პირადი დამსახურება როდი გახლავთ ეს. ჩვენთან, გერმანული ორდენის სახლში, თექვსმეტი ვიქნებოდით, ხუთი რომ არ მომკვდარიყო, – ეს მთელი გუნდი იყო, რომელსაც დედობას ვუწევდი მანამდე, სანამ მე თვითონ გავხდებოდი დედა, და რომელმაც მსოფლიოში სახელიც კი მოიხვეჭა. და აი ახლაც კარგად მახსოვს, რა აღტაცებული იყო ვერტერის წიგნის გამო ჩემი ძმა ჰანსი, რომელსაც გულითადი ურთიერთობა ჰქონდა გოეთესთან. ეს წიგნი სახლში ხელიდან ხელში გადადიოდა. ორი ცალი გვქონდა და დავშალეთ, დავფურცლეთ, რომ ყველას ერთდროულად განგვეცადა სიამოვნება მისი კითხვით. როგორი კმაყოფილი იყო უმცროსი თაობა, მეტადრე გიჟმაჟი ჰანსი, როცა ნახა, რომანში ასე დაწვრილებით აღწერილი მთელი ჩვენი ოჯახური ყოფაცხოვრება და ურთიერთობა; მათ თავში აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ რაოდენ შეშინებული ვიყავით და რა შეურაცხყოფილად ვგრძნობდით თავს ორივე, მე და ჩემი კეთილი ქმარი იმით, რომ ასე საქვეყნო გახდა ჩვენი პიროვნებანი, ამდენი ჭეშმარიტებით, რასაც ამდენი არაჭეშმარიტება მისწებებოდა...

– სწორედ მაგ გრძნობების შესახებ მინდოდა გამეგო რამე თქვენგან, – შეაწყვეტინა მნახველმა, რომელიც თანდათან მშვიდდებოდა.

– მე მხოლოდ ისე, სხვათა შორის შევეხე, – განაგრძო შარლოტემ, – არც კი ვიცი, რანაირად, და არც მინდა შევჩერდე მათზე. ისინი შეხორცებული ჭრილობებია, არ მინდა კვლავ გაიხსნას და ძველი ტკივილები მომაგონოს. სიტყვა «მისწებებოდა» იმიტომ გამიჩნდა თავში, რომ მაშინ რაღაც როლს თამაშობდა ახსნა-განმარტებებში და ჩვენი მეგობარი თავის წერილებში ასე დაჟინებით იცავდა თავს. ჩანდა, რომ მას

გულზე ხვდებოდა ეს. «კი არ მიეწება, ჩაექსოვა», [93] – გვწერდა იგი, – «უნდა გიპასუხოთ თქვენც და სხვებსაც». დაე, თუნდაც ასე იყოს, ჩაექსოვა. მერე რა, ეს ჩვენს საქმეს არაფერს შველოდა, არც ავად და არც კარგად. ის კესტნერს იმითაც ანუგეშებდა, რომ იგი სრულიადაც არ იყო ალბერტი. მაგრამ თუ ადამიანებს მაინც სჯეროდათ? მას ის არ უმტკიცებია, რომ მე ლოტე არა ვარ, ოღონდ ჩემს კეთილ ქმარს სთხოვდა მის მაგიერ ჩემთვის გულთბილდად ჩამოერთვა ხელი და ეთქვა: იმის შეგნება, რომ ათასობით წმინდა ბაგენი მოწიწებით წარმოთქვამენ ჩემს სახელს, [94] დაე, საზღაური ყოფილიყოს ვიღაც მოლაყბეთა საპირისპიროდო, – შესაძლოა, ამაში ის მართალიც იყო. სიმართლე გითხრათ, თავიდანვე იმდენად ჩემს თავზე როდი ვფიქრობდი, რამდენადაც ჩემს შეურაცხყოფილ მეუღლეზე, და მეც მთელი გულით ვხარობდი იმ სიამოვნებათა გამო, რაც ცხოვრებამ მას უძღვნა მისი შესანიშნავი თვისებების სამაგიეროდ, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ იგი ჩემი თერთმეტი თუ ცხრა შვილის მამა შეიქნა, – თუმცა ამის გამო ის, მეორეც, გულითადი თანაგრძნობითა და გაგებით ეპყრობოდა მათ, ეს უნდა დავუფასოთ. ერთხელ იმასაც გვწერდა, ყველა მე უნდა მოვნათლოო, [95] რადგან ისინი მისთვის ისეთივე ახლობელნი იყვნენ, როგორც ჩვენ. და მართლაც, სამოცდაათობმეტ წელს მას შევთავაზეთ ჩვენი პირმშოს მონათვლა, მაგრამ ბიჭს ვოლფგანგი არ დავარქვით, როგორც მას სურდა, და მის შეუტყობინებლად ჩუმად გეორგი ვუწოდეთ. მაგრამ ოთხმოცდასამ წელს კესტნერმა გაუგზავნა ყველა ჩვენი მაშინდელი ბავშვის სილუეტები, რითაც თურმე ძალიან გაიხარა. ამ ექვსი წლის წინ ის დაეხმარა ჩემს ექიმ ვაჟიშვილს, თეოდორს, რომელსაც ფრანკფურტელი ქალი, გვარად ლიპერტი, ჰყავს ცოლად; დიახ, მაპატიეთ, ამ შემთხვევაში მან მთელი თავისი გავლენა გამოიყენა იმისთვის, რომ ჩემს ვაჟიშვილს იქაური მოქალაქეობრივი უფლება და

პროფესორობა მიეღო სამედიცინო-ქირურგიულ სასწავლებელში; და როცა თეოდორი თავის ძმასთან, ლეგაციის მრჩეველ ავგუსტთან ერთად გერბერმიულეში დოქტორ ვილემერთან ეახლნენ მას, ორივე ძალიან მეგობრულად, თავაზიანად მიუღია, ჩემი ასავალ-დასავალიც უკითხავს და იმ სილუეტების ამბავიც მოუყოლია, განსვენებულმა მათმა მამამ რომ ოდესღაც გაუგზავნა, როცა ისინი ჯერ კიდევ ონავარი ბიჭები იყვნენ. ასე რომ, ყველას უკვე იცნობს. ავგუსტმა და თეოდორმა დაწვრილებით მომახსენეს ამ წვეულების

თაობაზე. სილუეტების გამო ვრცლად ულაპარაკია და გაუკიცხავს კიდევაც ის გარემოება, რომ სახსოვრად საკუთარი გამოსახულების დატოვების ესოდენ გავრცელებული წესი სრულიად გადავარდა; კაცს ხომ უნდა ჰქონდეს თავისი მეგობრის ჩრდილგამოსახულება მაინცო. ძალიან თავაზიანი ყოფილა, მაგრამ თურმე რაღაცაზე წუხდა საუბრის დროს ბაღში, სადაც მცირე საზოგადოებას მოეყარა თავი, აქეთ-იქით დადიოდა ადამიანთა შორის მდებლობაზე, ცალი ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი, მეორე – უბეში, ხოლო როცა შეჩერდებოდა, ფეხზე თითქოს მტკიცედ ვერ იდგა, აქეთ-იქით ირწეოდა და ხშირად ხესაც ეყრდნობოდაო.

– გასაგებია. იგი უგუნებოდ იყო, – თქვა რიმერმა. – ხოლო სენტენცია სილუეტთა გადავარდნის თაობაზე სრულიად უმნიშვნელოა; თქვა იმიტომ, რომ რაღაც უნდა ეთქვა, არაგულწრფელი რამ მაინც. მაგრამ ამას მაინცდამაინც ნუ გამოვეკიდებით.

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ძვირფასო ბატონო დოქტორო. ადრე ძალიან აფასებდა მაკრატლით ჩრდილგამოსახულებათა გამოჭრის ხელოვნებას, მის მიმზიდველობასა და უპირატესობას. სხვაგვარად როგორ შეეძლო ჩემი შვილების გარეგნობაზე წარმოდგენა ჰქონოდა, თუ არა ჩრდილგამოსახულებებით, რომლებიც მას გავუგზავნეთ. მიუხედავად მეგობრული დამოკიდებულებისა, მას ხომ არასოდეს უცდია ესარგებლა შემთხვევით და გაეცნო ისინი, თავისი ძველი მეგობარი კესტნერიც ერთხელ მაინც კვლავ ენახა? და აი, სწორედ აქ გამოადგა გამოსახულებანი. ისიც უნდა იცოდეთ, რომ ვეცლარში მას ჩემი სილუეტი ჰქონდა (ნეტავი ვიცოდე, ახლაც თუ აქვს იგი შენახული!), და როგორი დიდი, დაუოკებელი სიხარული და მადლობა გამოთქვა, როდესაც კესტნერმა იგი აჩუქა. იქნებ აქედანაც წარმოდგება მისი ესოდენი გულმოდგინება ამ გამოგონებისადმი.

– ოჰ, უთუოდ. ვერ გეტყვით, აქვს თუ არა იგი სხვა რელიკვიათა შორის. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა, და მე მზად გახლავართ, როცა დროს ვიხელთებ, ვკითხო ამის თაობაზე.

– მირჩევნია თვითონ ვკითხო. ყოველ შემთხვევაში ვიცი, რომ ოდესღაც იგი ეთაყვანებოდა ამ საბრალო ჩრდილს. «ათასობით კოცნას აღვბეჭდავდი ხოლმე მასზე, ათასჯერ მიძღვნიდა სალამი მისთვის, როდესაც სახლიდან გავდიოდი ან შინ

ვბრუნდებოდი».[96] ასე უწერია. «ვერტერის» მიხედვით სურათი უკან გამომიგზავნა, მაგრამ, ღვთის მადლითა და ყველა ჩვენგანის სასიკეთოდ, მას თვითონ თავი არ მოუკლავს და, მაშასადამე, ახლაც უნდა ჰქონდეს ის სურათი, თუ დრომ არ გაანიავა. ამასთან ვერც დამიბრუნებდა, რადგან მე კი არ გავუგზავნე გამოსახულება, არამედ კესტნერმა. მაგრამ მითხარით, ბატონო დოქტორო: განა არ ფიქრობთ, თუ როგორი საოცარი თავმდაბლობაა მცირედით დაკმაყოფილება, – ზღვარდაუდებელი სიხარული იპოვოს ისეთ მცირე საჩუქარშიც კი, რომელიც მე კი არა, ჩემმა დანიშნულმა, ან თუნდაც ორივემ ერთად გავუგზავნეთ?

– ის, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, პოეტისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობაა, რომ მცირედითაც კმაყოფილია; მისთვის უდიდესი სიმდიდრეა ის, რაც სხვებისთვის სიღატაკეა.

– ცხადია, ეს ასეა, – დაუდასტურა შარლოტემ, – ალბათ ამის გამოა, რომ იგი ჩემი შვილების ჩრდილგამოსახულებებითაც კმაყოფილდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ სინამდვილეში გასცნობოდა მათ, რაც ადვილად შეიძლებოდა გზადგავლის ჟამს მაინც. ავგუსტსა და თეოდორს თავად რომ არ ეთავათ და არ გაეხედათ ფრანკფურტიდან ვერბერმიულეში სწვეოდნენ მას, ვერასოდეს ნახავდა ჩემს შვილებს, რომელთაც, მისივე თქმით, ყველას სათითაოდ მონათლავდა, რადგან ისინი ისეთივე ახლობელნი იყვნენ მისთვის, როგორც ჩვენ თვითონ. დიახ, როგორც ჩვენ. მისმა ძველმა მეგობარმა კესტნერმა, ჩემმა კეთილმა ჰანს კრისტიანმა, სამუდამო განსასვენებელი პოვა და მე მარტო დამტოვა აგერ უკვე თექვსმეტი წელია, ისე რომ ერთხელაც არ უნახავს იგი. ჩემი ჯანმრთელობა და თავგადასავალი ძალიან თავაზიანად გამოუკითხავს, მაგრამ არასოდეს სულ მცირედითაც არ უცდია მთელი ამ ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში პირადად მოვეკითხე. ნეტავ ახლაც, ჩემი ცხოვრების მიმწუხრზე, არ მეკისრა ის, რისგანაც შესაძლოა თავი უნდა შემეკავებინა, მაგრამ მე ხომ ჩემი დის რიდელის სანახავად ჩამოვედი, ყოველივე დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, a propos, დროის შესაფერისად წარიმართება...

– უძვირფასესო ქალბატონო, – მიმართა დოქტორმა რიმერმა და მისკენ უფრო ახლოს გადაიხარა, ისე, რომ არც კი შეუხედავს;

ქუთუთოები დაეხარა და სახე გაშტერებოდა იმის ფიქრში, რისი წარმოთქმაც სურდა, რისთვისაც ხმას დაუწია: – უძვირფასესო ქალბატონო, პატივს ვცემ ამ თქვენს a propos-ს, გარდა ამისა, მესმის მგრძნობიარობა, ის მცირე განაწყენება, რაც თქვენს სიტყვებში გამოსჭვივის, ტკივილნარევი გაკვირვება იმის გამო, რომ მას არც კი უცდია ეთავა თქვენი ნახვა, რაც მთლად ბუნებრივად არ მოეჩვენება კაცს და არც ადამიანის გრძნობას შეშვენის. გთხოვთ ნუ გაიკვირვებთ. ანდა, აბა, დაუფიქრდით, იქ, სადაც აღტაცების ამდენი საფუძველია, ყოველთვის

მოიძებნება გაკვირვების, არასასიამოვნო გაოცების მცირეოდენი საბაბიც. მან აღარასოდეს არ გინახულათ თქვენ, რომელიც ესოდენ ახლოს იყავით ოდესღაც მის გულთან და რომელმაც უკვდავი გრძნობა შთაუწერგეთ. ეს უცნაურია. მაგრამ თუ ბუნებრივ კავშირს, სისხლით ნათესაობას უფრო მეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ, ვიდრე მიდრეკილებას, კეთილგანწყობილებასა და მაღლიერების გრძნობას, მაშინ ისეთ ფაქტებს წავაწყდებით, რომელთა თვალში საცემ უჩვეულობას შეუძლია ერთგვარად განუგემოთ თქვენი მწარე გამოცდილების ჟამს მისი ესოდენი გულგრილობის გამო. რაღაც თავისებური უხალისობა ეუფლება მას, სულის დამამუხრუჭებელ-შემბოჭველი, რასაც ვერც კი დაახასიათებთ, რაც ადამიანურ წესსა და ჩვეულებას არ უთავსდება და არ შეჰფერის. როგორ ეპყრობოდა მთელი ცხოვრება თავის სისხლით ნათესავეებს? არც როგორ, არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა მათთან. ჩვეულებრივი თავაზიანობის ყველა წესთა და ცნებათა კვალობაზე ლაპარაკობდა მათზე, მაგრამ მუდამ დანაშაულებრივად უგულვებლყოფდა მათ. ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებში, როდესაც მისი მშობლები, მისი და ისევ ცოცხლები იყვნენ, რაღაც მორიდებულობის გამო, რის განსჯის უფლებაც ჩვენ არა გვაქვს და ვერც გავბედავთ, მას უმძიმდა მოენახულებინა ისინი, თუნდაც წერილი მიეწერა მათთვის. ერთხელაც არ უნახავს და არ უკითხავს ცოცხლებში დარჩენილი ერთადერთი დისწული. საბრალო კორნელია, ვერც იცნობს მას. მცირეოდენი ყურადღება არ გამოუჩენია თავისი ფრანკფურტელი ბიძებისა და ბიცოლებისადმი, ნამდვილი ბიძაშვილებისა და დეიდაშვილ-მამიდაშვილებისადმი. ფრაუ მელბერი, მისი ნეტარხსენებული დედის მოხუცი და, იქ ცხოვრობს თავისი ვაჟიშვილითურთ, – არავითარი კავშირი მასა და მათ შორის არ არსებობს, თუ არაფერს ვიტყვით იმ მცირე კაპიტალზე, რომელიც მათ მართებთ დედის მხრივ. მერედა,

თვით დედა, საყვარელი დედიკო, რომელმაც მას უძღვნა მხიარული ბუნება და თხზვის ნიჭი, როგორც თვით განაცხადებდა ხოლმე? – მოსაუბრე კიდევ უფრო გადაიხარა, თვალები ძირს დახარა და კიდევ უფრო ხმადაბლა განაგრძო: – უძვირფასესო ქალბატონო, როდესაც რვა წლის წინ დედა გარდაეცვალა, თერთმეტი წელიწადი არ ენახა (ის-ის იყო, დაბრუნდა კარლსბადიდან, გამხნევებული და გაჯანსაღებული იქ ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ თავის მორთულ-მოკაზმულ სახლში). თერთმეტი წელი, დიახ, თერთმეტი წელი, სინამდვილეს, ფაქტს მოგახსენებთ. რა უნდა თქვას აქ ადამიანმა! ვერაფერს იტყვი, ვერაფერს გააწყობ. იგი გათანგული იყო, გულის სიღრმეში შეძრწუნებული, ჩვენ ვხედავდით ამას, ვიცოდით ყოველივე ეს, და გახარებული ვიყავით, რომ ერფურტმა და ნაპოლეონთან შეხვედრამ[97] კეთილად იმოქმედა და ამ თავზარდამცემი მდგომარეობიდან გამოიყვანა. მაგრამ თერთმეტი წლის განმავლობაში აზრად არ მოსვლია, თუ ვერა და ვერ მოახერხა, მამისეულ, მშობლიურ ქალაქში, მშობლების სახლში გზად გავლილს მაინც შეეველო. ოჰ, რა თქმა უნდა, საპატიო მიზეზები, მობოდიშებანი, ხელშემშლელი გარემოებანი: ომის თავგადასავლები, ავადმყოფობანი, სამკურნალოდ აუცილებელი გამგზავრებანი ბლომად მოიძებნება. მე ამასაც ვასახელებ სისრულის გულისთვის, მაგრამ ვშიშობ, რომ ამით უფრო ვაშიშვლებ სუსტ მხარეს, რადგან სწორედ ეს სამკურნალოდ გამგზავრებანი ყოველ შემთხვევაში იმის საბაზსაც აძლევდა, რომ სულ მოკლე ხნით მშობლების სახლისკენაც გადაეხვია. მაგრამ ამას არ აკეთებდა, ყურადღებაც არ მიუქცევია ამ გარემოებისთვის! ნუ

მკითხავთ, რატომ! ბიბლიის გაკვეთილების დროს მასწავლებელი ამაოდ ირჯებოდა განემარტა და მისაღები გაეხადა ჩვენთვის მაცხოვრის სიტყვები. დედას რომ მიმართა: «რაი არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო?» რაც ჩვენ აუტანელი, საშინელიც კი გვეგონა. მასწავლებელი გვარწმუნებდა, რომ ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც დღეს ეს ვითომდა უპატივცემულო მიმართვაც და შემდგომ ნათქვამიცო, სადაც ძეღმერთი თავის უმაღლეს, ქვეყნის გამომხსნელ დანიშნულებას უმორჩილებს იმას, რაც ყველა ჩვენგანისთვის სავალდებულოა. მაგრამ ამაოდ, სჯულის განმმარტებელი ვერ ახერხებდა იმას, რომ ჩვენ ტექსტის ამ სიტყვებს შევრიგებოდით; იმდენად არ მიგვაჩნდა სანიმუშოდ, რომ არავის სურდა მისი წარმოთქმა! მაპატიეთ, ბავშვობის დროინდელ მოგონებებში შევიჭერი! ამასთან

დაკავშირებით ეს აზრი ხშირად მომსვლია თავში და ახლა უნებურად შეერია ჩემს გარჯას, როგორმე გასაგები გავხადო თქვენთვის მისი უცნაური საქციელი, განუგეოთ, თუ რით არის გამოწვეული ეს მეტისმეტი უუნარობა თაოსნობისა. როდესაც თოთხმეტი წლის გვიან ზაფხულს, რაინსა და მაინზე მოგზაურობისას, კვლავ ეწვია ფრანკფურტს, მშობლიურ ქალაქს, იგი ჩვიდმეტი წელი არ ენახა. რა არის ეს? მორიდებულობა, შიში, დაუძლეველი მორცხვობა თუ გულში

ღრმად ჩარჩენილი მოკრძალება ბოჭავდა გენიოსის დამოკიდებულებას იმ ქალაქის მიმართ, სადაც დაიბადა, საიდანაც გამოვიდა, იმ კედლებისადმი, რომელთაც იგი ჩვილ ყრმად იხილეს, შემდეგ კი იმდენად გაიზარდა და გასცდა მის საზღვრებს, რომ მსოფლიო ასპარეზზე გავიდა? მათ გამო ერცხვინება თუ მათ წინაშე გრძნობს სირცხვილს? ჩვენ მხოლოდ კითხვა და ვარაუდი დაგვრჩენია. მაგრამ არც ქალაქი და არც ჩინებული დედა ამის გამო გულნაწყენი არ დახვედრია. ფრანკფურტის «საფოსტო მოამბემ» მის იქ ყოფნას სტატია უძღვნა. მე ვინახავ მას, ხოლო რაც შეეხება პირველ ყოვლისა, დედას, უძვირფასესო ქალბატონო! – მისი შემწყნარებლობა, მისი თაყვანისცემა თავისი შვილის სიდიადის წინაშე მუდამ უტოლდებოდა მის უსაზღვრო სიყვარულს, მის სიამაყეს, რომ მსოფლიოს ასეთი სასწაული უძღვნა. მართალია, შვილი შორს იყო, მაგრამ გამოსვლის უმაღლეს უგზავნიდა თავის თბუღლებათა კრებულის ყოველ ტომს თავის დედას, ხოლო პირველ ტომს – ლექსთა კრებულს – დედა არასოდეს იშორებდა. რვა ტომი შემოუნახავს დედას თავისი გარდაცვალების წლის ივლისამდე, ტყავის ყდაში ჩასმული...

– ჩემო ძვირფასო ბატონო დოქტორო, – სიტყვა გააწყვეტინა შარლოტემ, – გარწმუნებთ, რომ ვერც მშობლიური ქალაქისა და ვერც დედის სიყვარულის სულგრძელობით ვერ გამაკვირვებთ. თქვენ გსურთ, თუ სწორად გაგიგეთ, მათ მაგალითს გავყვე – თითქოს მე ეს მჭირდებოდეს. ჩემი მცირე მტკიცებანი სრული სიმშვიდით წარმოვთქვი, ისე რომ მისი საქციელისთვის არ მიმიცია არც უცნაურის მნიშვნელობა და არც სიმწარე

განმიცდია მის გამო. ხომ ხედავთ, მე იმ წინასწარმეტყველივით ვიქცევი, მთასთან რომ მივიდა, რაკი მთამ მასთან მისვლა არ იწევა. წინასწარმეტყველი რომ წყენია ყოფილიყო, ის არ მივიდოდა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, წინასწარმეტყველი მთასთან იმიტომ მივიდა, რომ შემთხვევამ

უკარნახა; სწორედ იმიტომ არ უფიქრია, მთისთვის გვერდი აევლო, რომ წყენიაობაში არ ჩამოერთვათ. სწორად გამიგეთ, ამით სულაც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ძვირფასი, აწ განსვენებული ქალბატონის, სახელმწიფო მრჩევლის მეუღლის დედობრივი შემწყნარებლობა ძალიან მომწონდეს. მეც ხომ დედა ვარ, ვაჟიშვილების მთელი გუნდი გამიჩენია, წარმოსადეგ, სახელოვან, საქმიან ვაჟკაცებად დამიზრდია. მაგრამ ერთი მათგანიც რომ ისე მოქცეულიყო, როგორც, ქალბატონი სახელმწიფო მრჩევლის ვაჟიშვილი მოქცეულა, თერთმეტი წელი არ ენება ჩემი ნახვა და ჩემი საცხოვრებლის გვერდით აერ-ჩაეარა სამკურნალო აბაზანების მისაღებად, მე მას ვასწავლიდი თავაზიანობასა და ზრდილობის წესებს, დამიჯერეთ, ბატონო დოქტორო, მაგრად შევახურებდი და შავ დღესაც დავაწევდი.

შარლოტე თითქოს ერთსა და იმავე დროს მწყრალ და მხიარულ გუნებაზე დადგა. ამ თავის ცხარე სიტყვებს თან ქოლგის კაკუნს აყოლებდა, ფერფლისფერი ჭალარა თმის ქვემოთ შუბლი გასწითლებოდა, ბაგეები დაბრეცოდა, ისე კი არა, სიცილის დროს რომ არის ხოლმე; ცისფერ თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა, – დამაბუღობისა თუ, არ ვიცი, რა ცრემლები იყო ეს. ქალმა განაგრძო, თან თვალებში ცრემლები უციმციმებდა.

– არა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამისთანა შემწყნარებლობა და ყოვლისმიტევება დედის მხრიდან მე პირადად ჭკუაში არ დამიჯდებოდა; ვერც შვილის მხრიდან მოვითმენდი ამგვარ უზრუნველობას, ვითარცა ესოდენ არაჩვეულებრივ უპირატესობათა შებრუნებულ მხარეს. უნდა გენახათ, როგორ მივიჭრებოდი წინასწარმეტყველივით მთასთან, რომ მისთვის ჭკუა მესწავლებინა. მერწმუნეთ, ახლაც ჩამოვედი, რათა გავიგო ამ მთის ასავალ-დასავალი, სწორი და მართალი, არა იმიტომ, რომ რაიმე უფლება განვაცხადო, ღმერთმა დამიფაროს, მე ხომ დედა არა ვარ მისი, და მას შეუძლია გამოიჩინოს ჩემდამი სრული განუკითხაობა, რამდენიც ნებავს, თან არც ის მინდა უარვეყო, რომ ძველი ანგარიში არსებობს ჩემსა და მთას შორის, დაუფარავი ანგარიში, და შესაძლებელია სწორედ ამ ძველმა, დაუფარავმა, მტანჯველმა ანგარიშმაც ჩამომიყვანა აქ...

რიმერი ყურადღებით აკვირდებოდა ლოტეს. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა «მტანჯველი» იყო პირველი სიტყვა,

რომელიც შეეფერებოდა ქალის სახის გამომეტყველებას და თვალეზზე მომდგარ ცრემლებს. ეს ზანტად მოაზროვნე და მძიმე კაცი გაკვირვებული და აღტაცებული იყო იმის გამო, თუ როგორ ახერხებენ ამას ქალები და როგორ არის, რომ გრძნობაშიც კი ეშმაკობენ. ქალს წინასწარ ეზრუნა საუბრის ტექსტზე, რაც აშკარად სულ სხვა აზრს ანიჭებდა მის ტანჯვა-წამებას, მთელი ცხოვრება რომ თან სდევდა, მის ცრემლებს, დაღრეჯილ ბაგეთ. ამ აზრს იმგვარად განმარტავდა, რომ კაცს შეცდომაში შეიყვანდა და ეგონებოდა, თითქოს ყოველივე ეს იმ მხიარულ თუ გაბრაზებულ საუბართან დიდი ხანია მაცდუნებლად იყო დაკავშირებული მანამდე, სანამ ნამდვილი აზრის მამხილებელი სიტყვა დასცდებოდა, რათა არავის მისცემოდა უფლება, თავში აზრადაც არ მოსვლოდა, რომ ის ძველი ტანჯვა-წამება ამ სიტყვასთან დაეკავშირებინა, პირიქით, ყოველივე მაინც იმ ადრე ნათქვამის მნიშვნელობით გაეგო, რითაც ქალმა თავის დროზე ამ გამომეტყველების უფლება უზრუნველყო და მისი მცდარად გაგებისთვის იზრუნა... რა ნატიფი და დახვეწილია ქალთა მოდგმა! ფიქრობდა რიმერი. გადასხვაფერებაში, პირფერობაში არაჩვეულებრივად მოხერხებული, უნარიანი არიან, პირფერობასა და გულწრფელობას განუყრელად ერთმანეთს უხამებენ და მართლაც საზოგადოებისა და გულთა სამიჯნურო ხრიკებისთვის გაჩენილან. ჩვენ, მამაკაცები, მათთან შედარებით მოუქნელი დათვები და მოუხერხებელი დოყლაპიები ვართ. მე თუ მის ნაფიქრსა და ნააზრევს, მის ხრიკებს ვხვდები, ეს იმიტომ, რომ იმავე ტანჯვას, იმავე წამებას განვიცდი, ჩვენ თანაზიარნი ვართ, ტკივილის თანაზიარნი... ის ფრთხილობდა, ქალის საუბარში არ ჩარეულიყო, ხელი არ შეეშალა. თავისი შორიშორ ჩამჯდარი, მოლოდინით აღსავსე თვალეზით მიშტერებოდა ქალის დაღრეჯილ ბაგეებს. ქალმა წარმოთქვა:

– ჩემო ძვირფასო დოქტორო, აი, უკვე ორმოცდაოთხი წელიწადია, რასაც ემატება კიდევ ჩემი მაშინდელი ცხრამეტი წელი, ჩემთვის გამოცანად დარჩა, მტანჯველ გამოცანად, რა დასამალია და ჩემთვის გაუგებარია, დაკმაყოფილება ჩრდილგამოსახულებებით, პოეზიით, კოცნით, რითაც, როგორც თვითონ ამბობს, ბავშვები არ ჩნდებიან. და რომლებიც მაინც დაიბადნენ სხვისგან, რიცხვით თერთმეტი, თუ ორ გარდაცვლილსაც მივათვლი, სახელდობრ, კესტნერის

ჭემმარიტი და პატიოსანი სიყვარულის წყალობით. თქვენ კარგად უნდა ჩაუფიქრდეთ და წარმოიდგინოთ, რათა გაიგოთ, თუ რატომ ვერ გავართვი თავი ამ გამოცანას მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. არ ვიცი, თქვენთვის ცნობილია თუ არა ყველა ის ვითარება?.. კესტნერი ჰანოვერიდან ჩვენთან ვეცლარში ჩამოვიდა სასამართლო რევიზიის დაწყებისას, სამოცდარვა წელს, როგორც ფალკეს დამხმარე თანაშემწე. ფალკე, როგორც თქვენ უთუოდ იცით, ბრემენელი ჰერცოგის ელჩი იყო. ყოველივე ეს ისტორიაში ერთხელაც იქნება რომ თავის როლს შეასრულებს; თავს ნუ მოვიტყუებთ და, ვინც ცოდნას იჩემებს, ესეც უნდა იცოდეს. ამრიგად, კესტნერი ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა ბრემენის საელჩოს მდივნად. იგი მშვიდი, წრფელი, გონებადამჯდარი, საფუძვლიანი ყმაწვილი კაცი იყო. მე – თხუთმეტი წლის გოგონა, – დიახ, მაშინ მხოლოდ თხუთმეტი წლის გახლდით, – გულწრფელი ნდობით განვიმსჭვალე მისდამი. მან იწყო ჩვენს გერმანულ სახლში სიარული, რამდენადაც ამის ნებასა და საშუალებას აძლევდა დიდი სამსახურებრივი დატვირთულობა. ერთგვარად ჩვენი მრავალსულიანი ოჯახის წევრად იქცა. სწორედ ერთი წლის წინ საყვარელი, ძვირფასი, დაუვიწყარი დედა დავკარგეთ, რაც ახლა მთელმა მსოფლიომ იცის «ვერტერიდან». ასე რომ, დაქვრივებულ ჩვენს მამას, ამტმანს, გარს ეხვია შვილების მთელი გუნდი. მე, მისი მეორე ქალიშვილი, მართალია, თავადაც თითქმის ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი ნეტარხსენებულის დანაკლისი შემევესო შინ და მეურნეობაში; ბაღებს ცხვირს ვუხოცავდი, ვბანდი, ვასუფთავებდი, ვაპურებდი, როგორც მე გამეგებოდა, ჩემი შეძლებისდა კვალად ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, ოღონდ კი საქმისთვის უკეთ მომება თავი, რადგან უფროს ქალიშვილს, ჩვენს ლინეს, საამისო არც ხალისი გააჩნდა და არც უნარი. შემდეგ, სამოცდაჩვიდმეტ წელს კარის მრჩეველ დიკს გაჰყვა ცოლად და ხუთი შესანიშნავი ვაჟიშვილი შეეძინა, რომელთაგან უფროსი ფრიცჰენიც კარის მრჩეველი გახდა იმპერიის უმაღლესი სასამართლოს არქივში. ყველაფერი ეს უნდა ვიცოდეთ, რადგან განათლების საბუთით ამეებსაც დაუწყებენ ჩხრეკას. ამიტომ ახლავე ვცდილობ მტკიცედ დავიმახსოვრო. გარდა ამისა, ამით ისიც მინდა აღვნიშნო, რომ კაროლინე, ჩვენი უფროსი და, შემდეგ თავის კვალობაზე საუცხოო პიროვნება დადგა; იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ ისტორიამ ისიც მართებულად მოიხსენიოს. მაგრამ მაშინ

საუცხოო ქალად ყველა მე მთვლიდა და არა მას, თუმცა იმჟამად ერთი თითისტარივით გალუული გოგო ვიყავი, ჩალისფერი თმა და წყალივით კამკამა ცისფერი თვალები მქონდა; მხოლოდ მომდევნო ოთხ წელიწადში ცოტა დავქალდი, თითქოსდა კესტნერის სიყვარულით, მისი გულის გასახარად და მოსაწონებლად. ჩემი დედობრივი მზრუნველობისა თუ მეოჯახეობის გამო მას ხომ ჩემზე თვალი ეჭირა. დიახ, სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული თვალი, – დაე, საგნებს მათი ნამდვილი სახელი ვუწოდოთ. რაკი მან ყოველთვის და ყველგან უწყოდა, რა სურდა, აქაც მაშინვე, თითქმის პირველი დღიდანვე, იცოდა, რომ მე, ლოტკენი, საყვარელ მეუღლედ და დიასახლისად ვუნდოდი. როგორც კი თანამდებობა და ხელფასი საშუალებას მისცემდა, მაშინვე ხელს მთხოვდა. ეს, რასაკვირველია, ჩვენი საყვარელი მამის, ამტმანის პირობა გახლდათ; მანამდე არ დაგვრთავდა ქორწინების ნებას და არ დაგვლოცავდა, სანამ კესტნერი არ მიაღწევდა სათანადო მდგომარეობას. სანამ იმდენად არ დავაჟკაცდებოდა, რომ ოჯახი ერჩინა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მე მაშინ ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ძალზე გამხდარი, ზრდადაუმთავრებელი გოგო ვიყავი. მაგრამ მაშინ უკვე მოხდა დაწინდვა. ეს იყო ორმხრივი მტკიცე, უთქმელი აღთქმა. მას, ჩემს კეთილ საქმროს, უსათუოდ ვუნდოდი, რადგან მე საუცხოო მეოჯახე გოგონა გახლდით. მეც მთელი გულით მინდოდა იგი, იმიტომ, რომ მას ვუნდოდი, აგრეთვე იმიტომ, რომ ვენდობოდი მის პატიოსნებას. – მოკლედ, ჩვენ პირობა გვქონდა მიცემული და დანიშნულნი ვიყავით. ერთმანეთზე ვამყარებდით ჩვენი მომავალი ცხოვრების მთელ იმედებსა და გეგმებს. და თუ შემდგომ ოთხ წელიწადში ტანი ავიყარე, დავქალდი, ჩემს გარეგნობას სასიამოვნო მწონო და ლაზათი დაედო, ეს, რა თქმა უნდა, ისედაც მოხდებოდა, რადგან დრო და ასაკი დამიდგა, პატარა გოგონა უნდა დავქალებულიყავი, პოეტურად რომ ვთქვათ, ყმაწვილი ქალი უნდა გავფურჩქნილიყავი. რასაკვირველია, ასე იყო. მე კი სულ სხვა გრძნობა მქონდა და სხვაგვარად წარმომედგინა. ასე მეგონა, ყოველივე ეს დღითი დღე განსაზღვრული განზრახვითა და გეგმით ხდებოდა, ერთგული და მოსურნე მამაკაცის სიყვარულით, მისი პატივისცემით, რათა იმ დროისთვის, როცა იგი საქმროს წოდებას დაიმსახურებდა, მეც ჩემი მხრივ სძლობისა და მომავალი დედობის ღირსი ვყოფილიყავი... არ ვიცი, გამიგეთ თუ არა? განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად

მიმაჩნია ის გარემოება, რომ ჩემი მაშინდელი წარმოდგენით, დავქალდი მხოლოდ მისთვის, კეთილი და ერთგული საქმროსთვის, რომელიც მე მიცდიდა. კობტა, ყოველ შემთხვევაში, მიმზიდველი ქალიშვილი გავხდი...

– მგონი, კარგად გაგიგეთ, – უპასუხა თვალეზდახრილმა რიმერმა.

– სწორედ ამ დროს გამოჩნდა მესამე, ჩვენი მეგობარი, სანუკვარი თანამოზიარე, რომელსაც ამდენი დრო ჰქონდა. მოვიდა იგი, გარედან შემოფრინდა ჭრელი პეპელა, თუ ზაფხულის უცხო რამ ფრინველი, დაეშვა ამ პირობებში, ჩვენი ყოფის საგულდაგულოდ შემზადებულ ვითარებაში. მაპატიეთ, რომ მას პეპელას ვუწოდებ; ის, რასაკვირველია, არცთუ ესოდენ მსუბუქი ჭაბუკი გახლდათ, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, მსუბუქი კი იყო, ცოტა გადარეული; კოპჩიაობდა, უცნაურად იცვამდა, ქალთა გულის მომნადირებელი, თავს

იწონებდა ჭაბუკური ღონითა და სიმკვირცხლით. საზოგადოების სული და გული იყო, თავისი წრის საუკეთესო

თანამოსაუბრე, იგონებდა შესანიშნავ გასართობებს. საუკეთესო მოცეკვავე გოგონები სიამოვნებით უწვდიდნენ ხელს. ყოველივე ეს ასე იყო, თუმცა ყოველთვის როდი შვენოდა ეს ამპარტავნობა და ზაფხულის ფრინველივით ჭრელი მორთულობა და ბრწყინვალება, რადგან იგი საკმაო ჭკუა-გონებით, სულითა და გულით, ღრმა აზრებით იყო გამსჭვალული. სწორედ ეს სიღრმე სულისა და გონებისა, მიდრეკილება ღრმა ფიქრისადმი, სიამაყე დიადი აზრების გამო იყო სერიოზულობისა და სიმსუბუქის, სევდისა და თავმომწონეობის შემაერთებელი რგოლი. საერთოდ ესეც უნდა ითქვას, რომ უსაყვარლესი ადამიანი გახლდათ: ესოდენ მშვენიერი, გულღია და კეთილი. თუ რამე სულელურად გამოუვიდოდა, სწრაფად მოვიდოდა გონს, მუდამ ხალისით და კეთილსინდისიერად მოიხდიდა ბოდიშს და გამოისყიდდა თავის შეცდომას. კესტნერი და მე ერთნაირად დავუმეგობრდით მას და სამივემ გულითადი მეგობრობა დავამყარეთ ერთმანეთთან. ეს გარედან მოსული კაცი აღფრთოვანებული იყო ჩვენი ურთიერთობით, პეპელასავით დაეშვა მასზე და მთელი სიხარულით შეიტკბო, ვითარცა მეგობარმა და მესამე პირმა. საამისოდ მას თავისუფალი დროც ჰქონდა. კარგი იყო თუ ცუდი საიმპერიო სასამართლო, მან გული ვერ დაუდო და არც არაფერს აკეთებდა, მაშინ როდესაც

ჩემი საქმრო დღედაღამ საელჩოს კანცელარიაში იჯდა და მუშაობდა, რომ რაღაცისთვის მიეღწია, წინ წაწეულიყო, ესეც ისევე ჩემი გულისთვის. მე დღესაც დარწმუნებული ვარ, და მინდა ჩემი მხრივ წვლილი შევიტანო ამ ისტორიის გამოკვლევასა და გახსენებაში, რომ ჩვენი მეგობარი იმითაც აღფრთოვანებული იყო, რომ კესტნერს თავი სამუშაოში ჰქონდა ჩარგული, იმიტომ კი არა, რომ ეს ჩემთან მარტო ყოფნის შესაძლებლობას აძლევდა. არა! იგი არ იყო მოღალატე, ის ერთგული მეგობარი გახლდათ. დაე, ნურავინ გაბედავს ამის თქმას. თავიდანვე როდი შევუყვარდი. გთხოვთ სწორად გამიგოთ. მას უხაროდა ჩვენი სიხარული, ის, რომ ჩვენ დანიშნულები ვიყავით; სიყვარულით შეჰყურებდა ჩვენს მომავალ ბედნიერებას. ხედავდა ჩემი კეთილი საქმროს ძმურ და გულითად სიყვარულს, ამიტომ ღალატზე არც უფიქრია. პირიქით, ერთგულად ედგა მხარში, რათა მასთან ერთად ვყვარებოდი და მონაწილე ყოფილიყო ამ კეთილად დაფუძნებული ურთიერთობისა, რომ მეგობრულად დაედო ხელი მხარზე კესტნერისთვის და ჩემთვისაც ეცქირა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მხარზე დადებული თავისი ხელი დაივიწყა; თუმცა ხელი არ აუღია, მაგრამ ჩემკენ მოპყრობილი თვალები სულ სხვაგვარად შეეცვალა. დოქტორო, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, მთელი ეს წლები, როცა შვილებს ვაჩენდი და ვზრდიდი, ბევრჯერ გამხსენებია და თავი მიტეხია, ბევრი მიფიქრია და ვფიქრობ მას მერე დღესაც! ღმერთო, მოწყალეო, ყველაფერს ვამჩნევდი. ქალის ალლო არ უნდა მქონოდა, ვერ შემემჩნია, რომ მისი თვალები თანდათანობით მისი ერთგულების გრძნობას აღარ ეთანხმებოდნენ, რომ მას ჩვენი დაწინდვა კი არა, თვით მე შევუყვარდი, ესე იგი ის, ვინც ჩემს კეთილ საქმროს ეკუთვნოდა. მე ხომ იმ ოთხ წელიწადში სწორედ მისი გულისთვის გავხდი ის, რაც ვიყავი იმ ადამიანისთვის, რომელსაც სურდა მთელი თავისი ცხოვრება ჩემთან დაეკავშირებინა და ჩემი შვილების მამა გამხდარიყო. ერთხელ ჩვენმა საერთო მეგობარმა წასაკითხად მომცა რაღაც დაბეჭდილი ტექსტი, რითაც გამიმხილა, და უნდა გაემხილა კიდევ, თუ როგორი იყო საქმის ვითარება და რას გრძნობდა იგი ჩემდამი, იმისდა მიუხედავად, რომ ხელი ისევე კესტნერის მხარზე ედო; ის ხომ სულ მუდამ თხზავდა და წერდა; ვეცლარში უკვე თან ჩამოიტანა ერთ-ერთი ნაწარმოების ხელნაწერი, დრამის მაგვარი რაღაც – «გოც ფონ ბერლიჰინგენი, რკინისმკლავიანი რაინდი», [98] რომელსაც იცნობდნენ მისი

მეგობრები, სასტუმრო «კრონპრინცი» რომ ხვდებოდნენ[99] ხოლმე სადილად, და რის გამოც «გოც პატიოსანი» შეარქვეს. იგი რეცენზიებსა და მსგავს რაღაცებსაც წერდა. ის რეცენზია, მე რომ მოგახსენეთ, «ფრანკფურტის მეცნიერულ მაცნეში»[100] მოეთავსებინა და ვიღაც პოლონელი ებრაელის მიერ შეთხზულ და გამოქვეყნებულ ლექსებს ეხებოდა. მაგრამ იმ ებრაელსა და მის ლექსებზე იქ დიდი ლაპარაკი არ ყოფილა. თითქოს თავი ველარ შეიკავა და მალე საუბარი ჩამოაგდო ჭაბუკსა და ქალიშვილზე, რომელიც ყმაწვილკაცს სოფლის სიმყუდროვეში ენახა. მთელი ჩემი სირცხვილის გრძნობისა და თავმდაბლობის მიუხედავად, იძულებული ვიყავი მასში საკუთარი თავი შემეცნო, იმდენად უხვად იყო ტექსტში მიმოხილული გადაკრული მინიშნებანი ჩემს ცხოვრებაზე, ვითარებასა და პიროვნებაზე, შინაური საქმის სიყვარულზე, მყუდრო ოჯახურ წრეზე, სადაც ქალიშვილი მეორე დედასავით ზრუნავდა ოჯახზე და ისე იფურჩქნებოდა სულიერად და გარეგნულად, ისე მშვენდებოდა და ლამაზდებოდა, ისე მიმზიდველად, ისე სასიამოვნოდ, რომ მისი სიყვარულით აღსავსე სული ყველას გულს ძალუმად თავისკენ იზიდავდა (მე ზუსტად ვიმოწმებ მის ნათქვამ სიტყვებს); პოეტნი და ბრძენნი დიდი ხალისით მიდიოდნენ ამ ახალგაზრდასთან სასწავლებლად, რათა აღტაცებით ეჭვრიტათ თანდაყოლილი სათნოება, თანდაყოლილი კეთილდღეობა და სინარნარე. მოკლედ, გადაკრულ მინიშნებებს ბოლო არ უჩანდა; მთლად ყეყეჩი უნდა ვყოფილიყავი, ვერ გამეგო, რისი თქმა უნდოდა. ასე რომ, ისეთი ვითარება შეიქმნა, თუმცა ჩემი სირცხვილის გრძნობა და თავმდაბლობა აღშფოთებული იყო, მაგრამ არ შეიძლებოდა ჩემი თავი არ შემეცნო მასში. მაინც ყველაზე უარესი, რამაც შემაკრთო და შემაშინა, ის გახლდათ, რომ ყმაწვილი თავის გულს სთავაზობდა გოგონას, მასავით ყმაწვილურ მგზნებარე გულს, შექმნილს იმისთვის, რომ მასთან ერთად ზიარებოდა ამქვეყნიურ შორეულ, იდუმალ ნეტარებას (ასე გამოხატავდა ის თავის გრძნობებს), «მხიარულ საზოგადოებაში» (როგორ ვერ უნდა მივმხვდარიყავი, რას ნიშნავდა ეს «მხიარული საზოგადოება») მარად ერთად ყოფნის ოქროსფერი იმედები გაელვივებინა (სიტყვასიტყვით მოგახსენებთ) და უკვდავ მოგიზგიზე სიყვარულს დასწაფებოდა.

– ნება მომეცით, მოგახსენოთ, ძვირფასო ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, თუ რა საყურადღებო რამ გამოგაქვთ

დღის სინათლეზე! – აქ სიტყვა ჩამოართვა რიმერმა, – თქვენ ისეთ რამეს გვაუწყებთ, რომლის მნიშვნელობასაც ლიტერატურული კვლევისთვის, მგონია, ჯეროვნად ვერც კი აფასებთ. ამ ადრინდელ რეცენზიაზე არავინ არაფერი იცის, მე აქ ვზივარ, პირველად ვისმენ და ყურს არ ვუჯერებ. ჩემმა მოხუცმა მოძღვარმა ეს დოკუმენტი სრულიად მიმიჩქმალა. თუმცა შესაძლოა დაავიწყდა კიდეც...

DALIER

– არა მჯერა, – შეესიტყვა შარლოტე, – ასეთი რამ ადამიანს არ ავიწყდება. «მასთან ერთად ზიარებოდა ამქვეყნიურ შორეულ, იდუმალ ნეტარებას», – ეს სიტყვები უთუოდ არც მას დავიწყებია, ისევე როგორც მე არ დამვიწყებია.

– იგი უთუოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ვერტერთან და იმ განცდებთან, რომლებიც საფუძვლად დაედო მას, – გულმოდგინეობდა დოქტორი, – პატივცემულო ქალბატონო, ეს დიდად მნიშვნელოვანი საქმეა! ხომ არ შემოგრჩათ ის ფურცელი? საჭიროა მისი მოძებნა, ფილოლოგიისთვის იგი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს...

– ჩემთვის დიდი პატივია, – მიუგო შარლოტემ, – სამსახური გავუწიო მეცნიერებას რაიმე მითითებით, თუმცა ჩემს თავს ნებას ვამლევი ისიც ვთქვა, რომ ვეჭვობ, საჭირო იყოს, ამგვარი ცალკეული დამსახურებით ყურადღება მივიპყრო.

– სრული ჭეშმარიტებაა! სრული ჭეშმარიტება!

– მე არა მაქვს ის რეცენზია ებრაელის ლექსებზე, – განაგრძო შარლოტემ, – აქ იძულებული ვარ იმედი გაგიცრუოთ. თავის დროზე მან ის მხოლოდ წასაკითხად მომცა და მომთხოვა მის თვალწინ წამეკითხა, რაზეც უარს ვეტყოდი, გუმანი მაინც რომ მქონოდა, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს ჩემი თავმდაბლობა და წინდახედულობა. რადგან ნაბეჭდი ფურცელი ისე დავუბრუნე, რომ მისთვის არ შემიხედავს. ამიტომ არც კი ვიცი, რა აღიბეჭდა მის სახეზე. «მოგწონთ?» – მკითხა მან თავშეკავებული ხმით. «ებრაელი ნასიამოვნები როდი დარჩება», – მივუგე ცივად. «მაგრამ თქვენ, ლოტჰენ, თქვენ კმაყოფილი ბრძანდებით?» – დაჟინებით მოითხოვდა პასუხს. «მე არ დამიკარგავს სულიერი წონასწორობა», – მივუგე. «ოჰ, ნეტავ მეც ასე ვიყო!» – წამოიძახა მან, თითქოს მარტო რეცენზია არ

კმაროდა და კიდევ ასეთი წამოძახება იყო საჭირო იმისთვის,
რათა ჩემთვის გაეგებინებინა, რომ

კესტნერის მხარზე დაყრდნობილი ხელი უკვე დავიწყებას მისცემოდა და მთელი სიცოცხლე მოქცეული იყო თვალებში, რომლებითაც უცქერდა იმას, ვინც კესტნერს ეკუთვნოდა და იფურჩქნებოდა მხოლოდ მისთვის. მისი სიყვარულის თბილი, გამაღვიძებელი მზერის შუქით. დიახ, რაც გახლდით, რასაც წარმოვადგენდი და რასაც შემძლია ვუწოდო ცხრამეტი წლის ქალიშვილის სიტურფე, ეკუთვნოდა ჩემს ძვირფას დანიშნულს, მიძღვნილი იყო ჩვენი ცხოვრების პატიოსანი განზრახვებისადმი, იფურჩქნებოდა და ყვაოდა არა რაღაც «იდუმალი ნეტარებისთვის» და არა რაღაც «მარად მღელვარე სიყვარულისთვის», «ჩაუქრობელი მღელვარე სიყვარულისთვის», სრულიადაც არა! მაგრამ, დოქტორო, თქვენ გამიგებთ, და იმედია მსოფლიოც გამიგებს, ქალიშვილს უხარია და ტკბება, როდესაც მის საპატარძლოდ გაფურჩქვნას ამჩნევს არა მხოლოდ მისი დანიშნული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვინც გამოიხმო იგი, არამედ სხვასაც, მესამესაც რჩება მასზე თვალი; ეს ხომ საკუთარ ღირსებას გვიდასტურებს ჩვენცა და იმასაც, ვისაც ბედმა მიაკუთვნა ჩვენი თავი. რარიგ მიხაროდა, როცა ვხედავდი, რომ ცხოვრების ჩემს კეთილ თანამგზავრსაც უხაროდა ჩემი წარმატებანი სხვების წინაშე, მეტადრე მისი არაჩვეულებრივი, გენიალური მეგობრის წინაშე; ის აღტაცებული იყო თავისი მეგობრით და ისევე ენდობოდა მას, როგორც მე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რამდენადმე სხვაგვარად, ვიდრე მე, უფრო ნაკლები პატივისცემით. ის მე მენდობოდა, იმიტომ რომ სჯეროდა ჩემი გონიერება, იცოდა, რა მინდოდა. მას კი ენდობოდა იმდენად, რამდენადაც მან, მესამემ, აშკარად არ იცოდა, რა სურდა. რაღაც გაურკვეველი და უმიზნო, პოეტური სიყვარულით იყო შეპყრობილი. მოკლედ, როგორც თქვენ ხედავთ, ბატონო დოქტორო, კესტნერი მენდობოდა, რადგან სერიოზულად მივაჩნდი, მას კი ენდობოდა იმდენად, რამდენადაც სერიოზულად არ თვლიდა, თუმცა აღტაცებული იყო მისი ბრწყინვალეებითა და გენიოსობით, ებრალებოდა კიდევაც იმ ტანჯვის გამო, რასაც უმიზნო პოეტური სიყვარული განუმზადებდა. მეც მეცოდებოდა მასთან ერთად, ჩემ გამო ასე რომ იტანჯებოდა და მისი კარგი მეგობრობა ასე რომ აირ-დაირია, მაგრამ თან შეურაცხყოფასაც ვგრძნობდი, რადგან კესტნერი მას სერიოზულად არ უყურებდა და იმგვარად ენდობოდა, რომ ამით პატივს როდი მიაგებდა, რაც ჩემს სინდისს ხშირად აწუხებდა. ასე მეგონა, ჩემს საქმროს ვპარავდი რამეს, როცა მეგობრის გამო შეურაცხყოფას

ვგრძნობდი ამგვარი ნდობისთვის. თუმცა ასეთი ნდობა მამშვიდებდა კიდევ, ნებას მაძლევდა თვალი დამეხუჭა, მრუდე სწორად მიმეჩნია, როდესაც ვხედავდი, მესამის კეთილი მეგობრობა როგორი საექვო ხდებოდა, მეგობრის მხარზე დადებულ ხელს რომ ივიწყებდა. ხომ კარგად გესმით, ბატონო დოქტორო, ხომ ნათელია თქვენთვის, რომ ეს განაწყენების გრძნობა უკვე იმას ნიშნავდა, რომ მოვალეობა და გონიერება უცხო ხდებოდა ჩემთვის, კესტნერის ნდობა, აუღელვებლობა და გულგრილობა, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებელს მხდიდა.

– ჩემი დიდი სამსახურის გამო, – უპასუხა რიმერმა, – ერთგვარი წვრთნა მივიღე და მივეჩვიე ამგვარ ფაქიზ გრძნობებში გარკვევას. ვფიქრობ, კარგად ვჭვრეტ მამინდელ მდგომარეობას. ისიც მესმის, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, თუ რა სიძნელეები შეიქმნებოდა თქვენთვის ასეთი ვითარების გამო.

– მაღლობას მოგახსენებთ ამისთვის, – მიუგო შარლოტემ, – და ამასთან ისიც მინდა დავძინო, რომ თქვენი ესოდენი გულისხმიერებით აღძრული მაღლიერების გრძნობა ოდნავადაც არ მცირდება იმის გამო, რომ ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ იყო. მართლაც დრო აქ დიდ როლს არ ასრულებს, თუმცა ცხოვრებაში ასე როდი ხდება. ჩემს თავს ნებას მივცემ ვაღიარო, რომ ამ ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში მამინდელი გარემოება მუდამ ცოცხლად მედგა თვალწინ, თითქოს ეს-ეს არის ისევე ის ხდებოდა, რაც მაშინ, და სულ ახალ-ახალ ფიქრებს აღმიძრავდა. დიახ, მართლაც სიხარულითა და ტანჯვით სავსე იყო ეს მრავალი წელი. მაგრამ ერთი დღეც არ გასულა ისე, რომ ღრმად არ მეფიქრა მამინდელ მდგომარეობაზე, თუმცა ის შედეგები, რაც მას მოჰყვა და როგორი სახეც მიიღო ყოველივე ამან განათლებული სამყაროსთვის, გასაგებს ხდის ჩემს იმდროინდელ ყოფას.

– სრულიად გასაგებს!

– რა კარგად ბრძანეთ, ბატონო დოქტორო, სრულიად გასაგებსო. როგორი კეთილისმყოფელი და გამამხნეველებელია ეს სიტყვები! რაოდენ სასიამოვნოა საუბარი ისეთ ადამიანთან, რომელიც ყოველ წუთს მზად არის, კეთილი სიტყვა გითხრას! ჩანს, იმან, რასაც თქვენს «დიდ სამსახურს» უწოდებთ, მართლაც თავისი კვალი დაგაჩნიათ, აღმსარებლისა და

დიდმომნანიებლის თვისებები მოგანიჭათ, ვისაც გინდა, რომ ყველაფერი უთხრა და შეგიძლია ყველაფერი გაანდო, რადგან მისთვის ყველაფერი «სრულიად გასაგებია». გარდა ამისა, ეს სიტყვა იმ მრავალი წლის განუწყვეტელი, დამაბული ფიქრისა და თავისტეხის გამოხატულებაა, – სწორად გამიგეთ, მე არ ვამბობ, მისი შედეგია-მეთქი! ვალიარებ, ამ სახით იგი არც ლამაზი იქნებოდა და არც საკადრისი. არა, ასეთი გამოთქმები მეტწილად ხანგრძლივი და დამაბული ფიქრის გამომხატველია და მეტი არაფერი... მე ვამბობ და მეტი არა მინდა რა, ვთქვა: პატიოსანმა ახალგაზრდამ ნამდვილად დამოუკიდებლად უნდა ამოირჩიოს თავისი შესაფერი ქალიშვილი, რომელსაც სიყვარულს უძღვნის და თავიანს სცემს, – ეს თავიანსცემა ხომ ხელის თხოვნაც არის და ამით, ცხადია, ქალიშვილზე შთაბეჭდილებას ახდენს; მით უმეტეს, რაც უფრო განსაკუთრებით და ბრწყინვალედ გამოიჩენს თავს ეს ჭაბუკი, რაც უფრო წარმტაცია მასთან ურთიერთობა, ბუნებრივია, ქალის გულშიც ზოგიერთ საპასუხო გრძნობებს აღძრავს: დიახ, მე მგონია, ასეთმა ახალგაზრდამ თავისი რჩეული ქალწული მართლაც თავად უნდა ამოირჩიოს, თვითონ აღმოაჩინოს ცხოვრების გზაზე, თვით შეიცნოს და გაიგოს მისი ღირსებანი, გამოიყვანოს შეუცნობლობის წყვდიადიდან და შეიყვაროს იგი. რატომ არ უნდა გკითხოთ თქვენ ის, რასაც მე ასე ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს ამ ორმოცდაოთხი წლის

განმავლობაში: რა უნდა თქვა იმ ახალგაზრდის კეთილსინდისიერებაზე, – რაც უნდა მიმზიდველი იყოს მასთან ურთიერთობა, – რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებლობა არჩევანსა და სიყვარულში, და ურჩევნია მესამე პირად ჩაეჩხიროს და ის შეიყვაროს, ვინც სხვისთვის და სხვისი მეოხებით გაფურჩქნილა? ვინც სხვის დანიშნულს გიჟურად შეიყვარებს, სხვისი ცხოვრების ყვავილზე პეპელასავით დაეშვება და უცხო სუფრაზე პირს იტკბარუნებს? სხვისი საპატარძლოს სიყვარული – აი, რაზე ვიტეხდი თავს ჩემი ქორწინებისა და ქვრივად ყოფნის დროს მთელი ამ წლების განმავლობაში; თუმცა ერთგულად ვიცავდი საქმროს სიყვარულს და იმ მესამე პირის მხრივ ყოველგვარი თავმომაბეზრებელი ცდის მიუხედავად, რაც სიყვარულისგან მაინც განუყრელია, ერთხელაც არ მიფიქრია შემელახა ჩემი რჩეულის უფლებანი, თუ არ ჩავთვლით მარტოოდენ კოცნას; თან ვფიქრობდი იმ სიყვარულზე, რომელმაც გულმინდობით ცხოვრების ყველა უფლებანი და მოვალეობანი დაუთმო

არჩეულ საქმროს; ის კი წინასწარ იმით დაკმაყოფილდა, რომ სათითაოდ მონათლავდა ჩვენს შვილებს, რომლებიც ერთად ცხოვრების შედეგად გაჩნდებოდნენ, და თუ ესეც ვერ მოხერხდებოდა, ჩრდილგამოსახულებებით მაინც გაიცნობდა...

გაიგეთ ეს ყოველივე? რას ნიშნავს ეს სიყვარული სხვისი საპატარძლოსადმი და რამდენად შეიძლება გახდეს იგი მრავალი წლის განმავლობაში ფიქრისა და თავისტეხის საგანი? საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთადერთი სიტყვა ამეკვიატა, ენაზე მიტრიალებდა, თუმცა სულითა და გულით მინდოდა თავიდან მომეშორებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. შიშითა და კრძალვით წარმოვთქვამ ამ სიტყვას: «მუქთახორობა»...

ისინი დადუმდნენ. მოხუც ქალბატონს თავი უცახცახებდა. რიმერმა თვალეხი დახუჭა და ერთხანს პირიც მოკუმდა. შემდეგ საგანგებო სიმშვიდით თქვა:

– როდესაც თქვენ სითამამე გეყოთ, ეს სიტყვა წარმოგეთქვათ, უთუოდ იმასაც ითვალისწინებდით, რომ არც მე მაკლია გამბედაობა ყურად ვიღო იგი. ალბათ დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, შიში, ჩვენ რომ ერთი წუთით დაგვადუმა, ამ სიტყვის შინაგანი ღვთაებრივი კავშირისა და გამოძახილისადმი შიშია, რაც თქვენ უთუოდ არ გტოვებდათ მაშინაც, როცა ეგ სიტყვა თქვენს ბაგეებს დასცდა. გთხოვთ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე მესმის ამ აზრის მთელი სიდიადე. არსებობს ღვთაებრივი მუქთახორობა, ღვთაების ჩამოსვლა ადამიანის ცხოვრების სავანეში; ეს წარმოდგენა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, მოხეტიალე ღვთაებრივი მონაწილეობა მიწიერ ბედნიერებაში, უმაღლესი არჩევანი აქ უკვე არჩეულისა, ღვთაებრივი თავადის სიყვარული მამაკაცის ცოლისადმი, ხოლო კაცი იგი საკმაოდ კეთილმსახური და

ღვთისმოშიშია, რომ თავი დამცირებულად და შევიწროებულად კი არ იგრძნოს ამგვარი ჩაზიარების გამო, არამედ ამაღლებულად და პატივდებულად. მისი ნდობა, მისი სიმშვიდე მაუწყებელია სწორედ თანამოზიარის მოხეტიალე ღვთაებრიობისა, რომელსაც რეალური მნიშვნელობა არ გააჩნია, თუმცა უხინჯოდ და უვნებლად აღძრავს მოწიწებასა და ღვთისმოსავ აღტყინებას. ამას იმიტომ ვიგონებ, რომ თქვენ თვითონ ბრძანეთ, «სერიოზულად არ მიაჩნდაო». ღვთაებრივი ხომ მართლაც სერიოზულად არ უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც იგი სახელდობრ ადამიანურშია დავანებული. მიწიერ საქმროს სამართლიანად შეუძლია უთხრას თავის თავს: «მშვიდად

იყავი, ეს მხოლოდ ღმერთია», თუმცა ეს «მხოლოდ», თავისთავად ცხადია, თანამოყვარულის უმაღლესი ბუნებისადმი კეთილსინდისიერი გრძნობით შეიძლება იყოს გამსჭვალული.

– ასეც გახლდათ, ჩემო მეგობარო. მართლაც იგი გამსჭვალული იყო ამ გრძნობით, ოღონდ მეტისმეტად. ასე რომ, ხშირად შემიმჩნევია კესტნერის, ჩემი ძვირფასი ადამიანის, სინდისის ქენჯნა და დაეჭვება იმის გამო: იყო კი თვითონ ღირსი იმისა, რომ მე მისი ვყოფილიყავი, მაშინ როდესაც მეორეს ასეთი ვნებიანი გახელებით ვუყვარდი, თუმცა მთლად სერიოზულად არ შეეძლო მიეჩნია ეს გახელებული ვნებიანობა. იგი ჩემს გაბედნიერებას შეძლებდა კი ისევე, როგორც ის მეორე, და ხომ არ აჯობებდა, დიდი გულისტკივილით ბედს დამორჩილებოდა და ხელი აეღო მეტოქეობაზე? მე ვაღიარებ, იყო საათები, როდესაც არ მსურდა, არ ვაპირებდი, მთელი გულით არ მეწადა ეს ეჭვები გამექარვებინა. და ყოველივე ეს მაშინ, ჩემო დოქტორო, დაიმახსოვრეთ კარგად, როდესაც ორივე იდუმალ ვგრძნობდით, რომ ეს გახელებული ვნებიანობა, რაოდენ მტანჯველიც ყოფილიყო, ადამიანური საქმეები ააგო? იგი ჰგავდა არანამდვილი, – ძლივს ვბედავდით ასე გვეფიქრა, – ზეადამიანური მიზნების განსახორციელებელ გულის საშუალებას.

– ჩემო ძვირფასო ქალბატონო, – წარმოთქვა ფამულუსმა[101] ადელვებით და თან გამაფრთხილებელ-დამრიგებლური ტონით, ბეჭდით შემკული საჩვენებელი თითი მალლაც კი ასწია, – პოეზია სულაც არ გახლავთ ზეადამიანური, თუმცა კი ღვთაებრივია. აგერ ცამეტი წელიწადია მისი ხელის გამმართავი და საიდუმლო მდივანი გახლავართ, ზოგი რამ გამოცდილება დავიგროვე მასთან ახლო ურთიერთობაში და შემიძლია მასზე ვილაპარაკო. ჭეშმარიტად, პოეზია მისტერიაა, ღვთაებრივის გაადამიანურებაა; ის მართლაც ადამიანურიც არის და

ღვთაებრივიც – ფენომენი, ჩვენი ქრისტიანული რჯულთმომძვრების უღრმეს საიდუმლოებებსა და ამასთან წარმართობის მომხიბლავ მითებს რომ გვახსენებს. დაე, მიზეზი ამისა იყოს მისი ღვთაებრივ-ადამიანური ორმაგი ბუნება, ანდა ისიც კმარა, რომ პოეზია თვითონ არის მშვენიერება; იგი ერთგვარად თვითარეკვლისკენ იხრება და იმ ჭაბუკის ძველ, საყვარელ სახეს მოგვაგონებს, საკუთარი მშვენიერი სახის ანარეკლს რომ ეტრფოდა, წყლისკენ

დახრილი.[102] ისევე როგორ პოეზიაში ენა, სიტყვები ღიმილით უჭვრეტენ თავის თავს, ასევეა გრძნობაც, აზრიც, ვნებაც. თავმომწონეობა მოქალაქეთათვის შეიძლება არ იყოს პატივისცემის ღირსი, მაგრამ უმაღლეს რეგიონებში, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ეს სიტყვა საძრახისად როდი ჟღერს. როგორ შეიძლება მშვენიერებას, პოეზიას თავისი თავიც არ მოსწონდეს? იგი ეტრფის თავის თავს თვით გახელებული ვნების ჟამსაც, ტანჯვაში ადამიანურია, თავმომწონეობაში კი – ღვთაებრივი. მას შეუძლია უჭვრეტდეს და ეტრფოდეს თავის თავს სიყვარულის უცნაურ ფორმებსა და ხასიათებში, თუნდაც, მაგალითად, სხვის საპატარძლოს სიყვარულში, ნებადაურთველის, აკრძალულისადმი სიყვარულში. მე მივხვდი, რომ ის აღტაცებულია, როდესაც მას ამკობს უცხო, არამოქალაქეობრივი სიყვარულის სამყაროსგან წარმომდგარი მაცდუნებელი ნიშანი, ადამიანურ ურთიერთობაში შეიჭრება, მას ეზიარება და ცოდვით დათვრება, საკუთარი ნება-სურვილით ჩაინთქმება და თვითონვე იტვირთავს. პოეზიაში ბევრი რამ არის ძალიან დიდი მეუფისა, ხოლო მეუფეში – პოეზიისა.[103] მას, მეუფეს, ახარებს, როდესაც ხალხიდან გამოსულ, მოწიწებით მღალადებელ პაწია გოგონას წინაშე წარდგება თვალისმომჭრელი გაშლილი ესპანური მეფური წამოსასხმით და მეტისმეტად უზრუნველად განდევნის ჩვეულებრივ შეყვარებულს... ასეთია მისი თავმომწონეობის ბუნება.

– მე მგონია, – თქვა შარლოტემ, – რომ ეს თავმომწონეობა ძალიან მცირედით დაკმაყოფილების უნართან იმდენად არის გადაბმული, რომ მაშინ გამართლებაც ვერ მოვუძებნე. მე ვძრწოდი, დიახ, უნდა ვაღიარო, დიდხანს ვძრწოდი და სიბრალულს აღმიძრავდა ის საცოდავი როლი, რასაც სჯერდებოდა ეს ღვთაებრივი, როგორც თქვენ უწოდებთ მას. თქვენ, ძვირფასო მეგობარო, შეძელით და საშინელ სიტყვას, მე რომ დამცდა, ამაღლებული, დიდებული ახსნა მოუძებნეთ, რაზეც მაღლობას მოგახსენებთ. მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, მაინც რა საცოდავად გამოიყურებოდა ეს ღვთაებრივი თანამეინახეობა; ჩვენს, თავმდაბალდანიშნულთა, გამაწბილებელ გაკვირვებას იწვევდა, სიბრალულს აღგვიძრავდა ჩვენს მშვიდ კავშირში შემოჭრილი ის მესამე ადამიანი, მეგობარი, რომელიც თავისი ბრწყინვალეობით ასე

აღვემატებოდა უბრალო მოკვდავთ! განა სჭირდებოდა მას მათხოვრობა და მოწყალება? მაშ რა იყო ჩემი ჩრდილგამოსახულება, მკერდს შემოვლებული ბაფთა, კესტნერმა რომ აჩუქა, თუ არა მოწყალება და სანუკვარი საჩუქრები? კარგად ვიცი, რომ ისინი ამავე დროს ერთგვარი მსხვერპლი იყო, შესარიგებელი საზღაური, – მე, საპატარძლოს, ყოველივე ეს სავსებით გამეგებოდა და საჩუქრებიც ჩემი თანხმობით მისცა. მაგრამ პატივცემულო დოქტორო, მთელი ჩემი სიცოცხლე მაინც არ მშორდებოდა ფიქრი იმაზე, რომ ეს ღვთის სადარი ჭაბუკი ასეთ მცირედს სჯერდებოდა. მინდა რაღაც გაიმბოთ, რაზეც ასევე ორმოცი წელი ვფიქრობდი და საქმის არსს მაინც ვერ ჩავწვდი, – ეს გახლავთ ბორნის ნაამბობი. აი ის, პრაქტიკანტი ბორნი,[104] ლაიფციგის ქალაქისთავის ვაჟიშვილი, რომელიც მაშინ ჩვენთან ვეცლარში ცხოვრობდა. მას უნივერსიტეტიდანვე იცნობდა, ეს თქვენ უნდა იცოდეთ. ბორნი კარგად ეპყრობოდა მასაც და ჩვენც, განსაკუთრებით კესტნერს. ბორნი შესანიშნავი, კეთილად აღზრდილი ჭაბუკი გახლდათ, კარგად გაეგებოდა, რა იყო საკადრისი და რა უკადრისი, ზოგი რამ მას ჭკუაში არ უჯდებოდა. შემდეგ გავიგე, რომ მას საგონებელში აგდებდა მეგობრის ქცევა და ჩემთან დამოკიდებულება, რაც კურკურს უფრო ჰგავდა. მართლაც, გარს მივლიდა, მეარშიყებოდა, თავისკენ მიბირებდა, უნდოდა კესტნერისთვის ჩემი თავი წაერთმია, ამას კი სასიკეთო არაფერი მოჰყვებოდა და კესტნერისთვის სახიფათო იქნებოდა. ბორნმა, როგორც შემდეგ გამანდო, ეს ყველაფერი უთხრა და უსაყვედურა კიდეც მას, როდესაც ჩემი საქმრო საქმეზე იყო გამგზავრებული. «ჰეი, ძმობილო, – უთხრა თურმე ბორნმა, – ეგ საქმე არ ივარგებს, რა მოჰყვება ამას? რას აპირებ? დაიწყება ერთი მითქმა-მოთქმა ქალიშვილზე და შენზე. ღმერთმანი, ეს ამბავი არ მომეწონებოდა, მე რომ კესტნერი ვიყო. გონს მოდი, ძმობილო!» – მერე იცით, რა უპასუხა მან? «დაე, თუნდ რეგვენიც ვიყო, – უთხრა მან, – მე ამ ქალიშვილს რაღაც განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ არსებად ვთვლი, და თუ ის მომატყუებს (გესმით, თუ მე მას მოვატყუებ, უთქვამს მას), თუ ის იმდენად ჩვეულებრივი აღმოჩნდება, კესტნერს თვალის ასახვევად გამოიყენებს და თავის მშვენიერებას მიმოაბნევს, – მაშინ ის წუთი, როგორც კი ამას აღმოვაჩენ, ჩვენი უფრო მეტად დაახლოების წუთი, ჩვენი ნაცნობობის უკანასკნელი წუთი იქნება». რას იტყვით ამაზე?

– მეტად კეთილშობილი და თავაზიანი პასუხია, – თქვა თვალეზღაბრილმა რიმერმა, – რაც ადასტურებს თქვენდამი დიდ ნდობას, რწმენას, რომ მის თავყვანისცემას ცუდად არ გაიგებდით.

– ცუდად არ გავიგებდი? მე დღესაც ვცდილობ, ცუდად არ გავიგო იგი, მაგრამ როგორ უნდა გავიგო სწორად? არა, მას შეეძლო დამშვიდებული ბრძანებულებით, სულაც არ მიფიქრია, მიმომეზნია ჩემი მშვენიერებანი და დაწინდვა თვალის ასახვევად გამომეყენებინა, საამისოდ საკმაოდ სულელი ვიყავი, ან როგორც მას ნებავდა, საკმაოდ ჩვეულებრივი არ გახლდით. მაგრამ განა პირიქით არ მოხდა? განა თვითონ მან არ გამოიყენა კესტნერი და მასთან ჩემი დაწინდვა თავისი საქციელისა და ვნების დასაფარავად უკვე დანიშნული ქალისადმი, რომლისთვისაც საძრახისი იქნებოდა «მასთან კიდევ უფრო დაახლოება?» განა თვითონ არ ბრძანდებოდა ის, ვინც მე მატყუებდა, მაწვალებდა თავისი გენიის შემბორკავი და სულის ამაფორიაქებელი მიმზიდველი ძალით, რომელსაც ვერ ავყვებოდი, არ მქონდა უფლება, არც შემეძლო და არც მსურდა ავყოლოდი, და ამაში ის დარწმუნებულიც იყო. ერთხელ ვეცლარს მისი მეგობარი, ახმახი მერკი ეწვია. იმ კაცს ვერ ვიტანდი, – სულ დამცინავი, რაღაც გაბოროტებული გამოხედვა და საზიზღარი სახე ჰქონდა; მისი შეხედვა გულს მიწურავდა, მაგრამ ჭკვიანი იყო და ის ნამდვილად უყვარდა, უყვარდა თავისებურად; თუკი ამქვეყნად ვინმე უყვარდა, ერთადერთი ის უყვარდა; ამას კარგად ვხედავდი და ამიტომ ნებსით თუ უნებლიეთ მასაც კარგად ვეპყრობოდი. და აი, რაც მერკმა მას უთხრა, ჩემს ყურამდე გვიან მოაღწია. ერთხელ ჩვენ ერთად ვიყავით საცეკვაოდ და სათამაშოდ პროკურატორ ბრანდტის ქალიშვილებთან, ანჰენ და დორთელჰენთან, ჩემს მეზობლებსა და ახლო მეგობრებთან, ორდენის მთავარი სახლი რომ ჰქონდათ დაქირავებული. დორთელი ლამაზი, ტანმაღალი და ჩემზე წარმოსადეგი ქალი იყო, მე კი თითისტარვით გალუული ვიყავი, თუმცა კესტნერის სასახელოდ და საპატიოდ ვიფურჩქნებოდი. დორთელს მაყვალვით შავი თვალეზღაბი ჰქონდა, რის გამო ხშირად შურსაც კი აღმიძრავდა ხოლმე, რადგან კარგად ვიცოდი, მას გულის სიღრმეში უფრო შავი თვალეზღაბი უყვარდა და ღია ცისფერ თვალეზღაბს ერჩივნა. და აი, სწორედ იმ აყლაყუდამ განზე გაიხმო გოეთე და უთხრა: «სულელიო! რას ეთამაშები სხვის დაწინდულ ქალს, არშიყობას

გადაჰყოლიხარ და ტყუილად კარგავ დროს, აგერ შეხედე იმ შავთვალა იუნონას, დოროთეას, მოჰკიდე ხელი, მასთან რაღაც გამოგივა, თავისუფალიც არის და არც არაფერი ბოჭავს. თუმცა შენ გული ვერ გაგიძლებს, თუ დრო ტყუილად არ ფლანგე!» დორთელის დამ ანჰენმა გაიგონა ეს და შემდეგ მე მიაიმბო. მან მხოლოდ გაიცინა მერკის სიტყვებზე, როგორც ანჰენმა მითხრა, და საყვედურს დროის ტყუილად ფლანგვაზე თურმე ყურიც არ ათხოვა; და თუ გნებავთ, ჩემთვის სასიამოვნოც კი იყო, რომ ის არც ფიქრობდა, ჩემთან დრო თუ ეკარგებოდა, და დორთელის თავისუფლება არ მიაჩნდა ისეთ უპირატესობად, ჩემს უპირატესობაზე მაღლა დაეყენებინა. შეიძლება საერთოდ არც თვლიდა მას უპირატესობად, და თუ თვლიდა, ეს ისეთი რამ იყო, რომელიც მას არ სჭირდებოდა. მაგრამ წიგნში ლოტე შავთვალად დაგვიხატა, თუკი ის თვალები დორთელის თვალებია. თუმცა იმასაც ლაპარაკობენ, თითქოს მაქს ლა რომის,[105] ფრანკფურტელი ბრენტანოს თვალები გამოეხატოს; როცა ის ქალი სულ ახალი დაქორწინებული იყო, მასთან დიდხანს იჯდა ხოლმე «ვერტერის» დაწერის წინ, სანამ ქმარმა მათ ერთი ყოფა არ დააწია და იმ სახლში მისვლის ხალისი არ დაუკარგა. ხალხი ლაპარაკობს, შეიძლება მისი თვალებიც დახატაო, ზოგიერთი კი იმდენად უსირცხვილოა, იმასაც ამბობს, «ვერტერის» ლოტეში ჩემგან იმაზე მეტი როდი დარჩა, რაც ზოგიერთი სხვა ქალისგანო. თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო დოქტორო, რა აზრის ხართ ამაზე, როგორც კაზმულ მეცნიერებათა მოღვაწე? განა ეს საშინელი რამ არ არის? განა შემიძლია გულისტკივილი არ განვიცადო, რომ ბოლოს ამ რაღაც შავი თვალების გამო თითქოს მე ლოტეც აღარ ვიყო?

რიმერი განცვიფრებული შეჰყურებდა. ლოტე ტიროდა. მოხუცმა ქალმა სახე მოარიდა, ცდილობდა ცრემლები დაემალა; ცხვირი გასწითლებოდა, ტუჩები უთრთოდა, ნაზ თითებს ხელჩანთაში აფათურებდა, ცხვირსახოცს ეძებდა, რომ შეეკავებინა კესანესფერ თვალებზე უეცრად მომდგარი აციმციმებული ცრემლები, რომლებიც უკვე გადმოფრქვევას აპირებდნენ. მაგრამ დოქტორი რიმერი ამას ერთხელ უკვე მიხვდა და ახლაც შენიშნა, რომ ის წინასწარ გათვალისწინებული საბაბით ტიროდა. თვალთმაქცობის ქალური მოთხოვნილებით მან სწრაფად და ეშმაკურად ისე წარმოადგინა, რომ რაღაც გაურკვევლობის გამო თვალებზე დიდი ხანია მომდგარი იმპროვიზებული, უმიწეო და მორცხვი

ცრემლებისთვის უბრალო და ცხადი, თუმცა საკმაოდ სულელური აზრი მიენიჭებინა. ერთხანს ასე ეჭირა ხელით თვალებთან მიტანილი ცხვირსახოცი. – საყვარელო, უძვირფასესო ქალბატონო, – უთხრა რიმერმა, – განა ეს შესაძლებელია? განა შეიძლება ესოდენ უმნიშვნელო დაეჭვებამ თქვენი უკეთილშობილესი მდგომარეობის შესახებ თუნდაც ერთი წუთით გული გატკინოთ და დაგაღონოთ? ჩვენს მდგომარეობას ამჟამად, იმ გარემოცვას, რომლის მომთმენი, მე ვიტყვოდი, კეთილგანწყობილი მსხვერპლნიც ჩვენ ვართ, ეჭვი არ უნდა აღედრა თქვენს გულში, თუ ვინ მიაჩნია ერს მარადიული გმირი ქალის ჭეშმარიტ და ერთადერთ პირველსახედ. მე აქ ისე ვლაპარაკობ, თითქოს შეიძლებოდა კიდევ რაიმე ეჭვის შეტანა თქვენს ამ ღირსებასა და იმ პატივში მას შემდეგ, რაც თვით ჩვენმა მოძღვარმა, ნება მომეცით, ვთქვა, ამის შესახებ თავისი აღსარების მესამე ნაწილში განაცხადა. მაგრამ განა საჭიროა შეგახსენოთ ეს? როგორც მხატვარი, ამბობს იგი, მრავალი მშვენიერებისგან, ქმნის თავის ვენერას სახეს, ასევე მანაც უფლება მისცა თავის თავს, მრავალ ლამაზ ყმაწვილ ქალთა თვისებებისგან შეეთხზა თავისი ლოტეს სახე; მაგრამ მთავარი ნიშან-თვისებანი, დასძენს იგი, აიღო ყველაზე საყვარელი ადამიანისგან, ძვირფასო ქალბატონო! ამასთან, – ნება მომეცით, ჩავიხედოთ მეთორმეტე წიგნში! – ვის სახლ-კარს და გვარიშვილობას, ვის ხასიათს, გარეგნობას და ცხოვრების მხიარულ გარჯას აღწერს იგი მეტის სინაზითა და სიზუსტით, რაც არავითარი ეჭვისა თუ აღრევის ნებას არ გვაძლევს? დაე, ამაზე მოცლილმა ადამიანებმა იკამათონ, ვერტერის ლოტეს მხოლოდ ერთი მოდელი არსებობს თუ რამდენიმე. დიდი გენიოსის ცხოვრების ერთ-ერთი უსაყვარლესი და ყველაზე მიმზიდველი ეპიზოდის გმირი ქალი, ახალგაზრდა გოეთეს ლოტე, სათაყვანებლო ქალბატონო, ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ერთია...

– ეს დღეს ერთხელ უკვე მოვისმინე, – თქვა წამოწითლებულმა ქალმა ღიმილით, თან თვალებთან მიტანილი ცხვირსახოცის ზემოდან იცქირებოდა... – აქაურმა კელნერმა, მაგერმა, უკვე ინება გამოეთქვა ასეთივე მოსაზრება რაღაც შემთხვევის გამო.

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – დინჯად მიუგო რიმერმა, – გავიზიარო მდაბიოთა აზრი, როდესაც ისინიც ხვდებიან ცხად ჭეშმარიტებას.

– არსებითად, – ოდნავი ამოოხვრით თქვა ქალმა და ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა, – ეს არ გახლავთ ამაღელვებელი ჭეშმარიტება, ეს მე უნდა მხსომეზოდა. ერთი ეპიზოდი, რა თქმა უნდა, კმარა ერთი გმირი ქალისთვისაც. ეპიზოდი კი უამრავი იყო, – ამბობენ, კიდევ არისო. თურმე ისინი ერთ დიდ მწკრივში არიან ჩაბმული და მათ შორის მეც ვარ...

– მარადიული მწკრივი! – დასძინა რიმერმა.

– რომელშიც, – შეასწორა ქალმა, – ბედმა მეც ჩამართო. საყვედურიც არ მეთქმის. მე უფრო გამიღიმა ბედმა, ვიდრე სხვებს, რადგან მომანიჭა სრული და ჯან-ღონით სავსე, ბედნიერი პირადი ცხოვრება გამრჯე და კეთილი მეუღლის გვერდით, რომლისადმი გონივრულ ერთგულებას გულის სიღრმეში ვინახავ. ჩვენ შორის არიან უფრო ფერმკრთალი, დაღვრემილი სახეები, რომლებიც მარტოობის ნაღველს გადაჰყვნიენ და ნაადრევად დაიმკვიდრეს სასუფეველი სასაფლაოს ბორცვქვეშ. ოღონდ როდესაც ის წერს, რომ გულისტკივილით, მაგრამ უფრო სუფთა სინდისით მშორდებოდა მე, ვიდრე ფრიდერიკეს, მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს შემთხვევაში სწორედ მისი სინდისის მიმართ მაქვს სასაყვედურო, რადგან ცოტა სადარდებელი როდი გამიჩინა თავისი უმიზნო კურკურით მაშინ, როცა მე დანიშნული ვიყავი და გული გახეთქაზე მქონდა. ის რომ ჩვენგან წავიდა, მისი წერილი წავიკითხეთ და ჩვენ, უბრალო ადამიანები, კვლავ მარტონი დავრჩით, ყველამ მოვიწყინეთ, მთელი დღე მხოლოდ მასზე გვინდოდა გველაპარაკა. მაგრამ გულზეც მოგვეშვა, დიახ, შვება ვიგრძენით; ახლაც კარგად მახსოვს, რას ვფიქრობდი მაშინ, როგორ ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ კვლავ აღდგა ჩვენი შესაფერი, ბუნებრივი, ალალ-მართალი, ყოველდღიური მშვიდი ცხოვრება და ჩვენს თავს სამუდამოდ დავუბრუნდით. მაგრამ ამაოდ, ნაადრევი გამოდგა გულდამშვიდება! ახლა დაიწყო, რაც დაიწყო! მოვიდა წიგნი და მე უკვდავი შეყვარებული გავხდი, – თანაც არა ერთადერთი, ღმერთო, შენ დამიფარე, გამოჩნდა მთელი მწკრივი სატრფოებისა; ეს კია, რომ მე უფრო მეტი პატივი და სახელი მხვდა წილად, უფრო მეტად აღვუძრავდი ხალხს ცნობისმოყვარეობას; დაიწყო მიკითხვ-მოკითხვა. და აი, მეც შევედი ლიტერატურის ისტორიაში, გავხდი კვლევა-ძიების საგანი, სალოცავი ხატი, ღვთისმშობლის ლუსკუმა, რომლის

წალოს წინ მუდამ ხალხმრავლობაა კაცობრიობის ტაძარში. ეს ყოფილა ჩემი ხვედრი. მაგრამ, ნება მომეცით, ვიკითხო, რატომ მოხდა ეს? განა იმიტომ, რომ ჭაბუკი, რომელიც იმ ზაფხულს იმდენს მეკურკურებოდა და ჩემი ცხოვრება შეაშფოთა, ესოდენ დიდი კაცი გახდა, მეც თან გამიყოლია, განმადიდა და მთელი ჩემი ცხოვრება დაძაბული და გულისმომკვლელი განდიდების ძრწოლა-განგაშში ვარ, რაშიც მაშინდელმა მისმა უმიზნო კუდში დევნამ ჩამაგდო? რას ვიფიქრებდი, თუ ჩემი საცოდავი სულელური სიტყვები მარადისობისთვის წარმომითქვამს? როცა ჩემს ბიძაშვილთან ერთად მეჯლისზე მივდიოდით, ეტლში საუბარი რომანების ირგვლივ ტრიალებდა, შემდეგ ცეკვის დროსაც გასართობად ხან რას ვცხედობდი, ხან რას, ღმერთმანი, მე მაშინ სიზმრადაც არ მომელანდებოდა, რომ საუკუნეებისთვის მიყბედია და წიგნში დარჩებოდა სამარადჟამოდ. ეს რომ მცოდნოდა, მაშინ ენას კბილს დავაჭერდი ანდა ვეცდებოდი ისეთი რამ მეთქვა, მარადისობისთვის ოდნავ შესაფერისი მაინც ყოფილიყო. აჰ, მე მრცხვენია, როცა ვკითხულობ, ბატონო დოქტორო, მრცხვენია, საქვეყნოდ რომ გამოფენილი ვარ ამ სიტყვებით ჩემს წალოში. იმ ყმაწვილსაც, რაკი პოეტი ბრძანდებოდა, ხომ შეეძლო ჩემი სიტყვები ცოტა შეელამაზებინა, უფრო გონიერი სიტყვები წარმოეთქმევინებინა, რომ მეც უკეთესი ფორმით

ვეყოფილიყავი წარმოდგენილი წალოში შედგმულ ლუსკუმასავით კაცობრიობის ტაძარში; ეს ხომ მისი მოვალეობა იყო, რაკი დაუკითხავად ჩამითრია ამ მარადისობის სამყაროში...

ქალი კვლავ ატირდა. რაკი ერთხელ ატირდები, მერე ცრემლს ვეღარ შეაჩერებ. ისევ ცხვირსახოცი მიიტანა თვალებთან, თან თავს აცანცარებდა საკუთარი ხვედრის წინაშე უმწეოდ გაოგნებული.

რიმერი დაიხარა და თავისი ხელი ნაზად დაადო ქალის თათმანიან ხელს, რომელიც ჩანთასთან ერთად კალთაზე დაედო.

– ძვირფასო და სანუკვარო ქალბატონო, – წარმოთქვა მან, – იმ მღელვარებას, რომელიც მაშინ თქვენმა მშვენიერმა სიტყვებმა აღუძრეს გულში ახალგაზრდას, მუდამ გაიზიარებს მთელი კაცობრიობა, სანამ გრძნობა არ ჩაუქრება, – ამაზე მან, ვითარცა პოეტმა, დიახაც იზრუნა, აქ სიტყვები როდია მთავარი.

– შემობრძანდით, – ანგარიშმიუცემლად წარმოთქვა მან, ისე რომ არც მდგომარეობა და არც საუბრის რბილი, მანუგემებელი კილო არ შეუცვლია, როცა ვიღაცამ დააკაკუნა.

– მიიღეთ მორჩილებით, – განაგრძო მან, – რომ თქვენი სახელი მუდამ იკაშკაშებს ქალთა იმ სახელებს შორის, რომლებიც მისი ბრწყინვალე შემოქმედების ეპოქებს აღნიშნავენ და განათლების პირმშონი ზევსის სასიყვარულო თავგადასავალივით მოიგონებენ. დაემორჩილეთ თქვენს ხვედრს და შეურიგდით ბედს, თუმცა უკვე დიდი ხნის შეურიგებელი ბრძანდებით, რომ თქვენ, ჩემი არ იყოს, იმ ადამიანთა, მამაკაცთა, ქალთა თუ ქალწულთა სახეებს ეკუთვნით, რომელთაც მისი წყალობით ისტორიის, ლეგენდის, უკვდავების შუქი ეფინებათ, როგორც მათ, ვინც იესოს გვერდით იყვნენ... რა მოხდა, ვინ არის მანდ? – იკითხა რიმერმა და წელში გასწორდა, მაგრამ მის ხმაში მაინც იგივე სილბო იგრძნობოდა.

ოთახში მაგერი იდგა. გაიგონა თუ არა, უფალ იესოზე იყო ლაპარაკი, ხელები სალოცავად აღაპყრო.

თავი მეოთხე

შარლოტემ უმაღლესი ჩამალა ცხვირსახოცი ხელჩანთაში. თვალებს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა. სწრაფად და მსუბუქად შეისუნთქა ჰაერი გაწითლებული ცხვირით, რათა ქვითინი ჩაეხშო. ასე გააქარწყლა კელნერის შემოსვლით დარღვეული მდგომარეობა. გამომეტყველება ახალი ვითარების შესაფერად შეცვალა, მაგრამ გაბრაზებული გამოხედვა ჰქონდა.

– მაგერ! კვლავ შემობრძანდა? – იკითხა მკვახედ. – მე მგონია, მას ვუთხარი, რომ ჰერ დოქტორ რიმერთან სერიოზულ საქმეებზე უნდა მეთათბირა და არ მინდოდა საუბარი დაერღვია!

მაგერს შეეძლო შეჰპასუხებოდა, მაგრამ მოწიწებისა და პატივისცემის გამო უარი თქვა ქალბატონის თვითცდუნებას შესდავებოდა.

– ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! – მხოლოდ ეს თქვა და ისედაც სალოცავად აღმართული ხელები მოხუცი ქალისკენ

გაიწოდა, – მოიღეთ მოწყალეობა და ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ უკვე დიდი ხანია ვცდილობდი, რაც შემემძლო ვაჭიანურებდი, რომ თქვენი საუბარი არ დამერღვია. უნუგემო ყოფაში ჩავვარდი და ბოლოს მაინც ველარ ავიცილე. აგერ უკვე ორმოც წუთზე მეტია იცდის ერთი ქალი ვაიმარის საზოგადოებიდან, რათა ინებოთ მისი მიღება. დიდხანს ველარ შევძელი დაყოვნება და უარი, გადავწყვიტე მომეხსენებინა თქვენთვის, ვენდობოდი და მწამდა ბატონ დოქტორისა და განსაკუთრებით, ქალბატონო, თქვენი სამართლიანობის გრძნობისა, რომ თქვენ, ისე როგორც სხვა მაღალი და პატივცემული პიროვნებანი, მიჩვეული ბრძანდებით, თქვენი დრო და მოწყალეობა გაუნაწილოთ ნახვის მსურველთ, რათა რაც შეიძლება მეტსა და მეტ ადამიანს მიაგოთ სამართლიანობა.

შარლოტე წამოდგა.

– ეს უკვე მეტისმეტია, მაგერ! – წარმოთქვა მან, – აგერ უკვე სამი საათია, თუ არ ვიცი რამდენი ხანია, ვაპირებ წავიდე და ვინახულო ჩემი ნათესავები, რომლებიც ალბათ უკვე შეწუხებულნი არიან ჩემი შეფერხების გამო; ჯერ იყო და ჩამძინებოდა, რამაც ისედაც დამაგვიანა, ახლა მას სურს ახალი მიღებებით დამაბრკოლოს! ეს უკვე მეტისმეტია. მე მას ჯერ კიდევ მის კაზლის გამო გავუბრაზდი, ბატონი დოქტორის გამოც, თუმცა ჰერ რიმერთან საუბარი არაჩვეულებრივად საინტერესო გამოდგა. მაგრამ ახლა კიდევ სურს დამაყოვნოს! უკვე სერიოზულად მეპარება ეჭვი ამ კაცის ერთგულებაში, დიდის ამბით რომ მომაჩვენა, რათა ამ სახით საზოგადოების საჩვენებლად გავეხადე.

– ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – უთხრა თვალეზიანობით კელნერმა, – თქვენი უკმაყოფილება გულს მიხეთქს ისედაც გულგახეთქილს წმინდა მოვალეობათა შეჯახების გამო; აბა როგორ უნდა დავიცვა ჩვენი სახელგანთქმული სტუმარი მომაბეზრებელი მნახველებისგან, თუ ამ მოვალეობას წმინდად არ მივიჩნევ. მაგრამ სანამ სამუდამოდ გამკიცხავდეს ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე, დაე მოწყალეობა მოიღოს და კარგად აწონ-დაწონოს, რომ ჩემი მდგომარეობის კაცისთვის ისევე წმინდა, საგულისხმო და გასაგებია იმ წარჩინებულ პიროვნებათა გრძნობები, რომელთაც ჩვენს სახლში თქვენი ყოფნის ამბავი რომ შეიტყვეს, თქვენი ნახვის მგზნებარე სურვილით

განიმსჭვალნენ!

– ჯერ ერთი, მინდა განმიმარტოთ, ვინ მოსდო ეს ამბავი მთელ ქალაქს? – ჰკითხა შარლოტემ მკაცრად.

– ვინ კითხულობს ქალბატონს? – ახლა უკვე რიმერმა მოისურვა გაგება, რომელიც ასევე წამომდგარიყო.

– ფროილან შოპენჰაუერი,[106] – უპასუხა მაგერმა.

– ოჰ, – წარმოთქვა დოქტორმა, – პატივცემულო ქალბატონო, ეს კეთილი კაცი არც იმდენად ტყუის, რომ თავს იდო მოეხსენებინა თქვენთვის ამ ქალიშვილის მობრძანება. თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ, ლაპარაკია ადელე შოპენჰაუერზე, ფრიად განათლებულ ქალზე, რომელსაც დიდი კავშირურთიერთობანი აქვს და ბევრი ნაცნობობა ჰყავს. იგი ქალიშვილია ფრაუ იოჰანა შოპენჰაუერისა, დანციგელი მდიდარი ქვრივისა, ჩვენი მაისტერის ერთგული მეგობარი ქალისა, რომელიც ათი წელია ჩვენთან ცხოვრობს, ამასთან

თავად ლიტერატორი ბრძანდება და მფლობელია გონებამახვილთა სალონისა, სადაც ხშირად ატარებდა სალამოს ჩვენი მასწავლებელი, როდესაც საზოგადოებაში გასვლა და გართობა ჯერ კიდევ ეხალისებოდა. თქვენ მოწყალება მოიღეთ და ჩვენს აზრთა გაზიარებას ერთგვარი ინტერესი მიაწერეთ. თუ ძალიან დადლილი არა ბრძანდებით და დრო საშუალებას გაძლევთ, მაშინ თავს ნებას მივცემ გაგიბედოთ და გირჩიოთ, ამ ქალიშვილს რამდენიმე წუთი აჩუქოთ. არაფერს ვამბობ იმაზე, თუ ამით რა დიდ საჩუქარს მიუძღვნით ამ მგრძნობიარე გულის ახალგაზრდა ქალიშვილს; შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მასთან საუბარი საშუალებას მოგცემთ ჩვენი ვითარებანი და ურთიერთობანი უფრო უკეთ გაიცნოთ, უთუოდ უკეთ, ვიდრე განდევნილ მეცნიერთან საუბრით. რაც შეეხება ამ მეცნიერს, – თქვა მან ღიმილით, – იგი ყოველი შემთხვევისთვის

ასპარეზს გითავისუფლებთ, თუმცა, სამწუხაროდ, საყვედურსაც უცხადებს თავის თავს იმის გამო, რომ ასე დიდხანს ყოფნით მოქანცა თქვენი ყურადღება.

– თქვენ მეტისმეტად თავმდაბალი ბრძანდებით, ბატონო დოქტორო! – მიუგო შარლოტემ, – მადლობელი ვარ ამ საათისთვის, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში ძვირფას და მნიშვნელოვან მოგონებად.

– სრული ორი საათი გავიდა, – შენიშნა მაგერმა, როდესაც

ქალბატონმა ხელი გაუწოდა რიმერს, რომელიც მოწიწებით დაიხარა საკოცნელად, – დიახ, ორი საათი გავიდა, თუ ნებას დამრთავთ აღვნიშნო. რაკი სადილი ცოტა შეგვიანდა, ხომ არ ინებებს ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე, სანამ ფროილან შოპენჰაუერს შემოვიყვან, მცირეოდენი საუზმით დანაყრებას და ძალ-ღონის მოკრებას ერთი ფინჯანი წვნიანითა და ნამცხვრით ან ერთი ჭიქა მშვენიერი უნგრული ღვინით.

– მადა არა მაქვს, – უთხრა შარლოტემ, – თუმცა მხნედ ვგრძნობ თავს. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დოქტორო! იმედია, კიდევ გნახავთ ამ დღეებში. ახლა კი მაგერმა ღვთის სახელით სთხოვოს ქალიშვილს ჩემთან შემობრძანდეს, ოღონდ ერთი პირობით, და ამას დაბეჯითებით მოვითხოვ, მხოლოდ რამდენიმე წუთი დამრჩა მასთან მისასაღმებლად, მცირეოდენი შეყოვნებაც კი უკვე მიუტევებელი დროის წართმევა გამოვა ჩემი ნათესავების წინაშე, რომლებიც მელოდებიან.

– ძალიან კარგი, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! ოღონდ ნება მომეცით, მოგაგონოთ: უმადობა ჯერ კიდევ იმას როდი მოწმობს, რომ დანაყრება არ გჭირდებოდეთ. თუ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ნებას დამრთავს, ერთხელ კიდევ შევთავაზებდი მცირე რამ საუზმეს ძალ-ღონის მოსაკრებად... ეს უთუოდ კარგ გავლენას მოახდენდა, ისე რომ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ჩემი მეგობრის, ქალაქის ათისთავ რიურიგის წინადადებასაც მოწყალებით მიიღებდა, ფანჯარასთან ახლოს მივიდოდა... ის ერთ ამხანაგთან ერთად წესრიგს იცავს ჩვენს სახლთან და წელან ჩემთან იყო დერეფანში. მისი აზრით, ქალაქის საზოგადოება უფრო ადვილად დაიხევდა უკან და სიამოვნებით დაიშლებოდა, თუ შესაძლებლობა ექნებოდა და ერთხელ მაინც თვალს მოჰკრავდა ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს. ქალბატონი დიდ სამსახურს გაუწევდა უფროსებსა და საზოგადოებრივ დისციპლინას, თუ თქვენ დათანხმდებოდით და მხოლოდ ერთი წუთით ხალხს დაენახებოდით ჩვენი სახლის ჭიმკართან ან ღია ფანჯარასთან...

– არავითარ შემთხვევაში, მაგერ! არანაირად ეს არ მოხდება. ეს მთლად სასაცილო, უაზრო კადნიერებაა. იქნებ ისიც ნებავთ, რომ სიტყვა წარმოვთქვა? არა, ხალხს ვერ ვეჩვენები ვერავითარი პირობით! მე გავლენიანი პიროვნება როდი

გახლავართ...

– უფრო მეტიც ბრძანდებით, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! უფრო მეტი და უფრო ამაღლებული, ვიდრე გავლენიანი პიროვნება. ჩვენი კულტურის დღევანდელ საფეხურზე ხალხი თავს იყრის უკვე არა მბრძანებელთა და გავლენიან პირთა სანახავად, არამედ სულიერი ცხოვრების ვარსკვლავთა საჭვრეტად.

– უაზრობას ამბობთ, მაგერ! ბრბოს ამბავს ნუ მასწავლით, კარგად ვიცნობ ბრბოს ცნობისმოყვარეობის ყოვლად ტლანქ მოტივებს, რომელთაც სულთან არსებითად ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო. ყოველივე ეს სისულელეა. ჩემი შეხვედრები რომ დამთავრდება, პირდაპირ გავწევ ისე, რომ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გავიხედავ. ხალხის წინაშე ჩემს «გამოჩენაზე» კი სიტყვაც არ გამაგონოთ.

– თქვენი ნებაა, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე. ოღონდ გული მტკივა, როცა იძულებული ვარ გამოვუტყდე ჩემს თავს, რომ მცირეოდენი დანაყრების შემდეგ ალბათ საგნებს სულ სხვა თვალთ შეხედავდით... მივდივარ, რათა ვამცნო ფროილან შოპენჰაუერს.

შარლოტემ ისარგებლა იმ მცირეოდენი წუთებით, მარტო რომ დარჩა, ფანჯარასთან მივიდა, მარმაშის ფარდა ხელით მიკრიფა, გაიხედა და დარწმუნდა, რომ მოედანზე ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, ხალხი ალყად შემოსდგომოდა შესასვლელს. ჭვრეტის დროს თავი ძლიერ უცახცახებდა; პროექტის თანაშემწესთან, ფამულუსთან ხანგრძლივი საუბრის გამო ლოყები ვარდით ასწითლებოდა. ფანჯარას მოსცილდა, შემობრუნდა, ორივე ხელის ზურგები აწითლებულ დაწვებზე მიიღო, რათა ის სიმხურვალე შეეგრძნო, თვალებს რომ უბინდავდა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, იგი არ შემცდარა, როცა განაცხადა, თავს მხნედ და ჯანსაღად ვგრძნობო, თუმცა სანახევროდ თუ უწევდა ანგარიშს იმას, რომ ეს მხნეობა ერთგვარად დამაბული და მომქანცველი იყო. ის შეიპყრო თავშეუკავებელმა გულლიაობამ, აღზნებულმა და ლაღმა სიტყვამრავლობამ, მოუთმენელმა წადილმა, ელაპარაკა კიდევ და კიდევ, მეტყველების არაჩვეულებრივი სიმკვირცხლის თითქმის ამაყმა შეგნებამ, თვით საჩოთირო საკითხებსაც რომ არ ერიდება. ერთგვარი ცნობისმოყვარეობით შეხედა კარს, რომელიც ახალი მნახველის წინაშე უნდა გაღებულიყო.

ადელე შოპენჰაუერმა, მაგრამ რომ შემოუშვა, მუხლი მოიდრიკა და თავი მდაბლად დახარა. შარლოტემ ხელი გაუწოდა და თავაზიანად წამოაყენა. შარლოტეს აზრით, ახალგაზრდა ქალბატონი მეოცე წელიწადში იქნებოდა გადამდგარი, საკმაოდ ულამაზო იყო, მაგრამ ინტელიგენტური შესახედაობა ჰქონდა, თვით მისი თავდაჭერაც, ნაწილობრივ ქუთუთოებისა და წამწამების ხშირი ხამხამით, ნაწილობრივ აქეთ-იქით და ზემოთ მალიძალ ახედვით რომ ცდილობდა დაეფარა მოყვითალო მწვანე თვალების სიელმე, პირველი

წუთებიდანვე ნერვული ინტელიგენტურობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო ჰკვიანურად მოდიმარი, აშკარად კულტურულ საუბარში გაწაფული ფართო პირისა და თხელი ტუჩების გამო ვერ შეამჩნევდით ჩამოგრძელებულ ცხვირს, ასევე გრძელ კისერს და სავალალოდ წამოშვერილ ყურებს; ოსტატურად გაწყობილ, ვარდებით შემოვლებულ ჩალის ქუდქვეშ დაწვებს ჩასდევდა დახვეული კულულები. ქალიშვილი მეტისმეტად მჭლე და გალეული იყო. თეთრი, ბრტყელი მკერდი მოვის მოკლესახელოიან აზღუდში ჩაფლობოდა, რომლის ფართო ფურჩალები გამხდარ მხრებსა და კისერს გარს შემოვლებოდა. ნახევართათმანებიდან თხელი ხელების ასევე გამხდარი, მოწითალო თითები და თეთრი ფრჩხილები მოუჩანდა. ქოლგის სახელურს გარდა, ამ თითებში ეპყრა აბრეშუმის ქაღალდში გახვეული რამდენიმე ყვავილის ღერო და კიდევ გრაგნილის ფორმის შეკვრა.

მაშინვე დაიწყო ლაპარაკი, სწრაფად, უნაკლოდ, წუნს ვერ დასდებდით, წინადადებებს შორის არ ჩერდებოდა, მკვირცხლად უბნობდა, რასაც შარლოტე წინასწარ მოელოდა მისი ჰკვიანური პირისგან. ამასთან, პირი ცოტა უწყლიანდებოდა. ისე, რომ ოდნავ საქსონიური კილოთი შეფერილი მისი სიტყვები მართლაც კარაქწასმულივით მოსრიანდებდნენ; შარლოტე შეფიქრიანდა კიდევ, ვაითუ, ამ თავაწყვეტილ ენაწყლიანობას სტუმარმა ანგარიში ველარც კი გაუწიოსო.

– ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლევ, – მიმართა ადელემ, – რაოდენ მადლობელი ვარ, რომ თქვენმა გულკეთილობამ უმაღვე მომანიჭა ბედნიერება – ჩემი თქვენდამი თაყვანისცემა დაგიდასტუროთ, საამისოდ სიტყვებიც კი არ მყოფნის, – და შეუსვენებლად განაგრძო: – ამას მოგახსენებთ არა მხოლოდ ჩემი მდაბალი პიროვნების, არამედ ჩვენი მუზათა

გაერთიანების სახელითაც, ვერ გეტყვით დავალებით-მეთქი, რადგან ასეთი დავალების მიღების შესაძლებლობა აღარ მქონდა, ვერ მოვასწარი; ჩვენი მუშების კავშირის სულისკვეთებამ და მშვენიერმა თანადგომამ თქვენი ჩამობრძანების აღმაფრთოვანებელი ამბის გამო ბრწყინვალედ გაუძლო გამოცდას, რამდენადაც ჩვენი თანამეგობრობის ერთ-ერთმა წევრმა, ჩემმა საყვარელმა მეგობარმა, გრაფის ასულმა კონტესა ლინე ეგლოფშტაინმა დაუყოვნებლივ შემატყობინა აღმაფრთოვანებელი ამბავი, როგორც კი თავისი შინამოსამსახურისგან გაიგო. სინდისი მიკარნახებს, რომ თუნდაც მადლობის ნიშნად, ჩემი აქეთ წამოსვლის განზრახვის შესახებ უნდა შემეტყობინებინა მუზელინესთვის, – მაპატიეთ, ეს ჩვენს გაერთიანებაში შერქმეული სახელია ლინე ეგლოფშტაინისა. ჩვენ ყველას ასეთი სახელები გვაქვს. გაგეცინებათ, ყველა რომ ჩამოგითვალოთ, – ალბათ ისიც გამოსწევდა აქეთ ჩემთან ერთად. მაგრამ ჯერ ერთი, აქეთ წამოსვლა მე გადავწყვიტე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის დამშორდა, მეორეც, საკმაოდ მტკიცე საფუძველი მაქვს იმისა, რომ თქვენ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლეც, მარტოდმარტომ გისურვოთ კეთილი ჩამობრძანება და პირისპირ გესაუბროთ... გთხოვთ ნება დამართოთ რამდენიმე ასტრა, დეზურა და პეტუნია, აგრეთვე ჩვენი გულმოდგინე ხელოვნების ეს მცირე ნიმუში მოგართვათ.

– ჩემო საყვარელო გოგონა, – მიუგო გამხიარულებულმა შარლოტემ, რადგან ადელემ ისე წარმოთქვა «ბედუნია», რომ მას სიცილი მოჰგვარა; არც იყო საჭირო დაეფარა თავისი გამხიარულება, რადგან «მუზელინესაც» ხომ შეეძლო გამოეწვია იგი, – ჩემო ძვირფასო გოგონა, მომხიბლავია, რა კარგად შეგიხამებიათ ფერები. ახლა იმაზეც ვიზრუნოთ, როგორმე წყალი გამოვნახოთ ამ დიდებული ყვავილებისთვის. არ მახსოვს, ოდესმე ასეთი მშვენიერი პეტუნიები მენახოს... – და კვლავ სიცილის სურვილმა შეიპყრო.

– ჩვენი მხარე ყვავილების სამეფოა, – მიუგო ადელემ, – ფლორა კეთილი თვალთ გვიყურებს, – და თვალთ წალოში დადგმულ თაბაშირის ქანდაკებაზე ანიშნა. – ას წელიწადზე მეტია ერფურტის სათესლე კულტურებს მსოფლიო სახელი აქვთ მოხვეჭილი.

– საუცხოოა! მომხიბლავია! – გაიმეორა შარლოტემ. – ერთი ეს

მითხარით, რა არის აი, ეს, თქვენ, რომ ვაიმარის გულმოდგინე ხელოვნების ნიმუშს უწოდებთ, რა უნდა იყოს? მე ცნობისმოყვარე მოხუცი ქალი გახლავართ...

– ო, მე ძალიან შელამაზებული გამოთქმა ვიხმარე. რაღაც უმნიშვნელო გასართობი, სათამაშო, ჩემი ნახელავი გახლავთ, ძალიან უბრალო მისასალმებელი საჩუქარი თქვენი კეთილმოზრძანებისა. ნებას მომცემთ გამოხსნაში მოგეხმაროთ? თუ შეიძლება გთხოვოთ, აი, ასე, ამ მხრიდან. ეს ჩრდილგამოსახულებაა, შავი კრიალა ქალაქიდან ამოჭრილი და დიდი გულმოდგინებით თეთრ მუყაოზე დაწებებული, ჯგუფური სურათია, როგორც ხედავთ. ეს სწორედ ჩვენი მუზების თანამეგობრობა გახლავთ, სახეები დავამსგავსე, რამდენადაც მოვახერხე. ეს გახლავთ ხსენებული მუზელინე, ლინე ეგლოფშტაინი, როგორც მოგახსენეთ, ის მომჯადოებლად მღერის და დიდი ქალბატონის, დიდი მთავრის მეუღლის, მემკვიდრე სეფეასულის კარის საყვარელი ქალია. ეს იულიაა, მისი ლამაზი დაიკო, მხატვარი გახლავთ და მეტსახელად იულებმუხეს ვეძახით. შემდეგ კი მე გახლავართ, სახელად ადელმუხე, შეულამაზებლად, რაზეც თქვენც დამეთანხმებით, ხოლო აი, ეს, ჩემთვის ხელი რომ გადაუხვევია, ტილემუხეა, სწორად რომ მოგახსენოთ, უნდა მეთქვა: ოტილიე ფონ პოგვიში! – კობტა თავი აქვს, არა, ხომ მართალს ვამბობ?

– სასიამოვნოა, – თქვა შარლოტემ, – ძალიან სასიამოვნოა ყოველივე ეს და დაუჯერებლად ნამდვილი, ცოცხალი. მაცვიფრებს თქვენი ხელგაწაფულობა, ჩემო გოგონა! როგორ არის დამუშავებული, შეხამებული! ეს ფურჩალები და ღილაკები, მაგიდისა და სკამების ფეხები, კულულები, ცხვირი და წამწამები! ერთი სიტყვით, ეს მთლად არაჩვეულებრივი რამ არის. მაკრატლით გამოსახულებათა გამოჭრის ხელოვნებას ოდითგანვე დიდად ვაფასებდი და მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ მისი გადავარდნა გულისა და გრძნობისათვის დასანანი დანაკლისია. ამიტომ მით უფრო აღტაცებული ვარ იმ გულმოდგინებით, რის წყალობითაც არაჩვეულებრივ ბუნებრივ ნიჭს განვითარების უმაღლესი მწვერვალისთვის მიუღწევია...

– ჩვენს მხარეში, თუკი ადამიანს ნიჭი აქვს, რაღაც უნდა აკეთოს, – მიუგო ახალგაზრდა ქალმა, – თორემ საზოგადოებაში ვერ გამოჩნდება და ზედაც არავინ შეხედავს. აქ ყველაფერი

მუზებს ეწირება და ეს კარგ საქმედ და საქციელად ითვლება. ჭემმარიტად ასეც არის, ხომ მართაღს ვამბობ? სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ბავშვობიდანვე თვალწინ მედგა ჩემი საყვარელი დედის საუკეთესო მაგალითი. ვაიმარში ჩამოსვლამდე და აქ დასახლებამდე, ცხოვრებული მამაჩემის სიცოცხლეშივე, ფერწერას მისდევდა. მაგრამ მისი ნიჭის

გაფურჩქვნა-განვითარება სერიოზულად აქ დაიწყო; ფორტეპიანოზე გულმოდგინედ უკრავდა და მეც ამით მაგალითს მაძლევდა; გარდა ამისა, იტალიურს სწავლობდა აწ განსვენებულ ფერნოსთან – აი, იმ ხელოვნებათმცოდნე ფერნოსთან, კარგა ხანს რომში რომ ცხოვრობდა. ჩემს პაწია პოეტურ ცდებს დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუმცა მას თვითონ არ ჰქონდა ლექსის წერის ნიჭი, ყოველ შემთხვევაში გერმანულ ენაზე მაინც არ შეეძლო თხზვა; ერთხელ ფერნოს ხელმძღვანელობით იტალიურ ენაზე მართლაც შეთხზა სონეტი პეტრარკას სტილზე. საოცარი ქალია! წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემზე მაშინ, როდესაც ცამეტი თუ თოთხმეტი წლისა ვიყავი: როგორც კი აქ ფეხი დადგა, თავისი სალონი სულ მალე განათლებული და უმშვენიერესი სულის ადამიანთა თავშესაყარ ადგილად აქცია. მე თუ ჩრდილგამოსახულებათა გამოჭრაში რაღაცას ვახერხებ, ისევ მისი და მისი მაგალითის მაღლობელი ვარ, რადგან ის იყო და არის ყვავილთა გამოჭრის ოსტატი, და თვით საიდუმლო მრჩეველიც დიდი სიამოვნებით უცქერდა მის გამოჭრის ხელოვნებას, როდესაც ჩაის დასალევად მობრძანდებოდა ხოლმე...

– გოეთე?

– დიახ. მან მანამდე არ მოისვენა, სანამ დედამ არ გადაწყვიტა მთელი ბუხრის ჩარჩო მოერთო გამოჭრილი ყვავილებით, და უნდა გენახათ, თვითონ როგორ გულმოდგინედ ეხმარებოდა დაწებების დროს. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იჯდა იგი მთელი ნახევარი საათი მორთული ბუხრის ჩარჩოს წინ და ტკბებოდა მისი ცქერით...

– გოეთე?!

– დიახ, გოეთე. ჭემმარიტად ამაღელვებელია დიდი ადამიანის სიყვარული ყოველგვარი ნაკეთობისადმი, გულმოდგინე ხელოვნებისადაყოველისახისხელგაწაფულობის პროდუქტისადმი, ერთი სიტყვით, ყოველგვარი

ნაწარმოებისადმი, რაც კი ადამიანის ხელს შეუქმნია. ვინც მას ამ მხრივ არ იცნობს, მაშასადამე, საერთოდ ვერ იცნობს.

– თქვენ მართალი ბრძანდებით, – თქვა შარლოტემ. – მეც ვიცნობ მას ამ მხრივ და ახლა კარგად ვხედავ, რომ იგი ისევ ის ძველი გოეთეა; ამით კი მინდა მოგახსენოთ, რომ იგი ისევ ის ახალგაზრდა გოეთე დარჩენილა. როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, მაშინ ვეცლარში როგორ სიხარულს განიცდიდა ჩემი ფერადი აბრეშუმით მცირე რამ ნაქარგობის გამო და ჩემს სახატავ რვეულში ასეთი რამეებისთვის ჩანახატების

გაკეთებისას ხშირად ხალისით და გულმოდგინედ მეხმარებოდა. მაგონდება, როგორი გატაცებით მონაწილეობდა ერთ დაუმთავრებელ სიყვარულის ტაძრის კომპოზიციაში: სიყვარულის ტაძრის საფეხურებზე სალოცავიდან შინ დაბრუნებულ ქალს ესალმებოდა მისი მეგობარი...

– ღვთაებრივია! – შესძახა სტუმარმა, – რა მშვენიერ რამეს მიაძობთ, ძვირფასო ქალბატონო! გთხოვთ, გთხოვთ გააგრძელოთ თხრობა!

– მაგრამ ასე არა, თქვენ სულ ფეხზე დგახართ, ჩემო საყვარელო! – უპასუხა შარლოტემ, – როგორ მოხდა, რომ დამავიწყდა და ვერ გთხოვთ დაბრძანებულიყავით. მით უფრო მაწუხებს, რომ თქვენმა ყურადღებამ, ამ ძვირფასმა საჩუქრებმა იმდენად მომაჯადოეს, რომ ამდენ ხანს ფეხზე გაცდევინეთ.

– მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, – განაგრძო ადელემ და თან მოხუცი ქალის გვერდით ძველებურ სავარძელზე ჩამოჯდა, – რომ მე არც ერთადერთი და არც პირველი ვიქნებოდი, ვინც თქვენი საერთო-სახალხო დიდების გარემოცვას გავარღვევდი, რათა მენახეთ, თქვენთვის სახეზე შემეხედა. თქვენ უთუოდ უაღრესად საინტერესო საუბარი გქონდათ. მე აქედან გასულ ბიძია რიმერს მივესალმე...

– როგორ, ის თქვენი...

– ო, არა. ასე ვეძახი მას ბავშვობიდან, ასე მივმართავდი და მივმართავ იმათ, ვინც ჩვენი ოჯახის მუდმივი ან ხშირი სტუმარი იყო კვირადღეს ან ხუთშაბათს, როდესაც დედა ჩაის გააწყობდა: მაიერებსა და შიუტცებს, ფალკეებს, ბარონ აინზიდელს,[107] ტერენციუსის[108] მთარგმნელს, მაიორ კნებელს[109] და საელჩოს მრჩეველს ბერტუსს,[110] რომელმაც

დააარსა «საყოველთაო ლიტერატურული გაზეთი», გრიმს[111] და თავად პიუკლერს,[112] ძმებ შლეგელებსა[113] და სავინის. [114] დიახ, მათ ყველას ვეძახდი და ვეძახი ბიძიასა და დეიდას. ვილანდსაც კი ბიძიას ვეძახდი.

– გოეთესაც ასე უხმობთ?

– მას სწორედ არა. მაგრამ საიდუმლო მრჩევლის მეუღლეს დეიდას ვეძახდი.

– ვულპიუსს?

– დიახ, აწ გარდაცვლილ ფრაუ ფონ გოეთეს, რომელიც დაქორწინების შემდეგ მაშინვე ჩვენთან მოიყვანა, მხოლოდ დედაჩემთან, რადგან სხვაგან ყველგან მის წაყვანას მცირეოდენი სიძნელე ხვდებოდა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ დიდი ადამიანიც თითქმის მხოლოდ ჩვენთან დადიოდა, რადგან თუ სასახლის კარი და საზოგადოება განსვენებულთან თავისუფალ თანაცხოვრებაზე თვალს ხუჭავდა, კანონიერი ქორწინების გამო განაწყენებული იყო.

– ბარონესა ფონ შტაინიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა? –
ჰკითხა შარლოტემ და ღაწვები ოდნავ შეეფაკლა.

– ის ყველაზე მეტად. ყოველ შემთხვევაში, მას ისე ეჭირა თავი, რომ ამ კავშირის ლეგალიზაცია განსაკუთრებით არ მოსწონდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში თვით ეს კავშირი დიდი ხანია საგრძნობ ტკივილს განაცდევინებდა.

– შეიძლება ადამიანმა მას თანაუგრძნოს...

– ო, რასაკვირველია! მაგრამ, მეორე მხრივ, რა მშვენიერი ნაბიჯი იყო, რომ ჩვენმა დიდმა მოძღვარმა საბრალო ქალი კანონიერ ცოლად მოიყვანა. ფრანგთა საშინელი შემოსევის დღეებში ეს ქალი ექვს წელიწადს ერთგულად და ვაჟკაცურად ედგა მხარში და გოეთემაც მიიჩნია, რომ ორი ადამიანი, რომელთაც ერთად გაიარეს ეს განსაცდელი, ერთმანეთს ეკუთვნოდნენ ღვთისა და კაცთა წინაშე.

– მართალია, რომ ამ ქალის ყოფაქცევა ზოგ რამეში აჯობებდა უკეთესი ყოფილიყო?

– დიახ, იგი ვულგარული იყო, – მიუგო ადელემ. – *De mortuis nil nisi bene*, [115] მაგრამ იგი უაღრესად ვულგარული იყო, ბევრს

ჭამდა და ხორცსავსე გახლდათ, წითლად დაჟინჟილებული ლოყები ჰქონდა, ცეკვებზე გადარეული იყო, ბოთლის გამოწრუპვაც უყვარდა ზომაზე მეტად, რომ არ ეკადრებოდა; მუდამ კომედიანტ ხალხთან და ახალგაზრდა ყმაწვილკაცებთან დადიოდა, მაშინ როდესაც თვითონ უკვე ახალგაზრდა აღარ გახლდათ; გაუთავებელი მასკარადები, წვეულებანი, მარხილებით სეირნობანი, სტუდენტური მეჯლისები, და ისიც ხდებოდა, რომ იენელი ბიჭები თავს ნებას აძლევდნენ საიდუმლო მრჩევლის მეუღლესთან უკადრისი სიცელქეც ჩაედინათ.

– მერედა, გოეთე იწყნარებდა ასეთ საქციელს?

– ის თვალს ხუჭავდა, იცინოდა კიდევაც ამის გამო. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ცოლის თავისუფალ ყოფაქცევას რამდენადმე ხელსაც კი უწყობდა, – ჩემი ვარაუდით, იმ მოსაზრებით, რომ თვითონაც უფლება ჰქონოდა, გრძნობებისთვის თავისუფალი გასაქანი მიეცა. გენიალურ პოეტს არ შეუძლია მხატვრული შთაგონებანი მხოლოდ ცოლქმრულ ცხოვრებაში იპოვოს.

– თქვენ ძალიან ფართო, ძლიერი სულისკვეთების თვალსაზრისი გაქვთ, ჩემო საყვარელო გოგონა.

– მე ვაიმარელი ქალი გახლავართ, – უთხრა ადელემ – ამური აქ დიდ პატივშია, მას ფართო უფლებები აქვს მინიჭებული, მაგრამ წესიერებისა და კეთილგონიერების გრძნობაც უხვად გვაქვს მომადლებული. ისიც უნდა ითქვას, რომ საიდუმლო მრჩევლის მეუღლის ტლანქ ტრფიალს სიცოცხლისადმი ჩვენი საზოგადოება გმობდა უფრო ესთეტიკური და არა მორალური თვალსაზრისით. მაგრამ ვინც სამართლიანად განსჯიდა მას, უთუოდ ისიც უნდა ეღიარებინა, რომ თავის კვალობაზე იგი დიდებული ქმრის საუკეთესო მეუღლე გახლდათ, სულ მის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, თავის ჯანმრთელობას კი გოეთე გულგრილად როდი უყურებდა; ეს ქალი სულ იმის ფიქრში იყო, ერთგულად ემსახურა და საუკეთესო პირობები შეექმნა მისი შემოქმედებისთვის, რისიც, სიმართლე უნდა ითქვას, ამ ქალს არაფერი გაეგებოდა, – არც ერთი სიტყვა. სულიერი სამყარო მისთვის სამგზის დახშული ედემი გახლდათ, თუმცა მის მსოფლიო მნიშვნელობას სრული მოწიწებითა და კრძალვით შეჰყურებდა. მართალია, გოეთე ქორწინების შემდეგაც ვერ გადაეჩვია უცოლო კაცის ცხოვრებას და წლის

უმეტეს ნაწილს იენაში, კარლსბადსა და ტეპლიცში ატარებდა. მაგრამ გასულ ივნისს, როცა ცოლი უცხო მესასთუმლე ქალთა ხელში კრუნჩხვებისგან მოუკვდა, თვითონაც იმ დღეს ავად იყო და ლოგინში იწვა. გოეთეს უკვე კარგა ხანია შემოეჩვია ავადმყოფობა, ჯანმრთელობა შეერყა, ცოლი კი სიცოცხლის განსახიერება იყო, ისე რომ არაესთეტიკურსა და ზიზღის მომგვრელსაც კი ხდიდა მას... და აი, როცა ეს ქალი მოკვდა, ამბობენ, გოეთე მის საწოლთან დაემხო და წამოიძახა: «ნუ მიმატოვებ, ნუ!»

შარლოტე დუმდა, ამიტომ სტუმარმა აღარ დააყოვნა და განაგრძო, მისი განათლებულობა ვერ ითმენდა საუბრის შეფერხებას.

– ყოველ შემთხვევაში, – თქვა მან, – დედაჩემი ჭკვიანურად იქცეოდა, რომ მთელ აქაურ საზოგადოებაში ის ერთადერთი იღებდა ამ ქალს თავის ოჯახში და მოხერხებულად გამოჰყავდა საჩოთირო მდგომარეობიდან. ამით დიდ ადამიანს უფრო მეტად აკავშირებდა თავის ახალშექმნილ სალონთან. რადგან სწორედ გოეთე იყო ის მთავარი გმირი, საზოგადოებას რომ იზიდავდა. სწორედ დედამ მასწავლა, ვულპიუსისთვის «დეიდა» დამეძახა. მაგრამ გოეთეს არასოდეს ვუხმობდი «ბიძიას». ეს მას არ შეეფერებოდა. მართალია, ვუყვარდი და ხანდახან ერთობოდა ჩემთან. იმის ნებასაც კი მამლევდა, რომ ჩამექრო მისი ლიფლიფა, რომლითაც გზას ინათებდა, როცა ჩვენკენ მოდიოდა, მეჩვენებინა ჩემი სათამაშოები და ერთხელ ეკოსეზიც კი იცეკვა ჩემს საყვარელ დედოფალასთან. მაგრამ მაინც ვერ ვუხმობდი «ბიძიას», იმიტომ რომ ფრიად პატივცემული პიროვნება ბრძანდებოდა არა მარტო ჩემთვის, არამედ დიდებისთვისაც, რასაც მე კარგად ვხედავდი. მაშინაც კი, როცა უგუნებოდ იყო, გაჩუმებული იჯდა მაგიდასთან და რაღაცას თავისთვის ხატავდა, მაშინაც სალონში ის მეუფებდა; უბრალოდ იმის გამო, რომ ყველაფერი მას ეხამებოდა და ეფარდებოდა, საზოგადოება ტირანივით ხელში ეჭირა, – იმიტომ კი არა, რომ ის ტირანი იყო, არამედ იმიტომ, რომ სხვები მას ემორჩილებოდნენ, ქედს უხრიდნენ და სწორედ ამით აიძულებდნენ ტირანი გამხდარიყო. მანაც შეიფერა და მბრძანებლობდა, განაგებდა, მაგიდაზე უკაკუნებდა, ხან ერთ განკარგულებას გასცემდა და ხან მეორეს, შოტლანდიურ ბალადებს კითხულობდა და ქალებს აიძულებდა გუნდურად მისამღერი ეთქვათ, და ვაი იმის ბრალი, ვისაც სიცილი

წასცდებოდა, – თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, გამოაცხადებდა, აღარ ვკითხულობო. დედა ყოველ ღონეს იხმარდა, რომ სიწყნარე აღედგინა, ამასთან შეჰპირდებოდა, მომავალში უფრო მეტი წესიერება იქნებაო. ანდა გასართობად ვინმე მფრთხალ ქალბატონს სულის წაღებამდე დააშინებდა საზარელ მოჩვენებებზე ამბების მოყოლით. საერთოდ უყვარდა ვინმეს გაღიზიანება, გამოჯავრება. მახსოვს, ერთ საღამოს ბიძია ვილანდს თითქმის მოთმინება დააკარგვინა იმით, რომ გაუთავებლად ეწინააღმდეგებოდა, არა მრწამსის გამო, არამედ თავშესაქცევად, ვილანდი კი ყველაფერს სერიოზულად იღებდა და ძალიან ცხარობდა; გოეთეს თანამოაზრენი და ქომაგნი, მაიერი და რიმერი მოწყალე კილოთი ანუგეშებდნენ ან არიგებდნენ: «ძვირფასო ვილანდ, ასე ნუ განიცდითო». მე, პატარა გოგოს, მესმოდა, რომ ეს საკადრისი არ იყო, ალბათ, სხვებიც გრძნობდნენ ამას, მაგრამ თვით გოეთე – არამც და არამც, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს.

– მართლაც საოცარია.

– მე მუდამ ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, – განაგრძო ადელემ, – რომ საზოგადოება ყოველ შემთხვევაში ჩვენი, გერმანელი საზოგადოება მაინც, მონური მორჩილებისადმი მიდრეკილებით თვითონვე აფუჭებს თავის მბრძანებელ ბატონებსა და საყვარელ ადამიანებს, რაკი აიძულებს მათ, ბოროტად ისარგებლონ თავიანთი არასასიამოვნო უპირატესობით, რასაც საბოლოოდ არ შეუძლია სიხარული მოუტანოს არც ერთ და არც მეორე მხარეს. ერთ საღამოს გოეთემ საზოგადოება ისე გააწვალა, რომ სულ გამოუღია არაქათი გაჭიანურებული ხუმრობით: აიძულებდა სტუმრებს ცალკეული რეკვიზიტების მიხედვით გამოეცნოთ ახალი, ყველასთვის უცნობი პიესების შინაარსი, რომელთა რეპეტიცია ის-ის იყო, მას ჩაეტარებინა. სრულიად შეუძლებელი იყო ამ მრავალუცნობიანი ამოცანის ამოხსნა, ვერავინ გაუგო თავი და ბოლო. ყველას სახეები დაუგრძელდა და მთქნარებას მოჰყვნენ, მაგრამ გოეთე თავისას არ იშლიდა; მთელი საზოგადოება გატანჯა, გააწვალა ამ მოსაწყენი ხუმრობით. ასე რომ, უნებურად თავს ვეკითხებოდი: ნუთუ ვერ გრძნობს, რა ძალდატანებას ახდენს ადამიანებზე? ვერა, ვერ გრძნობდა. საზოგადოებამ გადააჩვია ამ გრძნობას. მაგრამ ერთი რამ დაუჯერებელია, როგორ არ მობეზრდა თვითონ მას ეს საზარელი თამაშობა. ტირანობაა ასეთი მომაბეზრებელი

საქციელი.

– თქვენ მართალი უნდა ბრძანდებოდეთ, ჩემო გოგონა.

– ესეც არის, რომ იგი, ჩემი აზრით, ტირანად კი არა, უფრო ადამიანთა მეგობრად არის დაბადებული, – ჩაურთო ადელემ, – ეს მე იქიდან დავასკვნენი, რომ მას განსაკუთრებით უყვარდა და ბრწყინვალედაც შეეძლო ადამიანების გაცინება. ტირანს, რა თქმა უნდა, ასეთი თვისება არ გააჩნია. ამას ადასტურებდა ის კითხვისას, თხრობისას, მაშინაც კი, როცა სულ უბრალო ამბებს ანდა კომიკურ რამეს ჰყვებოდა ან ადამიანებს აღწერდა. იგი ყოველთვის მარჯვედ როდი კითხულობს, ამას ყველა აღიარებს. მართალია, მუდამ სიამოვნებით უსმენენ მის ხმას, რომელსაც ესოდენ მშვენიერი სიღრმე აქვს, და სიხარულით შეჰყურებენ მის აღელვებულ სახეს, მაგრამ სერიოზული სცენების დროს ის ადვილად ვარდება პათოსში, მეტისმეტად მქუხარე დეკლამაციებს იწყებს, ეს კი ყოველთვის სასიამოვნო როდია. სამაგიეროდ, კომიკურს, როგორც წესი, ყოველთვის ისეთი იუმორით, ხელშესახებად და ბუნებრივად, მახვილი თვალით და უშეცდომოდ გადმოსცემს, რომ ყველას ხიბლავს. მაშინაც კი, როდესაც იგი მხიარულ ანეკდოტებს მოუთხრობდა ანდა ფანტასტიკურ უაზრობებს მოჰყვებოდა, ყველას სიცილისგან თვალები ცრემლებით ევსებოდა. საგულისხმოა, რომ მის ნაწარმოებებში ყველგან დიდი სიღარბაისლე, თავდაჭერილობა და სათუთი დახასიათება ჭარბობს, რაც შეიძლება ერთხელ მაინც გახდეს ღიმილის საბაზი, მაგრამ სიცილისა – არა, ასეთი რამ მე არ ვიცი. მაგრამ პირადად გოეთეს ყველაფერს ურჩევნია, როცა მის გამონაგონსა და მონაყოლზე ადამიანები სიცილით იხოცებიან! მე თვითონ ვიყავი მოწმე, ბიძია ვილანდმა თავი ხელსახოციტ შეიკრა და შეწყალება სთხოვა, რადგან სიცილისგან არაქათი გამოელია და მეტის გამღება აღარ შეეძლო, სხვებიც, ვინც კი მაგიდასთან ისხდნენ, სულს ძლივს ითქვამდნენ. თვითონ გოეთე ჩვეულებრივ, სერიოზულობას ინარჩუნებს ასეთ ვითარებაში; მაგრამ მას ჰქონდა თავისებური ხერხი, მოელვარე თვალებით და ერთგვარი მხიარული ცნობისმოყვარეობით ჩაშტერებოდა ადამიანებს თვალებში ამ საერთო სიცილ-ხარხარის დროს. ხშირად დავფიქრებულვარ ამაზე: რას ნიშნავს, რომ ამ ბუმბერაზ კაცს, რომელსაც ბევრი რამ უნახავს, განუცდია, სულში უტარებია და შეუქმნია, შეუძლია ისეთი სიამოვნებით ახარხაროს ადამიანები.

– საქმე ის არის, – თქვა შარლოტემ, – რომ მან ახალგაზრდული სული შეინარჩუნა ამ თავის სიღიადეში და თავისი ცხოვრების სერიოზულ ძნელებდობაშიც სიცილის ერთგული დარჩა – ეს მე არ მაკვირვებს, მახარებს და ვაფასებ. ჩვენი ახალგაზრდობის ჟამს ძალიან ბევრი გვიცინია თავშეუკავებლად, ორივეს ან სამივეს ერთად, და სწორედ იმ წუთებში, როდესაც შეიძლებოდა რაიმე ჩემს გულსატკენად და საწყენად შეტრიალებულიყო, მას უგუნებობა და ნაღველი შეიპყრობდა, უცბად გულს მოიცემდა, თავს მოერეოდა, გამხნევდებოდა, ყველაფერს შეატრიალებდა, ხუმრობაში გადაიტანდა და თავისი ოინებით ისევე გვაცინებდა ხოლმე, როგორც დედათქვენის საზოგადოებას ჩაის სმის დროს.

– ოჰ, ილაპარაკეთ, განაგრძეთ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე! – შეევედრა ყმაწვილი ქალი. – მიაშბეთ ახალგაზრდობის იმ უკვდავ დღეებზე, როდესაც ორნი ან სამნი იყავით ერთად! რა დამემართა მე სულელ გოგოს. ვიცოდი, ვისთან მოვდიოდი, დაუძლეველი ძალა მიზიდავდა თქვენკენ, რომ გული გადამეშალა, მაგრამ კინაღამ გადამავიწყდა, თუ ვინ არის ის, ვის გვერდითაც ამ პატარა დივანზე ვზივარ, და მხოლოდ თქვენმა სიტყვებმა მომიყვანა გონს, მომაგონა იგი, კინაღამ შემაკრთო კიდევ. ოჰ, ილაპარაკეთ იმ დროებაზე, გთხოვთ, გევედრებით!

– უფრო სიამოვნებით გისმენთ თქვენ, ჩემო კარგო გოგონა. – უთხრა შარლოტემ. – თქვენ ესოდენ მომაჯადოებლად შემეყოლიეთ საუბრით, რომ ვნანობ, დიდხანს გაცდევინეთ, და ერთხელ კიდევ გიხდით მადლობას, რომ მოთმინებით მიცდიდით.

– ოჰ, რაც შეეხება ჩემს მოთმინებას... მოუთმენლობისგან გულზე ცეცხლი მედებოდა, რომ თქვენ, დიდებული ქალბატონი მენახეთ და ზოგიერთ რამეზე თქვენთვის გული გადამეხსნა; ასე რომ, ქებას არც კი ვიმსახურებ, მე ხომ მოთმინებას ამ მოუთმენლობის გამო ვიჩენდი. ხშირად მორალური საქციელი ვნების ნაყოფი და საშუალებაა მხოლოდ, ხოლო ხელოვნება, მაგალითისთვის, შეიძლება მივიჩნიოთ მოთმინების უმაღლეს სკოლად მოუთმენლობაში.

– ჰოი, რა მშვენიერია, ჩემო გოგონა. გონებამახვილური შენიშვნაა. მე ვხედავ, რომ თქვენ სხვა დანარჩენ ნიჭთან ერთად არანაკლები ფილოსოფიური ნიჭიც გქონიათ.

– მე ხომ ვაიმარელი ქალიშვილი გახლავართ, – გაიმეორა ადელემ. – აქ ეს ყველას ემარჯვება. ადამიანი რომ ათ წელიწადს პარიზში ცხოვრობდეს და ფრანგულს ლაპარაკობდეს, განა გასაკვირია? მართალს არ ვამბობ? საერთოდ ჩვენ, მუზეუმის თანამეგობრობის ყველა წევრი, ფილოსოფიას და კრიტიკას ისევე ვეთაყვანებით, როგორც პოეზიას. იქ ერთმანეთს მარტო ჩვენს ლექსებს როდი ვუკითხავთ, გამოკვლევებსა და გარჩევასაც ვუძღვნით წაკითხულს, საზრიანობის, – როგორც ადრე ამბობდნენ, – ან «გონისა» და «განათლების», – როგორც ახლა ამბობენ, – უახლეს ქმნილებებს, მაგრამ უმჯობესია მოხუცმა საიდუმლო მრჩეველმა არაფერი გაიგოს ჩვენს შეხვედრებზე.

– არაფერი გაიგოს? რატომ?

– საამისოდ ბევრი მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი, გოეთეს საერთოდ ირონიულ ზიზღს ჰგვრის მოესთეტო ინტელექტუალური ქალები, გვემინია სასაცილოდ არ აიგდოს ჩვენი გულებისთვის ესოდენ სანუკვარი მისწრაფებანი. იცით რა, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ დიდი ადამიანი ჩვენი სქესისადმი კეთილგანწყობილი არ იყოს, ეს ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ ქალებთან მის დამოკიდებულებაში ერთგვარი უგულუბელყოფა, მე ვიტყვოდი, სიტლანქე, – მამაკაცური მოუხეშაობა გაერევა ხოლმე, რასაც შეუძლია დაგვიხშოს კარი უმაღლესისა, პოეზიისა და გონისა; იგი კომიკურ შუქში ხედავს ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის სათუთი და სანუკვარია. არ ვიცი, იქნებ უადგილო იყოს იმის მოგონება, რასაც მოგახსენებთ: ერთხელ გოეთემ დაინახა რამდენიმე ქალი ბაღში კორდზე ყვავილებს კრეფდა, ამაზე მან შენიშნა: სენტიმენტალურ თხებს მაგონებენო. მიგაჩნიათ თქვენ ეს თავაზიან შედარებად?

– არც იმდენად, – მიუგო შარლოტემ სიცილით. – იმაზე გავიცინე, – განმარტა მან, – მართალია, ერთგვარად ღვარძლიანი შედარებაა, მაგრამ საკმაოდ მარჯვია. თუმცა არა, ღვარძლიანი არ უნდა იყოს.

– მარჯვია, – თქვა ადელემ, – საქმეც ეგ არის, რომ მარჯვია. სწორედ ასეთი სიტყვა გულს მოგიკლავს. გასეირნების დროს ვეღარ ვიხრები იმისთვის, რომ გულში ჩავიკონო გაზაფხულის თუნდ ორიოდე ყვავილი, მაშინვე თავი სენტიმენტალურ თხად წარმომიდგება ხოლმე. ასევე მემართება მაშინაც კი, როდესაც

ჩემს ალბომში სხვის თუ ჩემს ლექსებს ვწერ.

– ასე ახლოს არ უნდა მიიტანოთ გულთან. თუმცა კიდევ რა მიზეზით არ უნდა უნდოდეს გოეთეს, იცოდეს თქვენი და თქვენი მეგობრების ესთეტიკური მისწრაფებანი?

– პირველი მცნების გამო, უპვირფასესო ქალბატონო.

– რას გულისხმობთ?

– მცნებას, რომელიც ამბობს, – თქვა ადელემ, – «ნუ იყოფიან შენდა სხუანი ღმერთნი ჩემსა გარე». ჩვენ აქ კვლავ ვუბრუნდებით, პატივცემულო, ამბავს ტირანიის თაობაზე, – მაგრამ უკვე არა იძულებითი ტირანიისა, რაც საზოგადოების ბრალია ხოლმე, არამედ ბუნებრივისა, რაც, ჩანს, მეტისმეტ სიდიადეს განუშორებლად თან სდევს და რასაც უნდა ერიდო, მაგრამ არ დაემორჩილო. იგი დიდი ადამიანია, მაგრამ მოხუცდა და ნაკლებად ფიქრობს, რა იქნება მის შემდეგ. ცხოვრება კი წინ მიდის, თვით უდიადესზეც არ ჩერდება; ჩვენ ახალი ცხოვრების შვილები ვართ, ჩვენ, მუზელინები და ილემუზები, ახალი მოდგმა, ახალი თაობა ვართ და სენტიმენტალური თხები კი არა, დამოუკიდებელი, მოწინავე აზრების ადამიანები ვართ, თამამად ვიცავთ ჩვენს დროებასა და მის გემოვნებას, და უკვე ახალ ღმერთებს ვცნობთ. ვცნობთ და გვიყვარს ისეთი ფერმწერები, როგორც ღვთისწიერი კორნელიუსი[116] და ოვერბეკია,[117] რომელთა სურათებსაც, თვით მისი სიტყვები გამიგონია, სიამოვნებით დაცხრილავდა დამბაჩით, ხოლო ღვთაებრივ დავიდ კასპარ ფრიდრიხის[118] სურათებზე აცხადებს, შეგიძლიათ მათ თავდაღმა დაკიდებულსაც უცქიროთო. «ეს ვერ იხარებს!» – გრგვინავდა იგი, ნამდვილი ტირანის გრგვინვა იყო, ვერ უარვყოფ. ჩვენ მუზათა კავშირში მოწიწებითა და რიდით ვუსმენთ ხოლმე ამ გრგვინვის ჩათავებას, თან ჩვენი პოეზიის წიგნაკებში ულანდის[119] ლექსებს ვიწერთ და აღტაცებულნი ვუკითხავთ ერთმანეთს ჰოფმანის[120] დიდებულსა და გროტესკულ, უცნაურ მოთხრობებს.

– ამ ავტორებს მე არ ვიცნობ, – ცივად მიუგო შარლოტემ. – მაგრამ თქვენ ხომ ამით სულაც არ გსურთ იმის თქმა, რომ ისინი «ვერტერის» ავტორს გაუტოლდებიან, რაოდენ უცნაურიც უნდა იყვნენ.

– ისინი მას ვერ გაუტოლდებიან, – მიუგო ადელემ, – მაგრამ

გთხოვთ მაპატიოთ ეს პარადოქსი, – მაინც აჭარბებენ მას უბრალოდ იმით, რომ დროით უფრო გვიან შეიქმნენ, იმით, რომ ახალ საფეხურს წარმოადგენენ, ჩვენთვის ახლობელი, ძვირფასი არიან. ჩვენს სულსა და გულს ენათესავენებიან, ახალს, საკუთარს გვეუბნებიან, ვიდრე კლდესავით გაქვავებული სიდიადე, მბრძანებლურად და გოროზად რომ შეჭრილა ახალ დროში. გთხოვთ ამას უფროსთა უპატივცემულობაში ნუ ჩამოგვართმევთ. უპატივცემულო თვით დრო გახლავთ, ძველს რომ ტოვებს და ახალს ამკვიდრებს. რა თქმა უნდა, დიდს პატარა მოსდევს. მაგრამ იგი თავისი დროისა და ეპოქის შვილთა შესაფერია, ცოცხალი, დღევანდელი, ჩვენ რომ სულს გვითრთოლებს იმ უშუალოდით, რაც უფროსთა პატივისცემას არ გააჩნია, მოუხმობს და მოუთხრობს იმათ გულებსა და ნერვებს, ვისაც ის ეკუთვნის და ვინც მას ეკუთვნის, ვინც ერთგვარად წარმოშვა ისინი.

შარლოტე დუმდა, არაფერი უთხრა, თავი შეიკავა.

– თქვენი ოჯახი, ჩემო ფროილან, – შეაწყვეტინა მან ერთგვარი ხელოვნური თავაზიანობით, – როგორც მე გავიგე, დანციგიდან წარმოდგება?

– სრულიად მართალს ბრძანებთ, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე. დედის მხრიდან – სავსებით, მამის მხრიდან – რამდენადმე. ნეტარხსენებული მამაჩემის პაპა, დიდვაჭარი, დანციგის რესპუბლიკაში დასახლებულა. საერთოდ კი შოპენჰაუერები წარმოშობით ჰოლანდიიდან არიან. მამაჩემის მიდრეკილებებით თუ ვიმსჯელებთ, ის ინგლისურ წარმოშობას ამჯობინებდა, რადგან ყოველივე ინგლისურის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი იყო, თავით ფეხამდე ჯენტლმენი გახლდათ თავად. მისი სააგარაკო სახლი სოფლად ოლივამი მთლად ინგლისური გემოვნებით იყო აგებული და მოწყობილი.

– ჩვენს სახლსაც, სახელდობრ ბუფების საგვარეულოს, – შენიშნა შარლოტემ, – ინგლისურ წარმოშობას მიაწერენ. მართალია, საამისო ნივთიერი საბუთები მე ვერ ვიპოვე, თუმცა სრულიად გასაგები მოსაზრებებით ჩვენი ოჯახის ისტორიის გამოკვლევაზე ბევრი ვიმუშავე, მართლაც გულმოდგინედ შევისწავლე გენეალოგია და ზოგი რამ საყურადღებო ცნობებიც შევაგროვე, განსაკუთრებით ჩემი ძვირფასი ჰანს კრისტიანის გარდაცვალების შემდეგ, როცა უფრო მეტი დრო მქონდა

ამგვარი კვლევა-ძიებისთვის.

ადელეს სახე წუთით არაფერს გამოხატავდა, რადგან იგი მაშინვე ვერ მიუხვდა ამ შესწავლის «სრულიად გასაგებ მოსაზრებებს». შემდეგ უცბად მიხვდა და წამოიძახა:

– ო, რა საყურადღებოა, რა ღირსეულია ეს თქვენი გულმოდგინება! რა ბედნიერებას განუმზადებთ მომავალ თაობას, რომელიც უთუოდ მოისურვებს ზედმიწევნით გაიგოს ბედის მიერ არჩეული ქალის წარმოშობისა და დაბადების შესახებ, თქვენი ოჯახის წინაისტორია, ესოდენ მნიშვნელოვანი რამ ადამიანის გულის მატრიანისთვის.

– ჩემი ვარაუდიც სწორედ ასეთია, – უპასუხა შარლოტემ ღირსეულად, – უფრო სწორად, ასეთია ჩემი გამოცდილება, რადგან ვხედავ, მეცნიერება დღესვე უკვე შესდგომია ჩემი წარმოშობის ძიებას, და მე თავს მოვალედ ვრაცხ, შეძლებისდაგვარად მას ხელი მივაშველო. მართლაც,

მოვახერხე ჩვენი საგვარეულო შტოსთვის თვალი გამედევნებინა ოცდაათწლიან ომამდეც კი. ამრიგად, 1580 წლიდან 1650 წლამდე ბუცბახის სადგურის ფოსტის განყოფილების უფროსი სიმონ ჰაინრიხ ბუფი ვეტერაუში ცხოვრობდა. მისი ვაჟიშვილი ხაბაზი იყო. მაგრამ უკვე მისი ერთ-ერთი ძე, ჰაინრიხი, კაპელანი იყო, შემდეგ – სამეფო კარის მღვდელი, დროთა განმავლობაში კი მიუნცენბერგის პირველი პასტორი, ქორეპისკოპოსი გახდა. მას შემდეგ ბუფები

უმთავრესად სასულიერო დიდებულები და კონსისტორიალები, საეკლესიო საუწყებოს წევრები იყვნენ სოფლის საეკლესიო საკრებულოებში – კრაინფელდში, შტაინბახში, ვინდჰაუზენში, რაიხელსჰაიმში, გლადერბახსა და ნიდერვოლშტადტში.

– ეს მნიშვნელოვანია, ეს ძვირფასია, ეს ფრიად საინტერესოა, – თქვა ადელემ სულმოუთქმელად.

– ასეც ვვარაუდობდი, – მიუგო შარლოტემ, – რომ დაინტერესდებოდით, თუმცა თქვენ ლიტერატურული ცხოვრების უფრო პატარ-პატარა მოდური სიახლეები გიტაცებთ. გარდა ამისა, გზადაგზა მე მოვახერხე გამესწორებინა ერთი შეცდომა თვით ჩემ შესახებ; ეს შეცდომა შეიძლებოდა გაუსწორებლად გადასცემოდა მომავალ თაობებს: ჩემი დაბადების დღედ მუდამ თერთმეტი იანვარი

ითვლებოდა, გოეთეც ამ თარიღს უჭერდა მხარს და მგონია ახლაც ამავე აზრის არის, ნამდვილად კი ცამეტ იანვარს დავბადებულვარ და მეორე დღესვე მოვნათლულვარ. ვეცლარის საეკლესიო წიგნის ცნობა სანდოა და ეჭვს არ იწვევს.

– ყველაფერი უნდა გაკეთდეს, – თქვა ადელემ, – და მე ჩემი მხრივ მზად ვარ ყოველი ღონე ვიხმარო, რათა სიმართლე მოვფინო ამ საკითხს. პირველ ყოვლისა, ეს უნდა მოხსენდეს თვით საიდუმლო მრჩეველს, რისთვისაც თქვენი ხლება ყველაზე ხელსაყრელი საბაზია. მაგრამ იმ სანუკვარ ნახელავს, ნაქარგს, რომელიც თქვენ იმ უკვდავ დღეებში მის თვალწინ ქალიშვილის სათუთი ხელით ამოქარგეთ, დაუმთავრებელ სიყვარულის ტაძარს და სხვას, ღვთის გულისათვის, გთხოვთ მითხრათ, რა მოუვიდა ამ რელიკვიებს. ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენ გადავუხვიეთ საუბრის თემას...

– ისინი არსებობენ, – მიუგო შარლოტემ, – მე ვიზრუნე იმისთვის, რომ ეს თავისთავად ძალიან უმნიშვნელო საგნები კარგად შენახულიყო. მათი დაცვა-შენახვა დავავალე ჩემს ძმას გეორგს, რომელსაც ჯერ კიდევ ცხოვნებული მამაჩემის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ამტმანის ადგილი ეჭირა და გერმანული ორდენის სახლში მისი მემკვიდრე გახდა. მას მივანდე, ამ სამახსოვრო ნივთებისთვის გულისხმიერად მოევლო. ესენია: ტაძარი, ყვავილების გვირგვინში ამოქარგული ერთი-ორი გამონათქვამი, მარგალიტებით ნაქარგი წყვილი ქისა, სახატავი რვეული და სხვა წვრილმანი. ისინიც სათვალავში უნდა ჩავიდეთ, რამეთუ მომავალში მათაც სამუზეუმო ფასი დაედებათ, ისე როგორც სახლსა და ეზოსაც საერთოდ, დაბლა საცხოვრებელ ოთახს, სადაც ჩვენ მასთან ერთად ასე ხშირად ვისხედით, ასევე მაღლა კუთხის ოთახს, ქუჩის მხარეს, ჩვენ რომ კარგ ოთახს ვეძახდით და ღმერთების სურათებიანი ქალაღდი რომ იყო კედლებზე აკრული, აგრეთვე კედლის ძველ საათს, რომლის ციფერბლატზე ლანდშაფტი მოჩანდა და რომლის წიკწიკსა და რეკვას ის ხშირად ჩვენთან ერთად უგდებდა ხოლმე ყურს. ჩემი აზრით, ეს კარგი ოთახი უფრო გამოდგებოდა სამუზეუმოდ, ვიდრე საცხოვრებელი ოთახი, და თუ მე მკითხავენ, სწორედ იქ უნდა მოთავსდეს შუშის ქვეშ ჩარჩოებში ის სამახსოვრო ნივთები.

– მომავალი, მთელი მომავალი თაობა მადლობას იტყვის თქვენი ზრუნვის გამო, და არა მარტო ჩვენი მშობელი ქვეყნის

მომავალი თაობა, არამედ უცხოეთიდან ჩამოსული მნახველნიც,
– აღუთქვა ადელემ.

– მეც მაგის იმედი მაქვს, – თქვა შარლოტემ.

საუბარი შეწყდა. განათლებულ სტუმარს თითქოს საზრიანობამ და მოხერხებულობამ უღალატაო. ადელე იატაკს ჩასცქეროდა და მზის საჩრდილობელი ქოლგის წვერს აქეთ-იქით ატარებდა. შარლოტე ელოდა, როდის გადმოიფრქვეოდა მჭევრმეტყველების შადრევანი, მაგრამ ელოდა არა ისეთი ცხოველი სურვილით, როგორც მოსალოდნელი იყო ასეთ ვითარებაში. ამასთან კმაყოფილიც იყო, რომ ახალგაზრდა ქალიშვილმა, ისევ თამამად წამოიწყო საუბარი.

– უძვირფასესო კარის მრჩევლის მეუღლე, ან იქნებ უკვე ნება დამართოთ მოგმართოთ: დიდად პატივცემულო მეგობარო? – ჩემს თავს საყვედურებით ვავსებ, რომ ასე მოურიდებლად წაგართვით ძვირფასი დრო. ყველაზე მძიმე საყვედური კი ის არის, რომ თქვენგან მოძღვნილი ამ საჩუქრით ჯერ კიდევ ცუდად და განუკითხავად ვსარგებლობ, – არ მეპატიება, რომ ხელიდან ვუშვებ შესანიშნავ შემთხვევას... ერთი ხალხური ზღაპრის მოტივი მაგონდება, – ჩვენ, ახალგაზრდებს, ხომ ახლა ძალიან გვიტაცებს ხალხური ზღაპრული პოეზია. ვიდაცას, ჯადოსნური წყალობის ძალით, სამი ნატვრა უნდა ასრულებოდა, მან კი სამივეჯერ სრულიად უმნიშვნელო და უღიმღამო რაღაც ინატრა, ისე რომ საუკეთესო და უმნიშვნელოვანესი არც გახსენებია. და აი, ვითომც მოჩვენებითი უზრუნველობით რაღაზე არ ვცბედობ, ამ მთისას, იმ ბარისას, ამასობაში კი ის მთავარი მეკარგება, რაც გულზე მაწევს და, ნება მომეცით, საბოლოოდ გამოგიტყდეთ, რამაც თქვენთან მომიყვანა, რადგან ჩემი მხრივ თქვენი რჩევის, თქვენი დახმარების იმედი მაქვს და თქვენგან მოველი სასოებას. თქვენ უთუოდ გიკვირთ, უთუოდ გაბრაზებულიც უნდა ბრძანდებოდეთ ჩემზე, რომ გაგიბედეთ და ჩვენი მუხების თაიგულის ბავშვური წვრილმანით შეგიყოლიეთ. რა თქმა უნდა, ამგვარი წვრილმანის გამო არ მოვიდოდი და თავს არ მოგაბეზრებდით. უფრო მეტი საზრუნავი და შიში რომ არ მაწუხებდეს, რასაც დიდი სიამოვნებით საიდუმლოდ გაგანდობდით.

– რა საზრუნავია, ჩემო გოგონა, და ვის ან რას ეხება იგი?

– ძვირფასი ადამიანის სულს, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლევ, საყვარელ მეგობარ ქალს, ჩემი გულის ერთადერთ ყვავილს, უმშვენიერეს, უსათუთეს, უკეთილშობილეს ქმნილებას, რომელიც ბედნიერების ღირსია, მაგრამ არასწორ, არცთუ მთლად აუცილებელ და მაინც, მე მგონია, გარდაუვალ ბედისწერას თავის ხლართებში ჩაუთრევია, რაც სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანს, – ერთი სიტყვით, საქმე ტილემუზეს ეხება.

– ტილემუზეს?

– მომიტევეთ, დიახ, ეს ჩემი საყვარელი ქალიშვილის მეტსახელია, რომელიც მეგობართა წრეში შევარქვით და ადრე გაკვრით უკვე მოვიხსენიე; იგი ჩემი ოტილიეს, ოტილიე ფონ პოგვიშის, როგორც მუზის, მეტსახელია.

– აჰ! და განა რა ბედისწერა ემუქრება, თქვენი აზრით, ფროილან ფონ პოგვიშს?

– მას დაწინდვა ელის.

– მაგრამ, მაშინ ნება მიბოძეთ გკითხოთ... ვისთან?

– ჰერ კამერმრჩეველ გოეთესთან.

– რას ბრძანებთ! ავგუსტთან?

– დიახ, დიდებულ პიროვნებათა ვაჟიშვილთან. საიდუმლო მრჩევლის მეუღლის გარდაცვალებამ შესამლებელი გახადა ეს კავშირი, რადგანაც მის სიცოცხლეში ოტილიეს ოჯახისა და საერთოდ საზოგადოების წინააღმდეგობას წააწყდებოდა და დაიმსხვრეოდა.

– მაგრამ რაში ხედავთ ამ კავშირის საშიშროებას?

– ნება მომეცით, მოგახსენოთ! – სთხოვა ადელემ, – ნება მომეცით, ჩემს შეჭირვებულ გულს თხრობით შევება მივცე და შეგავედროთ საყვარელი ქმნილება, რომელსაც ხიფათი მოელის. ოტილიე უთუოდ ძალიან გამიბრაზდებოდა ასეთი შუამდგომლობის გამო, თუმცა ასევე ძალიან საჭიროებს გამოსარჩლებას და ღირსიც არის ამისა!

და ფროილან შოპენჰაუერმაც დაიწყო თხრობა. იგი ხშირ-ხშირად მიაპყრობდა ხოლმე მზერას ჭერს, რათა თვალთა სიელმე დაეფარა. დროდადრო დიდი გაწაფული პირი ოდნავ

უსველდებოდა. აი, რა გაანდო მან ფრაუ შარლოტეს.

თავი მეხუთე

ადელეს ნაამბობი

მამის მხრივ ჩემი ოტილიე ჰოლშტაინურ-პრუსიული წარმომავლობის ოფიცრის ოჯახის შთამომავალია. დედამისის, ჰენკელ ფონ დონერსმარკის ქორწინება ჰერ ფონ პოგვიშთან გულთა კავშირი უფრო იყო, სადაც გონებას მცირე რამ წილი ედო. ყოველ შემთხვევაში ამ აზრისა იყო ოტილიეს დიდედა, გრაფინია ჰენკელი, ნამდვილი არისტოკრატი კეთილშობილი ქალი, გასულმა საუკუნემ რომ წარმოშვა: ფხიზელი გონების, ენერგიული, პირდაპირი, მოურიდებელი, გონებამახვილი, ენამწარე, გესლიანი, მკვახე-მკვახე სიტყვის მთქმელი, ფუჭი მიეთ-მოეთის მოძულე. ის მუდამ წინააღმდეგი იყო იმ დაუფიქრებელი ნაბიჯისა, რაც ლამაზ გრძნობებს აყოლილმა მისმა ქალიშვილმა გადადგა. ჰერ ფონ პოგვიში ღარიბი იყო, ჰენკელთა ეს შტოც ასევე, რაც მიზეზი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ გრაფინია იენის ბრძოლამდე ორი წლით ადრე ვაიმარის სამსახურში შევიდა და ჩვენი ახალდაქორწინებული

აღმოსავლელი მთავრის ასულის, ჩვენი მემკვიდრე უფლისწულის მეუღლის ობერჰოფმაისტერი, კარის სეფექალთა უხუცესი გახდა. ასეთივე თანამდებობა უნდოდა ეშოვა თავისი ქალიშვილისთვის და თითქმის უკვე საამისო იმედიც დაისახა. ამასთანავე ის ყოველ ღონეს ხმარობდა დაერღვია ეს ქორწინება, რადგან მათ ბედნიერებას ხიფათი ელოდა სულ უფრო და უფრო მომეტებული ხელმოკლეობისა და გაჭირვების გამო. მაშინდელი პრუსიელი ოფიცრის მცირე ჯამაგირი შეუძლებელს ხდიდა ისეთ ცხოვრებას, მათ წოდებას რომ შეეფერებოდა. რაც უფრო მეტს ცდილობდნენ, როგორმე ჯეროვანი მდგომარეობა შეენარჩუნებინათ, მით უფრო მძიმე ფულად სიძნელეებში ვარდებოდნენ. მოკლედ, მეუღლეთა უსიამოვნებამ დედის სურვილებს ხორცი შეასხა: გადაწყვიტეს ორივეს თანხმობით გაყრილიყვნენ, ერთმანეთს მშვიდობიანად გასცილდებოდნენ, ისე რომ წინდაწინ სასამართლო გაყრა არც კი გაეფორმებინათ.

არავის ჩაუხედავს მეუღლის, მამის გულში, რომელმაც ორი

მშვენიერი გოგონა, ოტილიე და მისი უმცროსი დაიკო ულრიკე დაუტოვა თავისი გაჭირვების მოზიარეს. მაგრამ ამ სამწუხარო გადაწყვეტილების თანხმობა მას, ალბათ, ძალით გამოჰკლიჯეს იმის შიშით, რომ არ დაეკარგა თავისი საყვარელი, მემკვიდრეობითი და ერთადერთი შესაძლო სამსახური ჯარისკაცისა. ცოლს გულზე ცეცხლი ედებოდა და, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ მას შემდეგ, რაც გაჭირვების წინაშე ფარ-ხმალი დაყარა და დედის ჯიუტ მოთხოვნებს დაჰყვა, ერთი ბედნიერი საათი არ უნახავს. რაც შეეხება გოგონებს, ლამაზი და რაინდი მამის სახე წარუშლელად აღიბეჭდა მათ სულში, მეტადრე უფროსი, ღრმად მგრძნობიარე და რომანტიკული ქალიშვილის სულში: ოტილიეს მთელი გრძნობათა სამყარო, შინაგანი დამოკიდებულება თავისი დროის მოვლენებისა და აზრთა წყობის საკითხებისადმი, როგორც დაინახავთ, სამუდამოდ განისაზღვრა წასული მამის მოგონებებით.

ფრაუ პოგვიშმა ქმართან გაყრის შემდეგ რამდენიმე წელიწადი თავის ქალიშვილებთან ერთად წყნარად და განმარტოებით გაატარა დესაუში. იქ გადაიტანა სასოწარკვეთილებისა და შერცხვენის მძიმე დღეები – ფრიდრიხ დიდის არმიის განადგურება, სამშობლოს დამხობა, სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოების შეერთება საშინელი კორსიკელის ხელისუფლების სისტემაში. 1809 წელს, როდესაც მოხუცმა გრაფინიამ მოახერხა შეესრულებინა დაპირება და მას, გრაფინია ლუიზეს კარზე სეფექალის თანამდებობა უშოვა, იგი ჩვენთან, ვაიმარში გადმოსახლდა.

იმხანად ოტილიეს ცამეტი წელი შეუსრულდა. იგი მიმზიდველი, ნიჭიერი და თვითმყოფადი ბუნების გოგონა იყო. ერთობ მოუსვენარ და უწესრიგო ვითარებაში იზრდებოდა და იფურჩქნებოდა. მთავრის სამსახური ოჯახურ წესრიგს ვერ იგუებს. დედა სასახლის კარზე მუდამ მოუცლელი იყო და გოგონები უმეტესად თავის ანაბარა იყვნენ მიტოვებული. ოტილიე ჯერ სასახლის ზედა სართულზე ცხოვრობდა, შემდეგ თავის დეიდასთან. იგი თავის დღეებს ხან დედასთან, ხან მოხუც გრაფინიასთან, ხან ყოველგვარ სასწავლებელსა და მეგობარ გოგონებთან ატარებდა. ამ მეგობართა წრეში მალე მეც აღმოვჩნდი. მე ცოტა უფროსი გახლდით. ოტილიე ხშირად იყო ხოლმე უმაღლესი დარბაზთქალბატონის ეგლოფშტაინის სუფრასთან. მის ქალიშვილებთან მე დიდი მეგობრობა მქონდა.

აი სწორედ აქ შევკარით ჩვენ სულთა კავშირი, რომლის ხანგრძლივობა, მე მგონია, წლებით არ უნდა გაიზომოს, რადგან ისინი მნიშვნელოვანი წინსვლის წლები იყო ჩვენს ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში ახალგამოჩენილი შეუბუმბლავი ბარტყები გამოცდილ ადამიანებად ვიქცეით. თუმცა რაღაც თვალსაზრისით – სათუთი მეგობრული გრძნობა მიადვილებს ვაღიარო, რომ ოტილიე თავისი მტკიცე ხასიათის თავისებურებით, ადრევე ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი მრწამსით, აზრთა წყობით ჩვენი კავშირის წამყვანი, სულიერად განმსაზღვრელი ნაწილი, ერთი სიტყვით, სული და გული იყო.

ეს მეტადრე პოლიტიკურ საკითხებზე ითქმის. მართალია, ახლა, იმ უძძიმესი განსაცდელისა და შერყევების შემდეგ, რომელშიც ბედისწერამ იმ გენიალურ ურჩხულს ნება მისცა ჩაეგდო მსოფლიო, ქვეყანას შედარებით მშვიდობიანობა დაუბრუნდა და წმინდა წესრიგის მცველი ძალები იფარავენ მას, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ცნობიერებაზე აღარ მძლავრობს პოლიტიკა და წმინდა ადამიანურ გრძნობებსა და ფიქრებს ფართო გასაქანი მიეცა, მაგრამ მაშინ თითქმის განსაკუთრებული ძალით ბატონობდა სულიერ ასპარეზზე. ოტილიე გატაცებული იყო პოლიტიკით, ამასთან ისეთი აზრითა და სულისკვეთებით, რომ მას მთელ თავის გარემოსგან შინაგანად თიშავდა. მაგრამ მას არასოდეს გაუბედავს, ამ თავის საიდუმლო ოპოზიციურ განწყობილებაზე ხმამაღლა ვინმესთვის რამე ეთქვა, თვით ჩემთანაც კი, თავის ერთგულ და სანდო მეგობართან, ვისაც თავისი გრძნობები, თავისი აზროვნების წესი შთამაგონა. მე ხომ მთლიანად ჩამითრია თავისი რწმენის, თავისი იმედების სამყაროში, რათა მასთან ერთად დავმტკბარიყავი საიდუმლოების საოცნებო მიმზიდველობით.

რა საიდუმლოება იყო ეს? რაინის კავშირის სახელმწიფოში, რომლის ჰერცოგი შეიწყალა ძლევაშობილმა დემონმა და ისიც ერთგული ვასალის კვალობაზე მართავდა ქვეყანას, სახელმწიფოში, სადაც ყველა და ყველაფერი დიდხანს არცთუ ისეთი ამაღელვებელი მოწიწებით ქედს იხრიდა დამპყრობლის მფარველი სულის წინაშე და, ენთუზიაზმით თუ არა, მორჩილად მაინც სჯეროდათ მსოფლიოს მომწესრიგებლისა და მთელი ხმელეთის გამგებლის უზენაესი დანიშნულება, – ჩემი ოტილიე აღტაცებული მომხრე გახლდათ პრუსიისა. პრუსიის

იარაღის სამარცხვინო დამარცხებამ ოტილიეს ნირი ვერ წაუხდინა. იგი გამსჭვალული იყო იმ შეგნებით, რომ ადამიანთა ჩრდილოეთურ მოდგმას უპირატესობა ჰქონდა საქსონიურ-თიურინგიული მოდგმის წინაშე, რომელთანაც მას, მისივე თქმით, მისჯილი ჰქონდა ცხოვრება და რომლისადმი გულში იძულებით უპატივცემულობის გრძნობას ფარავდა, რაც მხოლოდ მე გამანდო. ამ საყვარელი ბავშვის გმირულად განწყობილი სული მხოლოდ ერთ იდეალს შეეპყრო: პრუსიელი ოფიცრის იდეალს. უსარგებლოა იმაზე ლაპარაკი, რომ კულტის ამ სახეს დაკარგული მამის მოგონებით მეტ-ნაკლები სიცხადით გაცისკროვნებული ნაკვთები ჰქონდა. მაგრამ მაინც აქ თავს იჩენდა მისი საგვარეულო მოდგმის უფრო საერთო სიმპათიური მგრძნობიარობა და შთაბეჭდილებიანობა, რითაც იგი წინასწარ გრძნობდა და ისმენდა ისეთ შორეულ მოვლენებს, ჩვენ რომ მათი გაგებაც არ შეგვეძლო. ის კი წინასწარ შეგნებულ შინაგან კავშირს აბამდა მათთან, იმის უნარიც კი ჰქონდა, რომ წინასწარ უკვე მონაწილეობდა კიდევაც მათში რაღაც თავისებურად, რაც მე წინასწარმეტყველურად მეჩვენებოდა და მალე მართლაც წინასწარმეტყველური გამოდგა და ახდა კიდევაც.

თქვენ ადვილად მიხვდებით, რომელ მოვლენებს ვგულისხმობ: იმ ზნეობრივი შეგნების გაღვიძებასა და მხნეობის აღდგენას, რაც მის მხარეში დამარცხებას მოჰყვა, ყოველგვარი მიმზიდველი, დახვეწილი, მაგრამ მომადუნებელი ტენდენციების პირდაპირ სიძულვილს, დაგმობასა და აღმოფხვრას, რადგან, ვინ იცის, ეგების მაგ მომხიბვლელმა, გაფაქიზებულმა და დამაძაბუნებელმა მიდრეკილებებმა ხელიც კი შეუწყვეს და გამოიწვიეს კიდევაც დამარცხება. ხალხის სხეული გმირულად განიწმინდა და განიდარცვა შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა კილიტებისა და ზიზილ-პიპილებისგან, იწრთობოდა დიდების მომავალი დღისთვის, უცხოელთა ბატონობას რომ დაამხოდა და თავისუფლების მზეს ამოიყვანდა. ეს იყო მკაცრი აღიარება იმისა, რაც ბედისწერის გარდაუვალობით ისედაც მოიწევდა: სილატაკე; და რამდენადაც გაჭირვება აღთქმად იქცა, ამას ზედ დაერთო აგრეთვე ორი სხვა მონაზვნური სათნოება და მოთხოვნა. უბიწობა და მორჩილება; საჭირო იყო ბევრ რამეზე უარის თქმა, თვითაღკვეთა და თავგანწირვისთვის, მსხვერპლისთვის მზადყოფნა, მკაცრი მოძღვრება, თავდაჭერილი, მკაცრი

ერთობა, სამშობლოსთვის თავდადებული სიცოცხლე.

ამრიგად, ამ მდუმარებაში მიმდინარე მორალურ პროცესზე, მტრისა და მჩაგვრელისთვის ესოდენ მიუდგომელი და დაფარული რომ იყო, ისევე როგორც მასთან ერთად და იმავე დროს მიმდინარე საიდუმლო სამხედრო აღდგენაზე, მცირე ცნობები აღწევდა ჩვენს პაწია სამყარომდე, რომელიც გამარჯვებულ ცივილიზაციას ისე მიემხრო, ბევრი არც უნალვლია, მას რაღაც სჯეროდა კიდევაც, თუმცა ზოგჯერ ოხვრაც აღმოხდებოდა ხოლმე იმის გამო, ტირანმა ეს რა ხარკი და გადასახადები დაგვაკისრაო. ჩვენს წრეში, ჩვენს საზოგადოებაში მხოლოდ ოტილიე იყო, ვინც ამ პროცესს დაფარული ენთუზიაზმით გრძნობდა. მაგრამ ახლოსაც და შორსაც იყო ესა თუ ის სწავლული, ახალგაზრდობის მოძღვარი, სანდო მოთავე, თვითონაც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი, ვინც ამ განახლებული მოძრაობის მაცნე და მატარებელი იყო, ვისთანაც ჩემმა გულის მეგობარმა მყისვე გაცხოველებული აზრთა და გრძნობათა ძაფები გააბა.

მაშინ იენაში ცხოვრობდა ისტორიის პროფესორი ჰაინრიხ ლუდენი,[121] უკეთილშობილესი მამულიშვილური მრწამსის შესანიშნავი კაცი. ჩვენი შერცხვენისა და დანგრევის იმ დღეებში განადგურდა მთელი მისი ქონება და მეცნიერული მასალა. ასე რომ, იგი იძულებული გახდა თავისი ახალგაზრდა ცოლი ისევ თავის სრულიად გაპარტახებულ, გაცივებულ, კერაჩამქრალ და სამაგელი ჭუჭყით სავსე ბინაში შეეყვანა. მაგრამ ამან ვერ გატეხა იგი, უბედურებას ქედი არ მოუხარა. საქვეყნოდ ხმამაღლა აუწყა ყველას: იენასთან ბრძოლა რომ მოგვეგო, ყველა ამ დანაკლისს სიხარულით შევეგებებოდი და შიშველ-ტიტველი მათხოვარივით გაქცეულ მტრებს ყიჟინით გამოვედევნებოდიო. სამშობლოს საქმის მტკიცე რწმენა ბოლომდე შეინარჩუნა და თავისი სტუდენტებიც მგზნებარე მჭევრმეტყველებით ამ რწმენას აზიარა, გარდა იმ კაცისა. აქვე ვაიმარში მაშინ ცხოვრობდა გიმნაზიის პროფესორი პასოვი

[122]. მეკლენბურგელი იყო. ლალი, ძარღვიანი მეტყველება ჰქონდა, სულ რაღაც ოცდაერთი წლისას, საფუძვლიანი განათლება მიეღო, დიდი აღმაფრენისა და მაღალი აზრების მქონე კაცი გახლდათ. სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით იყო შთაგონებული. ასწავლიდა ბერძნულს (კერძო წესით ჩემს ძმას – არტურსაც, რომელიც იმ დროს მასთან ცხოვრობდა), ესთეტიკას და ენის ფილოსოფიას; მაგრამ

მისი სწავლების ახალი და განსაკუთრებული იდეა ის იყო, რომ ხიდი გაედო მეცნიერებასა და ცხოვრებას, ანტიკურობის კულტსა და გერმანულ-მამულიშვილურ და მოქალაქეობრივ-განმათავისუფლებლურ მრწამსს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ელინურ კულტურას ცოცხალ განმარტებას აძლევდა და ცდილობდა პოლიტიკური ცხოვრებისთვის პრაქტიკულად მიესადაგებინა.

ასე რომ, აი, ასეთ მამაკაცებთან ჰქონდა ფარული, თითქმის შემძიმია ვთქვა, კონსპირაციული ურთიერთობა ოტილიეს. მაგრამ იმავე დროს იგი იმპერატორის ერთგული, ჩვენი ფრანკოფილური მაღალი საზოგადოების ელევანტური წევრის ცხოვრებით ცხოვრობდა. და მე ვერასოდეს ვიშორებდი იმ შთაბეჭდილებას, რომ იგი ერთგვარად ტკბებოდა და ნებივრობდა ამ ორმაგი, მისი შეხედულებით, რომანტიკულად მიმზიდველი არსებობით, რისი მონაწილე მეც გახლდით, როგორც მისი მეგობარი და მესაიდუმლე. ასეთი გაორებული, წინააღმდეგობით სავსე ცხოვრება უფრო იზიდავდა და მან, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი, სავალალო როლი შეასრულა გრძნობათა თავგადასავალში; ჩემი გულითადი მეგობარი, ჩემი გულის ვარდი, აგერ უკვე ოთხი წელიწადია ჩიტუნისასავით ფართხალებს. ყველაფერს გავიღებდი, ოღონდ ამ ხაფანგიდან დამეხსნა იგი.

რუსეთზე გალაშქრების წელი დგებოდა, ავგუსტ ფონ გოეთემ ოტილიეს სიყვარულზე რომ ჩამოუგდო საუბარი. ერთი წლის წინ ჰაიდელბერგიდან დაბრუნდა და მაშინვე სასახლის კარზე სახელმწიფო სამსახურში შევიდა. იგი სასახლის კარის იუნკერი და ნამდვილი ასესორი[123] იყო ჰერცოგის კამერკოლეგიაში. მაგრამ ამ თანამდებობებთან დაკავშირებულ მოვალეობათა «სინამდვილე», ჰერცოგის ნებით, წინასწარ თავაზიანად და დიდი სიფრთხილით იყო განსაზღვრული. მათ ხელი კი არ უნდა შეეშალათ, პირიქით, ხელი უნდა შეეწყოთ ავგუსტისთვის მისი დიდებული მამის დამხმარე სამუშაოთა შესრულებაში, რათა გაეთავისუფლებინა ყოველდღიური ზრუნვა-დავიდარაბისა და სამეურნეო წვრილმანისგან, წარმოედგინა საზოგადოებრივ ფორმალობათა აღსრულების ჟამს და თვით იენაში დასათვალისწინებლად გამგზავრების დროს, ყოფილიყო მისი კოლექციების მცველი და მდივნობა გაეწია, მეტადრე იმის გამო, რომ იმჟამად დოქტორმა რიმერმა გოეთეს სახლი დატოვა, რათა ექორწინა საიდუმლო მრჩევლის

მეუღლის საზოგადოებაში თანმხლებ მეგობარ ქალთან ფროილან ულრიხთან.

ახალგაზრდა ავგუსტი ამ მოვალეობებს დიდი სიზუსტითა და გულმოდგინებით ასრულებდა, ხოლო რამდენადაც ისინი მის მამასა და სახლს ეხებოდა, – ანგარიშიანი პედანტობითაც კი, რაც შეეფერებოდა მის გულცივობას, – ახლა მე ვამბობ მხოლოდ გულცივობას, და მაინც მინდა დავუმატო: საგანგებო, განზრახ გამოკვეთილ გულცივობას. გულახდილად რომ გითხრათ, სულაც არ ვჩქარობ ამ ხასიათის საიდუმლოებაზე დაწვრილებით ვილაპარაკო. ამ ხასიათის აღწერას გადავდებ ერთგვარი შიშის გამო, რაც ჩემს გულში საკმაოდ უცნაურად შეერთებულა თანაგრძნობად და ანტიპათიად. მე ერთადერთი ადამიანი როდი გახლდით ანდა გახლავართ, ვისაც ეს ყმაწვილი კაცი ამგვარ გრძნობებს აღუძრავდა. მაგალითად, რიმერი თვითონ გამომიტყდა, რომ ჯერ კიდევ მაშინ ნამდვილ შიშს განიცდიდა მის წინაშე, და საკუთარი ოჯახისთვის საფუძვლის ჩაყრის გადაწყვეტილება ძალიან დააჩქარა მისი ყოფილი მოსწავლის მშობლების სახლში დაბრუნებამ.

ოტილიემ იმ ხანებში დაიწყო სასახლის კარზე სიარული და, შესაძლოა, ავგუსტმა პირველად იქ გაიცნო ქალიშვილი. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ეს გაცნობა მოხდა ფრაუნჰლანზეც, კვირადღეობით იქ მოწყობილ შინაურ კონცერტებზე, რომელთაც საიდუმლო მრჩეველი რამდენიმე წლის განმავლობაში აწყობდა, ან ამ კონცერტებისთვის მზადების დროს გასინჯვებზე. იმიტომ, რომ ჩემს მეგობარ გოგონას გარეგნულ მიმზიდველობასა და მშვენიერ ბუნებრივ თვისებებთან ერთად გულში ჩამწვდომი, სუფთა, წკრიალა ხმა აქვს და კარგადაც მღერის, რასაც მე მისი მუსიკალური სულის ფიზიკური გამოხატულების საშუალებასა და ინსტრუმენტს დავარქმევდი. სწორედ ამის გამო მიიწვიეს იგი მომღერალთა პატარა გუნდში. ეს გუნდი კვირაში ერთხელ ვარჯიშობდა გოეთეს სახლში, ხოლო კვირაობით სადილობისას იწვევდნენ. შემდეგ კი სტუმრების წინაშე ამღერებდნენ.

ამ მუსიკალურ სიამოვნებას ის უპირატესობა დაერთო, რომ ოტილიემ პირადი ურთიერთობა დაამყარა დიდ მგოსანთან, რომელსაც შეიძლება ითქვას, თავიდანვე თვალი ეჭირა ამ გოგონაზე, სიამოვნებით მუსაიფობდა და ხუმრობდა მასთან, სრულიადაც არ მალავდა თავის მამობრივ მოწყალებას და

კეთილ სურვილებს «პერზონჰენისადმი», როგორც მას გოეთე უწოდებდა... მგონია, ჯერაც არ მიცდია დამეხატა თქვენთვის ჩემი მეგობრის მომხიბლავი გარეგნობა. ანდა როგორ უნდა დაგიხატოთ, ასეთი ვინმე სიტყვებით არ იხატება. არადა, მისი ქალწულებრივი მიმზიდველობის თავისებურებანი მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი და გადამწყვეტია. ცისფერი, მეტყველი თვალები, ხშირი ოქროსფერი თმა, უფრო მომცრო, ნაზი, კოხტა, მოხდენილი, მსუბუქი და ნარნარი ტანი, არაფერი იუნონასებური, მოკლედ, სწორედ ისეთი ბედნიერი ტიპია, იმთავითვე რომ ესიამოვნება იმის პირად გემოვნებას, ვისი ყურადღებაც უმაღლეს პატივს უქადის გრძნობისა და პოეზიის სამეფოში. მეტს არაფერს ვიტყვი. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ ამგვარივე ტიპის მეტად მომხიბლავი და მაღალი წრის ქალიშვილის საქმე ერთხელ, როგორც მოგეხსენებათ, განთქმულ დაწინდვამდე მივიდა, რასაც შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ საზოგადოებრივი დისტანციების ყველა დამცველის გულისწყრომა გამოიწვია.

და აი, როდესაც ოდესღაც გამოქცეული სასიძოს შვილმა, სრულიად ახალი გააზნაურებული გვარის უკანონო ნაშიერმა დაიწყო ფონ პოგვიმ-ჰენკელ-დონერსმარკის მაღალი წოდების ასულის, უმშვენიერესი ოტილიეს ხელის თხოვნა, არისტოკრატიული შეზღუდულობისთვის ეს გარემოება უდავო საბაზი გახდა იმისა, რომ მას ისეთივე გულისწყრომა გამოეხატა, როგორც მაშინ, ფრანკფურტში; ოღონდ ახლა ვერავინ ბედავდა ამის ხმამაღლა წარმოთქმას, ამ შემთხვევაში მეტად არაჩვეულებრივი მდგომარეობისა და იმ განსაკუთრებული უფლებების გამო, რაზეც სრული საბუთით საგანგებო პრეტენზიებს აცხადებდა ეს ახალაღზევებული დიდებული გვარი. მამამ განიზრახა სწორედ ეს უფლებები სრული შეგნებითა და გულდაჯერებით გამოეყენებინა თავისი მის სასარგებლოდ. აქ მხოლოდ ჩემს პირად მოსაზრებას გამოვთქვამ, მაგრამ იგი ემყარება მოვლენათა განვითარების ტკივილგანცდილ ზუსტ დაკვირვებას და, მგონია, არ უნდა ვტყუოდე. საქმე იმით დაიწყო, რომ პირველი სწორედ მამა გახლდათ, ოტილიემ რომ დააინტერესა. პირველად მამამ მიაპყრო ოტილიეს მოწყალე თვალი და ვაჟიშვილმაც მაშინვე მიაქცია ყურადღება ქალს. ეს ყურადღება მალე ვნებიან გატაცებად იქცა. ამით ვაჟიშვილმაც იგივე გემოვნება გამოამჟღავნა, რაც მისმა მამამ. ამას ის ზოგიერთ სხვა რამეშიც

ამჟღავნებდა, – უფრო კი მოჩვენებით, რადგან სინამდვილეში აქ უფრო დამოკიდებულებასა და წაბამვაზეა ლაპარაკი. ჩვენ შორის დარჩეს და მას, ვაჟიშვილს, არავითარი გემოვნება არ გააჩნია, რაც ყველაზე ნათლად მან ქალებთან ურთიერთობით დაამტკიცა. მაგრამ ამაზე შემდეგ. კმარა წინდაწინვე ყველაფრის თქმა, რაც უფრო გვიან ვიტყვი, მით უკეთესი. მირჩევნია ისევ ოტილიეზე ვილაპარაკო იმ მდგომარეობის აღსანიშნავად, სანუკვარი ქმნილება რომ იმყოფებოდა ჰერ ფონ გოეთესთან პირველი შეხვედრისთვის, ყველაზე მარჯვე იქნებოდა სიტყვა «მოლოდინი» გვეხმარა. ჯერ კიდევ ნორჩ გოგონას თაყვანისმცემლები ჰყავდა და ზოგჯერ ხოტბაც მიუღია, ისიც სანახევროდ ხუმრობით გამოხმაურებია, მაგრამ ნამდვილად ჯერ არავინ ჰყვარებია და თავის პირველ სიყვარულს ელოდა; გული მისი თითქოს შემკული იყო ყოვლისმძლეველი ღმერთის მისაღებად, და ეგონა მის ძალას

შეიცნობდა იმ გრძნობებში, რასაც სრულიად განსაკუთრებული, უზომოდ მაღალკეთილშობილი მისი ხელისმადიებელი შთააგონებდა. ცხადია, მეტად ღრმა იყო ქალიშვილის თაყვანისცემა დიდი პოეტისადმი და უსაზღვროდ ეამებოდა მისი კეთილი დამოკიდებულება. – განა საკვირველი იყო, რომ გოგონას ეგონა, არ შეიძლებოდა ხელი ეკრა ვაჟის თხოვნისთვის, რაკი დაწინდვა მამის აშკარა მოწონებითა და, ასე ვთქვათ, მისი სახელით ხდებოდა? ასეც იყო, თითქოს ჭაბუკი ვაჟიშვილის სახით თვით გაახალგაზრდავებული მამა სთხოვდა ხელს. «ახალგაზრდა გოეთეს» უყვარდა იგი, – არც კი დაეჭვებულა, თავისი ბედის მაღვიძებელ კაცად მიეჩნია ის, და არც შეყოყმანებულა, სიყვარულზე სიყვარულით ეპასუხა.

მე მგონია: ქალიშვილი მით უფრო დარწმუნებული იყო, რაც უფრო დაუჯერებლად ეჩვენებოდა თავისი გულის მიდრეკილება – შეეყვარებინა ის სახე, რა სახითაც მას ბედისწერა მოევიდინა. რა იცოდა მან სიყვარულისა? მხოლოდ ის, რომ სიყვარული თავნება და ახირებული, უწინარეს ყოვლისა, უძლეველი ძალაა, არაფერს რომ არ დაგიდევს, ხშირად კეთილგონიერებას აბუჩად იგდებს და ჭკუის დაუკითხავად თავის უფლებას იმკვიდრებს. მას თავისი გულის რჩეული ჭაბუკი სულ სხვაგვარად წარმოედგინა, ისეთად, როგორც თვითონ იყო, ავგუსტზე უფრო ნათელ, მსუბუქ, მხიარულ, გულღია არსებად. ის გარემოება, რომ ავგუსტი ესოდენ ნაკლებ ჰგავდა მის მიერ წინასწარ შექმნილ

სურათს, მას თავისი ნამდვილი მიდრეკილების რომანტიკულ დასაბუთებად მიაჩნდა. ავგუსტი სულაც არ გახლდათ ისეთი ყმაწვილი, გულს რომ გაგიხარებდათ, არც ისეთი ბიჭი, ვისგანაც არაჩვეულებრივად ბევრს მოელიან, არც ხანგრძლივ სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ, ხოლო რაც შეეხებოდა მის სულიერ წყობასა და გონებრივ უნარს, ოჯახის მეგობართა შორის დამკვიდრებულიყო შთაბეჭდილება, რომ მასზე დიდი იმედების დამყარება არ შეიძლებოდა. ადრე ნახევრად ავადმყოფი ბავშვი ახლა საკმაოდ ბეჭგანიერი და წარმოსადეგი ჭაბუკი დადგა, – ცოტა მძიმე და პირქუში შესახედაობისა, ოდნავ უღიმღამო, მე ვიტყვოდი, უფერული, მხედველობაში მაქვს უმთავრესად მისი თვალები, ლამაზი, უფრო სწორად, ლამაზი მაშინ იქნებოდნენ, მეტი გამომეტყველება და საკუთარი «ხედვა» რომ ჰქონოდათ. მე მის, ავგუსტის პიროვნებაზე ნამყო დროში ვლაპარაკობ, რათა განზე გავდგე და, ასე ვთქვათ, შევძლო უფრო უკეთესად და შეუცდომლად განვსაჯო. მაგრამ ყველაფერი, რასაც მასზე ვლაპარაკობ, ოცდაშვიდი წლის ყმაწვილკაცზე კიდევ უფრო მეტად ვრცელდება, ვიდრე იმ ჭაბუკზე, ოტილიესთან პირველი გაცნობისას რომ იყო. იგი არ გახლდათ სასიამოვნო, ხალისიანი თანამოსაუბრე. ასე ჩანდა, თითქოს რაღაც უხალისობა და უკმაყოფილება უბოჭავდა სულს, მეღანქოლია, რისთვისაც აჯობებდა, უიმედობა დაგვერქმია, თავის ირგვლივ ყველაფერს რომ აუდაბურებს. ცხადი იყო, რომ მხიარული ზნის უქონლობა, შვილობრივ დამოკიდებულებაზე ეს ყვეყჩური უარის თქმა, მამასთან სასოწარმკვეთი შედარების მუდმივი შიშისგან წარმოსდგებოდა.

დიდი კაცის შვილობა უმაღლესი ბედნიერებაა, ფასდაუდებელი სიამოვნება, მაგრამ მძიმე ტვირთიც არის, საკუთარი მეობის მუდმივი დამცირება, საკუთარი პიროვნების ღირსების ხანგრძლივი განტევება. ჯერ კიდევ ბიჭუნას მამამ უძღვნა ალბომი, რომელსაც წლების განმავლობაში ავსებდნენ ჩანაწერებით გერმანიისა და თვით საზღვარგარეთის ყველა სახელგანთქმული პიროვნებანი აქ ვაიმარში და იმ ადგილებში, სადაც კი მას ვაჟიშვილთან ერთად უმოგზაურია: ჰალესა და იენაში, ჰელმშტედში, პირმონტსა და კარლსბადში. მათ შორის არ იყო არც ერთი, რომ არ აღენიშნა ყმაწვილი კაცის პიროვნების უგულვებელმყოფელი, აკვიატებულ იდეად ქცეული ის ღირსება, რომ იგი მისი ვაჟიშვილი იყო. რაოდენ

აღმაფრთოვანებული, მაგრამ ამავე დროს შიშის აღმძვრელი უნდა ყოფილიყო ჭაბუკის სულისთვის, როდესაც პროფესორმა ფიხტემ[124], ფილოსოფოსმა, ჩაუწერა: «ერი ბევრს მოითხოვს თქვენგან, ჩვენს ეპოქაში ერთადერთი ადამიანის ერთადერთი ძისგან». მაგრამ წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ სულზე იმ მოკლე სენტენციას, ერთმა ფრანგმა მოხელემ რომ ჩაუწერა სამახსოვრო წიგნში: «იშვიათად შერაცხულან ძენი დიდი კაცისა მომავალ თაობებში!» იქნებ მოწოდებად უნდა მიეჩნია ეს სიტყვები, შენ გამონაკლისი იყავი? ესეც მძიმე ტვირთი იყო. მაგრამ უფრო ახლოს იქნებოდა სიმართლესთან, თუ მათში იმას ამოიკითხავდა, რაც დანტემ ჯოჯობეთის შესასვლელს წააწერა.

ავგუსტი პირქუში სიჯიუტით ცდილობდა საერთოდ თავიდანვე ჩაეკლა ასეთი მომაკვდინებელი შედარება. ის თითქმის გააფთრებით, უხეშადაც კი ხელს ჰკრავდა ყოველგვარ პოეტურ ამბიციას, ყოველგვარ კავშირს გონის მშვენიერ სამყაროსთან და აშკარად უნდოდა, რომ ის მხოლოდ ყოველდღიურობის პრაქტიკოს ადამიანად, საშუალო ჭკუის ფხიზელ საქმისა და ერისკაცად მიეჩნიათ. თქვენ მეტყვით, რომ რაღაც მიმზიდველი, ღირსსაყურადღებო სიამაყე შეიმჩნევა იმაში, რომ მან თვითონვე გადაჭრით თქვა უარი ამ უმაღლეს სფეროებზე, არ ხელყო იგი, არ ესწრაფოდა მას, და კიდევაც რომ ჰქონოდა ჩანასახობრივად მაინც ეს მისწრაფება, უკუაგდებდა, თრგუნავდა თავის თავში, ოღონდ კი ყოველ მხრით ეს საბედისწერო შედარება არ გამოეწვია. მაგრამ საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, უკმაყოფილება და უგუნებობა, მისი უნდობლობა, მისი გულფიცხოვა კაცის გულს ვერ იგებდა და არც იმის ნებას იძლეოდა, მისთვის ამაყი გეწოდებინათ. უკეთესია ვთქვათ: ის ამაყი აღარ იყო, მას ტანჯავდა წელში გადამსხვრეული სიამაყე. თავის დღევანდელ მდგომარეობას ცხოვრებაში მან მიაღწია იმ შეღავათების წყალობით, თავისი წარმოშობა რომ სთავაზობდა, – ეგებ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, – თავს რომ ახვევდა მას. ამით სარგებლობდა კიდევ, თუმცა ნამდვილად არ მოსწონდა, მაგრამ არც ის შეეძლო, წინ

აღდგომოდა საკუთარი ღირსებისა და ვაჟკაცური თავმოყვარეობის შელახვას. მისი განათლების გზა საკმაოდ თავისუფალი და მიშვებული, ზერელე და შემწყნარებლური იყო. თანამდებობები მას მანამდე მოსდიოდა, სანამ შეძლებდა თავისი ცოდნა და უნარი გამოეჩინა; მას ესმოდა, რომ

საკუთარი ნიჭითა და უნარით კი არ იღებდა ამას, არამედ ბედით რჩეული ადამიანის მდგომარეობის წყალობით. სხვას მის ადგილზე თავმომწონე სიხარული შეიპყრობდა ასეთი იოლი აღზევების გამო, ის კი ისეთი ბუნებისა გახლდათ, რომ ამის გამო იტანჯებოდა. ეს პატივსაცემია. თუმცა არც ხელი უკრავს ამ ბედით მომადლებულ უპირატესობებზე.

მაგრამ მეორე მხარესაც ნუ დავივიწყებთ! ნუ დავივიწყებთ, რომ ავგუსტი მარტო თავისი მამის ვაჟიშვილი როდი ბრძანდებოდა, ის თავისი დედის შვილიც გახლდათ. ამ გარემოებას არ შეიძლება არ შეეტანა თავისებური განხეთქილება სამყაროსადმი დამოკიდებულებასა და ღირსების გრძნობას შორის, დავა როგორც ერთი, ისე მეორე სახის წარმოშობას, – კეთილშობილებასა და დაბადების ჰიბრიდულ არაწესიერებას შორის. იმით არაფერი იცვლებოდა, რომ უკვე თერთმეტი წლის ბიჭს ჰერცოგმა თავისი მეგობრის, მისი მამის თხოვნით, დეკრეტით დაუდასტურა დაბადების კანონიერება და აზნაურობის ტიტული უწყალობა, არც იმით იცვლებოდა არაფერი, მშობლების ჯვრისწერა ექვსი წლის შემდეგ რომ მოხდა. მის თავშიც და სხვის თავშიც ისევე მტკიცედ და ღრმად ჩაიბეჭდა სიტყვები: «ტრფობის შვილი», როგორც «ძე ერთადერთისა». ერთხელ ერთგვარი აურზაური გამოიწვია, როცა მან, ცამეტი წლის მშვენიერმა ყმაწვილმა, ამურივით მორთულ-მოკაზმულმა, ჰერცოგის მეუღლის დაბადების დღის პატივსაცემად გამართულ მეჯლისზე, დიდებულ ქალს ყვავილები და სახოტბო ლექსები უძღვნა. ხმამაღლა გაისმა აღშფოთების ხმა: «ტრფობის შვილი», გაიძახოდნენ, წესიერ ხალხში ამურის სახით არ უნდა გამოჩნდესო. ამ გაკილვამ მიაღწია თუ არა მის ყურამდე, არ ვიცი. მაგრამ ამგვარ წინააღმდეგობებს შემდეგაც ხშირად წასწყდომია ცხოვრებაში. მის მდგომარეობას იფარავდა მამის სახელი და დიდება, მისი ავტორიტეტი, ჰერცოგის წყალობა ამ უკანასკნელისადმი. მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც ორჭოფული იყო. მას ჰყავდა გიმნაზიის, უწყების, კარის სამსახურის ამხანაგები – ანუ ისინი, ვისაც ამ სახელს უწოდებენ, მაგრამ ერთი მეგობარი არ ჰყავდა. საამისოდ, სამეგობროდ, ის უნდო იყო, მეტისმეტად გულჩახვეული, ჩაკეტილი, თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის შეგნებით მთლიანად გამსჭვალული, ამ სიტყვის მაღალი და საექვო მნიშვნელობით. ირგვლივ მუდამ ნარევი საზოგადოება

ეხვია: ის წრე, დედამ რომ გააცნო და დაუახლოვა, ცოტა არ იყოს, ბოშურს ჰგავდა – ბევრი მსახიობი, ქეიფის მოყვარული ახალგაზრდობა, თვითონაც დაუჯერებლად ადრე დაეწაფა სპირტიან სასმელებს. ჩვენმა საყვარელმა ბარონის მეუღლემ ფონ შტაინმა მიაჩნო, რომ თერთმეტი წლის ბიჭი თავისი დედის ამხანაგების მხიარულ წრეში ჩვიდმეტეტი ჩიქაზე ნაკლებ შამპანურს არ სვამდა და რომ დედამისს დიდი გარჯა დასჭირდა, რათა ბიჭისთვის ღვინის დალევაზე ხელი აეღებინებინა. ის ამბობდა, – რაოდენ საოცარია, როცა ასეთ რამეს ბავშვზე გამოთქვამენ, – გეგონებოდათ, ამ ყრმას სურდა თავისი დარდი და ნაღველი ღვინოში ჩაეკლათ. დარდის მიზეზი კი, რასაკვირველია, ჰქონდა, რადგან ერთხელ თავზარი დაეცა იმის დანახვაზე, თუ როგორ ტიროდა მისი შემყურე მამა. ეს გახლდათ 1801 წელს, მაისტერს მიძიმე ავადმყოფობის დროს, კრუნჩხვებიანი ყივანახველა და ბუმტუკებიანი წითელი ქარი ჰქონდა, კინაღამ სამარის კარს რომ მიიყვანა. ძლივს გამოჯანმრთელდა, მაგრამ სისუსტისგან ბევრს ტიროდა, განსაკუთრებით ბიჭის დანახვაზე, და აი მას მერე მიჰყო ხელი ჩვიდმეტი ჩიქის დალევას. თუმცა მამას ეს ძალიან არც აკვირვებდა, რადგან თვითონაც ჰქონდა საამისო მოსაგონარი, სიჭაბუკეში მხიარულების ჟამს სიამოვნებით მიირთმევდა ღვინოს, ამ ღვთიურ სასმელს, და თავის ძესაც ადრე მისცა ნება. ჩვენ, გარეშეებს, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ბახუსისადმი ნაადრევ სიყვარულსა და, სამწუხაროდ, სულ უფრო მზარდ მიდრეკილებას არ დავაბრალოთ ავგუსტის ხასიათის ზოგიერთი არასასიამოვნო მხარე, სიფიცხე, პირქუშობა, უხიაკობა, უხეშობა.

ამრიგად, სანუკვარ ოტილიეს ეგონა, რომ თავის ხვედრს, თავის ბედის განხორციელებას მიაგნო ამ ყმაწვილკაცში, რომელიც ქალს არც მაინცდამაინც მიმზიდველ თაყვანისცემასა და ერთგულებას სთავაზობდა. გოგონას ეგონა, რომ ვაჟს

სიყვარულზე სიყვარულით უპასუხებდა, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა ყოფილიყო ეს, ან, როგორც ვთქვი, სწორედ იმიტომ, რომ დაუჯერებელი იყო. ამ რწმენას განუმტკიცებდა მისივე კეთილშობილი სული, მისი პოეტური გრძნობა-გაგება ვაჟის ტრაგიკული, შიმისა და დარდის აღმძვრელი არსებობისა. მას ეგონა, რომ ვაჟს გამოიხსნიდა დემონისგან და თავი მის მფარველ კეთილ ანგელოზად წარმოედგინა. მე უკვე გელაპარაკეთ იმ რომანტიკულ

მომხიბვლელობაზე, ამ ქალს რომ შეეძლო შეექმნა თავისი გაორებული ცხოვრებიდან, როგორც ვაიმარის საზოგადოების მაღალი წრის ქალიშვილსა და იდუმალ პრუსიელ პატრიოტს. ავგუსტის სიყვარულმა ეს მომხიბლაობა მას ახლა უფრო ღრმად განაცდევინა. წინააღმდეგობა მის მრწამსსა და მისი თაყვანისმცემელი ვაჟის ოჯახის მრწამსს შორის, მისი ვნების პარადოქსულობას უაღრესად ამწვავებდა და სწორედ ამიტომ აიძულებდა ნამდვილ ვნებად მიეჩნია.

აღარაფერი მინდა ვთქვა იმაზე, რომ ჩვენს სულიერ მოძღვარსა და გმირს, გერმანიის სიამაყეს, ვინც ესოდენ გაზარდა თავისი ერის დიდება და სახელი, სულაც არ გაუზიარებია კეთილშობილ პატრიოტთა გულისტკივილი სამშობლოს დაცემის გამო და არც ის ენთუზიაზმი, ჩვენს სულებს რომ აფორიაქებდა, როცა განთავისუფლების საათმა დაჰკრა. ორივესგან თავი შორს ეჭირა, ცივად იშორებდა და, ასე ვთქვათ, მტრის წინაშე ბედის ანაბარად მიგვატოვა. სწორედ ასე გახლდათ. მაგრამ ჯობს ეს დავივიწყოთ და გულში ჩავიკლათ, მისი გენიალობის წინაშე თაყვანისცემაში შთაინთქას და მისი დიადი პიროვნებისადმი სიყვარულით დაიფაროს. იენასთან თავს დატეხილმა უბედურებამ მასაც მძიმე ზარალი მიაყენა. მართალია, პირველად ძლევამოსილი ფრანგების კი არა, პრუსიელების მხრივ, ჯერ კიდევ ბრძოლის წინ აქ რომ იდგნენ. ისინი შეიჭრნენ მის ბაღიან სახლში, კარები და ავეჯი დაამტვრიეს და ცეცხლი დაინთეს. მაგრამ, რაც შემდეგ მოხდა, არც იმას დაუყრია ხეირი. ამბობდნენ, დამპყრობელთა დარბევა კარგი ორი ათასი ტალერი დაუჯდა, მარტო ღვინო თორმეტი ჩაფი დაუღიესო. მოთარეშებმა იგი მოსასვენებელ ოთახშიც კი შეაწუხეს, თუმცა მისი საცხოვრისი არ დაურბევიათ, რადგან მალე მოუსწრო სახლის საგანგებო დაცვამ. მასთან ჩამოხდნენ და დაბინავდნენ მარშლები ნეი,[125] ოჟერო,[126] ლანი,[127] და ბოლოს მობრძანდა თვით ჰერ დენონიც, რომელსაც იგი კარგად იცნობდა ჯერ კიდევ ვენეციიდან, იმპერატორის მუზეუმების მთავარი ინსპექტორი და ნაპოლეონის მრჩეველი ხელოვნების საქმეებში, ესე იგი, დამარცხებულ ქვეყნებში ხელოვნების ნაწარმოებთა მითვისების საქმეში...

ასეთი კაცის მობინადრეობა და სტუმრობა ჩვენს მაისტერს ძალიან აამებდა. – ის თვითონ შემდეგში ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა, ისე უნდოდა მთელი ეს საქმე წარმოედგინა, თითქოს მას ოდნავაც არ შეხებოდეს რამე.

ესოდენ მიიმედ დაზარალებულმა პროფესორმა ლუდენმა ერთხელ მიაშო, თუ როგორ შეხვედრია მას ამ მომხდარ საშინელებათა ოთხი კვირის შემდეგ კნებელთან, სადაც ამ დიდ უბედურებასა და გაჭირვებაზე ულაპარაკიათ და ჰერ კნებელს რამდენჯერმე წამოუძახია: «ეს ამაზრზრენია! ეს საშინელია!». გოეთეს მხოლოდ რამდენიმე გაურკვეველი სიტყვა წაუბუტბუტია და, როდესაც ლუდენს ამის თაობაზე უკითხავს, თუ როგორ გადაიტანა მისმა უდიდებულესობამ სირცხვილისა და უბედურების დღეები, მას უპასუხია: «მე საჩივლელი არაფერი მაქვს. უვნებლად ვიდექი და ყურს ვუგდებდი ველურ ღრიანცელს იმ კაცივით, მაღალი სალი კლდიდან რომ აბობოქრებულ ზღვას გადაჰყურებს; მართალია, გემის დაღუპვის გამო მარცხგანცდილთა დახმარება არ ძალუძს, მაგრამ ვერც ბობოქარი ტალღები მისწვდება მას; ერთი ძველი ბრძენისა არ იყოს, ეს სასიამოვნო გრძნობაც კი არის». და აქ იგი იმ ძველი ბრძენი კაცის სახელის მოგონებაზე ჩაფიქრდა. ლუდენმა კარგად იცოდა, ვისი სახელის მოგონებას ცდილობდა გოეთე, მაგრამ თავი შეიკავა, არ ჩაერია, სიტყვა არ მიაშველა.

კნებელმა კი, თავისი ამასწინანდელი შეძახილების მიუხედავად, თურმე ჩაურთო: «ლუკრეციუსის[128] თანახმად!» «მართალს ბრძანებთ, ლუკრეციუსის თანახმად», – უთქვამს გოეთეს და დაუმთავრებია: «ასე ვიდექი უვნებლად და ვუსმენდი ამ ველურ ღრიანცელს». ლუდენი მარწმუნებდა, გამყინავი სიცივის ჟრუანტელმა დამიარა მკერდში ამ მართლაც ერთგვარი სიამოვნებით ნათქვამი სიტყვების გაგონებაზე. მაგრამ ამის შემდეგაც ჟრუანტელს კიდევ მრავალჯერ დაუვლია ამ საუბრის დროს, რადგან, როცა კი მას ათრთოლებული ხმით სამშობლოს შერცხვენასა და გაჭირვებაზე მგზნებარე სიტყვები წარმოუთქვამს და მამულის აღორძინებაზე თავისი წმინდა რწმენა გამოუმჟღავნებია, სახელდობრ, კნებელს ხშირად წამოუძახია: «ყოჩად, მართალია!», გოეთეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია და წარბიც არ შეუხრია; ასე რომ, მაიორს ყველა თავისი შეძახილის შემდეგ საუბარი რაღაც ლიტერატურულ საგანზე გადაუტანია, ხოლო ლუდენი მალე გამოთხოვებიათ.

ასე მიაშო ამ წარჩინებულმა კაცმა. მაგრამ მაისტერმა შავი დღე დააყენა ჩვენს გიმნაზიის მასწავლებელს, დოქტორ პასოვს მისი შეხედულებების გამო. ჩემი ყურით მოვისმინე, რადგან ეს დედაჩემის სალონში მოხდა. მეც იქ გახლდით, ჯერ კიდევ

სრულიად ნორჩი გოგონა. კერძოდ, მჭევრმეტყველმა პასოვმა გულის ამაჩუყებელი სიტყვები წარმოთქვა იმის თაობაზე, რომ მთელი მისი სული შეუპყრია აზრს: ძველი ელინური სამყაროს გახსნითა და ბერძნული სულის თუნდაც ცალკეულ რჩეულ ადამიანთა შეგნებაში შთანერგვითა და განვითარებით აღვადგინოთ ის, რაც მთელმა გერმანელმა ხალხმა სამარცხვინოდ დაკარგა, – თავისუფლებისა და სამშობლოს იდეით აღფრთოვანება (ამასთან, უნდა შევნიშნოთ, თუ რა მიამიტურად და თავშეუკავებლად გადაუშლიდნენ ხოლმე გულს ასეთი ვაჟკაცები ამ ძლიერ ადამიანს, რადგან ისინი ვერც იფიქრებდნენ და შორეულადაც კი ვერ მიიჩნევდნენ შესაძლებლად, რომ ვინმეს ექნებოდა იმ იდეების საწინააღმდეგო აზრი, რაც მათ საღად და სასურველად მიაჩნდათ. კარგა ხანს გაგრძელდა, სანამ ისინი მიხვდებოდნენ, რომ დიდ კაცს სულაც არ ნებავდა მათი აზრის გაზიარება და მხარდაჭერა, და რომ მის წინაშე ამ საკითხზე ლაპარაკის ნებაც არ ჰქონდათ). – «ყური მიგდეთ! – თქვა მან ახლალა, – ძველებისა, მგონია, მეც გამეგება რაღაც, მაგრამ ეგ თავისუფლების შეგნება და სამშობლოს სიყვარული, მათგან რომ გნებავთ გადმოიღოთ, საფრთხის შემცველია და ყოველ წუთს შეიძლება საფრთხობელად იქცეს». – არასოდეს დამავიწყდება, როგორი სუსხიანი გაავებით წარმოთქვა სიტყვა «საფრთხობელა», რაც მის ყველაზე გასაკიცხ სიტყვას წარმოადგენს. – «ჩვენი ბიურგერული ყოფა-ცხოვრება, – განაგრძო მან, – ძალიან განსხვავდება ძველთა ყოფა-ცხოვრებისგან, ჩვენი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი სულ სხვაგვარია. გერმანელი თავის თავში კი არ უნდა ჩაიკეტოს, პირიქით, მსოფლიო თავის თავში უნდა მიიღოს, რომ მსოფლიოზე იმოქმედოს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს არა მტრული გამიჯვნა და განკერძოება სხვა ხალხებისგან, არამედ მეგობრული ურთიერთობა მთელ მსოფლიოსთან, საზოგადოებრივ სათნოებათა განვითარება, თვით თანშობილ გრძნობათა, უფრო მეტიც, უფლებათა ხარჯზეც კი». ეს უკანასკნელი სიტყვები მაღალი, მბრძანებლური ხმით წარმოთქვა, ამავე დროს საჩვენებელ თითს მის წინ მდგარ პატარა მაგიდას უკაკუნებდა, და დასძინა: «უფროსობას ეურჩო, გამარჯვებულს ამრეზილი შეხვდე, აქაოდა, ბერძნული და ლათინური ძვალ-რბილში გაგვჯდომიაო, მას კი ამისა ცოტა რამ, ან სულ არაფერი გაეგება. ბაღლობა და უხამსობაა. ეს ის პროფესორული ზვიადობა გახლავთ, კაცს სასაცილოს რომ

ხდის, თანაც საზიანოა». აქ ცოტა ხანს შეჩერდა. შემდეგ მიუბრუნდა ახალგაზრდა პასოვს, რომელიც მთლად გაოგნებული იჯდა, და უფრო თბილი, მაგრამ ჩახშული ხმით დაასკვნა: «სულ არა მაქვს სურვილი, გული გატკინოთ, ბატონო დოქტორო. მე ვიცი, რომ თქვენ კეთილი აზრი გამოძრავებთ. მაგრამ წმინდა და კეთილი აზრი საკმარისი არ არის; კაცს იმის უნარიც უნდა ჰქონდეს, თავისი მოქმედების შედეგებიც განჭვრიტოს. თქვენი მოქმედება კი თავზარს მცემს, რადგან ის ჯერ კიდევ კეთილშობილი, ჯერ კიდევ უდანაშაულო წინა ფორმაა იმ რაღაც საშინელებისა, რაც ერთ დღეს გერმანელთა შორის თავს იჩენს საძაგელი სისულელების სახით, რომელთა გამო თქვენ თვითონ, თუკი ისინი თქვენ ყურამდე მოაღწევდნენ, სამარეში გადაბრუნდებოდით».

წარმოიდგინეთ საყოველთაო შეცბუნება, თითქოს ოთახში დუმილის ანგელოზმა გადაიფრინა. დედაჩემს დიდი გარჯა დასჭირდა, რომ უწყინარი საუბარი აღედგინა! მაგრამ ასეთი იყო, ასე იქცეოდა ის მაშინ და გულს გვტკენდა ხოლმე სიტყვითა და დუმილით იმაზე, რაც ჩვენთვის წმიდათაწმიდა იყო. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უნდა მივაწეროთ იმას, რომ ის თაყვანს სცემდა იმპერატორ ნაპოლეონს, რომელმაც რვა წელს ერფურტში ესოდენ დიდი პატივი დასდო მას და საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა. ამ ორდენს ჩვენი პოეტი მუდამ აშკარად უწოდებდა თავის უსაყვარლეს ორდენს. ის იმპერატორში ხედავდა იუპიტერს, მსოფლიოს მომწესრიგებელ მეთაურს, ხოლო გერმანულ სახელმწიფოთა მის მიერ ჩამოყალიბებულ სისტემაში, – სამხრეთულ, ძველ და საკუთრივ გერმანულ ოლქთა რაინის კავშირში[129] გაერთიანების სახით – რაღაც ახალს, მხნეობისა და იმედის მომცემს, საიდანაც ის მოელოდა გერმანული სულიერი და გონებრივი ცხოვრების ამაღლებასა და განწმენდას ფრანგულ კულტურასთან ნაყოფიერი ურთიერთობის გზით, რასაც თვითონ ის ბევრ რამეს უმადლოდა. გაიხსენეთ, რომ ნაპოლეონი მას დაჟინებით იწვევდა, დიახ, მოითხოვდა კიდევაც მისგან, რომ თავისი ბინა-საცხოვრებელი პარიზს გადაეტანა, და რომ გოეთეც დიდხანს სერიოზულად ფიქრობდა გადასახლებაზე, ცნობებსაც კი აგროვებდა იქაური ყოფა-ცხოვრების ირგვლივ. ერფურტის შემდეგ მასსა და კეისარს შორის პირადი ურთიერთობა დამყარდა. ნაპოლეონი მას, ასე

ვთქვათ, როგორც თავის ტოლს, ისე ეპყრობოდა. ჩვენს მაისტერსაც, ჩანს, იმედი და რწმენა გაუჩნდა, რომ იგი საშიში არ იყო მისი სულიერი სამყაროსთვის და მის გერმანელობას იმპერატორისგან ხიფათი არ მოელოდა, რომ ნაპოლეონის გენია მისი გენიის მტერი არ იყო, – რაოდენი საფუძველიც უნდა ჰქონოდა დანარჩენ მსოფლიოს იმისა, რომ მის წინაშე ეკანკალა.

თქვენ შეგიძლიათ ამას ეგოისტური უზრუნველყოფა და მეგობრობა უწოდოთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი კაცის ეგოიზმი პირადი საქმე როდია, იგი გამართლებულია უზენაესისა და საყოველთაოს მიერ; მეორეც, მარტო იდგა კი გოეთე ამ თავისი მრწამსითა და შეხედულებებით? არა და არა. რაოდენ მიძიმეც უნდა ყოფილიყო ის ტვირთი, საშინელმა პროტექტორმა რომ დააკისრა ჩვენს პატარა ქვეყანას. ჩვენი კაბინეტის მეთაურს, სახელმწიფო მინისტრს, მის უდიდებულესობას ფოიგტს[130], მაგალითად, მუდამ მიაჩნდა, რომ ნაპოლეონი უთუოდ მიწაზე

დაანარცხებდა უკანასკნელ მტერს და მაშინ კი გაერთიანებული ევროპა მისი სამეფო კვერთხის ქვეშ დატკბებოდა მშვიდობით. მე ეს არაერთხელ მსმენია საზოგადოებაში მისი პირით ნათქვამი და ისიც კარგად ვიცი, თუ როგორ კიცხავდა ცამეტ წელს გამოსვლებს პრუსიაში, რომელიც, რადაც უნდა დაჯდეს, ესპანეთად უნდათ აქციონ *in viro rege*. [131] «კეთილი მეფე! – გაიძახოდა ის, – რა შესაბრალია, როგორ წავა მისი საქმე, თუმცა უდანაშაულო კი არის ამ საქმეში! ჩვენ ყველას დაგვჭირდება მთელი ჩვენი გონიერება და სიფრთხილე, რომ ვიყოთ წყნარი, მიუკერძოებელი და ნაპოლეონის ერთგული, თუ არ გვინდა ასევე დავიღუპოთ». – ასეთი გახლდათ აზრი ჭკვიანი და კეთილსინდისიერი სახელმწიფო მოღვაწისა, რომელიც ახლაც გვმართავს. ხოლო თვით მისი ბრწყინვალეობა ჰერცოგი? ჯერ კიდევ მოსკოვის შემდეგ, როდესაც იმპერატორმა ასე სწრაფად კვლავ ახალი არმიები გამოიყვანა და ჩვენი მთავარი ერთხანს თან ახლდა მას გზად ელბამდე, საითაც მიქროდა იგი პრუსიელებისა და რუსების დასამარცხებლად, რომლებიც ყველა ჩვენი მოლოდინის მიუხედავად, მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, რადგან სულ მოკლე ხნის წინ ჩვენ სხვაგვარად არ ვფიქრობდით, რომ პრუსიის მეფე კვლავ ნაპოლეონთან ერთად გაილაშქრებდა ბარბაროსების წინააღმდეგ, – ჯერ კიდევ

ამ მოგზაურობიდან კარლ ავგუსტი სრულიად აღფრთოვანებული დაბრუნდა შინ, აღტაცებული «ამ მართლაც არაჩვეულებრივი არსებით», როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მას იგი ღვთით შთაგონებულ მუჰამედად ეჩვენებოდა.

მაგრამ ლიუცენს მოჰყვა ლაიფუიგი, და დასრულდა ლაპარაკი ღვთით შთაგონებულობაზე. გმირის გამო აღფრთოვანება შეცვალა სხვაგვარმა განწყობილებამ, სახელდობრ, თავისუფლებითა და სამშობლოთი გატაცებამ, პასოვის აღფრთოვანებამ; და უნდა გითხრათ, რომ საოცარია იმის გაგება კი, როგორ მალე და ადვილად იცვლის ადამიანი განწყობას, როგორ სწრაფად სწავლობს ჭკუას გარეგან მოვლენათა ზეგავლენით და იმ კაცის უბედურებით, რომლისაც სწამდათ. მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირი და აზრისთვის ძნელად მისახვედრია, როცა ხედავ, მოვლენათა განვითარების წყალობით, როგორ არ აღმოჩნდება მართალი დიდი, გამოჩენილი ადამიანი ბევრად უფრო პატარა და თავმდაბალი ადამიანების წინაშე, რომლებსაც თურმე უფრო მეტი სცოდნიათ, ვიდრე მას. ამის გამო გოეთე მუდამ ამბობდა: «თქვენ, მიამიტნო, აჟღარუნეთ თქვენი ბორკილები; ეს კაცი ძალიან დიდია, თქვენთვის ის მიუწვდომელია!» და აი შეხედეთ, ბორკილები დაიმსხვრა, ჰერცოგი რუსულ მუნდირში გამოეწყო. ნაპოლეონი რაინს გაღმა გავაგდეთ, და ვისაც მაისტერი თანაგრძნობით «მიამიტებს» ეძახდა, ლუდენი და პასოვი, მის წინაშე დიდნი, მართალნი და გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ. ცამეტი წელი ხომ ლუდენის ზეიმი იყო გოეთეს წინაშე, – სხვაგვარად ვერ ვიტყვით. ეს თვითონაც აღიარა დარცხვენითა და სინანულით, და ბერლინისთვის დაწერა საზეიმო წარმოდგენა «ეპიმენიდე»,^[132] რომელშიც მან ასეთი ლექსი შეთხზა:

მრცხვენია, მე რომ ვიყავი მშვიდი,^[133]

თქვენთან მეტანჯა, მეტს მოვიმკიდი;

გულს დაჩნეული თქვენი ტკივილით

ახლა თქვენ ჩემზე უფრო ხართ დიდი.

შემდეგ წერდა:

ვინც თამამად უფსკრულიდან წამომდგარა,

რკინის ნებით ბატონობა დაიმყარა,
ნახევარი მსოფლიოც კი არ იკმარა,
მან უფსკრული წინდაწინვე გაითხარა.

შეხედეთ, თავისი იმპერატორი, მსოფლიოს მომწესრიგებელი, თავისი პერი, ისევ უფსკრულში გაგზავნა, – ყოველ შემთხვევაში საზეიმო წარმოდგენაში მაინც. რადგან ასე მგონია, თავისთვის ჩუმ-ჩუმად ისევ იმასვე ამბობს: «ოი, თქვენ, მიამიტნო!»

ავგუსტი, მისი ვაჟიშვილი, ოტილიეს მიჯნური, მამის პოლიტიკურ შეხედულებებს სავსებით იზიარებდა; მას პირდაპირ იმეორებდა, ის მთლად რაინის კავშირის მომხრე კაცი იყო; მისი აზრით, რაინის კავშირი აერთიანებდა კულტურას ნაზიარებ მთელ გერმანიას. სრულ სიძულვილს იჩენდა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ბარბაროსებისადმი, რაც მას უფრო ნაკლებ შეშვენიოდა, ვიდრე გოეთე უფროსს, რადგან თავად მას თავის არსებაში რაღაც ბარბაროსული თვისება ჰქონდა, მე ვიტყვოდი, რაღაც მოუქნელი, უხეშიც კი, დაღვრემილობასა და ნაღველთან შერეული, რაც მის კეთილშობილებაზე კი არა, უფრო პირქუმობაზე მეტყველებდა. თერთმეტ წელს იმპერატორმა ვაიმარში დაგვინიშნა ელჩი, ბარონი სენტ-ენიონი, მომხიბლავი და ჰუმანური არისტოკრატი. უნდა ითქვას, იგი გოეთეს დიდი თაყვანისმცემელია, რომელმაც მასთან მალე მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ავგუსტმა თავის მხრივ უმაღლვე დაიმეგობრა ბარონის მდივანი, ჰერ ფონ ვოლბოკი. ამას, ჯერ ერთი, იმიტომ ვიგონებ, რათა დაგანახვოთ, თუ ახალგაზრდა კაცი ვის წრეში ეძებდა მეგობრებს; მეორეც, იმიტომ, რომ სწორედ ეს ჰერ ფონ ვოლბოკი გახლდათ, რომელმაც თორმეტ დეკემბერს, ერფურტზე გავლის დროს მოსკოვიდან მომავალი იმპერატორ ნაპოლეონის სალამი გადასცა გოეთეს. ეს ავგუსტისთვის რაღაცას ნიშნავდა, რადგან მუდამ ტირანის პიროვნების ნამდვილ კულტს ავითარებდა, რაც, ჩემი გაგებით, მას სულაც არ შეეფერებოდა; როგორ, რით დაიმსახურა მან ეს? ამ თაყვანისცემას არავითარი ნამდვილი გონივრული საფუძველი არ გააჩნდა. მაგრამ ავგუსტს დღესაც შენახული აქვს ნაპოლეონის პორტრეტებისა და რელიკვიების კოლექცია, რისთვისაც მამამისმა საპატიო ლეგიონის ჯვარი აჩუქა, რადგან მისი ტარება ახლა მას აღარ შეეძლო.

დიახ, შეიძლება ითქვას, იშვიათად დაუკავშირებია ერთმანეთთან სიყვარულს ესოდენ განსხვავებული რიტმის მქონე ორი გული: ავგუსტი ისე აღმერთებდა ოტილიეს, როგორც ნაპოლეონს, – დიახ, არ შემძლია ეს შედარება არ მოვახდინო, რაოდენ უცნაურიც უნდა ჩანდეს ის; გაოგნებული და გაოცებული, შიშით შევყურებდი, ჩემი საყვარელი საბრალო გოგონა როგორი ალერსით ეგებებოდა მის ტლანქ არშიყობას, რადგან დარწმუნებული იყო სიყვარულის ღმერთის ულმოებელ უძლეველობაში, რომელიც სიცილით ქელავს შეხედულებებსა და ყოველგვარ რწმენას. ამასთან, ეს მდგომარეობა ქალისთვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე ვაჟისათვის, რომელსაც შეეძლო თავისი მრწამსი აშკარად ელიარებინა, მაშინ როდესაც ქალი იძულებული იყო, თავისი რწმენა დაეფარა. მაგრამ იმას, რასაც გოგონა თავის სიყვარულს უწოდებდა, თავის სენტიმენტალურ-წინააღმდეგობრივ განცდას დიდი პოეტის შვილთან, არ მალავდა და არც საჭიროებდა დამალვას ჩვენს პატარა სამყაროში, სადაც გრძნობა და მისი კულტურა სათუთ პატივისცემაშია და შეუძლია საყოველთაო თანაგრძნობის იმედი ჰქონდეს. მე მისი ნდობით აღჭურვილი მორიდებული პიროვნება ვიყავი, მასთან ერთად ერთგულად გამოვიარე მისი თავგადასავლის ცალკეული სტადიები და ეპიზოდები. მაგრამ ოტილიეს შეეძლო მით უფრო უშიშრად გადაეხსნა გული თავისი დედისთვის, რამდენადაც ფრაუ ფონ პოგვიში კარგა ხანია იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავისი ქალიშვილის აღსარებას ქალურ-მეგობრული გაგებით ხვდებოდა. დედის ყურადღებას იზიდავდა მშვენიერი გრაფი, სამხრეთელი ედლინგი, ჰოფმარშალი და სახელმწიფო მინისტრი, ამასთანავე მისი ქალიშვილების მეურვე და ხუმრობით მამიკო, ოჯახის მეგობარი და იქნებ კიდევ მეტიც. რადგან დედა იმედოვნებდა, რომ იგი ხელს სთხოვდა; იმედის საფუძველიც ჰქონდა, და მის გადამწყვეტ სიტყვას ელოდა, მაგრამ იგი აქ ყოვნებდა. ასე რომ, ამური დედასა და ქალიშვილს საბაზს აძლევდა, ერთმანეთისთვის გულისნადები გაეზიარებინათ ყოველდღიური სიხარულისა და დარდის, აღფრთოვანების, იმედებისა და გულგატეხილობათა შესახებ, რითაც სიყვარულის ღმერთი ესოდენ უხვად აჯილდოებს ადამიანებს.

ავგუსტი და ოტილიე ერთმანეთს ხედავდნენ სასახლის კარზე, კომედიამი, მისი მამის სახლში, სხვადასხვა კერძო შეკრების

დროს. მაგრამ შეყვარებულნი ერთმანეთს ხვდებოდნენ საზოგადოების გარეთაც, მყუდრო ადგილას. საამისოდ უშფოთველ თავშესაფარს სთავაზობდათ ილმის მახლობლად ორი ძველი ბაღი თავიანთი სახლებით, რომლებიც გოეთეს და ოტილიეს დიდებას ეკუთვნოდა. მე მუდამ თან ვახლდი ჩემი გულის საუნჯეს ამ შეხვედრების დროს. მე მხოლოდ ის მიკვირდა, როგორი ოხვრა-ნეტარებით ტოვებდა ოტილიე იქაურობას და რამდენ მადლობას მიხდიდა სახეაწითლებული ხვევნა-კოცნით ჩემი იქ ყოფნის გამო. მე უდავოდ მიმაჩნდა, – ამას მარტო მესამე პირისა და გოგონას მხლებლის როლი როდი მაფიქრებინებდა, – რომ მათი შეხვედრა ესოდენ უსარგებლო, მათი საუბარი ფუჭი და ნაძალადევი იყო. დონდლოდ, უხალისოდ, ენის ბორძიკით ეს საუბარი სულ ტრიალებდა ცეკვა კოტილიონის, სასახლის ჭორის, დაგეგმილი თუ უკვე გავლილი მგზავრობის ირგვლივ, და უმთავრესად მაშინ

გამოცოცხლდებოდა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ახალგაზრდა კაცის მამამისთან სამსახურის თაობაზე. მაგრამ ოტილიე თავის თავსაც კი არ უმხელდა ამ უსიამოვნო და მოსაწყენ ყოფას. მას ეგონა, რომ ესოდენ ფუჭი ერთად ჯდომის ან სეირნობის დროს მათი სულები ერთმანეთს პოულობდნენ, და ამ აზრს დედასაც სიამოვნებით მოახსენებდა ხოლმე; დედაც თავის მხრივ თავის ამბავს მიაგებებდა, თითქოს ყველა ნიშანი იმაზე მეტყველებდა, რომ გრაფი თავის ამდენ ხანს გაჭიანურებულ სიტყვას სულ მალე ეტყოდა.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა საყვარელი ბავშვის ცხოვრებაში ახალი ამბავი დატრიალდა, რის გამოც არ შემიძლია გულის თრთოლითა და თანაგრძნობით არ ვილაპარაკო, რამეთუ მასში ჩვენთვის, ორივესთვის, თავი მოიყარა ეპოქის ყველა მშვენიერება და სიდიადე და ამ განცდაში ჩვენ ორივესთვის პიროვნების სახით განსახიერდა.

ამობრწყინდა ცამეტი წლის აისი. რაც კი რამ დიადი ხდებოდა პრუსიის მხარეში, – პატრიოტების ზეიმი, მეფის ჭოჭმანზე გამარჯვება, მოხალისეთა კორპუსის ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნის უკეთილშობილესმა ახალგაზრდობამ მხურვალედ მიაშურა, თავის განათლებასა და სიამოვნებაზე ენთუზიაზმით უარი თქვა და საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსთვის საფრთხეში ჩაიგდო, – ყოველივე ამის შესახებ, უკვე მოგახსენეთ, ჩვენამდე მხოლოდ ყრუ ხმები აღწევდა კანტიკუნტად. მე ისიც უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემი მეგობარი

ქალის მგრძობიარე სული დაკავშირებული იყო მისი დაკარგული მამის სფეროსთან და თავისი პრუსიელი ნათესავებისგან იღებდა მუდმივად სარწმუნო ამბებს. მისი სანუკვარი არსება თრთოდა და გულმხურვალედ ეგებებოდა იმას, რაც მზადდებოდა, რაც უკვე ხდებოდა, რასაც იგი, თუმცა ჩვენი იდილიური ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, დიდი ხანია ნატრობდა და დიდი ხანია წინასწარ გრძობდა. გმირი ხალხი, რომელსაც, ის გრძობდა, რომ სისხლით, სულითა და გულით ეკუთვნოდა, აღდგა, რათა უცხოელთა, ფრანგთა სამარცხვინო ტირანია დაემხო! მთელი მისი არსება აღტყინებას განემსჭვალა, და როგორც მისმა ხალხმა თავისი მაგალითით მთელი გერმანია აღანთო ღირსებისა და თავისუფლების ბრძოლისთვის, ასევე გამიტაცა ჩემმა მეგობარმა გოგონამ და თავისი სიძულვილისა და მხურვალე იმედების მოზიარე გამხადა. თუმცა ახლა ის უკვე აღარ იყო ჩვენს ქალაქში ისე მარტოდმარტო, როგორც უწინ. მამულიშვილური შეთქმულების ნაპერწკალი ჩვენთანაც გაღვივდა რაინის კავშირის ერთგული, ნაპოლეონის საიმედო საფარქვეშ; ახალგაზრდა კეთილშობილმა კაცებმა, როგორც კამერჰერმა ფონ შპიგელმა და მთავრობის მრჩეველმა ფონ ფოიგტმა იენაში პრუსიელებთან ფრიად სახიფათო კავშირი დაამყარეს, რათა ვაიმარის ამბების თაობაზე მათთვის ცნობები მიეწოდებინათ. ოტილიემ და მათ ერთმანეთი მალე მონახეს, და ისიც ფარული გატაცებით ჩაება მათ ოინებში. საკუთარ სიცოცხლეს ხიფათში იგდებდა. ამ პოლიტიკურ საიდუმლოებებში მეც მისი თანამოზიარე გავხდი სანახევროდ იმ მიზნით, რომ შემეკავებინა იგი, სანახევროდ კი საკუთარი გატაცებით, ისევე როგორც თანადგომას ვუწევდი მას ქალიშვილურ გულის საიდუმლოებებში ავგუსტ ფონ გოეთესთან შეხვედრების დროს. ვერ გეტყვით, ამ ორი გარემოებიდან რომელი უფრო მეტ შიშსა და საგონებელში მაგდებდა.

ცნობილია, თუ პირველ ხანებში რაოდენ მცირე იმედის მომცემი იყო საომარი მოვლენები. თუმცა ოტილიეს წილად ხვდა ბედნიერება, პრუსიული მუნდირები ეხილა ვაიმარის ქუჩებში, რადგან აპრილის შუა რიცხვებში, თექვსმეტ რიცხვში, დღესაც ნათლად მახსოვს, ჰუსარებისა და ცხენოსანი ეგერების დანაყოფი უეცრად თავს დაესხა ჩვენს ქალაქს და, როცა წავიდნენ, აქ მყოფი რამდენიმე ფრანგი ჯარისკაცი ტყვედ წაიყვანეს. იმპერატორის კავალერიამ ეს ამბავი რომ გაიგო,

ერფურტიდან აქეთ გამოქუსლა, მაგრამ ქალაქში ვერც ერთი პრუსიელი ვეღარ ნახა და თავის ადგილას დაბრუნდა, თუმცა ნაადრევად, რადგან მეორე დილით – წარმოიდგინეთ ოტილიეს აღფრთოვანება! – ქალაქში შემოიჭრნენ ახალგაზრდა ბლიუხერის ცხენოსანი რაზმები, ისევ ჰუსარები და მწვანე ეგერები. ჩვენი მოსახლეობა მათ ზეიმით შეეგება. დაიწყო ცეკვა და ქეიფი. მათმა უზრუნველმა თავაშვებულობამ წინდახედულ ადამიანებში გულისწყრომა გამოიწვია და მართლაც რამდენიმე საათის შემდეგ მწარედ დაისაჯნენ. ფრანგებიო, გაისმა თუ არა, ჩვენმა განმათავისუფლებლებმა ღრეობა მიატოვეს და იარაღს ეცნენ. გენერალ სუონის რიცხოვრივად ჭარბი ჯარები ქალაქში შემოიჭრნენ. ბრძოლა ხანმოკლე იყო. ფრანგები კვლავ დაეუფლნენ ქალაქს. ვთრთოდით და ვტიროდით ჩვენი გმირების დაღვრილი სისხლის გამო; ჩვენ ხომ ეს-ეს იყო მათ სიხარულით მივართვით ღვინო და საჭმელები. ახლა ვისხედით ჩვენს ოთახებში და ფარდებიდან თვალყურს ვადევნებდით იმ ალიაქოთს ვიწრო ქუჩებში; იდგა ბუკ-ნაღარის ყურისწამლები გნასი, ქვემეხების ბათქი. ბრძოლამ მალე პარკისა და ქალაქის მისადგომებისკენ გადაინაცვლა. გამარჯვება მტერს დარჩა. ის ხომ მხოლოდ გამარჯვებას იყო ჩვეული. და შეუძლებელია ეს არ მიეჩნიათ ამბოხებაზე, თანაც ბალღურ და სულელურ ამბოხებაზე წესრიგის გამარჯვებად, რაც აჯანყების დამარცხებამაც დაადასტურა.

მშვიდობა და წესრიგი კეთილისმყოფელია, ვინც უნდა დაამყაროს იგი. ახლა ბინებში ფრანგების ჩასახლებაზე უნდა გვეზრუნა, რაც დიდი ხნით უმძიმეს ტვირთად დააწვა ქალაქს. მაგრამ მშვიდობა დაგვიბრუნდა. მიმოსვლა ქუჩებში მზის ჩასვლამდე თავისუფალი იყო. გამარჯვებულის დამაბეჩავებელ საფარქვეშ მოქალაქეს შეეძლო თავის ჩვეულ საქმეს შესდგომოდა.

არ ვიცი რა იდუმალმა გულისწადილმა, რა წინათგრძნობამ უკარნახა ოტილიეს მეორე დღეს სადილის შემდეგ სასეირნოდ წავეყვანე. წვიმიანი ღამის შემდეგ აპრილის ნათელი და მხიარული დღე ნაზი ალერსით გვიხმობდა გარეთ. მზით გასხივოსნებული ჰაერი გაზაფხულის საამო იმედებით აღგვავესებდა. ცნობისმოყვარეობის ჯადომ შეგვიპყრო, უშიშრად შემოგვატარა ქუჩები, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ ვაჟკაცთა საშინელი ბრძოლა ადგანდგარებდა.

თავზარდაცემული შევყურებდით ბრძოლის შემდეგ დატოვებულ კვალს, ტყვიებით დაზიანებულ სახლებს, აქა-იქ კედლებზე შემხმარ სისხლის შხეფებს. ამასთან ჩვენ, ქალები, მოკრძალებულ, შიშნარევ აღტაცებას, თვით თაყვანისცემასაც კი განვიცდიდით ძლიერი სქესის მკაცრი და ველური სიმამაცის გამო.

ციხე-დარბაზისა და ბაზრის მხრიდან წამოსული მეგობრები ამწვანებულ და გაშლილ მინდვრებზე რომ გავსულიყავით, მიწაყრილი უნდა შემოგვევლო; მას გვერდი ავუარეთ და ილმის მიმართულებით გავწიეთ. მის ნაპირს, მდელოს ბილიკებსა და წარაფებს დავუყევით. ლაფნის ქოხს ჩავუარეთ, რომაულ სახლამდე ვიარეთ. გადათელილი ველი, აქა-იქ მიმოფანტული იარაღის ნაწილები და მუნდირთა ნაფლეთები იმას მოწმობდნენ, რომ ბრძოლა, გაქცევა და დევნა აქამდე

მოსულიყო. ჩვენ ვლაპარაკობდით განცდილსა და შეძლებისდაგვარად იმაზე, რაც ჯერ კიდევ მოგველოდა; იტყობინებოდნენ, რომ აღმოსავლეთის ხალხებს საქსონიის ქალაქები დაეკავებინათ; იმაზეც ვსაუბრობდით, თუ რა მფრთხალი პოზიცია ეჭირა ვაიმარს, იმპერატორის ბურჯს, ერფურტსა და მოახლოებულ პრუსიელებსა და რუსებს შორის, მისი უგანათლებულესობის ჰერცოგის შეცბუნებაზე, ნეიტრალურ ბოჰემიაში დიდი მთავრის წასვლაზე და საფრანგეთის ელჩის გოთას გამგზავრებაზე. როგორც მახსოვს, ვლაპარაკობდით ავგუსტსა და მის მამაზეც, რომელიც თავისიანების შეგონებას დაჰყვა და მანაც საშიშროებაში ჩავარდნილი ქალაქი დატოვა: გუმინ ადრიანად თავისი ეტლით კარლსბადს გაემგზავრა, ბლიუხერის ჯარების აქ შემოსვლამდე ცოტა ადრე; ალბათ შემოხვდათ კიდევ შარაგზაზე.

უდაბურ და უკაცრიელ ადგილებში უფრო შორს წასვლა ველარ გავბედეთ, უხიფათო არ გვეჩვენა. ის-ის იყო, უკან დაბრუნება დავაპირეთ, რომ ლაპარაკში გართულებს შემოგვესმა რაღაც ხმა, ნახევრად ძახილი, ნახევრად კვნესა, რამაც ფეხები დაგვიბორკა. ვიდექით და ყურს ვუგდებდით შემკრთალნი: ბუჩქნარიდან გზის მხარეს გაისმა იგივე კვნესა, იგივე ძახილი. შეშინებული ოტილიე ხელზე ჩამექიდა, მერე გამიშვა და გულათრთოლებული იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვას: «არის მანდ ვინმე?» ორივე ქალიშვილმა გზა გავიკვლიეთ კვირტგამოტანილ ბუჩქებში. ვინ აღწერს ჩვენს გაოცებას, გულაჩუყებასა და უმწეობას? ბუჩქებში, სველ ბალახზე იწვა

უმშვენიერესი ჭაბუკი, დაჭრილი მეომარი, განდევნილი გმირული რაზმის წევრი; ოქროსფერი ხუჭუჭა თმა ასწეწოდა და ერთმანეთზე მიჰკვროდა, ახალამოლერილი წვერი სახის ფაქიზ ნაკვთებს გარს შემოვლებოდა; ციებცხელებიანი ღაწვები ასწითლებოდა და უაღრესად შემაშფოთებელი ჩანდა ცვილისფრად გაფითრებულ შუბლთან შედარებით; გალუმპულ-გაჟივებული და მიწით გათხუპნილი მუნდირი ალაგ-ალაგ გამშრალ-გაფშეკილიყო, ქვედა კალთაზე სანახევროდ სისხლი შეხმობოდა. შემადრწუნებელი და მაინც ამაღლებული, უღრმესი გრძნობის აღმძვრელი სანახაობა იყო! თქვენ წარმოიდგინეთ, დაფეთებულებმა, თანაგრძნობით ათრთოლებული უამრავი კითხვა დავაყარეთ ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჭრილობის თაობაზე. «თვით ზეცამ მომივლინა თქვენი თავი», – მოგვიგო მან კბილთა ღრჭენით, ჩრდილოგერმანული მკვეთრი კილოთი. ხშირ-ხშირად ისუნთქავდა ჰაერს. მოძრაობისას ტკივილისგან ღამაში სახე ემანჭებოდა. «გუმინდელი ლაღობისას ბარდაყში დავიჭერი, უცბად ფეხი წამერთვა და დროებით გამოვეთხოვე ჩვეულებრივ გამართულ სიარულს. მხოლოდ ხოხვით შევძელი აქამდე მოღწევა. აქ უფრო მყუდრო ადგილია, თუმცა ნესტიანია, რადგან წუხელ ძლიერ წვიმდა. გუმინ დილის აქეთ ვწევარ ამ ადგილას. ვფიქრობ, უკეთესი იქნება ლოგინში ჩავწვებოდე, როგორც ჩანს, ცოტა სიცხე მაქვს».

ასეთი ჭაბუკური ყოყოჩობით გამოთქვამდა სიტყვებს ჩვენი გმირი გასაჭირშიც კი. მართლაც იგი სტუდენტი გახლდათ, როგორც მალე გაგვიცხადა კიდევ. «ჰაინკე ფერდინანდ, – თქვა მან ენის ბორძიკით, – იურისტი ბრესლაუდან და მოხალისე ეგერი. მაგრამ ახლა რას მიპირებენ ქალბატონები?» – მართლაც საკითხავი ის იყო, რა გველონა ამ გასაჭირში, თანაც დაუყოვნებლივ. მაგრამ ამ ამბავმა შეგვაცბუნა, – უცბად ჩვენს კერძს, პრუსიელ გმირს რომ გადავაწყდით, ასე ახლოს, ნამდვილსა და ხორცშესხმულს ვხედავდით, შინაურულად მოლაპარაკეს, რომელსაც ბიურგერული სახელი ჰაინკე ერქვა. სულიერი მხნეობა დავკარგეთ, გადაწყვეტის უნარი წაგვერთვა. უმწეონი ვიყავით. რა გვექნა? უთუოდ გაიგებთ ორი ახალგაზრდა ქალიშვილის რიდსა და გაუბედაობას. ხელით უნდა შევხებოდით ნამდვილ, თემოში დაჭრილ ჭაბუკს, თანაც ასეთ მშვენიერს! აგვეყვანა და წაგვეყვანა? საით? ფრანგებით გავსებულ ქალაქში ხომ ვერ წავიყვანდით. არც ჩვენ და არც მას

იმის ძალა და ღონე არ შეგვწევდა, რომ რომელიმე ახლომდებარე დროებით თავშესაფრამდე, თუნდაც ლაფნის პატარა სახლამდე მიგვეღწია. მართალია, მისი თქმით, ჭრილობიდან სისხლი აღარ სდიოდა, მაგრამ ფეხი ძალიან სტკიოდა და ფიქრიც არ შეიძლებოდა მის სიარულზე, თუნდაც მხრებში ამოვდგომოდით. სხვა აღარა დაგვრჩენოდა რა, ბუჩქს ამოფარებული ჩვენი გმირი იმავე ადგილას უნდა დაგვეტოვებინა, – თვითონაც ამ აზრისა იყო, – ჩვენ კი ქალაქში დავბრუნებულიყავით, სანდო პირებისთვის გაგვემხილა ჩვენი

ძვირფასი აღმოჩენის ამბავი და მათთან ერთად მოგვეფიქრებინა, რაც საჭირო იყო, რათა ჩუმად და საიმედოდ დაგვემალა. ფერდინანდს ისე არაფერი ჰვგრიდა ზიზღს, როგორც ტყვედ ჩავარდნის აზრი, და სულ იმაზე ფიქრობდა, გამოჯანმრთელდებოდა თუ არა, ისევ სამსახურში ჩადგებოდა და ბრძოლაში ჩაებმებოდა, რათა «ნოპელისთვის», ასე უწოდებდა კორსიკელს, თავ-პირი დაემტვრიათ, დაემხოთ, სამშობლო გაეთავისუფლებინათ და პარიზი ნაცარტუტად ექციათ.

თავის განზრახვაზე რომ ლაპარაკობდა, გაყინულ-გათომილს ყბები უცახცახებდა. ყველა სიძნელეს, მის უახლოეს ხსნას რომ ელოებოდა, იოლად სძლევდა. წყურვილი კლავდა. ოტილიემ თავის ჩანთაში იპოვა რამდენიმე პიტნიანი შაქარი, რითაც იმწამსვე ჩაიტკბარუნა პირი. ჩემი სუნამოიანი შუშა მამაკაცური დაცინვით უარყო, მაგრამ ის კი დაგვანება, რომ ჩვენი რიდეები დაგვეტოვებინა, რათა ერთი ბალიშად ამოედო თავქვეშ, ხოლო მეორე ძალიან მსუბუქი ზეწარივით ზედ დაეფარებინა; და შემდეგი სიტყვებით გამოგვეთხოვა: «აბა, თქვენ იცით, ჩემო ქალბატონებო, როგორ ეცდებით, რომ ამ წყეულ წუმპეს თავი დავაღწიო! ვწუხვარ, რომ თქვენს ძვირფას საზოგადოებას ჯერჯერობით კვლავ უნდა მოვაკლდე, რაც ამ ჩემს განმარტოებაში, პატიოსან სიტყვას მოგახსენებთ, სასიამოვნო გულის გადაყოლება იყო ჩემთვის». ასეთი გმირული და დაუდევარი კილოთი ლაპარაკობდა მუდამ, ისეთ მდგომარეობაშიც კი, როდესაც მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. მიწაზე გამოტილ მებრძოლს მუხლჩახრით თავი დავუკარით, მანაც ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს დეზების შემოკვრით სურდა სალამი გამოეხატა, და გავემურეთ...

როგორ მივალწიეთ ქალაქს, ვერ გეტყვით. ეს იმიტომ მოხდა,

რომ აღფრთოვანებამ, შიშმა და აღტაცებამ ფრთები შეგვასხა. მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რათა ეს ჩვენი აღფრთოვანება არავის შეემჩნია. ჩვენ ორნი ვერ შევძლებდით მშვენიერი ადამიანის დამალვის დაწვრილებითი გეგმის შედგენას. ამ არეულ-დარეულ ფიქრებში ერთი რამ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, რომ დაჭრილი არ შეიძლებოდა მეორე ღამესაც ასე უმწეოდ წოლილიყო ღია ცის ქვეშ, საიმედო სახლში უნდა გადაგვეყვანა და მზრუნველი მომვლელისთვის ჩაგვებარებინა. ამასთან გადაჭრით გვსურდა, ამ მოვლა-პატრონობას ჩვენ ორნი არ გამოვკლებოდით. ყველაზე ადრე გაგვიჩნდა აზრი, რომ ჩვენი დედებისთვის გაგვენდო საიდუმლოება. შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ ისინი თანაგრძნობასა და თანადგომას გაგვიწევდნენ, მაგრამ რა რჩევა უნდა მოეცათ მათ, როგორ დაგვეხმარებოდნენ? მამაკაცის დახმარება გარდაუვალი იყო. და აი აზრი დაგვებადა, მიგვემართა ჰერ ფონ შპიგელისთვის, კამერჰერისთვის; ვიცოდით, რომ ჩვენი თანამოაზრე იყო. ის ხომ პრუსიელთა საბედისწერო შემოჭრის ერთ-ერთი მოთავე გახლდათ, ამიტომ ყველა საფუძველი ჰქონდა, ამ შემოჭრის ერთ-ერთი მსხვერპლისთვის დახმარება გაეწია. იმხანად ის ჯერ კიდევ თავისუფალი იყო. მისი და მისი მეგობრის ფონ ფოიგტის დაპატიმრება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა ხეირის მაძიებელი, ანგარებიანი თანამოქალაქის დაბეზლებით; ორივეს ეს თავზე ხელაღებული პატრიოტიზმი სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, თუ ნაპოლეონი, როდესაც ის პირადად კვლავ ეწვია ვაიმარს, მთავრის მეუღლისადმი გამოჩენილი თავაზიანობის წყალობით მათ არ შეიწყნარებდა.

მაგრამ ეს სხვათა შორის. ამის შემდეგ წვრილმანებს აღარ გამოვეკიდები; ისიც საკმარისია მოგახსენოთ, რომ ფონ შპიგელმა მოლოდინი არ გაგვიცრუა, მაშინვე ენერგიულ მოქმედებას შეუდგა და ყველაფერი, რაც საჭირო და სასურველი იყო, დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით შეასრულა. პარკში საიდუმლოდ, ნაწილ-ნაწილ მოიტანეს დასაშლელი საკაცე, სულ მოკლე ხანში საწყალ ჭაბუკთან გაჩნდა მშრალი ტანსაცმელი და ჯანის მოსამაგრებელი საშუალებანი, დასტაქარმა პირველი დახმარება აღმოუჩინა. და როცა მწუხრი ჩამოწვა, სამოქალაქო ტანსაცმელგადაცმული ყმაწვილი კაცი დაუბრკოლებლად მიიყვანეს ქალაქის განაპირას ციხე-დარბაზში, რომლის ძველ ნაწილში,

სახელდობრ, ეგრეთ წოდებულ ბასტილიის კარიბჭის შენობაში, კამერჰერს მმართველობასთან შეთანხმებით უკვე მოემზადებინა სხვენზე სამალავად და თავშესაფარად პატარა ოთახი.

აქ მთელ ქვეყანას მოწყვეტილი და მიმალული ჩვენი მამაცი მეგობარი რამდენიმე კვირას იწვა ავადმყოფის სარეცელზე, რადგან ფეხის ჩირქიან ჭრილობას დაერთო ქალაქის ნესტიან პარკში მიწაზე ღამით წოლისგან მიღებული გულმკერდის კატარი მძიმე ხველებით, რაც სიცხესა და ტკივილს კიდევ უფრო აძლიერებდა. ყოველივე ამას შეეძლო ექიმისთვის შიში და საზრუნავი გაეჩინა, პაციენტის სიჭაბუკეს, კარგ ბუნებას და მუდამ თანაბარ მხიარულ გუნებას თავისი რომ არ გაეტანა, რაც მისი გამოჯანმრთელებისა და ფეხზე დაყენების საუკეთესო საწინდარი იყო. გარნა თუ ამ მხიარულ გუნებას უმღვრევდა მოუთმენლობა, ერთი სული ჰქონდა, კვლავ ომში წასულიყო. სრული წესითა და რიგით მის სანახავად დადიოდნენ ექიმი და მოხუცი ზედამხედველი, რომელსაც ავადმყოფთან ტაბლა მიჰქონდა. მათთან ერთად მის მოვლა-პატრონობაზე ჩვენც ვზრუნავდით, ოტილიე და მე. ყოველდღე ავდიოდით დამპალი კიბის საფეხურებით მის მოჯადოებულ ოთახში, რათა მისთვის ღვინო, მურაბა და მცირე ნუგბარი, აგრეთვე გასართობი საკითხავი მიგვეტანა, მასთან გვემუსაიფა, როგორც კი მისი გუნება-განწყობილება და ჯანმრთელობა ამის ნებას მოგვცემდა, ანდა მისთვის წერილები დაგვეწერა. ის ჩვენ თავის მფარველ ანგელოზებს გვეძახდა, რადგან მის ფხიზელ-მამაცურ თავდაჭერასა და მანერაში ბევრად უფრო რბილი გული იფარებოდა. და თუ ის ჩვენს ესთეტიკურ ინტერესებს არ იზიარებდა, სიცილით თავიდან იშორებდა მათ და აზრად სხვა არა ჰქონდა რა, გარდა თავისი იურისპრუდენციისა, სამშობლოსი და ჩქარა გამოჯანმრთელებისა, რომელთა გულისთვისაც მან უყურადღებოდ დატოვა ის ინტერესები, ჩვენ მით უფრო სიამოვნებით ვაღიარებდით, რომ შეიძლება კაცი პოეზიას უგულუბელყოფდეს და არც საჭიროებდეს მის გაგებას, თუკი თვითონ განასახიერებს პოეზიას, – და აი, მართლაც განხორციელებულ პოეზიად, ჩვენი ოცნებების აღსრულებად წარმოგვიდგებოდა ეს მშვენიერი, კარგი და კეთილშობილი ადამიანი; ასე რომ, ერთხელ ისიც მოხდა, ოტილიემ, ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ, დაბლა რომ ჩამოვდიოდით, დუმილით, მაგრამ მრავლისმეტყველად

შემომხვია ხელები, გულში ჩამიხუტა და მეც მისი აღსარების საპასუხოდ, გულმხურვალედ გადავკოცნე, თუმცა ამ ურთიერთგანწყობამ ძველებური ყაიდის კიბეზე კინალამ წონასწორობა დაგვაკარგვინა.

ეს იყო სრული გულაჩყებისა და აღმაფრენის კვირები, – მათ ჩვენი ქალწულებრივი გულები უმშვენიერესი შინაარსით აღავსეს, რამეთუ მეტისმეტად საამო იყო, როცა ვუყურებდით, თუ დღითი დღე, ნახვიდან-ნახვამდე, ზრუნვითა და რუდუნებით სავსე მოკლე ხანში, როგორ დაადგა გამოჯანმრთელების გზას გმირი ჭაბუკი, რომლის შენარჩუნება სამშობლოსთვის ჩვენს დამსახურებად მიგვაჩნდა. დებივით ვუზიარებდით ერთმანეთს ამ სიხარულს, საერთოდ იმ გრძნობებს, ჩვენს მშვენიერ საზრუნავ არსებას რომ ვუძღვნიდით. ალლოთი მიხვდებით, რომ ორივეს გულში ამ გულმოწყალებასა და პატრიოტიზმში გარეული იყო უფრო სათუთი, გამოუთქმელი რაღაც. მაგრამ აქაც ჩემი გრძნობები მომჯადოებელ ოტილიეს გრძნობებს მხოლოდ თან ახლდა ერთგულად და, ასე ვთქვათ, პირველობას მას უთმობდა. ეს

ბუნებრივიც იყო. ფერდინანდის მადლიერების მოკრძალებული წილი მეც, უშნო გოგონასაც მხვდებოდა. რაკი ამოვიცანი მისი სულიერი სისადავე და ალაღმართლობა, რაც მას ასე უხდებოდა, ასევე აქედან გამომდინარე, სრული განურჩევლობა იმ თვისებებისადმი, მე რომ შემეძლო გარეგანი ბრწყინვალეების მაგიერ გამომემჟღავნებინა, თავიდანვე გამოვეთხოვე იმედებს და ამ რომანში კეთილგონივრულად ნდობით აღჭურვილი მეგობრის როლით დავკმაყოფილდი. ჩემი ბუნება საამისოდ იყო განწყობილი, ხოლო ეჭვიანობისგან მიცავდა არა მარტო ჩემი მეგობარი ქალისადმი სიყვარული, სათუთი სიამაყე მისი მშვენიერების გამო, არა მარტო ის, რომ ფერდინანდი ორივეს ნამდვილად თანაბარი ყურადღებით გვეპყრობოდა, და რაც ადამიანისთვის მისატევებელი კმაყოფილებით შევნიშნე, მას არც ჩემი გულის სათაყვანოს მიმართ შეუცვლია ოდესმე თავისუფალი მეგობრული თავაზიანობის კილო, – არა, კიდევ მესამე რამ მშველოდა: სახელდობრ, იმის იმედი, რომ ამ ახალ და მოულოდნელ განცდას შეემლო ოტილიე ჩამოეცილებინა ავგუსტ ფონ გოეთესთან ურთიერთობისგან, ჩემი აზრით, საზარელი და უბედურების მომასწავლებელი კავშირისგან. არც დამიფარავს ჩემი კმაყოფილება, შვებით ამოვისუნთქე, როდესაც ყელზე

მომეხვია და გამომიტყდა, თუ რას გრძნობდა ფერდინანდის მიმართ, რომ ეს გრძნობა სულ სხვა რამ იყო, რაც მის გულს აქამდე არ განუცდია, და რომ ცხოვრებამ ასწავლა მზრუნველი მეგობრობისა და ჭეშმარიტი სიყვარულის გარჩევა. ჩემს სიხარულს მხოლოდ ის მოსაზრება ახშობდა, რომ ჰაინკე უაზნო გახლდათ, უბრალო გლეხიელი ბეწვეულით მოვაჭრის შვილი იყო და, მაშასადამე, სულაც არ შეჭფეროდა ოტილიე ფონ პოგვიშს. მხოლოდ ამის შეგნება თუ აიძულებდა ყმაწვილკაცს, ქალიშვილისადმი თავისუფალი მეგობრული თავაზიანობის მტკიცე კილოსთვის არ ეღალატა; ეს უკვე ცალკე საკითხია.

ჰაინკეს გამოჯანმრთელების დროს მაღალი საზოგადოების გართობათა სეზონი დამთავრდა, და თუმცა «კომედია» ჯერ ისევ ღია იყო, მაგრამ მიღებანი სასახლის კარზე შეწყდა, წვეულებანი და მეჯლისები, რომელთა მატადორები უკანასკნელად ფრანგი ოფიცრები ბრძანდებოდნენ, იშვიათად ეწყობოდა. ავგუსტს უფრო იშვიათად ვხედავდით, ვიდრე ზამთრის პერიოდისთვის. მაგრამ მასთან შეხვედრები, სეირნობანი და პაემანი ბაღებში მთლად როდი შეწყვეტილა, თუმცა მისი მამის იქ არყოფნის ჟამს მისი საქმეების ტვირთი

უფრო გაიზარდა. ფერდინანდის საიდუმლოს საგულდაგულოდ ვინახავდით და არავინ, გარდა რამდენიმე სანდო პირისა და თანამოქმედისა, არაფერი იცოდა ჩვენი ნაპოვარას არსებობაზე მზეთუნახავის სამერცხულში. მაგრამ ოტილიე მაინც თავს ვალდებულად გრძნობდა, ამაზე კამერასესორისთვის მოეხსენებინა – პირველ ყოვლისა,

რასაკვირველია, მეგობრობისა და ურთიერთნდობის ვალდებულებით, აგრეთვე ერთგვარი ცნობისმოყვარეობით, – ასე მეგონა მე, – თუ როგორ მიიღებდა იგი ცნობას ჩვენი თავგადასავლის შესახებ და როგორ აირეკლებოდა, ეს მის სახეზე. ამ ცნობას ის გულგრილად, დამცინავადაც კი მოეპყრო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰაინკეს ოჯახის ამბავი გამოიკითხა და შეიტყო, რომ იგი ბიურგერი იყო. ეს მის ნაკლებ ცნობიმოყვარეობასა და თანაგრძნობას მოწმობდა, უფრო კი იმას ნიშნავდა, რომ მას სურდა ამ საქმიდან შორს მდგარიყო. შემდგომ ამაზე საუბარი ჩვენსა და მას შორის მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოკლედ და იშვიათად თუ ჩამოვარდებოდა. ავგუსტმა არ იცოდა, ანდა სანახევროდ იცოდა ჩვენი გმირის ბედნიერი გამოჯანმრთელების, ქალაქში მისი ხანმოკლე ყოფნისა და ვადაზე ადრე კვლავ გაქრობის ამბავი.

ამ სიტყვებით მე უკვე წინ გავუსწარი საგანთა მსვლელობას. ფერდინანდმა უფრო მალე შეძლო თავისი საწოლის მიტოვება, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. დროდადრო ლოგინიდან წამოდგებოდა ხოლმე და მალა სხვენზე თავის პატარა ოთახში ყვარჯნის ბაკუნით მიმოდიოდა, მტკივანი ფეხის გავარჯიშებასა და გამართვას ცდილობდა. გაზაფხულის ალერსიანმა მზემ, სხვენის სამერცხულიდან რომ იჭვრიტებოდა მის მფარველ საკანში, თავისი გაიტანა, იგი გაამხნევა და გამოაცოცხლა. ხოლო იმისთვის, რომ გაზაფხულის სუნთქვა

უფრო თავისუფლად ეგრძნო, ბინა გამოუცვალეს, ზედამხედველის ბიძაშვილი, რომელსაც კეგელპლაცზე სასახლის საჯინბოს უკან სახარაზო ჰქონდა, მზად იყო, გამოჯანმრთელებული ჭაბუკისთვის თავისთან ოთახი დაეთმო, და აი ივნისის ერთ-ერთ პირველ დღეს თავისი რომანტიკული სამალავიდან საიმედო ადამიანთა თანადგომით გადასახლდა იქ, სადაც მდინარის პირას მყუდროდ შეეძლო მერხზე მჯდარიყო, მზეს მიფიცებოდა და ხიდს გაღმა გადაჭიმული ამწვანებული მდელოებისთვის, გაშლილი სივრცეებისთვის, სანადირო ხის სახლის ირგვლივ შემოვლებული ჭალისა და ტიფურტის ხეივნისთვის ეცქირა.

იმხანად მსოფლიო მოვლენებში მოხდა ერთგვარი შესვენება, დროებითი დაზავება, რაც მხოლოდ შუა ზაფხულამდე გაგრძელდა, – მე არ ვამბობ, სამწუხაროდ-მეთქი, რადგან იმან, რაც მას მოჰყვა, თუმცა შემადრწუნებელი საშინელებებისა და უსაზღვრო ტანჯვის გამოვლით, მაგრამ მაინც დიდებამდე და თავისუფლებამდე მიგვიყვანა. ამასობაში ცხოვრება ჩვენს

ქალაქში საკმაოდ წყნარად მიდიოდა, მიუხედავად ხანგრძლივი ჩასახლებების მძიმე ტვირთისა, ასე თუ ისე ვართმევდით თავს და შევურიგდით. ზაფხულის დამდეგს ზომიერად განახლდა საზოგადოებრივი გართობანი, რაშიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩვენი მეომარიც მონაწილეობდა, ოღონდ სათანადო სიფრთხილის დაცვით. მას შესამჩნევად ამოევსო და დაუწითლდა ლოყები. დედაჩემთან, ოტილიეს დედასთან, ასევე ეგლოფშტაინებთან, ფრაუ ფონ ვოლცოგენის[134] სალონში და ზოგიერთ სხვა ადგილებში არა ერთი და ორი მხიარული და ამასთან ღრმა გრძნობით გამსჭვალული გულითადი საათი გავატარეთ ახალგაზრდა გმირთან ერთად, რომელსაც ჭაბუკური მოხდენილობისა და

რაინდული თავდაჭერილობის წყალობით ყველგან

გულთბილად და ალტაცებით იღებდნენ. კერძოდ დოქტორ პასოვისთვის იგი ცეცხლის ალი იყო, რადგან, თავისი იდეალის თანახმად, მასში ხედავდა ელინური მშვენიერებისა და მამულიშვილური თავისუფლების ჰეროიზმის გაერთიანების ხორცშესხმას – და სრულიად სამართლიანადაც; ოღონდ, ჩემი გაგებით, ის, როგორც მამაკაცი, ჩვენი ჭაბუკის თაყვანისცემაში ცოტა არ იყოს, ღრმად იჭრებოდა და მაიძულებდა, არა პირველად და უკანასკნელად შემენიშნა, რომ მეომრული ეროვნული სული დაკავშირებულია თავისი სქესისადმი მამაკაცის გადამეტებულ ენთუზიაზმთან, რაც ჩვენ, ქალებს, სულაც არ გვესიამოვნება, და რაც გვხვდება უკვე სპარტანელთა სუსხიან და უცნაურ ზნეში.

ფერდინანდი თავის მხრივ ყველას ერთნაირად ნათელი სახით ხვდებოდა და ჩვენც, ესე იგი ოტილიეს, ისე ეპყრობოდა, რომ ჰერ ფონ გოეთეს ეჭვიანობის არავითარი საბაზი არ მიეცემოდა, ეს ორი, ღამესა და დღესავით განსხვავებული ყმაწვილი კაცი ოდესმე ერთმანეთს კიდევაც რომ შეხვედროდა, რის თავიდან აცილებაც ოტილიეს კარგად შეეძლო. ცხადია, ოტილიეს ეგონა, რომ თავისი პირქუში თაყვანისმცემლის წინაშე დამნაშავე იყო იმ გრძნობების გამო, რითაც გმირისადმი განიმსჭვალა. ამ გრძნობებს იგი მიიჩნევდა მეგობრობის ვალდებულების დარღვევად და მიტაცებად, ისე რომ, ორივეს ერთად ყოფნა მისი სინდისის ქენჯნას გამოიწვევდა. რაოდენ ალტაცებულებაც უნდა ვყოფილიყავი მისი მორალური კულტურით, როდესაც ასეთ გაგებას თავის თავს ჩააგონებდა, მე მაინც შეშფოთებულს უნდა დამესკვნა, – გამართლება არ ეწერა ჩემს იმედს, რომ ჰაინკესადმი განცდები დაწყვეტდა იმ საშიშ ბორკილებს, მას რომ დიდი ადამიანის ძესთან აკავშირებდა. «დიახ, ადელე, – მითხრა მან ერთ დღეს და ცისფერი თვალები ჩაუმუქდა, – მე შევიცანი ბედნიერება, სინათლე და ჰარმონია, ჩვენი ფერდინანდის სახით რომ მომევილინა, მაგრამ რაოდენ კეთილშობილებაც უნდა იყოს მათი კეთილისმყოფელი გავლენა, უფრო ღრმად მოთხოვნები, რომლებიც ჩვენს დიდსულოვნებას ქუფრსა და ტანჯვას დააჩნევენ. ჩემი სულის სიღრმეში ვხედავ ჩემს ბედს». – «მამაზეციერი გფარვიდეს, საყვარელო!» – სულ ეს იყო, რისი თქმაც მოვახერხე. სიცვიემ გამიმსჭვალა გული, სწორედ ისე, როგორც ხდება ხოლმე, ბედისწერის უძრავ მზერას რომ წავაწყდებით.

ჰაინკე გაქრა. ჩვენ კვლავ უნდა გვენახა იგი, მაგრამ ამჯერად,

შვიდ კვირას ჩვენს წრეში ყოფნის შემდეგ, ის გაემგზავრა ჯერ თავის სამშობლო სილეზიაში, საყვარელ ახლობელთა, ბეწვეულით მოვაჭრის ოჯახის სანახავად, რომ სანამ ფეხი მთლად მოურჩებოდა, იქ დარჩენილიყო, ხოლო იქიდან მაშინვე ისევ არმიას შეერთებოდა. მე და ჩემი ოტილიე გულით ვტიროდით ამ დანაკლისის გამო, იმის გამო, რომ ის ჩვენთან აღარ იმყოფებოდა, და მხოლოდ იმითლა დავიმშვიდეთ გული, რომ ერთმანეთს შევფიცეთ, ამიერიდან ჩვენი მეგობრობა მიგვეძღვნა მისი გმირული მოგონების კულტისთვის. მისი სახით ჩვენ ვიხილეთ სამშობლოს სიყვარულით აღტყინებული გერმანელი ახალგაზრდის იდეალის ხორცშესხმა, რასაც ხოტბა უძღვნა მომღერალმა «ჩანგსა და მახვილში»,^[135] მაგრამ რადგანაც ხორცი და სისხლი ერთგვარად უპირისპირდებიან იდეალს და მას აუცილებლად მოსდევს გამოფხიზლება, ამდენად განშორებას, გულახდილად რომ ვთქვა, თავისი სიკეთე და სარგებლობაც აქვს: როდესაც იგი არყოფნით კვლავ წმინდა იდეალის სახით გაცისკროვნდება. სახელდობრ, უკანასკნელ ხანებში ფერდინანდი მუდამ სადა სამოქალაქო ტანსაცმლით წარმოგვიდგებოდა ხოლმე, ახლა კი ჩვენს შინაგან ჭკრეტას იგი ისევ თავისი საპატიო სამხედრო ფორმით ელანდებოდა, როგორც მოგვევლინა თავდაპირველად, – თუ კაცი ჩაუფიქრდება, ეს დიდი უპირატესობაა, რაოდენ ამაღლებს ვაჟკაცურ თვისებებს სამხედრო ფორმა. მოკლედ, წასვლის შემდეგ მისი სახე დღითი დღე სულ უფრო ნათელი ხდებოდა ჩვენს წარმოდგენაში. მაშინ, როდესაც მეორის, ავგუსტის სახე, როგორც თქვენ ამას დაინახავთ, სულ უფრო ქუფრი ღრუბლებით იბურებოდა.

ათ აგვისტოს დამთავრდა დროებითი დაზავება, რომლის დროსაც პრუსია, რუსეთი, ავსტრია და ინგლისიც ფრანგთა იმპერატორის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ჩვენამდე, ვაიმარამდე, მხოლოდ კანტიკუნტად აღწევდა გაურკვეველი ცნობები პრუსიელი მხედართმთავრების, ბლიუხერისა და ბიულოვის,^[136] კლაისტის,^[137] იორკის,^[138] მარვიცისა და ტაუენცინის^[139] გამარჯვებათა შესახებ. უთუოდ ჩვენს ფერდინანდსაც ამ გამარჯვებებში სადღაც რაღაც წილი ექნებოდა, ჩვენს, გოგონების გულს ეს დიდი სიამაყის გრძნობით ავსებდა; თუმცა ჟრუანტელი დაგვივლიდა ხოლმე იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა სამშობლოსთვის დაღვრილმა მისმა ჭაბუკურმა სისხლმა უკვე წითლად შეღება

მწვანე მინდორი. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით. ჩრდილოელი და აღმოსავლელი ბარბაროსები გვიახლოვდებოდნენ. – სულ ეს იყო ჩვენი ცნობები, მაგრამ რაც უფრო გვიახლოვდებოდნენ, მით უფრო იშვიათად გაიგონებდით მათზე «ბარბაროსების» სახელს, მით უფრო შეტრიალდა ჩვენი მოსახლეობისა და საზოგადოების სიმპათიები და იმედები ფრანგებიდან მათკენ: ნაწილობრივ უბრალოდ იმიტომ, რომ მათში ახლა უკვე გამარჯვებულებს ხედავდნენ, იმედი ჰქონდათ, თავიანთი ერთგულებით შორიდანვე კეთილად განეწყობთ ისინი, მეტწილად კი იმიტომ, რომ ადამიანები მორჩილი არსებანი არიან, რომელთაც წარმართავს იმის საჭიროება, – ვითარებებსა და მოვლენებთან, ძალასთან შინაგან თანხმობაში იცხოვრონ, რამეთუ ახლა თითქოს თვით ბედისწერა ანიშნებდა და უბრძანებდა მრწამსის შეცვლას. ასე იქცნენ რამდენიმე დღის განმავლობაში ცივილიზაციის წინააღმდეგ ამხედრებული ბარბაროსები განმათავისუფლებლებად, რომელთა წარმატებამ და წინსვლამ გააღვივა საყოველთაო აღფრთოვანება ხალხისა და სამშობლოსათვის, და გადმოხეთქა სიძულვილის ნიაღვარმა უცხოელი დამპყრობლის წინააღმდეგ.

შუა ოქტომბრის შემდეგ მოკლე ხანში შიშითა და აღტაცებით პირველად ვიხილეთ კაზაკები ვაიმარში. ფრანგი ელჩი გაიქცა, და თუ გამგზავრების წინ იგი არ შეურაცხევეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ იყო, ბედისწერა რას უქადდათ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ ძალასა და წარმატებასთან ჰარმონიაში ყოფილიყვნენ. მაგრამ ოცისა და ოცდაერთი ოქტომბრის ღამეს ამ ჰუნების მთელი ხუთასი მხედარი შემოიჭრა ჩვენთან და მათი მხედართუფროსი, სახელად ფონ გაისმარი, იმ ღამეს ყურებზე ცერად ჩამოფხატული ქუდით სასახლეში ჰერცოგის საწოლთან იდგა და მოახსენებდა მოკავშირეთა დიდ გამარჯვებას ლაიფციგთან. მან გამოუცხადა, რომ იმპერატორმა ალექსანდრემ გამოგზავნა

ჰერცოგის ოჯახის დასაცავად. აქ მისმა უგანათლებულებობამაც იცოდა, თუ რომელმა ზარმა დარეკა და ჰკვიანი მთავარი საით უნდა დამდგარიყო, რათა ხელიდან არ გაეშვა ბედ-იღბალი და მოვლენებზე ბატონობა.

უძვირფასესო ქალბატონო, რა დღეები გამოვიარეთ! ქალაქის გარშემო ჩვენს ქუჩებამდე ბრძოლების საშინელი ყიჟინა გაისმოდა. ფრანგები, რაინისპირელები, კაზაკები, პრუსიელები,

მადიარები, ხორვატები, სლოვენები, ველური სახეების ცვლას თითქოს ბოლო არ უჩანდა. როგორც კი ფრანგებმა ერფურტისკენ დაიხიეს და მოკავშირეებს რეზიდენციისკენ გზა გაეხსნათ, მაშინვე ქალაქში ნიაღვარივით შემოიჭრნენ. თავს დაგვატყდა ბინებში ჩასახლებანი, რაც ტვირთად დააწვა ყველა სახლს, მის მეურნეობას, დიდსა და პატარას, უკიდურესი, ხშირად ძნელად შესასრულებელი მოთხოვნების სახით. ადამიანებით გადაჭედებულმა ქალაქმა ბევრი ბრწყინვალება და სიდიადე ნახა, რადგან დროდადრო აქ ჰქონდათ თავისი კარი რუსეთისა და ავსტრიის ორ იმპერატორს, აგრეთვე პრუსიის ტახტის მემკვიდრეს.[140] მალე კანცლერი მეტერნიხიც ჩამოვიდა. ქალაქი დიდებულებითა და გენერლებით იყო სავსე. მხოლოდ უღარიბესთ, რომელთაც ვერაფერს მოსთხოვდნენ, შეეძლოთ ამ სეირის ცქერით გართულიყვნენ. ჩვენ კი, ბინებში უაღრესად შევიწროებულებს, სულ უნდა გვეძლია და გვეძლია, მათი მოთხოვნები შეგვესრულებინა. რადგან ყველანი დასაქმებული ვიყავით და ყველას საზრუნავი ის იყო, როგორმე თავი გაგვერთმია უამრავი მოთხოვნისთვის, სულს ძლივს ვითქვამდით, ამიტომ აღარავის არ ჰყოფნიდა სულის მხნეობა და ძალა, მეზობელზე ეფიქრა, მხოლოდ დიდი დაგვიანებით ვიგებდით, თუ ვის რა გადახდა.

თუმცა, გარედან თუ შეხედავდით, ყველა ერთნაირად იყო შევიწროებული ამ უძძიმეს მოთხოვნათა ტვირთქვეშ, მაგრამ მაინც არსებობდა რაღაც შინაგანი განსხვავება: ამ გაჭირვებას უფრო ადვილად და ლაღად იტანდნენ ისინი, ვისაც თავისი მრწამსის, გულის ნადების, სამშობლოს საქმის გამარჯვება ახარებდა. მართალია, ეს გამარჯვება მოპოვებული იყო ზოგჯერ საკმაოდ უხეში და გულზვიადი მეგობრების, კაზაკების, ბაშკირებისა და აღმოსავლეთის ჰუსართა დახმარებით, მაგრამ იგი ერთი ათად უნაზღაურებდა და უადვილებდა მათ ტანჯვას. ჩვენს დედებსაც, ოტილიეს დედას და დედაჩემსაც, ჩაუყენეს მაღალი წოდების მეთაურები მათი პირადი მხლებლებით მოსავლელად, და ჩვენ, ქალიშვილებიც, პირდაპირ ამ გაყოყოჩებული სტუმრების მოახლე გოგოებად ვიქეცით. ახლა ჩემს საყვარელ გოგონას, რაკი ნამდვილად გათავისუფლდა და იძულებული აღარ იყო დაეფარა თავისი პრუსიული გულისწადილი, სიხარულით სახე უბრწყინავდა, და მეც, სასოწარკვეთილებისადმი მიდრეკილს, გადმომდებდა ხოლმე თავის აღფრთოვანებას დიადი ჟამის გამო, რომელსაც ჩვენ

ორივენი წარმოვიდგენდით სანუკვარი და დიდებული სახით, იმ ჭაბუკი გმირის სახით, ჩვენ რომ გადავარჩინეთ და ახლა სადღაც, არც კი ვიცოდით სად, განთავისუფლების სისხლიანი საქმის დამთავრებაში თავისი წვლილი შეჰქონდა.

აი ის, რაც უნდა მეთქვა ჩვენი გრძნობების, ჩვენი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც, მიუხედავად ერთგვარი განსაკუთრებული პირადი შეფერილობისა, ბევრით არ განსხვავდებოდა საყოველთაო, საზოგადოებრივი, სახალხო განწყობილებისგან. მაგრამ სულ სხვა ვითარება იყო სახელგანთქმული პოეტის სახლში, რომელთანაც ჩემს ოტილიეს ესოდენ უცნაური, ჩემთვის ესოდენ შიშის აღმძვრელი ურთიერთობა ჰქონდა! გერმანიის დიდი მგოსანი იმ დროს ყველაზე უბედური კაცი იყო ქალაქში, საჰერცოგოში, ალბათ, მაღალი გრძნობებით აღტყინებულ მთელ ჩვენს სამშობლოში. ექვს წელიწადში სანახევროდაც არ ყოფილა ეგზომ უბედური. ჩვენი საყვარელი ჰერ ფონ შტაინი თვლიდა, რომ იგი ღრმა ფიქრებში იყო შთანთქმული. ის ყველას აფრთხილებდა, მასთან პოლიტიკურ საკითხებზე არ ჩამოეგდოთ ლაპარაკი, რამდენადაც, რბილად რომ ვთქვათ, ჩანდა, სულ არ იზიარებდა ჩვენს ახლანდელ ენთუზიაზმს. ჩვენი აღორძინების ამ წელიწადს, რომელიც ჩვენს ისტორიაში დიდებულად წამოიძარტა და წითელი ასოებით აღინიშნება, მან უწოდა «სამწუხარო» და «საშინელებებით აღსავსე» წელიწადი. ამასთან, მას ხომ ჩვენ შორის ყველაზე ნაკლებ შეეხო იმ წლის საშინელებანი, რომელთა უარყოფა უდავოდ არ შეიძლება. აპრილში, როდესაც ომის ასპარეზის მოახლოება გვემუქრებოდა, პრუსიელებმა და რუსებმა ირგვლივ მდებარე სიმაღლეები დაიკავეს და მოსალოდნელი იყო, რომ ვაიმარი ბრძოლის ველად გადაიქცეოდა, ქალაქში მარცვა-გლეჯა დაიწყებოდა, ხანძარი გაჩნდებოდა. მისიანებს, ავგუსტსა და საიდუმლო მრჩევლის მეუღლეს, არ შეეძლოთ მოეთმინათ, რომ სამოცდასამი წლის, მართალია, ჯერ კიდევ ჭარმაგ, მაგრამ მუდამ უქეიფოდ მყოფ და დიდი ხანია წყნარ და უშფოთველ ცხოვრებას მიჩვეულ კაცს შფოთი და არეულობა განეცადა. ეს შეიძლებოდა უფრო საშინელი გამომდგარიყო, ვიდრე ექვს წელს იყო. ორივემ გადაწყვიტა მისი დაუყოვნებლივ გამგზავრება საყვარელ ბოჰემიაში, ტეპლიცს, სადაც სრულიად მშვიდად შეეძლო მუშაობა და თავისი მოგონებების, მესამე ტომის დამთავრება, ამ დროს კი დედა და ვაჟიშვილი შინ

პირისპირ უნდა დახვედროდნენ იმ ჟამთა საშინელებას... ეს ბუნებრივი იყო, ამის საწინააღმდეგოდ მე არაფერს ვამბობ, მე – არა, მაგრამ არც ის მინდა დავფარო, რომ იყვნენ სხვები, რომლებიც მის გამგზავრებას კიცხავდნენ და ამ საქციელში მხოლოდ დიდი ბატონის ეგოისტურ თავდაზოგვას ხედავდნენ. მაგრამ ბლიუხერის მოახლოებული ჯარი მის ეტლს ვაიმართანვე შემოხვდა; მათ იცნეს «ფაუსტის» შემოქმედი და, ჩანს, სხვაგვარად იფიქრეს, შეიძლება ისიც ივარაუდეს, იქნებ მხოლოდ სასერიწოდ წამოსულაო. რადგან ისინი გარს შემოეხვივნენ და მიუხვედრელად გულმართლად სთხოვეს დაელოცა მათი იარაღი, რაზეც იგი მცირეოდენი გაჯიუტების შემდეგ თავაზიანი სიტყვებით დათანხმდა: – მშვენიერი სცენაა, არა, მართალს არ ვამბობ? ოღონდ რაღაც საჭოჭმანო და ცოტა უხერხულია გულუბრყვილო გაუგებრობის გამო, რაც მას საფუძვლად ედო.

შუა ზაფხულამდე ჩვენი მოძღვარი ბოჰემიაში დარჩა. შემდეგ, რაკი იქაც უხიფათო აღარ იყო, უკან დაბრუნდა, ოღონდ რამდენიმე დღით. რადგან მაშინ ასე ჩანდა, რომ ავსტრიელები სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ვაიმარისკენ მოიწევდნენ, ავგუსტმა იგი კვლავ დაიყოლია, გამგზავრებულიყო: ის ილმენაუში წავიდა და იქ დარჩა სექტემბრის დამდეგამდე. იქიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენ შორის იყო, და თუ იგი გიყვარს, უნდა აღიარო, რომ ყოველივე, რაც თავს დაგვატყდა, მანაც საკმაოდ და საკმაოზე მეტადაც განიცადა. მაშინ ხომ ყველაზე ცუდი ჩასახლებების დრო იყო, ამ ტვირთისგან წელში ვწყდებოდით. გოეთეს მშვენიერი სახლიც, რომლისთვისაც ყველას სიმშვიდე და მყუდროება სურდა, ნამდვილ ფუნდუკად იქცა: ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ოცდაოთხი პიროვნება უჯდა მის მაგიდას. მასთან იდგა ავსტრიელი საარტილერიო ტექნიკური აღჭურვილობის უფროსი გრაფი კოლორედო.[141] თქვენ უთუოდ გაიგებდით, რადგან მაშინ ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ უცნაური გაუგებრობის გამო – თუ ეს თავნებობა იყო? იქნებ ნდობა თუ რწმენაც იყო იმისა, რომ დიდი ბატონები, როგორც გრაფი და თვით გოეთეა, ცხოვრობენ მასის ვნებებისგან განრინებულ სფეროში? – ჩვენი მგოსანი მას მისასაღმებლად გაეგება საპატიო ლეგიონის ჯვრით,[142] რომელიც სახელმწიფო სამოსელზე ჰქონდა დამაგრებული. «ფუი ეშმაკს! – წამოიძახა კოლორედომ

საკმაოდ უხეშად. – როგორ შეიძლება ასეთი რამ ატაროთ?!» ესეც მას! მან ვერ გაიგო. საარტილერიო ტექნიკური აღჭურვილობის უფროსთან გაჩუმდა. მაგრამ სხვებს უთხრა: «როგორ? აქაოდა იმპერატორმა ერთი ბრძოლა წააგო, მე მისი ჯვარი აღარ უნდა ვატარო?» ძველისძველი მეგობრებისა აღარ ესმოდა, ისევე როგორც მათ ამისი. ავსტრიელს მოჰყვა მინისტრი ფონ ჰუმბოლდტი, რომელიც ოცი წლიდან მასთან

სულიერად იყო დაკავშირებული, ოდინდელი თავგამოდებული მსოფლიო მოქალაქე, უფრო მეტად, ვიდრე ჩვენი მგოსანი, – სამშობლოში ცხოვრებას მუდამ საზღვარგარეთ ყოფნას არჩევდა. ექვსი წლიდან ჰუმბოლდტი პრუსიელი გახდა, როგორც იტყვიან, «ნამდვილი პრუსიელი», და მეტი არაფერი საერთოდ. ეს სულ ნაპოლეონის ბრალი იყო; უნდა ვაღიაროთ, რომ მან გერმანელები მეტისმეტად გამოცვალა. რძე ქვეყნიერებისადმი მოწიწებით განწყობილი აზრთა წყობისა მან ურჩხულის მჩქეფარე სისხლად აქცია, ხოლო მოქნილი ჰუმანისტი ფონ ჰუმბოლდტი – შმაგ პატრიოტად და განმათავისუფლებელი ომის თავგამოდებულ ქომაგად. განა ბრალი უნდა დაედოს ან დამსახურებად ჩაეთვალოს კეისარს, რომ მან ჩვენი აზრი და გრძნობა შეცვალა და ჩვენივე თავი ჩვენვე დაგვიბრუნა? მე არ მინდა განვსაჯო.

პრუსიის მინისტრსა და ჩვენ დიდ მგოსანს შორის გამართული მაშინდელი საუბრიდან ბევრმა რამემ გამოჟონა და ზოგი რამ საზოგადოებაშიც ვრცელდებოდა, ერთმანეთს გადასცემდნენ. ბერლინის სულისკვეთებით გამსჭვალული ჰუმბოლდტი არსებითად გაზაფხულიდანვე ელოდა, რომ შილერისა და გოეთეს ძენი ახალგაზრდა კორნერივით მახვილს ხელს სტაცებდნენ გერმანული საქმის დასაცავად. ახლა კი გაიგო მან თავისი ძველი მეგობრის აზრთა წყობა, ავგუსტის გადაწყვეტილება, – ამ უკანასკნელის პირქუში გულგრილობა და მგოსნის დასანანი და საძრახისი ურწმუნობა იმ საქმისადმი, რაც ყველას ესოდენ დიადი და მშვენიერი ეგონა. «გათავისუფლება? – მწარე ღიმილით ჰკითხა გოეთემ

ჰუმბოლდტს. – ეს გათავისუფლება დალუპვის მომასწავებელია. სამკურნალო საშუალება აქ ავადმყოფობაზე უარესია. ნაპოლეონი დამარცხდა? – არა, ჯერ კიდევ არა და დიდხანს არა. მართალია, ის ახლა დევნილ ხარირემს ჰგავს, მაგრამ ეს მას მხოლოდ ართობს, ჯერ კიდევ შესაძლებელია, მან მთელი ეს ხროვა ძირს დასცეს. მაგრამ, ვთქვათ, ის დამარცხდა,

მაშინ რა იქნება? მართლა გაიღვიძა ხალხმა და იცის, რა სურს? დიახ, თუ იცის ვინმემ, რა მოხდება ამ ძლიერი ადამიანის დაცემის შემდეგ? ფრანგების ნაცვლად რუსების მსოფლიო ბატონობა? კაზაკები ვაიმარში – ეს სულაც არ გახლავთ ის, რასაც იგი, ჩვენი მგოსანი ისურვებდა. ან იქნებ მათი საქმეები უფრო სანუკვარი იყოს, ვიდრე ფრანგებისა? მეგობრები მტერზე ნაკლებ არ გვარბევნ. თვით ჩვენი ჯარისკაცებისთვის ვაი-ვაგლახით მომავალ ალაღს ხელთ იგდებენ და ჩვენს დაჭრილებს ბრძოლის ველზე მათივე მოკავშირეები მარცვავენ. ეს სიმართლეა, რომელიც სენტიმენტალური ფიქციებით[143] სურთ შეალამაზონ. ხალხი, მისი პოეტების ჩათვლით, პოლიტიკამ დათრგუნა და დააბეჩავა, იგი საზარელ და სრულიად არასაკადრის გაფიცებულ მდგომარეობაშია. მოკლედ, ეს საშინელებაა!»

მართლაც, საშინელება იყო, ჩემო უძვირფასესო ქალბატონო. უბედურებაც სწორედ ის იყო, ენთუზიაზმსაც სამარცხვინო ჩრდილს ის აყენებდა, რომ საერთო ვითარებანი და

ყოველდღიური ამბები ყოველ საათს უშუალოდ ამართლებდნენ მგოსნის შეძრწუნებას. სიმართლეა: ფრანგთა უკან დახევასა და დევნას მოჰყვა საშინელი ნგრევა და საყოველთაო გამოფიტვა, გაღატაკება, სისხლის გამოწოვა. ჩვენი ქალაქი, სადაც ბატონობდნენ პრუსიის ლანდვერის პოლკოვნიკი, ნამდვილი რკინისმკვნეტელი სოლდაფონი,[144] აგრეთვე რუსი და ავსტრიელი საეტაპო ჯარების მხედართუფროსები, მუდმივად შევიწროებული იყო მიმავალ-მომავალი და ჩასახლებული ჯარებისგან, რომლებიც

სხვადასხვა ხალხისგან შედგებოდა. გარემოცული ერფურტიდან ჩვენს ლაზარეთებს მოაწყდნენ დაჭრილები, ხეიბრები, დიზენტერიითა და ნერვიული ციებ-ცხელებით დაავადებულნი. სულ მალე ომით გამოწვეული სნეულებანი ეპიდემიად მოედო მოსახლეობას. ნოემბერში გვყავდა ხუთასი ტიფით დაავადებული, – ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობის რიცხვი ექვსი ათას სულს შეადგენდა. მკურნალები აღარ გვყავდნენ – ყველა ჩვენი ექიმიც ჩაწვა. მწერალმა იოჰანეს ფალკმა ერთ თვეში ოთხი შვილი დაკარგა და გაქალარავდა. ზოგიერთ სახლში ერთი სულიც ვერ გადაურჩა მას. საშინელებამ, შიშმა გადამდები სენის წინაშე მთელი ცხოვრება მიწასთან გაასწორა. ქალაქში დღეში ორჯერ ახრჩოლებდნენ თეთრ დღვილოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიცვალებულთა

გვამებით დატვირთული ფორნები შემზარავ საქმეს ვერ აუდიოდა. საკვების შოვნის საზრუნავსა და გაჭირვებას უამრავი თვითმკვლევლობა მოჰყვა.

ასეთი იყო საქმის გარეგანი სურათი, სინამდვილე, თუ გნებავთ, და ვისაც არ ძალუძდა, ამაღლებულიყო ამ გარემოებაზე და თავისუფლებისა და სამშობლოს იდეებით გამსჭვალულიყო, ვაი მას. ზოგმა ეს მაინც შეძლო: უპირველესად პროფესორებმა ლუდენმა და პასოვმა, მათთან ერთად ოტილიემ. მთელ ჩვენს დარდსა და მწუხარებაში ყველაზე მწარე უფრო ის იყო, რომ ჩვენს მგოსანთა მეფეს ეს არ შეეძლო, ან არ უნდოდა ამის გაკეთება. თუ რა პოზიცია ეჭირა მას, მისი ვაჟიშვილისგან მეტისმეტად ზუსტად ვიგებდით. ის ხომ თავისი მამის გამოძახილი იყო და მეტი არაფერი, თუ მამის შეხედულებათა ეს ბავშვურად ზუსტი გამეორება და მიმხრობა ამაღელვებელი რამ იყო, ამავე დროს რაღაც არაბუნებრივი ჩანდა; მისი სიტყვები გულს გვიკლავდა. თავდახრილი ოტილიე მხოლოდ ხანდახან შეხედავდა მას ცრემლიანი მოციმციმე ცისფერი თვალებით და უსმენდა, თუ როგორ მკვეთრად, თითქოს მისი აზრები ყოფილიყო, იმეორებდა იგი ყველაფერს, რასაც კი მისი მშობელი ჰუმბოლდტსა და სხვებს ეტყოდა ხოლმე ამ უბედურებისა და დაბნეულობის ჟამზე, ასევე მის აბსურდულობასა და სასაცილოობაზე. მართლაც, თუ ნებავდა, კაცს შეეძლო აბსურდი და სასაცილო დაენახა აღელვებულ, აფორიაქებულ, გაბრუებულ, ერთსა და იმავე დროს საერთო ვნებით აღტყინებულ და სულიერად დაცემულ ადამიანთა ქცევა-მოქმედებაში. ბერლინში კბილებამდე შეიარაღებული ფიხტე, შლაიერმახერი[145] და იფლანდი[146] დააბიჯებდნენ და ქვაფენილზე ხმლების ბუნიკებს

აჟღარუნებდნენ. ჰერ ფონ კოცებუს[147], ჩვენს სახელგანთქმულ თეატრის პოეტს, სურდა შეექმნა ამორძალთა რაზმი, და ეჭვი არ მეპარება, მას რომ ეს განეხორციელებინა, ოტილიე მიემხრობოდა და მეც ჩამითრევდა. რაც უნდა ექსცენტრულად მეჩვენებოდეს დღეს ეს იდეა, ცივი გონების თვალთ რომ ვსინჯავ. სულაც არ გახლდათ კარგი გემოვნების ხანა, სრულიად არა, და თუ ვინმე ამაზე ზრუნავდა, ისიც

კულტურაზე, კეთილგონიერებაზე, შემაკავებელ თვითკრიტიკაზე, მისი საქმე ცერად მიდიოდა. ასეთ ადამიანს, მაგალითად, ვერ გაიტაცებდა ის პოეზია, იმ აფორიაქებულ ეპოქაში რომ აყვავდა და დღეს ჩვენ საძაგლად გვეჩვენება,

თუმცა მაშინ თვალეზზე იაფფასიან გულის ამაჩუყებელ ცრემლებს გვგვრიდა ხოლმე. მთელი ხალხი თხზავდა ლექსებს, ტკბებოდა და ჩანთქმული იყო აპოკალიფსში, წინასწარმეტყველურ სახეებში, სიძულვილისა და შურისგების სისხლიან ზმანებებში. ერთმა მღვდელმა გამოსცა გამქირდავი პოემა რუსეთში დიდი არმიის დაღუპვის თაობაზე, რაც მთლიანად და მთელი თავისი წვრილმანებით პირდაპირ უხამსი რამ იყო. ჩემო უსაყვარლესო ქალბატონო, აღფრთოვანება მშვენიერი რამ არის, მაგრამ თუ მას მეტისმეტად აკლია განათლება და უკიდურესად აგზნებული წვრილფეხა მოქალაქენი მტრის ცხელი სისხლით ნეტარებენ, რადგან ისტორიულმა ჟამმა მათ ბოროტ ვნებებს გზა გაუხსნა, ეს, რა თქმა უნდა, სავალალოა. უნდა ვაღიაროთ, რომ მაშინ ქვეყანა წალეკა გაშმაგებული რითმების ნიაღვარმა; დასცინოდნენ, ამცირებდნენ, ლანძღავდნენ კაცს, რომლის წინაშეც ჩვენი ამბოხებულნი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ შიშითა და მოწიწებით სულს ლევდნენ; ეს უკვე სრულიად სცილდებოდა ხუმრობისა და კრძალულობის, მეტიც, კეთილგონიერებისა და წესიერების საზღვრებს, მით უმეტეს, რომ ისინი მიმართული იყო არა იმდენად ტირანის წინააღმდეგ, რამდენადაც ქვედა ფენებიდან აღზევებულის, ხალხისა და რევოლუციის პირმშოს, ახალი დროების შემოქმედის წინააღმდეგ. შევამჩნიე, რომ თვით ჩემი ოტილიეც კი შეცბუნებული იყო და დუმილით ხვდებოდა ესოდენ უხეშ, უტიფარ აუგისა და ლანძღვის ოდებს «ვიგინდარა თერძთა ქარგლის, ნიკოლას» შესახებ. როგორ არ შეაშფოთებდა გერმანული კულტურისა და განათლების უავგუსტეს მგოსანს, «იფიგენიას» შემთხზველს თავისი ხალხის ასეთი სულისკვეთება? «რაც ლიუტცოვის მედგარ დევნას არა ჰგავს, მასზე არც ერთ კაცს არა აქვს ხელი», – ჩიოდა იგი – და ჩიოდა ჩვენთან თავისი ვაჟის პირით. ჩვენ ეს გულს გვიკლავდა, მაგრამ ჩვენც, ალბათ, უნდა მივხვედრილიყავით, რომ სისხლმოწყურებული მჯღაბნელების ნაცოდვილართან ერთად იგი უარყოფდა აგრეთვე თავისუფლების ნიჭიერ მომღერალთა, კლაისტისა[148] და არნდტის[149] სიმღერებსაც და მათ ცუდ მაგალითს უწოდებდა, რომ თავისი გმირის დამხობაში ის მხოლოდ ქაოსისა და ბარბაროსების ბატონობას ხედავდა.

თქვენ ხედავთ, რომ, რაც უნდა უცნაური იყოს და არ შემეფერებოდეს, მე ვცდილობ დავიცვა დიდი ადამიანი,

ბოდიშიც მე მოვიხადო იმ გულცივობისა და არათანაზიარობის გამო, რომელსაც ის მაშინ იჩენდა, და ამას მით უფრო სიამოვნებით ვიქმ, რომ ეს მრწამსგაუზიარებლობა და განმარტოება მას თვითონ უთუოდ დიდ ტანჯვას აყენებდა, დაე თუნდაც დიდი ხნის მიჩვეული ყოფილიყო ლიტერატურული თვალსაზრისით ხალხისგან გაუცხოებას, კლასიკურ დისტანციას ყოველგვარი პოპულარულისადმი. მაგრამ რაც არასოდეს, არასოდეს არ შემძლია ვაპატიო, ეს ის არის, რაც მაშინ მან თავის ვაჟს გაუკეთა და რასაც მისი ისედაც პირქუში ხასიათისთვის – და ამასთანავე ოტილიეს სიყვარულისთვის – ესოდენ მძიმე, ტანჯვით სავსე შედეგები უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, იმ დიადი, და საშინელი წლის ნოემბრის დამლევს პრუსიული ნიმუშისამებრ ჰერცოგმა გამოსცა მოწოდება მოხალისეთა სამსახურის თაობაზე, რასაც აიძულებდა ხალხის მოთხოვნა, სწორედ იენის იმ პროფესორებისა და სტუდენტების მგზნებარე სურვილი, რომ მუშპეკტები აეღოთ ხელში; მათი აღტაცებული ქომაგი და მოსარჩლე გახლდათ მისი უგანათლებულესობის სატრფო, მშვენიერი ფრაუ ფონ ჰაიგენდორფი, საკუთრივ იაგემანი, თუმცა მთავრის სხვა მრჩეველნი ამ საქმის მოწინააღმდეგენი იყვნენ. მინისტრი ჰერ ფონ ფოიგტი იმის მომხრე იყო, რომ ეს ჭაბუკური ცეცხლი გონივრულად შეენელებინათ. არ არის საჭირო, არ არის სასურველი, ამბობდა იგი, რომ განათლებული ადამიანები სამხედრო მწყობრში წინ და უკან დაალაჯებდნენ; ამას გლეხის ბიჭებიც გააკეთებენ და უკეთესადაცო. სტუდენტები, რომლებიც მოხალისეთა რიგებს მოაწყდნენ, იენის სწორედ ყველაზე ნიჭიერი, მეცნიერული თვალსაზრისით იმედის მომცემი ახალგაზრდობაა. ისინი უნდა შევაკავოთო.

ამავე აზრის იყო ჩვენი მგოსანიც. უნდა მოგესმინათ, რა უკმაყოფილებას გამოთქვამდა მოხალისეთა საკითხზე, ხოლო მისი უგანათლებულესობის წყალობაჩვეულ საყვარელ ქალზე ისეთ გამოთქმებს ხმარობდა, რომ თქვენ წინაშე ვერ გავიმეორებ. ის ამბობდა, რომ კადრის ჯარისკაცთა წოდებისადმი დიდი პატივისცემით არის გამსჭვალული, მაგრამ მოხალისეობა, მცირე ომი საკუთარი პასუხისმგებლობითა და მწყობრის გარეშე, – ეს თვითდაჯერება და უხამსობაა. გაზაფხულზე ის დრეზდენში იყო კორნერებთან, რომელთა უმცროსი ვაჟი ლიუტცოველთა

მხედრების რიგში ჩადგა, ისე, რომ არც მიუღია ნებართვა მთავრისგან, რომელიც კაიზერის ერთგული თაყვანისმცემელი იყო. ეს ხომ არსებითად მეამბოხის საქციელიაო, მოყვარულ ჯარისკაცთა მთელი ეს თვითნებობა ისეთი ვარგისი საქმეა, რასაც ხელისუფალთათვის მხოლოდ უსიამოვნების მოტანა შეუძლიაო.

ასე ფიქრობდა ჩვენი ტიტანი. თუმცა ცოტა ხელოვნური, ცოტა გაზვიადებული იყო მისი მხრივ რეგულარული და მოხალისეთა სამსახურის გამიჯვნა, რადგან ვერსად მამულიშვილურ საქმეებს გულს ვერ უდებდა. მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ, რომ ის სრულიად მართალი იყო მოხალისეთა საკითხში – თუ საქმის და არა იდეის თვალსაზრისით ვილაპარაკებთ. მათი მომზადება ზერელე იყო და თუ გულახდილად ვაღიარებთ, სახირო არაფერი გაუკეთებიათ და პრაქტიკულად ზედმეტი აღმოჩნდნენ. მათ უუნარო ოფიცრები ჰყავდათ; ჯარიდან გაქცევის უამრავი შემთხვევაც აღინიშნა, დიდხანს მათი დროშაც საერთოდ საწყობში იყო გადანახული. საფრანგეთში გამარჯვების შემდეგ ჰერცოგმა ახალგაზრდები შინ გაგზავნა მადლობის წერილებით, რამეთუ ყურად იღო სახალხო პოეტური წარმოდგენა მათი მხედრული სიმამაცის შესახებ. შარშანაც, ვატერლოოს[150] წინ, ისინი არც კი გაუწვევიათ. მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. ჩვენი მგოსანი სულაც არ იყო აღფრთოვანებული, ის ფხიზლად და ნათლად გაერკვა ამ საქმეში; თუ ის თავიდან მოხალისეთა წინააღმდეგი იყო და ჰაიგენდორფის ავხორცობასა და ჯარისკაცებით გაგიჟებას აუგად იხსენიებდა, – ახლა არ მაგონდება მისი რამდენიმე საჩოთირო გამოთქმა, – უმთავრესად სწორედ იმიტომ, რომ გულის სიღრმეში იგი საერთოდ წინააღმდეგი იყო გამათავისუფლებელი ომისა და მღელვარებისა, რაც ამ ომს თან მოსდევდა. სამწუხაროდ, ეს კვლავაც უნდა ვაღიაროთ.

უზენაესი მოწოდება გამოქვეყნდა, დაიწყო მოხალისეთა ჩაწერა, ჩვენთან შეგროვდა ორმოცდაჩვიდმეტი ცხენოსანი ეგერი, ხოლო ქვეითი ჯარი უფრო მეტი – ოთხმოცდაჩვიდმეტი. მთელი ჩვენი კავალერია, მთელი ახალგაზრდა აზნაურობა ჩაეწერა: კამერიუნკერი ფონ გროსი, ობერჰოფმაისტერი ფონ ზეებახი, ბატონები: ფონ ჰელდორფი, ფონ ჰეხელერი, ლანდრატი ფონ ელგოფშტაინი, კამერჰერი ფონ პოზეკი, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ვიცეპრეზიდენტი ფონ

გერსდორფი, მოკლედ, ყველა. ეს კარგ, სავალდებულო საქციელადაც კი ითვლებოდა. სიდიადე და სილამაზეც სწორედ ის იყო, რომ პატრიოტულ მოვალეობას აუცილებელი საზოგადოებრივი ფორმის შნო და ლაზათი დაედო. ავგუსტ ფონ გოეთეს სხვა რა შეეძლო, ისიც უნდა შეერთებოდა, რა თქმა უნდა, არა საკუთარი მრწამსის, არამედ გარეგანი

ბრწყინვალეების გამოსაჩენად, უფრო პატივისა და თავმოყვარეობის გამო, და ისიც ჩაეწერა, საკმაოდ გვიან, ორმოცდამეათე ქვეით ეგერად. ისე, რომ მამის თანხმობაც კი მიუღია. შვილის ამ ნაბიჯს მაშინვე მოჰყოლია ცხარე კამათი. გავიგეთ, რომ მამამ ამ ნაბიჯს თურმე უთავობა და მოვალეობის დავიწყება უწოდა და გაბრაზებული მთელი დღეების განმავლობაში აღარ ელაპარაკებოდა საწყალ ყმაწვილკაცს, რომელიც სულაც ენთუზიაზმით არ მოქცეულა ასე.

მართლაც, უვაჟიშვილოდ ყოფნა მას უძნელდებოდა, პირად უხერხულობას კი ის ვერ ურიგდებოდა. მას მერე, რაც დოქტორმა რიმერმა მისი სახლი დატოვა და ეს ულრიკე შეირთო ცოლად ნაწილობრივ ავგუსტის მიზეზითაც, რომელიც ამ მგრძნობიარე კაცს მიუტევებლად ქედმაღლურად და უხეშად ეპყრობოდა, პოეტს მდივნობას უწევდა ვინმე ჯონი, რომელსაც ვერ უყურებდა მაინცდამაინც კარგად, ამიტომ, მასთან ერთად მამა თავის ძესაც ხშირად იყენებდა საწერ სამუშაოებსა და სხვა ასობით საზრუნავ საქმეზე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ თვით იმის წარმოდგენამაც კი, რომ თავისი ძე გვერდით არ ეყოლებოდა, უზომოდ ააღელვა, ხოლო ეს უზომო აღელვება დაკავშირებული იყო იმასთანაც, რომ მას აღიზიანებდა მოხალისეობის იდეა და უფრო მეტად გულისწყრომა ყოველივე იმისადმი, რაც კი ამ მოძრაობას გამოხატავდა, რის საბაბსაც ის იძლეოდა. არაფრის დიდებით არ უნდოდა, რომ ავგუსტი ბრძოლის ველზე წასულიყო, იმავე საათიდან ყველაფერი იღონა, რომ ხელი შეეშალა მისი წასვლისთვის. მან მიმართა მინისტრ ფონ ფოიგტს, თვით მის უგანათლებულებლობას ჰერცოგს. მისდამი გაგზავნილ წერილებს, რომელთა შინაარსი ავგუსტისგან გავიგეთ, სხვაგვარად არ შეიძლება უწოდო, თუ არა «ტასოსებური».

ისინი სასოწარკვეთილ და უზომოდ გადაჭარბებას გამოხატავდნენ ამ მისი მეორე «მეს» გამო. შვილის დანაკლისი, წერდა იგი, უცხო პირის იძულებით შეჭრა მისი

კორესპონდენციის, მისი შემოქმედების შინაგან სიღრმეებში, მის ყველა ურთიერთობაში, მდგომარეობას აუტანელს გახდიდა, თვით მის არსებობასაც შეუძლებელს ყოფდა. ეს მეტისმეტი იყო, მაგრამ მან სასწორზე დადო თავისი არსებობა, თავისი ძლიერი არსებობა, და სასწორის პინამ ამის გამო ძალიან დაიწია ძირს, ხოლო მინისტრმა და ჰერცოგმა არ დააყოვნეს მისი სურვილის შესრულება. მაგრამ არა პირდაპირ, ისე რომ ავგუსტის სახელი მოხალისეთა სიიდან არ ამოუშლიათ – ეს ხომ მის ღირსებას შეურაცხყოფდა. ფოიგტმა წინადადება მისცა, ხოლო მისმა უგანათლებულესობამ

დამცინავი ღიმილით დაუდასტურა ავგუსტის დამთმობლობისა და ხათრიანობის გამო. შეთანხმდნენ, რომ ახალგაზრდა ბატონი ჯერ კამერალურ მრჩევლად რიულმანთან ერთად ფრანკფურტს გაემგზავრებოდა მოკავშირეთა მთავარ შტაბბინაზე მოხალისეთა სურსათ-სანოვაგით მომარაგების სახსრების თაობაზე მოსალაპარაკებლად, ხოლო იქიდან უკან დაბრუნებული მოხალისეთა ნომინალური შეფის მემკვიდრე უფლისწულის კარლ ფრიდრიხის ასეთივე ნომინალური ადიუტანტის სამსახურში ჩადგებოდა და თავისი მამის განკარგულებაში დარჩებოდა.

ასეც მოხდა, – და მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა! ახალი წლისთვის ავგუსტი ფრანკფურტს გაემგზავრა, ოღონდ კი ვაიმარში არ ყოფილიყო იმ დღეს – თოთხმეტი წლის იანვრის დამლევს, – როცა მისი წოდების მეგობრები, ქვეითი და ცხენოსანი ეგერები, ფიცს დებდნენ ქალაქის ეკლესიაში; მაგრამ მათი ფლანდრიისკენ გალაშქრებიდან ერთი კვირის შემდეგ იგი დაბრუნდა, რათა უფლისწულთან ადიუტანტის სამსახურში ჩამდგარიყო. მასავით ეგერის მუნდირი ჩაიცვა, რასაც მისი მამა «საყვირის ხმაზე ადევნებას» ეძახდა. «ჩემი ძე საყვირის ხმას აედევნაო», – აცხადებდა იგი და თავი ისე ეჭირა,

თითქოს ყველაფერი სრულ წესრიგში ყოფილიყოს. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო. ყველა მხრებს იჩეჩდა იმის გამო, რომ ოცდაოთხი წლის ჭაბუკი შინ დარჩა, და ყოველი ადამიანი კიცხავდა ისეთ მამას, რომელიც არა მარტო თვითონ არ იზიარებდა გერმანელი ხალხის ახალ პატრიოტულ ცხოვრებას, არამედ შვილსაც აიძულებდა განდგომას და ჩამოცილებას. წინასწარ ნათელი იყო, როგორ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ავგუსტი თავისი მეგობრების წინაშე, რომლებიც თავად ეწერებოდნენ მოხალისეებად და ვაჟკაცურად

ხვდებოდნენ ხიფათს. ისინი ხომ დაბრუნდებიან, მისი სამსახურისა და ცხოვრების მეგობრებად მიჩნეულნი. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ავგუსტსა და მათ შორის წმინდა ურთიერთობა? მიაგებენ მას ყურადღებასა და პატივისცემას, მოისურვებენ მასთან მეგობრობას? ჰაერში ტრიალებდა სიმბდალის გამო საყვედურისა და ბრალდების სიტყვები. აქ მე უნდა ჩავურთო გრძნობის ბრძმედში გამოტარებული სამდურავი ცხოვრების უსამართლობაზე იმის გამო, რომ ერთს ეს იოლად და ბუნებრივად გამოსდის, მეორეს კი არაბუნებრივად ეთვლება და ბედისწერა რისხვასა და შურისგებას დაატეხს თავს, – ეს, რა თქმა უნდა, ადამიანთა სხვადასხვაგვარობასა და იმას ემყარება, რომ ღრმა პიროვნული საფუძვლებიდან, ჩვენს ზნეობრივ და ესთეტიკურ მსჯელობას რომ განსაზღვრავენ, ერთს არასგზით არ ჩაუთვლიან მართებულად იმას, რასაც სხვას სამართლიანად შეურაცხავენ, ყოველ შემთხვევაში ერთს მტანჯველ დამახინჯებად მოევიწიება ის, რაც მეორეს სრულიად შესაფერად, გასაგებად ჩაეთვლება. მე მყავს ძმა, პატივცემულო ქალბატონო, სახელად არტური, – იგი ახალგაზრდა მეცნიერია, ფილოსოფოსი. ბავშვობიდანვე, მართალია, არამოწოდებისამებრ, მას სავაჭრო საქმისთვის ამზადებდნენ და ამიტომ ბევრი რამ, რაც გამორჩა, უნდა შეევესო. გაკვრით უკვე მოგახსენეთ, რომ იგი ბერძნულ ენას სწავლობდა დოქტორ პასოვთან. ჭკვიანი თავია უეჭველად, თუმცა ცოტა გაბოროტებით მსჯელობს სამყაროსა და ადამიანებზე. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ყველაზე მეტად თავის თავს თვითონ უწინასწარმეტყველებს დიდ მომავალს. და აი, ეს ჩემი ძმაც იმ თაობის იყო, მეცნიერება რომ მიატოვა, რათა მამულისთვის ბრძოლაში გადაშვებულყო. მაგრამ კაციშვილი ამას მისგან არ მოელოდა, არც არავინ ფიქრობდა, რომ მას ამის ჩადენა შეეძლო, იმ განსაკუთრებული მიზეზით, რომ ვინც ყველაზე ნაკლებ, ყველაზე ნაკლებ კი არა, სულ არ ფიქრობდა ამაზე, ეს სწორედ არტურ შოპენჰაუერი[151] გახლდათ. მან ფული მისცა მოხალისეთა აღსაჭურად; მათთან ერთად ლაშქრად წასვლა საერთოდ ფიქრადაც არ მოსვლია, მან უდიდესი ბუნებრიობით გადაულოცა ეს ადამიანთა ისეთ მოდგმას, რომელთაც ის «ბუნების ფაბრიკულ საქონელს» უწოდებდა. და ეს არც არავის გაკვირვებია. ადამიანებიც მის საქციელს სრული გულგრილობით შეხვდნენ, რაც არაფრით განსხვავდებოდა მოწონებისგან, და არასოდეს ასე ნათელი არ

გამხდარა ჩემთვის, რომ ჩვენ მხოლოდ ის მოგვწონს, რაც ზნეობრივად, ესთეტიკურად გვამშვიდებს, – ჰარმონია, თანხმობა.

ავგუსტის სწორედ ამგვარივე საქციელის გამო სკანდალურ ცხვირის აბზუებას და ათვალწუნებას ბოლო არ უჩანდა. ახლაც მესმის ჩვენი საყვარელი ფონ შტაინის სიტყვები: «გოეთემ თავისი ვაჟი არ გაუშვა მოხალისეებთან! რას იტყვით ამაზე? ამ წოდების ერთადერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც შინ დარჩა!» ახლაც ჩამესმის ფრაუ შილერის სიტყვები: «ამქვეყნად არაფრის გულისთვის არ დავუშლიდი ჩემს კარლს ლაშქრად წასვლას! მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი არსება შეირყეოდა, გატყდებოდა, – ბიჭი მელანქოლიაში ჩამივარდებოდა, სევდასა და კაემანს გადაჰყვებოდა». – მელანქოლიაო! და განა ჩვენი საწყალი მეგობარი მელანქოლიური არ გახდა? ის ყოველთვის ასეთი იყო. მაგრამ ამ ბედშავი წუთებიდან მისი საბრალო სულის დაღვრემილობა და სევდიანობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ისეთი ფორმები მიიღო, რომ მის ბუნებაში მუდამ ჩამარხულმა გამანადგურებელმა მიდრეკილებებმა გარეთ გამოხეთქა: უზომო ღვინის ტრფიალი, ცუდი ყოფაქცევის ქალებთან (მეშინია, თქვენი ყური არ შეურაცხვეყო!) ურთიერთობა; რადგან მის საჭიროებას ამ თვალსაზრისით ის მუდამ ძლიერ განიცდიდა, რის გამოც წმინდა სულში უნებურად იჭრებოდა საკითხი, როგორ უთავსდებოდა ამ პირქუმობას მის ჩრდილში დაფარული სიყვარული ოტილიეს მიმართ. რაკი მეკითხებით, – უკითხავად კი შევყოყმანდებოდი, ამაზე ჩემი აზრი გამომეთქვა, – ამ თავაშვებულობაში იმალებოდა სურვილი, თავისი მამაკაცური ღირსება, რაშიც საზოგადოებას ეჭვი შეჰქონდა, დაემტკიცებინა სხვა, რასაკვირველია, ნაკლებ კეთილშობილურ ასპარეზზე.

ყოველივე ამის გამო ფრიად რთული გრძნობებით გავიმსჭვალე, თუ უფლება მაქვს მათ შესახებ ვილაპარაკო. ჩემს გულში თანაღმობა და ზიზღი ერთმანეთს ებრძოდნენ

ავგუსტის თაობაზე. მისი დიდებული მამისადმი თაყვანისცემას ჩემს გულში, ისე როგორც, ცხადია, ბევრის გულში, ებრძოდა კიცხვა იმ დროისთვის უცხო აკრძალვის გამო, რაც მან მეტისმეტად მორჩილ შვილს დააკისრა, რათა თავისი თაობის დიდ ლაშქრობას არ გაჰყოლოდა. მაგრამ ყოველივე ამას იდუმალ შეერეოდა ხოლმე იმედი, რომ ავგუსტის სამარცხვინო როლი, მისი შერყეული ავტორიტეტი,

მთელ ქალაქში ცნობილი მისი თავშეუკავებლობა ჩემს საყვარელ გოგონას გრძნობას გაუუცხოებდა, გულს აუყრიდა. მეგონა დარდსა და ნაღველს განმიქარებდა, თუ ამ შეუფერებელ, ხიფათით სავსე ურთიერთობაზე ოტილიე უარს იტყოდა, კავშირს გაწყვეტდა ყმაწვილკაცთან, რომლის საქციელი ესოდენ ძლიერ ეწინააღმდეგებოდა ქალის უწმინდეს მრწამსს, და რომელთან ურთიერთობა იმჟამად ეგზომ საექვო პატივს წარმოადგენდა. – ჩემო უძვირფასესო ქალბატონო, – ეს იმედი არ ამიხდა. ოტილიე, პატრიოტი ქალი, ფერდინანდ ჰაინკეს თაყვანისმცემელი, ავგუსტის მხარეს იყო, ქალი მაგრად ებლაუჭებოდა მასთან მეგობრობას, ყველაფერს აპატიებდა, კიდევ მეტი, საზოგადოებაში იცავდა ვაჟს, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა. თუ ვინმე მასზე აუგს ეტყოდა, ქალი ან უარს ამბობდა და არ იჯერებდა, ანდა დიდსულოვნად განმარტავდა რომანტიკული სევდიანობის, დემონურობის თვალსაზრისით, მის მხსნელად კი ეს საყვარელი გოგონა თავის თავს თვლიდა. «ადელე, – მეტყოდა ხოლმე იგი, – დამიჯერე, ცუდი არ არის ის, არასგზით, რაც უნდა ლანძღონ ადამიანებმა! მე მძულს ისინი და მხოლოდ ის მინდა, რომ ავგუსტმაც ეს სიძულვილი გაიზიაროს, – მაშინ კი ავსიტყვაობისთვის მათ ნაკლებ საკენკს მისცემდა. გულცივ, დამცინავ ადამიანებსა და მარტოსულს შორის ბრძოლაში შენს ოტილიეს მუდამ განმარტოებულის მხარეს ნახავ. განა შეიძლება ეჭვი შეიტანო, რომ ასეთი მამის შვილი სულის სიღრმეში კეთილშობილია? გარდა ამისა, მე ხომ მას ვუყვარვარ, ადელე, და, ხედავ, ამ სიყვარულით დავალებული ვარ. მე ბედნიერი ვიყავი – ჩვენ დიდი ბედნიერება გვხვდა წილად ფერდინანდის გაცნობით, და ახლაც, როდესაც ამ ბედნიერებას ვიგონებ, არ შემიძლია გვერდი ავუარო იმას, რომ ავგუსტის წინაშე ვალში ვარ, ამ ვალის მოხდას მისი ქუფრი მზერა შემახსენებს. დიახ, მე ვალი მაღვეს მისი! და თუ მართალია ის, რასაც მასზე მის ზურგს უკან ლაპარაკობენ და რის გამოც ძრწოლა შემიპყრობს ხოლმე, – ხომ არ არის ჩემი მიზეზით გამოწვეული სასოწარკვეთილება, მას ამ გზისკენ რომ უბიძგებს? რადგან, ადელე, სანამ ჩემი სჯეროდა, ხომ გახსოვს, ის სულ სხვაგვარი იყო!»

არაერთგზის უთქვამს მას ეს ჩემთვის, და აქაც ჩემი გრძნობები გაორებული და წინააღმდეგობრივი იყო. რადგან გულს მტკენდა, როცა ვხედავდი, რომ მას არ შეეძლო იმ უბედურს ჩამოსცილებოდა, და მის სულში ანკესივით ჩარჭობილიყო

აზრი, რომ ვაჟის დიდებული მამის სურვილით სამარადისოდ ეკუთვნოდა მას. მაგრამ მისი სიტყვები კვლავ ტკბილი ნუგეშითა და ზნეობრივი სიმშვიდით მსჭვალავდა ჩემს გულს, რადგან, თუ მისი პრუსიული სულისკვეთება, მისი მეზრძოლი პატრიოტული გრძნობა ზოგჯერ იდუმალ შიშს აღძრავდა ჩემს გულში და მაიძულებდა მეფიქრა, რომ ამ ნაზსა და ნათელ სხეულში უხეში, ბარბაროსული სული ბინადრობდა. სამაგიეროდ, მისი დამოკიდებულება ავგუსტთან, მისი სინდისის ქენჯნა ჩვენი ჰაინკეს მშვენიერი, უბრალო გმირული სახისადმი წმინდა მიდრეკილების გამო, კვლავ მაუწყებდა მისი სულის სათუთ აღნაგობას, და მე კიდევ უფრო გულით შევიყვარე ჩემი მეგობარი ქალი, რის გამოც ჩემი საფიქრალი და საზრუნავი, რასაკვირველია, გაორმაგდა.

თოთხმეტი წლის მაისში ავგუსტის ბედუკუდმართობამ მწვერვალს მიაღწია. ლაშქრობა დამთავრდა, პარიზი დაიპყრეს, და თვის ოცდაერთს ვაიმარელი მოხალისენი, რომელთაც სამშობლოს წინაშე მაინცდამაინც დიდი დამსახურება არ მიუძღოდათ, დიდებითა და სახელით, დიდი ზარ-ზეიმით შინ დაბრუნდნენ. ამ წუთების გამო მუდამ შიშს განვიცდიდი, და აი, ჩემი ეჭვები გამართლდა. ეს ბატონები არ ერიდებოდნენ და შინ დარჩენილ ტოლ-სწორ მეგობარს დაუფარავად და ულმობლად დასცინოდნენ და ქირდავდნენ. ამ შემთხვევამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, თუ რა ცოტა რამეს ნიშნავდა ჩემი გადაჭარბებული რწმენა იმ გრძნობათა სიმართლეში, რომლითაც ადამიანები თავიანთი საქციელის დასაბუთებას ცდილობენ. ისინი თავისით კი არ მოქმედებენ, არამედ გარემოებისდა კვალობაზე, რასაც მათ უკარნახებთ განსაზღვრული, პირობითი ქცევის მანერა. ულმობლობა ნებადართულია სიტუაციით – მით უკეთესი. ისინი დაუფიქრებლად და მთლიანად იყენებენ ამ ნებართვას. ისე უხვად ხმარობენ, რომ შეიძლება არც კი დაეჭვდეს კაცი: ადამიანთა უმრავლესობა იმას ელოდება, რომ ბოლოს, ერთხელაც იქნება, გარემოებანი გზას გაუხსნიან მათ სიტლანქესა და ულმობლობას და ნებას მისცემენ მხეცობით გული იჯერონ. ავგუსტი მიამიტობისა თუ სიჯიუტის გამო მეგობრებს მოხალისე ეგერთა ფორმით შეეგება, რაც სრულიად უპრიანი იყო და შეშვენოდა მას, უფლისწულის საპატიო უმაღლესობის ადიუტანტს, მაგრამ სწორედ ამით გამოიწვია მან – ესეც გასაგებია – მეზრძოლთა დაცინვა,

გულისმომწყვლელი შეურაცხყოფა, ტყუილად როდი შეთხზა თეოდორ კორნერმა:

«ფუი, დამიხეთ ყმაწვილსა, ღუმელთან თბილად მჯდომარეს,

ფარისეველს და პირმოთნეს, მოახლის გვერდში მწოლარეს! ამ

უსინდისო თაღლითსა, მშიშარასა და მცონარეს!»

ლექსი მართლაც ზედგამოჭრილი იყო და საკმაოდ ხმამაღლად წარმოთქვამდნენ ხოლმე, მეტადრე თავი გამოიღო როტმისტრმა ფონ ვერტერნ-ვისემ, რათა ამ ხელსაყრელ სიტუაციაში ეს ველურობა უკიდურესად გაემწვავებინა. მან გადაკრული სიტყვა თქვა ავგუსტის წარმოშობასა და სისხლის თაობაზე, რაც, ასე ამბობდა იგი, მის მხდალსა და არარაინდულ საქციელს საკმაოდ კარგად ააშკარავებდა. ჰერ ფონ გოეთემ თავისი ჯერ უხმარი ხმალი იმიშვლა და შეუტია, მაგრამ მას ხელი უტაცეს და გააზავეს. ამ ამბის შედეგი ის იყო, რომ დუელში გამოიწვია ფრიად მძიმე პირობებში.

ამ დროს საიდუმლო მრჩეველი აქვე ახლოს, ბერკაში, აბაზანებს იღებდა და «ეპიმენიდეს» წერდა. ბერლინის ინტენდანტი იფლანდისგან წინადადება მიიღო დაეწერა საზეიმო წარმოდგენა პრუსიის მეფის დაბრუნების გამო. ეს დაკვეთა მან იმდენად საპატიოდ და მიმზიდველად მიიჩნია, რომ სხვა პოეტური საქმეები გვერდზე გადადო, რათა წამოეწყო თავისი მრავალმნიშვნელოვანი და იშვიათი, მსოფლიოს ყველა საზეიმო წარმოდგენისგან ესოდენ განსხვავებული, უადრესად პიროვნული, შვიდგზის ძილის მომგვრელი ალეგორია. «მრცხვენია განცხრომის საათთა გამო», – თხზავდა იგი, და შემდეგ: «უფსკრულში უნდა ჩაინთქას ისევ». ამ დროს მოუვიდა ერთი თაყვანისმცემელი ქალის, სასახლის კარის ქალბატონის, ფონ ვედელის წერილი, რომელშიც იგი ატყობინებდა ავგუსტის მდგომარეობას, როტმისტრთან შეტაკებას და აფრთხილებდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას. დიდებულმა მამამ მაშინვე ყველაფერი იღონა. გამოიყენა თავისი კავშირურთიერთობანი, თავისი დიდი გავლენა, რათა ვაჟიშვილი დუელისგან ეხსნა, ისე როგორც იხსნა ომში წასვლისგან; რამდენადაც მე მას ვიცნობ, ავგუსტის სიცოცხლისთვის ზრუნვის გარდა, ერთგვარ კმაყოფილებას ანიჭებდა, სიხარულს ჰგვრიდა არისტოკრატიული გამორჩეულობა, დახვეწილი უსამართლობა. მან სთხოვა იმავე

ქალს, რომელმაც გააფრთხილა, რომ შუამდგომლობა ეკისრა; თვითონ კი პირველ მინისტრს წერილი მისწერა. დიდი თანამდებობის მოხელე, საიდუმლო მრჩეველი ფონ მიულერი ბერკას ეწვია. მოლაპარაკებაში მემკვიდრე უფლისწული და თვით ჰერცოგიც კი ჩაერია. როტმისტრი იძულებული შეიქნა ბოდიში მოეხადა, ჩხუბი ჩაცხრა. უმაღლესი თანამდებობის პირთა მფარველობით ავგუსტი ხელშეუხებელი იყო. გამკილავი ხმები მიყუჩდა, მაგრამ არ დადუმებულა: ორთაბრძოლამ, რომელიც არ შედგა, კიდევ უფრო გაამწვავა საერთო უპატივცემულობა მისი ვაჟკაცური ღირსებისადმი. მხრებს იჩეჩდნენ, თავს არიდებდნენ, მასა და მეგობრებს შორის უშუალო გულითად ურთიერთობაზე ხომ ამიერიდან ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. და თუმცა ჰერ ფონ ვერტერნს თავისი წინდაუხედავი გადაკრული სიტყვის გამო დიდ კაცთაგან წკიპურტი მოხვდა, დილეგშიც ჩასვეს, მაგრამ ავგუსტის უკანონოდ გაჩენის აზრმა, აზრმა იმის შესახებ, რომ იგი სისხლით ნახევრად მდაბიოთაგანი გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაც თითქმის დავიწყებული იყო, უფრო მძლავრად იჩინა თავი ადამიანთა ცნობიერებაში და მისი ქცევის კიცხვისა და ძრახვის საგანი გახდა. გაიძახოდნენ: «შეხეთ, სად იჩინა თავი!» «აბა, მაგისგან რას უნდა მოელოდეთ?» აქ, რასაკვირველია, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქალბატონი საიდუმლო მრჩეველის მეუღლე თავისი ყოფაქცევით ნაკლებად უწევდა ანგარიშს დროების მკაცრ სერიოზულობას და თავისი დაუცხრომელი სიამოვნების წყურვილით მუდამ უხვ მასალას აძლევდა ხალხს მითქმა-მოთქმისთვის, თუმცა არც ისე ბოროტს, მაგრამ მაინც დამცინავსა და უღირსს.

ბოლოს ყოველივე ეს ლაპარაკობდა ოტილიეს პირქუში თაყვანისმცემლის პატივმოყვარეობაზე, რაკი ასე ღრმად და მტკივნეულად განიცდიდა მისი გული ამ საქმეს, თუმცა ამას ჩვენ ის უცნაური, არაპირდაპირი გზით გვაგებინებდა: სახელდობრ, დამარცხებული გმირის, კუნძულ ელბის ტუსადის სულ უფრო მეტად გახელებული, ვნებიანი, გაჯიუტებული თაყვანისცემით. ცხადია, თავის სიჯიუტესა და სიამაყეს მისდამი ფანატიკურ ერთგულებასა და იმ «განდგომილთა» სიძულვილში ეძიებდა, რომელთაც არც კი სურდათ გაეხსენებინათ, რომ სულ ცოტა ხნის წინ სწორედ მათ აქციეს ნაპოლეონის დღე წლის უდიდეს ზეიმად; გასაგებიც

არის. განა იგი მასთან ერთად და მისთვის არ იტანჯებოდა? განა დაცინვასა და სირცხვილს არ იტანდა იმის გამო, რომ სხვებთან ერთად მის წინააღმდეგ სალაშქროდ არ წასულა? თავისი მამის წინაშე, რომელიც მასის განწყობილებასა და იმ დღის მოდაზე მაღლა იდგა, შეეძლო აშკარად გამოეხატა თავისი

ნაღველი შელახული პატივმოყვარეობის გამო იმპერატორისადმი აღტყინებული ერთგულების ფორმით; მაგრამ ის ამით ჩვენთანაც თავს იწონებდა, ამასთან უტაქტოდ და ჯიუტი გატაცებით, არად აგდებდა იმას, რომ ასეთი სიტყვებით ოტილიეს გრძნობებს ფეხით ქელავდა. ამით ავგუსტი თავის თავს შვებას აძლევდა, იმას კი სულ არ ნაღვლობდა, სხვას თუ ტკივილს აყენებდა. იქნებ ეს აგულიანებდა კიდევ. ოტილიე მის ეგოისტურ ექსცესებს მოთმინებით იტანდა, ლამაზი თვალეები ცრემლებით ევსებოდა. ამიტომ მეგონა, რომ ჩემს იდუმალ სურვილებს აღსრულება ელოდა. დაუჯერებელი იყო, რომ ჩემი მეგობარი ქალის ესოდენ სათუთი და პატიოსანი გრძნობა ავგუსტის უდიერ მოპყრობას დიდხანს გაუძლებდა, მით უმეტეს, რომ ნაპოლეონისადმი მის შმაგ კულტს უკან კიდევ რაღაც იმალებოდა, ან ძლივსღა იმალებოდა; დროდადრო ინიღბებოდა, მაგრამ კვლავ შიშვლდებოდა, – კერძოდ, კვლავ თავს იჩენდა ეჭვი ახალგაზრდა ჰაინკესადმი, რომელიც ისევე ჩვენ შორის იმყოფებოდა და რომელსაც ავგუსტი ჩვენი თანდასწრებით მუდამ დასცინოდა როგორც ტევტონელის არქიტისს,

ბარბაროსობას რომ შეჰკვრია და ახალი კეისრის კონტინენტალურ მხსნელ გეგმას ბრიყვულად შეჰბმია.

დიახ, ჩვენ მიერ ნაპოვნი ჭაბუკი კვლავ ვაიმარში იყო, – ზუსტად რომ ვთქვათ, უკვე მეორედ იმყოფებოდა აქ.

ლაიფციგის ბრძოლის შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში იყო ჩვენს ქალაქში, პრუსიის სარდალს ახლდა ადიუტანტად, კვლავაც საზოგადოებაში ტრიალებდა და

საყოველთაო სიყვარულითა და გულთბილი დამოკიდებულებით ხარობდა. ახლა, პარიზის დაცემის შემდეგ,

საფრანგეთიდან დაბრუნდა, რკინის ჯვრით მკერდდამშვენებული. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, ამ წმინდა ნიშანს რომ ვხედავდით დიდებული ჭაბუკის მკერდზე, ამან ჩვენი ქალწულებრივი გრძნობები, მეტადრე ოტილიესი, სიხარულით აღანთო. მაგრამ ამ ჩვენს გრძნობებს, ცოტა არ იყოს, ანელებდა მისი ზომიერი, ნათელი და

მეგობრული, მუდამ მაღლიერების გრძნობით გამსჭვალული, რამდენადმე თავდაჭერილი ქცევა, რასაც ის ჩვენდამი ესოდენ გულმოდგინედ ამჟღავნებდა ხშირად ერთად ყოფნის დროს და რაც სულ არ ეთანხმებოდა იმ გრძნობებს, – ამას გულახდილად ვაღიარებდით, – ჩვენ რომ მისდამი ვიჩენდით. მალე გამოჩნდა ამის ბუნებრივი დასასრული, რამაც – ამაში უნდა გამოგიტყდეთ, – რამდენადმე გამოგვაფხიზლა. ფერდინანდმა გაგვიმხილა ის, რასაც აქამდე რაღაც მოსაზრებით გვიმაღავდა და ახლა თავის მოვალეობად ჩათვალა გაემხილა: თავის სამშობლოში, პრუსიის სილეზიაში საყვარელი საპატარძლო ელოდებოდა, რომლის სახლში მიყვანას სულ მალე აპირებდა.

გასაგები უნდა იყოს ჩვენი ოდნავი შეცბუნება. მე არ ვლაპარაკობ ტკივილზე, გულის გატეხაზე – ასეთი გრძნობები არ შეიძლებოდა გვქონოდა; მისდამი ჩვენს დამოკიდებულებაში იყო იდეალური აღფრთოვანება და აღტაცება, რაშიც ეგების ერია ერთგვარი მიჩემების შეგნებაც მისი ღირსსაზრუნველი პიროვნებისადმი, რაკი ჩვენ მისი მხსნელები ვიყავით. ჩვენთვის ის განსახიერება უფრო იყო, ვიდრე პიროვნება, თუმცა ამ ორ ცნებას ყოველთვის ვერ დააცილებ ერთიმეორეს, რამეთუ საფიქრალია, რომ საბოლოოდ პიროვნების თვისებები აქცევს პიროვნებას განსახიერებად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გრძნობები ახალგაზრდა გმირისადმი, – ანუ, უკეთ, ოტილიეს გრძნობები, რადგან მე აქ სამართლიანად უკან დავიხიე, – არასოდეს არ შეიძლებოდა დაჰკავშირებოდა კონკრეტულ იმედებსა და სურვილებს, ვინაიდან ფერდინანდის მდაბიო წარმომავლობის გამო ასეთი გრძნობები ვერც წარმოიშობოდა, – ფერდინანდი ხომ ბეწვეულით მოვაჭრის შვილი იყო. ხანდახან ვფიქრობდი, რომ ასეთი წოდებრივი თვალსაზრისით მე უფრო შეიძლებოდა ასეთი აზრები მომსვლოდა თავში; დიახ, სისუსტის ჟამს ვოცნებობდი იმაზე, რომ ჩემი მეგობარი ქალის მომჯადოებელი სილამაზე, ვინც მისთვის ესოდენ მიუღწეველი იყო, ჩემს ულამაზობას მიემშველებოდა, შეავსებდა და ჭაბუკს ჩემზე დააქორწინებდა, მაგრამ ჩავუფიქრდებოდი თუ არა იმ საშინელ საფრთხეს, რაც ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რასაკვირველია, შეძრწუნებული მაშინვე თავიდან ვიშორებდი ამ აზრს, თუმცა უამისოდაც, ვფიქრობ, არ იქნებოდა ერთგვარ ბელეტრისტულ ინტერესს მოკლებული, რადგან ჩემს თავს ვეტყვოდი ხოლმე, რომ ჩემი ოცნებანი ღირსი იყო იმისა, თვით

გოეთესაც კი გაეხადა უნაზესი ზნეობრივ-გრძნობიერი გამოსახვის საგნად.

მოკლედ, არავითარი იმედის გაცრეება არ ყოფილა, არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ სულ ოდნავაც გვეგრძნო ან ნება მიგვეცა ჩვენი თავისთვის გვეფიქრა, რომ ჩვენმა სანუკვარმა ადამიანმა გვიღალატა! გულითადი თანაგრძნობით შევხვდით მის აღსარებას და ბედნიერებაც ვუსურვეთ, ოდნავ დარცხვნილი და შეცბუნებულად კი ვიყავით იმის გამო, რომ ამდენ ხანს დაგვინდო და არაფერი გვითხრა, თუმცა ამ არცოდნას კიდევ სიამოვნებით გავიგრძელებდით, რადგან ერთგვარი დაბნეულობა და გაკვირვება, ნახევრად გამხელილი სინანული უკავშირდებოდა იმის გაგებას, რომ ფერდინანდი უკვე სხვისი საქმრო იყო. გაიფანტა გაურკვეველობა, გაურკვეველი ოცნება და იმედი, რაც ესოდენ სანუკვარს ხდიდა ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას მასთან. თუმცა აშკარად არ შევთანხმებულვართ, თითქოს საიდუმლო შეთქმულებით, ვცდილობდით ეს სუსტი უსიამოვნო გრძნობა თავიდან მოგვეცილებინა, და გადავწყვიტეთ მისი საპატარძლო ჩვენი პატივისცემის, ჩვენი ზმანებების სამეფოში შემოგვეყვანა, რაც ამიერიდან გმირი ჭაბუკისა და მისი დაწინდული ქალის ორმაგ კულტად იქცა. მისი საცოლის, ამ გერმანელი ქალიშვილის ღირსებებში ეჭვიც არ გვეპარებოდა. ის ხან თუსნელდას[152] სახით წარმოგვიდგებოდა, ხან კი უფრო გოეთეს დოროთეად, [153] ოლონდ, რა თქმა უნდა, ცისფერთვალეა და არა შავთვალეა გოგონად.

რით უნდა ავხსნა ის გარემოება, რომ ჰაინკეს დაწინდვას ისევე ვუმალავდით ავგუსტს, როგორც თვით იგი გვიმალავდა ჩვენ? ოტილიეს ასე სურდა და მიზეზზეც აღარ ვლაპარაკობდით. უნდა გითხრათ, ეს მე მაკვირვებდა, რადგან ოტილიე ხომ თავს დამნაშავედ გრძნობდა თავისი კაემნიანი თაყვანისმცემლის წინაშე ახალგაზრდა მებრძოლისადმი მამულიშვილური მიდრეკილების გამო, ეს მიდრეკილება, საზოგადოებრივ გარემოებებზეც რომ არაფერი ვთქვათ, მისთვის არავითარ ხიფათს არ შეიცავდა, შეიძლებოდა უმიზნოდ და უიმედოდაც კი მიგვეჩნია, მაგრამ ქალმა არ ისურვა ავგუსტისთვის ეს შეეტყობინებინა, თუმცა ეს ამბავი ავგუსტს უთუოდ დაამშვიდებდა და ვინ იცის, ეგებ ფერდინანდისადმი გულგრილადაც შეეხედა და მეგობრულადაც განეწყო. მეც დავყევი ოტილიეს ნებას და დანაწესს. კამერასესორის შური,

გამქირდავი ლაპარაკი, გესლიანი თავდასხმები ფერდინანდზე ნუგეშს იმსახურებდა; მაგრამ მოწონებას – არა! მერე კიდევ, ვფიქრობდი: მისი გაღიზიანება ერთ დღეს ძალიან შორს ხომ არ წავიდოდა და ოტილიეს მუდმივი შეურაცხყოფის გრძნობა საბოლოოდ განხეთქილებამდე ხომ არ მიიყვანდა: რასაც ჩუმ-ჩუმად ვნატრობდი მისი სულის ხსნისათვის!

ასეც მოხდა, ჩემო სათაყვანებლო ქალბატონო. პირველად, მართალია, ძალიან მოკლე ხნით, ყველაფერი ჩემი იდუმალი სურვილების მიხედვით მიდიოდა. ჰერ ფონ გოეთესთან ჩვენი შეხვედრები სულ უფრო მძიმე, დაძაბული, უსიამოვნო ჩხუბის ხასიათს იღებდა; სცენა სცენას მოსდევდა; ავგუსტი, დაღვრემილი და დატანჯული, ნირწამხდარი იმის გამო, რომ ცილი დასწამეს, სახელი გაუტეხეს, უნუგეშო ეჭვიანობით შეპყრობილი, არ იღლებოდა, ჩივილითა და საყვედურებით გვავესებდა, რომ ჩვენ ვულვალატეთ მის მეგობრობას და რეგვენ ბრიყვზე, ნამდვილ ყეყეჩ გერმანელ მიქელზე გავცვალებთ. ოტილიემ, რასაკვირველია, მაინც არაფერი უთხრა ჰაინკეს სილუზიურ ვითარებაზე, შეურაცხყოფილი თავისი ერთგულების გამო, იგი ჩემს კისერზე ხელებშემოჭდობილი ცრემლად იღვრებოდა, და ბოლოს განხეთქილებამაც იფეთქა, რომელშიც, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე, პოლიტიკური და პირადული ერთმანეთში აირია: ერთხელ, ნაშუადღევს გრაფინია ჰენკელის ბაღში ავგუსტი კვლავ გაშმაგებით მოჰყვა ნაპოლეონის ქება-დიდებას, თან თავისი მოწინააღმდეგის მისამართით წარმოთქმულ დამამცირებელ სიტყვებში აშკარად ფერდინანდი ჰყავდა ნიშანში ამოღებული. ოტილიე შეეპასუხა, გასაქანი მისცა თავის სიძულვილს ხალხთა უბედურების მომტანი ტირანისადმი, ხოლო მის წინააღმდეგ აღმდგარ სახელოვან ახალგაზრდობას თავის მხრივაც მთლად ჩვენი გმირის ნიშან-თვისებები მიანიჭა; მეც კვერს ვუკრავდი; ბრაზისგან გაფითრებულმა ავგუსტმა ყრუ ხმით განაცხადა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა, რომ იგი აღარ გვცნობს, ამიერიდან ჩვენ მისთვის აღარ ვარსებობთ, და განრისხებულმა დატოვა ბაღი.

მე თუმცა შევძრწუნდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ჩემს სანატრელ მიზანთან ახლოს ვიყავი. ოტილიესაც გავანდე გულისნადები. მთელ ჩემს მჭევრმეტყველებას მოვუხმე და შევეცადე მენუგეშებინა ჰერ ფონ გოეთესთან კავშირის გაწყვეტის გამო, ვარწმუნებდი, რომ მასთან ურთიერთობა

არასოდეს კარგს არაფერს მოუტანდა. მაგრამ ეს ჩემთვის ადვილი სათქმელი იყო. ჩემი საყვარელი გოგონა კი საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და გამოუთქმელი სიბრაღულით მავსებდა. აბა, ერთი იფიქრეთ! ახალგაზრდა, მას რომ აღტყინებით უყვარდა, სხვას ეკუთვნოდა, ხოლო მეორემ, ვისთვისაც მზად იყო ხსნის იმედით გატაცების მშვენიერ წუთებში მსხვერპლად მიეტანა თავისი სიცოცხლე, ზურგი შეაქცია მას შემდეგ, რაც უხეში სიტყვებით მისი მეგობრობა ფერხთა წინაშე მიუგდო. მაგრამ ბედმა ეს როდი აკმარა. როდესაც ყველასგან მიტოვებული გოგონა დედას მკერდზე მიეყრდნო და თავისი დარდი გაანდო, შეღალადა მის გულს, რომელმაც თავადაც ახლახან საშინელი იმედგაცრუება განიცადა და თავის მხრივ მასაც ნუგეში სჭირდებოდა, ძალა

აღარ შესწევდა მხარში ამოსდგომოდა. ავგუსტთან დამამცირებელი ჩხუბის შემდეგ, ჩემი რჩევით, ოტილიე რამდენიმე კვირით თავის ნათესავებთან გაემგზავრა დესაუში, მაგრამ შიკრიკი ფეხდაფეხ დაადევნეს, უკან გამოიხმეს და ისიც იძულებული გახდა, კისრისტეხით შინ დაბრუნებულიყო. შემადრწუნებელი რამ მოხდა. გრაფმა ედლინგმა,[154] ოჯახის სათუთმა მეგობარმა და მეურვემ, მამიკოს მონაცვლემ, საჰერცოგოს უმშვენიერესმა მამაკაცმა, რომლის ხელის თხოვნასა და დანიშვნის წინადადებას ფრაუ პოგვიში ასე გულდაჯერებით მოელოდა და საამისო საფუძველიც ჰქონდა, უცბად, ისე რომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმ იმედების თაობაზე, მან რომ ქალბატონს აღუძრა, არც აცია, არც აცხელა და ცოლად შეირთო მოლდავეთიდან ჩამოსული პრინცესა სტურცა!

როგორი შემოდგომა და ზამთარი იყო, ჩემო ძვირფასო ქალბატონო! მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თებერვალში ნაპოლეონი ელბიდან გამოიქცა და მეორედ დამარცხდა, არამედ იმ მწარე ხვედრის გამო, რაც ბედმა დედასა და მის ასულს არგუნა; იმ ერთნაირი განსაცდელის გამო, რომელიც მათ სულიერ ძალას და ღირსებას თავს დაატეხა. ფრაუ პოგვიში იძულებული იყო სასახლის კარზე თითქმის ყოველდღე შეხვედროდა გრაფს, ძალიან ხშირად მის ახალშერთულ ცოლთან ერთად, და დაფარული გულისტკივილით, გარეგნულად თავაზიანი ღიმილით არა მარტო მეგობრულად უნდა მიგებებოდა, არამედ განეცადა, ეგრძნო ის ბოროტმოზეიმე მზერა საზოგადოებისა, რომლისთვისაც ძალიან კარგად იყო ცნობილი მისი გაცრუებული იმედები.

ოტილიეს, ვინც მოწოდებული იყო დახმარებოდა და გვერდში ამოსდგომოდა თავის დედას ისეთ განსაცდელში, ადამიანის ძალღონეს რომ თითქმის აღემატებოდა, თვითონაც რაც შეიძლება კარგად უნდა დაეჭირა თავი, გადაეტანა ის გაუგებრობა, ჰერ ფონ გოეთესთან რომ მოუხდა, რაც ცნობისმოყვარეობით მოთვალთვალე საზოგადოებისთვის ასევე მალე გახდა ცნობილი. ავგუსტი კი მას ზედაც არ უყურებდა, არად აგდებდა, პირქუშად და გამომწვევად ეჭირა თავი, უბოდიშოდ ეპყრობოდა, განზრახ არ ამჩნევდა. მე კი წილად მხვდა ის, რომ ამ შეუსაბამო და გაუგებარ ვითარებას თავს ვერ ვართმევდი შეწუხებული, – ჩემი მხრივ, განადგურებული გულით; რადგან სწორედ შობის წინ ფერდინანდმა მიგვატოვა, რათა სილეზიაში გამგზავრებულიყო და თავისი ჯვარდაწერილი თუსნელდა თუ დოროთეა – სინამდვილეში მას ფანი ერქვა – შინ მიეყვანა. მართალია, ბუნებამ რაღაც იმედები იმ ყმაწვილის გამო არ გამიმართლა და ჩემი ადგილი ესოდენ ძუნწად მხოლოდ ნდობით აღჭურვილი

მეგობრის როლით განსაზღვრა, მაგრამ სრული გულისტკივილი მისი დაკარგვის გამო მეც მარგუნა, თუმცა ამ შემთხვევაში ჩემთვის შეიძლება ერთგვარი შვების გრძნობა, რაღაც მსუბუქი კმაყოფილებაც ერია. უშნო გოგოსთვის მაინც უფრო ადვილია ლამაზ ქალიშვილთან ერთად თავი მისცეს მოგონებას მათი ოცნების განშორებული გმირის გამო, – რასაც ჩვენ ისევ დავუბრუნდით, – ვიდრე გაიზიაროს უთანასწორო ბედნიერება ფიზიკურად მის გვერდით ყოფნისა.

ამრიგად, თუ მე სასურველი შვება ვპოვე ჩვენი ჭაბუკის განშორებისა და მისი სხვასთან, მესამესთან შეუღლების გამო, თუმცა მის განშორებას განვიცდიდი, კმაყოფილებით შევნიშნე, რომ იმავე შვებას განიცდიდა ოტილიე ავგუსტთან განხეთქილების გამო. მართალია, საზოგადოების მითქმა-მოთქმა სტანჯავდა მას; მაგრამ მაინც გამომიტყდა, რომ ეს განხეთქილება სიამოვნებს, ბედნიერად გრძნობს თავს, რომ გათავისუფლდა, ყველაფერს მასა და ავგუსტს შორის ბოლო მოეღო, ახლა მის გულს შეუძლია გულგრილი სიმშვიდით დაისვენოს იმ ნერვულად მომქანცველი განხეთქილებებისგან, რაც ამ ურთიერთობას მუდამ თან ახლდა. სამაგიეროდ, ხელს აღარავინ შეუშლიდა და შეეძლო მოწიწებითა და ზეიმით მოეგონებინა ფერდინანდი და საბრალო დედა ენუგეშებინა. – ეს მოსასმენად კარგი და სასიამოვნო იყო, მაგრამ

სინამდვილეში ეჭვი და შიში მის გამო მთლად როდი მასვენებდა. ავგუსტი ძე იყო გოეთესი, – ეს იყო მისი ცხოვრების მთავარი თვისება თუ ღირსება. მასთან თუ საქმე გქონდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მის დიდებულ მამასთან გქონდა საქმე. სრულიად ცხადია, გოეთეს არ მოსწონდა «პერზონჰენთან» კავშირის გაწყვეტა, რაც მისმა ვაჟიშვილმა, რალა თქმა უნდა, მამის ნებადაურთველად ჩაიდინა. ისიც ცხადია, რომ მამა თავის ავტორიტეტს გამოიყენებდა, რათა საქმისთვის კვლავ ეშველა და ურთიერთობა ისევ აღედგინა. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ მამას სურდა ეს კავშირი და ყველაფერს აკეთებდა ამისათვის, რისაც მე ასე მეშინოდა; ვაჟიშვილის პირქუში ვნება ოტილიესადმი მხოლოდ მამის ნება-სურვილის გამოხატულება, შედეგი იყო. მას ქალში მამის მოწონებული ტიპი უყვარდა. მისი სიყვარული წაბაძვა, მემკვიდრეობა, მორჩილება იყო, მისი ხელის კვრა კი ყალბი, ვითომ დამოუკიდებლობის აქტი. მის წინააღმდეგობის ძალასა და ხანგრძლივობას, გამძლეობას, სამწუხაროდ, ნაკლებ ფასს ვდებდი. მაგრამ ოტილიე? ნამდვილად ჩამოშორდა იგი ასეთი მამის შვილს? შეიძლებოდა მეფიქრა, რომ გოგონა ნამდვილად გადარჩენილი იყო? ვეჭვობდი – და ვეჭვობდი სამართლიანად.

შემრწუნებული უსმენდა ოტილიე მაშინ მეტად გავრცელებულ ხმებს, ამბებს ავგუსტის ცხოვრების წესსა და ნირზე, და ეს ერთხელ კიდევ მიდასტურებდა ჩემს ურწმუნობას. ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი და ყმაწვილკაცს ყოველგვარი მორალური საყრდენი გამოაცალა; თავდავიწყებას ეძებდა, ბიწიერებას ჩაუვარდა ხელში, რისკენაც იმთავითვე მიდრეკილი იყო მისი საეჭვოდ ძლიერი, ავბედითად მგრძნობიარე ბუნება. მოხალისეთა ბედუკუდმართი ამბით მიყენებული სამარცხვინო ლაქა საზოგადოებაში, ოტილიესთან განხეთქილება, ამის გამო შინაგანი და ალბათ გარეგანი კონფლიქტიც თავის მამასთან და, მაშასადამე, ნამდვილად თავის თავთანაც: ყოველივე ამას იმიტომ კი არ ჩამოვთვლი, რომ გავამართლო და ბოდიში მოვხადო მის გარყვნილ ცხოვრებას, რის გამოც მან საყოველთაო ჭორებსა და მითქმა-მითქმას საბაზი მისცა, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ როგორღაც ავხსნა. ეს ამბავი ყველა მხრიდან გვესმოდა, სხვათა შორის შილერის ქალიშვილის კაროლინეს და მისი ძმის ერნსტისგანაც იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი უჩიოდნენ ავგუსტის უკვე აუტანელ, შარიან, ველურ, უხეშ და ფიცხ

ხასიათს. ამბობდნენ, რომ უზომოდ ეძალებოდა ღვინოს და ერთ ღამეს, მთვრალი, სამარცხვინო ცემა-ტყეპაშიც გარეულა, პოლიციას შეუპყრია და პატიმრობაც აგემეს, მაგრამ კვლავ მამის სახელმა იხსნა, გაათავისუფლეს და ეს უკეთური საქმე ჩაფარცხეს. მთელ ქალაქში ცნობილი იყო მისი ურთიერთობა ქალებთან, უბრალო დიაცებთან. ბალის პავილიონის მიწაყრილთან, საიდუმლო მრჩველმა მინერალებისა და ნამარხების შესაკრებად რომ დაუთმო (რადგან ავგუსტი ჰბამავდა მამას და კოლექციების შეგროვების გულმოდგინე მისწრაფებას თავისებურად იმეორებდა), როგორც ჩანს, ხშირად იყენებდა თავის ცდომილებათათვის. ცნობილი იყო მისი სასიყვარულო კავშირი ჰუსარის ცოლთან, რომლის ქმარიც ამ ურთიერთობას ითმენდა იმის გამო, რომ მის ცოლს სახლში საჩუქრები მოჰქონდა. ეს ქალი თამასას ჰგავდა, გრძელი და მოუქნელი იყო, მაგრამ უშნო როდი გახლდათ. ხალხი იცინოდა, თითქოს ავგუსტს ამ ქალისთვის ეთქვას: «შენ ჩემი ცხოვრების დღის სინათლე ხარო!», რაც ამ დედაკაცს თვითონვე გაუვრცელებია პატივმოყვარეობის გამო. იცინოდნენ აგრეთვე ერთ სასკანდალო, თუმცა სასიერო ამბავზე: მოხუცი მგოსანი ერთ დღეს საღამო ჟამს სახლის ბაღში მოულოდნელად ამ წყვილს წასწყდომია და უბრალოდ უთქვამს: «ბაღლებო, ნუ შეწუხდებით!» და წამსვე გაუჩინარებულა. ამ შემთხვევის უტყუარობას თავდებად ვერ დავუდგები, მაგრამ ნამდვილ ამბად კი მიმაჩნია, რადგან ეს სრულიად ეთანხმება, – სხვა რომ არა ვთქვათ რა, – დიდი ადამიანის ერთგვარ მორალურ კეთილმოსურნეობას, რასაც ბევრი უსაყვედურებს კიდევ, მაგრამ რაზეც ჩემი მხრივ ყოველგვარი მსჯელობისგან თავს ვიკავებ.

ნება მომეცით, ამის თაობაზე ვცადო გამოვთქვა ის, რაზეც ხშირად მიფიქრია, თუმცა არცთუ მთლად წმინდა სინდისით, უფრო ეჭვებით შეპყრობილს, – მეკადრება მე, ან საერთოდ ვინმეს შეჰფერის, ასეთ ფიქრებს აჰყვეს? სახელდობრ, მე მიფიქრია, რომ ის თვისებები, რომლებიც ვაჟიშვილში უაღრესად უბედურად და დამანგრეველად იყო წარმოჩენილი, დიდებულ მამაში უკვე თავიდანვე იყო ჩამოყალიბებული, თუმცა ამის ამოცნობა ძალიან ძნელია, თანაც მოწიწებისა და თაყვანისცემის გამო გვერიდება ამის გაგება, რადგან მამის შემთხვევაში ეს თვისებები ბედნიერი, ნაყოფიერი და სიყვარულის ღირსი აღმაფრენით არის წარმოდგენილი და

სიხარულს ანიჭებენ ქვეყნიერებას. შვილის პიროვნებაში კი ეს მემკვიდრეობა ტლანქი, უსულგულო და დამღუპველი სახით გაცხადდება და ხნეობრივად საძრახისი აშკარად და ურცხვად იჩენს თავს. აიღეთ ისეთი დიდებული და ესოდენ მომაჯადოებელი, ზნეობრივადაც მომხიბლავი ნაწარმოები, როგორც არის რომანი «არჩევითი ნათესაობა». ამ გენიალური და უაღრესად დახვეწილი თხზულებისადმი ხშირად აღძრულა ფილისტერთა[155] მხრივ ამორალობის საყვედური ცოლქმრული ერთგულების დარღვევის გამო. რა თქმა უნდა, ვისაც კლასიკური გრძნობის საქმე ესმის, ის ამ საყვედურს უკუაგდებს როგორც უხეშსა და მკრეხელურს ან მხოლოდ მხრებს აიჩეჩს ამის გამო. და მაინც, ჩემო ძვირფასო, საბოლოოდ არც ერთია და არც მეორე. გულახდილად რომ ვთქვათ, ვის შეუძლია უარყოს, რომ ამ ბრწყინვალე ნაწარმოებში ნამდვილად არის ზნეობრივად ისეთი ელემენტი, რაც კითხვასა და ეჭვს იწვევს, რაღაც არასაკადრისი, უფრო მეტი – მაპატიეთ ეს სიტყვა! – ფარისევლური, რაღაც საექვო დამალობანას

თამაში ქორწინების სიწმინდესთან, გარყვნილი და ფატალისტური აღიარება ბუნების მისტიკისა... თვით სიკვდილიც კი, ხედავთ, სიკვდილიც კი, რომელიც ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც ზნეობრივი ბუნების საშუალება თავისი თავისუფლების გამოსახსნელად, – განა არ არის იგი ჭეშმარიტად შეგრძნობილი და წარმოდგენილი როგორც სასიყვარულო წადილის, ავხორცობის შემგულიანებელი და უკანასკნელი უტკბესი თავშესაფარი? – აჰ, მე კარგად ვიცი, როგორი უაზრო, როგორი მკრეხელური უნდა ჩანდეს ის, რომ ავგუსტის თავშეუკავებლობასა და გარყვნილ ცხოვრებაში დაინახო სხვა, არასასიამოვნოდ ქცეული გამოვლენის ფორმა იმ ნიჭისა, რომელმაც კაცობრიობას უძღვნა ნაწარმოები – რომანი «არჩევითი ნათესაობა». მე ხომ უკვე მოგახსენეთ სინდისის ქენჯნაზე, რაც ზოგჯერ თან სდევს ჭეშმარიტების კრიტიკულ მიებას, როცა წამოიჭრება პრობლემა: არის კი ჭეშმარიტება მთლად ისეთი რამ, რაც ღირსია ჩვენი მისწრაფებისა და რაც ჩვენი შემეცნების ამოცანად არის დასახული, თუ აკრძალული ჭეშმარიტებებიც არსებობს? – და აი ოტილიე, ჩანდა, ბევრს ღელავდა, მტკივნეული შეშფოთებით განიცდიდა იმ ამბებს, რაც ჰერ ფონ გოეთეს საქციელის შესახებ ესმოდა, და მეც აღარ შემეძლო მერწმუნა, თითქოს მას მართლაც არ აინტერესებდა ვაჟის პიროვნება. მისი სიძულვილი ჰუსარის ცოლისადმი აშკარად იყო ცნობილი, – ამ სიძულვილს შეიძლებოდა უფრო

ზუსტი სახელიც შერქმეოდა. ცხადია, საშინელ გრძნობებს შეეპყრო ქალიშვილის წმინდა გული და გასაგებია მისი დამოკიდებულება ისეთი არსებების მიმართ, რომელთა ყურადღებას მამაკაცი გრძნობადი კეთილმდრეკილებით ეგებება და მასთან შედარებით მათ, თუმცა მდაბალ, მაგრამ ფაქტობრივ უპირატესობას ანიჭებს. აქ საშინელი უფსკრულია, გრძნობათა მორევი. უგულვებელყოფას და ზიზღს არ შეუძლია უარყოფილ მეტოქეს საკუთარი ცხოვრების ღირსება ესოდენ ღრმად დაუქვეითოს და დაუკარგოს; მაგრამ შური და საშინელი სპეციალური ფორმა, ეჭვიანობას რომ ეძახიან, საკუთარი ნების წინააღმდეგ აიძულებს, კვლავ აამაღლოს უღირსი არსება თავის დონემდე და თავისი სიძულვილის ტოლფას საგნად აქციოს, – ტოლფასად სქესით ერთგვარობის გამო. შეიძლება ისიც იყო სავარაუდებელი, რომ მამაკაცის უზნეობა, მიუხედავად იმ ზიზღისა, რასაც იგი აღგვიძრავს, მაინც ღრმა, საშინელი მიმზიდველობით მოქმედებს ასეთი წმინდა სულის ადამიანზე, რომელსაც შეუძლია ხელახლა აღძრას თითქოს უკვე მიმქრალი მდრეკილება, რამეთუ

კეთილშობილში ყველაფერი კეთილშობილი ხდება, მსხვერპლად თავშეწირვის სურვილის სახეს იღებს, რომ მამაკაცისთვის თავდადებით, ერთგულებით დაუბრუნოს მას მისი საუკეთესო მეობა.

ერთი სიტყვით, ყველაზე ნაკლებად მჯეროდა, რომ ჩემი საყვარელი გოგონა კეთილი სურვილით არ მიიღებდა ავგუსტის კვლავ დაახლოების ცდას, და ვაჟი ადრე თუ გვიან არ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს იმ უმაღლესი ნებისყოფის კარნახით, რომელიც მისი ნების უკან იდგა, და რომლის წინააღმდეგაც ოტილიესთან განხეთქილებით უსარგებლო ამბოხება სცადა – ჩემი მოლოდინი, ჩემი შიში გამართლდა. შარშან ივნისში – ის საღამო გუშინდელივით მახსოვს – ჩვენ ოთხნი ვიდექით სასახლის კარზე სარკეებიან გალერეაში: ოტილიე და მე, ჩვენთან ერთად კიდევ ჩვენი მეგობარი ქალი კაროლინე ფონ ჰარშტალი და ჰერ ფონ გროსი, როდესაც შევამჩნიე, როგორ დიდხანს ტრიალებდა ავგუსტი ჩვენ

ირგვლივ, მოგვიახლოვდა და საუბარში ჩაერია. თავდაპირველად საკუთრივ არავის გამოლაპარაკებია, მაგრამ შემდეგ რამდენიმე კითხვითა და წინადადებით პირდაპირ ოტილიეს მიმართა – ეს უაღრესად დამაბული წუთი იყო და ყველა ჩვენგანისგან, საუბრის მონაწილეთაგან, დიდ

თავშეკავებას მოითხოვდა. საუბარი საერო-საქვეყნო საქმეებს ეხებოდა, ომისა და მშვიდობის, დაღუპულთა სიებს, მამამისის ცხოვრების აღსარებებს, პრუსიულ ბაღს და მის შესანიშნავ კოტილონს; მაგრამ ამ დროს ავგუსტის მზერაში ციური მოკრძალება კრთოდა, რაც მისი და ჩვენი სიტყვების ფორმალურ გულგრილობას არ შეეფერებოდა, გამოთხოვებისას კი, როდესაც ჩვენ მუხლმოდრეკით თავი დავუკართით (რადგან ისედაც კარგა ხანია წასვლა გვინდოდა), მას თვალები კიდევ უფრო უბრწყინავდა.

«შევამჩნიე, როგორი თავყანისცემით გიცქერდა?» – ვკითხე ოტილიეს კიბეზე. «შევამჩნიე, – მომიგო მან, – და ამან გულზე დარდი შემომძყარა. დამიჯერე, ადელე, მე არ მინდა, რომ იგი ძველ სიყვარულს დაუბრუნდეს, რადგან მაშინ ჩემი სიმშვიდე, რითაც ასე კარგად ვგრძნობ თავს, ძველი წამებით შემეცვლება». – აი მისი სიტყვები. მაგრამ აკრძალვა მოიხსნა, საჯარო შუღლი და დავა დამთავრდა. თეატრში თუ სხვაგან, საზოგადოებაში ჰერ ფონ გოეთე კვლავ ცდილობდა დაახლოებას. და თუ ოტილიე გაურბოდა მასთან მარტო ყოფნას, რასაც ვაჟი ესწრაფოდა, ქალი მაინც გამომიტყდა, რომ მის თვალთა ცქერა ძველ დროებას ახსენებს და ხშირად უცნაურ აღელვებას გრძნობს, ხოლო როდესაც ავგუსტი ხანდახან უსაზღვროდ უბედური გამომეტყველებით შეხედავს, გოგონას გულში კვლავ ახლდება ვაჟისადმი დანაშაულის გრძნობა. თუ ჩამოვუგდებდი ლაპარაკს ჩემი შიშის შესახებ, იმ უბედურების შესახებ, რასაც გული წინასწარ მიგრძნობდა ამ შმაგ, დამღუპველ კაცთან კავშირის გამო, ვისთანაც მეგობრობა წარმოუდგენელიც კია, იმიტომ რომ იგი ყოველთვის იმაზე მეტს მოსთხოვს, ვიდრე, – თუ ქალის სიტყვებს დავუჯერებ, – ის მოისურვებდა მიეცა მისთვის, მაშინ ოტილიე ასე მიპასუხებდა ხოლმე: «მშვიდად იყავი, ჩემო გულო და სულო, მე თავისუფალი ვარ და თავისუფალი დავრჩები სამუდამოდ. შეხედე, მან წიგნი მათხოვა – «პინტოს საოცარი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო ოცდაერთ დღეში», [156] ჯერ არც კი ჩამიხედავს. ეს რომ ფერდინანდისგან ყოფილიყო, განა ზეპირად არ მეცოდინებოდა?» ეს მართალი იყო. ოტილიეს ავგუსტი რომ არ უყვარდა, ეს მჯეროდა. მაგრამ იყო კი ეს სანუგეშო, საიმედო? მე მაინც ვხედავდი, რომ ქალი, როგორც ჩიტუნია გველის მზერით, ისე იყო მონუსხული და შეპყრობილი იმ აზრით, რომ მისი უნდა ყოფილიყო.

თავბრუ მესხმოდა, ლამის ჭკუაზე შევშლილიყავი, როცა ოტილიეს ავგუსტის ცოლად წარმოვიდგენდი. არადა, სხვა რით უნდა დამთავრებულიყო ეს ყველაფერი? მის თავს ისეთი დაუჯერებელი რამ ხდებოდა, რომ გული მისკდებოდა. ჩემი რწმენა, რომ ეს უბედური კაცი მას დალუპავდა, უკვე მართლდებოდა, რადგან შარშან შემოდგომაზე ჩემი საყვარელი გოგონა სერიოზულად გახდა ავად, ალბათ, შინაგანი განხეთქილების გამო. სამ კვირას სიყვითლით იყო ავად და ლოგინში იწვა, საწოლთან კუპრის როფი ედგა, ამბობენ, მასში ცქერა ავადმყოფს კურნავსო. ხოლო როდესაც განიკურნა და კვლავ შეხვდა მას საზოგადოებაში, ჩანდა, ვაჟს არც კი შეუმჩნევია, ქალი ამდენ ხანს რომ არ გამოჩენილა, და სათვალავშიც არ ჰკლებია! ერთი სიტყვაც არ დასცდენია, კრინტიც არ დაუძრავს საპირისპიროს დასადასტურებლად.

ოტილიემ ვეღარ გაუძლო. ავადმყოფობამ შეუქცია და კიდევ რვა დღეს მოუხდა კუპრში ცქერა. «მისი გულისთვის მზად ვიყავი ზეციურ ნეტარებაზეც კი ხელი ამეღო, მან კი მომატყუა!» – ქვითინებდა იგი ჩემს მკერდზე. მაგრამ რას ფიქრობთ თქვენ! როგორ გგონიათ, რა მოხდა? თოთხმეტი დღის შემდეგ მოდის ჩემთან საწყალი გოგონა, მკვდრისფერი ადევს და გაშტერებული მეუბნება, რომ ავგუსტი მშვიდად ელაპარაკა მათ მომავალ კავშირზე, როგორც უკვე გადაწყვეტილ საქმეზე! როგორ გუნებაზე დადგებოდით? უფრო საზარელი რამ თუ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა? მას არ განუმარტავს არაფერი, სიყვარული არ უთხოვია, ამის თქმაც კი შეუძლებელია, რომ ქორწინებაზე ელაპარაკოს. ისე, სხვათა შორის უხსენებია. «მერე შენ? – შევძახე მე, – გაფიცებ, ტილემუზე, ჩემო გულო და სულო, შენ რა უპასუხე?!» – პატივცემულო ქალბატონო, გამომიტყდა, სიტყვის თქმაც კი ვერ მოვახერხე, ენა წამერთვაო.

თქვენ გამიგებთ, რომ მე აღვშფოთდი ბედისწერის შავბნელი უტიფრობის გამო! რაღაც შემაკავებელი ზღუდე მაინც ჯერ კიდევ იდგა მის საპირისპიროდ ქალბატონის სახით, რომლის არსებობაც უეჭველად სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნიდა, როდესაც ჰერ ფონ გოეთე, – რაც საბოლოოდ აუცილებელი იყო, – ოტილიეს ხელს სთხოვდა მის დედას და ბებიას: მე ვგულისხმობ საიდუმლო მრჩევლის მეუღლის, კრისტიანას პიროვნებას. ჩემო უძვირფასესო, გასულ ივნისს კრისტიანა გარდაიცვალა. ეს დაბრკოლებაც გაქრა, მეტიც, ქალბატონის

სიკვდილმა მდგომარეობა სახიფათოდ გაამწვავა, რადგან ავგუსტს ახლა უკვე ევალებოდა მამისეულ სახლში ახალი დიასახლისის მოყვანა. გლოვის გამო, ამასთან წლის წყნარი დროის – ზაფხულის განმავლობაში ავგუსტი ოტილიეს, რასაკვირველია, იშვიათად ხვდებოდა. სამაგიეროდ, მოხდა ისეთი რამ, რის შესახებაც მე არ შემიძლია ზუსტად მოგახსენოთ რამე, რადგან იგი მოცულია სანახევროდ მხიარული და სანახევროდ შემაშფოთებელი საიდუმლოებით, მაგრამ მისი საბედისწერო მნიშვნელობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ავგუსტოს დამდეგს მიწაყრილთან ოტილიე შეხვდა საიდუმლო მრჩეველს, გერმანიის დიდ მგოსანს.

ვიმეორებ: ამ შეხვედრის მიმდინარეობაზე დაწვრილებით ცნობებს ვერ მოგაწვდით, რადგან არავითარი ამგვარი ცნობა ხელთ არა მაქვს, ხუმრობა-ხუმრობაში, რაც არაფერი სასიხარულო არ გახლავთ, ოტილიე მე არ მეუბნება, მიმაღავს; მას მოსწონს, ეს ამბავი ერთგვარი გამაღიზიანებელი საზეიმო იდუმალებით შემოსოს. როდესაც თავს მოვაბეზრებ ხოლმე შეკითხვებით და ჩავაცივდები, ის ღიმილით მიპასუხებს: «თვით მასაც ხომ არასოდეს უყვარს იმპერატორ ნაპოლეონთან თავისი საუბრის შესახებ ვრცლად ლაპარაკი და მთელ მსოფლიოს, თვით მეგობრებსაც კი, უმაღავს მასზე მოგონებას, ვითარცა საგულდაგულოდ დაცულ განძს. მაპატიე, ადელე, თუ მეც მის მაგალითს მივბაძავ, და დაკმაყოფილდი მხოლოდ ცნობით, რომ იგი მომხიბლავი იყო ჩემთან».

იგი მომხიბლავი იყო მასთან, – მე მის ნათქვამს გადმოგცემთ, ძვირფასო ქალბატონო. ამ ცნობით ვამთავრებ ჩემს ნოველას, რომელიც, როგორც თქვენ ხედავთ, მომხიბლავ ამბავთა გვარეობისა გახლავთ, რასაც ბოლოს დაწინდვა მოსდევს ანდა მოახლოებულ აღთქმაზე მიგვანიშნებს. თუ სასწაული არ მოხდა, თუ ცა არ ჩამოიქცა, მაშინ სასახლის კარი და ქალაქი ამ მოვლენას საშობაოდ ან საახალწლოდ მაინც უნდა მოელოდეს.

თავი მეექვსე

ფროილან შოპენჰაუერის ნაამბობს აქ დალაგებული, მთლიანი მოთხრობის სახე აქვს. სინამდვილეში კი მისი ფართო, გაწაფული პირიდან მომდინარე საქსონიურად შეფერილ

სიტყვათა ნაკადი ორჯერ შეწყდა: შუაში, და დასასრულს რომ უახლოვდებოდა; ორჯერვე საუბარი კელნერმა მაგერმა დაარღვია; ეტყობა, ზნეობრივად იტანჯებოდა თავისი მოვალეობის გამო, დაჟინებით მოითხოვდა პატიებას და მობოდიშებით გამოჩნდა სასაუბრო ოთახში იმისთვის, რათა ახალი შეტყობინება მოეხსენებინა.

პირველად საიდუმლო კამერმრჩევლის მეუღლის, ფრაუ რიდელის მოახლის მოსვლა აუწყა. მოახსენა, რომ გამოგზავნილი მოახლე შემოსასვლელის წინა ოთახში იმყოფება, დაჟინებით კითხულობს, როგორ ბრძანდება ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე და რატომ შეყოვნდა, ესპლანადაზე უკვე ძალიან შემფოთებული არიან მის გამო და სადილიც გაცივდაო. ამაოდ ეცადა მაგერი გაეგებინებინა, რომ სასტუმრო «სპილოს» სახელგანთქმული სტუმრის მისვლა დასთან ყოვნდება ფრიად მნიშვნელოვან მიღებათა გამო, რასაც ის, მაგერი, ხელს ვერ შეუშლის. ერთხანს ლოდინის შემდეგ მამზელმა იგი აიძულა ეს ნაბიჯი გადაედგა და დაჟინებით სთხოვა მოეხსენებინა მისი აქ ყოფნა, რადგან მას პირდაპირ ნაბრძანები აქვს, ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე როგორმე მოიხელთოს და სახლში მიიყვანოს, სადაც მეტისმეტად შემფოთებული არიან და მოშივდათ კიდევაც.

სახეაწითებული შარლოტე წამოდგა. მისი გამომეტყველება და მოძრაობა ასეთ დასკვნას გამოხატავდა: «ღიახ, ეს უპასუხისმგებლობაა! განა რომელი საათია? მე უნდა წავიდე. ამჯერად უნდა შევწყვიტოთ საუბარი. ასე ჩანდა, თითქოს ეს გარკვევით განაცხადა, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ამის შემდეგ წასასვლელად გამზადებული, მაშინვე დაჯდა ისევ და მოსალოდნელის საპირისპირო რამ გამოთქვა.

– კარგი, მაგერ, – თქვა მან, – მე ვიცი, რომ მაგერს არ სიამოვნებს აქ კვლავ შემოჭრა. მამზელს უთხრას, რომ მოთმინებით უნდა აღიჭურვოს ან წავიდეს – უკეთესია, ის წავიდეს და ქალბატონ კამერმრჩევლის მეუღლეს მოახსენოს, სადილად ნუ დამელოდებიან, მეც მოგყვებით, როგორც კი საქმეები საშუალებას მომცემს, ჩემ გამო წუხილისთვის კი არავითარი საბაბი არ არსებობს-თქო. ბუნებრივია, რიდელები შემფოთებული არიან, ვინ არ შემფოთდებოდა, მეც ასევე ვლეღავ, დიდი ხანია აღარც კი ვიცი, საათმა რამდენი დაჰკრა, და მე თვითონაც ყოველივე ეს სულ არ მქონდა ასე

წარმოდგენილი. მაგრამ რას იზამთ, ასეა საქმე, დაბოლოს, რაც უნდა იყოს, მე ხომ კერძო პირი არა ვარ, უფრო მაღალ მოთხოვნებს მეტი ანგარიში უნდა გავუწიო, ვიდრე სადილს, რომელიც მელოდება. მაგერმა უთხრას მამზელს და მან მოახსენოს, რომ ჯერ იყო და მე მომიხდა ჯდომა იმისთვის, რომ დავეხატე, შემდეგ ჰერ დოქტორ რიმერთან უნდა მეთათბირა მნიშვნელოვან საქმეებზე, ახლა კი ვუსმენ ამ ქალის მოხსენებას და არ შემიძლია შუაზე გავაწყვეტინო, წამოვდგე და წავიდე. ისიც უთხრას, რომ მოახსენოს იმ მაღალ მოთხოვნებზე და მათ შეშფოთებაზეც, რაც არც ჩემთვის არის უცხო და მეც მაწუხებს. მაგრამ უნდა შევეგუო ამ ვითარებას და ჩემი მხრივ სთხოვოს, ისინიც ასევე მოიქცნენ.

– ძალიან კარგი, გმადლობთ, – მიუგო კმაყოფილებით და სრული გაგებით მაგერმა და განშორდა, რის შემდეგაც ფროილან შოპენჰაუერმა ცოტა სული მოითქვა და დასვენებული პირით ისევ განაახლა თავისი თხრობა დაახლოებით იმ ადგილიდან, ახალგაზრდა ქალებმა პარკში რომ ჭაბუკი იპოვეს და, ფრთებშესხმულები, ქალაქისკენ გაეშურნენ.

კელნერმა მეორედ მაშინ დააკაკუნა, როდესაც ამბავი «ჰუსარის ცოლისა» და «არჩევითი ნათესაობის» ირგვლივ ტრიალებდა. ამჯერად მან ადრინდელზე უფრო თამამად დააკაკუნა და შემოვიდა ისეთი გამომეტყველებით, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ამჟამად ხელის შეშლას სრულიად კანონიერად თვლიდა და არავითარ სინდისის ქენჯნას ან ეჭვს არ განიცდიდა. დამაჯერებელი ხმით ამცნო:

– ჰერ კამერმრჩეველი ფონ გოეთე!

ამ სახელის გაგონებაზე ადელე რბილი მერხიდან წამოხტა, შარლოტე კი ადგილზე დარჩა, ოღონდ მისი ჯდომა სიმშვიდეს როდი მოწმობდა, უფრო იმას ნიშნავდა, რომ ძალამ უმტყუნა.

– *Lupus in fabula!*[157] – შესძახა ფროილან შოპენჰაუერმა, – კეთილო ღმერთებო, ახლა რა ვქნა? მაგერ, მე ვერ შევხვდები ბატონ კამერმრჩეველს! თქვენ უნდა მომიხერხოთ რაღაც, კეთილო კაცო! როგორმე უნდა გამაპაროთ, გამიყვანოთ ისე, რომ არ შევხვდე მას. თქვენი წინდახედულობის იმედი მაქვს!

– არცთუ უსაფუძვლოდ, ფროილან შოპენჰაუერ! – მიუგო მაგერმა. – არცთუ უსაფუძვლოდ, მე უკვე გავითვალისწინე ეგ

სურვილი, რადგან ჩემთვის ცნობილია საზოგადოებრივი ქცევის თავაზიანობანი და ვიცი, რომ არავინ არასოდეს არ უნდა იცოდეს ეს. ბატონ კამერმრჩეველს ავუხსენი, რომ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე ამ წუთს ჯერ კიდევ საქმით არის დაკავებული და ქვემოთ სასმელების ოთახში შევიპატიჟე. მან მოითხოვა ერთი ჭიქა მადერა, მე კი მთელი ბოთლი დავუდგი. ასე რომ, შემძლია ქალბატონებს საშუალება მივცე საუბარი დაამთავრონ, შემდეგ კი პატივი მექნება, ქალიშვილი შეუმჩნევლად გავიყვანო წინკარიდან მანამდე, სანამ ბატონ კამერმრჩეველს მოვახსენებდე, რომ ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს შეუძლია მისი მიღება.

ორივე ქალმა შეაქო მაგერი საქმის ასე კარგად მოგვარების გამო, და ისიც გავიდა. ადელემ კი თქვა:

– უძვირფასესო ქალბატონო, მე შეგნებული მაქვს ამ წუთის სიდიადე. ძის აქ ყოფნა მამის ამბის უწყებას ნიშნავს. მაშასადამე, იმასაც, ვისაც ყოველივე ეს ყველაზე მეტად ეხება, უკვე გაუგია თქვენი აქ ყოფნა. ან კი როგორ არ ეცოდინება. დიდი მითქმა-მოთქმა და ხმაურია ქალაქში, ხოლო ვაიმარის ფამა[158] ფეხმარდი ქალღმერთი გახლავთ. იგი გიგზავნით თავის ძეს. ის წარმოგიდგებათ თქვენ თავისი შთამომავლის სახით. მე ძალიან აღელვებული ვარ, ისედაც შემძრა ყველა იმ ამბავმა, რაც მოგახსენეთ. ძლივს ვიკავებ ცრემლს, თქვენი ეს შეხვედრა მასთან შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელია, ვიდრე ჩემი. თუმცა ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ კამერმრჩეველი მადერით არის უზრუნველყოფილი, ჩემს თავს ნებას მაინც ვერ მივცემ თუნდაც გავიფიქრო და გთხოვოთ ჩემი მოხსენება ბოლომდე მოისმინოთ, სანამ დესპანს მიიღებდეთ. ამაზე არც ვფიქრობ, პატივცემულო, და ამას ჩემი გაქრობით დაგიმტკიცებთ...

– დარჩით, ჩემო გოგონა, – გარკვევით უპასუხა შარლოტემ, – და კვლავ დაიკავეთ, გეთაყვა, თქვენი ადგილი, – მოხუც ქალს ღაწვები შეეფაკლა და წყნარი ცისფერი თვალები ციებიანივით გაუბრწყინდა, მაგრამ მაინც თავდაჭერილი, ძალამოკრებილი და არაჩვეულებრივად გამართული იჯდა სელზე, – სანახავად მოსულს შეუძლია ცოტა მოითმინოს, – განაგრძო მან, – მე ხომ სწორედ მის ამბავს ვისმენ, გარდა ამისა, მიჩვეული ვარ ჩემს საქმეებში წესრიგსა და თანამიმდევრობას. გთხოვთ, განაგრძოთ. თქვენლაპარაკობდითვაჟიშვილის

მემკვიდრეობასა და თავაზიან აღმაფრენაზე.

– სრულიად მართალი ბრძანდებით! – მოიგონა ფროილან შოპენჰაუერმა და სწრაფად დაჯდა, – აიღეთ ისეთი დიდებული თხზულება, როგორც რომანია... – აჩქარებული ტემპით, ნარნარა კადენციებით[159] და დაუჯერებელი ენამზეობით სხაპასხუპით დაამთავრა ადელმუზემ თხრობა, ისე რომ მხოლოდ უკანასკნელ სიტყვაზე მისცა თავის თავს სულის მოთქმის ნება, უკეთ რომ ვთქვათ, შეუფერხებლად განაგრძო თხრობა, ოღონდ რამდენადმე კილო შეცვალა:

– აი, ის ვითარებანი, რომელთა შესახებ დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო მომეხსენებინა თქვენთვის, ძვირფასო ქალბატონო, როგორც კი თქვენი ჩამობრძანება გავიგე. ამის გაკეთების წადილი და თქვენი ნახვის სურვილი, რათა ჩემი თქვენდამი თაყვანისცემა დამედასტურებინა, მაშინვე ერთად შეიკრა, და ამის გამო დანაშაულიც კი ჩავიდინე ღინე ეგლოფშტაინისადმი, – ჩემი განზრახვა დავუმალე და თქვენი ნახვის საშუალება მოვუსპე. უსაყვარლესო! დიდად პატივცემულო ქალბატონო, იმ სასწაულს, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, თქვენგან მოველი. თუ, როგორც მე ვთქვი, უკანასკნელ წუთს ცა არ ჩამოიქცა და არ დაგვეხმარა, რათა თავიდან აგვაცილოს ეს კავშირი, რომლის უკუღმართობა და საშიშროება სულს მიმძიმებს და გულზე ლოდად მაწევს, იქნებ ზეცამ, – გამიელვა თავში აზრმა, – ამ მხსნელ საშუალებად ბოლო ჟამს თქვენ აგირჩიათ და შესაძლებელია ამ მიზნით ჩამოგიყვანათ აქ. რამდენიმე წუთში შვილს ნახავთ, რამდენიმე საათში – დიდ მამას, როგორც მე ვვარაუდობ. თქვენ შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ, გააფრთხილოთ. თქვენ გაქვთ ამის უფლება! თქვენ შეიძლებოდა ავგუსტის დედაც კი ყოფილიყავით. მისი დედა არ ბრძანდებით, რადგან თქვენი შესანიშნავი ცხოვრება სხვა გზით წავიდა, იმიტომ რომ სხვაგვარად გასურდათ და სხვა მხრივ წარმართეთ. წმინდა გონებას, სწორისა და ჯეროვანის წმინდა, ურყევ ცოდნასა და გაგებას, რომელიც წინ გიძლოდათ თქვენს არჩევანში, აქაც მოუხმეთ, აქაც გამოიყენეთ! დაიხსენით, გადაარჩინეთ ოტილიე! ის ასულიც შეიძლებოდა ყოფილიყო თქვენი, ასეთიც ჩანს, თქვენ გგავთ იგი: სწორედ ამიტომაც ემუქრება მას დღეს საშიშროება, რასაც თქვენ ერთ დროს ღირსპატივსაცემი და გონივრული წინდახედულობა დაუპირისპირეთ. გაუწიეთ დედობა თქვენი ახალგაზრდობის მსგავს ხატებას, რადგან

სწორედ ასეთი გახლავთ ის და ამიტომაც უყვართ იგი ვაჟიშვილის მხრივ, ვაჟიშვილის საბაბითა და საშუალებით. დაიცავით «პერზონჰენი», როგორც მას გოეთე-მამა უწოდებს, – დაიფარეთ იგი იმაზე დანდობით, რაც თქვენ ოდესღაც ამ მამისთვის იყავით, დაიცავით, რათა იგი არ გახდეს ჯადოსნური გრძნეულების მსხვერპლი, რაც მე ასე ენით გამოუთქმელი შიშით მიპყრობს! ვაჟკაცი, რომელსაც თქვენი ბრძნული ჭკუით გაჰყევით, საიქიოს წავიდა, ქალი, რომელიც ავგუსტის დედა გახდა, აღარ არის ამქვეყნად. თქვენ მარტო ხართ მამასთან და იმასთან, ვინც თქვენი ვაჟიშვილი შეიძლებოდა ყოფილიყო, და მშვენიერ საყვარელ გოგონასთან, რომელიც თქვენი ქალიშვილობის ხატია. თქვენი სიტყვა დედის სიტყვის ტოლია, – დაუპირისპირეთ იგი სიყალბეს, საბედისწეროს და დამლუპველს! ეს არის ჩემი თხოვნა, ჩემი ვედრება...

– ჩემო ძვირფასო გოგონა! – უთხრა შარლოტემ, – რას მოითხოვთ ჩემგან? რაში გნებავთ, რომ ჩავერიო? როდესაც მე თქვენს თხოვრებას მერყევი გრძნობით, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტად ცხოველი თანაგრძნობით ვუსმენდი, ვერ ვიფიქრებდი, თუ ასეთ ნდობას, რომ არა ვთქვა, დამამცირებელ მოთხოვნას გადავეყრებოდი. თქვენ მე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ არა მარტო თქვენი თხოვნით, არამედ ამ თხოვნის დასაბუთებითაც. თქვენ ისეთ ურთიერთობაში მახამთ...

გნებავთ დამავალოთ, დამანახვოთ მოხუც ქალს ჩემი თავის კვლავ დაბრუნება... თქვენ, როგორც ჩანს, გგონიათ, რომ საიდუმლო მრჩევლის მეუღლის გარდაცვალებით შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება დიდ ადამიანთან, რომელიც მთელი ცხოვრება არ მინახავს – თანაც იმ აზრით, თითქოს მე დედის უფლებებიც კი მენიჭებოდეს მისი ვაჟიშვილის მიმართ...

დამეთანხმეთ, რომ ეს აზრი შეუსაბამო და შემადრწუნებელია! ხომ შეიძლება კაცს ეგონოს, თითქოს მე ეს მგზავრობა... ალბათ ვერ გაგიგეთ. მაპატიეთ! დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებმა და დამაბულობამ დამღალა; როგორც თქვენ იცით, ერთი ასეთი შეხვედრა და ალბათ სხვაც ბევრი მომელის. ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, შვილო ჩემო! მადლობას მოგახსენებთ თქვენი მშვენიერი გულზიარობისთვის! არ იფიქროთ, რომ ეს გამომშვიდობება უარს ნიშნავდეს! ის ყურადღება, მე რომ გისმენდით, დაე თავდები იყოს თქვენთვის იმისა, რომ თქვენ გულგრილი ადამიანისთვის არ

მიგიმართავთ. ალბათ, მექნება შემთხვევა ვურჩიო, დავეხმარო. თქვენ გამიგებთ, რომ იმ დესპანის მიღებამდე, რომელსაც ველოდები, არ შემიძლია ვიცოდე, საერთოდ მექნება თუ არა საშუალება, რამეში გამოგადგეთ...

ის იჯდა, არ ამდგარა, როდესაც ადელე წამოხტა, რომ მუხლმოდრეკით გამოთხოვებოდა, როგორც ეს სასახლის კარზეა მიღებული, შარლოტემ კეთილი ღიმილით გაუწოდა ხელი, ცახცახით დაუკრა თავი ასევე მეტისმეტად აღზნებულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მისკენ დაიხარა და მოწიწებით აკოცა გამოწვდილ ხელზე. შემდეგ ადელე წავიდა. შარლოტე რამდენიმე წუთს მისაღებ ოთახში თავის სავარძელზე მარტო იჯდა გამტერებული, თავდახრილი, სანამ მაგერი შემოვიდოდა და გაიმეორებდა:

– ჰერ კამერმრჩეველი ფონ გოეთე.

ავგუსტი შემოვიდა. ცნობისმოყვარეობით გაბრწყინებული თაფლისფერი, ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალები გაუბედავი ღიმილით მიაპყრო შარლოტეს. შარლოტემაც თვალები მიაშტერა, ოღონდ ცდილობდა, თავისი მზერა ღიმილით შეერბილებინა. ქალის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, ლოყები უხურდა, შესაძლოა დაღლილობისგანაც; უეჭველად სასაცილო იყო ეს, მაგრამ ეგებ მომხიბლავიც იმავე დროს კეთილგანწყობილი დამკვირვებლისთვის. საეჭვოა ოდესმე არსებულიყო სამოცდასამი წლის ასეთი მოსწავლე გოგონა. თვით ავგუსტი ოცდაშვიდი წლისა იყო, – ოთხი წლით უფროსი გამხდარა მაშინდელთან შედარებით, – რაღაც აღრევით მოეჩვენა, თითქოს მხოლოდ ოთხი წელი ყოფდა მაშინდელი ზაფხულისგან, ოთხი წლით იყო უფროსი მის წინაშე მდგომი გოეთე მაშინდელ ახალგაზრდა გოეთეზე. კვლავ სასაცილოა! – ორმოცდაოთხი წელი გავიდა. დროის საზარელი მანძილი, მთელი ცხოვრება, გრძელი, ერთფეროვანი და მაინც მოძრავი, ესოდენ მდიდარი ცხოვრება, – მდიდარი – ესე იგი მდიდარი შვილებით, თერთმეტი ძნელი, კურთხეული დრო – თერთმეტი ფეხმძიმობა, თერთმეტი მშობიარობა, თერთმეტი წელიწადი ძუძუს წოვება, ორის დაკარგვა, ერთხანს უსარგებლოდ ყოფნა, რამეთუ მეტისმეტად სუსტი, სათუთი აღსაზრდელნი ისევ მიწამ მიიბარა; შემდეგ უკვე თექვსმეტ წელიწადს მარტო ცხოვრება, დაქვრივებისა და დარბაისელი მანდილოსნობის ხანა, ღირსეული დასრულება ყვავილობის ჟამისა მარტოობაში,

მეუღლისა და მრავალი შვილის მამის გარეშე, რომელმაც სიკვდილი დაასწრო და მის გვერდით ცარიელი ადგილი დატოვა, – ცხოვრებისგან მოცლის ჟამი, თავისუფალი დრო, საქმიანობისა და მშობიარობათაგან ტვირთმოხსნილი, აწმყო, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე წარსული, სინამდვილე, რომელიც აღძრავს აზრებს შესაძლებელზე, მოგონებებზე, ცხოვრებაში ყველა აღუსრულებელ, «მაგრამ ასე რომ ყოფილიყო» შესახებ, მისი სხვა ღირსების – არა ბიურგერული, გონისეული, არა სინამდვილის და არა დედობის ღირსების შეგნებაზე, არამედ იმ მნიშვნელობასა და ღირსებაზე, ლეგენდად რომ იქცა და ადამიანთა წარმოდგენაში წლიდან წლამდე სულ უფრო დიდი როლი ითამაშა; უფრო მეტი დრო და მოცალეობა, როდესაც წარმოსახვის უნარი აღძრავს მეტ ფანტაზიას, ვიდრე მშობიარობის ეპოქაში...

აჰ, დრო, – და ჩვენ კი მისი შვილები! ჩვენ ვჰკნებოდით ამ დროში, თავქვე ვეშვებოდით, მაგრამ სიცოცხლე და ახალგაზრდობა ყოველთვის მაღლა იყო, სიცოცხლე მუდამ ახალგაზრდა იყო, ახალგაზრდობა მუდამ ცოცხლობდა ჩვენთან ერთად, ჩვენ გვერდით, ჟამგადასულთა გვერდით: ჩვენ მასთან ერთად ვიყავით ჯერ კიდევ იმავე დროს, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი და უკვე მათი დრო იყო, შეგვეძლო ჯერ კიდევ გვეცქირა, ჯერ კიდევ გვეკოცნა მათი ნათელი, უნაოჭო შუბლი, ჩვენგან შობილი, ჩვენი ახალგაზრდობის გამეორება, კვლავდაბრუნება...

ეს, მის წინაშე მდგომი, მისგან არ იყო შობილი, მაგრამ შეიძლებოდა ყოფილიყო, რის გაფიქრებაც განსაკუთრებით ადვილი იყო მას შემდეგ, რაც აღარ იყო ქალი, ვისაც შეეძლო ამის უარყოფა, მას შემდეგ, რაც არა მარტო ლოტეს გვერდით, არამედ მამის გვერდითაც, იმ ოდინდელი ჭაბუკის გვერდით, ადგილი ცარიელი იყო. იგი გამომცდელი თვალთ უყურებდა სხვა ქალის მიერ გაჩენილ ყმაწვილს, კრიტიკულად, არაკეთილმოსურნედ, ათვალთვლებდა ვაჟის აღნაგობას, იქნებ მას უკეთესი გაეჩინა. არა, ცუდად არ გაურთმევია თავი საქმისთვის. ტანადი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, თუ გნებავთ, ლამაზიც კი. ჰგავს იგი კრისტიანას? მას არასოდეს უნახავს მეგობრის თანამეცხედრე. შესაძლებელია ტანსრულობისადმი მიდრეკილება დედისგან მოსდგამდა, – წლებთან შედარებით ბრგე, ღონიერი და ტანმოსული იყო, თუმცა სიმაღლე საკმაოდ აწონასწორებდა. მამა უფრო ტანწერწეტი იყო მის დროს, – გარდასული დროება სულ სხვაგვარად სჭედდა და მოსავდა

თავის შვილებს: ისინი წელში გამართულნი, თავდაჭერილნი, მაგრამ მაინც ძალდაუტანებელნი იყვნენ; თმები დახვეული და შეკუდრული ჰქონდათ, კეფაზე თმა ბაფთით შეკრული, ხოლო ყელი დიდებულად მოუჩანდათ ღია მაქმანიან პერანგში. მის წინაშე მყოფ ახალგაზრდას კი ხუჭუჭა წაბლისფერი თმის კულულები ნახევარ შუბლს უფარავდა, თანამედროვე წესზე გაუპუდრავი, რევოლუციის შემდგომი ბუნებრივი სახით, საფეთქლებიდან ხუჭუჭა ქილვაშები ეშვებოდა პერანგის მალა აფშევილ საყელოში, რაშიც ახალგაზრდული რბილი ნიკაპი თითქმის სასაცილო მედიდურობით ჩამალვოდა. აქ მყოფ ახალგაზრდას უდავოდ უფრო ღირსეულად და თავაზიანად, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ზომიერად, ოფიციალურადაც კი ეჭირა თავი. მაღალი ბაფთა საყელოს ჭრილს უვსებდა. მიხაკისფერი, მოდურად ფართოდ გადახსნილი სერთუკი მხრებში აწეული სახელოებით მჭიდროდ და ლაზათიანად მოსდგომოდა მის ბრგე ტანს; ერთ-ერთ სახელოზე სამგლოვიარო სამკლავური ეკეთა. იდაყვი

ფერდზე მიეყრდნო და შებრუნებული ცილინდრი მოხდენილად გამოეწია წინ. და მაინც ეს ფორმალური და ყოველგვარ ფანტასტიკურობას მოკლებული უზადობა რაღაც უსიამოვნოდ მოჩანდა, ბიურგერული თვალსაზრისით მთლად წუნდაუდებელი როდი გახლდათ. თუ მართლა მშვენიერებაზე მიდგა საქმე და ეს უმწიკვლობაც დავიწყებას უნდა მიეცეს: – ეს იყო მისი თვალები, წყნარი, ალერსიანი და სევდიანი, რომლებშიც, შეიძლება ითქვას, შეუწყნარებლად წყლიანი ელვარება გამოკრთოდა. ეს თვალები ამურის თვალები იყო, ჰერცოგის მეუღლის დაბადების დღეს შეუწყნარებლად რომ გაკადნიერდა და მისალოცი ლექსები გადასცა. ეს სიყვარულის შვილის თვალები იყო.

იმ რამდენიმე წამში, რაც ყმაწვილი კაცი ოთახში შემოვიდა, მდაბლად თავი დაუკრა შარლოტეს და მიუახლოვდა, ქალმა უცბად შეიცნო, რარიგ ჰგავდა ავგუსტი თავის მამას ოდნავ განსხვავებული, ახლო-ახლო ჩამჯდარი მემკვიდრეობით თანდაყოლილი მუქი თაფლისფერი თვალებით. ეს იყო აღიარებული მსგავსება და ისევე გასაოცარი, როგორც ძნელად დასამტკიცებელი ცალკეული ნაკვთების გამო, მიუხედავად იმისა, რომ შუბლი უფრო დაბალი, ცხვირი ნაკლებგამოკვეთილი და პირი პატარა და ქალური ჰქონდა, მსგავსება უდავოდ დასტურდებოდა, – მორიდებული, ნაკლები

ღირსების შეგნების გამო რაღაც სევდანარევი და თითქოს პატიების მავედრებული მსგავსება, რის უარყოფა არც იმით შეიძლებოდა, რომ წელში გამართული იყო, მხრებგაშლილი, მკერდგამოწეული, თუნდაც ესეც წაბადულობა ყოფილიყო და არა ნამდვილი მემკვიდრეობით თანდაყოლილი აგებულება. შარლოტეს გული აუჩუყდა. სიცოცხლის ცვალებადმა უსუსურმა ცდამ, რომ კვლავ გამეორდეს, კვლავ ამოტივტივდეს დროების ზედაპირზე, კვლავ აწმყოდ იქცეს, – ამ მოგონებებით აღსავსე ცდამ, რომელიც ოდინდელს მხოლოდ იმით ეტოლებოდა, რომ თავისთვის სასიამოვნოდ უჩნდა ახალგაზრდობა და სინამდვილე, იმდენად ძლიერ შეაძრწუნა მოხუცი ქალი, რომ სუნთქვა შეკავებულ სლუკუნად ექცა, როდესაც კრისტიანას ვაჟიშვილი დაიხარა და მის ხელს ემთხვია, – ამასთან ღვინისა და ოდეკოლონის სუნი უდიოდა ახალგაზრდას.

მაშინვე აზრმა გაუელვა, რომ მის წინაშე თანამედროვე სახით წარმომდგარი სიჭაბუკე აზნაურთა ღირსებით იყო მოსილი.

– ჰერ ფონ გოეთე, – მიმართა ქალმა, – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მე დიდად ვაფასებ თქვენს ყურადღებას და გახარებული ვარ, რომ ასე მალე, ვაიმარში ჩამოსვლისთანავე შესაძლებლობა მაქვს, გავიცნო ჩემი ახალგაზრდობის ძვირფასი მეგობრის ვაჟიშვილი.

– მადლობას მოგახსენებთ კეთილი მიღებისთვის, – მიუგო ახალგაზრდამ თავაზიანი ღიმილით და ძალიან წვრილი, ქათქათა ჭაბუკური კბილები გამოაჩინა, – მამაჩემმა გამომგზავნა. მას გადასცეს თქვენი ფრიად სასიამოვნო ბარათი და წერილობით პასუხს ამჯობინა, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, პირადად მე გხლებოდით და მოვსალმებოდი თქვენს კეთილ მობრძანებას ჩვენს ქალაქში, სადაც თქვენი ყოფნა, როგორც მან თქვა, უეჭველად ფრიად გამაცოცხლებელი იქნება.

გრძნობამორეულ და შეცბუნებულ შარლოტეს გაეცინა.

– ოჰ, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრს მოელოდე ცხოვრებით დაღლილი, მოხუცი ქალისგან! – თქვა ლოტემ, – როგორ ბრძანდება ჩვენი პატივცემული საიდუმლო მრჩეველი? – დაუმატა მან და ერთ-ერთ სკამზე მიუთითა, რომელზეც რიმერი იჯდა. ავგუსტმა სკამი მიიდგა და მორიდებულად

დაჯდა მასთან ახლოს.

– მაღლობას მოგახსენებთ მოკითხვისთვის, – მიუგო ავგუსტმა, – არა უშავს, კარგად, ჩვენ კმაყოფილი ვართ. სამდურავი არ გვეთქმის. საერთოდ მხნე კაცია. მართალია, ზრუნვისა თუ წინასწარი თადარიგისთვის მიზეზი ყოველთვის არსებობს, მერყევი ჯანმრთელობა და ავადმყოფობისადმი მიდრეკილება მაინც საგრძნობლად იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ განზომილი, დინჯი ყოფა-ცხოვრების წესი კარგ გავლენას ახდენს მასზე. ახლა ნება მიბოძეთ, ჩემი მხრივ გკითხოთ, როგორ იმგზავრა ქალბატონმა კარის მრჩევლის მეუღლემ? გზად ხომ არაფერი შემთხვევია? სასტუმროთი კმაყოფილი თუ ბრძანდებით? ამბის მოსმენა ძალიან ესიამოვნება მამაჩემს.

როგორც გავიგე, თქვენი ძვირფასი დის, მისი კეთილშობილების საიდუმლო კამერმრჩევლის მეუღლის, ფრაუ რიდელის სანახავად ჩამობრძანებულხართ. თქვენი ჩამობრძანება გულითად კმაყოფილებასა და სიხარულს შეიტანს იმ სახლში, რომელსაც აფასებენ უმაღლეს წრეებში და ერთხმად პატივს სცემენ ქვემდგომნი. სიამოვნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მე და ბატონ საიდუმლო კამერმრჩეველს სამსახურებრივად და პირადად უწმინდესი ურთიერთგაგება და პატივისცემა გვაკავშირებს.

შარლოტემ ვაჟის გამოთქმის კილო მის ასაკთან შედარებით მეტისმეტად დაბრძენებულად, არაბუნებრივად მოზომილად მიიჩნია. «ფრიად გამაცოცხლებელი» უკვე იშვიათი რამ იყო; «გულითადმა კმაყოფილებამ», «უწმინდესმა ურთიერთგაგებამაც» ღიმილი მოჰგვარა. ესა და ამის მაგვარი შეიძლება თქვას რიმერმა, მაგრამ სისხლსავსე ახალგაზრდა კაცის პირით წარმოთქმული ეს სიტყვები არათუ მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა, თავისი პედანტურობით პირდაპირ ექსცენტრულიც კი ჩანდა. შარლოტემ ცხადად იგრძნო, რომ ეს უკვე ჩამოყალიბებული გამოთქმის წესი იყო, და, როგორც ჩანდა, მოლაპარაკეს სულაც არ ჰქონდა შეგნებული მისი აფექტაცია; რადგან ქალმა ისიც დაადგინა, რომ ვაჟი ვერ ამჩნევდა მისი სახის უნებურ და უეცარ

შეკრთომას, არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, ყურადღებას არ აქცევდა, იმიტომ, რომ მას არ ესმოდა და მიზეზსაც ვერ უხვდებოდა. ამასთან შარლოტეს არ შეეძლო არ შეედარებინა მისი სიტყვების ღირსება და თავდაჭერილობა იმასთან, რაც მან იცოდა მის თავგადასავალთა შესახებ, რაც მან

გაიგონა ადელის იმ დიდი ენაწყლიანი პირიდან. ლოტე ფიქრობდა ავგუსტის ღვინისადმი მიდრეკილებაზე, ჰუსარის ცოლზე, იმაზე, რომ ერთხელ იგი ჰაუპტვახტშიც იყო, რომ რიმერი მის უხეშობას გაექცა; გაახსენდა აგრეთვე მისი საჩოთირო, მხოლოდ ხელოვნურად დაფარული საზოგადოებრივი მდგომარეობა მოხალისეთა ამბის შემდეგ, მისი სიმხდალისა და არარაინდულობის გამო საყვედური, რომელიც ტვირთად აწვა; ყოველივე ამის გარდა ამოტივტივდა აზრი ოტილიესადმი მისი პირქუში მიდრეკილების შესახებ, იმ «პერზონჰენისადმი», კოხტა ქერა გოგონასადმი, – ეს სიყვარული უკვე აღარ უპირისპირდებოდა მისი გამოთქმის განსაკუთრებულ წესს და რალაცნაირად, როგორც შარლოტეს ეგონა, შორეულად, მაგრამ მაინც უშუალოდ უკავშირდებოდა და ეთანხმებოდა. მაგრამ ამავე დროს ეს სიყვარული ხომ მასაც ეხებოდა, ძველ შარლოტეს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მის უფრო ფართოდ გავრცელებულ და უფრო განზოგადებულ მეობას, ეხებოდა ამაღელვებელი და სიტუაციის გამართულებელი წესით, რამეთუ მისა და მიჯნურის ხასიათები ერთმანეთში ირეოდა, თუმცა ძე მხოლოდ ძედ რჩებოდა, ესე იგი ძე მამასავით იქცეოდა. «ღმერთო ჩემო! – ფიქრობდა შარლოტე, როცა ვაჟის საკმაოდ ლამაზ და მიმგვანებულ სახეს უცქერდა, – ღმერთო ჩემო!» ამ მავედრებელ ამოძახილში შინაგანად ერთად ჩააქსოვა გულაჩუყება და გულმოწყალე სინაზე, ამ ყმაწვილკაცის აქ ყოფნამ რომ აღუძრა, და თან მისი გამოთქმის სასაცილო წესმაც გამოიწვია.

თუმცა ის დავალებაც ახსოვდა, მას რომ დააკისრეს, თხოვნა, რომელიც მის გულს ღრმად ჩასწვდა, – განსაზღვრულ ვითარებაში რამდენადაც შეეძლო ჩარეულიყო, საგანთა მსვლელობა შეეჩერებინა და – გადაეთქმევინებინა შეყვარებულისთვის ხელი აეღო «პერზონჰენზე, თუ «პერზონჰენს» – შეყვარებულზე. მაგრამ გულწრფელად რომ ვაღიაროთ, არავითარ ხალისს და მიდრეკილებას არ გრძნობდა, ფიქრობდა, რომ მისგან მეტისმეტს მოითხოვდნენ – ინტრიგა მოეწყო «პერზონჰენის» წინააღმდეგ მისივე «სახსნელად», მაშინ როდესაც, პირიქით, ამ «პერზონჰენის» აშკარა მოწოდება სწორედ ის იყო, რომ ჰუსარის მეუღლე და სხვა მისთანა მიტმასნებულნი ბრძოლის ველიდან გაეყარა, ჩამოეცილებინა, და ის, მოხუცი შარლოტე, ამ მიზნით სრულიად მხარს უჭერდა «პერზონჰენს».

– ძალიან მიხარია, ბატონო კამერმრჩეველო, – თქვა მან, – რომ ორი ესოდენ ღირსეული ვაჟკაცი, თქვენ და ჩემი სიძე, ერთმანეთს აფასებთ. თუმცა ეს პირველად არ მესმის, ჩემმა დამ უკვე მამცნო ამის შესახებ წერილობით (მან უნებურად გაიმეორა სიტყვა «წერილობით», თითქოს ამით უნდოდა გამოეჯავრებინა მისი სასაცილო მეტყველების გამო). ნება მომეცით, რაკი შემთხვევამ მოიტანა, მოგილოცოთ თქვენი ამასწინანდელი დაწინაურება სამსახურში და სასახლის კარზე.

– დიდად გმადლობთ.

– ცხადია, ეს დამსახურებული წყალობაა, – განაგრძო ლოტემ. – ბევრი ქების ღირსი სიტყვა მომისმენია თქვენს სერიოზულ, გულმოდგინე და კეთილსინდისიერ მუშაობაზე თქვენი მთავრისა და ქვეყნის სამსახურში. თქვენი წლოვანებისთვის, თუ შემძლია ვთქვა, ძალიან დატვირთული კაცი ბრძანდებით. ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ ყოველივე ამის გარდა, თქვენდა სასახელოდ, მხარში უდგახართ მამათქვენს.

– მე სიხარულს მანიჭებს, ოღონდ კი ამის შესაძლებელობა მქონდეს, – თქვა ავგუსტმა. – პირველსა და ხუთ წლებში მძიმე ავადმყოფობათა შემდეგ გასაკვირია, რომ მას ისევ ჩვენ შორის ვხედავთ. ორივე შემთხვევაში ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს ის საშინელებანი. პირველად ბუშტუკოვანმა წითელმა ქარმა კინაღამ სამარის პირას მიიყვანა. ავადმყოფობა გაურთულდა კრუნჩხვითი ხველებით, რაც ლოგინში წოლის საშუალებას არ აძლევდა, ხველება ახრჩობდა. მამა ცდილობდა ფეხზე გადაეტანა ავადმყოფობა. ნერვული სისუსტე დიდხანს გაჰყვა. შემდეგ თერთმეტი წლის წინ ჰქონდა გულმკერდის კრუნჩხვითი ციებ-ცხელება, რის გამოც მრავალი კვირა ვექვობდით მის გადარჩენას. იენელი ექიმი შტარკი მკურნალობდა. გადატანილი კრიზისის შემდეგ ავადმყოფის გამოჯანმრთელება თვეობით გაგრძელდა. ექიმმა შტარკმა იტალიაში გამგზავრება ურჩია. მაგრამ მამამ განაცხადა, ჩემს ასაკში ასეთი მგზავრობა ძნელი გასაბედიაო. მაშინ ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო.

– ესე იგი, ადრე აუღია ხელი.

– თქვენც ასე ფიქრობთ ხომ? ჩვენ გვგონია, რომ მან უარი თქვა თავის «რაინისპირა იტალიაზეც», სადაც შარშან და შარშანწინ ძალიან კარგად იყო. ალბათ გაიგეთ, კიდევ რა უბედურება

შეემთხვა?

– არა, არ გამიგია! რა შეემთხვა?

– აჰ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამ ზაფხულს დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ...

– ძვირფასო ბატონო კამერმჩეველო! – კიდევ ერთხელ შეაწყვეტინა შემკრთალმა ლოტემ, – ამ თქვენს შეხსენებამდე გამომრჩა, – რატომ, მეც ვერ გამიგია, – გამომეთქვა ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა და სამძიმარი ესოდენ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო. თქვენ უთუოდ გჯერათ ძველი მეგობარი ქალის გულითადი თანაგრძნობა.

ვაჟმა მუქი, ალერსიანი თვალები სწრაფად და მოკრძალებით მიაპყრო ქალბატონს და კვლავ ძირს დახარა.

– უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, – წაიდუღუნა მან.

დუმილში გაიარა რამდენიმე სამგლოვიარო წამმა.

– ყოველ შემთხვევაში, – თქვა ამის შემდეგ ქალმა, – ძვირფასი საიდუმლო მრჩევლის ფასდაუდებელ ჯანმრთელობას ამ უმძიმესმა დანაკლისმა სერიოზული ზიანი ვერ მიაყენა.

– თვითონაც შეუძლოდ იყო დედაჩემის ავადმყოფობის უკანასკნელ დღეებში, – უპასუხა ავგუსტმა. – იენიდან, სადაც მუშაობდა, სწრაფად გამოემშურა, როდესაც ცუდი ამბები შეიტყო, მაგრამ დედაჩემის გარდაცვალების დღეს ციებ-ცხელებამ აიძულა ლოგინში წოლილიყო. თქვენ იცით, ალბათ, დედაჩემი კრუნჩხვებით გარდაიცვალა, – საშინელი სიკვდილია. მეც არ მიშვებდნენ მასთან, მეგობარ ქალთაგან ბოლო ჟამს აღარავინ იყო. რიმერის მეუღლე, ენგელსი და ვულპიუსი შედრკნენ და მიეფარნენ. ალბათ, ძნელი შესახედავი იყო, ვერ გაუძლეს. გარედან ორი მომვლელი მესასთუმლე ქალი მოვიდა. მათ ხელში დალია სული. ვერც კი გეტყვით, რა იყო... რალაც მძიმე, საშინელი ქალური ავადმყოფობა, მუცლის მოშლა თუ მკვდრადშობა. ასე მეგონა. ეგებ კრუნჩხვებმა მაიძულეს ეს შემთხვევა ამ თვალთახედვით დამენახა, აგრეთვე იმანაც, რომ მე თავაზიანად მიშორებდნენ, გამიძლიერა ეს შთაბეჭდილება. რამდენად საგულდაგულოდ უნდა მოვფრთხილებოდით მამის მგრძნობიარე ნერვიულ სისტემას, რომელიც აიძულებს მას მოერიდოს ყოველგვარ

პირქუმ და ამაღელვებელ შთაბეჭდილებებს, თვითონაც იმ დროს შემთხვევით ლოგინზე მიჯაჭვული რომ არ ყოფილიყო. როდესაც შილერი კვდებოდა, მაშინაც ლოგინად იყო ჩავარდნილი. ასეთია მისი ბუნება, – აიძულებს სიკვდილთან და საფლავთან შეხებას მოერიდოს, – ამაში მე ვხედავ ბედისწერისა და წინასწარ განზრახულობის ერთგვარ ნარევს. თქვენ იცით, რომ მისი ოთხი და-ძმა ძუძუთა ბავშვები დაიხოცნენ? ის ცოცხლობს – შეიძლება ითქვას: ცოცხლობს ძალთა სრული გაფურჩქვნით; მაგრამ სულ ახალგაზრდა ასაკიდან ბევრჯერ თვითონაც ახლოს ყოფილა სიკვდილთან, წუთიერად და დროდადრო. «დროდადროში» მე ვგულისხმობ «ვერტერის» დროს, – იგი ჩაფიქრდა, უცბად გონს მოეგო, ცოტა შეცბა კიდევაც და დასძინა: – მე მხედველობაში მაქვს უფრო ფიზიკური კრიზისები, ჭაბუკობაში სისხლის წასკდომა, მძიმე ავადმყოფობანი ორმოცდაათი წლის ასაკში, აღარაფერს ვამბობ ნიკრისის ქარის შეტევებზე, თირკმლისმიერი კენჭით გამოწვეულ ჭვლებზე, რის გამოც ჯერ კიდევ ადრე ბოჰემიის კურორტებზე დადიოდა აბაზანების მისაღებად, აგრეთვე ისეთ პერიოდებზე, როდესაც მისი სიცოცხლე ყოველგვარი ხელშესახები ზიანის გარეშე მუდამ ბეწვზე ეკიდა. ისე რომ, საზოგადოება, ასე ვთქვათ, ყოველდღე მისი დაკარგვის საშიშროებას მოელოდა. თერთმეტი წლის წინ მისკენ იყო მიპყრობილი შემფოთებული თვალები – და შილერი გარდაიცვალა, დედაჩემი მასთან, სალმობიერსა და ხაზმუზიანთან შედარებით, მუდამ ყვავილივით გაფურჩქნილ სიცოცხლეს ჰგავდა; მაგრამ დედა მომიკვდა და მამა ცოცხალია. ყოველგვარი საფრთხის მიუხედავად, ის მაგრად ჩაჰბლაუჭებია სიცოცხლეს, და ხშირად ვფიქრობ, რომ ის ყველა ჩვენგანზე უფრო მეტხანს იცოცხლებს. მას სიკვდილის გაგონებაც არ უნდა, უგულებელყოფს მას, გაჩუმებული არც კი ამჩნევს; მე დარწმუნებული ვარ: მის წინ რომ მოვკვდე, – ეს კი ადვილი შესაძლებელია მოხდეს; თუმცა მე ახალგაზრდა ვარ, ის კი მოხუცი, მაგრამ რა არის ჩემი ახალგაზრდობა მის მოხუცებულობასთან შედარებით! მე მხოლოდ შემთხვევითი ნაშიერი, მცირე რამ ანაბეჭდი, დანამატი ვარ მისი ნიჭიერი ბუნებისა, – და აი, მე რომ მოვკვდე, ამაზედაც გაჩუმდება, არ შეიმჩნევს და არასოდეს ჩემს სიკვდილს არ ახსენებს. ასე მოიქცევა. მე მას ვიცნობ. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფრთხილი და წინდახედული მეგობრობაა, სიცოცხლეზე დამყარებული, და ეს, ალბათ, კარგად მოქმედებს, რომ მასე

მუყაითად და გადაჭრით განერიდება ავბედით სურათებს, აგონიას და საფლავში ჩასვენებას. მას არასოდეს არ შეეძლო დაკრძალვებზე წასვლა და არ ისურვა კუბოში ეხილა ჰერდერი, ვილანდი, არც ჩვენი საცოდავი ჰერცოგის მეუღლე ამალია[160] რომლისაც ასეთი ერთგული იყო. ვილანდის სამგლოვიარო ლიტურგიაზე ოსმანშტედტში, სამი წლის წინ, მე მხვდა წილად პატივი, მისი წარმომადგენელი ვყოფილიყავი.

– ოჰ, – წარმოთქვა ლოტემ, გულში უკმაყოფილება ჩაგუბებულმა, ეს კი თითქმის ადამიანური პროტესტი იყო, – ჩემს წიგნაკში, – მან თვალები მოჭუტა, – გადმოვიწერე ერთი გამონათქვამი, ისე როგორც ვიწერ ხოლმე სხვებს, რომლებიც მიყვარს. აი, ის: «როდიდან გახდა საზარელი შენთვის სიკვდილი, რომლის ცვალებად სურათებს შორის, ისევე როგორც ჩვეული მიწის სხვა სახეთა შორის, არხეინად ცხოვრობდი შენ?»[161] ეს «ეგმონტში» წერია.

– დიახ «ეგმონტი»! – მხოლოდ ეს თქვა ავგუსტმა. შემდეგ ძირს დაიხედა, მაშინვე ისევ აღაპყრო თვალები, ფართოდ და გამომცდელად შეხედა შარლოტეს და ისევ ძირს დახარა. ამის შემდეგ ლოტეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ავგუსტს განზრახული ჰქონდა მასში ის გრძნობები გამოეწვია, რომელთაც ქალი ებრძოდა, რომ ამ სწრაფ მიმოხედვას უნდა დაერწმუნებინა იგი ჩანაფიქრის წარმატებაში, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ავგუსტმა საუბრის კილო შეცვალა, თავისი სიტყვების შერბილება და შესწორება მოინდომა, რადგან თქვა:

– მამამ, რა თქმა უნდა, დედაჩემის ცხედარი ნახა და გულმხურვალედ გამოეთხოვა. ჩვენ გვაქვს ლექსი, რომელიც მან დედაჩემის სიკვდილის გამო შეთხზა. გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ. სამწუხაროდ, მე კი არა, თავის მსახურს უკარნახა, რადგან მე სხვა საქმეებით ვიყავი დატვირთული. საკუთრივ მხოლოდ ოთხსტრიქონიანი ლექსი, მაგრამ ფრიად გამომეტყველი: «ამაოდ ცდილობ, მზეო ნათელო, შავი ღრუბლებით გამოანათო, ჩემი ცხოვრების ხვედრია მხოლოდ, სიკვდილი მისი გამოვიტირო».

– ოჰ, – თქვა ისევ შარლოტემ და თავი დაუქნია, თუმცა ლექსმა მასზე გაურკვეველი შთაბეჭდილება მოახდინა და მერყევი გრძნობა შეუქმნა. გულში კი თავის თავს გამოუტყდა, რომ ლექსი ერთი მხრივ ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, მეორე მხრივ –

გადაჭარბებული. ამასთან კვლავ ეჭვი შეეპარა, გუმანით მიხვდა, რომ ვაჟს სწორედ მისი ამგვარი მსჯავრის გამოწვევა სურდა, ეს ქალმა მის თვალეზში ცხადად ამოიკითხა: რასაკვირველია, ისე კი არა, რომ ქალს ეს აზრი სიტყვიერად გამოეთქვა, არამედ, გაეფიქრა, და ერთის აზრი მეორის თვალეზში ამოეკითხა. ამიტომ შარლოტემ თვალეზი დახარა და გაურკვეველი ქება წაიდუღუნა.

– ხომ მართალს ვამბობ? – ჰკითხა ავგუსტმა, ვითომც ვერ მიუხვდა. – ფრიად მნიშვნელოვანია, – განაგრძო მანვე, – რომ ეს ლექსი არსებობს, მე ყოველდღე მახარებს ეს, და მისი რამდენიმე პირი საზოგადოებაშიც გავავრცელე. ისინი,

რასაკვირველია, გულჯავრიანად, მაგრამ საბოლოოდ

შესაძლებელია მათდა სამარცხვინოდ და ჭკუისასწავლებლადაც, ამ ლექსიდან დაინახვენ, თუ რაოდენ გულწრფელად იყო მინდობილი მამა დედას, მიუხედავად მამის თავისუფლებისა და თავისთვის ყოფნისა, რასაც, ცხადია, იგი ვერ შეელოდა, თუ რა დიდი, გულისამაჩუყებელი გრძნობით სცემს თავის მის ხსოვნას, იმ ქალის ხსოვნას, რომელსაც თავიანთი მუდმივი სიძულვილით, ბოროტებით, ღვარძლიანი ცილისწამებით დევნიდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ. მერედა, რატომ? – თქვა გაცხარებით – იმიტომ, რომ უყვარდა გართობა, თავის შექცევა, სანამ ჯანმრთელი იყო, გატაცებით ცეკვავდა და მხიარულ საზოგადოებაში ერთ ჭიქასაც დალევდა. მშვენიერი საბუთია! მამას ეს მხოლოდ ართობდა და ზოგჯერ კიდევ უხუმრია ჩემთან დედაჩემის ცოტა მდაბიურ სიცოცხლის სიხალისეზე, ამაზე ერთხელ პაწია ლექსიც კი გამოთქვა, თუ როგორ იკვროდა მის ირგვლივ მუდამ მხიარულებისა და სიხარულის წრე, მაგრამ ეს იყო კეთილი გულითა და ერთგვარი მოწონებით ნათქვამი. დაბოლოს, თვით მამაც ხომ თავისი გზით მიდიოდა, ჩვენგან უფრო მეტად შორს იმყოფებოდა, – ხან იენაში და ხან კურორტებზე, ვიდრე ჩვენთან, შინ. ისეც მომხდარა, რომ შობის დღეს, რომელიც ჩემი დაბადების დღეც გახლავთ, იენის სასახლეში თავის სამუშაოს უჯდა და მხოლოდ საჩუქრები გამომიგზავნა. ხოლო როგორ ზრუნავდა დედაჩემი მის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, სულერთია, ახლოს იყო თუ შორს, როგორ ზიდავდა ოჯახის მძიმე ტვირთს და მამას თავიდან ამორებდა ყველაფერს, რაც კი ხელს შეუშლიდა მის სათუთ შრომაში, მის შემოქმედებაში, რის გაგებასაც დედაჩემი არც იჩემებდა – განა სხვებს კი ბევრი რამ

გაეგებათ მისი? – მაგრამ რასაც უწმინდესი პატივისცემით ეპყრობოდა დედა; ყოველივე ეს კარგად უწყოდა მამაჩემმა და კიდევ უმადლოდა მას. ჩვენს საზოგადოებასაც მადლიერება უნდა გამოეჩინა მის მიმართ, თუკი მამის შემოქმედებას ჭეშმარიტად პატივს დებდა, მაგრამ საამისო უნარი არ გააჩნდა მათ ბილწ სულებს, და არჩიეს დედის განქიქება, მასხრად აგდება, რაკი იგი არ იყო სილფიდესავით ნარნარი და ჰაეროვანი ქმნილება. არა, დედა ღვთის მადლით, ტანსრული, წითელლოყება ქალი გახლდათ და ფრანგულიც არ იცოდა. მაგრამ ყოველივე ეს შური იყო და მეტი არაფერი, მწვანე-ყვითელი, ღვარძლიანი შური, რადგან დედას წილად ხვდა ბედნიერება, მან არც კი იცოდა, როგორ გახდა დიდი პოეტისა და სახელმწიფოში დიდი ბატონის მეუღლე და მისი სახლის სული და გული. უბრალო შური, მხოლოდ შური! ამიტომაც მიხარია, რომ ჩვენ ეს ლექსი გვაქვს დედაჩემის გარდაცვალებაზე, რადგან ჩვენი საზოგადოება ჯავრისგან გაყვითლდება და მწვანე ბალღამი გადაესხმება. იმიტომ, რომ ეს ლექსი ესოდენ მშვენიერი და მნიშვნელოვანია, – წამოიძახა მან გაშმაგებით, მრისხანედ და მუშტები მოკუმშა, თვალები აემღვრა და შუბლზე ძარღვები დაებერა:

შარლოტემ დაინახა, რომ მის წინაშე იყო ფიცხი ყმაწვილკაცი, თავშეუკავებლობისადმი მიდრეკილებას რომ ამჟღავნებდა.

– ჩემო კეთილო ბატონო კამერმრჩეველო, – უთხრა ქალმა, ვაჟისკენ გადაიხარა, აიღო მისი მუშტი, რომელიც ვაჟს მუხლზე უთრთოდა, ნაზად გაუხსნა თითები, – ჩემო კეთილო ბატონო კამერმრჩეველო, მე შემიძლია მთელი გულით თანაგიგრძნოთ, მით უმეტეს, რომ გულწრფელ კმაყოფილებას განვიცდი, განსვენებული ძვირფასი დედის სახელს გულში მტკიცედ რომ ინახავთ და ამ სახელის ერთგული ბრძანდებით, ამასთან დიდებული მამის სრულიად გასაგები სიამაყის გრძნობას არ სჯერდებით. ეს, ასე ვთქვათ, ადვილი როდია, ასეთი დიდებული მამის ღირსეული შვილი იყო. მაგრამ თქვენ რომ ასე რაინდულად და თვით ქვეყნისა და საზოგადოების აზრის წინააღმდეგ ასე მაღლა აყენებთ დედის ხსოვნას, რომელიც უფრო მეტად ჩვენ ყველას საერთო თარგზე იყო მოჭრილი, სწორედ ამას ვაფასებ მთელი გულით თქვენს პიროვნებაში: მე თვითონაც ხომ დედა გახლავართ და თუ ჩემი წლოვანების კვალობაზე ვიმსჯელებთ, შეიძლებოდა თქვენი დედაც ვყოფილიყავი. ხოლო რაც შეეხება შურს, ღმერთო ჩემო, მეც

სრულიად თქვენი აზრისა ვარ. მუდამ მძულდა შური და ჩემი ძალ-ღონისდაკვალად მუდამ შორს ვიდექი მისგან, შემიძლია სიამოვნებით გითხრათ, რომ ეს სულაც არ გამძნელებია. შურიანობა სხვისი ხვედრის გამო – რა სიგიჟეა! თითქოს ყველა ჩვენგანი არ მოელოდეს ცხოვრებაში ადამიანური სვე-ბედის გამოვლას, თითქოს შეცდომა და დაბნეულობა არ იყოს სხვისი ბედის გამო შურიანობა! გარდა ამისა, ეს უბადრუკი და უმწეო გრძნობაა. ჩვენი საკუთარი ბედის მხნე და კეთილსინდისიერი მჭედელი ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ, და ამაო შურით გული არ უნდა შევიჭამოთ სხვისი ხვედრის გამო.

ავგუსტმა გაშლილი ხელი დარცხვენილი ღიმილით ისევ მკერდზე მიიღო, თავი დახარა და მადლობა მოახსენა დედობრივი სამსახურისა და გულისხმიერებისთვის.

– თქვენ მართალი ბრძანდებით, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – თქვა მან. – დედაჩემი საკმაოდ გაიტანჯა. მშვიდად განუსვენოს. მაგრამ მე მარტო დედის გამო როდი ვარ გამწარებული, მამაჩემის გამოც. თუმცა ახლა ყველაფერმა ჩაიარა, ისევე როგორც თვით ცხოვრებაა წარმავალი და ყველაფერი მშვიდდება. ლოდი შებრკოლებისა ბოლოს მიწამ დაფარა. მაგრამ რა იყო ეს ლოდი შებრკოლებისა, იგი მაინც მუდმივად დარჩა მართალთა, ფარისეველთა და ზნეობის მცველთათვის; როგორ აუგად ახსენებდნენ, კიცხავდნენ მამას, რაკი მან გაბედა და მათ ჯიბრზე, მათი ზნეობრივი კანონი დაარღვია, უბრალო გოგონა ხალხიდან გამოიყვანა, შინ დაისვა

და მათ წინაშე მასთან ცხოვრობდა! ამას მეც მაგრძნობინებდნენ, სადაც და როცა კი შეეძლოთ, დაცინვით, მხრების აჩეჩით და გამჭირდავი სიბრაღულით აღმაცერად მიყურებდნენ, რადგან ამ თავისუფალ სიყვარულს უნდა ვუმაღლოდე, რომ ვარსებობ! თითქოს ისეთ კაცს, მამაჩემი რომ არის, უფლება არ ჰქონდეს, საკუთარი კანონით და ზნეობრივი ავტონომიის კლასიკური პრინციპის თანახმად იცხოვრობს...

მაგრამ ისინი ამას არაფრად აგდებდნენ, ქრისტიანი პატრიოტები და სათნო განმანათლებელნი! და მოთქვამდნენ გენიალობასა და ზნეობას შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, მაშინ როდესაც თავისუფალი და ავტონომიური მშვენიერების კანონი ცხოვრების საქმეა და არა მხოლოდ ხელოვნებისა. ამის გაგება მათ არ შეეძლოთ და შეუსაბამობასა და ცუდ მაგალითზე ყბედობდნენ! დედაკაცური ჭორიკანობაა! იქნებ პიროვნების უფლებას არ ცნობდნენ, მაგრამ გენიასა და

მგოსანს აღიარებდნენ? ღმერთო, შენ დაგვიფარე! მათი აზრით, «მაისტერი» კახპების ბუდეა, «რომაული ელეგიები» – მოდუნებული მორალის ჭაობი, «ღმერთი და ბაიადერა», ასევე «კორინთელი სასძლო» – თავაშვებულობის წუმპე. მაგრამ საოცრება ის არის, რომ თვით «ვერტერის ვნებანიც» თითქოს გამხრწნელი უზნეობა ყოფილიყოს.

– ეს კი ჩემთვის ახალი რამ არის, ბატონო კამერმრჩეველო, ნუთუ ვინმეს ეყო კადნიერება...

– დიახ, ქალბატონო კარის მრჩეველის მეუღლევ, ამასაც კი კადრულობდნენ. იგივე გაიმეორეს «არჩევითი ნათესაობისადმი», აქაც გაკადნიერდნენ და გამრყენელი ნაწარმოების სახელით მონათლეს. მაშინ თქვენ მართლაც ცუდად გცნობიათ ადამიანები, თუ ფიქრობთ, რომ ამას არ იკადრებენ. მერე, ესენი რომ უბრალო ხალხი იყოს, რეგვენი ბრბო, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ ყველა, ვინც კი კლასიკურისა და ესთეტიკური ავტონომიის წინააღმდეგ იყო – ნეტარხსენებული კლოპშტოკი,[162] განსვენებული ჰერდერი, ბიურგერი,[163] შტოლბერგი,[164] ნიკოლაი[165] და, ვინ იცის, კიდევ რამდენი, ვინ ჩამოთვლის მათ სახელებს, ყველა ისინი მამას მორალს უკიჟინებდნენ შემოქმედებასა თუ საქციელში და აღმაცერად უყურებდნენ დედაჩემს მისი და მამაჩემის თვითდაკანონებული თავისუფალი ცხოვრების გამო. და არა მარტო ჰერდერი, მისი ძველი მეგობარი, კონსისტორიის პრეზიდენტიც ამასვე სჩადიოდა, თუმცა მან მოახდინა ჩემი კონფირმაცია;[166] თვით ნეტარხსენებული შილერიც, მამაჩემთან ერთად «ქსენიებს»[167] რომ უშვებდა, ისიც კი, – ეს მე კარგად ვიცი, – ამრეზილი უყურებდა დედაჩემს და იდუმალ კიცხავდა მამას მის გამო – აქაოდა, რატომ მანაც, როგორც შილერმა, კეთილშობილი ქალი არ მოიყვანა ცოლად და თავის წოდებაზე დაბლა დაემვაო. თითქოს ისეთი კაცი, როგორც მამაჩემია, საერთოდ რაიმე წოდებას ეკუთვნოდეს. ის ხომ ერთადერთია! სულიერად ასეთი კაცი ყველა შემთხვევაში თავის წოდებაზე დაბლა უნდა დაემვას, – ვითომ რატომ არ უნდა იყოს საზოგადოებასთან? განა თვით შილერი პირველი არ

იყო, დამსახურებული სულიერი კეთილშობილების უპირატესობას დაბადებითი კეთილშობილების წინააღმდეგ რომ ამტკიცებდა? და ამას ის მამაჩემზე უფრო მეტი გულმოდგინებით გამოარჩევდა ხოლმე. მაშ, რატომღა შეიჭმუხნიდა ხოლმე შუბლს დედაჩემზე, რომელმაც სავსებით

დამსახურებლად მოიპოვა სულიერი კეთილშობილება მამაჩემის ჯანმრთელობაზე ზრუნვით?

– ჩემო სანუკვარო ბატონო კამერმრჩეველო, – მიმართა შარლოტემ, – მე შემიძლია სავსებით გავიზიარო თქვენი აზრი ადამიანური მოსაზრებით, თუმცა უკეთესს ვიზამ, თუ გამოვტყდები და ვაღიარებ, რომ არ ვიცი, არ არის ეს ესთეტიკური ავტონომია, და ამიტომ ვფრთხილობ, ჩემთვის არცთუ მთლად გარკვეულ საგანზე აჩქარებული თანხმობით არ დავუპირისპირდე ესოდენ ღირსეულ კაცთა სახელებს, კლოპშტოკს, ჰერდერსა და ბიურგერს, მით უმეტეს, მორალსა და პატრიოტიზმს. ეს არ შემიძლია. ამას მე არ ვისურვებდი. მაგრამ, ვფიქრობ, ეს სიფრთხილე სულაც არ შემიძლის ხელს, მთლად თქვენს მხარეზე ვიყო ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც კადნიერდება და ჩვენს ძვირფას საიდუმლო მრჩეველს კიცხავს. ვისაც განუზრახავს, ჩრდილი მიაყენოს სამშობლოს დიდი მგოსნის სახელსა და დიდებას.

ავგუსტი არ უსმენდა. მის ქუფრ თვალებს კვლავ მოწოლილი ბრაზისგან სილამაზე და ალერსიანობა დაჰკარგოდა და მზერა აქეთ-იქით გაურბოდა.

– და განა ყველაფერი საუკეთესოდ და ღირსეულად არ მოგვარდა? – განაგრძო ავგუსტმა ჩახშული ხმით, – განა მამაჩემმა დედაჩემი არ მიიყვანა საკურთხეველთან და არ ჰყო იგი თავის სჯულიერ მეუღლედ, ხოლო უფრო ადრე, განა ყოვლად უმაღლესი რესკრიპტით არ მომენიჭა კანონიერი უფლებები და გამომაცხადეს მამაჩემის ნამდვილ შვილად წარჩინებული წოდების პრივილეგიებით? მაგრამ სწორედ ეს არის, რომ ბრაზისგან გულს უხეთქს და ამხედრებს დიდგვაროვნებს წარჩინებულთა წინააღმდეგ, ამიტომაც ბედავს ვიღაც კოხტაპრუწა მხედარი ხელი ჩასჭიდოს ყოვლად უვარგის შემთხვევას, უტიფარი, სულელური შენიშვნები მომახალოს და დედაჩემის სახელი გადაკრული სიტყვებით აუგად მოიხსენიოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი მრწამსის გამო, მამაჩემის სრული მოწონებითა და დასტურით, ევროპის დიდი მონარქის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე არ გავედი. გენიის დიდებულების წინააღმდეგ ამ გადაგვარებული აზნაურისა და ვითომ «ცისფერი სისხლის» მოდგმის ნაშიერის თავხედი გამოხდომისთვის დაპატიმრება ძალიან მსუბუქი სასჯელია. აქ საჭიროა ჯალათი, ქონდაქარი, აქ საჭიროა

გავარვარებული შანთები.

სახეაწითლებული, ბრაზისგან გაავეებული, მუხლზე მუშტს ირტყამდა.

– ძვირფასო ბატონო კამერმჩეველო, – კვლავ აწყნარებდა შარლოტე, მისკენ გადაიხარა, მაგრამ ისევ ოდნავ უკან დაიხია, რადგან ღვინისა და ოდეკოლონის სუნი ეცა, რაც ვაჟის გაცხარების გამო კიდევ უფრო მძაფრი ეჩვენა. ქალი ელოდა, რომ აცახცახებული მუშტი კვლავ გაშლილიყო, დაწყნარებულიყო, და ნაზად შეეხო თათმანიანი ხელით. – როგორ შეიძლება ასე გაცხარება? მთლად კარგად ვერ გაგიგეთ, რაზე ლაპარაკობთ, მაგრამ მე მგონია, თითქოს საგონებელსა და ახირებულ ჟინიანობაში ჩავვარდი. ჩვენ გადავუხვიეთ საკითხს. ან, უკეთ რომ ვთქვათ, თქვენ გადაუხვიეთ, რადგან მე ჩუმიად მაინც იმაზე ვფიქრობ, თქვენ რომ ახსენეთ – ძვირფას საიდუმლო მრჩეველს ხიფათი შეემთხვა, თუ ხიფათს გადაურჩაო, როგორც მე გაგიგეთ; თორემ ასე რომ არ გამეგო, აქამდე უკვე დიდი ხნით ადრე მოგთხოვდით ამ საკითხის ახსნას. ასე რომ, გამაგებინეთ, რა შეემთხვა?

ავგუსტმა ერთი-ორჯერ ამოიოხრა და ქალის გულკეთილობაზე გაეღიმა.

– ხიფათის თაობაზე? – იკითხა მან, – ო, არაფერი, შემიძლია სრულიად დაგამშვიდოთ. შემთხვევა მგზავრობის დროს... ეს ასე იყო: მამაჩემმა ნამდვილად არ იცოდა იმ ზაფხულს საით გამგზავრებულიყო. როგორც ჩანს, ბოჰემიის კურორტები მოჰბეზრდა. 1813-ში, იმ ყოვლად სამწუხარო წელს, იქ უკანასკნელად იყო, ტეპლიცში, მას მერე აღარ ყოფილა, რაც დასაანანია, რადგან შინ წყლით მკურნალობა ვერ შეცვლის მას, ასევე ვერც ბერკა და ვერც ტენშტედტი. ალბათ, კარლსბადი უფრო უკეთ მოუხდებოდა მისი მკლავის რევმატიზმს, ვიდრე ტენშტედტის გოგირდის აბაზანები, რომლითაც ახლახან კიდევ ისარგებლა. მაგრამ კარლსბადის წყაროებზეც გული გაუტყდა, რადგან 1812 წელს იქვე თირკმლების ჭვლების შეტევა დაემართა; დიდი ხანია ასეთი უმძიმესი ავადმყოფობა, რაც კი მას გამოუვლია, არ გადაუტანია. და აი, აქ ვისბადენი აღმოაჩინა: თოთხმეტი წლის ზაფხულს პირველად გაემგზავრა იგი რაინის, მაინისა და ნეკარის მხარეებში; ამ მოგზაურობამ დიდი სიხარული და ბედნიერება მიანიჭა, ისე გაამხნევა და გამოაცოცხლა, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მრავალი წლის შემდეგ იგი პირველად იყო თავის მშობლიურ ქალაქში.

– მე ვიცი, – თავი დახარა შარლოტემ, – რა სამწუხაროა, რომ მაშინ მას თავისი საყვარელი, დაუვიწყარი დედა, ჩვენი კეთილი ქალბატონი, მრჩევლის მეუღლე, ცოცხალი აღარ დაუბნდა! ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ ფრანკფურტის ფოსტამტის საუწყებო გაზეთმა კარგა მოზრდილი წერილი მოათავსა ქალაქის დიდებული შვილის პატივსაცემად.

– დიახ, სწორედ ასე გახლდათ, ეს იყო, ვისბადენიდან უკან რომ ბრუნდებოდა, სადაც კარგი დრო გაატარა ცელტერთან და სამთო საქმის უფროს მრჩეველ კრამერთან. იქიდან წამოსულმა როხის კაპელა ინახულა, რისთვისაც შემდეგში აქ, ჩვენთან, მოხაზა საკურთხევლის მშვენიერი ესკიზი: წმინდა როხუსი, როგორ ტოვებს ეს ახალგაზრდა მომლოცველი თავისი მამის სასახლეს და როგორი სიყვარულით ურიგებს თავის ქონებასა და ოქროს შვილებს. ნახატი სათუთი და მიმზიდველია, პროფესორმა მაიერმა და ჩვენმა იენელმა მეგობარმა ქალმა ლუიზე ზაიდლერმა დაასრულეს.

– პროფესორით მხატვარი ქალი რომ არის?

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ. წიგნით მოვაჭრე ფრომანის ოჯახის ახლობელი და მინა ჰერცლიბის[168] კარგი მეგობარია.

– რა სასიამოვნო სახელია. მაგრამ ისე ასახელებთ, რომ არ განმიმარტავთ. ვინ არის ჰერცლიბი?

– მაპატიეთ! ფრომანთა ნაშვილები ასულია. ფრომანების ოჯახში მამაჩემი ხშირად დადიოდა იენაში იმ დროს, როდესაც «არჩევით ნათესაობას» წერდა.

– მართალია, – თქვა შარლოტემ, – ახლა ასე მგონია, თითქოს ეს სახელი უკვე გამეგონოს. «არჩევითი ნათესაობა!» უსათუთესი დაკვირვების უნარით აღბეჭდილი ნაწარმოებია, ოღონდ დასანანი, რომ მსოფლიოს შემძვრელი ისეთი გამოხმაურება და აღიარება ვერ მოიპოვა, როგორც «ვერტერის ვნებანმა». მაგრამ არ მინდა შეგაწყვეტინოთ. ამრიგად, როგორ წარიმართა შემდეგ ეს მოგზაურობა?

– ძალიან მხიარულად, ძალიან ბედნიერად, როგორც უკვე ვთქვი. ნამდვილი ახალგაზრდული ხალისი შემატა მამაჩემს.

თითქოს წინასწარ გრძნობდა ამას. როდესაც ეს მოგზაურობა დაიწყო. მხიარული დღეები გაატარა ბრენტანოსთან რაინისპირა კუთხეში, ფრანც ბრენტანოსთან.

– მე ვიცი. მაქსის გერია. ერთ-ერთი შვილი იმ ხუთიდან, პირველი ქორწინებისას რომ ეყოლა კეთილ მოხუც პეტერ ბრენტანოსთან. ვიცი საქმის ვითარება. ამბობენ, რომ ამ ქალს გამორჩეულად ლამაზი შავი თვალები ჰქონდა; მაგრამ იგი ხშირად მარტო მჯდარა, საწყალი ქალი, მისი ქმრის დიდ, ძველ სავაჭრო სახლში. მიხარია, როდესაც ვისმენ, რომ მის ვაჟიშვილს, ფრანცს გოეთესთან უფრო მეგობრული ურთიერთობა აქვს, ვიდრე მაშინ მის ქმარს ჰქონდა.

– ისეთივე მეგობრული ურთიერთობა, როგორც მის დას, ფრანკფურტელ ბეტინას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მამას მისი ცხოვრების მოგონებებში, რამეთუ დღითი დღე ნეტარხსენებულ ბებიას ათქმევინებდა ხოლმე მისი ჭაბუკობისდროინდელ წვრილმანებს და ყოველივე ამას მისთვის ინიშნავდა. სანუგეშოა, რომ ახალი თაობის ბევრმა საუკეთესო ადამიანმა მისი სიყვარული და პატივისცემა მიიღო მემკვიდრეობით, თუმცა მრავალი საოცარი ცვლილება მოხდა მათ მრწამსში.

შარლოტეს უნებურად გაეღიმა, რომ ავგუსტი საუბარში ერთგვარ მიჯნას ავლებდა თავის თავსა და თავის თაობას შორის; მაგრამ მან ეს ვერ შენიშნა.

– ფრანკფურტში მეორედ ყოფნისას, – განაგრძო ავგუსტმა, – მამა შლოსერებთან დაბინავდა, მსაჯულ შლოსერთან – თქვენ უნდა იცნობდეთ გეორგის ცოლისდას; გეორგს ხომ ჩემი საბრალო დეიდა კორნელია ჰყავდა ცოლად, – და მის ვაჟიშვილებთან ფრიცსა და კრისტიანთან, ყოჩაღსა და გულკეთილ ახალგაზრდებთან, რომლებიც შესანიშნავად ადასტურებენ ჩემს შენიშვნას: ისინი დროის აბსურდულ შეუსაბამობათა მიმდევრები, განუკურნებელი რომანტიკოსები არიან. სიამოვნებით დააბრუნებდნენ შუა საუკუნეებს, თითქოს აღორძინება არც არსებულებოდა. კრისტიანი კათოლიკური ეკლესიის წიაღსაც კი დაუბრუნდა; ამ გზას მალე, ალბათ, ფრიციც დაადგება თავისი მეუღლით. მაგრამ მემკვიდრეობითი სიყვარული და თაყვანისცემა მამაჩემისადმი სრულიადაც არ შემცირებულა ამ მოდურ სისუსტეთა გამო. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ასე სწყალობს მათ მამაჩემი

და მართლაც მეტად მყუდროდ გრძნობდა თავს ამ ღვთისნიერ ხალხში.

– ისეთი გულისა და გონების კაცს, როგორც გოეთეა, – თქვა შარლოტემ, – ყოველგვარი მრწამსის გაგების უნარი აქვს, ოღონდ კი ღირსეულად ადამიანური იყოს.

– სავსებით გეთანხმებით, – მიუგო ავგუსტმა და თავი დახარა.

– მაგრამ, მე მგონია, – დაურთო მან, – კიდევ უფრო გაიხარა, როდესაც გადავიდა გერბერმიულეში, ფრანკფურტის მახლობლად, ობერმაინზე, ვილემერების მამულში.

– ო, მართალია! იქ იყო სწორედ, ჩემმა ვაჟიშვილებმა რომ მოინახულეს, დაბოლოს, მან გაიცნო ისინი; აქ ახალგაზრდებმა მისგან ბევრი კარგი რამ მოისმინეს.

– მე მწამს. თოთხმეტ სექტემბერს ჩავიდა ის იქ პირველად, ხოლო შემდეგ თვეს ჰაიდელბერგიდან კვლავ ეახლათ. მაგრამ ამ მოკლე შუა პერიოდს დაემთხვა ერთი მოვლენა – საიდუმლო მრჩეველმა ვილემერმა იქორწინა მარიანე იუნგთან,[169] თავის ნაშვილებთან.

– ეს რომანს ჰგავს.

– დიახ, ამის მაგვარი რამ იყო. საიდუმლო მრჩეველი, დაქვრივებული, ორი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ქალიშვილის მამა, შესანიშნავი კაცი, სახალხო მეურნეობის მცოდნე, პედაგოგი, პოლიტიკოსი, ფილანთროპი, ამასთან პოეტი და დრამატული მუზის აქტიური მეგობარი; და აი, ამ კაცმა უკვე ათი წლის წინ თუ უფრო ადრე თავის სახლში მიიყვანა ახალგაზრდა მარიანე, ლინცის თეატრის შვილი, რათა ბავშვი სცენის საშიშროებათაგან ეხსნა. ეს ფილანთროპული საქციელი იყო. ოჯახის უმცროს ქალიშვილებთან ერთად გაიზარდა და თექვსმეტი წლის წაბლისფერკულულებიანი გოგონა ძალიან მიმზიდველი ქალიშვილი შეიქნა; მღერის მომჯადოებლად, ენერგიულად და მიმზიდველად უძღვება წვეულებებს საღამოობით. და აი, როგორც ხდება ხოლმე, ფილანთროპი და პედაგოგი მოულოდნელად იქცა საყვარლად.

– ესეც მხოლოდ ადამიანურია. თუმცა, ერთი არ გამორიცხავს მეორეს.

– მაგას ვინ ამბობს? მაგრამ მაინც ოჯახური გარემოებანი

უკეთეს და სასურველ მოწესრიგებას საჭიროებდა, და ვინ იცის, რამდენ ხანს გაჭიანურდებოდა ეს, მამაჩემი რომ არ ჩარეულიყო და წესრიგის დასამყარებლად გავლენა არ მოეხდინა; აშკარად ამით აიხსნება ის, რომ როდესაც იგი ჰაიდელბერგიდან დაბრუნდა. ოქტომბრის დამდეგს, ორიოდე დღით ადრე, მამობილმა სასწრაფოდ, არც აცია, არც აცხელა, ცოლად შეირთო თავისი შვილობილი.

შარლოტე ფართოდ გახელილი თვალებით უცქერდა მას, ასევე ავგუსტიც. ქალის აწითლებულ, დაღლილ სახეზე რაღაც გაუგებრობისა და გულისტკივილის გამომეტყველება აისახა, როდესაც თქვა:

– თქვენ, ჩანს, გნებავთ გამაგებინოთ, რომ მდგომარეობის ამ შეცვლამ ერთგვარად გული გაუტეხა მამათქვენს?

– არამც და არამც! – გაკვირვებით უპასუხა ავგუსტმა. – პირიქით, ამ მოწესრიგებული, დაწმენდილი და ცხადი ურთიერთობის ფონზე მისი როგორც სტუმრის სიამოვნების გრძნობა ნამდვილად მხოლოდ გაიფურჩქნა დედამიწის ამ მშვენიერ კუთხეში. იქ დიდებული აივანი იყო, ჩრდილუბვი ბაღი, სულ ახლოს ტყე, თვალის გამახარებელი და გულის გამახალისებელი გადასახედი მდინარისა და მთებისკენ, იქ იყო თავისუფალი, მხიარული, გულუბვი სტუმართმოყვარეობა. მამას იშვიათად უგრძნია თავი ესოდენ ბედნიერად. თვეები გავიდა და მაინც ოცნებობდა მშვენიერ, თბილსა და ტკბილ საღამოებზე, როცა ფართო მდინარე მაინი საღამოობით ჩამავალი მზის სხივებზე ალისფრად ლივლივებდა და ახალგაზრდა დიასახლისი უმღეროდა მის «მინიონს», მის «მთვარის სიმღერას», მის «ზაიადერას». თქვენ შეგიძლიათ ასევე წარმოიდგინოთ ახალდაქორწინებული მეუღლის კმაყოფილება. როდესაც უყურებდა. თუ რაოდენი მეგობრობის ღირსი გახდა პატარა ქალი, რომელიც მან აღმოაჩინა და საზოგადოებას უძღვნა. ყოველივე ამას, რამდენადაც შემძლია წარმოვიდგინო, ის უყურებდა სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, რაც შეუძლებელი იქნებოდა ურთიერთობათა წინასწარი მოწესრიგებისა და განმტკიცების გარეშე. განსაკუთრებით აქებდა მამა თვრამეტი ოქტომბრის საღამოს, როდესაც ვილემერების სამზერი კომპიდან ერთად გაჰყურებდნენ და ტკბებოდნენ ლაიფციგის ბრძოლის წლისთავის აღსანიშნავი დიდებული ფეიერვერკით.

– ეგ სიხარული, – თქვა შარლოტემ, – უარყოფს, ჩემო ძვირფასო ბატონო კამერმრჩეველო, ზოგ რამეს, რაც მე შემთხვევით გავიგონე, – თითქოს მამათქვენს აკლდეს მამულიშვილური სიტბო. იმ ბედნიერ საზეიმო დღეს არავინ ვარაუდობდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ნაპოლეონი ელბიდან გამოიქცეოდა და მსოფლიოს ახალ შფოთსა და უბედურებას დაატეხდა თავს.

– რის გამოც, – თავი დაუკრა ავგუსტმა, – რის გამოც, მამაჩემის გეგმები შემდეგ წელიწადს კინალამ ჩაიშალა. მთელ იმ ზამთარს მამაჩემი სხვა არაფერზე ფიქრობდა, სხვა არაფერზე ლაპარაკობდა, თუ არა იმაზე, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, კვლავ გამგზავრებულიყო იმ მაღლიან მხარეში. მთელი ქვეყანაც იმას უდასტურებდა, რომ მას ვისბადენი უფრო უხდებოდა, ვიდრე კარლსბადი. დიდი ხანია მას ასე მხნედ არ გადაუტანია ვაიმარის ზამთარი. მარტოოდენ ის ოთხი კვირა, მწვავე კატარს რომ უჩიოდა, თორემ სხვა მხრივ მთელი ამ ხნის განმავლობაში თავს დიდებულად და გაახალგაზრდავებულად გრძნობდა, აგრეთვე იმის გამოც, რომ უკვე დიდი ხნით ადრე, იმ ბედუკულმართი ცამეტი წლის შემდეგ, კვლევისა და პოეტური შემოქმედების ახალი ასპარეზი გადაეშალა, სახელდობრ, აღმოსავლური და კერძოდ სპარსული

პოეზია, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი ნაყოფიერებითა და გარდათხზვის უნარწესით სულ უფრო ღრმად და ღრმად ჩაუჯდა; ასე რომ, მალე მის საქალაქდებში თავი მოიყარა ფრიად ღირსშესანიშნავი გემოვნების უამრავმა გამოთქმამ და სიმღერამ, როგორც არასოდეს დაეწერა, მათ შორის ბევრმა ისეთმა, ვითომც აღმოსავლეთის მგოსანმა ჰატემმა რომ უძღვნა მშვენიერ ქალს, სახელად ზულეიკას.

– ეს კარგი ამბავია, ბატონი კამერმრჩეველო! ლიტერატურის მეგობარი სიხარულით უნდა მიესალმოს მას და აღფრთოვანებით მიეგებოს ზეცით მომადლებული ნიჭის, შემოქმედებითი ძალების ესოდენ განმტკიცებასა და განახლების უნარს. მე, როგორც ქალს, როგორც დედას, სრული საფუძველი მაქვს შურით, ან, უფრო სწორად, იმავე აღფრთოვანებით ვუყურო მამაკაცური საწყისის ესოდენ დიდ სიმტკიცეს, გამძლეობას, გონებრივ ძალთა ნაყოფიერებას, მის უპირატესობას ცოცხალი არსებებისთვის დამახასიათებელი ქალური ნაყოფიერების წინაშე. ახლა რომ ვიგონებ, სრული ოცდაერთი წელი გავიდა მას მერე, რაც მე სიცოცხლე ვაჩუქე ჩემს ყველაზე უმცროს შვილს (ეს ფრიცჰენი იყო, ჩემი მერვე

ვაჟიშვილი).

– მამამ გამანდო, – თქვა ავგუსტმა, – რომ ღვინის მოყვარული მგოსნის სახელი, ვისი სახელშეფარვითაც მან ეს სიმღერები შეთხზა, – ჰატემი, – ნიშნავს «უხვად მიმადლებელსა და მომსთვლელს». თქვენც ასევე, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, თუ უფლება მაქვს შევნიშნო, უხვად მიმადლებელი ბრძანდებოდით.

– ეს, სამწუხაროდ, დიდი ხნის წინათ იყო, – თქვა ლოტემ, – მაგრამ გთხოვთ განაგრძოთ. ომის ღმერთს უნდოდა ჰატემის ვარაუდები ჩაეფუშა?

– ის ბრძოლების ასპარეზს ჩამოაშორეს, – მიუგო ავგუსტმა. – იგი სხვა ღმერთმა დაამარცხა. ასე რომ, ერთგვარი შიშნეულობის შემდეგ ყველაფერი სურვილისამებრ წარიმართა. შარშან მაისის დამლევს მამა ვისბადენს გაემგზავრა და, სანამ ის იქ მკურნალობდა ივლისამდე, ომის ქარიშხალიც ჩადგა, სულერთია, როგორ, მაგრამ მაინც ჩადგა; და ნათელ პოლიტიკურ ჰორიზონტზე მას შეეძლო დარჩენილ ზაფხულს რაინზე ყოფნით დამტკბარიყო.

– მაინზე?

– რაინსა და მაინზე. იგი ციხე-დარბაზ ნასაუში მინისტრ ფონ შტაინის[170] სტუმარი იყო, მასთან ერთად გაემგზავრა კელნში ტაძრის შესასწავლად. ამ ტაძრის მშენებლობის მოსათავებლად ის კვლავ ცხოველ ინტერესს იჩენს. მისი აღწერის მიხედვით, უკან დაბრუნების დროს ბონსა და კობლენცზე გამოიარა და ფრიად ნასიამოვნები დარჩა; ჰერ გორესის[171] ქალაქი და «რაინის მერკური» შტაინის საკონსტიტუციო გეგმებს პროპაგანდას უწევს. ის, რომ მამა განსაკუთრებით შეეწყო მას, უფრო მეტად მაკვირვებს, ვიდრე მისი მონაწილეობა ტაძრის მშენებლობის დასრულებაში, რაც მას შთააგონეს. ბედნიერი გუნება-განწყობილება არ მოშორებია მთელი ამ ხნის განმავლობაში და ამას მე უფრო მშვენიერ ამინდსა და თვალის გამახარებელ სანახებს ვაბრალებ. ის ერთხელ კიდევ იყო ვისბადენში, იყო აგრეთვე მაინცში, დაბოლოს, აგვისტოში, ისევ ფრანკფურტს ეწვია; საამური სოფლური ადგილსამყოფელი უკვე დიდი ხნის ბედნიერად დამკვიდრებული ურთიერთობებით კვლავ მიეგება მას, სადაც ხუთი კვირის განმავლობაში, სწორედ ისე, როგორც ის ოცნებობდა, კვლავ

განახლდა შარშანდელი კეთილდღეობა, რასაც გულუხვი და სტუმართმოყვარე მასპინძლობა კიდევ უფრო ახალისებდა. აგვისტო მისი დაბადების თვეა – და, შესაძლებელია, ადამიანს მგრძნობიარე, გულითადი ძაფები აკავშირებს წელიწადის იმ დროსთან, როდესაც ის ამქვეყნად გაჩნდა, და რომელიც ყოველი მობრუნებისას აღამაღლებს მის სასიცოცხლო ძალებსა და სულს. მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო, რომ აგვისტოშია იმპერატორ ნაპოლეონის დაბადების დღეც, რაც ამ ცოტა ხნის წინ გერმანიაში ასე ზეიმით აღნიშნეს; და მე მაკვირვებს, უფრო სწორად რომ ვთქვა: მახარებს გონის გმირთა ნათელი უპირატესობა საქმის გმირების წინაშე. ვატერლოოს

სისხლიანმა ტრაგედიამ მამაჩემს გზა გაუკაფა სტუმართმოყვარე გერბერმიულესკენ, და ის, ვინც ერფურტში მასთან საუბრობდა, ახლა კლდეზე იყო მიჯაჭვული ზღვაში, მამაჩემი კი ამ დროს ბედის წყალობით ბედნიერი წუთებით ტკბებოდა.

– აქაც სამართლიანობა მეუფებს, – თქვა შარლოტემ. – ჩვენმა ძვირფასმა გოეთემ ადამიანებს მხოლოდ სიყვარული და სიკეთე მოუტანა, ის, მსოფლიოს დამპყრობი კი მორიელებითა და მისთანებით სჯიდა მათ.

– და მაინც, – შეეპასუხა ავგუსტი და თან თავი უკან გადასწია, – მე იმ აზრისა ვარ, რომ მამაჩემიც ძლევამოსილი მეუფეა.

– არავინ უარყოფს თქვენს აზრს და არც მის ძლევამოსილ მეუფებას, – მიუგო შარლოტემ, – მხოლოდ ეს ისეა, როგორც რომის ისტორიაში გვისწავლია კეთილი და ბოროტი იმპერატორების შესახებ. ასევე მამათქვენიც, ჩემო მეგობარო, ამგვარი კეთილი და სათნო იმპერატორია, ის კი, მეორე, პირიქით, სისხლისმსმელია, ჯოჯოხეთის ნაშიერია. ეს აისახა კიდევაც ბედის სხვაობაში, რაც თქვენ გონებამახვილურად შენიშნეთ. – მაშასადამე, გოეთე ხუთ კვირას დარჩა ახალდაქორწინებულთა სახლში?..

– დიახ, სექტემბრამდე, მანამდე, სანამ კარლსრუეში გაემგზავრებოდა, რათა მისი ბრწყინვალეების დავალებით იქაური განთქმული მინერალთა კაბინეტი ენახა. იქ გაემგზავრა იმ ვარაუდითა და მოლოდინით, რომ ფრაუ ფონ თიურქჰაიმს შეხვდებოდა, მე ვგულისხმობ ფრანკფურტელ ლილი შონემანს[172], რომელიც ხანდახან ელზასიდან ჩამოდიოდა ხოლმე ნათესავების სანახავად;

– როგორ, მრავალი წლის შემდეგ კვლავ შეხვდა თავის ოდინდელ დანიშნულს?

– არა, ბარონის მეუღლე არ ჩამოვიდა. ალბათ, შეუძლოდ იყო და ამის გამო ვერ ჩამობრძანდა. ჩვენ შორის დარჩეს და მას ჭლექი სჭირს.

– საბრალო ლილი, – თქვა შარლოტემ, – მათი ამ არაფერი ურთიერთობიდან ბევრი გამოვიდა. რამდენიმე როდი სიმღერა, მაგრამ ისიც გახლავთ ქვეყნიერების შემძვრელი თხზულება.

– ეს სწორედ იგივე ავადმყოფობაა, რითაც გარდაიცვალა საბრალო ბრიონი, ფრედერიკე ფონ ზეზენჰაიმი,[173] – დაურთო ჰერ ფონ გოეთემ თავის წინა შენიშვნას, – აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც სამარეში წევს; მაშინ, ბადენში ყოფნისას, მამა მასთან ძალიან ახლოს იყო. მან თავისი მწუხარე ცხოვრება დაამთავრა სიძის, პასტორ მარქსის სახლში, სადაც პოვა მშვიდი თავშესაფარი. მე ვეკითხები ჩემს თავს, უფიქრია თუ არა მამაჩემს ამ ახლომდებარე სამარეზე, ყოველ შემთხვევაში, სურვილი მაინც თუ გასჩენია მოენახულებინა იგი, მაგრამ არ მინდოდა მისთვის მეკითხა და, ეჭვიც მეპარება, რადგან თავის აღსარებებში ის ამბობს, რომ გამოთხოვების დღეს, როცა უკანასკნელი «მშვიდობით» უთხრა, მათი გატანჯული მდგომარეობის გამო მოგონება არ დარჩენია.

– მე მეცოდება ეს ქალი, – თქვა შარლოტემ, – მას გამბედაობა და ენერჯია არ ეყო იმისთვის, რომ ღირსეული, ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად ძალ-ღონე მოეკრიბა და სოფლად მოქმედი, ენერჯიული მამაკაცის სახით თავისი შვილების მამა შეეყვარებინა. მოგონებებით ცხოვრება მოხუცებულთა საქმეა, ისიც დღესასწაულის წინა საღამოს, როცა დღის სამუშაო დასრულებულია. ახალგაზრდობაში ამით დაწყება სიკვდილია.

– შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, – უპასუხა ავგუსტმა, – რომ იმის შესახებ, რაც თქვენ გამბედაობაზე ბრძანეთ, მამაჩემიც სავსებით იმავე აზრის არის; მან ხომ სწორედ ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ ჭრილობებსა და ავადმყოფობებს, რომელთაც დანაშაულის შეგნებასა და მტანჯველ მოგონებებსაც აკუთვნებს, ახალგაზრდობაში უფრო ადვილად და მალე ვძლევთ. ფიზიკურ ვარჯიშს, ტანვარჯიშს, ცხენით მგზავრობას, ფარიკაობას და ციგურაობას სულიერი

მხნეობის აღსადგენად შესანიშნავ და საჭირო დამხმარე საშუალებად თვლის. მაგრამ უბედნიერეს საშუალებას, მოერიოს იმას, რაც აწუხებს, დანაშაულის შეგნებისგან საკუთარი პიროვნების გათავისუფლებას, ცოდვათა მიტევებასა და გამართლებას, რა თქმა უნდა, ანიჭებს მგოსნის ტალანტი, პოეტური აღსარება. როდესაც მოგონება განსულიერდება, ზოგადადამიანური სახით გათავისუფლდება და მარად დამატკობელ, აღტაცების გამომწვევ თხზულებად იქცევა.

ყმაწვილმა კაცმა ათივე თითის წვერები ერთმანეთს მიაბჯინა და ლაპარაკის დროს მექანიკურად წინ და უკან ამოძრავებდა, მკერდთან მიჰქონდა ერთმანეთს მიკრული ხელები, გამოწეული იდაყვებით. მის ბაგეზე აღბეჭდილი ნაძალადევი ღიმილი არ ეხამებოდა წარბებს შორის გასკვნილ ნაოქს და წითლად დაფოთლილ შუბლს.

– თავისებური რამ არის მოგონება, – განაგრძო მანვე. – ხანდახან მიფიქრია მასზე; ისეთი არსების დაბადებიდანვე თანდაყოლილი სიახლოვე, როგორც მამაჩემია, შესაფერი თუ შეუფერებელი ფიქრის საბაბს გაძლევს. მოგონება, ცხადია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მგოსნის შემოქმედებასა და ცხოვრებაში, რომლებიც ისე შედუღებულან ერთად, რომ, თუ ზუსტად ვიტყვით, მხოლოდ ერთის დასახელებაა საჭირო: შეიძლება ვილაპარაკოთ მის შემოქმედებაზე როგორც მის ცხოვრებაზე, და მის ცხოვრებაზე, როგორც მის შემოქმედებაზე. მარტო შემოქმედება როდია მოგონებით განსაზღვრული და დაღდასმული, და არა მარტო «ფაუსტში», «გოცისა» და «კლავიგოს» მარიებსა და მათი ორივე საყვარლის უარყოფით ფიგურებში მოგონება განმეორებით თავს იჩენს იდეფიქსის, აკვიატებული იდეის სახით. იგი იქცევა, თუ სწორად ვხედავ, აგრეთვე ცხოვრების აკვიატებულ იდეადაც, რომელსაც კვლავ და კვლავ გამეორება სწადია; მისი საგანი, როგორც მორჩილების მაგალითი, მტანჯველი უართქმა ან ის, რასაც თვით პოეტი-აღმსარებელი ამათრახებს როგორც მუხანათურ არაერთგულეობას, თვით ღალატსაც კი, ყოველივე ეს იმთავითვე თავდაპირველია, საწყისისეულია, გადამწყვეტია და ბედისწერის განმსაზღვრელია; იგი იქცევა, თუ შემძლია ასე გამოვხატო, მთავარ მოტივად, ცხოვრების ჭედვის ნიმუშად, და ყველა შემდგომი უართქმა, ხელის აღება და მორჩილება მხოლოდ თავდაპირველის შედეგია, განმეორებული

მოგონებაა. ო, მე ხშირად მიფიქრია ამაზე და ჩემი სულიერი სამყარო გაფართოებულა შიშით, – არსებობს ისეთი შიშიც, სულს რომ აფართოებს, – როდესაც ჩავუფიქრდი, რომ დიდი მგოსანი მეუფეა, რომლის ბედისწერა, რომლის შემოქმედება და ცხოვრებისეული გადაწყვეტილებანი თავისი მოქმედებითა და გავლენით პიროვნულის ფარგლებს შორს გასცდება და ერის ჩამოყალიბებას, განათლებას, ხასიათსა და მომავალს განსაზღვრავს. საშინლად დიადი გრძნობა შემიპყრობს ხოლმე, როდესაც გონების თვალწინ დამიდგება სურათი, რასაც ჩვენ, ყველანი, ვერასოდეს დავივიწყებთ, თუმცა იმ დროს იქ არ ვყოფილვართ და მხოლოდ ორი ადამიანი წარმოადგენდა ამ საბედისწერო სურათს: როგორ უწვდის ხელს უკვე გზაზე დამდგარი, ცხენიდან გადმოხრილი მხედარი გოგონას, ხალხის ასულს, რომელსაც მთელი სულითა და გულით უყვარს იგი, მას კი მისი დემონი საზარელ განშორებას უბრძანებს. გოგონას თვალები ცრემლით აქვს სავსე. ო, ეს ცრემლები, ქალბატონო! – მაშინაც, როდესაც სული ჩემი საშინლად გაფართოებულია, ამ ცრემლების აზრი ვერ ამომიცნია.

– ჩემი მხრივ კი, – შეეპასუხა შარლოტე, – ჩემს თავს ვეუბნები ერთგვარი მოუთმენლობით, რომ ეს მშვენიერი არსება, ხალხის ასული, სწორედ მაშინ იქნებოდა თავისი სატრფოს ღირსი, თუ საკმაო გამბედაობა აღმოაჩნდებოდა და მისი წასვლის შემდეგ თავის ნამდვილ ცხოვრებას მოაწყობდა, ნაცვლად იმისა, რომ ყოვლად საშინელ დღეში ჩაეგდო თავი, ისეთ საშინელებაში, რაც კი ამ ცისქვეშეთში არსებობს, სახელდობრ, დარდისგან ჭკნობა და ჩამოხმობა. ჩემო მეგობარო, დარდისგან ჭკნობა და ჩამოხმობა ყველაზე საშინელი რამ არის. ღმერთს მადლობა შესწიროს. ვინც შეძლო იგი თავიდან აეცილებინა, მაგრამ უკეთუ არა ყოველი ზნეობრივი მსჯელობა უნდა იყოს ხსნა და განთავისუფლება, მაშინ შეგვიძლია დავგმოთ ის, ვინც მას დაენდო და დაემორჩილა. მე გისმენდით, როგორ ლაპარაკობდით უართქმაზე, ხელის აღებაზე, მაგრამ იმ ყმაწვილ გოგონას, ახლა სამარეში რომ წევს, ცუდად სცოდნია უართქმა, – მისთვის უართქმა დარდით ჩამოხმობა ყოფილა და მეტი არაფერი.

– ორივე, – თქვა ახალგაზრდა გოეთემ, ათივე თითის წვერები ერთმანეთს დააშორა და კვლავ ერთმანეთს მიუახლოვა, – ორივე ერთმანეთის ახლოს არსებობს და ყველგან ძნელი უნდა იყოს, ისინი მთლად ერთმანეთს დააშორო ცხოვრებასა და

შემოქმედებაში. ჩემი ფიქრი ხანდახან ამასაც შეხება, როდესაც, სახელდობრ, იმ ცრემლების აზრსა და მნიშვნელობას სული ჩემი საშინლად გაუფართოებია, – არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა გადმოგცეთ ეს, – ფიქრი ჩემი შეხება სინამდვილეს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ისე, როგორც იგი შექმნილა, და შესაძლებელს, რასაც ჩვენ ვერ ვიცნობთ, არამედ მხოლოდ ალლოთი ვგრძნობთ – ზოგჯერ ნაღვლიანადაც, რასაც სინამდვილის წინაშე უდიდესი პატივისცემის გამო ჩვენს თავსაც და სხვასაც ვუმაღავთ და ჩვენი გულის სიღრმეში ჩავიმარხავთ. მართლაც, რა არის შესაძლებელი ნამდვილის წინაშე და ვინ გაბედავს სიტყვა დაძრას შესაძლებლის გამო, რამეთუ იგი საფრთხეს გვიქადის, ამით ნამდვილის წინაშე მოწიწება არ დავამციროთ! მაგრამ მაინც ხშირად მგონია, რომ აქ ერთგვარი უსამართლობა მეფობს, რაც იმ ფაქტით აიხსნება, – დიახ, აქაც შეიძლება ფაქტებზე ლაპარაკი! – რომ ნამდვილი იკავებს მთელ სივრცეს და მთელ ალტყინებასაც თავისკენ იზიდავს, მაშინ როდესაც შესაძლებელი, რაკი არ ქმნილა, მხოლოდ სქემა და ვარაუდია «ასე რომ ყოფილიყო». როგორ არ უნდა გეშინოდეს, რომ ამგვარი «ასე რომ ყოფილიყოთი» არ დააზიანო, არ დაამცირო მოწიწება ნამდვილის წინაშე, რომელიც მეტწილად იმის შეგნებაზეა დამყარებული, რომ შემოქმედებაცა და ცხოვრებაც ბუნებით უართქმის ნაყოფია. მაგრამ შესაძლებელიც რომ არსებობს, თუნდაც ჩვენი ვარაუდისა და ნატვრის ფაქტის სახით, თუნდაც როგორც «ასე რომ ყოფილიყო» და უმაღლესი მოდუდუნე გამოვლენა იმისა, რაც ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. ამის დამადასტურებელია ის, რომ ადამიანები კაემშითა და ნატვრით ცოცხლად ჭკნებიან.

– მე ვარ და დავრჩები, – უპასუხა შარლოტემ და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, – გაბედულებისა და იმის მომხრედ, რომ მხნედ მივყვეთ ნამდვილის გზას, ხოლო შესაძლებელს თავი დავანებოთ.

– რადგანაც პატივი მაქვს, ვიჯდე აქ თქვენთან, – მიუგო კამერმრჩველმა, – ჩემთვის ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენ ერთხელ მაინც არ დაგბადებოდათ სურვილი შესაძლებლისთვისაც მიგეხედათ. მე მგონია, რომ ეს მიდრეკილება, ეს სურვილი სავსებით გასაგებია, რადგან სწორედ სიდიადე ნამდვილისა და უკვე ქმნილისა, ახდენილისა გვაცდუნებს ხოლმე, რომ აუხდენელ შესაძლებელზეც ვიფიქროთ. ბუნებრივია, რომ სინამდვილე

დიად რამეებს გვთავაზობს, ან კი სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო ასეთ ძალთა და უნართა ვითარებაში – იქ საქმე ყველანაირად ხდებოდა. ყველაფერი ასეც წარიმართა და საკმაოდ დიდებულადაც; ეტყობა, უართქმითა და არაერთგულეობითაც შეიძლებოდა რაღაც გაკეთებულიყო და აი, ახლა ადამიანი ეკითხება თავის თავს, – და ეკითხება სამართლიანად, მთელი ცხოვრებისა და მთელი მომავლისთვის ამ შემოქმედებისა და ცხოვრების მბრძანებლურად გამოკვეთილი მნიშვნელობის შეგნებით, – რა შეიძლებოდა მომხდარიყო და რამდენად ბედნიერი შეიძლებოდა ვყოფილიყავით ჩვენ, ყველანი, უართქმის იდეა რომ გადამწყვეტი არ ყოფილიყო, უწინდელი გაყრის სურათი, ცხენზე ამხედრებულის გაწვდილი ხელისა და დაუვიწყარი განშორების ცრემლთა სურათი რომ არ ყოფილიყო? თუმცა ყოველივე ეს იმიტომ ითქვა და იმასთან დაკავშირებით მოხდა, რომ მე ჩემს თავს ვკითხე, თუ უფიქრია მამაჩემს ბადენში მკურნალობის დროს კარლსრუესთან ახლომდებარე და ჯერ კიდევ საკმაოდ ახალ სამარეზე.

– უნდა დაფასდეს ამაღლებული აზრი, – თქვა შარლოტემ, – რომელიც შესაძლებელს იცავს ნამდვილის წინაშე, თუმცა ნამდვილს ესოდენი უპირატესობა აქვს, და სწორედ იმიტომ, რომ ასეთი უპირატესობა აქვს შესაძლებელთან შედარებით. მართალია, მაინც გადაუწყვეტელი რჩება საკითხი – ამ ორთაგან რომელს შეშვენის ზნეობრივი უპირატესობა – გამბედაობას თუ ამაღლებულ აზრთა წყობას. აქ ადვილად შეიძლება უსამართლობაში ჩავვარდეთ, რამეთუ მაღალ აზრთა წყობას ბევრი რამ მიმზიდველი და მისაღები აქვს, მაგრამ გამბედაობა კიდევ უფრო მომწიფებული მაღალი ზნეობრივი საფეხურია. მაგრამ რას ვლაპარაკობ? დღეს მე ენად გავიკრიფე და ვამბობ, რაც კი თავში მომივა. საერთოდ ქალის ხვედრია განცვიფრდეს იმაზე, თუ რა არ შეუძლია იფიქროს კაცმა. მაგრამ წლოვანების მიხედვით თქვენ შეიძლება ჩემი შვილიც ყოფილიყავით, და გულადი დედა არასოდეს არ ტოვებს ბედის ანაბარად მუყაით ვაჟიშვილს. ამით აიხსნება ჩემი სიტყვამრავლობაც, რაც საბოლოოდ ქალური თავდაჭერილობის ზნესა და წესს არღვევს. მაგრამ, მოდით, შესაძლებელს თავი დავანებოთ, დაე, მშვიდად განისვენოს მან სამარის ბორცვს ქვეშ, და ისევ სინამდვილეს მივუბრუნდეთ; მე მინდოდა მეთქვა: დავუბრუნდეთ მამათქვენის გამამხნეველ მოგზაურობას

რაინსა და მაინზე. სიამოვნებით მოვისმენდი კიდევ უფრო მეტს გერბერმიულეს შესახებ; ეს ხომ ის ადგილია, სადაც გოეთე ჩემს ორ ვაჟიშვილს გაეცნო.

– სამწუხაროდ, მეტს ვერაფერს გეტყვით ამ შეხვედრის თაობაზე, – მიუგო ავგუსტმა, – სამაგიეროდ, მე ვიცი, იქ ყოფნა, როგორც ეს ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, პირველის სრული გამეორება გამოდგა, მამაჩემი კიდევ უფრო კარგად გახდა, გახალისდა, გაჯანმრთელდა, გაიხარა და როგორც პირველად, ახლაც ნასიამოვნები დარჩა, სახელდობრ, მოხდენილი დიასახლისის საზოგადოებრივი ნიჭიერებისა და სახლის უფროსის დიდი სტუმართმოყვარეობის წყალობით შეთანხმებულ და კეთილად მოწესრიგებულ ურთიერთობათა ნიადაგზე. კვლავ ალისფრად ელვარებდა მდინარე მაინი სურნელოვანი და საამური საღამოს ჩამავალი მზის სხივებზე და კვლავ მღეროდა მოხდენილი მარიანე ფორტეპიანოზე მამის სიმღერებს. მაგრამ ამ მშვენიერ საღამოებზე ის არათუ მომსთვლელი, უხვად მიმმადლებელიც გახლდათ, რამეთუ იგი დაითანხმეს, თუ, შესაძლოა, დაათანხმებინა კიდევაც თავი, რომ წაეკითხა თავისი სულ უფრო და უფრო მზარდი საგანძურიდან, ზულეიკას სიმღერებიდან ის, რომლითაც ჰატემი აღმოსავლეთის იმ ვარდს მიმართავს, და მეუღლეებმაც შეძლეს ღირსეულად დაეფასებინათ მისი გულზიარობა. ახალგაზრდა დიასახლისი, როგორც ჩანს, არასგზით არ ეკუთვნის ქალთა იმ მოდგმას, რომლებიც მხოლოდ გაკვირდებიან იმის გამო, თუ რას არ მოიაზრებს ასეთი კაცი; იგი არ დასჯერდა თავის მხრივ მხოლოდ მიღებას, თავის გულზიარობასა და თანაგრძნობაში ისე ღრმად შეიჭრა, რომ ზულეიკას სახელით, ქალმა იწყო ვნებიან აღსარებებზე სრულიად ტოლ-სწორად და გულლიად პასუხის მიცემა, ხოლო მისი მეუღლე ამ წყვილის შეწყობილ ურთიერთშემღერებას სტუმარმასპინძლობის კვალად კეთილისმსურველი გულით უსმენდა.

– მართლაც ჩინებული კაცი ყოფილა, – თქვა შარლოტემ, – სინამდვილის უპირატესობათა და უფლებათა ჯანსაღი გაგება ჰქონია. მთლიანად კი, როგორც მიაძბეთ, მგონი, კარგი ილუსტრაციაა იმისა, რაც თქვენ მოგონების შესახებ თქვით, გამეორებას რომ ესწრაფვის. და საბოლოოდ, ეს ხუთი კვირაც, რაღა თქმა უნდა, მიიწურა და დიადი სტუმარიც განშორდა მათ?

– დიახ, მთვარით განათებული გამოსათხოვარი სალამოს შემდეგ, როცა სიმღერით გული იჯერეს, დასასრულ, გვიანობისას, როგორც მე გავიგე, თვითონ ახალგაზრდა დიასახლისი თითქმის არასტუმართმოყვრული წესით აჩქარებდა გამომშვიდობებას; მაგრამ განმეორების სურვილმა აქაც კვლავ თავი იჩინა და ერთხელ კიდევ გული იჯერა სიამოვნებით. ჰაიდელბერგში, საითაც მამამ გეზი აიღო, კვლავ მოხდა მათი შეხვედრა, რადგან ცოლ-ქმარი მოულოდნელად იქ გაჩნდა და სულ უკანასკნელ გამოსათხოვარ სალამოს, როცა ბადრი მთვარე შუქს აფრქვევდა, ქმრისა და მეგობრის გასაკვირად და სასიხარულოდ, ახალგაზრდა ქალმა ისეთი მშვენიერი საპასუხო ლექსები წაიკითხა, რომ თვით მამაჩემის ლექსები გეგონებოდათ. მართლაც კარგად უნდა ჩავკვირდეთ, ვიდრე ნამდვილს გადამწყვეტ უპირატესობას, გამორჩეულ უფლებებს მივანიჭებდეთ პოეტურის წინაშე. სიმღერები, რომლებიც მამამ შეთხზა ჰაიდელბერგში და შემდეგ კი თავისი სპარსული დივანისთვის, განა ნამდვილის გვირგვინი და თვით ყოვლად ნამდვილი არ არის? მე ის უპირატესობა მაქვს, რომ მათ კარგად ვიცნობ და ზოგიერთი ხელთ მაქვს უფრო ადრე, ვიდრე მთელ მსოფლიოს. ძვირფასო ქალბატონო, ისინი არაჩვეულებრივი, ენით უთქმელი ღირსების ნაწარმოებებია. ასეთი რამ არასოდეს არსებულა. ისინი მთლად მამაჩემის სულისკვეთებით არიან გამსჭვალული, მათში მისი მეობაა ჩაქსოვილი, მაგრამ სრულიად ახალი, კვლავ მთლად მოულოდნელი მხრით შემობრუნებული. რომ ვუწოდო იდუმალებით სავსეო, მაშინვე იძულებული ვიქნები ვალიარო, რომ ისინი ბავშვურად ნათელია. ეს, არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ, – ბუნების ეზოტერიკაა. იგი უაღრესად პიროვნულია, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კამარის თვისებებით შემკული. ასე რომ, მასში მთელი ყოვლადი სამყარო ადამიანის სახეს იღებს, ხოლო მეობა ვარსკვლავთა თვალებით იმზირება. ვის ძალუმს მისი გამოთქმა! ორი ლექსი იქიდან სულ თან დამდევს განუმორებლად – უსმინეთ, გეთაყვა!

მან მოკრძალებით და თითქოს შეშინებული დაბალი ხმით წარმოთქვა:

აისივით ამოენთე,

ცეცხლს უკიდებ პირქუშ კლდეებს...

– რას იტყვით ამაზე? – ჰკითხა მან ისევ შემკრთალი ხმით, – ნურაფერს იტყვით, ვიდრე დავუმატებდე, რომ «აისივით ამოენტეს» მისი საკუთარი მაღლმოსილი გვარი ერთიმება, ე.ი. იქ თუმცა ჰატემი წერია («ერთხელ კიდევ გრძნობს ჰატემი»), მაგრამ შეურითმავი სახელის ნიღბით ეშმაკურად და გულწრფელად შეფარულ-შერთმულია თავისი გვარი. «და ერთხელ კიდევ გრძნობს ჰატემი» – როგორ მოგწონთ ეს? როგორ შთაბეჭდილებას ახლენს თქვენზე ასეთი საზეიმო შეგნებული სიდიადე, ახალგაზრდობის ამბორით აღბეჭდილი, ახალგაზრდობით დარცხვენილი? – მან გაიმეორა ლექსები. – რა ნეტარებაა, ღმერთო ჩემო, და რა სიდიადე! – წამოიძახა მან და წინგადახრილმა ახალგაზრდა გოეთემ შუბლი ხელისგულით მოისრისა და თითებით თმის კულულები აიწეწა.

– ექვი არ მეპარება, – უთხრა შარლოტემ თავდაჭერილად, რადგან ეს გახელებული საქციელი უფრო მეტად ეჩოთირა და არასაკადრისი ეჩვენა, ვიდრე ადრინდელი სიფიცხე, – რომ მთელი მსოფლიო გაიზიარებს თქვენს აღტაცებას, როდესაც ლექსების ეს კრებული დღის სინათლეს იხილავს. მართალია, ეს ეშმაკურ-მნიშვნელოვანი ლექსები ვერასოდეს მოახდენენ მსოფლიოზე ისეთ ფართო გავლენას, როგორც მოახდინა საკუთარი ახალგაზრდობისას აღფრთოვანებით შექმნილმა რომანმა. მაგრამ რას იზამთ! გულდასაწყვეტი არაფერია. მერე, განმეორებითი შეხვედრები? თქვენ ვარცხნილობა გაიფუჭეთ. თუ გნებავთ, ჩემს პატარა სავარცხელს მოგართმევთ. არა, ჩანს, იგივე თითები დაალაგებს, რომელთაც აწეწეს ის. – ამრიგად, განმეორებითი შეხვედრები ამით დამთავრდა?

– ყველაფერს აქვს დასასრული, – მიუგო ავგუსტმა. – ამ ზაფხულს, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, მამა ყოყმანობდა, სად უნდა მიელო აბაზანების კურსი. ვისბადენში? ტეპლიცში? კარლსბადში? ეტყობოდა, გული დასავლეთისკენ, რაინისკენ ძლიერ მიუწევდა, და თითქოს მოწყალე ღვთაების ნიშანს ელოდა, წინა ჯერზე რომ ომის დემონმა შეუშალა, თავისი გულის წადილი შეესრულებინა. მისი მეგობარი და შემაქცევარი ცელტერი ვისბადენს გაემგზავრა და მამასაც შესთავაზა გაჰყოლოდა. მაგრამ მან ეს ნიშანი მთლად საგულისხმოდ არ მიიჩნია, პირდაპირ არ მიიღო. «ნეტავ ეს რაინი იყოს, – თქვა მან,

– და არა ვისბადენი, იყოს ბადენ-ბადენი, საითკენაც გზა ვიურცბურგზე გადის და არა ფრანკფურტზე». კეთილი, საჭირო როდი იყო გზას სწორედ ფრანკფურტზე გაევილო, იმისთვის,

რომ იქ მისულიყო. მოკლედ, ოც ივლისს მამაჩემი გაემგზავრა. თანამგზავრად დაინიშნა მაიერი, ხელოვნების პროფესორი, რის გამოც მან დიდად გაიხარა და თავსაც იქებდა. მაგრამ რა ხდება? ნუთუ ის მოწყალე ღვთაება შემოსწყრა და ჭინკა შეუჩინა? ვაიმარიდან გასვლის შემდეგ, ორი საათის სავალზე ეტლი გადაბრუნდა...

– ღმერთო ჩემო!

– ...და ორივე შიგ მყოფი ერთიმეორეზე ყირამალა გადაკოტრიალდა ესოდენ გულმოდგინებით შერჩეულ გზაზე; მაიერს ცხვირი გაუტყდა და სისხლი სდიოდა. თუმცა მასზე არ ვფიქრობ, ახია, თავისი ცრუმედიდურობისა და თავმომწონეობის გამო დაემართა. მაგრამ სამარცხვინოა, თუმცა არასასიამოვნო, ერთგვარად სასაცილო და მხიარულების გამომწვევიც კი იმის წარმოდგენა, თუ საკუთარი სიდიადის შეგნებით ესოდენ მედიდურნი, მუდამ აწონილ-დაწონილი, დინჯი, გაზომილი ნაბიჯით მოძრავნი და ზომიერებას მიჩვეულნი, როგორ გორაობდნენ და ფართხალებდნენ დასვრილი ტანსაცმლითა და გახსნილი ყელსახვევებით ქუჩისპირა თხრილში.

შარლოტემ გაიმეორა:

– ღმერთო ჩემო!

– იმდენი არაფერი მომხდარა, – თქვა ავგუსტმა, – ამ მარცხმა თუ ბედის ოინმა, როგორც უნდა ვუწოდო მას, სრულიად იოლად ჩაიარა. მამაჩემი თავის მხრივ სრულიად უვნებლად გადარჩა და მან მაიერს, თავისი ცხვირსახოცი რომ არ ეყო, საკუთარი ცხვირსახოციც სიამოვნებით ათხოვა, ვაიმარში ჩამოიყვანა იგი და მგზავრობაც ჩაიშალა – და არა მარტო ამ ზაფხულისთვის; მე მგონია, რომ ამ რაღაცის მომასწავებელი ნიშნის გამო მან გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ ხელი აეღო რაინის ზმანებებზე, – ამას მისი ნათქვამის მიხედვით მოგახსენებთ.

– მაგრამ სიმღერების კრებული?

– რაღად სჭირდება შემდგომი სტიმული რაინის ზმანებებს! იგი მთელი ქვეყნის გასაკვირად იზრდება და იფურჩქნება, ხარობს დიდი ხანია უიმისოდაც, შესამლებელია, უკეთესადაც, ვიდრე მასთან – რაც ფუძის ანგელოზმა, მოწყალე ღვთაებამ, როგორც

ჩანს, ადრევე კარგად იცოდა. ალბათ, ამით უნდოდა დაედასტურებინა მოძღვრება, რომ ესა თუ ის საგანი ნებადართულია და გამართლებულია როგორც მიზნის მისაღწევი საშუალება.

– «როგორც მიზნის მისაღწევი საშუალება!», – გაიმეორა შარლოტემ. – ამ გამოთქმას რომ ვისმენ, გული მეკუმშება. აქ პატივსაცემი და დამამცირებელი ერთმანეთში ისე ირევა, რომ აღარავინ არჩევს და არავინ იცის, თუ რა სახით მიიღოს, როგორ მიუდგეს საქმეს.

– და მაინც, – უპასუხა ავგუსტმა, – მბრძანებლის ცხოვრების ასპარეზზე, სულერთია, კეთილი ხელმწიფეა იგი თუ ბოროტი, ბევრი ისეთი რამ არსებობს, რომ ადამიანი იძულებულია, ისინი ამ ორაზროვან კატეგორიას მიაკუთვნოს.

– კეთილი, – თქვა შარლოტემ. – მაგრამ მაშინ კაცმა ყველაფერი შეიძლება ასეც შეაბრუნოს და ისეც, დამოკიდებულია იმაზე, საქმეს რომელი კუთხიდან შეხედავთ. ასე შეიძლება რომელიმე გადამწყვეტმა საშუალებამ თავად აქციოს თავისი თავი მიზნად. მაგრამ, ბატონო კამერმრჩეველო, როგორ შეიძლება არ შეშურდეს ადამიანს, რომ ეს ღირსშესანიშნავი სიმღერების განძი ყველაზე უწინ, სანამ საზოგადოება გაეცნობოდეს, თქვენ გადაგეშალათ თვალწინ. ეს ჭეშმარიტად თავბრუდამხვევი უპირატესობაა. მამათქვენი ბევრ რამეს გაგანდობთ ხოლმე?

– ამაზე სიამოვნებით შემიძლია გიპასუხოთ დადებითად, – მიუგო და სახეზე ღიმილი გაუკრთა, თან თეთრი წვრილი კბილები გამოაჩინა. – რიმერი და მაიერი რაღას არ იგონებენ და ქვეყანას ამცნობენ, თუ რაოდენ განდობილნი და ხელდასხმულნი იყვნენ მის საქმეებში, მაგრამ ვაჟიშვილთან მაინც სულ სხვა საქმეა, ვიდრე ამ შემთხვევით მესაიდუმლეებთან – ძე ბუნებითა და მოწოდებით მამის დამხმარე და წარმომადგენელია. რაც ხანში შევიდა, უამრავი საქმე, მოლაპარაკებანი, გარიგებანი და საოჯახო, შინაური საზრუნავი გამოუჩნდა. ყოველივე ეს თავიდან უნდა ავაცილო ისეთ ღირსეულ ადამიანს, რომელშიც გენია და ხანდაზმულობა შეერთებულია. უამრავი მიმდინარე სამეურნეო ანგარიში, მომმარაგებელ ვაჭარ ხალხთან ურთიერთობა, მამის მაგიერ სტუმართა მიღება-გაცილება, შეხვედრები, სტუმრობა, მონახულება და სხვა გარემოების შესაფერი შემთხვევები და სხვა ამგვარი მოვალეობანი – თუნდაც გასვენება-

დაკრძალვებზე სიარული. კეთილმოწყობილი და სულ უფრო მზარდი კერძო კოლეჯების, ჩვენი მინერალებისა და ნუმინმატიკური კაბინეტების, ყველა ამ თვალის გამახარებელი ჩუქურთმიანი ქვებისა და სპილენძ-ჭედურობათა მოვლა-შენახვა, ზედამხედველობა; ანდა უცბად უნდა გავვარდე ცხენდაცხენ, მთელი ქვეყანა შემოვიარო, რადგან სადღაც, რომელიღაც ქვის სამტეხლოში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი კვარცი ან სულაც რაღაც გაქვავებული ნამარხი. ოჰ, არა, არასოდეს მოცლა არა მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, თქვენ უწყით ჩვენი სასახლის კარის თეატრის საინტენდანტო ვითარებანი? მე დამატებითი არჩევის წესით მასში შემოიყვანენ წევრად.

– წევრად აგირჩევენ? – გაიმეორა შარლოტემ თითქმის შემინებულმა...

– მართალს მოგახსენებთ, რა თქმა უნდა. მდგომარეობა ასეთია: თუმცა მამაჩემი წოდებით პირველი მინისტრია, მაგრამ უკვე მრავალი წელია, კერძოდ იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, თავის საქვეუწყებო საქმეებს აღარ განაგებს. მეტ-ნაკლები წესიერებით დაუთმობს ხოლმე დროს იენის უნივერსიტეტის საქმეებს, მაგრამ მეურვის ტიტული და მოვალეობანი მას უკვე უმძიმს. არსებითად ამ უკანასკნელ დრომდე მუდმივად მხოლოდ ორ საქმეს ხელმძღვანელობდა კიდევ და თავის თანამდებობას ასრულებდა: ეს გახლავთ სასახლის კარის თეატრის დირექცია, ხელოვნებისა და მეცნიერების უშუალო დაწესებულებათა უმაღლესი ზედამხედველობა, ვგულისხმობ ბიბლიოთეკებს, სამხატვრო სკოლებს, ბოტანიკურ ბაღს, ობსერვატორიას და საბუნებისმეტყველო კაბინეტებს. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს დაწესებულებები თავიდან მთავრის მიერ არის დაარსებული და მისი ხელშეწყობით არსებობს, და მამაჩემი მუდამ მკაცრად ადგას მათ განსხვავებასა და გამოყოფას სახელმწიფო საკუთრებისაგან; იგი თეორიულადაც კი უარყოფს ვინმეს ჩააბაროს მათ შესახებ ანგარიში, გარდა მისი უგანათლებულებობისა; მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელისაგან, ცნობს თავს დამოკიდებულად; მოკლედ, თქვენ ხედავთ, რომ მისი უზენაესი ზედამხედველობაც, ცოტა არ იყოს, წარსული დროების გადმონაშთია, ამით ის დემონსტრაციულად წინააღმდეგია ახალი კონსტიტუციური წყობისა, რის შესახებ მას გაგონებაც კი არ სურს, – ამ გამოთქმას სიფრთხილით მოგახსენებთ. ის უგულებელყოფს

მას, გესმით?

– სრულიად ადვილად მესმის. ის ძველი ურთიერთობების მიმდევარია. ეს ბუნებასა და ჩვეულებაში აქვს გამჯდარი, ჰერცოგის სამსახური მას ესმის როგორც პიროვნების სამსახური პიროვნებისადმი.

– ჭეშმარიტად! მე ასეც კი მგონია, რომ ეს მას საოცრად შეშვენიის. რაც ზოგჯერ ერთგვარად მოუსვენარ მდგომარეობაში მაყენებს, – თქვენ ალბათ გაიკვირვებთ კიდევაც, რომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ ასე გულახდილად გაგანდოთ და გელაპარაკოთ, – ეს ის არის, რომ ამ საქმეებში მისი ნათელი შუქი თვით მეც, მის ძედშობილ დამხმარესაც მომადგება ხოლმე. მის მაგიერ არა ერთსა და ორ გზას ვადგვარ და მის სხვადასხვა დავალებას ვასრულებ, ხან იენისკენ მივეშურები, როცა იქ რამე შენდება, პროფესორთა სურვილებს ვიგებ, და კიდევ ვინ იცის, რას. მე არც ისე ახალგაზრდა ვარ საამისოდ, ოცდაშვიდი წლის გახლავართ, ეს ვაჟკაცის ასაკია. მაგრამ ძალიან ახალგაზრდა ვარ იმ გონისეული სამყაროსთვის, სადაც ეს საქმეები წყდება. სწორად გამიგეთ? ზოგჯერ მეშინია და ვფრთხილობ, აღმაცერ შუქში არ მოვხვდე ძველმოდურ უმაღლეს ზედამხედველობაში მონაწილეობით, რაც მემკვიდრეობით არ გადაიცემა, რადგან მასში მონაწილეობით მემკვიდრე შეუსაბამობის გამო უნებურად ახალი სახელმწიფო სულისკვეთების ოპონენტად გამოჩნდება...

– თქვენ მეტისმეტად სკრუპულოზური ბრძანდებით, ჩემო კარგო ბატონო კამერმრჩეველო. არ ვიცი, ვის უნდა მოუვიდეს თავში ასეთი საჩოთირო აზრები ესოდენ ბუნებრივი და ერთგული დანხარების აღსრულების დროს. მაშ, ახლა სასახლის კარის თეატრის ხელმძღვანელობაშიც ჩაგაბამენ?

– ასე გახლავთ. ჩემი შუამდგომლობა აქ ყველაზე საჭიროა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი წყენა და ჯავრი ჰქონია მამაჩემს ოდითგანვე ამ ერთი შეხედვით მხიარული, ცოცხალი თანამდებობისგან: კომედიანტების, მსახიობების, ავტორების სისულელეები და მოთხოვნები; ამას დაუმატეთ საზოგადოების მოთხოვნები, სასახლის კარის პირთა გუნება-განწყობილების და პრეტენზიების გათვალისწინება; ყველაზე უარესია მათთან საქმის დაჭერა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სასახლის კარსაც ეკუთვნიან და თეატრსაც; მე პატივისცემით უნდა მოგახსენოთ, რომ მხედველობაში მყავს

ლამაზმანი იაგემანი, ფრაუ ფონ ჰაიგენდორფი, რომლის გავლენას ბატონზე ყოველთვის შეეძლო მამაჩემის გავლენისთვის გადაეჭარბებინა. მოკლედ, აქ რთული ვითარებაა. შემდეგ, მამაჩემიც თავის მხრივ, – ეს უნდა ვაღიაროთ, – არასოდეს არ იყო მართლა მუდმივი და ურყევი კაცი, – არც ერთი მიმართებით და არც ამაში. ყოველწლიურად, მრავალ კვირას სათეატრო სეზონის დროს იქ არ იყო, მოგზაურობდა ან მკურნალობდა კურორტებზე, და სულ არ ნაღვლობდა წარმოდგენებზე. თეატრისადმი მასში უცნაურად ცვლიდა ერთმანეთს გულმოდგინება და გულგრილობა, ვნებიანი გატაცება და უყურადღებობა, – ის თეატრალი არ არის, დამიჯერეთ. ვინც მას იცნობს, იცის და გაეგება, რომ მამაჩემს სულ არ შეუძლია კომედიანტ ხალხთან ურთიერთობა, რაც უნდა მაღლა იდგე ამ კაცუნებზე, ერთგვარად მათი ჯიშისა და ჯილაგის კაციც უნდა იყო, მათთან რომ იცხოვრო, მათ შეეწყო და მათთან საერთო ენა გამონახო, რასაც, სულითა და გულითაც რომ გინდოდეს, მამაჩემს მართლაც ვერ მოვთხოვთ. მაგრამ საკმარისია! მე ამაზე ისევე უხალისოდ ვლაპარაკობ, როგორც ვფიქრობ. აი, დედაჩემი სულ სხვა იყო, მას შეეძლო მათთან საერთო ენის გამონახვა, მეგობარი კაცებიც და ქალებიც ჰყავდა მათ შორის, და მეც პატარაობიდანვე ხშირად ვიყავი მათთან. დედა და მე ერთგვარ მკერდსაფარს ვქმნიდით მამასა და დასს შორის, ვშუამდგომლობდით, მოვახსენებდით, ვუზიარებდით. მაგრამ ამას არ დასჯერდა. გარდა ამისა, ადრევე დამხმარედ აიყვანა სასახლის ჰოფმარშლის საუწყებოდან მოხელე და მოადგილე, კამერმრჩეველი კირმსი; შემდეგ მათ ორივემ მოიყვანეს კიდევ სხვა პიროვნებანი, რათა უკეთესად მოკალათებულიყვნენ, და შემოიღეს ერთგვარი კოლეგიალური

მმართველობა, რომელიც დიდ საჭერცოგოს დაქვემდებარებული კარის თეატრის საინტენდანტო გახდა. მამას გარდა, მას ეკუთვნოდა კირმსი, მრჩეველი კრუზე და გრაფი ედლინგი.

– გრაფი ედლინგი? ეს ის არის, მოლდაველი პრინცესა რომ ჰყავს ცოლად?

– ო, მე ვხედავ, რომ თქვენ ყველაფერი უწყით. მაგრამ, მერწმუნეთ, მამაჩემი დანარჩენ სამს ხშირად გზად ელობება. სანახევროდ სასაცილოც კია – მათ მამის ავტორიტეტი ჯაზნის, მაგრამ ამას კიდევ შეურიგდებოდნენ, გარდა ამისა, რომ არ გრძნობდნენ, ამ ავტორიტეტმა არსებითად კიდევ უფრო

კარგად იცის თავისი ძალის გამოყენება. ის თვითონაც ამბობს, ამ საქმისთვის ძალიან დავბერდიო. სიამოვნებით მოიცილებდა მას თავიდან. მასში ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო თავისუფლების წყურვილი, განსაკუთრებით კერძო, პირადულისკენ სწრაფვა, და ახლა მას უკვე ვეღარ შეელება. ასე წამოტივტივდა აზრი, რომ მე ჩავები ამ საქმეში. ეს აზრი თვითონ მისი უგანათლებულებობისგან მოდის. «ავგუსტი შეიყვანე, – ასე უთქვამს მას, – ამით საქმის ასავალ-დასავალიც გეცოდინება, ჩემო ძველო მეგობარო, და თან მოსვენებულებიც იქნებიო».

– დიდი ჰერცოგი ასე მიმართავს, «ძველო მეგობარო?»

– ასე ამბობს ხოლმე.

– გოეთე როგორღა მიმართავს?

– ის ამბობს: «მოწყალეო ხელმწიფევ» და «მოიღეთ მოწყალეობა, თქვენო უგანათლებულებო დიდებულებავ». ეს საჭირო როდია. ამ ნათქვამზე ჰერცოგს გაეცინება ხოლმე. თუმცა ერთი უადგილო ასოციაცია მომდის თავში, მე კარგად ვიცი, რომ აქ შეუფერებელია, მაგრამ თავში მომივიდა ეს აზრი და იქნებ თქვენც დაგაინტერესოთ: სახელდობრ, დედა მამას მუდამ თქვენობით მიმართავდა ხოლმე, მამაჩემი კი – არა!

შარლოტე დუმდა. შემდეგ კი თქვა: – ნება მომეცით, არ შევეხო ამ კურიოზულ დეტალს, რადგან იგი მართლაც კურიოზულია, თუმცა ამავე დროს ამაღელვებელიც და არსებითად სრულიად გასაგებიც. ნება მომეცით, შემდეგ რომ არ დავივიწყო, მოგილოცოთ ახალ თანამდებობაზე დანიშვნა და წევრად არჩევა.

– ჩემი მდგომარეობა, – შენიშნა მან, – ერთგვარად საჩოთირო იქნება. ასაკობრივი განსხვავება ჩემსა და საინტენდანტოს სხვა ბატონებს შორის ფრიად საგრძნობია. მე კი მათ შორის უნდა წარმოვადგინო ისეთი ავტორიტეტი, რომელმაც ძალიან კარგად იცის თავისი მნიშვნელობა.

– დარწმუნებული ვარ, თქვენი ტაქტით, თქვენი საქვეყნო დარბაისლური თავაზიანობით მდგომარეობას კარგად გაართმევთ თავს.

– თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით. მაგრამ მე თავი

მოგაბეზრეთ ჩემი მოვალეობების ჩამოთვლით?

– ჩემთვის ამაზე უფრო სასიამოვნო მოსასმენი არაფერია.

– ზოგიერთი კორესპონდენცია, რომელიც მის მაღალ ღირსებას არ შეშვენის, ჩემს წილად მოდის: მაგალითად, მთელი მიწერ-მოწერა იმ საძაგელ გადანაბეჭდთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მეტოქეობას უწევენ ჩვენს სრულ გამოცემას ოც ტომად; გარდა ამისა, ხედავთ, სწორედ ახლა უნდოდა მამას ღირსებისამებრგათავისუფლებულიყოსაბაჟო

გადასახადისაგან, რომელიც მას უნდა გადაეხადა ფრანკფურტში ბებიას მიერ მემკვიდრეობით დატოვებული მიწის ნაკვეთის ღირებულებაში; იგი ფრანკფურტის მოქალაქეობის უფლებაზე ხელს აიღებდა და კაპიტალს ვაიმარში გადმოიტანდა. არადა, ეშმაკსაც წაუღია, თითქმის სამი ათას გულდენს გამოუქვითავდნენ, და აი, ახლა მამაჩემი შუამდგომლობს, რომ ქალაქმა საბაჟო გადასახადი აჩუქოს, მით უმეტეს, რომ ამ მოკლე ხნის წინ თავისი ცხოვრების აღწერაში ესოდენი სიყვარულით განადიდა და პატივი სცა მშობლიურ ქალაქს. მართალია, მას სურს ფრანკფურტის მოქალაქის უფლებაზე ხელის აღება, მაგრამ განა მანვე ამას წინ ესოდენი პატივი არ სცა და სამარადისოდ არ უკვდავყო დედმამისეული ქალაქი?! თავისთავად გასაგებია, რომ მას არ შეუძლია ამის გამო თავი მოიწონოს და სიტყვა გადაუკრას, ამიტომ მე მომანდო ეს საქმე. მე მაქვს მიმოწერა მოთმინებითა და მთელი სიმკაცრით, რაც, მართალი გითხრათ, ცოტა უსიამოვნებას როდი მაყენებს, რადგან რას მიპასუხებენ, უკეთ რომ ვთქვათ, რას უპასუხებენ იმას, ვისი სახელითაც მე ვწერ?.. ქალაქი გვატყობინებს, რომ საბაჟო გადასახადის დათმობა დანარჩენი ფრანკფურტელი მოქალაქეების გამარცხას უდრისო. რას იტყვით ამაზე? განა ეს სამართლიანობის დამახინჯება არ არის? მე მხოლოდ ის მახარებს, რომ ეს მოლაპარაკება მათთან ზეპირსიტყვიერად პირადად არა მაქვს, თორემ სიმშვიდე და ზრდილობიანი თავდაჭერა არ მეყოფოდა ასეთ პასუხებზე. მაგრამ ამ საქმეს არ მოვეშვები, ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა. დაჟინებას და მოთმინებას გავიორკეცებ და საბოლოოდ მივალწევთ როგორც ბეჭდვის პრივილეგიას, ისე საბაჟო თანხის დაკლებას, მანამდე ვერ მოვისვენებ. მამაჩემის შემოსავალი მის გენიალობას არ შეესაბამება. დროდადრო ეს შემოსავალი მცირე არ არის, რასაკვირველია, არა! კოტა გვიხდის თექვსმეტი ათას ტალერს სრული კრებულის გამოცემაში, ეს

კარგია, ყოველ შემთხვევაში შესაფერია. მაგრამ მამაჩემის მდგომარეობას, მის სახელსა და დიდებას სულ სხვა რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს: ეგზომ უხვად დაჯილდოებული კაცობრიობაც დამჯილდოებლისადმი უფრო მეტ გულუხვობას უნდა იჩენდეს და უდიდესი ადამიანი უმდიდრესიც უნდა იყოს. ინგლისში...

– როგორც პრაქტიკულ ქალსა და ხანდაზმულ ოჯახის დედას, მე შემიძლია მხოლოდ შევაქო თქვენი ესოდენი გულმოდგინება, ძვირფასო ბატონო კამერმრჩეველო. მაგრამ ჩავუფიქრდეთ, გენიოსის ნაბობვარსა და ეკონომიკურ ანაზღაურებას შორის ნამდვილი სამართლიანი შეფარდება რომ ყველგან დაწესდეს და გატარდეს, – რაც არ ხდება, – მაშინ თქვენი ლამაზი სიტყვა, უხვად დაჯილდოებული კაცობრიობის შესახებ, უადგილო იქნებოდა.

– მე ვაღიარებ ამ ორი სფეროს შეუსაბამობას. ადამიანებსაც არ მოსწონთ, როდესაც დიდი ადამიანები მათსავით იქცევიან, და გენიოსისგან მოითხოვენ, რომ ამქვეყნიურ სიკეთეს, ცხოვრებისეულ სარგებლიანობას დიდსულოვანი და გულგრილი კეთილშობილებით უყურებდეს. ადამიანები უგუნურნი მგონია ამ თავიანთი ეგოისტური თაყვანისცემის სენის გამო. მე, ასე ვთქვათ, აკვნიდან რომ ამომიყვანეს, მას მერე დიდ ადამიანთა შორის მიცხოვრია და, ვფიქრობ, რომ ასეთი შეხედულებები სულაც არ სჩვევია გენიოსს, – პირიქით, გონს, მაღლა-მაღლა რომ დაფრინავს, ხშირად ასეთივე მაღალი საქმიანობის ნიჭიც თან სდევს; თვით შილერს თავი მუდამ გამოჭედილი ჰქონდა ფულადი სპეკულაციებით, რასაც მამაჩემზე ვერ ვიტყვით, შესაძლებელია იმიტომაც, რომ მას იმდენად არ უჭირდა. მაგრამ როდესაც «ჰერმან და დოროთეას» ასეთი დიდი პოპულარობა და წარმატება ხვდა ჩვენს ქვეყანაში, მან შილერს უთხრა, საჭიროა პიესა დაიწეროს ასეთი საამო სულისკვეთებითო; ტრიუმფით შემოივლის ყველა სცენას და

კარგა დიდ თანხასაც მოგვცემს, მაგრამ ავტორი განსაკუთრებული სეროზულობით არ მოეკიდებაო.

– სეროზულად არაო?

– დიახ, სეროზულად არაო. შილერი მაშინვე სახელდახელოდ შეუდგა ამგვარი პიესის მონახაზის შედგენას. მამაჩემიც ხალისით ეხმარებოდა, გვერდში ედგა და ამხნევებდა, მაგრამ შემდეგ აქედან არაფერი გამოვიდა.

- ალბათ იმიტომ, რომ საკმაო სერიოზულობით არ მიუდგნენ.
- შეიძლება ასეც იყო. სწორედ ამ მოკლე ხნის წინ გადავათეთრე კოტასთან მიწერილი წერილი, რომლის შინაარსი ასეთია: საჭიროა ვისარგებლოთ თანამედროვე მამულიშვილური აღტყინების კონიუნქტურით და პოემა-ლექსი «ჰერმან და დოროთეა», რომელიც ასე დიდებულად ეხამება ჩვენს დროებას, რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ გასაყიდად.
- გოეთეს წერილი? – შარლოტე ერთი წუთით დადუმდა. – ამით ერთხელ კიდევ გამოჩნდა, – გამომეტყველად თქვა მან, – თუ რა მცდარია აზრი, როდესაც მას დროების სულისკვეთებისგან გაუცხოებას უსაყვედურებენ.
- ო, ეს დროების სულისკვეთება! – ათვალწუნებით წარმოთქვა ავგუსტმა. – მამაჩემი არც გაუცხოებია მას და არც მისი მომხრე და მონაა. იგი მასზე მაღლა დგას და ზემოდან დაჰყურებს მას, ამიტომაც შემთხვევისთანავე შეუძლია მერკანტილისტური თვალსაზრისითაც შეხედოს. დიდი ხანია, რაც იგი დროებითსა, ინდივიდუალურსა და ეროვნულზე მაღლა დადგა და მარადსაკაცობრიო და საყოველთაო ღირებულებამდე ამაღლდა
- ეს გახლავთ სწორედ ის, რაც ვერ შეძლეს კლოპშტოკმა, ჰერდერმა და ბიურგერმა. მაგრამ რომ ვერ შეძლეს, ეს მხოლოდ სანახევროდ არის ცუდი; კიდევ უარესია, როცა ისე წარმოუდგენიათ, თითქოს გაუსწრეს კიდევაც და დროის გარეშე მდგომ ღირებულებამდე ამაღლდნენ. აიღეთ თუნდაც ახლა ეს ჩვენი რომანტიკოსები, ნეოქრისტიანები და ნეოპატრიოტული მეოცნებე სულები, რომელთაც ჰგონიათ მამაჩემს გაუსწრეს და უახლესის წარმომადგენლები ბრძანდებიან გონის სამეუფოში, რაც ვითომც მამას აღარ გაეგებოდეს, და საზოგადოებაშიც ზოგიერთი სახედარი უჯერებს მათ. განა ქვეყნად მოიპოვება იმაზე უფრო უბადრუკი რამ, ვიდრე ეს დროების სულისკვეთებაა, რომელმაც ვითომც სძლია მარადიულსა და კლასიკურს? მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მამაჩემი ჯერ კიდევ უჩვენებს მათ სეირს, მოიგდებს ხელთ, თუმცა ისე უჭირავს თავი, ვითომც ამ წყენას ყურადღებასაც არ აქცევდეს. გასაგებია, ის მეტად ბრძენი და კეთილშობილია და ლიტერატურულ კინკლაობაში არ ჩაებმება. მაგრამ მომავლისთვის უთუოდ ამოიგებს თავის ზარალს – არა მარტო მოწინააღმდეგეებისა და

დროების სულისკვეთებისგან, არამედ საკუთარი წარჩინებულობისგანაც. ხედავთ, მას არასოდეს ჰქონია სურვილი ქვეყნისთვის ეწყენინებინა და თავგზა აებნია «კეთილი ადამიანების უმრავლესობისთვის», როგორც ის გულმოწყალედ გამოთქვამს ხოლმე. მაგრამ შინაგანად, იდუმალ, ყოველთვის სხვა იყო და არა ის დიდებული თავაზიანი კაცი, როგორც მას საზოგადოება იცნობდა, – იგი არც თავაზიანია და არც დამთმობი, დაუჯერებლად თავისუფალი და თამამია. მე უნდა გითხრათ ეს: ადამიანები მასში ხედავენ მინისტრს, სახელმწიფო კაცს, ის კი თავად სითამამეა – ან კი სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? განა გაბედავდა შეექმნა «ვერტერი», «ტასო», «მაისტერი» და ყოველივე ის ახალი, არნახული და არგაგონილი, მასში რომ არ იყოს ის ძირითადი

თვისება – სიყვარული და ძალა შეუპოვრობისა, გაბედულებისა. მე არაერთგზის გამიგონია მისგან, სწორედ ეს არის ის, რასაც ტალანტს უწოდებენო. მის საიდუმლო არქივში მუდამ ინახება საოცარი ნაწარმოებები, ადრე იქ ეწყო «ფაუსტის» პირველი სცენები, «ჰანსვურსტის ქორწინება» და «მარადი იუდა»,^[174] მაგრამ დღესაც არ აკლია არაფერი ასეთ ვალპურგიულ ჩანთას, იგი სავსეა თამამი, სხვადასხვა თვალსაზრისით საძრახისი რამეებით, როგორც, მაგალითად, ერთი «დღიური ლექსად», იტალიურ ყაიდაზე დაწერილი; აქ ფაქიზად და თამამად შეუხამებია ეროტიკული მორალი და, ნება მომეცით, ვთქვა, უხამსობა. მას მე ვუფრთხილდები. ყოველივე ამას დიდი გულმოდგინებით ვინახავ და ვიცავ. შთამომავლობას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ყველაფერს ყურადღებას ვაქცევ, თვალს ვადევნებ, მე უნდა დამენდოს იგი, რადგან თვითონ მამაჩემზე დანდობა შეუძლებელია. მისი დაუფიქრებელი დამოკიდებულება საკუთარი ხელნაწერებისადმი დანაშაულია, თითქოს მისთვის სულერთი იყოს, თუ ისინი დაიკარგება. შემთხვევის ანაბარად მიაგდებს ხოლმე მათ და პირდაპირ შტუტგარტში გზავნის ერთადერთ არსებულ ეგზემპლარს, მე რომ ხელს არ ვუშლიდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მივაქციო, თავი მოვუყარო, გადავარჩიო, დავახარისხო: გამოუქვეყნებელი,

არაგამოსაქვეყნებელი, შინაურული საიდუმლოებანი, ჭეშმარიტი გამონათქვამები მის საყვარელ გერმანელებზე, პოლემიკა, საკინკლაო და განმაქიქებელი ნაწერები გონითი მტრებისა და დროების სულელური ამბების წინააღმდეგ პოლიტიკასა, რელიგიასა და ხელოვნებაში...

– თქვენ კეთილი და ერთგული ვაჟიშვილი ბრძანდებით, – თქვა შარლოტემ, – მე მახარებდა თქვენი გაცნობა, ძვირფასო ავგუსტ – თურმე საამისოდ უფრო მეტი საფუძველი მქონია, ვიდრე მეგონა. მე, ოჯახის დედას, მოხუც ქალს სასიამოვნო ღელვა და გულაჩუყება მიპყრობს, როცა ვისმენ ახალგაზრდის ასეთ მშვენიერ, მზრუნველ ერთგულებას მამის მიმართ, ასეთ ურყევ თანადგომას მის გვერდით, მაშინ როდესაც ასეთ უპატივცემულობას იჩენს უფროსებისადმი მომდევნო თაობა, თქვენი ასაკის თაობა. ამისთვის მხოლოდ ქებასა და მადლობას იმსახურებთ.

– მე მათ არ ვიმსახურებ, – უპასუხა კამერმრჩეველმა, – სხვა რით უნდა გამოვადგე მამაჩემს? მე პრაქტიკული საქმისთვის გამოსადეგი საშუალო თარგზე მოჭრილი ადამიანი ვარ და მასთან სულაც არ გახლავართ გონებამახვილი და საკმაოდ განათლებული, რომ მისი თანამოსაუბრეობა შევძლო. ფაქტობრივად, მასთან ერთად ხშირად ვერა ვარ. სულითა და გულით მისთვის თავდადება და მისი ინტერესების დაცვა, აი ის უმცირესი რამ, რისი გაკეთებაც შემიძლია, და მე მრცხვენია, ამისთვის მადლობა მივიღო. ასევე ჩვენი ძვირფასი ფრაუ შილერი მუდამ დაუმსახურებლად კეთილი და სათნოა ჩემდამი, რაკი ლიტერატურაში მასთან ერთად იმავე მოსაზრებას ვიზიარებ – თითქოს ეს დიდი დამსახურება გახლდეთ, თითქოს ჩემთვის ღირსების და საკუთარი სიამაყის საქმე არ იყოს, შილერისა და გოეთეს ერთგული დავრჩე, მაშინ როდესაც სხვა ახალგაზრდები ახალი მოდით არიან გატაცებული.

– მე ცოტა რამ ვიცი ამ ახალი მოდეების შესახებ, – სიტყვა ჩამოართვა შარლოტემ, – და ვაღიარებ, რომ ჩემი წლოვანება მათი გაგების საშუალებას აღარ მომცემს. თურმე არსებობენ რაღაც ღვთისმოსავი მხატვრები და უცნაური მწერლები – კეთილი, მე მათ არ ვიცნობ და არც ძალიან ვწუხვარ, რომ არ ვიცნობ, რადგან ჩემთვის ისიც ცხადია, რომ მათი ჯაფის ნაყოფი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუტოლდება ჩემს დროში შექმნილ თხზულებებს, რომელთაც მსოფლიო დაიპყრეს. მაინც გაიძახიან, რომ მათ არც სჭირდებათ ძველ სიდიადეს მიაღწიონ, რათა განსაზღვრული აზრით მას გადააჭარბონ კიდევაც, – მინდა სწორად გამიგოთ. მე პარადოქსების ქალი არ გახლავართ, ამ გადაჭარბებაში ვგულისხმობ იმას, რომ ეს ახალი რამეები ასახავენ თავის ეპოქას და თანამედროვეობას

და მას უჭერენ მხარს, ისე რომ უშუალოდ ამ დროების შვილებს, ახალგაზრდობას ელაპარაკებიან და მათ გულებს აბედნიერებენ. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს.

– და ისიც, – დაუმატა ავგუსტმა, – თუ რაში პოვებენ ამ ბედნიერებას. ზოგიერთნი ბედნიერებას ეძიებენ და პოვებენ მხოლოდ სიამაყეში, პატივსა და მოვალეობაში.

– კარგია, ჩინებულია. და მაინც გამოცდილებამ მასწავლა რომ სხვის სამსახურსა და მოვალეობაში დახარჯული ცხოვრება ხშირად ადამიანში ერთგვარ გამწარებას ბადებს და გულზიარობას ხელს არ უწყობს. როგორც ჩანს, ამ ფრაუ ფონ შილერთან მეგობრული ურთიერთობა და ურთიერთნდობა გაკავშირებთ?

– მე არ მინდა თავის ქებას შევუდგე ამ კეთილგანწყობილების გამო, რასაც ჩემს პირად თვისებებს კი არა, ჩემს შეხედულებებს უნდა ვუმაღლოდე.

– ეს ორი რამ ერთმანეთზეა დამოკიდებული. მე თითქმის ეჭვი მიპყრობს, რომ მეორე დედის ადგილს, რომელზედაც მგონი ცოტაოდენი პრეტენზია შემეძლო მქონოდა, უკვე დაკავებულს ვხედავ. მაპატიეთ, თუ დედობრივ თანაგრძნობაზე მთლად უარს მაინც ვერ ვამბობ და გეკითხებით: გყავთ თუ არა იმ პირთა შორისაც, რომლებიც ასაკით თქვენთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე შილერის ქვრივია, ერთი ან რამდენიმე მეგობარი და განდობილი პიროვნება?

ამ სიტყვებზე შარლოტე ავგუსტისკენ გადაიხარა. ავგუსტმა ქალს შეხედა. ამ მზერაში მაღლიერება და შეცბუნებული მორიდებულობა ერთად იხატებოდა. ეს მზერა იყო რბილი, ნაღვლიანი, მწუხარე.

– არა, ამ მხრივ ბედი არ მწყალობს, – უპასუხა მან. – ჩვენ ხომ უკვე შევეხეთ საკითხს, რომ ჩემს ტოლთა შორის ზოგი ისეთი შეხედულებები და მისწრაფებები იჩენს თავს, რომ ჩვენს ურთიერთგაგებას გზად ეღობება და მხოლოდ გაუთავებელ შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა, მე რომ თავს არ ვიკავებდე. ჩვენს დროებას, მე მგონია, წინ უნდა წარუმიძღვარო ლათინური ანდაზა, რასაც ის იმსახურებს: «ღმერთებს გამარჯვებულები მოსწონთ, კატონს[175] – დამარცხებულები». მე არ უარვყოფ, რომ ამ გამოთქმას დიდი ხანია გულითადი თანაგრძნობით

ვეკიდები; ამ გამოთქმით, გონება თავის ღირსებას ამართლებს ბრმა ბედისწერის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ეს უიშვიათესი რამ არის დედამიწაზე! ჩვეულებრივად უსირცხვილოდ ღალატობენ ამ *causa victa*-ს; წარმატების წინაშე კაპიტულაცია ყველაზე მეტად მამწარებს ამქვეყნად. ო, ეს ადამიანები! ეპოქამ გვასწავლა მათი მლიქვნელური სულების ზიზღი! სამი წლის წინ, ცამეტ წელს, ზაფხულს, როდესაც მამა დავიყოლიეთ ტეპლიცს წასულიყო, მე დრეზდენში ვიყავი. დრეზდენი მაშინ ფრანგებს ეჭირათ. ამიტომ მოქალაქენი ზეიმობდნენ ნაპოლეონის დღეს, ფანჯრები გაეჩახჩახებინათ და ფეიერვერკი მოეწყობოთ. ხოლო აპრილში იგივე მოქალაქენი თაყვანს სცემდნენ და პატივს მიაგებდნენ პრუსიისა და რუსეთის მონარქებს, ილუმინაციითა და თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილებით ეგებებოდნენ. ამინდის შეცვლის მაუწყებელი ფლუგერი ხელახლა შებრუნებულიყო... ეს მეტისმეტი უბადრუკობაა. როგორ უნდა შეინარჩუნოს ყმაწვილმა კაცმა რწმენა კაცობრიობისადმი, თუ გერმანელ მთავართა მოღალატეობა გამოიარა, ნახა განთქმული ფრანგი მარშლების ვერაგობა, თავიანთი იმპერატორი გაჭირვების ჟამს რომ მიატოვეს...

– განა ღირს გამწარება, ჩემო მეგობარო, იმის გამო, რასაც აღარაფერი ეშველება და რაც ვერ შეიცვლება, და განა შეიძლება კაცობრიობის რწმენა წყალში გადაისროლო, აქაოდა, ადამიანები ადამიანურად იქცევიან და ისიც არაადამიანისადმი? ერთგულება კარგია და წარმატების წინაშე ქედის მოხრა არ არის ლამაზი; მაგრამ ბონაპარტის მაგვარი ადამიანები ჩნდებიან და კვდებიან წარმატებასთან ერთად. თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ, მაგრამ დედობრივი მზრუნველობით მინდა გისურვოთ და გირჩიოთ მოიქცეთ ისე, როგორც იქცევა მამათქვენი, მაგალითი აიღოთ თქვენი დიდებული მამისაგან, რომელიც მაშინ რაინსა თუ მაინზე სიამოვნებითა და სიხარულით ტკბებოდა ლაიფციგის ბრძოლის მოსაგონრად აშვებული შუმხუნებით და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ის, რაც თამამად წარმოსდგა უფსკრულიდან, საბოლოოდ უფსკრულშივე უნდა შთაინთქას.

– და მაინც მამაჩემმა ვერ მოითმინა, რომ მე ბრძოლის ველზე წავსულიყავი ამ უფსკრულიდან ამოსული კაცის წინააღმდეგ. ამასთან, ნება მომეცით, დავუმატო, რომ ამით მან მამობრივი პატივი დამდო; რადგან ახალგაზრდათა ამ ჯილაგს,

ბრძოლისკენ რომ მიიწევდა, მე ვიცნობ და გულის სიღრმეში მძულს ისინი – ეს ოტროველები პრუსიული ტუგენდსბუნდიდან,[176] ეს ატროკებული ვირები და ფუყე თავები, ვითომ ვაჟკაცები, გაბლენძილები; მათი მამლაცინწური კილოკავით ლაპარაკის მოსმენაც კი არ შემძლია ისე, რომ რისხვამ არ ამაკანკალოს.

– ჩემო მეგობარო, მე არ ჩავერევი ჩვენი დროის პოლიტიკურ დავაში, მაგრამ ნება მიბოძეთ, გამოგიტყდეთ, რომ თქვენი სიტყვები ერთგვარად მალონებს. შეიძლება უნდა მიხაროდეს, როგორც ახერხებს ამას სანუკვარი ფრაუ შილერი, რომ თქვენ ჩვენს მხარეზე, მოხუცთა მხარეზე დგახართ, და მაინც გულის სიღრმემდე მალელვებს, მაშინებს, რომ ეს სადაგელი პოლიტიკა თქვენს ტოლ-სწორებს, თქვენს თაობას გაშორებთ.

– არა, – მიუგო ავგუსტმა, – პოლიტიკა თავის მხრივ არ გახლავთ იზოლირებული რამ, იგი ათასნაირი სიმებით დაკავშირებულია მათთან, ვისთან ერთადაც იგი შეხედულებათა, რწმენათა და ნებელობათა ერთ განუყრელ მთლიანობას ქმნის. იგი ყველაფერთან არის დაკავშირებული, ყველგან და ყველაფერშია, – ზნეობრივში, ესთეტიკურში, ისეთშიც, მხოლოდ გონისეული, წმინდა ფილოსოფიური შესახედაობა რომ აქვს; ბედნიერია ის დრო, როდესაც იგი, მისდა გაუცნობიერებლად, პირველყოფილი უცოდველობის მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც არაფერი და არავინ, გარდა მისი უახლოესი მიმდევრებისა, არ ლაპარაკობს მის ენაზე. ასეთ ვითომდა არაპოლიტიკურ პერიოდებში, – მე მათ

დაფარულ პოლიტიკურ პერიოდებს ვუწოდებდი – შესაძლებელია, პოლიტიკისგან დამოუკიდებლად, თავისუფლად შეიყვარო და დატკბე მშვენიერებით, რომელიც მასთან მაინც ჩუმი, განუწყვეტელ თანხმობაშია. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვხვდა წილად ასეთ რბილ, შემწყნარებელ, მოთმინების მომნიჭებელ დროში გვეცხოვრა. ჩვენმა დროებამ დაუნდობელი სიცხადით მოაფინა თვალისმომჭრელი მძაფრი სინათლე და ყოველ საგანში, ყოველივე ადამიანურში, ყოველ მშვენიერებაში ამოხეთქს და გაცხადდება მათში შინაგანად დაფარული პოლიტიკა. მე პირადად ვერ უარვყოფ, რომ აქედან ბევრი ტკივილი და დანაკლისი, ბევრი გულდასაწყვეტი განშორება წარმოდგება.

– რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი მწარე, გულდასაწყვეტი

განშორება არც თქვენთვის დარჩენილა უცნობი?

– რა თქმა უნდა, – თქვა ახალგაზრდა გოეთემ მცირე ხნის დუმილის შემდეგ, თან თავისი დაბალყელიანი წაღების აქეთ-იქით მერხევ ჭკინტებს დაჰყურებდა.

– შეიძლება თუ არა გამანდოთ იგი როგორც შვილმა დედას და მასზე მითხრათ რამე?

– თქვენმა კეთილმა მოპყრობამ უკვე ზოგადი ფორმით ბევრი რამ მაღიარებინა, – უპასუხა ავგუსტმა, – მაშ, რატომ არ უნდა დავურთო კერძო ამბებიც? მე ვიცნობდი ერთ ჭაბუკს, ჩემზე ცოტა უფროსს, რომელიც მინდოდა ჩემი მეგობარი ყოფილიყო: სახელი მისი ფონ არნიმი, ახიმ ფონ არნიმი,[177] პრუსიული წარმომავლობის დიდებულთაგანი, ძალიან ლამაზი პიროვნება; მისი რაინდული, მხიარული, ენთუზიაზმით აღსავსე სახე ადრევე შთაიბეჭდა ჩემს სულში და აღარ მტოვებდა. მუდამ თან მდევდა, თუმცა მას სპორადულად[178] ვხვდებოდი, ხანგრძლივი შუალედებით. მე ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი, როდესაც ის პირველად მოხვდა ჩემი თვალთახედვის არეში. ეს გეტინგენში იყო, სადაც მამაჩემს გავყევი. იქ შევნიშნეთ ეს მხიარული სტუდენტი, რომელიც იმ სალამოს ჩვენი ჩასვლის შემდეგ მამას ქუჩაში მიესალმა შემახილით «ვივატ». მისმა გამოჩენამ, მისმა სახემ ჩვენზე ცხოველი და მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, და თორმეტი წლის ბიჭი ვერ ვივიწყებდი მას, ვერც სიზმრად და ვერც ცხადლივ.

ოთხი წლის შემდეგ იგი ვაიმარში ჩამოვიდა, პოეტურ სამყაროში უკვე უცნობი აღარ გახლდათ: მას ამასობაში

კლემენს ბრენტანოსთან[179] ერთად შეეკრიბა და გამოექვეყნებინა რომანტიკულ-ძველგერმანული გემოვნების მიმართულების მაღალი გონებამახვილური მეოცნებეობით ან, მე ვიტყვოდი, გულისა და სულის გამახარელი სიმახვილით აღსავსე იმ ხალხური სიმღერების საუნჯე, «ბიჭის ჯადოსნური

ბუკი» რომ ჰქვია და თანამედროვეობამ დიდის გრძნობიერებითა და მაღლიერებით მიიღო, რადგან მასში არსებითად თავმოყრილი იყო მათი გულითადი გრძნობები და მიდრეკილებანი. ავტორი ეახლა მამაჩემს, რომელმაც გულით შეაქო ის და მისი მეგობარი ამ მშვენიერი წვლილის გამო

გერმანულ პოეზიაში, და ჩვენ, ახალგაზრდები, დავმეგობრდით. ეს ბედნიერი კვირები იყო. არასოდეს ასე არ გამიხარია, რომ მე მამაჩემის შვილი ვარ, როგორც მაშინ, მის

გამო, რამეთუ ამ გარემოებამ წაშალა უთანასწორობა წლებსა, განათლებასა და დამსახურებათა შორის, რაშიც მასთან შედარებით ჩამოვრჩებოდი, მაგრამ მისი ყურადღება, მისი პატივისცემა მეც მაიძულებდა პატივისცემითა და მეგობრობით მეპასუხა. ზამთარი იდგა. ტანვარჯიშის ყველა სახეობაში ჯომარდი და გაწვრთნილი იყო, ისე რომ ამაშიც მე, მასზე უმცროსს, ბევრად მჯობდა, მაგრამ ერთ რამეში, ჩემდა სანეტაროდ, ჩემი შეგირდი გახდა: მან არ იცოდა ციგურაობა, მე საშუალება მომეცა მესწავლებინა: და ეს საათები სწრაფი მოძრაობის, როცა ჩემს სისხარტესა და ხელოვნებას ვუჩვენებდი გაკვირვებულს, ვუხსნიდი, ვასწავლიდი, ვარიგებდი, – ეს საათები ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო, რაც კი ცხოვრებას ჩემთვის მოუნიჭებია; გულახდილად რომ გითხრათ, ცხოვრებისგან უფრო ბედნიერ საათებს არც მოველი.

კიდევ სამი წელიწადი გავიდა, სანამ კვლავ შევხვდებოდი არნიმს, ამჯერად ჰაიდელბერგში, სადაც მე რვა წელს ჩავედი, უკვე სტუდენტი, სამართლის შესასწავლად. რამდენიმე სახელოვან და განათლებულ ოჯახში კარგი სარეკომენდაციო წერილები მქონდა, უწინარეს ყოვლისა კი სახელგანთქმულ იოჰან ჰაინრიხ ფოსთან,[180] ჰომერიდთან, რომელთანაც მამა იენის პერიოდიდან მეგობრობდა და რომლის ვაჟიშვილი ჰაინრიხი ერთ დროს ჩვენთან ცვლიდა დოქტორ რიმერს შინა მასწავლებლად. უნდა გამოგიტყდეთ, რომ უმცროსი ფოსი[181] განსაკუთრებული სიყვარულით არ მყვარებია; ის ღვთიური ერთგულება, მამაჩემს რომ უძღვნიდა, მოსაწყენი უფრო იყო ჩემთვის და ჩემი გული ვერ მოიგო; ერთსა და იმავე დროს მას ენთუზიასტსაც და მოსაწყენი ბუნების კაცსაც ვუწოდებდი (ასეთი ნარევიც გვხვდება); მით უფრო ტუჩების ქრონიკული დაავადება, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროს, ჰაიდელბერგში შეხვედრისას, ხელს უშლიდა თავისი აკადემიური ლექციების წაკითხვაში, ვერ გახდიდა მას უფრო მიმზიდველ ადამიანად. მისი მამის, ეუტინის უნივერსიტეტის რექტორის, «ლუიზეს» შემთხვევლის ხასიათში ორგვარი ბუნება შეხამებულიყო: იდილიისა და პოლემიკისა, ოჯახურ მყუდროებას მიჩვეული სასიამოვნო ბუნების კაცი, მოვლილი, ნაპატივები გამრჯე მეუღლისა და ოჯახის დიასახლისის ხელში, საზოგადოებაში, მეცნიერულ და ლიტერატურულ სარბიელზე ნამდვილი

ძიძგილა მამალი იყო. არაჩვეულებრივად უყვარდა კალმოსანთა ომი, დისპუტაცია, მწვავე პოლემიკური სტატიები

და მუდამ მხიარული და ახალგაზრდული რისხვითა და რიხით ილაშქრებდა ისეთი რწმენისა და შეხედულებების წინააღმდეგ, რაც კი უპირისპირდებოდა განათლებულ პროტესტანტიზმსა და, როგორც ის ფიქრობდა, ანტიკურ ნათელ ადამიანობას. ამრიგად, ფოსის სახლი, მამაჩემის სახლთან, ძალიან ახლოს დამეგობრებული, ჰაიდელბერგში მეორე მამისეული სახლივით იყო ჩემთვის და მე კი მისი მეორე ვაჟიშვილივით გახლდით.

სწორედ ამიტომ მხოლოდ მხიარული შიშის გრძნობამ როდი შემიპყრო, არამედ შეცბუნებამ და დაეჭვებამაც, როდესაც ჰაიდელბერგში ჩასვლისთანავე ქუჩაში ანაზდად მკლავებში ჩავუვარდი ჩემი სიყმაწვილის საოცნებო მეგობარს, ზამთრის გართობათა ამხანაგს. მომზადებული უნდა დავხვედროდი ამ ამბავს; მე ხომ გულის სიღრმეში ყოველ საათს ველოდი ამ შეხვედრას, მე ხომ ვიცოდი, რომ არნიმი აქ ცხოვრობდა და გამოსცემდა მახვილგონივრულ, მეოცნებე და წარსულისკენ მყურებელ ორგანოს, თავის «გაზეთს განდეგილთათვის»,^[182] ახალი რომანტიკული თაობის ხმას. კარგად რომ ჩავუკვირდი, ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ ჩემი იდუმალი აზრი არნიმთან შეხვედრა იყო, როცა გავიგე, ჰაიდელბერგში უნდა გამეტარებინა სტუდენტობის წლები. და აი ახლა, როდესაც ჩემ წინ ჩემი მეგობარი იდგა, ბედნიერება და შეცბუნება გულს მიწურავდა და ასე მგონია, მის წინაშე ხან ვწითლდებოდი და ხან ვფითრდებოდი. ჩვენი დროებისა და ერთმანეთის გვერდით მცხოვრებ თაობათა მთელი განხეთქილება, პარტიული შუღლი ჩემს სინდისს დააწვა. მე კარგად ვიცოდი, რას ფიქრობდნენ ფოსის ოჯახში წარსულის, გერმანული და ქრისტიანული წარსულის ღვთისმოსავ, შელამაზებულ კულტზე, რომლის წარმომადგენელი არნიმი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა. ამასთან იმასაც ვგრძნობდი, რომ უკანმოუბრუნებლად გაქრა თავისუფალი ბავშვობის ხანა, როდესაც, უმწიკვლოსა და უდანაშაულოს, შემეძლო ორივე ბანაკს შორის თამამად მეტრიალა. ამიტომაც იმ გულითადობამ, რომლითაც მან, ადრინდელზე უფრო გალამაზებულმა და უფრო რაინდული სახიერების ვაჟკაცმა, მეგობრულად გამომიწოდა ხელი და ნაცნობობა კვლავ აღადგინა, ერთსა და იმავე დროს გამაბედნიერა და დამაბნია კიდევაც. მან ხელზე ხელი მომკიდა და წიგნით მოვაჭრე ციმერთან მიმიყვანა, სადაც სადილობდა ხოლმე; თუმცა დასაწყისში ზოგიერთი რამ მოვახსენე ბეტინა ბრენტანოს^[183]

შესახებ, რომელსაც მოკლე ხნის წინ ფრანკფურტში ჩემს ბებიასთან ხშირად ვხედავდი, მაგრამ საუბარი ბორძიკითა და გაჭირვებით ძლივძლივობით მიიზღაზნებოდა. ამავე დროს საშინლად ვიტანჯებოდი. ამ კაცს ჩემზე არაყმაწვილურად რეგენის შთაბეჭდილება არ შევუქმნა-მეთქი, რაც, საბოლოოდ სასოწარკვეთილმა, მის მზერასა და უნებურ თავის რხევაში აშკარად დავინახე.

გამოთხოვებისას ხელის ჩამორთმევით ვცდილობდი, როგორმე გამომეხატა ჩემი სასოწარკვეთილება და სევდა, დამედასტურებინა, რაოდენ სათუთად ინახავდა ჩემი გული სიჭაბუკიდანვე ნასაზრდოებ ნაზ მეგობრულ გრძნობას. მაგრამ ფოსის ოჯახში იმავე საღამოს მომიხდა ამ შეხვედრის გამო ანგარიშის ჩაბარება, და მივხვდი, რომ მდგომარეობა უფრო ცუდი იყო, ვიდრე მე წარმომედგინა. მოხუცი აპირებდა «ამ ჯეელის» წინააღმდეგ, როგორც ის იტყოდა ხოლმე, «ამ ახალგაზრდობის გამხრწნელის ბნელეთის მოციქულისა და შუა საუკუნეების შემლამაზებლის» წინააღმდეგ ლიტერატურული ხმალი ეშიშვლა და პოლემიკური წერილი გამოემშვა, რათა, როგორც ის იმედოვნებდა, არნიმს ჰაიდელბერგში ყოფნისა და მოღვაწეობის ხალისიც კი დაჰკარგოდა. რომანტიკოსი ლიტერატორების ვერაგულ-ლაზღანდარული, მაცდუნებელი და ეშმაკისეული საქციელისადმი თავის სიძულვილს ის ხმამაღალი, მყვირალა საღანძღავი სიტყვებით ანთხევდა. მათ უწოდებდა ნამდვილ ისტორიულ ალღოსა და ფილოსოფიურ სინდისს მოკლებულ ოინბაზებსა და თაღლითებს, ცრუ ღვთისმოსავეებს, რამეთუ ისინი ძველ ტექსტებს აქვეყნებდნენ და ურცხვად ამახინჯებდნენ, ვითომ იმ საბაბით, რომ ვაახლებთო. ამაოდ მივუგებდი, რომ მამაჩემმა ხომ თავის დროზე დიდი სიამოვნებით მიიღო «ბიჭის ჯადოსნური ბუკი». ფოსმა მიპასუხა: არაფერს ვამბობ მამათქვენის შემწყნარებელ გულკეთილობაზე, ის პატივს სცემს და აფასებს ფოლკლორსა და ყოველგვარ ეროვნულს სრულიად სხვა აზრითა და სულისკვეთებით, ვიდრე ეს გერმანოფილი მეშაირეები. სხვა დანარჩენში კი, მისი ძველი მეგობარი და კეთილისმყოფელი მფარველი გოეთე სრულიად ისევე უყურებს, როგორც თვითონ ის, ამ პატრიოტ ფარისევლებს და ნეოკათოლიკეებს, რომელთა მხრივაც წარსულის განდიდება სხვა არა არის რა, თუ არა აწმყოს ვერაგული, ეშმაკური გაშავება, ხოლო დიდებული ადამიანის თაყვანისცემა მათი მხრივ უაღრესად უწმინდურია,

რადგან მათი ერთადერთი მიზანი ის არის, რომ მისი სახელი თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენონ. მოკლედ, თუ მე რექტორის მამობრივ მეგობრობას, სიყვარულსა და მზრუნველობას რაიმე მნიშვნელობას ვანიჭებდი და ვაფასებდი, ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ამელო არნიმთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, შემდგომ შეხვედრებსა და ნახვაზე.

რალა გითხრათ მეტი? მე არჩევანი უნდა მომეხდინა ამ ღირსეულ მამაკაცსა, მამაჩემის სახლის ძველ მეგობრებსა, მე რომ უცხო ქალაქში თავშესაფარი მომცეს, და აკრძალული მეგობრობის სათავგადასავლო ბედნიერებას შორის. მეც დავემორჩილე. არნიმს მივწერე, რომ ჩემი ადგილი, რომელიც დაბადებითა და მრწამსით თანამედროვეობის პარტიათა შორის ბრძოლაში მიჭირავს, თქვენთან შეხვედრას მიკრძალავს-მეთქი. ჭაბუკის გულუბრყვილო ცრემლით დავასველე ეს წერილი და ამ გარემოებამ დამანახვა, რომ მიდრეკილება, რომელზეც ახლა უარი ვთქვი, ეკუთვნოდა ცხოვრებისეულ ეპოქას, რომელსაც უკვე გავასწარი. მე ვეძებდი დანაკლისის ანაზღაურებას და ვპოვე იგი ჰაინრიხის, უმცროსი ფოსის ძმურ ურთიერთობაში, რომლის მოსაწყენ პიროვნებასა და ტუჩების ანთებას იმის შეგნებამ შემარიგა, რომ იგი მამაჩემს უანგაროდ სცემდა თაყვანს და აღფრთოვანებული იყო მისით.

შარლოტემ საჭიროდ მიიჩნია მადლობა ეთქვა მოამბისთვის ამ მცირე აღსარების გამო და თავისი თანაგრძნობა დაუდასტურა ისეთი გამოცდის გამო, რაც, შეიძლება ითქვას, ვაჟკაცურად გადაიტანა! – ვაჟკაცურად, – გაიმეორა ქალმა, – თქვენ ნამდვილად ვაჟკაცური ამბავი გამანდეთ მამაკაცთა სამყაროდან, მინდა ვთქვა, პრინციპებისა და უღმობლობის სამყაროდან, რასაც ჩვენ, ქალები, სანახევროდ პატივისცემით, სანახევროდ ღიმილითა და თავის ქნევით ვეპყრობით. ჩვენ ბუნებისა და შემწყნარებლობის შვილები ვართ თქვენთან, მრწამსთა და შეხედულებათა მკაცრ დამცველ მამაკაცებთან შედარებით და, ვშიშობ, რომ ამის გამო ზოგჯერ ელფურ არსებებად გეჩვენებით. მაგრამ ის კარგა დიდი ნაწილი მიმზიდველობისა, რომლითაც ჩვენი საბრალო და სუსტი სქესი

თქვენზე გავლენას ახდენს, განა არ აიხსნება პრინციპულობისგან დასვენებით, რასაც თქვენ ჩვენში პოვებთ? როდესაც ჩვენ სხვა მხრივ მოგწონვართ, თქვენი პრინციპული სიმკაცრე თვალს ხუჭავს ხოლმე, მაშინ თქვენ

აღარ ჩანხართ ისე შეუპოვარნი, ხოლო გრძნობათა მატიანე გვასწავლის, რომ ძველი ოჯახური და ცოლქმრული შუღლი, უთანხმოება, მრწამსთა და შეხედულებათა გამოყოლილი მტრობა-წინააღმდეგობა და ასე შემდეგ არ ქმნის დაბრკოლებას გულთა ურღვევი და მხურვალე კავშირისთვის ასეთი არათანასწორი, სხვადასხვა ტრადიციის შვილთა შორის, უფრო მეტიც, ამგვარი დაბრკოლებანი კიდევ უფრო აქეზებს გულს, ეშმაკურად გვერდს უქცევს მათ და თავისი საკუთარი გზით მიდის.

– სწორედ ეგ უნდა იყოს, სიყვარულს რომ მეგობრობისგან გაარჩევს, – თქვა ავგუსტმა.

– რა თქმა უნდა. ახლა ნება მომეცით, გკითხოთ... ეს დედაშვილური კითხვაა. თქვენ მიაშბეთ ჩაშლილი მეგობრობის თაობაზე. არასოდეს არ გყვარებიათ?

კამერმრჩველმა ჯერ ძირს დაიხედა, შემდეგ ქალს მიაპყრო მზერა.

– მე მიყვარს, – წარმოთქვა მან წყნარად.

შარლოტე დუმდა, აღელვება ეტყობოდა.

– თქვენი ნდობა, – თქვა ქალმა, – ისევე მაღელვებს, როგორც ამ ამბის შინაარსი. გულღიაობა გულღიაობის წილ! მინდა გამოგიტყდეთ, რატომ გადავწყვიტე ეს კითხვა დამესვა. ავგუსტ, თქვენ მიაშბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ, თქვენი ესოდენ ქების ღირსი, ესოდენ ჩინებული, მამისთვის ესოდენ თავდადებული ვაჟიშვილის ცხოვრების შესახებ – რა ერთგული დამხმარე ბრძანდებით თქვენი დიდებული მამისა, – როგორ ადგახართ მის გზას, ინახავთ მის ნაწერებს, თქვენ ერთგვარი საბჭენი ხართ მასა და საქმიან სამყაროს შორის. არ გეგონოთ, რომ მე, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, ვიცი, რა არის მსხვერპლი და უართქმა, არ გამეგებოდეს და ზნეობრივი

თვალსაზრისით ვერ ვაფასებდე ამგვარი უანგარო სიყვარულით მსახურების მეობადავიწყებულ ცხოვრებას. და მაინც, არ შემძლია არ გითხრათ, რომ როდესაც გისმენდით, ჩემს გულში ორგვარი გრძნობები ტრიალებდა, გულში რაღაც ზრუნვის, შიშისა და უკმაყოფილების გრძნობა აღმეძრა, რაღაც საწინააღმდეგო გრძნობა, რაც ადამიანს ებადება საკმაოდ არაბუნებრივი, ღვთისათვის არასასურველი რაიმეს გამო. მე ვფიქრობ, ღმერთმა იმიტომ კი არ შეგვქმნა, სიცოცხლე იმიტომ

კი არ მოგვანიჭა, რომ იგი განვასხვისოთ და მთლიანად სხვაში შთანვთქათ, რაოდენ უძვირფასესი და უღიადესიც უნდა იყოს იგი. ჩვენ ჩვენი საკუთარი ცხოვრება უნდა წარვმართოთ – არა თავკერძა, თავმოყვარე და პატივმოყვარე ცხოვრება, სხვებს რომ საშუალებად თვლის, მაგრამ არც ისეთი, რომ კაცმა მეობა დაკარგოს, არამედ დამოუკიდებელი და საკუთარი ჭკუა-გონებით, საკუთარი აზრით წარმართული, გონივრულად რომ ახამებს და ანაწილებს ჩვენს მოვალეობებს სხვებისა და ჩვენს მოვალეობას თვით ჩვენი თავისადმი. მართალი არა ვარ? ჩვენს სულს, თვით ჩვენს სიკეთეს, უწყინარობასა და მორჩილებას არაფერს არგებს ის, რომ მხოლოდ სხვისთვის ვიცხოვროთ. სწორედ აქედან, ვასკვნი: უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენს ნაამბობში თუნდ ერთი ნიშანიც რომ ამომეკითხა მამის სახლიდან თქვენი მომავალი განთავისუფლების, ემანსიპაციისა და დამოუკიდებლობის შესახებ, რაც თქვენს წლოვანებას უკვე შეჰფერის. თქვენ საკუთარი ოჯახი, საკუთარი კერა უნდა დააფუძნოთ, უნდა დაქორწინდეთ, ავგუსტ.

– მე განზრახული მაქვს, ვიქორწინო, – მოახსენა კამერმრჩეველმა თავის დახრით.

– ჩინებულაია! – წამოიძახა შარლოტემ, – ამრიგად, მე სასიძოსთან ვსაუბრობ?

– ეს, ცოტა არ იყოს, მეტის თქმას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, საქმე ჯერ საჯაროდ არ გამოცხადებულა.

– მე ყველა ვითარებაში უადრესად გახარებული ვარ, თუმცა, ცოტა უნდა გაგიჯავრდეთ კიდევაც, რომ მხოლოდ ახლა მეძლევა შემთხვევა, ჩემი მოლოცვა და ბედნიერების სურვილები მოგახსენოთ. შემძლია ვიცოდე, ვინ არის თქვენი გულის რჩეული?

– ფროილან ფონ პოგვიში.

– სახელი?

– ოტილიე.

– რა მშვენიერია! ისეა, როგორც რომანში. და მე კი ვიქნები მისი დეიდა შარლოტე.

– ნუ ამბობთ დეიდას; ის თქვენი ასული შეიძლებოდა

ყოფილიყო, – უპასუხა ავგუსტმა; ამ დროს მისი მზერა, შარლოტეს რომ მიაპყრო, არათუ დაჟინებული, არამედ რაღაც შუშისებრი გახდა.

შარლოტეს შეეშინდა და გაწითლდა. – ჩემი ასული... რა აზრი მოგდით თავში, – წაიდუღუნა მან, აღელვებულმა ისეთი გრძნობით, თითქოს მოჩვენება დაელანდოს ამ სიტყვის კვლავ ამოტივტივებისა და აგრეთვე იმ მზერის გამო, ამ სიტყვას რომ თან სდევდა; ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ეს სიტყვა უნებურად და გაუცნობიერებლად ვაჟის სულის სიღრმიდან იყო ამოთქმული.

– დიახ, დიახ, ასე გახლავთ, – დაუდასტურა ავგუსტმა, დაბეჯითებით და მხიარულ გუნებაზე დადგა. – მე არ ვხუმრობ, ანუ მხოლოდ ოდნავ ვხუმრობ. მსგავსებაზე როდი ვლაპარაკობ, რასაკვირველია, ეს ამოუცნობი, იდუმალი, მისტერიული იქნებოდა, არამედ იმ ნათესაობაზე, სამყაროში მილიონჯერად რომ გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია, ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, თქვენ ისეთ პიროვნებებს ეკუთვნით, რომელთა ძირეულ სახესა და არსებას დრო ვერაფერს აკლებს, დროთა განმავლობაში ნაკლებ იცვლებიან, ან, უფრო სწორად თუ ვიტყვით, თქვენს

სიჭარმაგეში განსაკუთრებით გამოსჭვივის თქვენი ახალგაზრდობის სურათხატი. მე ისეთი კადნიერი და თამამი არ გახლავართ, გითხრათ, რომ ახალგაზრდა გოგონასავით გამოიყურებით, მაგრამ ამისთვის მეორე წყვილი თვალი და ნათელჭვრეტა არ არის საჭირო, რომ ღირსეული სიდარბაისლის ასაკში სრულიად ადვილად შეიქნოს იმ ახალგაზრდა ქალიშვილის, თითქმის მოსწავლე გოგონას სახე, როგორც თქვენ ოდესღაც ბრძანდებოდით, და ყველაფერი, რასაც მე ვამტკიცებ, იმას ნიშნავს, რომ ეს ახალგაზრდა გოგონა შეიძლებოდა ოტილიეს და ყოფილიყო, აქედან კი მათემატიკური თანამიმდევრობით გამოდის დასკვნა ანდა უფრო ის, რაც ემთხვევა იმას, რასაც მე ვამტკიცებდი, რომ იგი შეიძლებოდა თქვენი ქალიშვილი ყოფილიყო. რა არის მსგავსება? მე არ ვამტკიცებ ცალკეულ ნაკვთთა ერთნაირობას, არამედ მთელი მოვლენის, მთელი ქმნილების დისებურ მსგავსებას, ტიპის იდენტურობას, ტიპისა, რომელშიც არაფერია იუნონასებური. მისი მშვენიერება მის სინარნარეშია, მის სიკოხტავე-სიკეკლუცეშია, ესოდენ საყვარელი, ესოდენ სანუკვარი, ესოდენ ნაზი და სათუთი – აი, ეს არის, რასაც

დისებურ, ასულისებურ მსგავსებას ვუწოდებ.

რა იყო ეს? ერთგვარი წაბადვა თუ გადადება? შარლოტე ახლა ახალგაზრდა გოეთეს იმავე გამტერებული და რაღაც შუშისებრი თვალებით უმზერდა, როგორც წედან გოეთე შარლოტეს.

– ფონ პოგვიში, ფონ პოგვიში, – იმეორებდა შარლოტე მექანიკურად, შემდეგ კი აზრად მოუვიდა, ისე წარემართა სიტყვა, ვითომც ამ სახელის ხასიათსა და წარმოშობაზე ფიქრობდა, – ეს პრუსიელი აზნაურობაა, მახვილის აზნაურობა, ოფიცერთა აზნაურობა, მართალი არ არის? – ჰკითხა შარლოტემ,

– ამრიგად, ეს კავშირი ერთგვარად იქნება ქნარისა და მახვილის კავშირი. მე გულწრფელად პატივს ვცემ პრუსიული სამხედრო მოდგმის ადამიანთა სულისკვეთებას. როდესაც ვამბობ: სულისკვეთებას, ვგულისხმობ მრწამსს, შეხედულებას, აღზრდას, გაწვრთნილობას, თავმოყვარეობას, პატივსა და ღირსებას, სამშობლოს სიყვარულს. ამ თვისებებს ვუმაღლით ჩვენს განთავისუფლებას უცხოელთა უღლისაგან. მაშასადამე, თქვენი დაწინდული, – თუ ნებას მომცემთ ასე ვუწოდო, – ამ სულისკვეთებით, ამ ტრადიციებზეა გაზრდილი. მაგრამ, ვფიქრობ, ამ გარემოებებში ის ვერ იქნება რაინის კავშირის თაყვანისმცემელი, ბონაპარტის მიმდევარი.

– ეს საკითხები, – თავი აარიდა პასუხს ავგუსტმა, – უკვე თვით ისტორიის მსვლელობამ გადაწყვიტა და მოაგვარა.

– მადლობა ღმერთს! – თქვა შარლოტემ. – და თქვენი კავშირი გაიხარებს და გაიფურჩქნება გოეთეს მამობრივი მფარველობითა და თანხმობით?

– სავსებით. ის იმ მოსაზრებებისა გახლავთ, რომ ეს კავშირი დიდ და გადამწყვეტ იმედებსა და პერსპექტივებს გადაგვიშლის.

– მაგრამ ამით თქვენ ის დაგკარგავთ, ანუ ბევრ რამეს დაკარგავს თქვენი სახით. გაიხსენეთ, ეს-ეს არის მე თვითონ გირჩიეთ შეგექმნათ საკუთარი ოჯახი! მაგრამ მე თუ ახლა თავს წარმოვიდგენ ჩემი ახალგაზრდობის მეგობრის, ჩვენი ძვირფასი საიდუმლო მრჩევლის ადგილას, – ის ხომ თქვენი სახით კარგავს ერთგულ, განდობილ დამხმარეს, ჩინებულ შუამავალს, თუ თქვენ მის სახლს დატოვებთ.

– ასეთი რამ არც გვიფიქრია, – უპასუხა ავგუსტმა, – თქვენს დასამშვიდებლად იმასაც გეტყვით, რომ არაფერი, არაფერი არ შეიცვლება მამაჩემის საზიანოდ. ასულის შეძენით ძეს არ დაკარგავს. გათვალისწინებულია, რომ ჩვენ ვიცხოვროთ ზემო სართულის იმ ოთახებში, რომლებიც აქამდე ჩამოსული სტუმრებისთვის იყო გამოყოფილი, – ძალიან ლამაზი და მყუდრო ოთახებია, ფანჯრები გადაჰყურებს ფრაუნენპლანს. მაგრამ, თავისთავად გასაგებია, რომ ოტილიეს სამეფო ამ ოთახებით არ შემოიფარგლება. იგი ქვემოთ განლაგებულ საზოგადოების მისაღებ ოთახებშიც სრულყოფილებიანი დიასახლისი იქნება. ის გარემოება, რომ სახლს კვლავ ეყოლება მეთაური ქალი, რომ ბოლოს სახლში დიასახლისი იტრიალებს, როდი გახლავთ უკანასკნელი მოსაზრება, რის გამოც ჩემი დაქორწინება მისასაღებელ საქმედ ითვლება.

– მე მესმის და მხოლოდ ის მაკვირვებს, როგორ მერყეობს ჩემი გრძნობები. წელან მამაზე ზრუნვით ვიყავი შეწუხებული, ახლა კი ისევ შვილზე ვწუხვარ. ჩემი სურვილები ვაჟიშვილის შესახებ სრულდება, მაგრამ ისე, რომ უნდა გამოგიტყდეთ, ერთგვარი იმედის გაცრუებაც, აღუსრულებლობის გრძნობაც ერთვის, სწორედ იმის გამო, რომ მამის დამშვიდებას უკავშირდება. დარწმუნებული არა ვარ, სწორად გაგიგეთ კი: სიტყვა მოგცათ თქვენმა გულის რჩეულმა?

– აქ ისეთი შემთხვევაა, სიტყვები საბოლოოდ საჭირო რომ აღარ არის, – უპასუხა ავგუსტმა.

– სიტყვები საჭირო აღარ არისო? სიტყვები – სიტყვები. თქვენ, ჩემო მეგობარო, აუფასურებთ საზეიმო საქმეს იმით, რომ აქ მრავლობით რიცხვს მიმართავთ. სიტყვა, ჩემო სანუკვარო, ეს სულ სხვა რამ არის, ვიდრე სიტყვები; სიტყვა უნდა წარმოითქვას – სახელდობრ, გონებადამჯდარი ფიქრის შემდეგ, ზრუნვისა და აწონ-დაწონის შემდეგ, დიდხანს ყოყმანის შემდეგ. «ვიდრემდის მტკიცედ შეუუღლდები, კარგად გაზომე ნაბიჯი შენი». თქვენ გიყვართ, ეს გამანდეთ მოხუც ქალს, ვინც თქვენი დედაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, და ამით გული ამიჩუყეთ. იმავე სიყვარულით რომ გიპასუხებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. თქვენი თანდაყოლილი დამსახურებანი ამის ნათელი თავდებია. მაგრამ აი რა მინდა გკითხოთ ნამდვილი დედობრივი გულმოდგინებითა და მზრუნველობით: მასაც უყვარხართ თუ არა ჭეშმარიტი სიყვარულით მხოლოდ თქვენი

საკუთარი თვისებებისა და ღირსებების გამო. როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, ხშირად, სულის სიღრმემდე შეძრწუნებული, ჩემს თავს წარმოვიდგენდი ხოლმე მდიდარი და ამიტომ მრავალი თაყვანისმცემლით გარშემოხვეული ახალგაზრდა გოგონების ადგილას, რომლებიც, მართალია, თავს ბედნიერად გრძნობდნენ, რომ შეეძლოთ სურვილისამებრ ამოერჩიათ საქმრო სოფლის ახალგაზრდებს შორის, მაგრამ არასოდეს იყვნენ დარწმუნებული, ჭაბუკთა თაყვანისცემა თვითონ მათ ეკუთვნოდა თუ მათ ფულებს. წარმოიდგინეთ, რომ ასეთ ქალიშვილს ფიზიკური ნაკლი აქვს: ელამია, კოჭლია, მოკუზულია, და ჩაუფიქრდით, რა დიდი უნდა იყოს ტრაგედია, ასეთი ავბედითად გაბედნიერებული ქმნილების სულში რომ ტრიალებს, – ყოყმანის, მერყეობის ტრაგედია რწმენის ძლიერ სურვილსა და მღრღნელ ეჭვს შორის. მე ვძრწოდი, როცა იმაზე ვფიქრობდი, ასეთი არსებანი საბოლოოდ ფუქსავატურ დასკვნამდე უნდა მისულიყვნენ, თავიანთი სიმდიდრე პირად თვისებებად მიეჩნიათ და თავის თავისთვის ეთქვათ: «რა ვუყოთ, რომ მას ჩემი ფულები უყვარს, ეს ფული ხომ ჩემია, ჩემგან განუყოფელი, ის ანაზღაურებს ჩემს კოჭლობას. ასე რომ, მას ვუყვარვარ, მიუხედავად ჩემი კოჭლობისა...» ახ, მაპატიეთ, ეს ნაფიქრი და წარმოუდგენელი დილემა ძველი იდეფიქსია, აკვიატებული აზრია, ჩემი ქალიშვილობის დღეების მუდმივი შიშისა და თანაგრძნობის ზმანებაა. ასე რომ, დღესაც თავშეუკავებელ ყბედობას მოვყვები ხოლმე, როცა ამაზე ლაპარაკს ვიწყებ. მაგრამ რატომ დავიწყე ამაზე ლაპარაკი, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ, ძვირფასო ავგუსტ, მდიდარ ახალგაზრდად მეჩვენებით, რომელიც, მართალია, იმდენად ბედნიერია, რომ ვისაც უნდა, ამოირჩევს ქვეყნის ქალწულთა შორის, მაგრამ რომელსაც ყველა საფუძველი აქვს, შეამოწმოს, რატომ ირჩევენ მას: ნამდვილად თვით მას, მისი გულისთვის, თუ რაღაც სხვა დამატებით თვისებათა გამო. ეს «პერზონჰენ»... მომიტევეთ ასეთი მოურიდებელი გამოთქმის გამო, ეს ამ გოგონას თქვენი საკუთარი თვალსაჩინო და ხატოვანი აღწერაა, რომელიც მიკარნახებს, მაიძულებს, მას «პერზონჰენ» ვუწოდო, ხოლო ის გარემოება, რომ მისი სახე ერთგვარად ასულისა თუ დის ურთიერთობით დააკავშირეთ ჩემს საკუთარ პიროვნებასთან, უფლებას მაძლევს მოურიდებელი გამოთქმის წესს მივმართო და ვილაპარაკო ისე, როგორც ჩემს თავზე ვილაპარაკებდი... მაპატიეთ, მე ვგრძნობ, რომ მთლად ზუსტად აღარ ვიცი, რას

ვამბობ. დღევანდელმა დღემ დიდ გონებრივ და სულიერ დამაბულობას შემახვედრა, – ასეთი დღე არ მახსოვს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. მაგრამ რაზეც დავიწყე ლაპარაკი, ბოლომდე უნდა მივიყვანო. მოკლედ, ამ «პერზონჰენ» ოტილიეს თქვენ უყვარხართ ისეთი, როგორც ხართ, ყოველგვარ გარემოებათა გარეშე, თუ მას უყვარს თქვენი გარემოებანი, ის, რომ სახელგანთქმული კაცის შვილი ხართ, ისე რომ ეგების მას საკუთრივ მამათქვენი უყვარდეს? რა გულდასმით უნდა შეამოწმოს ასეთი საქმე მანამდე, სანამ საუკუნოდ დაუკავშირდებოდეთ! მე, რომელიც თქვენი დედა შეიძლებოდა ვყოფილიყავი, ჩემი ვალი და ამოცანაა, ამ საჩოთირო საკითხზე ჩაგაფიქროთ. თქვენი აღწერის თანახმად, მე ხომ «პერზონჰენის» დედაც შეიძლებოდა ვყოფილიყავი, და თუ გოეთეს თვალში ეს კავშირი დიდ იმედებს იძლევა და გადამწყვეტ პერსპექტივებს შლის, როგორც თქვენ გამოთქვით ან როგორც მან, მამათქვენმა თქვა, ეს შეიძლება როგორღაც უკავშირდებოდეს იმას, რომ მე, ოდინდელი «პერზონჰენი», მის თვალებს ოდესღაც ძალიან მოვწონდი, საიდანაც სწორედ ის გამომდინარეობს, რომ შეიძლებოდა ოტილიეს დედა ვყოფილიყავი; და რაც ზედმიწევნით უნდა შემოწმდეს, ეს ის არის, რომ მხოლოდ თქვენ უყვარხართ ამ გოგონას, თუ აქაც თქვენ ბოლოს მამათქვენის წარმომადგენელი და შუამავალი ხართ. თქვენ ხომ რაინდი არნომი გიყვარდათ და სიამოვნებით იქნებოდით მისი მეგობარი, ისე რომ წასულიყო საქმე, როგორც თქვენს გულს უნდოდა; იცით, ხედავთ, ეს თქვენი საკუთარი საქმე იყო, ეს თქვენი თაობის საქმე იყო, მაგრამ ის, რაზეც აქ ლაპარაკია, მე მგონია, ალბათ, მხოლოდ ჩვენი საქმეა – ბებრებისა. აქედან წარმოდგება ჩემი ფიქრი და საზრუნავი. არ გეგონოთ, არ გამეგებოდეს ახალგაზრდათა შეუღლების მთელი მიმზიდველობა და მშვენიერება, რაც ახალგაზრდობას საშუალებას აძლევს შეავსოს, დაეწიოს, განახორციელოს ის, რაზეც, თუ შემძლია ასე ვთქვა, მოხუცებმა უარი თქვეს, რაც ხელიდან გაუშვეს. და მე მაინც კვლავ გადაჭრით უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საქმე ეხება, ასე ვთქვათ გამეორებას.

მან თვალეზე მიიფარა ხელი, რომელზეც ნაქსოვი უთითო თათმანი ეცვა.

– არა, – თქვა ქალმა, – მაპატიეთ, შვილო ჩემო, ახლაც, ისე როგორც ამას წინათ უკვე ვაღიარე, რომ, სახელდობრ, ჩემს სიტყვებსა და, თუ სიმართლეს ვიტყვი, ჩემს აზრებსაც თავს

ველარ ვუყრი მთელი სიგრძე-სიგანით. თქვენ უნდა მომიტევოთ მოხუც ქალს, – შემძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ ასეთი დღე, ამდენი მოთხოვნებითა და თავგადასავლებით, დღეს რომ შემხვდა, საერთოდ არ მახსოვს. მგონია, ნამდვილი თავბრუსხვევა მეწყება...

კამერმრჩეველი, რომელიც უკანასკნელ წუთებში ძალიან წელგამართული გაქვავებულივით იჯდა სკამზე, ამ სიტყვებზე სასწრაფოდ წამოიჭრა:

– ღვთის გულისათვის! – წამოიძახა მან, – ჩემს თავს უნდა ვუსაყვედურო, – მე თქვენ დაგლაღეთ, ეს სრულიად მიუტევებელია! ჩვენ მამაჩემზე ვლაპარაკობდით და ეს არის ჩემი ერთადერთი გამართლება, რადგან თავს ადვილად ვერ დააღწევ ამ თემას, მისი ამოწურვა შეუძლებელია, ეს თემა უსაზღვროა, ნაპირს ვერ უპოვი... ახლავე გავბრუნდები უკან, და კინალამ, – შუბლზე მაჯა მიირტყა, – კინალამ ისე წავედი, რომ ვერ მოგახსენეთ დავალება, რაც ჩემი ერთადერთი უფლებამოსილება გახლავთ, მე კი თავი მოგაბეზრეთ და გადაგლაღეთ. – თავს დაეუფლა და, ოდნავ წინ გადახრილმა, წყნარად მოახსენა: – მაქვს პატივი, ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს გადავცე მამაჩემის სალამი თქვენი კეთილმოზრძანებისა, ამავე დროს მისი სინანული, რომ არ შეუძლია ახლავე გნახოთ. მარცხენა ხელის რევმატიზმის გამო თავისუფალი მოძრაობა უჭირს. მაგრამ დიდ პატივად მიიჩნევს და სიხარულს მიანიჭებს, თუ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე, თქვენი ძვირფასი და საყვარელი პიროვნება, ბატონ კამერმრჩეველ რიდელთან და მის მეუღლესთან, აგრეთვე თქვენს პატივცემულ ქალიშვილთან ერთად ინებებთ და დამდეგ პარასკევს, მაშასადამე, დღეიდან სამი დღის შემდეგ, სამის ნახევარზე, ვიწრო წრეში, მასთან სადილად გვეწვევით.

შარლოტეც ოდნავი რხევით წამოდგა.

– დიდი სიამოვნებით, – უპასუხა მან, – ოღონდ ერთი პირობით. თუ ამ დღეს ჩემი ნათესავები თავისუფალი არიან.

– ნება მომეცით, გამოგეთხოვოთ, – უთხრა ბოლოს ყმაწვილმა კაცმა, თავი დახარა და, მანდილოსნის ხელის გამოწვდას დაელოდა.

შარლოტე ერთგვარი ყოყმანით მიუახლოვდა ავგუსტს, ორივე ხელით დაუჭირა ახალგაზრდას ხუჭუჭთმიანი, ქილვაშებიანი

თავი და ნაზად აკოცა შუბლზე, რაც ძნელი არ იყო, რადგან ვაჟი მისკენ დაიხარა.

– ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, გოეთე! – უთხრა შარლოტემ. – თუ რაიმე შეუსაბამო ვთქვი, დაივიწყეთ, დაღლილი გახლავართ. თქვენამდე აქ იყვნენ როუზ კაზლი, დოქტორი რიმერი და შოპენჰაუერების ქალიშვილი, გარდა ამისა, ამას დაუმატეთ ეს მაგერი და ვაიმარის საზოგადოება, და ეს ყველაფერი ჩემი მდგომარეობისა და ურთიერთობის ქალისთვის უაღრესად საინტერესო იყო. წადი, შვილო ჩემო, სამი დღის შემდეგ მოვალ სადილად, – რატომაც არა? ისიც ხომ მიირთმევდა ხოლმე ხანდახან მაწონს ჩვენთან გერმანული ორდენის სახლში. რაკი ერთმანეთი გიყვართ და იტანჯებით, იქორწინეთ, ახალგაზრდებო, დაუკავშირეთ თქვენ-თქვენი ბედი ერთმანეთს. მამისადმი სიყვარული და პატივისცემა გამოიჩინეთ და ბედნიერი იყავით თქვენს ზემო სართულის ოთახებში! ჩემი ხელობა და მოწოდება არ გახლავთ, გადაგათქმევინოთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, გოეთე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო ჩემო!

თავი მეშვიდე

ჰოი, რომ ქრება! უჩინარდება! ფერმკრთალდება ნათელი სახე სიღრმისა, ილევა სწრაფად და თავდება, ვითარცა ჟინიანი დემონის ხელის გაქნევით, რამეს რომ გიძღვნის და ისევ გართმევს; არარაობაში განქარდა, განიბნა იგი, და მე ზემოთ ამოვტივტივდი სიზმართა სამეფოდან! რაოდენ მომხიბლავი იყო იგი! და ახლა რა შემრჩა? სად ვარ? იენაში? ბერკაში?

ტენშტედტში? არა, ეს ვაიმარული, გვირისტით დალიანდაგებული აბრეშუმის საბანია, შინაურული კედლის შპალერი, გამოსამახებელი ზარზონარი... როგორ? ასე ძალ-ღონით სავსე? გაფურჩქნილი სიდიადითა და ბრწყინვალეობით? ყოჩაღ, ბერიკაცო! ასე იყავი, მხნე მოხუცო, არ დამიღონდე... და გასაკვირია, განა? რა დიდებული ნაკვთებია! რა ელასტიკურად ჩაჰკონებია ქალღმერთის მკერდი მშვენიერი მონადირის მხარს, ქალღმერთის ნიკაპი მის ყელსა და ძილისგან გახურებულ ღაწვს მიჰკვრია, ნაზი, ღვთაებრივი ხელი მონადირის ახალგაზრდული, ღონიერი მაჯისთვის მოუხვევია, რომელიც სადაც არის თამამად ჩაიხუტებს მას, მისი ლამაზი ცხვირი და

პირი ეძიებენ და ნეტარებენ მონადირის ძილში გაპოზილი ბაგეების სუნთქვით, ხოლო გვერდით ბიჭუნა-ამურს, თან აღშფოთებულსა და თანაც მოზეიმეს, აღემართა მშვილდ-ისარი და ტყორცნა ისარი შემახილით: «ოჰო! შესდექ!» მარჯვენა მხარეს კი მონადირე ძაღლები ჭკვიანი თვალებით უცქერდნენ და ხტოდნენ. გული შენი შენს მკერდქვეშ ნეტარებდა ამ დიდებული კომპოზიციის გამო! მაგრამ საიდან გაჩნდა იგი? საიდან? სად მინახავს? გასაგებია. ეს იყო ლ,ორბეტო ტურჩი[184] დრეზდენის გალერეაში: «ვენერა და ადონისი». თქვენ ხომ განზრახული გაქვთ დრეზდენის ნახატების რესტავრაცია? ფრთხილად, ბაღლებო! უბედურება იქნება, თუ ნაუცბადევად, ჰაიჰარად მოისურვებთ ამის გაკეთებას და თხუპნიებს მიუშვებთ. და რამდენი თხუპნიაა ამ ქვეყანაზე, ეშმაკმა დალახვროს! იმიტომ, რომ მათ არაფერი გაეგებათ ძნელისა და კარგისა და ყველაფერს ადვილად ეკიდებიან. არ სურთ თავი შეიწუხონ და მკაცრად მოჰკითხონ თავის თავს. აქედან ხეირიანი რა უნდა გამოვიდეს? ხომ არ უნდა ვუამბოთ მათ ვენეციის სარესტავრაციო აკადემიაზე? ერთი დირექტორი და თორმეტი პროფესორი ჩაკეტილან მონასტერში და საგულდაგულოდ ჩაჰკირკიტებენ ამ ძნელ საქმეს. «ვენერა და ადონისი»... «ამური და ფსიქეა» უნდა გაკეთდეს, უკვე დიდი ხანია, ზოგჯერ ამ კეთილ საქმეს შემახსენებენ ხოლმე, როგორც ვბრძანე; მაგრამ ვერ მეტყვიან, დრო საიდან გამოვნახო? ერთხელ კიდევ დაწვრილებით და გულმოდგინედ უნდა ჩაუკვირდე დორინის[185] ფსიქეას ანატვიფრს სპილენძზე ყვითელ დარბაზში, იდეის გადახალისებისთვის, შემდეგ შეგიძლია კვლავ გადადო. ლოდინი და გადადება კარგია, ყოველთვის უკეთესი გამოდის, სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდება ჩანაფიქრი; შენს გულსა და გონებაში დაფარულ საიდუმლოებასა და შენს საკუთრებას ვერავინ წაგართმევს, ვერავინ დაგასწრებს, თუნდაც იგივე გააკეთოს.

რა არის მასალა? მასალა ქუჩაში ყრია, რამდენიც გნებავთ. ამოირჩიეთ, ბავშვებო; მე არც კი მჭირდება გაჩუქოთ იგი, როგორც შილერს ტელი ვაჩუქე, რათა ღვთის სახელით დიდგულოვანი მეამბოხე თეატრში შეეყვანა. მაგრამ ტელი ჩემთვისაც დავიტოვე შემწყნარებელ-ნამდვილისთვის, ირონიულის, ეპიკურის, ჰერკულეს-დემოსისტვის, რომელსაც საქმე არა აქვს ბატონობის საკითხებთან, და უზრუნველ ტირანთან, სოფლის დედაკაცებს რომ ელაციცება. მოითმინეთ,

მე მას უთუოდ გავაკეთებ, ჰეგზამეტრიც უფრო სრულყოფილი, დათავთავებული უნდა იყოს, ენასთან შეწყობილ-შეხამებული, უფრო უკეთესად, ვიდრე «რაინეკესა»[186] და «ჰერმანშია». ზრდა! ზრდა! სანამ ხე იზრდება, ვარჯი მისი იფურჩქნება და ფართოვდება, იგი ახალგაზრდაა! ჩვენს დღევანდელ საფეხურზეც, ჩვენი არსების ესოდენ მშვენიერი გაფურჩქვნა-გაფართოებისას, ხელი უნდა მოვკიდოთ «ამურსა და ფსიქეას»: სიჭარმაგის ნაყოფიერ ასაკში, ფრიად გამოცდილი ღირსებისას, როცა ახალგაზრდობის ამბორი შუბლს კვლავ ატყვია, უნდა ადვილი, მშვენიერი, სანუკვარი რამ გამომივიდეს. არავინ უწყის, რა მომხიბლავი იქნება, სანამ გამოვა. ეგებ სტანსებით?

[187] მაგრამ ვაი, რომ ყველაფერს ვერ მოასწრებ საქმეთა მოზღვავეებაში და ზოგიერთი უნდა ჩაკვდეს. გინდა დავნადლევედეთ, რომ რეფორმაციის კანტატაც[188] დაგიჰკნება? ქუხილი სინას მთაზე... უნაპირო მარტოობის დილის სურნელება იფრქვევა. ეს ჩემთვის ცნობილია. ეგებ მეომარ მწყემსთა გუნდებისთვის «პანდორა»[189] გამომადგეს. სულამითი, უსაყვარლესი არსება შორეთში... ერთადერთია ჩემთვის სიამოვნება – მისი სიყვარულის ღამე და დღე. უკვე ესეც სასეიროა. მაგრამ მთავარ საქმედ მაინც რჩება ის, ქრისტე, მისი დიადი მოძღვრება. მისი გონისეულობა, ხალხმა იმთავითვე რომ ვერ გაიგო. მარტოობა, მიტოვებულობა, სულიერი ტანჯვა, უმაღლესი წამება – და მაინც ნუგეში და სასოება, სიმტკიცე. დაე გაიგონ, რომ მე, ძველ წარმართს, ქრისტიანობისა უფრო მეტი გამეგება, ვიდრე მათ ყველას ერთად. მაგრამ ვინ დაწერს მუსიკას? ვინ გამამხნევებს, ვინ გამიგებს, ვინ შემიქებს, სანამ არ შექმნილა, სანამ არ არსებობს? ფრთხილად იყავით. ასე უნუგეშოდ ხალისი დამეკარგება და მაშინ, ვნახოთ, რით აღნიშნავთ ღირსეულად მნიშვნელოვან თარიღს. ის რომ ცოცხალი იყოს, ვინც, აგერ უკვე რამდენი წელია – მთელი ათი წელიწადია – ჩვენგან წავიდა! ის რომ კვლავ ჩვენ შორის იყოს, წამაქეზებდა, მომთხოვდა და მახვილგონივრულად აღმაგზნებდა! განა თქვენ არ მიმატოვებინეთ «დემეტრიუსი»[190] თქვენი სულელური სიძნელეების გამო, დადგმების დროს რომ მიქმნიდით? მე ხომ მინდოდა დამემთავრებინა და შემემლო მის მოსახსენიებლად და დიდებული აღაპის გადასახდელად ყველა თეატრის სცენაზე დამედგა? თქვენ მიგიძღვით დანაშაული თქვენი ყეყეჩი ყოველდღიური ჩამორჩენილობისა და სიზანტის გამო, რომ, განრისხებული, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი და იგი

მეორეჯერ და საბოლოოდ მომიკვდა, რამეთუ ხელი ავიღე, უზუსტეს ცოდნათა საფუძველზე აქ ყოფნა მისი გამეხანგრძლივებინა. რა უბედური ვიყავი მაშინ! უფრო უბედური, ვიდრე შეიძლება კაცი უბედური იყოს სხვისი დანაშაულით. იქნებ შთაგონებამ გიღალატა და იდუმალ წინ აღუდგა საკუთარი გულისწადილი უწმინდეს განზრახვას? გარეგანი დაბრკოლებები საბაზად გამოიყენე და შეშლილი გულღვარძლიანი აიანტის[191] როლი გაითამაშე. მე რომ მასზე ადრე მოვმკვდარიყავი, ის, ის შეძლებდა «ფაუსტის» დამთავრებას, – ღვთის გულისათვის! საჭიროა ანდერძნამაგი ღონისძიებების მიღება! – მაგრამ გულში მწარე ტკივილი მაინც მუდამ თან მდევდა და ახლაც დამრჩა, აუგიანი უსუსურობა და სამაგელი დამარცხება, – ყოველივე ამის გამო რა დარცხვენილია ცოცხლად დარჩენილი მეგობარი, რომ მოსვენებას მისცა თავი და მისი თხზულება ვერ დაამთავრა.

რომელი საათია? ღამით გამეღვიძა? არა, ბალიდან დღის სინათლე უკვე იჭყიტება დარაბებს შორის. შვიდი საათი იქნება, მეტი არა. ყველაფერი წესრიგითა და წინასწარდასახული გეგმით მიდის, და დემონმა კი არ გამიქრო მშვენიერი სახე, არამედ დილის შვიდ საათზე გაღვიძების ჩემმა საკუთარმა ნებელობამ მომიხმო საქმეზე და დღის სამუშაოზე, იგი ფხიზლობდა იქ, ქვევით, მასაზრდოებელ ველზე, ღრმა ძილში, და თავს ევლებოდა თავის სიზმარს, ვითარცა კარგად გაწვრთნილი მონადირე ძაღლი, რომელიც ფართო და ჭკვიანი თვალებით უცქერდა ვენერას სიყვარულის თავგადასავალს. ყურადღება! ეს ხომ გოტჰარდის ხორცშესხმული ძაღლია, რომელიც დასწეულელებული წმინდა როხუსისთვის პურს იტაცებს თავისი პატრონის მაგიდიდან. «წმინდა როხუსის დღესასწაულში»[192] დღეს შესატანია გლეხთა წეს-ჩვეულებანი. სად არის უბის წიგნაკი? საწერი მაგიდის მარცხენა უჯრაში. «მშრალი აპრილი – გლეხის სახმილი». «თუ ასპუჭაკი[193] მღერის, სანამ ვაზი აყვავდებოდეს», – ლექსი და მერე ქარიყლაპიას ღვიძლი, ეს ხომ უძველესი ყაიდის მკითხაობაა შიგნეულობაზე.

ო, ხალხი! მემკვიდრეობამდიდარი, გულითადი, წარმართული, ბუნებრივი სტიქია-ელემენტი, არაცნობიერის მასაზრდოებელი ველი და გაახალგაზრდავების წიაღი! ხალხთან ყოფნა, როცა გარს გახვევიან ფრინველებზე ნადირობისას, სოფლის დღესასწაულზე, ზეიმზე ჭასთან, ისე როგორც მაშინ ბინგენში

იყო, გრძელ ჩარდახიან მაგიდასთან, ღვინის სმა და ღრეობა, აშიშხინებული ქონის ოხშივარი, ცხელ-ცხელი პური, აგიზგიზებულ ნაკვერჩხლებზე, გახურებულ ნაცარში ლორი იბრაწებოდა! რა უსულგულოდ მიახრჩვეს მთლად გასისხლიანებული გაქცეული მაჩვი ყოვლადწმინდა ქრისტიანულ დღესასწაულზე! ცნობიერში დიდხანს ვერ გაძლებს ადამიანი, დროდადრო კვლავ არაცნობიერს უნდა მიაშუროს, რამეთუ მასშია გადგმული მისი ფესვები. მაქსიმა, ყოფაქცევის ძირითადი პრინციპი და ნორმა. ამაზე ნეტარხსენებულმა არაფერი იცოდა და არც სურდა სცოდნოდა,

– ამაყმა სნეულმა, გონისა და ცნობიერების არისტოკრატმა, თავისუფლებისთვის სიგიჟემდე აღტყინებულმა, დიდმა სალოსმა, ამიტომაც ისინი მას ხალხის კაცად თვლიდნენ, საკმაო უაზრობაა (მე კი გადიდკაცებულ ყმად)! მას ხომ არც ხალხისა და არც გერმანელობისა სრულებით არა გაეგებოდა რა, დიახ, არც გერმანელობისა, – ამიტომაც მიყვარდა იგი. გერმანელებთან ხომ არ იცხოვრება, სულერთია, გამარჯვებაა თუ დამარცხება. პირიქით, ის მათ უპირისპირდებოდა თავისი ნაზი, მყიფე, ამაღლებული, მეტად ავადმყოფური სიწმინდით; იმის უნარი არ ჰქონდა, რომ ძირს დაშვებულიყო, ის უფრო მორჩილებით აღსავსე გულითა და სულით მუდამ იმას ფიქრობდა, რომ მცირე, მდაბიო თავის ტოლ-სწორად მიეჩნია, რათა მაცხოვრის მხსნელი ხელებით თავის დონემდე და გონის სამეფომდე აემაღლებინა. დიახ, ის იყო ის, დიდი ადამიანი, რომელსაც მინდა ხოტბა შეეკრებინა ჩემს კანტატაში. ბავშვური მედიდურებითა და პატივმოყვარეობით თავისი თავი საზრიანი და გამჭრიახი საქმის კაცი, საქმოსანი ეგონა, რა ბავშვური გულუბრყვილობაა? ის მართლა ვაჟკაცი იყო, უზომოდ ვაჟკაცი, არაბუნებრიობამდე ვაჟკაცი, რადგან წმინდა მამაკაცური – გონი, თავისუფლება, ნებელობა, დიახაც არაბუნებრიობაა, რამეთუ ქალური საწყისის წინაშე უბრალოდ ვერ იყო ჭკვიანი: მისი ქალები ხომ სასაცილონი არიან – და ამასთან გრძნობადობა წამაქეზებელ მძვინვარებამდეა მისული. საშინელებაა! საშინელება და გაუსაძლისობა! მაგრამ უნიჭიერესი ყოველივე ამასთან ერთად, ზეაღმტაცი სითამამე, სიკეთის ცოდნა და რწმენა, ძალიან ძალა იდგა ნაძირალა შინაყმებსა და ბრბოზე, ერთადერთი ტოლ-სწორი, ერთადერთი ნათესავი ჩემი სულისა და გონებისა, – მის მსგავსს მე ვეღარ ვნახავ. უმაღლესი გემოვნების მქონე – საყოველთაო უგემოვნობაში, იმედი და რწმენა მშვენიერისა, ყველა უნარის

ფლობის ამაყი შეგნება სუფევდა მის არსებაში, მეტყველებაში – ენამჭევრობა და ენამზეობა, ყოველგვარი გუნება-განწყობილებისგან წარმოუდგენლად დამოუკიდებელი, თავისუფლების სადიდებლად; ნახევარ სიტყვაზევე გიგებდა და უაღრესი და უმაღლესი ჭკუით, სიბრძნით გაძლევდა პასუხს, გიხმობდა საკუთარი თავისკენ, რომ დაბრუნებოდი საკუთარ თავს, შენს თავზე შენვე დაგაფიქრებდა, დაგარიგებდა, მუდამ თავის თავს ადარებდა, თვითკრიტიკით განამტკიცებდა, საკმაოდ მომაბეზრებლადაც: სპეკულაციური, ინტუიციური გონი, ვიცი უკვე, ვიცი უკვე. «თუ ორივე გენიალურია, მაშინ შუაგზაზე...» – ვიცი უკვე, ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ბუნების გარეშე მდგომი, ნამდვილი მამაკაცი, შეიძლება იყოს გენიოსი, რომ იგი დიახაც გენიოსია და ჩემ გვერდით დგას, – ყველაფერი იქით მიდიოდა, დიდ არენაზე გამოსულიყო, გამტოლებოდა, აგრეთვე სილატაკისთვის თავი დაეღწია, ცდილობდა ყოველ წელიწადს თითო დრამა შეექმნა. არასასიამოვნო მოდიპლომატო მაძიებელი წარმატებისა. მიყვარდა იგი ოდესმე? არასოდეს. არ მსიამოვნებდა მისი წეროსავით სიარული, წითური ჭორფლიანი, ავადმყოფური ღაწვები, მოხრილი მხრები, სურდოიანი კეხიანი, მოკაუჭებული ცხვირი. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, მის თვალებს ვერ დავივიწყებ, ლურჯ, ღრმა, მშვიდ და თამამ თვალებს, მაცხოვრის თვალებს... ქრისტე და გონებით მჭვრეტელი. სრული უნდობლობით ვიყავი გამსჭვალული! შევამჩნიე: ჩემი გაყვლეფა უნდოდა. მეტად ჭკვიანური წერილი მომწერა, რომ «მაისტერი» ხელში ჩაეგდო «ჰორენისთვის».[194] განზრახვას მივუხვდი და ჩუმიად ხელშეკრულება დავდე უნგერთან. შემდეგ «ფაუსტს» დაჟინებით მთხოვდა «ჰორენისა» და «კოტასთვის», თავი მომაბეზრა, რამეთუ მხოლოდ და მხოლოდ ის მიხვდა ყველაზე ადრე, თუ რა არის და რას ეხება «ობიექტური სტილი», «იტალიის შემდგომი»; მან იცოდა და უნდა სცოდნოდა კიდევ, რომ მე უკვე სხვა ვარ, რომ ნედლი თიხა გაშრა. მომაბეზრებელი, მოსაწყენი იყო. ფეხდაფეხ დამდევდა, მაჩქარებდა, ეშურებოდა, რადგან მას დრო არ ჰქონდა. ნაყოფი კი მხოლოდ დროს მოაქვს.

დროა საჭირო, დრო უნდა გქონდეს. დრო ჯილდოა, მოწყალებაა, თვალთ შეუმჩნეველი და კეთილმსურველი. თუ დროს აფასებ და გულმოდგინედ ავსებ. იგი სიწყნარეში ქმნის, გამოიხმობს დემონებს... მე დროს ვუცდი, დრო გარს მივლის.

მაგრამ დრო თავისას გაიტანდა, ყოველ შემთხვევაში ყველაფერი უფრო სწრაფად გაკეთდებოდა, ის რომ ცოცხალი იყოს, ჩემ გვერდით იდგეს, დიახ, ვისღა ველაპარაკო «ფაუსტზე» მას შემდეგ, რაც ეს კაცი დროის მიღმა დარჩა. მან ყველა საზრუნავი იცოდა, ყველა ეჭვი, მთელი შეუძლებლობა, გზა და საშუალებაც იცოდა, – უსაზღვრო გონებამახვილობით და მოთმინებით, თავისუფლად, მას დიადი გართობის სრული და თამამი გაგება ჰქონდა და არაპოეტური სერიოზულობისგან გათავისუფლებაც იცოდა, რამეთუ ელენეს გამოცხადების[195] შემდეგ ის მანუგეშებდა და შენიშნავდა, რომ მოჩვენებისა და გროტესკის შეუღლებით ბერძნულ-მშვენიერისა და ტრაგიკულის სახით, წმინდა საწყისისა და სათავგადასავლოს შეერთებით შეიძლება წარმოიშვას არცთუ მთლად უხეირო პოეტური ტრაგედია.[196] მან ნახა კიდევაც ელენე, მისი პირველი ტრიმეტრებიც მოისმინა და თავისი დიდებული შთაბეჭდილებაც გამოიზიარა. ამან უნდა გამამხნევოს. მან იცოდა ეს, როგორც ქირონ დაუცხრომელმა,[197] რომელსაც მინდა მის შესახებ ვკითხო. როცა მისმენდა, იღიმებოდა, როგორ მოვახერხე და გავართვი თავი, რომ ყოველი სიტყვა ანტიკური სულისკვეთებით განვმსჭვალე...

ბევრი რამ ვნახე, თუმც შუბლს მიმშვენიებს

ახალგაზრდული კულულის თმები!

ვიხილე ბევრი საშინელება,

ომი საზარი და...

ილიონის დამხობის ღამე.

მტვერის ღრუბლებში, მეზრძოლთა შორის

მესმოდა ცხადად ღმერთების რისხვა,

მესმოდა ველად სპილენძის ხმები,

შფოთი და ღელვა სწვდებოდა ციხეს.

აქ მან გაიღიმა და თავი დახარა: «ჩინებულია!» ეს ადგილი მოწონებულია. ამის გამო დამშვიდებული ვარ, ეს ხელუხლებლად უნდა დარჩეს. მან ჩინებულად მიიჩნია და გაიღიმა ისე, რომ მეც გამეღიმა და ჩემი კითხვა ღიმილად იქცა. არა, ამაშიც ის გერმანელი არ იყო, რომ ჩინებულის გამო

ილიმებოდა. ამას არც ერთი გერმანელი არ სჩადის. ისინი გამძვინვარებით უყურებენ საუკეთესოს, რადგან მათ არ იციან, რომ კულტურა პაროდიას – სიყვარული და პაროდია... მან თავი დააქნია და გაიღიმა, როდესაც გუნდმა ფეხოსს «მცოდნე» უწოდა.

ნუთუ გაბედავ, შე საფრთხობელავ,

ფეხოსის ხილვას[198]

და სილამაზის

მცოდნესთან ყოფნას?

მაგრამ მიდიხარ მაინც თამამად,

რადგან სიგონჯეს ვერ ხედავს იგი,

ისე, ვით მისი ღვთიური თვალი

ვერ ჭვრეტს ვერასდროს ბნელეთის აჩრდილთ.

მას მოეწონა ეს, მასში თავისი თავი შეიცნო, თავის თავზე ზედგამოჭრილად მიიჩნია. შემდეგ მომიბრუნდა და კიცხვა დამიწყო, მართალს არ ამბობს, რომ სირცხვილი და

მშვენიერება... არასოდეს ერთად არ არიან ხელიხელჩაკიდებული, მათ სხვადასხვა გზა აქვთო: მშვენიერება ხომ მორცხვიაო. მე ვუთხარი: რატომ უნდა იყოს მორცხვი? მან მიპასუხა: იმის შეგნებისთვის, რომ გონისეულის საპირისპიროდ, გონისეულისა, რომელსაც მშვენიერი წარმოადგენს, გულისთქმას აღძრავსო. მე ვუთხარი: განა გულისთქმამ უნდა დაირცხვინოს? იგი ამასაც არ აკეთებს, ალბათ, იმ შეგნებით, რომ ის გონისეულის სურვილს წარმოადგენს. ორივემ გავიციინეთ, ახლა აღარავინ არის, რომ მასთან გავიციინო. მან აქ დამტოვა იმ რწმენით, რომ გზას თვითონ გავიკაფავ, მასალის ერთ მთლიანობად შემკვრელს ვიპოვი, რასაც დაწყებული საქმე მოითხოვს. ის ყველაფერს ხედავდა. ხედავდა იმასაც, რომ ფაუსტი მოქმედ ცხოვრებაში უნდა ჩავაბა, – თქმა ადვილია, ქმნაა ძნელი! მაგრამ თქვენ თუ ფიქრობდით, ჩემო ძვირფასო, რომ ეს ჩემთვის ახალია...

სწორედ მაშინ, როდესაც ყველაფერი ჯერ კიდევ სრულიად ყრუ და ბავშვურად ბუნდოვანი იყო, ლუთერის[199] თხზულებაზე მუშაობისას ფაუსტს ვათარგმნინე «სიტყვის», «აზრის» და «ძალის» ნაცვლად: «საქმე».[200]

მაშ ასე! მაშ ასე! რა არის დღეს გასაკეთებელი? «მხნედ, შემართებით, მხიარულად საქმეს მიმართე!»[201] მოქმედებისთვის, ვალმოხდისთვის კვლავ აღიმართე, ჩრდილში, გრილოში მშვიდ მოსვენებას თავი ანებე, სწრაფ ცხოვრებაში გადაეშვი დაუზარები. რა სიხალისე, სიამეა, რეკავს ზარები». ეს «მცირე ფაუსტია» – «ჯადოსნური ფლეიტა», სადაც ჰომუნკულუსი და ძე ჯერ კიდევ ერთია შუქმფრქვევ კოლბაში... მაშასადამე, რა იყო, რას მოითხოვს დღევანდელი დღე? ო, სიკვდილია! მისი უბრწყინვალესობისთვის დასკვნა უნდა შედგეს «იზისის»[202] სამარცხვინო ამბავზე; საზიზღარი, გაჭიანურებული უსიამოვნო საქმეა. როგორ ივიწყებს კაცი ღრმა ძილში! მაგრამ უკვე განახლდა ყოველდღიური ორომტრიალი, ალიაქოთი და აურზაური. გარდა ამისა, კიდევ შესადგენია მისი აღმატებულების ფონ ფოიგტის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ოდის მონახაზი, – ზეციერო, მალე უნდა დავასრულო და თეთრად გადავაწერინო, ოცდაშვიდში დაბადების დღეა. მე კი, კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი დამიწერია, საკუთრივ მხოლოდ ორიოდ ლექსი, რომელთაგან ერთი თუ გამოდგება: «ნუთუ ბუნება საბოლოოდ ვერ აიხსნება?» ეს კარგია, ამის მოსმენა შეიძლება, ეს ჩემია, ეს მთელ დანარჩენ მონაჩმახს გაიტანს, ხოლო ლაზათიან მონაჩმახად, რაც უნდა იყოს, ბუნებრივია, მაინც დარჩება, როგორც ესოდენ მრავალი სხვა რამ, ოღონდ ეს არის, «პოეტური ტალანტისაგან» საზოგადოება ხარკს მოელის. ოჰ, ეს პოეტური ტალანტი, ეშმაკსაც წაუღია. ადამიანებს სწამთ, რომ ნიჭია მხოლოდ საქმე. თითქოს ორმოცდაოთხი წელიწადი კიდევ იმიტომ იცხოვრე და იზარდე მას შემდეგ, რაც ოცდაოთხი წლისამ «ვერტერი» დაწერე, რომ პოეზიის ასაკიდან აღარ უნდა გამოხვიდე! თითქოს ისევ ის დრო იყოს, ჩემი ზომისა და

ყალიბის კაცი ლექსთა მთხზველობით რომ ვკმაყოფილდებოდი! ხარაზო, დარჩი შენს კალაპოტთან. შენს ხელობას ნუ უღალატებ. დიახაც, თუკი ხარაზი ხარ. ვიღაც-ვიღაცები ყბედობენ, ვითომც პოეზიას გავუორგულდი და სხვადასხვა გატაცებამ დამაქუცმაცა. ვინ გითხრათ, რომ პოეზია გატაცება არ არის და სერიოზულობა სრულიად სხვა რამეშია, კერძოდ მთელში? უგუნური ყიყინია, სულელური წრიპინი! არ იცით, გონებაჩლუნგებო, რომ დიდი მგოსანი, პირველ ყოვლისა, დიდია და მხოლოდ შემდეგ არის პოეტი, და რომ სულერთია, ლექსებს თხზავს თუ ბრძოლებში იმარჯვებს, როგორც ის, ვინც მე ერფურტში მინახულა,[203] ბაგეზე

ღიმილითა და პირქუში თვალებით. რომ მოვდიოდი, ზურგს უკან სიტყვა დამადევნა, განზრახ ხმამაღლა, რომ მე გამეგონა: «აი, ეს არის კაცი!» და არა «აი, ეს არის პოეტი». მაგრამ სულელ ხალხს ჰგონია, თუ «დივანს» თხზავ, დიდი ხარ, თუ «ფერთა მოძღვრებაზე» მუშაობ, დიდი აღარა ხარ...

ფუი ეშმაკს! ეს რაღა იყო? ეს რა ამოტივტივდა მეხსიერებაში? პფაფის[204] გუშინდელი წიგნი, პროფესორის ოპუსი «ფერთა მოძღვრების» წინააღმდეგ. პფაფი ჰქვია ამ მიამიტს. თავაზითაც რომ მიგზავნის თავის თავხედურ შემოდავებას, სირცხვილის გრძნობაც კი დაუკარგავს, იმდენად გაკადნიერებულა, რომ სახლშიც გამომიგზავნა თავისი წიგნი. უტაქტო გერმანული აბეზარობა! მე რომ ნება მქონდეს, ასეთ ადამიანებს საზოგადოებიდან გავაძევებდი. მაგრამ ვითომ რატომ არ გალანძლავენ ჩემს გამოკვლევას, მაშინ როდესაც ჩემი პოეზიაც აუგად მოიხსენიეს ყიამყრალებმა. «იფიგენია» იმდენ ხანს ადარეს ევრიპიდეას, სანამ ძველმანად არ გადააქციეს, «ტასო» დამისახიჩრეს და «ევგენიაც»[205] შემიბღალეს თავიანთი რომშით – მარმარილოსავით გლუვი და მარმარილოსავით ცივიაო. შილერმაც, ჰერდერმაც, და ყიყინა შტალმაც,[206] აღარაფერს ვამბობ მდაბიო წვრილფეხობაზე. «დიკი ჰქვია ამ ჯღაბნია ქვებუდანს. თავის დამცირებაა, რომ მისი სახელი ვიცი, მასზე ვფიქრობ. არავის ეცოდინება მისი სახელი თხუთმეტი წლის შემდეგ, ისეთივე მკვდარი იქნება, როგორიც დღეს, დღესაც უკვე მკვდარია, მაგრამ უნდა ვიცოდე მე, იმიტომ რომ ერთ დროში ვცხოვრობთ... კიდევაც რომ თავს ნებას აძლევენ, განსაჯონ! ყველას უფლება აქვს განსაჯოს, ვისაც კი მოესურვება. აკრძალული უნდა იყოს. ჩემი აზრით, ეს პოლიციის საქმეა, ისევე როგორც ოკენის «იზისი». მოუსმინეთ, როგორ მსჯელობენ ისინი, და შემდეგ მომთხოვეთ, რომ მხარი დავუჭირო საერობო საკრებულოს, ხმის უფლებას, პრესის თავისუფლებას, ლუდენის «ნემეზისს»,[207] «გერმანელ ჭაბუკთა მფრინავ ფურცლებსა» და ვილანდ-ფილიუსის «ხალხის მეგობარს». საზარელია, თავზარდამცემია! მასამ უნდა იბრძოლოს, მაშინ არის პატივისცემის ღირსი. განსჯა მისი საქმე არ არის. არ შეჰფერის, მისი მსჯელობა საცოდავია. ჩაიწერე და საიდუმლოდ შეინახე. საერთოდ შეინახე საიდუმლო. რატომ გამოვაქვეყნე და ქვეყნის საჯიჯგნად რატომ ვაქციე? შეიძლება გიყვარდეს მხოლოდ ის, რაც ჯერ კიდევ შენთან, შენთვის არის, მაგრამ რაც უკვე გაგიჭორეს და გაგისვარეს, როგორღა გინდა

იმაზე მუშაობა განაგრძო? მე ევგენიას შესანიშნავ გაგრძელებას დაგიწერდით, მაგრამ არ გნებავთ, როცა კაცი კარგს გიკეთებთ, თუმცა გულით მინდოდა და მზად ვიყავი ამისთვის. გაგართობდით, გაგამხიარულებდით, გართობა მაინც რომ შეგეძლოთ! ბუზლუნა და კუმტი, უგერგილო და მოსაწყენი მოდგმაა, რომელსაც ცხოვრებისა არა გაეგება რა. არ იცის, რომ არაფერი რჩება ქვეყანაზე განსაზღვრული Bonhomie-ისა[208] და ინდულგენციის[209] გარეშე, რომ ღვთის სახელით ზოგჯერ თვალი უნდა დახუჭო და ორჯერ ორი ხუთად მიიჩნიო. საერთოდ რა არის ადამიანის მიერ შექმნილი, მთელი მისი ნაღვაწი, მთელი მისი საქმე თუ მოქმედება, ლექსი თუ ხელოვნება უსიყვარულოდ? სიყვარული დახმარების ხელს უწყდის; მიკერძოებული ენთუზიაზმი წაახალისებს, ადაფრთოვანებს, აამაღლებს. უწმინდურება! მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს სადაც არის, აბსოლუტს გამოიხმობენ და თითქოს ჯიბეში ედოთ წერილობითი მოთხოვნა. წყეული ხელისშემშლელნი, ფეხებში გებლანდებიან. რაც უფრო ყეყეჩნი არიან, მით უფრო მოღუშული სიფათები აქვთ. მე კი, მინდობილი, ჩემს საქონელს ისევ და ისევ მათ თვალწინ ვუფენ: ეგებ ეს მაინც არ დამიწუნონ-მეთქი.

ეგეც შენი დილის სასიამოვნო გუნება-განწყობილება, სულ გამიფუჭეს აბეზარმა ფიქრებმა. აბა, როგორ არის საერთოდ ჯანმრთელობის საქმე? ხელზე რა დაგემართა? გტკივა, ჩემო კარგო, როცა ძირს უშვებ? კაცი მუდამ იმას ფიქრობს, ამაღამ კარგად გამოვიძინებ და გამოვკეთდებიო, მაგრამ ძილს ის ადრინდელი განმკურნავი ძალა აღარ აქვს; რა გაეწყობა, უნდა შეურიგდე. ეგზემა ბარძაყზე? წამსვე ადგილზე გაჩნდება, გამოგეცხადება და უმორჩილეს «დილა მშვიდობისას» მოგახსენებს. აღარც კანი და აღარც სახსრები აღარ მივარგა. აჰ, გული ისევ ტენშტედტისკენ მიმიწევს გოგირდის წყლებზე. ადრე იტალია მენატრებოდა, ახლა კი ცხელი წუნწუხი, რომ გახევებულ ასოებს მოეფონოს. ასე გვიცვლის სიბერე სურვილებს და თავქვე ვეშვებით. ადამიანი კვლავ უნდა დაიშალოს და ნანგრევებად იქცეს. მაგრამ დიდი და საოცარი რამ კი არის ეს ნანგრევები და მოხუცებულობა, სამარადისო სიკეთის დიმილმომგვრელი გამოგონებაა, რომ ადამიანი თავის მდგომარეობას ეგუება, ურიგდება მას და მოხუცებულობაც მიეჩვევა, გაუშინაურდება. ადამიანი მის აზრს ადგება და მისი თავისად მიაჩნია. ბერდები, მოხუცი ხდები და, კეთილი

სურვილით, მაგრამ მაინც ნაკლები დაფასებით დაჰყურებ ახალგაზრდობას, ბელურების თაობას. გინდა კვლავ შეუბუმბლავი ბარტყი, ახალგაზრდა ბელურა იყო მაშინდელივით? აი ამ ნორჩმა ყმაწვილმა სასაცილო სიმკვირცხლით მარჯვედ დაწერა «ვერტერი» და ეს მართლაც, რა თქმა უნდა, რაღაცა იყო მისი ასაკისთვის. მაგრამ ამის შემდეგ იცხოვრო და დაბერდე, აი ოინი ეს არის... მთელი გმრობა გამძლეობასა და მოთმინებაშია, სიცოცხლის ნებელობაშია, იმის ნებისყოფაში, რომ იცოცხლო და არ მოკვდე, აი, ეს არის მთავარი, და სიდიადეც მხოლოდ სიბერეშია. ახალგაზრდა შეიძლება გენიოსი იყოს, მაგრამ დიადი ვერ იქნება. სიდიადე მოხუცებულობის ძლიერებაშია, ხანგრძლივ სრულ წონასა და გონშია. ძლიერება და გონი, ეს არის მოხუცებულობა და ეს არის სიდიადე, და სიყვარულიც პირველია, რაღა თქმა უნდა. რა არის ყმაწვილის სიყვარული ჭარმაგი კაცის მძლავრ გონისეულ სიყვარულთან შედარებით? ეს რა ბელურების ჟიჟივი და ალიაქოთია, ახალგაზრდების სიყვარული, იმ თავბრუდამხვევ სიამოვნებასთან შედარებით, რასაც ტურფა სიყმაწვილე განიცდის, როდესაც მას ჭარმაგის სიდიადე სიყვარულით ამოირჩევს და აღამაღლებს, მძლავრი გონისეული გრძნობით ამკობს მის სინაზესა და სინარნარეს, როგორ შეედრება ვარდისფრად გასხივოსნებულ ბედნიერებას, რომლითაც ცხოვრებადამკვიდრებული და დაიმედებული დიადი სიჭარმაგე შემოსავს და დაამშვენებს, თუ სიყმაწვილე სიყვარულს უძღვნის. დიდება და მაღლი სამარადისო სიკეთეს! ყოველივე სულ უფრო მშვენდება, სულ უფრო მნიშვნელოვანი, სულ უფრო მძლავრი და საზეიმო ხდება. და ასე იქნება კვლავაც!

ამას მე ვუწოდებ საკუთარი თავის კვლავ აღდგენა-აღორძინებას. თუ ძილი ველარ იქმს, მაშინ იქმს აზრი. ამრიგად, კარლს დავურეკოთ, რომ ყავა მოიტანოს; თუ არ გახურდი და არ გამოცოცხლდი, ამ დღის საქმეებში ვერ გაერკვევი და ვერ იტყვი, თუ დღეს რა კეთილ საქმეს იქმ და რის გაკეთება ძალგიძს. ჯერ უქეიფოდ ვგრძნობდი თავს, მინდოდა ლოგინში ვწოლილიყავი და ყველაფერზე ხელი ჩამექნია: ჯანდაბას, რაც იქნება, იქნეს-მეთქი. ეს ყველაფერი პფაფმა ქნა და კიდევ იმან, რომ მათ არ სურთ მოითმინონ ჩემი სახელი ფიზიკის ისტორიაში. მაგრამ კვლავ ზეზე წამოვიჭერი, ძალ-ღონე მოვიკრიბე, ყოჩად, სულს საყვარელო, ხოლო გამაცოცხლებელი

სასმელი თავისას იზამს, დანარჩენს დაამთავრებს... ყოველ დილას, როცა ვრეკავ, ვფიქრობ, რომ ეს ოქროცურვილი ტარი ზარზონარისა აქ სრულიად არ უხდება. ფუფუნებისა და მშვენიერების ამ საუცხოო ნივთის ადგილი უფრო წინა სადარბაზოში, დიდი საზოგადოების მისაღებშია, ვინემ აქ, სამონასტრო-სასულიერო სამყოფელში, ძილის ნაკრძალ თავშესაფარში და საზრუნავთა ზაზუნას ბუნაგში. კარგია, რომ აქ მოვაწყობინე ეს პატარა ოთახები, წყნარი და სადა, სერიოზული სამეფო. პატარა ქალბატონისთვისაც[210] კარგი გამოდგა, რადგან დაინახა, რომ მარტო მისთვის და მისიანებისთვის კი არ იყო ეს უკანა სახლი განმარტობის

თავშესაფარი, არამედ ჩემთვისაც, თუმცაღა სხვა მოსაზრებებით. ეს იყო, – აბა გაიხსენე, – ოთხმოცდათოთხმეტის ზაფხულს, ნაბოდებ სახლში კვლავ შესახლებისა და გადაკეთების ორი წლის შემდეგ. ეს იყო «ოპტიკაში წვლილის შეტანის» ეპოქა, – o, mille excuses,[211] სამეცნიერო წოდებათა ბატონებო, – რა თქმა უნდა, მხოლოდ ქრომატიზმში,[212] რამეთუ ვინ გაბედავს ხელი მიჰყოს ოპტიკას ისე, რომ გაზომვის ხელოვნებაში არ იყოს გაწაფული? როგორ უნდა გაკადნიერდეს ვინმე და შეედავოს ნიუტონს, ცრუს, ყალბსა და მაცდურს, ტყუილების ოსტატსა და დაბნეულობის მფარველს, ციური შუქის ცილისმწამებელს, რომელმაც მოისურვა, რომ უწმინდესი შედგებოდეს მხოლოდ

ბუნდოვანებათაგან, ხოლო უნათლესი სხივი – ელემენტებისგან, რომელთაგან ყველა უფრო ბნელია, ვიდრე სინათლე. ავი სულელი, შუბლმაგარი ვაიმეცნიერი და ქვეყნიერების დამაბნელებელი. არ უნდა დაიღალო მისი დევნით. როცა ჩავწვდი ქუფრ საშუალებას, მაშინ მივხვდი, რომ თვით ყოვლად გამჭვირვალეც კი ბუნდოვანის პირველი ხარისხია, აღმოვაჩინე, რომ ფერი ზომიერი შუქია და ფერთა მოძღვრებაც უკვე ხელთ მქონდა. ბალავარი და ქვაკუთხედი უკვე ჩაყრილი იყო და თვით სპექტრსაც აღარ გავუწვალავივარ. თითქოს პრიზმა დაქუფრული, დაბნელებული საშუალება არ იყოს! კიდევ იცი, რა? გახსოვს, მთელი ეს საქმე თვალნათლივ რომ წარმოადგინე გადათეთრებულ ოთახში და კედელი, მისი მოძღვრების საწინააღმდეგოდ და შენი მოძღვრების დამადასტურებლად, მაინც ისეთივე თეთრი დარჩა, როგორიც მანამდე იყო, ისე რომ გარეთ ღია მონაცრისფრო ცას კვალაც კი არ აჩნდა შეფერილობისა, და სადაც შუქი ბნელს წააწყდა, იქ ფერიც წარმოიშვა, ისე რომ სარკმლის ჯვარედი ჩარჩო ჭრელად

დაიფერა? თაღლითი ვამხილე და ჩემთვის პირველად ჩავილაპარაკე: «მისი მოძღვრება მცდარია!» და სიხარულისგან გულ-მუცელი შემიტოკდა, როგორც მაშინ, როდესაც ჩემ წინაშე ნათლად და უდავოდ წარმოჩნდა ყბათაშორისი ძვალი[213] (ბუნებისმეტყველებაში «გოეთეს ძვალსაც» უწოდებენ) საკვეთი კბილისთვის, რაც ადრეც ვიცოდი ბუნებასთან ჩემი შინაგანი თანხმობის წყალობით. მათ არ სურდათ ამის აღიარება და აი, ახლაც არ სურთ გაიგონ ჩემი ფერთა მოძღვრება. ბედნიერი, მტანჯველი, მწარე დრო. აბეზარი გამხადეს, მართლაც, ჟინიან და მოკინკლავე დავაქარად მაქციეს. განა ყბათაშორისი ძვლითა და მცენარეთა მეტამორფოზით არ დაამტკიცე, რომ ბუნებამ ხელი არ გკრა, რათა ხანდახან ბუნების სახელოსნოში შეიხედო? მაგრამ მათ არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ შენ ამ საქმისთვის მოწოდებული იყავი, მწყრალად იკრავდნენ კოპებს, შუბლს იჭმუხნიდნენ, იღმიჭებოდნენ, მხრებს, იჩიქდნენ, იბღვირებოდნენ. შენ მათი სიმშვიდის დამრღვევი იყავი და ასეთად დარჩები. ისინი თავს გიკრავენ, გესალმებიან, მაგრამ გულში სიკვდილივით სძულხარ. მხოლოდ მთავრები მოიქცნენ სხვაგვარად. არ უნდა დავუვიწყო და არ უნდა დავუკარგო მათ ის სიკეთე, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ისინი ჩემს ახალ გატაცებას და როგორ მიწყობდნენ ხელს. მისმა უმაღლესობამ, ჰერცოგმა, რომელიც ყოველთვის კეთილი და გულისხმიერია, მაშინვე დამითმო ფართობი, თავისუფალი დრო და მოცალეობა მომცა, რომ ჩემი გამოკვლევები განმეგრძო. ორივე გოთელმა ჰერცოგმა, ერნსტმა და ავგუსტმა ხელი მომიმართეს, – ერთმა საშუალება მომცა მის ფიზიკის კაბინეტში ცდები ჩამეტარებინა, ხოლო მეორემ ინგლისიდან გამომიწერა მშვენიერი, რთული, შედგენილი, აქრომატული პრიზმები. ბატონები, ბატონები! სკოლის პედანტმა მელიებმა, ვაიმეცნიერებმა ხელი მკრეს როგორც მოჩქარესა და მეწვრილმანეს, ერფურტის მთავარეპისკოპოსი[214] – მთავარ-პრიმასი კი ყველა ჩემს ექსპერიმენტს მოწყალე ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს და როდესაც სტატია გავუგზავნე, საკუთარი ხელით ინება მიეწერა შენიშვნები არეებზე. ასე გამოდის, რომ ბატონებს უფრო აქვთ დილეტანტიზმის ალღო და გაგება. სამოყვარულო გატაცება კეთილშობილია და ვინც წარჩინებულია, ის მოყვარულიც არის. პირიქით, მდაბიოა ყველაფერი, რაც გილდიას, სპეციალობას, ხელოსანთა წოდებას ეკუთვნის. დილეტანტიზმი! ჰოი,

თქვენი, ფილისტერებო! გაგეგებათ კი, რომ დილეტანტიზმი მთლად ენათესავება დემონურსა და გენიას, რადგან ის არ არის შებოჭილი, თავისუფალია და შექმნილია იმისთვის, რომ ნივთს ახალი კუთხით, ნათელი თვალით შეხედოს, ობიექტი მთელი მისი სიწმინდით დაინახოს, ისე, როგორც არის, და არა ისე, როგორც ტრადიციას სურს, როგორც ვხედავთ და არა ისე, როგორც უყურებს ეს ხროვა, რომელსაც ნივთთა შესახებ, როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ საგანთა შესახებ, არაპირდაპირი წყაროებიდან შეუდგენია წარმოდგენა? რადგან პოეზიიდან ხელოვნებასთან მივდი, იქიდან – მეცნიერებასთან და მალე ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, ფერწერა ჩემთვის იგივე გახდა, რაც მინერალოგია, ბოტანიკა და ზოოლოგია, ამიტომ დილეტანტი უნდა ვიყო? შეურიგდი, დაეთანხმე! ჯერ კიდევ ჭაბუკმა სტრასბურგის კათედრალი დავათვალიერე და მივხვდი, რომ კომპისთვის განზრახული უნდა ყოფილიყო ხუთწვერიანი გვირგვინი და ნახაზმაც დაადასტურა ჩემი სიმართლე.[215] რაო, ბუნებას ვეღარ შევატყობდი? თითქოს ყველაფერი ერთიანი არ იყოს? თითქოს მისი მხოლოდ იმას არ ესმოდეს და გაეგებოდეს, ვინც ერთიანია, მთლიანია, თითქოს ბუნება მხოლოდ იმას არ მიენდობა, ვინც თავად ერთიანი ბუნებაა...

მთავრები და შილერი. რამეთუ ისიც კეთილშობილი კაცი იყო, თავით ფეხამდე კეთილშობილი, თუმცა თავისუფლებას უჭერდა მხარს და ბუნებრივი გენიის კაცი იყო. სწორედ ბუნებისადმი იჩენდა საწყენ და მიუტევებელ ქედმაღლობას. დიახ, ის მონაწილეობდა, მას სწამდა, მაქეზებდა, როგორც ყოველთვის, თავისი რეფლექსური ძალით, და როდესაც მე მხოლოდ მონახაზი გავუგზავნე «ფერთა მოძღვრების ისტორიისთვის», მან თავისი დიდი ჭკუითა და გამჭრიახობით მასში შეიღწო მეცნიერებათა ისტორიის სიმბოლო, ადამიანური აზროვნების რომანი, რადაც იქცა იგი თვრამეტ წელიწადში. აჰ, მას შეეძლო შეემჩნია, მას შეეძლო გაეგო. რადგან მას ჰქონდა სულის სიდიადე, გონების სიმაღლე, გამჭრიახი თვალი და აღმაფრენა. ის რომ ცოცხალი იყოს, შემაგულიანებდა, დამაწერინებდა «კოსმოსს», ბუნების ყოვლისმომცველ ისტორიას, რომელიც უნდა დამეწერა, რასაც მე დიდი ხანია მიბიძგებს ჩემი გეოლოგიური კვლევა-ძიებანი. ვინ გაართმევს ამას თავს, თუ არა მე? ასე ვამბობ ყველაფერზე, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ გავაკეთებ – იმ ვითარებაში, მე რომ

არსებობას მინარჩუნებს, მაგრამ ამავე დროს მართმევს. დრო, დრო, დრო მომეცი, კეთილო დედავ, დედაბუნებავ, და მე ყველაფერს შევექმნი. ახალგაზრდა რომ ვიყავი, ერთმა მითხრა: შენ ისე იქცევი, თითქოს ას ოცი წელი უნდა ვიცხოვროთო. მომეცი, კეთილო ბუნებავ, მომეცი სულ მცირე დრო, შენ რომ განაგებ, გულუხვო და გულმშვიდო ბუნებავ, და ყველა სხვის სამუშაოს მე ვიღებ კისრად, შენ რომ გასურს იხილო შესრულებული და მე ყველაზე უკეთ გავაკეთებ...

ოცდაორი წელიწადია ეს ოთახები მაქვს და მათში არაფერი დაძრულა ადგილიდან, მხოლოდ მცირე სავარძელი გაიტანეს სამუშაო ოთახიდან, რადგან კარადები დამჭირდა მოზღვავებული ხელნაწერებისთვის, და საწოლთან დამიდგეს სახელურებიანი სავარძელი, ობერკამერჰერის მეუღლემ ელგოფშტაინმა რომ მაჩუქა. აი, ეს იყო მთელი შეცვლა და გარდაქმნა. მაგრამ რაღა არ მოხდა, რაღამ არ ჩაიარა ამ მუდმივ ერთგვარობაში, და რამდენი შრომა-გარჯა გამოიარა, რამდენი ჩანაფიქრი დაიბადა, რამდენი აზრთა ჭიდილი ბობოქრობდა. რაოდენი ჯაფა დააკისრა ღმერთმა ადამიანს! «გაისარჯე, დაიხარჯე, ღმერთმა იცის, გაიმარჯვებ». მაგრამ დრო, დრო ხომ გაფრინდა! ყოველთვის გულზე ცეცხლი მედება, როცა კი ამას ჩავუფიქრდები! ოცდაორი წელიწადი, – ამ ხნის განმავლობაში რაღაც მოხდა, ზოგჯერ რაღაც წარმატებაც ყოფილა, მაგრამ ეს ხომ თითქმის უკვე მთელი ცხოვრებაა, ადამიანის ცხოვრება. დაეუფლე, ჩაებლაუჭე დროს! ფხიზლად უდარაჯე მას, ფხიზლად გეჭიროს თვალი, არ გაუშვა არც ერთი საათი, არც ერთი წუთი! როგორც კი თვალს მოხუჭავ, გაფრინდება, გაგისხლტება როგორც ხვლიკი, მკვირცხლი, სლიკინა, სრიალა და მიუნდობელი, როგორც ალქაჯი. თაყვანი ეცი და პატივი დასდე შრომა-გარჯით ყოველ წუთს! მიეცი ბრწყინვალება, მნიშვნელობა, წონა შეგნებით, ღირსეული, პატიოსანი შრომითა და აღსრულებით! შემოიღე დღიური, აღრიცხე ყოველი დღე, ანგარიში გაუწიე ყოველ დახარჯულ წუთს! *Le temps est le seul dont l'avarice soit louable.*[216] აგერ მუსიკა. მართალია, მას გონის სიცხადისთვის ხიფათი სდევს თან, მაგრამ იგი ჯადოსნური საშუალებაა იმისთვის, რომ დრო დაიჭირო, შეინარჩუნო, გაჭიმო, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭო. მღერის პატარა ქალბატონი «ღმერთისა და ბაიადერას», – არ უნდა ემღერა, ეს თითქმის მისი საკუთარი ისტორიაა. ის მღერის: «იცი ქვეყანა?» – მე თვალზე ცრემლი

მომადგა, ასევე მასაც, საყვარელზე უსაყვარლესს, ვინც მე დოღბანდითა და შალით შევმოსე, – ის და მე ვიდექით მეგობართა შორის, ორივეს თვალებში ცრემლი გვიბრწყინავდა. იგი, ჩემი ჭკვიანი გულის საუნჯე, მეუბნება იმავე ხმით, ახლახან რომ მღეროდა: «რა ნელა მიდის დრო მუსიკაში, რა მრავალ ამბავსა და განცდას იტევს დროის მცირე მონაკვეთში; როდესაც გულისყურით ვუსმენთ, ასე გვგონია, დიდი დრო გასულიყოს! რა არის მოკლე დრო და რა არის გრძელი, მოსაწყენი დრო?» მე შევუქე გონებამახვილური აზრი და სულითა და გულით დავეთანხმე. მე ვთქვი: სიყვარული და მუსიკა, ორივე მოკლე დრო და მარადისობაა... და სხვა ამგვარი

უაზრობანი. წავუკითხე: «შვიდი მძინარე», [217] «მიცვალებულთა ცეკვა», [218] ხოლო შემდეგ: «მხოლოდ ეს გული, უჭკნობი მარად», [219] შემდეგ: «მსურს არასდროს არ დაგკარგო». [220] შემდეგ კიდეც: «გულის მეუფე, მითხარ, რას ნიშნავს შენთა ბაგეთა ნაზი ჩურჩული?» [221] ხოლო სულ ბოლოს: «ალიონის ალისფერი ფრთებით შენს ვარდისფერ ბაგეს დამაკონა». [222] უკვე გვიანი იყო. სავსე მთვარე ანათებდა. ალბერტს ჩაეძინა, ვილემერს ჩაეძინა, ხელები მუცელზე დაეწყო, გულკეთილი კაცი იყო, დავცინოდით. პირველი საათი იყო, ჩვენ რომ დავშორდით. ისე მხნედ ვიყავი, რომ არ შემეძლო ბუასერეებისთვის არ მეჩვენებინა ცდა ჩემს აივანზე სანთლით ხელში ფერად ჩრდილებზე. კარგად შევნიშნე, რომ მარიანა გვისმენდა თავისი ღია აივნიდან. «ახლა წამია, მთვარიან ღამეს რომ მოგესალმობთ, წმინდა აღთქმა თქვენ შეგიფიცავთ»... – ახლა კი შეეძლო მას ერთხანს გარეთ დარჩენილიყო.

– Avanti! [223]

– დილა მშვიდობისა, თქვენო აღმატებულება!

– ჰმ, ჰმ. დილა მშვიდობისა. ჩამოჯექი. შენც დილა მშვიდობისას გისურვებ, კარლ!

– დიდად გმადლობთ, თქვენო აღმატებულება! რაც შემეხება მე, აგრერიგად მნიშვნელობა როდი აქვს. ხომ კარგად მოისვენეთ, თქვენო აღმატებულება?

– არა უშავს, გვარიანად, უცნაურია, ძველი ჩვეულების გამო ისევ ისე მეგონა, შტადელმანი იყავი, როცა შემოხვედი. მრავალ წელს იყო ჩემთან კარლი, რომლის სახელიც შენ

- მემკვიდრეობით მიიღე. საოცარია, კაცმა კარლი დაგიძახოს, როდესაც ფერდინანდი გქვია, ჰო, ეს მინდოდა მეთქვა.
- ამას მე ველარც ვამჩნევ, თქვენო აღმატებულება! მივეჩვიე, ერთხანს ფრიცსაც მეძახდნენ, კარგა ხანს ბატისტასაც...
 - ბედის უკულმართობა! ამას ჰქვია დაუდეგარი, ცვალებადი ცხოვრება. ბატისტა-გადამწერი? მეორე სახელი აღარავის წაართმევი, კარლ, პატივი დასდე ამ სახელს, სუფთა, ლამაზი ხელწერა გაქვს.
 - უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულება. მუდამ მზად გახლავართ, გემსახუროთ. ალბათ კვლავ გნებავთ, თქვენო აღმატებულება, პირდაპირ ლოგინიდან რაღაც მიკარნახოთ?
 - ჯერ კიდევ არ ვიცი. ჯერ ყავა დამალევინე. პირველ ყოვლისა, დარაბები გამოალე, ვნახოთ, როგორი დღე დაგვიდგა. ახალი დღე! ძილში ხომ არ გამეპარა?
 - სრულიადაც არა, თქვენო აღმატებულება. ეს-ეს არის, შვიდს გადასცდა.
 - მაინც გადასცდა, ხომ? ეს იმიტომ, რომ ცოტა ხანს კიდევ განვაგრძე წოლა, ფიქრებს გავყევი. კარლ!
 - რას ინებებთ, თქვენო აღმატებულება?
 - ოფენბახური ორცხობილას საკმარისი მარაგი გვაქვს კიდევ?
 - დიახ, თქვენო აღმატებულება! რას გულისხმობს თქვენი აღმატებულება «საკმარისში»? საკმარისი რამდენ ხანს? კიდევ რამდენიმე დღეს გვეყოფა.
 - შენ მართალი ხარ, მთლად ზუსტად ვერ გამოვთქვი. მაგრამ მახვილი «მარაგზე» გადავიტანე. რამდენიმე დღეს? ეს მარაგი არ არის.
 - მართალია, არ გახლავთ ეს მარაგი, თქვენო აღმატებულება! ანუ უფრო სწორად, მარაგი თითქმის ამოწურულია.
 - აი, ხედავ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: საკმარისი მარაგი აღარა გვქონია.
 - ზუსტად ასეა, თქვენო აღმატებულება. თქვენმა

აღმატებულებამ ყველაზე უკეთ უწყის.

– დიახ, სულ ბოლოს, უმეტესწილად, ამაზე მიდგება ხოლმე საქმე. მაგრამ მარაგი, რომელიც იღვევა, და როცა ფსკერი გამოჩნდება, ეს რაღაც საშინელებაა, საქმე აქამდე არ უნდა მიიყვანო. კაცმა წინასწარ უნდა იზრუნოს, რომ არ შეწყდეს, რომ მუდამ სავსე მარაგიდან იღებდეს. წინასწარი ზრუნვა და თადარიგის დაჭერა ყველგან მთავარი და მნიშვნელოვანია.

– მართალს ბრძანებთ, თქვენო აღმატებულება!

– მიხარია, რომ ერთი აზრისა ვართ. ასე რომ, უნდა მივწეროთ ფრაუ შლოსერს ფრანკფურტში, მარაგი შეგვივსოს. დაე, სავსე ყუთი გამოგზავნოს, მე ხომ ფოსტის გადასახადებისგან თავისუფალი ვარ. არ დაივიწყო, მომაგონე ეს აუცილებლად საჭირო წერილი. მე სიამოვნებით გეახლებით ამ ოფენბახურ ორცხობილას. ეს ორცხობილები ერთადერთია, დილის საათებში რომ მეგემრიელება. იცი რა, ახალი ორცხობილა იმიტომ მოსწონს და ესიამოვნება მოხუც ადამიანს, რომ ხრაშუნაა, ხრაშუნა კი იმას ნიშნავს, რომ მაგარია, მაგრამ მყიფეა, მსხვრევადია, იშლება და ილუზია იქმნება, თითქოს ადვილად კბეჩ მაგარს, როგორც სანუკვარი ახალგაზრდობისას.

– მაგრამ, თქვენო აღმატებულება, ამგვარი ილუზიები ნამდვილად არ სჭირდება თქვენს აღმატებულებას. ნება მომეცით, მოგახსენოთ, თუ ვინმე სრული მარაგიდან იღებს, ეს თქვენი აღმატებულება ბრძანდება.

– ჰო, შენ ამას ასე ამბობ. აჰ, ეს კარგი გააკეთე. რა სასიამოვნო ჰაერი შემოიჭრა, დილის სიო, გრილი, საამური, გამახალისებელი, ქალწულებრივი, სასიამოვნოდ გეალერსება და გეხვევა. ზეციური მადლია ყოველთვის კვლავ განახლება, სამყაროს გაახალგაზრდავება ღამის შემდეგ ყველა ჩვენგანისთვის, მოხუცისა და ჭაბუკისათვის. აქ მუდამ იმას ამბობენ, სიჭაბუკე მხოლოდ სიჭაბუკეს შეჰფერის და შეშვენისო, მაგრამ ახალგაზრდა ბუნება მთლად ძალდაუტანებლად და ლაღად მიდის მოხუცებულობასთან: თუ შეგიძლია გაიხარო, მაშინ მე შენი ვარ, და შენი უფრო მეტად, ვიდრე ახალგაზრდობისა. ახალგაზრდობას ხომ ნამდვილი გაგება ახალგაზრდობისა არა აქვს, ეს მხოლოდ მოხუცებულობას აქვს. შემადრწუნებელი იქნებოდა, მოხუცებულობა მხოლოდ მოხუცებულობას რომ მიეახლოს.

თავისთვის უნდა დარჩეს, განზე, მარტოდმარტო უნდა დარჩეს... როგორი პირი უჩანს დღევანდელ დღეს? უფრო ქუფრია, ღრუბლიანი?

– დიახ, ცოტა უფრო ღრუბლიანია, ქუფრი, თქვენო აღმატებულებავ, მზეს ღრუბლები ფარავს და მხოლოდ შორს, მაღლა აქა-იქ მოჩანს ცის სარკმელები...

– მოიცა ერთ წუთს. ჯერ მიდი, ბარომეტრს შეხედე, თერმომეტრი გასინჯე, ფანჯრის გარედან რომ არის დამაგრებული. კარგად შეხედე.

– ახლავე, თქვენო აღმატებულებავ. ბარომეტრი დგას, თქვენო აღმატებულებავ, 722 მილიმეტრზე, ხოლო გარეთ სითბო ცამეტი გრადუსია რეომიურით[224].

– მიყურე ახლა! მაშინ უკვე შემიძლია ტროპოსფერო[225] გავიაზრო. ნიავექარი საკმაოდ ნოტიო მეჩვენება, ვგრძნობ, როცა დამკრავს, დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთი, მკლავიც ამას მიდასტურებს. ღრუბელთა სიმკვრივე – ხუთი ან ექვსი. რუხი ღრუბლები საკმაოდ დიდ ნალექს მოასწავებდა ადრიდანვე, მაგრამ ახლა ქარი უფრო გაძლიერდა, ამას ღრუბლებიც გვიჩვენებენ, რომლებიც საკმაოდ ჩქარა მიცურავენ ჩრდილო-დასავლეთისკენ, როგორც გუშინ საღამოს, და ქარი ღრუბლების საფარველის გარღვევას და მათ გაფანტვას აპირებს. ქვედა ფენებში ეს გრძლად გაწვდილი cumuli-ა. ბოლქვებად შექუჩებული ღრუბლები, ხომ სწორია? ხოლო უფრო ზემოთ ამართულან მსუბუქი cirri, ბუმბულისებრი ღრუბლები, ქარისგან აქოჩრილი ღრუბლები, ცოცხისებრი ღრუბლები, ალაგ-ალაგ მოჩანს ლურჯი ცა – შეესაბამება დაახლოებით?

– შეესაბამება ფრიად, თქვენო აღმატებულებავ! ზემოთ ცოცხისებრ ღრუბლებს ვცნობ სიტყვის მიხედვით – თითქოს გაუგვიათო.

– სახელდობრ, მე ვვარაუდობ, რომ ზენა ქარი აღმოსავლეთიდან უბერავს, და თუ ქვენა ქარი დასავლეთში დარჩება, მაშინ ბოლქვებად შეგროვილი ღრუბლები – cumuli – თანდათანობით დაიშლება, წინ წავა და მათ ადგილზე გაჩნდება ზოლებად ჩამწკრივებული ბატკნებივით უმშვენიერესი ღრუბლის ქულები. შეიძლება შუადღისას ცა მოწმენდილი იყოს, მაგრამ ნასადილევს ისევ მოიღრუბლოს. მერყევი, გაურკვეველი დღე იქნება წინააღმდეგობრივი

ტენდენციებით... ხედავ, კიდევ უფრო სრულყოფილად უნდა ვისწავლო ბარომეტრის მდგომარეობით ღრუბელთა სახეების გარჩევა. ადრე ზედა ფენებში მოძრაობები სულ არ აინტერესებდათ, მაგრამ ახლა უკვე ერთმა მეცნიერმა მთელი წიგნი დაწერა ამაზე და მშვენიერი ნომენკლატურა წამოაყენა, – მეც რაღაც წვლილი შევიტანე მასში: *paries*, ღრუბლის კედელი დავარქვი სახელად, და ამრიგად შეგვიძლია უმდგრადაობას მივმართოთ და მას პირდაპირ ვუთხრათ, თუ რომელ კლასსა და სახეს ეკუთვნის, რადგან დედამიწაზე ადამიანის უპირატესი უფლება გახლავთ, რომ ნივთებს სახელები დაარქვას და სისტემაში მოიყვანოს. ნივთებიც, ასე ვთქვათ, თვალს ხრიან ძირს, როდესაც ადამიანი სახელს დაუძახებს. სახელი ძალაუფლებაა.

– ხომ არ ჩავწერო, რაც ბრძანეთ, თქვენო აღმატებულება, თუ ჰერ დოქტორ რიმერს უკვე უთხარით, რომ ჩაიწეროს?

– აჰ, რა საჭიროა, ასეთი მიამიტიც არ უნდა იყო.

– მაგრამ არაფერი არ უნდა დაიკარგოს, თქვენო აღმატებულება, თვით დიდ საოჯახო მეურნეობაშიც კი. ხოლო წიგნი ღრუბლების შესახებ, მე უკვე ვნახე. აი, აქ ახლოს იდო. კაცი გაკვირდება, რაზე აღარ ფიქრობს თქვენი აღმატებულება. თქვენი აღმატებულების ინტერესთა სფეროს შეიძლება უნივერსალური ვუწოდოთ.

– სულელო, საიდან ამოკრიფე ეს გამოთქმები?

– მაგრამ ეს ხომ სიმართლეა, თქვენო აღმატებულება! ხომ არ შემახედებთ ჯერ მუხლუხა ჭიას, რას აკეთებს მშვენიერი ეგზემპლარი რძიანას მუხლუხათაგან, კიდევ ჭამს?

– აღარ ჭამს, საკმაოდ ბევრი მიირთვა, ჯერ გარეთ და შემდეგაც, როცა ვაკვირდებოდი. ახლა უკვე იწყებს დაჭუპრვას, თუ გინდა შეხედე; ახლა სრულიად გარკვევით ჩანს, თუ როგორ გამოყოფს წვეწვანს თავისი ჯირკვლებიდან, მალე დაჭუპრდება, ჭია პარკს გაიკეთებს, და მაინც მათგან, თუ ვიხილავთ, როგორ ხდება გარდაქმნა, როგორ გამოფრინდება იქიდან ფსიქეა, პეპელა, რათა თავისი ხანმოკლე, მსუბუქი სიცოცხლით გაიხაროს, იფრინოს, რისთვისაც ჭიად ყოფნის დროს ამდენს ჭამდა და ნთქავდა.

– დიახ, თქვენო აღმატებულება, ყოველივე ეს ბუნების

საოცრებაა. როგორ არის კარნახის საქმე?

– მართლაც, დრო არის დავიწყოთ. უნდა მივწერო ჩემი აზრი, დასკვნა მის სამეფო უმაღლესობას დიდ ჰერცოგს ბედუკუღმართი მატიანის თაობაზე. კეთილინებეთ, ესენი აალაგეთ და მომეცით ჩანაწერების ფურცლები და ფანქარი, გუშინ რომ მოვიმზადე.

– ინებეთ, თქვენო აღმატებულება! უნდა მოვახსენო თქვენს აღმატებულებას სიმართლე იმის თაობაზე, რომ ბატონი გადამწერი ჯონიც სწორედ აქ გახლავთ უკვე და ინება თქვენთვის მეკითხა, გაქვთ თუ არა მისთვის დასავალბელი რამე საქმე. მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ნებას დამრთავთ და აქ დავრჩები, პირველად მე მიკარნახებთ დასკვნას. ბატონი მდივან-ბიბლიოთეკარისთვის უთუოდ ბევრი სამსახურებრივი საქმე გექნებათ დასავალბელი, როდესაც აბრძანდებით.

– კეთილი, დარჩი, ოღონდ ყველაფერი მკვირცხლად გაამზადე. ჯონი ყოველთვის საკმაოდ ადრე მოდის, თუმცა უმეტესად იგვიანებს. შეუძლია უფრო მოგვიანებით, მომმართოს.

– გულითად მადლობას მოგახსენებთ. თქვენო აღმატებულება!

მეტად სასიამოვნო კაცია, კარგი შესახედაობაც აქვს, მოხდენილი მანერები მომსახურების დროს და კარგად მისრულებს პირად სამსახურებრივ საქმეებს. თუმცა პირმოთნეა, მაგრამ არა ანგარიშით, – ან უფრო ნაწილობრივ, – არამედ პატიოსანი მორჩილებისა და ერთგულების გამო, ერთგვარი პატივმოყვარეობით, ბუნებრივი საარსებო მოთხოვნილების გამო. სათუთი სულის პატრონია, კეთილალზრდილი და გრძნობიერი; ქალებსაც დასდევს. მე მგონია, ვერცხლისწყლით მკურნალობს, რადგან ტენშტედტიდან დაბრუნების შემდეგ რალაც დაემართა. თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ მისი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. დამჭირდება მასთან მოლაპარაკება, – ან ავგუსტს დავავალებ, – არა, მას არა, კარის მკურნალ რეეზინს. ისევ ბორდელში ხვდება ჭაბუკი იმ გოგოს, მას რომ უყვარდა; იმ გოგომ ეს ბიჭი ყველანაირად დაიმონა, დაიმორჩილა და გააწამა, რის გამოც ახლა სამაგიერო სასჯელს იხდის. მოთხრობისთვის კარგი თემაა. აქედან შეიძლება გაკეთდეს ნათელმხიარული, ამასთან

მწარე და გულში ჩამწვდომი რამ – რა თქმა უნდა, სწორედ საუკეთესო ფორმით. ოჰ, რამდენი ძლიერი და ღირსშესანიშნავი რამ შეიძლება მოიფიქრო, თუ თავისუფალ, გონებამახვილ საზოგადოებაში ცხოვრობ! როგორ არის ხელოვნება შებოჭილი და შეზღუდული დუნე ანგარიშგაწევით მის ბუნებრივ შემართებასა და სითამამეში! მაგრამ შეიძლება ეს კარგიც არის, ამ სახით ხელოვნება რჩება საიდუმლოდ ძლიერი, უფრო მეტ შიშსა და სიყვარულს შთაუწერგავს, როდესაც კი არ გამიშვლდება, არამედ შნოიანად და შეფარვით შეიბურება და მხოლოდ ზოგჯერ, აქა თუ იქ, ერთი წუთით საშინლად და მომხიბლავად გამოააშკარავებს თავის

თანდაყოლილ უშიშრობას. სიმკაცრე, ულმობლობა სიყვარულის მთავარი ინგრედიენტია და საკმაოდ თანაბრად არის განაწილებული სქესებზე: ავხორცობის მძვინვარება, უმადურობის ულმობლობა, უგრძნობლობის სისასტიკე, დამონებისა და დაბრიყვების სიმკაცრე. ტანჯვის სიამოვნება და საშინელების გადატანაც ასევე. და კიდევ ხუთი, ექვსი სხვა უკუღმართობა – თუკი ეს უკუღმართობებია, მაგრამ ეს შეიძლება მორალური ცრურწმენაც იყოს, – რომლებიც ქიმიური შეერთებით, კიდევ სხვა რამის მიუმატებლად, სიყვარულს ქმნიან. ნუთუ სანუკვარი სიყვარული ერთთავად მხოლოდ სისამაგლეთაგან შედგება, უბრწყინვალესი – მხოლოდ არცნობილ სიბნელეთაგან? Nil luce obscurius?[226] ნუთუ ნიუტონი მართალია? დაე, ასეც იყოს, რაც უნდა თქვა, ევროპული აზრის რომანი აქედან წარმოდგა.

ამასთან, არ შეიძლება ითქვას, რომ სინათლეს ოდესმე წარმოემვას ამდენი დაბნეულობა, უწესრიგობა, აღრევა; ბოროტ თავდასხმებს სააშკარაოზე გამოეტანოს ამდენი უცილობლად ღირსპატივსაცემი, როგორც ამას ყველგან და ყოველდღე აკეთებს სიყვარული. კარლ ავგუსტის ორმაგი ოჯახი, მისი შვილები! ეს ოკენი მთავარს თავს დაესხა სახელმწიფო საქმეების გამო. განა იგი, თუ გააღიზიანებენ, მას კი მხოლოდ აღიზიანებენ, დააყოვნებს და მის საოჯახო ამბებსაც სააშკარაოზე არ გამოიტანს? ეს დაუფარავად და გულახდილად უნდა გავაგებინოთ მთავარს, დავარწმუნოთ, რომ ერთადერთი გონივრული და განმკურნავი საშუალება აქ არის მატთანის აკრძალვა, ქირურგიული მოკვეთა და არა შენიშვნა, არა დამუქრება, არა საყვედურის გამოცხადება ან თუნდაც სახელმწიფო სახაზინო სასამართლო ძიების აღძვრა

პროკურორთან ამ კატლინასებრი თავხედი მაჩვის წინააღმდეგ, რათა სამართლის გზით პასუხი აგებინონ, როგორც ეს ამ მხარის მმართველობის ღირსეულ თავმჯდომარეს სურს. ჭკუის დარიგებით უნდათ შეაგნებინონ; მიამიტები! უმჯობესია თავი დაანებონ. არაფერი გაეგებათ! ის კი ისევე მარჯვედ და უსირცხვილოდ ლაპარაკობს, როგორც წერს და ბეჭდავს, ყველგან ხმას ყრის, სასამართლოში მიწვევა მივიღეო, რეპლიკებს იძლევა, ბევრად უკეთესად, ვიდრე მათ მისი მოგერიება შეუძლიათ, ბოლოს არჩევანის წინაშე დააყენებს: ან დილეგში უნდა ჩასვან, ან ზეიმით გაუშვან უკან. მერე, არასაკადრისი და მიუტევებელიც არის, მწერალი მოსწავლესავით დატუქსო. სახელმწიფოს ეს ვერაფერს უშველის და კულტურასაც ზიანს მიაყენებს. ის თავიანი კაცია და დამსახურებაც აქვს. გარდა ამისა, თუ ის სახელმწიფოს ძირს უთხრის, იარაღი უნდა წაართვა და მორჩა. ის კი არა, რომ დაემუქრო, ჭკუაზე მოვა და მომავალში უფრო თავდაჭერილი გახდებაო. აბა, სცადეთ და სასჯელის მუქარით ზანგი ხეხვით გაათეთრეთ! ანდა საიდან გახდება თავდაჭერილი და თავმდაბალი, როცა სითამამე და თავხედობა ბუნებით მოსდგამს? თუ ის ისე აღარ მოიქცევა, როგორც აქამდე, მაშინ ირონიაზე გადავა, აქ კი თქვენ მის წინაშე სრულიად უმწეონი ბრძანდებით. თქვენ არ იცით მახვილი გონების გასაქანი. თუ სანახევრო ღონისძიებით აიძულებთ მიმართოს უფრო დახვეწილ ხერხებს, ეს მხოლოდ მისთვის იქნება ხელსაყრელი და არა თქვენთვის. განა სახელმწიფო დაწესებულებისთვის საკადრისია მის ხრიკებს სდიოს, როდესაც ის შარადებსა და ლოგოგრიფებს დააფრქვევს, რათა ოიდიპოსის როლი გაითამაშოს ასეთი სვინქსის წინაშე! მათ მაგიერ მე ვიწვები სირცხვილით.

ან ეს სახაზინო საჩივარი რაღაა? სურთ, რომ ოკენი სინედრიონს, უზენაეს სასამართლოს გადასცენ, – რის საფუძველზე? სახელმწიფო ლალატის გამო, ამბობენ, მერედა, გეთაყვა, მითხარით, სად არის აქ სახელმწიფო ლალატი? შეიძლება ლალატი დაერქვას იმას, რასაც ადამიანი მთელი სამოქალაქო საზოგადოების წინაშე აკეთებს დაუფარავად? ჯერ თქვენს თავებში დაამყარეთ წესრიგი, სანამ წესრიგის სახელით ბრალდებას წაუყენებდეთ გონებამახვილ ძირგამომთხრელს, დამარღვეველს! თქვენს საჩივარს დაბეჭდავს თავისი შენიშვნებით და დაურთავს, რომ სულ ძირითძირობამდე

დაწვრილებით დაასაბუთებს, რაც დაწერა, და ჭეშმარიტებას დაგიმტკიცებს, ჭეშმარიტების გამოთქმისათვის კი ვერავის დასჯი. მერედა, სად არის სასამართლო, რომელსაც შეგიძლიათ დაენდოთ ამ აწეწილ დროებაში, საქმე რომ გაარჩიოს? განა უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე და დიკასტერიებში, სასამართლო კოლეგიებში არ სხედან ადამიანები, რომლებიც იმავე რევოლუციური სულისკვეთებით არიან შეპყრობილი, რითაც ეგ შემცოდე ბრალდებული? ანდა იქნებ თქვენ გნებავთ იხილოთ, როგორ გაათავისუფლებენ და ხოტბითა და ქება-დიდებით როგორ გამოვა სასამართლო დარბაზიდან? რა ლამაზი კი იქნებოდა, სუვერენი მთავარი დროებისგან შერყეული სასამართლოს გადასაწყვეტად აყენებდეს უღრმეს და უშინაგანეს საკითხებს! არა, არავითარ შემთხვევაში ეს არ არის სამართლის საქმე და არც იქნება, არც შეიძლება იყოს. უნდა იმოქმედო ფარულად, პოლიციის საშუალებით და საზოგადოების აუღელვებლად. სულაც გვერდი აუარე გამომცემელს, პირდაპირ მიმართე მესტამბე-მბეჭდავს და აუკრძალე ამ ფურცლის ბეჭდვა პირადი დაპატიმრების მიუქართ. ჩუმად ამოკვეთა ბოროტებისა და არავითარი შურისძიება. ისინი ნამდვილად ლაპარაკობენ პირად ანგარიშსწორებასა და შურისგებაზე, ვერ გრძნობენ ასეთ აღიარებათა საშიშროებას! თქვენ გნებავთ, ყალბად გაგებულნი წესრიგის მსახურებით ამ დღეთა საშინელება გაამრავლოთ და უხეში ძალა აპარკაშოთ? ვინ არის იმის თავდები, რომ აღრენილი სირეგვნე მათრახებით არ გაუმასპინძლებდა და საშინლად არ აწამებს კაცს, რომელიც მუდამ იმსახურებს იმას, რომ მეცნიერებაში ბრწყინვალე როლი ითამაშოს? დაგვიფაროს ღმერთმა და ჩემმა მხურვალე მოწოდებამ მთავრისადმი!

– შენა ხარ, კარლ?

– მე გახლავართ, თქვენო აღმატებულებავე!

– მისი მეფური უმაღლესობის მოწყალე ბრძანებათა სწრაფად და ზუსტად აღსრულება ჩემი ძალ-ღონისდაკვალად, ყოველთვის ჩემს უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია...

– ნება მომეცით, გთხოვოთ, თუ შეიძლება, ცოტა ნელა მიკარნახოთ, თქვენო აღმატებულებავე!

– წერე, მძინარავ, და როგორც შეგიძლია, შეკვეცე სიტყვები, თორემ ჯონს დავუძახებ!

* * *

– და ასე შემდეგ. «დავშთები თქვენი მეფური უმაღლესობის უქვეშევრდომესი და უერთგულესი მორჩილი მსახური». – ეს იყოს ამჯერად! ყველაფერი ამოვწურე? ყველაფერი გადახაზულია, რაც ჩანიშნული მქონდა? ახლა გადაწერე, ჯერჯერობით ნახევრად სუფთად. ჯერ მზად არ არის, მეტისმეტად ექსპრესიულია და თანაც საკმაოდ ვერ არის კომპონირებული. ერთხელ კიდევ უნდა გადავავლო თვალი ნაწერს, ზოგი რამ კიდევ შევარბილო და დავალაგო. გადაწერე ისე, რომ იკითხებოდეს; თუ შეგიძლია, სადილობამდე. ახლა კი ავდგები. არა, ახლა წერილის კარნახი აღარ შემიძლია. ამან ბევრი დრო წამართვა, ამ დილისთვის კი ბევრი სხვა რამ მაქვს გასაკეთებელი. Une mer a boire,[227] დღეში კი მხოლოდ ორიოდე ყლუპს ასწრებ. შუადღისას ეტლი დამჭირდება, გესმის, უთხარი საჯინიბოში. საწვიმარი ღრუბლები არ გამოჩნდება, დღეს არ იწვიმებს. მინდა პარკში ახალი ნაგებობანი დავათვალიერო მთავარ ხუროთმოძღვართმრჩეველ კუდრეისთან ერთად. შეიძლება სადილად მოვიდეს. ალბათ, ჰერ ფონ ციგეზარიც მობრძანდება. დღეს რა გვაქვს?

– შემწვარი ბატი და პუდინგი, თქვენო აღმატებულება!

– კარგად გამოტენეთ ბატი წაბლით, უფრო ნოყიერი იქნება.

– ყველაფერს მოვაგვარებ, თქვენო აღმატებულება.

– შეიძლება ერთი-ორი პროფესორიც მოვიდეს სამხატვრო სკოლიდან. სკოლის ნაწილი ხომ ესპლანადედან მონადირეთა სახლში გადადის. თვალყურის დევნებაა საჭირო. საშინაო ხალათი აი აქ, სკამზე დამიდე. ზარს დაგირეკავ, თუ თმის ვარცხნილობის დასაყენებლად დამჭირდება. ახლა წადი! და კიდევ აი რა, კარლ! ათისთვის ან არაუგვიანეს ათისა, მოატანიე ცოტა რამ საუზმე: ცივი ტყის ქათამი და ერთი ჭიქაც კარგი მადერა. სტომაქში თუ რამე გულის გამამაგრებელ-გამამხნეველები არ არის, სრული კაცი ვერა ხარ. ყავა დილაადრიან უფრო თავისთვის არის კარგი, გულისთვის კი – მადერა.

– თავისთავად გასაგებია, თქვენო აღმატებულება,

პოეზიისთვის კი ორივეა საჭირო.

– აბა, მოკურცხლე აქედან!

– წმინდა წყალო, ცივო და ანკარა, ისევე წმინდა ხარ შენი სიფხიზლით, როგორც მზიურ-ცინცხალი, ცეცხლოვანი სიტკბოების მომმადლებელი ღვინო! დიდება წყალს! დიდება ცეცხლს! დიდება ძლიერ და უღალატო გულს! ჩვენ კი ვიტყოდით: დიდება ერთგულებას, რომელსაც შეუძლია იშვიათ საოცრებასავით ყოველდღიურად განგვაცდევინოს უპირველესი, უწმინდესი და პირველქმნილი, ჩვეულებრივ მოსაწყენი და ნაკლებად გამოსადეგი დახვეწილობა! დიდება

სიფაქიზეს, დახვეწილობას, რომელსაც ერთგულება მხიარულად და მძლავრად იერთებს! – მხოლოდ ის არის კულტურა, მხოლოდ ის არის სიდიადე. «თევზები ირევიან წყალში, ფრინველები დანავარდობენ ცაში», – ეს მშვენიერი იყო. «ფრინველები დანავარდობენ ცაში» – ეს საკმაოდ საზეიმო, მაღალფარდოვანი, ლალად გამლილი ხუმრობაა. ისინი უფრო ზეცისკენ მიპყრობილ თვალეზზე ლაპარაკობენ – სულელური მეოცნებე გატაცებით. ფარისევლურ-დამცინავი ზმნიდან himmeln.[228] ხელდახელ გავაკეთე ჰაეროვან-მხიარულ-დიადი ჭვრეტითი და მუნყოფნითი სურათი. ხელსაც შეუწყობს უეცრად წარმოშობილი აზრის განსაზღვრებას... «წყალო, იდინე მხოლოდ!» «მიწა დგას ეგზომ მტკიცედ!» «ჰაერო, მოჰბერე! ნათელო, მოეფინე!» «ცეცხლი აანთეთ. ააგიზგიზეთ!» სტიქია-ელემენტების ზეიმი ჯერ კიდევ «პანდორაში» მაქვს, ამიტომაც ვუწოდე მას საზეიმო წარმოდგენა. ვალპურგის მეორე ღამეს ზეიმი განახლდება და კიდევ უფრო გაძლიერდება: სიცოცხლე ამაღლება, გავლილი სიცოცხლე მუდამ სუსტია, განმტკიცებული სულის მხნეობით ერთხელ კიდევ უნდა იცხოვრო. «აქ ყველას ხოტბა და დიდება, ოთხივე ელემენტს დიდება!»[229] ეს უკვე უდავო და ურყევია. ასეთი უნდა იყოს მითოლოგიურ-ბიოლოგიური ბალეტის, სატირული ბუნების მისტერიის უკანასკნელი სიმღერა გუნდისა. სილაღე, სილაღე!.. ხელოვნების უმაღლესი და უკანასკნელი მოქმედება მშვენიერების მიმზიდველობის გრძნობაა. ოღონდ არა პირქუში ამაღლებულობა, რომელიც რაოდენ ბრწყინვალე და ჭრელ-ჭრელი ფერებით უნდა ბზინავდეს და ღაღანებდეს,[230] მაინც მორალის ტრაგიკულად ამოწურულ პროდუქტად რჩება! ღრმა აზრი უნდა იღიმებოდეს... იგი საერთოდ უნდა იფარებოდეს, მხოლოდ ხელდასხმულთ უნდა უხსნიდეს თავის სულსა და

გულს, – ასე სურს ხელოვნების ეზოტერიკას. ჭრელჭრული სურათების – ხალხს, მის უკან დაფარული საიდუმლოება – ხალხს. თქვენ დემოკრატი იყავით, ჩემო კარგო, და გწამდათ, რომ მასას უმაღლესი რამ პირდაპირ უნდა მიართვას – კეთილშობილად და უმარილოდ. მაგრამ მასა და კულტურა ერთმანეთს არ ეწყობა. კულტურა რჩეული საზოგადოებაა, სადაც უმაღლესი თავდაჭერითა და ერთი ღიმილით აგებინებენ ერთმანეთს. ეს ავგურთა ღიმილი[231] ხელოვნების პაროდიული ემბაკობაა, რომელიც ყველაზე დიდ უტიფრობას თავდაჭერილი და ყოვლად ღირსეული ფორმით წარმოგიდგენს, ხოლო უძნელესს თავაზიან ხუმრობაში გაატარებს...

ეს საბანაო ღრუბელი დიდი ხანია მაქვს, – ხელში იოლსახმარი ეგზემპლარია ზღვის ფსკერზე მკვიდრად ჩამჯდარი ცხოველურისა, მის თალესურ[232] პირველყოფილ სინოტივეში. ადამიანის გაჩენამდე ჰქონდა დრო-ჟამი. რა ნიადაგზე აღმოცენებულხარ და თავი დიდად წარმოგიდგენია, სიცოცხლის უცნაურო ჩონჩხო. რბილი სული რომ ამოუცლიათ შენთვის? ალბათ, ეგეოსის ზღვაში? კიპრიდის ცისარტყელასავით მობიბინე ტახტთან გქონდა პაწია ადგილი? წყლის ნაკადებით ავსებულ შენს თვალებში ვხედავთ ნეპტუნის სამკაპს,[233] გაზუნზლული ჰიპოკამპებისა და წყლის ურჩხულების ალიაქოთს, ზღვის გრაციების, ნერეიდებისა და ტრიტონების ბუკთა ღრიანცელს, გალათეას ფერთამფრქვეველ ეტლს რომ ეწევინ ზვირთთა სამეფოში... შენი ნასვრეტებიდან გამოვწურავ წყლის ჭავლებს. ეს კარგი ჩვეულებაა, კეფაზე წყლის დაწურვა ღრუბლიდან მთელ სხეულს აკაჟებს, სანამ ძრწოლითა და სიამოვნებით ითმენ ცივი ნაკადების რბოლას შენ სხეულზე და სუნთქვა არ გეკვრის. ეს ნევრალგიური მკლავი რომ ნებას გაძლევდეს, უყოყმანოდ გადაეშვებოდი მდინარეში საბანაოდ უწინდებურად, როდესაც, შეუპოვარი და გიჟმაჟი, ღამით წყლიდან ხმაურით ამოყოფდი ხოლმე თავს, გრძელი, სველი თმიდან წყალი წურწურით ჩამოგდიოდა, და ეს საოცრად აშინებდა გზად მიმავალ დაგვიანებულ მოქალაქეებს. «დიდი ღმერთები, უსასრულონი, აჯილდოებენ თავიანთ რჩეულთ...» შორს დარჩა ის მთვარიანი ღამე, როდესაც, მდინარის ტალღებიდან ამოსული, ფრიად აღტყინებული, შენი კანის წმინდა სიამით დამთვრალი, ვერცხლივით კრიალა ჰაერში

გრძნობამორეული წარმოთქვამდი ლექსებს. სწორედ ეს ცივი წყლის დასხმა კეფაზე დაგეხმარა განგეჭვრიტა გალათეას სახე. შთაგონება, აზრის უეცარი გაელვება, იდეა ფიზიკური სტიმულაციის ნაბომებია, ჯანმრთელი აღზნებაა, სისხლსავსე ბედნიერება, ანთეოსისებრი შეხება სტიქიასთან[234] და ბუნებასთან. გონი სიცოცხლის პროდუქტია, ხოლო სიცოცხლე თავის მხრივ მხოლოდ გონში ცოცხლობს ჭეშმარიტად. ისინი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილი, ერთიმეორით ცოცხლობენ და სულდგმულობენ. რა ვუყოთ, რომ აზრს სიცოცხლის სიხარულის გამო თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, – ეს სიხარულისგან არის, ხოლო თვითკმაყოფილება ამ აზრს ლექსად აქცევს. რასაკვირველია, ზრუნვა სიხარულშიც უნდა იყოს, ზრუნვა სწორისა და მართლისათვის. აზრიც ხომ ცხოვრების კაემანია, მაშასადამე, უფრო სწორად, კაემნისა და სიხარულის ძეა. «დედისგან მხიარული ბუნება დაჰყვა...» მთელი სერიოზულობა სიკვდილისგან წარმოდგება, მის წინაშე მოწიწებაა. მაგრამ სიკვდილის საშინელება იდეის სასოწარკვეთაა, რამეთუ სიცოცხლის იმედი წარეკვეთა. ჩვენ ყველა სასოწარკვეთილებაში ვილუპებით. ამიტომ პატივი ეცი სასოწარკვეთილებასაც! იგი შენი უკანასკნელი აზრი იქნება. შენი მარად უკანასკნელი? რწმენა იმისა, რომ სიცოცხლისგან მიტოვებული სულის შავ სასოწარკვეთილებას უმაღლესი ცხოვრების სიხარულის სხივი განმსჭვალავს, – ეს უნდა იყოს ღვთისმოსაობა.

ნეშტთან ერთად მტვრად არ იქცევა სული... ღვთისმოსაობას უკვე შევურიგდებოდი, ეს ღვთისმოსავეები რომ არ იყვნენ. ცუდი როდია საიდუმლოების წყნარი, იმედიანი, მინდობილი თაყვანისცემა, ქედმაღალ სულელებს მისგან რაღაც ტენდენცია და დროების მედიდური მოძრაობა რომ არ შეექმნათ – გაკადნიერებული ახალგაზრდული თავგასულობა! – ახალი ღვთისმოსაობა, ახალი სარწმუნოება, ახალი ქრისტიანობა, ყოველგვარ გაიძვერობასთან, მამულიშვილობანასთან და მტრული ფანატიკური სულიერი შმორისათვის რომ არ დაეკავშირებინათ საზიზღარი ლაწირაკების მსოფლმხედველობა. მართალია, ჰერდერთან ერთად ჩვენც ვქედმაღლობდით «ძველის» წინაშე, მაშინ სტრასბურგში, სადაც შენ ხოტბა შეასხი ერვინსა და მის კათედრალურ ტაძარს, მის მიუნსტერს.[235] შენ არ გსურდა მნიშვნელოვანი სიმქისისა და დამახასიათებლის აზრსა და გრძნობას შელეოდი,

გაგესათუთებინა უახლესი მშენიერობანას დონდლო მოძღვრებით. ეს გოთიკის დღევანდელი ფარისევლების გულებს აამებდა, სწორედ ამის გამო დაფარე და ამოაგდე თხზულებათა კრებულიდან, ახლა, როდესაც პირველად სულპიციმ, ჩემმა კარგმა და კეთილისმყოფელმა, ჩემმა გულითადმა და ჭკვიანმა ბუასერემ[236] სინდისში ჩამაგდო. ყურადღება გაამახვილა ამოგდებულსა და უარყოფილზე და კვლავ დაგიბრუნა კეთილისმყოფელი ურთიერთობა ძველ-ახალთან, საკუთარ ახალგაზრდობასთან. უზენაესი განგების კეთილგანწყობილებას უმადლოდე, თანდაყოლილ ბედის მოწყალებას, რომ უსიამოვნო საშიშროება შენ მოგვევლინა

ნატიფი და დახვეწილი, კეთილსინდისიერი და კეთილალზრდილი, მოკრძალებული და თაყვანისმცემელი კელნელი კეთილშობილი ახალგაზრდის სახით, რომელსაც ღირსეულის, საეკლესიო და ხალხური დარგის, ძველგერმანული, ხუროთმოძღვრებისა და სურათების ასეთი სწორი გაგება აქვს და რომელმაც თვალი აგიხილა ბევრ რამეზე, რის დანახვაც არ გინდოდა. ვან-დეიკზე,[237] იმათზე, ვინც მასა და დიურერს[238] შორის იყვნენ, აგრეთვე ბიზანტიურ-

ქვემორაინულზეც. შენი მოხუცებულობის დღეებში საგულდაგულოდ ჩაიკეტე შენს თავში, გაემიჯნე ახალგაზრდობას, სიბერის დასამხობად რომ მოდის, ჩაიკეტე შენივე საკუთარი არსებობისთვის და ცდილობდი დამალვოდი ახალ და ხელშემშლელ შთაბეჭდილებებს, რათა თავი დაგეცვა. და უცბად ჰაიდელბერგში, მაშინ, ბუასერეების დარბაზში შენ წინაშე გადაიშალა ფერთა და სახეთა ახალი სამყარო,[239] რომელმაც ამოგაგდო შენი შეხედულებებისა და გრძნობების კალაპოტიდან, – სიჭაბუკე სიბერეში, სიბერე – როგორც ახალგაზრდობა; და შენ გრძნობ, რა კარგი საქმეა კაპიტულაცია, თუ იგი დაპყრობას წარმოადგენს, რა კარგია მორჩილება, თუ იგი თავისუფლებას გიძღვნის, რადგან ის თავისუფლებით ხდება. მე ეს სულპიცის ვუთხარი. მადლობა გადავუხადე, რომ იგი მოვიდა მტკიცე, თავმდაბალი მეგობრული გრძნობით, რათა ჩემი თანაგრძნობა მოეპოვებინა – ჩავები თავის საქმეში.

[240] თავისთავად გასაგებია, ამისთვის მოდიან ყველანი თავიანთი გეგმებით კელნის ტაძრის მშენებლობის დასამთავრებლად. ყოველნაირად ცდილობდა, მენახა და მეღიარებინა საკუთარი, სამამულო, ძველგერმანული ხუროთმოძღვრების გამოგონება, რომ გოთიკა მეტი იყო, ვიდრე დაცემული რომაული და ბერძნული არქიტექტურის ნაყოფი.

მახინჯ-დაღრეცილს, მეტად გონჯს ახლა,
შავბნელ სიგიჟეს რომ შეუქმნია,
აქ სურს ფასობდეს ყველაზე მაღლა.

მაგრამ ისე მარჯვედ და ჭკვიანურად აკეთებს ეს ჭაბუკი თავის
საქმეს, ისეთი შნოთი და ლაზათით, ისე კეთილსინდისიერად
და გულწრფელად, რომ, მიუხედავად ყოველგვარი
დიპლომატიისა, თავიც შემაყვარა და თავისი საქმეც. დიახ,
ესოდენ მშვენიერია, როცა ადამიანს საქმე აქვს და გულით
უყვარს! კაცსაც ალამაზებს და საქმესაც, თუნდაც იგი სისულელე
იყოს. გულში მეცინება, როდესაც გამახსენდება მისი პირველი
მოსვლის დღე, თერთმეტ წელს, მე და ის აქ ერთად რომ
ვმუშაობდით, დახრილნი მის ქვემოგერმანულ სპილენძის
ჭედურობაზე, სტრასბურგისა და კელნის ნახაზებზე, «ფაუსტის»
კორნელიუსისეულ ილუსტრაციებზე; მაიერმა შემოგვისწრო, ამ
საჭოჭმანო საქმის დროს იგი თავზე წამოგვადგა. შემოდის,
მაგიდას უყურებს. მე დავუმახე: «მოდო, მაიერ, შეხედე ერთი,
ძველი დროებანი კვლავ აღდგა ხორცშესხმული!» იგი თვალებს
არ უჯერებდა. აი, თურმე რითა ვარ გართული, რას
ვუტრიალებდი. ბუზლუნებს და ბუტბუტებს, თავის
უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ შეცდომაზე, ახალგაზრდა
კორნელიუსმა ძველგერმანული

სტილიდან რომ მოწიწებით გადმოიღო. მაიერი გაფართოებული
თვალებით წამდაუწუმ შემომხედავს, რაკი მე გულგრილად
ვათვალაიერებ, მის გაკვირვებას არად ვაგდებ, ვაქებ ბლოკსბერგს,
აუერბახის სარდაფს, ფაუსტის ხელის მოძრაობას, ყმაწვილქალს,
გრეტჰენს რომ უწვდის, ვიწონებ ამ მარჯვე აზრს.[241] მაიერი
გაცბუნებულია და, სახტად დარჩენილი, სულს ძლივს ითქვამს.
რას მოესწრო, რომ მე მაგიდიდან არ გადავხვეტე ქრისტიანული
ბარბაროსული ხუროთმოძღვრების ნახაზები, პირიქით, კოშკების
გეგმებს გასაოცრადაც კი ვთვლი და მაჯადოებს, აღტაცებულად
კი ვარ სვეტებიანი დარბაზის სიდიადით. მაიერი უკან იხევს,
პოზიციებს თმობს, ბუზლუნებს, თავს მიქნევს, ნახაზებს
დაჰყურებს, მე შემომხედავს, მეთანხმება, პოლონიუსის როლს
თამაშობს[242] – it is back'd like a camel[243] – მომხრე და
თანამოაზრე, ბედის ანაბარად მიტოვებული, დაღალატებული
მომხრე, თუ არსებობს იმაზე უფრო გასამხიარულებელი რამ,
მომხრეებს რომ დააღალატებ, გააცურებ? ეს ქურდული

კმაყოფილებაა, ხელიდან რომ დაუსხლტები, რომ არ მისცემ შენი გამოჭერის საშუალებას, რომ გააბრიყვებ, გაასულელებ. იმაზე უფრო დიდი ხუმრობა და სასაცილო რა უნდა იყოს, მათ პირდაღებულ დრუნჩებს რომ უყურებ, შენს თავს რომ დასძლევ და თავისუფლებას მოიპოვებ? აქ, რა თქმა უნდა, შეიძლება სწორად ვერ გაგიგონ, შეიძლება ისეც შეგხედონ, რომ ამით მცდარ მხარეს გადაუხვიე, და ფარისევლთ ჰგონიათ, რომ შენც მათთან ერთად ფარისევლობ. ის კი არ იციან, რომ ჩვენ მხოლოდ უაზრობა, შეუსაბამობა გვახარებს და გვართობს, თუკი მისი გაგვეგება რამე. სისულელები საინტერესოა და არ უნდა იყოს დაფარული. «მაინც როგორია საქმის ვითარება, საკუთრივ, კათოლიკობაზე ახალმოქცეულ პროტესტანტებში?»

– შევეკითხე სულპიცის: მინდოდა კარგად გამეგო მათი გზა და როგორ მივიდნენ მანამდე. მან მიპასუხა: «ჰერდერმა და მისმა «კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიამ» ბევრად შეუწყო ამას ხელი, მაგრამ ასევე აწმყომაც, მსოფლიო ისტორიულმა მიმართულებამ». – ეს მეც უნდა ვიცოდე, ამაში რაღაც საერთო აზრია, ვიზიარებ. დიახ, საერთოდ, ბევრ რამეს სულელებთან ერთად შენც იზიარებ, მაგრამ სხვადასხვანაირად შებრუნდება ხოლმე და სხვადასხვანაირად მჟღავნდება. მსოფლიო-ისტორიული მიმართულება – «ტახტები იბზარება, სამეფოები ირყევიან»,^[244] – ამისი ზოგი რამ მეც გამეგება, ეს ცხოვრებაში მეც გამომივლია. არ ვცდები, – ოღონდ ერთს უძღვნის იგი ათასწლეულის გონსა და სულისკვეთებას, სიდიადეს აზიარებს, სხვებს კი კათოლიკეებად აქცევს. რაღა თქმა უნდა, ტრადიციასთანაც აქვს აგრეთვე საქმე ათასწლეულის გონს, ვისაც კი მისი რამე გაეგება. ტრადიცია სურთ განსწავლულობითა და ისტორიით განამტკიცონ. სულელები, თითქოს ეს ყოველგვარ ტრადიციას არ ეწინააღმდეგებოდეს! მას იღებენ და შემდეგ წინასწარ შეთხზულ რაღაცას დაურთავენ, ან სულაც არ აღიარებენ და მაშინ კი ნამდვილი

კრიტიკული ფილისტერი წარმოგიდგებათ. მაგრამ პროტესტანტები (ვუთხარი სულპიცის) გრძნობენ სიცარიელეს და ამიტომ სურთ მისტიციზმით შეავსონ, რადგან ასეა, თუ რაღაც უნდა წარმოიშვას და არ შეუძლია წარმოშობა, არ გამოუდის, მაშინ იგი მისტიციზმია. უგუნური ხალხია, არ ესმით, როგორ გაჩნდა მესა, და ფიქრობენ, თითქოს მესა შეიძლება დააწესო. ვინც ამას დასცინის, მათზე უფრო ღვთისმოსავია. მაგრამ აი ახლა ისინი იფიქრებენ, რომ შენ

მათთან ერთად ფარისევლობ, ისარგებლებენ შენი

ძველგერმანული წიგნაკით, რაინისა და მაინის რვეულით – შავბნელ ხანაში გამოვლით ხელოვნების აღმოცენების თაობაზე და შენს ჭირნახულს სახელდახელოდ გამოლექწავენ იმისთვის, რომ პატრიოტულ მოსავლის ზეიმზე ნამჯისა და ჩალის კონებით მედიდურად გაიბღინდონ და იყოყოჩონ. მოეშვი! მაგათ არაფერი იციან თავისუფლების შესახებ. არსებობაზე უარის თქმა, იმისთვის, რომ იარსებო, ეს, რასაკვირველია, უბრალო ოინი არ არის. აქ «ხასიათი» არ კმარა, უფრო მეტია საჭირო, ამისთვის საჭიროა გონი და გონიდან სიცოცხლის განახლების ნიჭი. ცხოველის არსებობა ხანმოკლეა; ადამიანმა იცის თავის მდგომარეობათა გამეორება: სიჭაბუკე – სიბერეში და სიბერე როგორც სიჭაბუკე; მას ძალუძს, გამოვლილი ცხოვრებით ერთხელ კიდევ იცხოვროს, ოღონდ გონებით

განმტკიცებული, ამაღლებული გაახალგაზრდავება მიმადლებია, ეს კი ჭაბუკურ შიშსა და გაუბედაობაზე, უძლურებასა და უგულობაზე გამარჯვებაა, ეს სიკვდილის შემბოჭველი წრის შეკვრაა...

ყველაფერი ეს კეთილმა სულპიციმ მომიტანა დიდი თავაზითა და აღტაცებით, უბრალოდ ცდილობდა გადავებირებინე. არ იცოდა, რა მომიტანა, და ვერც მომიტანდა, ლამპარი რომ ანთების მოლოდინში არ ყოფილიყო, მე რომ მზად არ ვყოფილიყავი გრძნობათა ახალი მოზღვავეებისთვის, რითაც ბევრი რამ დაიწყო, ბევრ რამეს გაუხსნა გზა, ვიდრე უბრალო წიგნაკმა ძველგერმანული ძეგლების შესახებ. თერთმეტ წელს ის აქ იყო ჩემთან, ხოლო ამის შემდეგ წლითიწლობით

გამოდოდა ჰამერის თარგმანი წინასიტყვაობით შირაზელის[245] შესახებ, მას მოჰყვა აღფრთოვანების მადლი და ნიჭი, ამსახველი კვლავშემეცნება, მეტაფსიქოზის მხიარულ-

მისტიკური ზმანებანი, გამსჭვალული ათასწლეულის სულისკვეთებით, რომელიც ჩემმა პირქუშმა და მძლავრმა მეგობარმა, ხმელთაშუა ზღვის თემურმა[246] აღძრა, – მომეახლა კაცობრიობის სიჭაბუკეში ჩაღრმავება – «რწმენა ფართოა, აზრი კი ვიწრო», – ნაყოფიერი ჩასვლა პატრიარქთა სამყაროში, ხოლო შემდეგ მეორე მოგზაურობა დედულებით, დაწყებული წინასწარგანმჭვრეტი მზადყოფნით: «მხნე ბერიკაცო, ნუ დაღონდები, თუმც გაგერია თმაში ჭაღარა, კვლავ სიყვარულით განიმსჭვალე», და აი, გამოჩნდა მარიანა. არ არის საჭირო ამ ყმაწვილკაცმა იცოდეს, როგორ არის ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული, ნუ ეტყვი, როგორ დაიწყო

ყველაფერი მისი მოსვლით ხუთი წლის წინ. არც იქნებოდა სწორი, თავგზა აერეოდა, ის მხოლოდ იარაღი იყო; უნდოდა მე შევები თავის უღელში, თვითონ კი აღმოჩნდა შებმული მთელი ერთგულებით. ერთ დღეს ისიც კი მოისურვა, რომ წერა მესწავლებინა, რათა თავისი საქმის პროპაგანდა უკეთესად გაეწია. და თავში აზრად ჩაიღო, იმ ზამთარს ვაიმარში ეცხოვრა, რათა ჩემთვის ეთვალთვალა და ჩემგან რჩევა მიეღო თავისი ნაწერების თაობაზე. დაანებე თავი, მეგობარო, ვუთხარი, ჩემი წარმართები ხშირად მეც ოინს მიშვრებიან, თვითონაც ხომ წარმართი გახლავარ. ეს არაფერს მოგცემთ, მუდამ ჩემი ნათქვამი უნდა გაიმეოროთ, კვერი დამიკრათ; ეს კიდევ არაფერია, მე არ შემძლია მუდამ თქვენთან ვიყო-მეთქი. ტკბილი სიტყვა ვუთხარი, სხვაც ბევრი კარგი რამ. შევუქე მცირე აღწერანი და ვუთხარი, რომ ისინი კარგია და სწორი, რადგან კილო მარჯვედ არის შერჩეული, ეს კი მუდამ მთავარია. ალბათ, ასე კარგად მეც არ გამომივიდოდა, რადგან ღვთისმოსავი არ გახლავარ. შემდეგ წავუკითხე «იტალიაში მოგზაურობიდან» ის ადგილი, სადაც პალადიოს[247] მთელი გულით ვაქებ და შევაჩვენებ ყოველივე გერმანულს თავისი კლიმატითა და არქიტექტურით. საწყალს თვალები ცრემლებით აევსო და მეც უმაღ შეგპირდი, შმაგ ადგილებს წავშლი-მეთქი, რათა დაენახა, თუ როგორი დამყოლი ყმაწვილი გახლავართ. მის სასიამოვნოდ «დივანიდან» აკი ამოვიღე მამხილებელი გამოხდომა ჯვრის წინააღმდეგ, – ქარვის ჯვარი, ჩრდილოდასავლური სისულელე. ძალიან მწარედ და მკაცრად მიმიჩნია მან და მთხოვა ამომეგდო. კეთილი, ვუთხარი, რაკი თქვენ ამ აზრის ხართ, არ შევიტან. ჩემს ვაჟიშვილს მინდა გადავცე, ისე როგორც ბევრი სხვა რამ, რაც ქვეყნიერებას საწყენად მიაჩნია. ჩემი ვაჟიც დიდი მოწიწებითა და გულმოდგინებით ინახავს მათ, გასართობი გავუჩინე, თანაც კარგი გამოსავალია: არც დაიწვება და არც არავის ეცემა თვალში... მაგრამ სულპიცის კიდევაც ვუყვარვარ – რა ბედნიერი იყო, როდესაც ვმონაწილეობდი მის ღვთისმოსავ ოინბაზობაში. ბედნიერი იყო არა მარტო თავისი საქმის გამო, არამედ ჩემი გულისთვისაც. წესიერი მსმენელი! რა სიამოვნებით უსმენდა უმოკლეს ღამესა და ჰესპერეზე ავრორას ოხვრის ამბავს,[248] როდესაც წავიკითხე ნეკარელცზე მოგზაურობის დროს ცივ ოთახში. ჩინებული სულის ყმაწვილია! «დივანის» «ფაუსტთან» ნათესაობის თაობაზე უმშვენიერესი და ალღოთი მიხვედრილი რამეები მითხრა;

ყოველმხრივ კარგი თანამგზავრი და სანდო ჭაბუკია, რომელსაც სიამოვნებით გაუზიარებ ეტლში და გაჩერებებზე მრავალ ცხოვრებისეულ ამბავს. გახსოვს ფრანკფურტიდან ჰაიდელბერგს მოგზაურობა, როდესაც მას ოტილიეს შესახებ ელაპარაკე ვარსკვლავების გამოჩენისას, თუ როგორ გიყვარდა, როგორ იტანჯე, და როგორ გააბი ლაქლაქი სიცივის, აღვზნებისა და მთვლემარების გამო? მე მგონია, მას შეეშინდა... მშვენიერი გზა მიიწევს ზევით ნეკარელციდან კირქვიან მთებზე, სადაც გაქვავებული ნამარხები და ამონიტები ვიპოვეთ. ობერშეფლენც-ბუხენი. ჰარდჰაიმში ვისადილეთ მეფუნდუკის ბაღში. იქ ახალგაზრდა მოსამსახურე გოგონა იყო, იგი ალერსიანი თვალებით მიყურებდა; ამ გოგონას მაგალითზე იქვე ვუჩვენე ყმაწვილკაცს, თუ ახალგაზრდობა და ეროსი როგორ გადადის მშვენიერებაში, რადგან გოგონა არ იყო ლამაზი, მაგრამ უაღრესად მიმზიდველი და მაცდუნებელი, და კიდევ უფრო მომზიბვლელი გახდა სირცხვილისა და სალალობო აღვზნების გამო, როგორც კი შენიშნა, რომ ბატონი მასზე ლაპარაკობდა; ქალს ეს აუცილებლად უნდა შეემჩნია, რასაკვირველია, სულპიცისაც, რადგან მე სწორედ იმიტომ ვლაპარაკობდი, რომ გოგონას შეეტყო მასზე ვსაუბრობდი. ჭაბუკს სანიმუშოდ ეჭირა თავი ამ ვითარებაში, არც დარცხვნილი იყო და არც თავაზიანობა აკლდა, – ეს კათოლიკური კულტურა გახლავთ! – ხოლო შემდეგ მზიარულად და კეთილად შეხვდა, როდესაც მე გოგონას ვაკოცე, და ვაკოცე ტუჩებში.

ჟოლოს მზის სხივები დანათოდა. უდავოდ გამთბარი ნაყოფის სუნი ტრიალებდა. რაო? მურაბას ხარშავენ სახლში? მაგრამ ჯერ ხომ არ დამდგარა მაგის დრო? ცხვირი მაინც მაგრძნობინებს ამ სუნს. სასიამოვნო სურნელებაა და კენკრაც მომზიბლავია, ტკბილი წვენიით სავსეა ხავერდოვანი სიმშრალის გამო, სიცოცხლის ცეცხლით არის გამთბარი, ვითარცა ქალის ტუჩები. თუ სიცოცხლეში ყველაზე უკეთესი სიყვარულია, მაშინ სიყვარულში ყველაზე უკეთესი კოცნაა, – სიყვარულის პოეზია, ვნებიანი გრძნობის ბეჭედი, გრძნობად-პლატონური, წმინდა იდუმალების შუაგული გონისეულ საწყისსა და ხორციელ დასასრულს შორის, ტკბილი მოქმედება, შესრულებული უმაღლეს სფეროში სუნთქვისა და მეტყველების წმინდა ორგანოებით. გონისეული იმიტომ, რომ ჯერ ისევ ინდივიდუალურია და უაღრესად გამორჩეული: შენს ხელთა

შორის ერთადერთი თავია, უკან გადახრილი, წამწამებს შორის მოღიმარი სერიოზული მზერა, შენს მზერაში შთანთქმული, და შენი კოცნა ეუბნება მას: «შენ მიყვარხარ, შენ დაგეძებ, შენ ერთადერთს, მშვენიერო, ღვთის ქმნილებავ, მხოლოდ შენ ერთს არსთა შორის». – შექმნა ანონიმურ-ცხოველურია, არსებითად განურჩეველი, და ღამე ფარავს, კოცნა ბედნიერებაა, შექმნა – ავხორცობა, ღმერთმა იგი ჭიასაც მისცა. შენც ხომ თავის დროზე არ გიზარმაცია ჭიაობისას, მაგრამ შენი საქმე მაინც უფრო ბედნიერება და კოცნაა, გულის შეგნებული

ვნებიანი გზნებით წამიერი შეხება და ხილვა მსწრაფლწარმავალი მშვენიერებისა. იგივეა განსხვავება ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის, რადგან სისხლსავსე ცხოვრება, კაცობრიობის სიუხვე, ბავშვთა შექმნა არ არის პოეზიის საქმე, სამყაროს ჟოლოსებრი ბაგეების გონისეული ამბორის საქმე. ლოტეს ბაგეთა თამაში კანარის ჩიტთან, როცა ჩიტუნია პაწია ნისკარტით ნაზად ეხება სანუკვარ ბაგეებს, შემდეგ კი განაგრძობს გზას მისი ბაგეებიდან სხვათა პირისკენ და კობტად და მოხდენილად ეხება მათაც ნაზი ჩაკენკვით, მოხდენილი უსირცხვილობაა, მაგრამ მაინც ამაღელვებელი თავისი უდანაშაულობით. კარგად არის გაკეთებული! ნიჭიერმა ლაწირაკმა ხელოვნების შესახებ უკვე იმდენი იცოდა, რაც სიყვარულზე, და ჩუმ-ჩუმად, მალულად ხელოვნებას გულისხმობდა, როდესაც სიყვარულით ერთობოდა, – ნორჩი ბელურა, რომელიც უკვე მზად იყო სიყვარული, ცხოვრება და კაცობრიობა მოღალატურად გაეცვალა ხელოვნებაზე. «ჩემო საყვარელო ადამიანებო, ჩემო განრისხებულ ადამიანებო,[249] უკვე აღსრულდა, ლაიფციგის ბაზრობას გადაეცა ის, მომიტევეთ, მაპატიეთ, თუკი ძალგიძთ. ჩემო ძვირფასნო, მე ვალში ვრჩები თქვენდამი და თქვენი შვილებისადმი იმ მწარე საათების გამო, რომელშიც მე ჩაგაგდეთ ჩემი... რაც გნებავთ, ის დაარქვით. გთხოვთ, იდექით მტკიცედ!» წლის ამავე დროს დაიწერა ეს სტრიქონები, უწვერულვაშო სიჭაბუკის ძველ დროში. ზუსტად გავიხსენე ეს წერილი, როდესაც ამ გაზაფხულზე კვლავ ხელთ ჩამივარდა პირველი გამოცემა და გაშმაგებულმა მუშაობამ პირველად კვლავ გაიარა ჩემ თვალწინ ამდენი წლების შემდეგ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ხელში ის მომხვდა. ამ წიგნის ხელში ჩავარდნა სხვა მხრივ უკანასკნელი რგოლია; კითხვა, ყველაფერი, რაც კი სულპიცის ჩამოსვლით დაიწყო, კვლავმემობრუნების ფაზას, ცხოვრების განახლებას მოასწავებს, ოღონდ გონით განმტკიცებულ-

გამხნეებულს, განმეორების მეტად მხიარული ზეიმისთვის... თუმცა ბრწყინვალე რამ გამოვიდა, პატივი და დიდება, ჩემო ჭაბუკო, ჩინებულია ფსიქოლოგიური ქსოვილი, სულიერ მოძრაობათა მდიდარი მოტივირება. კარგია შემოდგომის სურათი, გზააბნეულნი ყვავილებს ეძებენ. მშვენიერია, როცა საყვარელი ქალი გუნებაში გადაარჩევს ყველა თავის მეგობარ ქალს მეგობარი ვაჟისთვის და ვერავის შეარჩევს, ყველას რაღაცას უწუნებს, ვერავისთვის ვერ იმეტებს მას. შეიძლებოდა ეს «არჩევითი ნათესაობიდან» ყოფილიყო. ამდენი გონივრული გულმოდგინება გრძნობათა ამდენი დაბნეულობისას და მძლავრი სურვილების გრიგალისას ინდივიდუუმის ზღუდეთა წინააღმდეგ, ადამიანური ყოფის ციხის კედლების წინააღმდეგ. მესმის, რომ მეხი მიზანს მოხვდა და, ვინც ამით დაიწყო, უბრალო ვინმე როდი გახლავთ. ადვილია თუ არა ეს, იცის იმან, ვინც ეს მოიგონა და მიზანს მიაღწია. ადვილი, ბედნიერი, როგორც ხელოვნება, «ვერტერი» წერილობითი კომპოზიციის წყალობით არის, – წუთიერი, მუდამ ახლით დაწყებული, ლირიკულ ერთიანობათა მიმართების ამქვეყნიური სისტემა. ნიჭი გართულება-გამძნელებაშია – აგრეთვე ისიც უნდა იცოდეს, როგორ გაიადვილო საქმე. «დივანის» მიმართაც ასეთია ვითარება, – საოცარია, რომ მუდამ სულ ერთნაირია. «დივანის» და «ფაუსტის» მიმართ მით უფრო მართებულია ეს, მაგრამ «დივანი» და «ვერტერი» ხომ და-ძმანი არიან, – უკეთ, იგივენი არიან, ოღონდ სხვადასხვა საფეხურზე, – ცხოვრების ამალღებული, განწმენდილი განმეორება. დაე, მუდამ ასე გაგრძელდეს უსასრულობაში, დაე, ასე გაიზარდოს და ამალღდეს მომნანიებლის მონალვაწი მარადისობაში!.. კოცნაზე უხვად არის ლაპარაკი ადრინდელ და გვიანდელ ლექსებშიც. ლოტე კლავესინთან... მისი ბაგენი ასე მომხიბლავი არასოდეს მინახავს, თითქოს ტუჩები იმისათვის იღებოდნენ, რომ მოწყურებულთ მუსიკის საამო, ტკბილი ბგერები შეეხვრიპათ,

– განა ეს უკვე მარიანე არ იყო ზუსტად, ან უფრო სწორად, განა მარიანე ახალი ლოტე არ იყო, «მინიონს» რომ მღეროდა, ალბერტიც იქვე იჯდა, მთვლემარე და მომთმენი. ამჯერად უკვე ისე იყო, როგორც სადღესასწაულო წეს-ჩვეულება, ცერემონიალი, ოდინდელ დანაწესთა წაბაძვა, საზეიმო სვლა და დროის გარეშე გამეორება, გახსენება და აღდგენა, – ნაკლები სიცოცხლე, ვიდრე პირველად, მაგრამ მაინც მეტი ზეშთაგონებული ცხოვრება... კმარა, დიადი დრო წავიდა და მას ხორცმესხმულს ვედარა ვხედავ, მსურდა, მაგრამ მეუწყა, რომ

აღარ უნდა დამეშვა, ესე იგი, უარი უნდა მეთქვა, მოთმინებით დავლოდებოდი განახლებას. შინ დავრჩეთ! შეყვარებული კვლავ დაბრუნდება საკოცნელად, მარად ახალგაზრდა (ოჰ, რა გულისმომკვლეელია ფიქრიც კი, რომ ისიც დამორჩილება დროთა მსვლელობას, დროს თავისი კვალი დაუჩნევია წარმავალი სახისათვის, მოხუცებულა და აქ გვერდით სადღაცა ცხოვრობს, – ეს არცთუ აგრერიგად სასიამოვნოა და მანუგეშებელი, როგორც ის, რომ «ვერტერიც» განაგრძობს სიცოცხლეს «დივანის» გვერდით).

მაგრამ «დივანი» უკეთესია, მომწიფებული, დიადი, წმინდა, თავისუფალი ყოველგვარი პათოლოგიისგან. ეს წყვილი სანიმუშოა, უმაღლეს სფეროებამდე ამაღლებული. თავი გაგიხურდება ფიქრისგან, სულელურ მოტივირებათა რა კორიანტელი დააყენა მაშინ ჯერ კიდევ უწვერულვამო ყმაწვილმა. ამბობება საზოგადოების წინააღმდეგ, თავად-აზნაურთა სიძულვილი, ბიურგერული განაწყენება, – მაინცდამაინც ყველაფერი ეს შიგ უნდა შეგეტანა, დოყლაპიავ? პოლიტიკური ხრუკის სუნი ყველაფერ ამას აქვეითებს. იმპერატორი მართალი იყო, როცა მიკიჟინა: ეს რატომ ჰქენითო? კიდევ ჩემი ბედი, რომ ამას ყურადღება არ მიაქციეს, მთელი წიგნის ვნებიანი გახელების ანგარიშში ჩამითვალეს და დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს უშუალო მოქმედებისთვის არ იყო გათვალისწინებული. ბრიყვი, სულელი, ნორჩი ჭაბუკი, გარდა ამისა, დაუჯერებლად სუბიექტური. ჩემი მდგომარეობა მაღალ წოდებებთან ძალიან ხელსაყრელი და კეთილგანწყობილი იყო. შემდეგ უთუოდ ვუკარნახებ «ჩემი ცხოვრების» მეოთხე თავში, რომ «გოცის» წყალობით, თუმცა აქამდელი ლიტერატურის წესიერება იქ შეიძლება შელახულიც იყოს, მაინც უმაღლესმა წოდებებმა ჩინებულად მიმიღეს... სად არის ჩემი შლაფროკი? დავურეკოთ კარლს, თმის დასავარცხნად მოვიდეს. The readiness is all[250] – შეიძლება სტუმრები მოვიდნენ. რა სასიამოვნოა ეს რბილი ფლანგელი. რა კარგია ხელების უკან დაწყობა, როცა ეს მაცვია. დილაობით ეს მეცვა, რაინისპირა თაღოვანი გალერეის გასწვრივ წინ და უკან ბოლთას რომ ვცემდი კუთხიდან კუთხემდე ბრენტანოებთან და აივანზე ვილემერებთან. ამ დროს ვერავინ ბედავდა დამლაპარაკებოდა, იმის შიშით, ვაითუ, ფიქრში ხელი შევუშალოთო, თუმცა ზოგჯერ სულ არაფერზე არ ვფიქრობდი. მეტად სასიამოვნოა მოხუცი და დიდი კაცი იყო, მოწიწება და

მოკრძალება აუცილებელია. სადღა არ დამდევდა ეს ალერსიანი სამოსელი – შინაური ჩვეულება, რომელსაც მგზავრობისას თან წაიღებ, რათა ამით შეინარჩუნო შენი მუდმივი მეობა. დაიცვა იგი უცხოსაგან. ასევეა ეს ვერცხლის თასიც, ყველგან თან დამაქვს, ამასთან თავანკარა ღვინის რამდენიმე ბოთლიც, რომ არსად დამაკლდეს იგი, რათა ჭკუის სასწავლი და თვალის გამახარებელი უცხოეთი ჩემზე და ჩემს ჩვეულებაზე უფრო ძლიერი არ მეჩვენოს. საკუთარ თავს უნდა დაენდო, არ უნდა უღალატო, უნდა უერთგულო. თუ ვიღაც გაჰკილავს გაქვავებულობის გამო, დაე, რომოს სისულელე, რამეთუ არ

არსებობს წინააღმდეგობა მუდმივობასა, ცხოვრების ერთიანობისადმი მისწრაფებასა, მეობის შემომტკიცებასა და განახლებას, გაახალგაზრდავებას შორის; სრულიად პირიქით, ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთიანობაშია, თავის თავში ჩაკეტილ წრეში, სიკვდილის გამაძევებელ ნიშანში... აბა, გამალამაზე, ფიგარო, ბატისტა, თუ რა გქვია შენ! თმა დამიყენე, წვერი მე თვითონ ჩამოვიპარსე, – შენ ხომ კაცს ცხვირზე ჰკიდებ ხელს, როდესაც ზედა ტუჩის გაპარსვაზე მიდგება ჯერი, გლეხური ჩვეულებაა, ვერ ვიტან. იცის სტუდენტისა და მისი ლაზღანდარა ძმაბიჭების ამბავი? ერთმა სტუდენტმა თავის ძმაბიჭებში დაიქადა, მაღალი წოდების ერთ მოხუც ბატონს ცხვირს ავუწევო, და მასთან დალაქად დადგა, მოზრდილ ცხვირზე ყველას თვალწინ წაავლო ხელი და კეთილშობილი კაცის სახე აქეთ-იქით ატრიალა; ეშმაკობა გამჟღავნდა, მოხუც ბატონს ჯავრისგან დამბლა დაეცა, მისმა ვაჟიშვილმა ლაზღანდარა დუელში გაიწვია და მთელი ცხოვრება ქარაფშუტა სტუდენტი ხეიბარი დარჩა.

– მე ეგ არ ვიცი, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა აზრითა და მიზნით ჰკიდებს კაცი ხელს ვინმეს ცხვირს, მაგრამ თქვენი აღმატებულება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ...

– ჰო, გეყოფა, მე ჩემი ხელით მიყვარს გაპარსვა. ერთი დღიდან მეორე დღემდე ძალიან არ მეზრდება წვერი. მაგრამ ჩემს თმაზე იზრუნე, პუდრი მინდა შემაფრქვიო, რკინითაც აი აქა და აქ შეგიძლია ოდნავ დამიხვიო. სულ სხვა კაცი ხარ, როდესაც თმა შუბლიდან და საფეთქლებიდან ავარცხნილია და თავის ადგილზეა, მაშინ ფრეგატი მზად არის ბრძოლისთვის, მხოლოდ მაშინ ხდება თავი ნათელი, რამეთუ თმასა და ტვინს შორის იდუმალი კავშირია, დაუვარცხნელი ტვინი რად ვარგა.

იცი შენ, უფრო ლაზათიანი იყო ადრე, ძველ დროში, აკრეფილ-აკეცილი ნაწნავი. შენ ამაზე აღარაფერი იცი, პირდაპირ შვედურად გაკრეჭილი თავების ეპოქაში ჩამოვარდი, მე კი შორიდან მოვდივარ, მრავალი დროება გამოვარღვით, ამდენი რამ გამოვიარე, გრძელი ნაწნავიც მიტარებია და მოკლევც, სწორი და გაშლილი გვერდითი კულულებიც. კაცს მარადი იუდა ეგონები, ეპოქებში რომ მოგზაურობს და მაინც ერთი და იგივეა, ოღონდ ის ამას ვერც კი ამჩნევს, ჩვევები და სამოსელი კი ტანზე ერთმანეთს ცვლის.

– მართლაც ძალიან უხდებოდა თქვენს აღმატებულებას, თანაც მაშინდელი მოქარგული ტანსაცმელი, ნაწნავი და ყურებთან მოხვეული კულულები.

– უნდა გითხრა: ლამაზი, თავაზიანი, თავდაჭერილი დრო იყო და სიგიჟეს ამ ფონზე მეტი ფასი ედო, ვიდრე ახლა. მითხარი, განა რა არის თავისუფლება, თუ არა განთავისუფლება. ნუ იფიქრებთ, რომ მაშინ არ არსებობდა ადამიანთა უფლება-სამართალი. დიახ, არსებობდნენ ბატონები და ყმები. მაგრამ ესენი ღვთისგან დაწესებული წოდებები იყო, ღირსეული თითოეული თავის კვალობაზე, და ბატონს ჰქონდა პატივისცემა იმის წინაშე, რაც თვითონ არ იყო, ყმის ღვთით ბოძებული წოდების წინაშე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იმ ხანებში უფრო მეტად იყო გავრცელებული შეხედულება, რომ ადამიანური ცხოვრების ავ-კარგი ყველამ უნდა გამოიაროს, სულერთია, წარჩინებულია თუ მდაბიოთაგანი.

– მაგრამ, თქვენო აღმატებულებავე, აღარ ვიცი, ბოლოს, ჩვენ, პატარებმა, ხომ უფრო მეტი სიმწარე გამოვიარეთ და მთლად ვერ დავენდობით დიდებულთა ღვთით ბოძებული წოდების პატივისცემას მცირეთა წინაშე.

– შენ მართალი უნდა იყო. როგორ გინდა, გეკამათო? მე, შენი ბატონი, სავარცხლისა და გახურებული რკინის ქვეშ გყავარ, შეგიძლია თმა დამაწიწკნო და დამიწვა, თუ შეგედავები, ჯობია ჭკვიანად ვიყო და ენას კბილი დავაჭირო.

– რა წმინდა, ფაფუკი თმა გაქვთ, თქვენო აღმატებულებავე!

– უკეთ, შენ გინდა მითხრა – თხელიაო.

– არა, შეთხელებას ახლა იწყებს ცოტაოდნავ, ისიც მხოლოდ შუბლთან. მე ვამბობ: რა წმინდაა, რა ნაზია თითოეული ღერი

თმა, აბრეშუმით რბილი, მამაკაცებში იშვიათია ასეთი თმა.

– რას იზამ. ესეც კარგია. ასეთი ხისგან გამომთალა ღმერთმა.

საკმაოდ გულცივად და უკმაყოფილოდ არის ნათქვამი? საკმაოდ გულგრილად საკუთარი ბუნებრივი თვისებებისადმი? პარიკმახერები ყოველთვის პირფერობენ, და ამ კაცსაც გადასდებია თავისი წოდების ჩვეულებანი, იმ ხელოსანთა წოდების ჩვეულებანი, ახლა რომ საქმიანობს. ჩემს თავმომწონეობასა და პატივმოყვარეობას უნდა აამოს. ვეჭვობ, ფიქრობდეს, რომ პატივმოყვარეობასაც სხვადასხვა სახე და ფორმა, სხვადასხვა საზომი და სხვადასხვა მგზნებარება აქვს, რომ იგი შეიძლება იყოს ღრმა საქმიანობა, უსერიოზულესი, ჩაფიქრებული თვითგანმჭვრეტელობა, თვითდაკვირვება, ავტობიოგრაფიული გაშმაგება, დაჟინებული ცნობისმოყვარეობა შენი ფიზიკურ-ზნეობრივი ყოფის ასავალ-დასავლისადმი, შორს მიმავალი, დახლართული გზებისა და ბუნების ქუფრი ლაბორაციებისადმი, რომელთაც შენი არსების წარმოშობამდე მიგიყვანეს, იმ არსებისა, შენ რომ ხარ, და ქვეყნიერებას რომ აოცებს. ამრიგად, მისი მლიქვნელური სიტყვა, ჩვენი ქმნილების ფიზიკურ თვისებებს რომ ეხება, მოქმედებს არა როგორც მეობის მსუბუქი, ზერელე მაამებლობა თუ გაღიზიანება და თავმოყვარეობის ღიტიანი, როგორც ეგ ფიქრობს, არამედ როგორც ბედნიერ-უძნელეს საიდუმლოებათა ხელშემშლელი, შემაშფოთებელი გახსენება. მე იმ ხისგან ვარ, ბუნებამ რომ გამომთალა. გათავდა, მორჩა! ისეთი ვარ, როგორიც ვარ, და ვცოცხლობ, მახსოვს რა სიტყვა, რომ არაცნობიერად ჩვენ მუდამ უფრო შორს წავიწევთ, როს მხნედ ლაჟვარდში გავინავარდებთ. ეს სწორია, ეს კარგია. მაგრამ მთელი ეს გულმოდგინე ავტობიოგრაფიული მუშაობა? ზუსტად არ ეთანხმება გაბედულ პრინციპს. და თუ იგი მხოლოდ ქმნადობას ეძღვნება, იმის დიდაქტიკურ ჩვენებას, როგორ ყალიბდება გენიოსი (რაც ისევ და ისევ მეცნიერული პატივმოყვარეობაა), მაშინ მაინც საფუძვლად მუდამ უდევს ქმნადობის მასალის, არსისადმი ცნობისმოყვარეობა, რაც აგრეთვე ქმნილი არსი და შორიდან მომავალი სიცოცხლის ნაყოფია, შედეგია. მოაზროვნეები ხომ აზროვნებენ აზროვნებაზე. მაშ, რატომ არ უნდა აზროვნებდეს შემოქმედი შემოქმედებაზე, როცა იგი კვლავ ქმნის ქმნილებებს და მთელი ეს შემოქმედება შეიძლება იყოს მხოლოდ უაღრესად პატივმოყვარე ჩაღრმავება შემოქმედის ფენომენში – რაღაც

ეგოცენტრული ნაწარმოები? – წმინდა, ნაზზე უნაზესი თმა. აი, ხელი მიდევს საპუდრეზე. სულაც არ შეეფერება იგი წმინდაზე წმინდა, წვრილ თმას. ეს ხელი სულაც არ გახლავთ დიდგვაროვნის წვრილი, სულით გაცისკროვნებულ-გაფაქიზებული ხელის მტევანი კეთილშობილი კაცისა, არამედ ფართო და მტკიცეა, ხელოსნის ხელია, მენალბანდეების, მჭედლებისა და ყასბების თაობიდან მემკვიდრეობით რომ დამყვა.[251] როგორ შეერთდა შემთხვევით და ასე ბედნიერად შესაძლო შეუძლებლობაში სინაზე და სიმარჯვე, სისუსტე და სიმტკიცე, უძლურება და სიტლანქე, უგუნურება და გონიერება, საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს გაუშინაურდნენ, ერთმანეთში აირივნენ იმისთვის, რომ ბოლოს ტალანტი, ფენომენი გამოჩენილიყო? ბოლოს! მხოლოდ ბოროტთა თუ კეთილთა მწკრივს მოაქვს ქვეყნისთვის საშინელება, მოაქვს ამქვეყნიური სიხარული. განა ერთად არ გავიაზრე ნახევარღმერთი და ურჩხული, როდესაც «იფიგენიას» ვწერდი, განა ერთი მეორედ არ ვაღიარე, და განა არ ვიცოდი, რომ არაფერი გამოვა, თუ სიხარულში ცოტა საშინელება არ გაურიე, თუ ნახევარღმერთში ურჩხული არ გაიაზრე? ბოროტი და კეთილი – რა იცის ბუნებამ მათ შესახებ, როდესაც თვით ავადმყოფობასა და ჯანმრთელობაზე ბევრი არაფერი იცის და ავადმყოფურისგან ქმნის სიხარულსა და გამოცოცხლებას? ბუნებავ! ჯერ ერთი, შენ თვით ჩემი თავით ხარ ჩემთვის მოცემული – მე შენ უღრმესი გრძნობით გგრძნობ თვით ჩემივე თავით. ამაზე შენ თვითონ მომეცი განმარტება: თუ მოდგმა დიდხანს შეინარჩუნებს თავს, მაშინ, სანამ ამოწყდებოდეს, ჩნდება ინდივიდუუმი, რომელიც ყველა თავის წინაპარს შეიცავს თავის თავში და აქამდე გათიშულ და სუსტად მინიშნებულ ნიჭსა და უნარს შეაერთებს და სრულად წარმოადგენს. მარჯვედ არის ფორმულირებული, შენიშნულია მზრუნველობითა და დამრიგებლურად, ადამიანთათვის უკეთესად შესამეცნებლად – ბუნების მეცნიერება, გონივრულად განყენებული საკუთარი არცთუ უხიფათო ყოფიერებისგან. ეგოცენტრულია! როგორ არ იქნება ეგოცენტრული იმისთვის, ვინც იცის, რომ იგი ბუნების მიზანია, შეჯამებაა, დასრულებაა, აპოთეოზია, უმაღლესი და უკანასკნელი შედეგია, რის მისაღწევადაც ბუნებას უდიდესი გარჯა დასჭირდა? მაგრამ ესოდენ უცნაურად ხელსაყრელი და ღვთიბუნებური გამოდგა გვარეულობათა სისხლის ყოველი შერევა, მთელი ეს გამოყვანა და გამოზრდა,

გამრავლება, მოქალაქეთა ბუდობა, გვართა ერთმანეთთან შეჯვარებანი, დაქორწინებანი საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც მეზობელი მხრიდან ჩამოსულმა ქარგალმა ჩვეულების თანახმად, ოსტატის ქალიშვილი დაწინდა[252] და გრაფის ლაქიას თუ თერძის ქალიშვილი ცოლად შეირთო ცნობილმა მიწათმზომელმა თუ უწყების განსწავლულმა ხელმძღვანელმა, – ძირმოდგმათა ეს სისხლხორცეული შეთხზვა და შერევა ესოდენ საოცრად სვებედნიერი და ღვითკურთხეული როგორ იყო? ქვეყნიერება ნახავს, რომ ეს

ყოველივე ჩემთან მოდის, ჩანასახში სახიფათო მიდრეკილებანი, საიდანღაც მიღებული ხასიათის ძალების შემწეობით დავძლიე, გამოვიყენე, მოვიხმარე, გარდავქმენი, გავაკეთილშობილე, გავასხივოსნე, ზნეობრივად გავაფაქიზე, კეთილისა და დიადისკენ იძულებით მივმართე. მე ცხოვრების მძაფრი გაჭირვების ჯამბაზი ვარ, ბუნების ზედმიწევნით გამოზომილი, ჰარმონიულად გაწონასწორებული ბედნიერი შემთხვევა, ხანჯლებით ცეკვა სიძნელესა და სილაღის სიყვარულს შორის, მხოლოდ პირდაპირ შესაძლებელი, რაც გენიაც შეიძლება იყოს, გენია მუდამ მხოლოდ სწორედ შესაძლებელია. ადამიანები, დიდი-დიდი, შენს შემოქმედებას აფასებენ, შენს ცხოვრებას – არავინ აფასებს. მე გეუბნებით თქვენ: «აბა, მომბადეთ ისე, რომ კისერი არ მოიტეხოთ!»

რა იყო ეს შენი შიში ქორწინების წინაშე, შენი მსწრაფლწარმავალი გრძნობა აკრძალვისა და უაზრობისა იმის წინაშე, რომ გააგრძელო მოქალაქეობრივ ყაიდაზე და წინაპართა მაგალითისამებრ შენი მოდგმა და კავშირი, უმიზნო შემდგომი ძიება სისხლთა კომბინირებისა მიზნის მიღმა, როცა მიზანი მიღწეულია? ჩემი ვაჟიშვილი თავისუფალი, შემწეობის ნაყოფია, დაგმობილი და უზნეო ურთიერთობის ნაშიერი, მიზანს მიღმა დაბადებული, დასკვნითი ნაწილი, ეპილოგი. განა არ ვიცი? ბუნებამ ზურგი შეაქცია, მისკენ არც კი იყურება, მე კი ამიხირებია, მინდა მივეშველო, თითქოს უფლება მქონდეს, თითქოს შემეძლოს მასში ერთხელ კიდევ თავიდან დავიწყო განახლება იმით, რომ დავაქორწინებ მას იმ «პერზონჰენზე», რომელიც იმ მოდგმისაა, მე რომ მუდამ გავურბოდი. რას ვიზამთ, დავემყნოთ პრუსიულ სისხლს, რომ დასკვნით ნაწილში ერთხანს კიდევ ჟღერდეს უკანასკნელი აკორდი, რომლის ხმაზეც ბუნება მთქნარებითა და მხრების აჩეჩით შინ მიემშურება. მე ვიცი საქმის ვითარება, მაგრამ ცოდნა

ერთია, გული და გრძნობა – მეორე. მიუხედავად ამისა, მას თავისი უფლებების განმტკიცება სურს – თვით ცივი ცოდნის წინააღმდეგაც კი. უპირველესად წესიერი და გულითადი ვითარება შეიქმნება, როდესაც სახლში ლილი იბატონებს და მოხუცი თავაზიანად იოხუნჯებს მასთან, და თუ ღმერთი ინებებს, შვილიშვილებიც მეყოლება, თმახუჭუჭა შვილიშვილები, შვილიშვილები-ლანდები, გულში რომ არარაობის ჩანასახი ექნებათ, – ისინი ურწმუნოდ და უიმედოდ გეყვარება, რადგან ეს სულსა და გულს სწყურია.

მას, ჩემს დას, კორნელიას,[253] ქალისსახოვან ჩემს მეორე «მეს», რომელიც ქალად არ იყო შექმნილი, რწმენა, სიყვარული და იმედი არ ჰქონდა გულში. მისი ქმრისადმი სიძულვილი ხომ არ იყო ფიზიკური მსგავსება იმისა, რომ შენ გაურბოდი ქორწინებას? გაურკვეველი არსება-გამოცანა, მეტიმეტად უცხო დედამიწაზე, ადამიანი, რომელიც გაუგებარი იყო თავისთვისაც და სხვისთვისაც, მკაცრი იღუმენი, არაბუნებრივი, საძულველი მშობიარობისგან მეტიმეტად გატეხილი და ჩამკვდარი – ასეთი იყო შენი ღვიძლი და, ერთადერთი იმ ოთხთაგან, მისდა საუბედუროდ, შენთან ერთად ადრეულ სიყმაწვილის წლებში ცოცხალი რომ დარჩა. სად არიან დანარჩენები? საოცრად ლამაზი გოგონა, წყნარი, თავნება, ჯიუტი, უცნაური ბიჭი, ჩემი ძმა?[254] ისინი დიდი ხანია აღარ არიან, გაჩნდნენ თუ არა, მაშინვე გაქრნენ, ხეირიანად არც კი დაუტირებიათ, რამდენადაც მახსოვს. და-ძმათა ზმანება, ძლივს შესაცნობი, თითქმის დავიწყებული...

«თქვენ გამისწართ, არჩიეთ გაყრა, მე კი წილად მხვდა ქვეყნად დარჩენა, – არც დაგიკარგავთ ბევრი რამ თქვენა». მე თქვენს ადგილზე ვარ, თქვენს ნაცვლად, თქვენს ხარჯზე ვცოცხლობ და აღმართზე მივაგორებ ქვას ხუთის მაგიერ. ნუთუ ასეთი ეგოისტი, სიცოცხლეს მოწყურებული და ხარბი ვარ, რომ ჯალათურად ყველაფერი მივითვისე, თქვენი წილი სიცოცხლეს? მაგრამ არსებობს უფრო ღრმა, უფრო დაფარული დანაშაული, ვიდრე ის, ჩვენ რომ შეგნებულად ემპირიულად ჩავდივართ. ან იქნებ მათ ძალა მხოლოდ იმისთვის ეყოთ, რომ მხოლოდ ერთი გაეჩინათ გამოჩენილი ცხოვრებისთვის, ხოლო სხვებისთვის სიკვდილი ერგუნებინათ, რაკი მამა დედაზე ორჯერ უფროსი იყო, როცა მასზე ჯვარი დაიწერა? ღვთით კურთხეული ნეტარი წყვილი იყო – მსოფლიოს გენიოსი აჩუქეს. თან უბედური წყვილი. დედიკომ, მხიარული ბუნების

ქალმა, თავისი საუკეთესო წლები გაატარა მიხრწნილი ტირანის სასთუმალთან მომვლელად. კორნელიას სძულდა მამა – შესაძლებელია იმიტომაც, რომ ამქვეყნად გააჩინა. განა სიძულვილის ღირსი არ იყო ეს პირქუში, ბუზღუნა, სამსახურში შრომისუნარდაკარგული, ნახევრად სულელი, მეთავისე უხიაკი კაცი, მომაბეზრებელი პედანტი, რომელსაც სუფთა ჰაერის ყოველი ჭავლი მისგან ჯაფით დამყარებულ წესრიგს ურღვევდა, მომჩივანი ჰიპოქონდრიკი? შენ ბევრი რამ დაგყვა მისგან, – წარმოსადეგობა და ზოგიერთი საქციელი, დაგროვების სურვილი, ფორმალობა და ყოველმხრივი საქმიანობა, – მისი პედანტიზმი შენ მხოლოდ გარდაქმენ. რაც უფრო ხანში შედიხარ, მით უფრო მეტად იჩენს თავს შენში მოხუცის ლანდი, შენ ცნობ მას შენში, აღიარებ მას, შეგნებითა და შეუდრეკელი ერთგულებით მისდევ მას, მამის ნიმუშს, ესოდენ თაყვანს რომ ვცემთ. სული, გრძნობა და გონება, დიახ, მე მწამს იგი, და მინდა მწამდეს. სიცოცხლე შეუძლებელი იქნება, თუ როგორღაც არ გაალამაზე სულის გამათბობელი მოტყუებით, – მის ქვეშ ხომ გამყინავი სიცივეა. შენ გადიდებენ და სძულხარ გამყინავი ჭეშმარიტების გამო და მაინც გირიგდებიან. ამასთან ერთად, ქვეყნიერება უნდა შემოირიგო სულის მხიარული, გულმოწყალე ტყუილით. მამაჩემი ერთი პირქუში პატიოსანი კაცი იყო – ამით ის მინდა ვთქვა, რომ უკვე ხანში შესული მშობლების გვიან დაბადებული შვილი იყო, ჰყავდა ძმა, აშკარა გიჟი, რომელიც ასე მოკვდა ჭკუაზე შეშლილი,[255] როგორც საბოლოოდ მამაჩემიც. წინაპარი მშვენიერთა გულის მომნადირებელი იყო, – დიახ, მხიარული, მხნე გულისა და სულის გამო, ტექსტორი[256] გახლდათ იგი, დედაჩემის მამა, მოქეიფე, ცივად მოაზრე, მაგრამ მოარშიყე,

კაბიტმასნია, სამარცხვინოდ წარდგომიან თავზე გამძვინვარებული ქმრები, ამასთან ჭეშმარიტი მეოცნებე ყოფილა, წინასწარმეტყველების ნიჭიც ჰქონია. უცნაური ნარევია! ალბათ, ყველა ჩემი და-ძმა უნდა ამომეხოცა, რათა ჩემში მართებული და სასიამოვნო ფორმები მიეღოთ, მსოფლიოსთვის სასიამოვნო და მიმზიდველი. თუმცა საკმაო

ცდომილი გრძნობა ჩემშიც ჩარჩენილა, ვითარცა ბრწყინვალეების ქვენიდადაგი, და რომ წესრიგიანობის დაცვის მიდრეკილება და ნებისყოფა მემკვიდრეობით არ დამყოლოდა, გულმოდგინე თავის მოფრთხილების ხელოვნება, თავდაცვის მოწყობილობათა მთელი სისტემა არა მქონოდა, რა მეშველებოდა! როგორ მძულს სიგიჟე, შეშლილი გენიალობა და

ნახევრად გენიალობა, თვით პათოსიც კი, ექსცენტრული მანერები, მეზიზღება ზარ-ზეიმი! სულშიც კი განვერიდები, თავიდან ვიცილებ, არც კი შემიძლია ეს გამოვთქვა. სითამამე, შემართება – აი, ეს საუკეთესო და ერთადერთი რამ არის, იგი აუცილებელია, მაგრამ სრულიად წყნარი, სრულიად წესიერი, მთლად ირონიული, უამრავი პირობითობით შეფარებული, ასეთი მინდა ვიყო და ასეთი ვარ. აქ იყო ჭაბუკი, – რა ერქვა? – ფონ ზონენბერგი,[257] კიმბრიელს[258] რომ ეძახდნენ, კლოკშტოკის წრიდან, ქცევა ველური და მძვინვარე ჰქონდა, თუმცა არსებითად კეთილი გულისა იყო. მისი ცხოვრების საქმე გახლდათ ლექსი «განკითხვის დღეზე», [259] – გიჟური წამოწყება, უგუნური და არათავაზიანი, აპოკალიფსური ურჩხული, საშინელი გამმაგებით გადმოცემული. მე ცუდად გავხდი, ისევე როგორც ცუდად გავხდი «საბრალო ჰაინრიხის» [260] კითხვის დროს. საბოლოოდ გენია ფანჯრიდან გადაეშვა. განვედი ჩემგან! განმერიდე!

კარგია, რომ ასე წესიერად დამვარცხნა და გამომაწყო, ღირსეულად, მოხდენილად, ოდნავ ძველებურად. თუ გვესტუმრებიან, თანაბარი, მოზომილი ხმით გულგრილად ვილაპარაკებ განურჩეველ საგნებზე ორივე მხარის დასამშვიდებლად, ისე რომ სულაც არ გამოვიყურებოდე გენიოსივით და იდუმალი აჩრდილივით, რომელსაც სანუკვარი საშუალო ყაიდის ხალხი ნახევრად შიშით და ნახევრად გართობით შეჰყურებს. შემდეგ ერთმანეთს უნდა ელაპარაკონ ჩემს ნიღაბზე, ამ შუბლზე, მრავალგზის ყბადაღებულ განთქმულ თვალებზე, რომლებიც, თუ სურათების მიხედვით

ვიმსჯელებთ, ტექსტორზე გათხოვილი დიდედისგან, ნეტარხსენებული ლინდჰაიმერთა ასულისგან უბრალოდ მემკვიდრეობით დამყვა, ასევე თავის მოყვანილობა, პირი და ხმელთაშუაზღვისპირული სახის ფერი. რას ნიშნავს ჩვენი ფიზიოგნომიური გარსი? ეს ყველაფერი უკვე იყო ასი წლის წინ და მაშინ მხოლოდ მხნე, ჭკვიანი, გამრჯე შავგვრემანი ქალის ბუნებას გამოხატავდა. ეს ბუნება თვლემდა დედაჩემში, რომელიც სულ სხვა წყობისა იყო, და ამან ჩემს პიროვნებასა და გარეგნობაში პოვა გამოხატულება იმით, რაც ვარ, და მივიღე გონისეული წარმომადგენლობა, რომელიც სხვას არასგზით არ ჰქონია და ვერც ვერასოდეს მოიპოვებდა. რა აუცილებლობით გამოხატავს ჩემი ფიზიკური მხარე ჩემს გონისეულს? შეიძლებოდა არ მქონოდა ჩემი თვალები, ისე რომ ზუსტად

გოეთეს თვალები არ ყოფილიყო? მაგრამ ლინდჰაიმერებს დავენდობი; ალბათ, მათგან არის, რაც ჩემში ღირსეული და საუკეთესოა. მიხარია, როცა ვფიქრობ, რომ ადრინდელი მათი საცხოვრისი, რომლის სახელიც ჰქვიათ მათ, სულ ახლოს იყო რომის სასაზღვრო ხაზთან, ვიწრო ხეობაში, სადაც ოდითგანვე ანტიკური და ბარბაროსთა სისხლი ერთმანეთს ერეოდა. იქიდან მოდის, იქიდან მოგდგამს სახის ეს ფერი, ეს თვალები და განზე დგომა, მანძილი გერმანელთაგან, თვალი რომ დაგიდგამს მათი მდაბიურობისთვის, ათასი ფესვით რომ კვებავს შენს გაღიზიანებულ ანტიპათიას ეშმაკის კერძი ხალხის წინააღმდეგ, რომლის წყალობითაც ცოცხლობ და რომლის წინააღმდეგაც ცხოვრობ, რომლის განათლებისთვის ხარ მოწოდებული და ვისთვისაც ამ აუწერელ მძიმე და გულმოდგინე შრომაში ხარ ჩაბმული, არა მარტო რანგით, არამედ უკვე ინსტინქტითაც იზოლირებულ ცხოვრებას ეწევი, რაც მათ აიძულებს პატივი გცენ და არცთუ ხალისით გაღიარონ, რომ შემდეგ გაგკილონ, სადაც კი შეუძლიათ. განა მე არ ვიცი, რომ ყველას თქვენ გულის სიღრმეში ტვირთად გაწევართ? როგორ შეგირიგდეთ? არის საათები, როდესაც გულით მინდა თქვენთან შერიგება! ეს შეიძლება მოხერხდეს, – ზოგჯერ ხომ ხდება ხოლმე, – შენც ხომ მათი ჯილაგის ხარ, შენშიც ხომ ბევრია საქსონიური, ლუთერანული, რის გამოც სიხარულით ამაყოფ, მაგრამ შენი სულისკვეთებითა და არსებით მაინც არ შეგიძლია ნათელი მოჰფინო, მიმზიდველობა მისცე, ირონიაში განაზავო, განწმინდო და აამაღლო. ისინი არ ენდობიან შენს გერმანელობას, ან ჰგონიან, რომ მას ბოროტად იყენებ, და შენი დიდება მათთვის სიძულვილისა და ტანჯვის ბადალია. გულის მომწყვლელი არსებობაა; ებრძვი, ეწინააღმდეგები ხალხს, რომელსაც მაინც ეყრდნობი მოცურავესავით. დაე იყოს ასე, ეს როდი მაწუხებს. მაგრამ მათ რომ სიცხადე სძულთ, ეს არ არის სწორი. ჭეშმარიტების მიმზიდველობას რომ არ ცნობენ, ეს არის სავალალო, მათთვის რომ ესოდენ ძვირფასია ბული და ბანგი და ყოველგვარი თავაწყვეტილი, გაშმაგებული უზომობა, ეს უმსგავსობაა. ყოველ შმაგ და ჭკუაგადაცდენილ არამზადასა და თაღლითს რომ ბრმად ენდობიან და სწამთ მისი, ის რომ მათში ქვენა გრძნობებს აღვიძებს, მათ ბიწიერებასა და მანკიერებას უღვივებს, უძლიერებს და ასწავლის, რომ ეროვნულობა გაიგონ როგორც იზოლირება და უხეშობა. თავისი თავი რომ დიდ და ძლიერ რაღაცად ეჩვენებათ, მთელ თავიანთ ღირსებას რომ სულ ერთიანად ფლანგავენ, ღვარძლიან ნაღველს რომ

ანთხევენ იმას, რასაც უცხოელნი გერმანიად მიიჩნევენ და პატივს სცემენ. აი, ეს არის სამწუხარო. არა, მე მათ ვერ შევურიგდები. ისინი მე ვერ მიტანენ, ისევე როგორც მე ვერ ვიტან მათ, ბარი-ბარში. ჩემი გერმანელობა მე ჩემთვის მაქვს. თავიანთი ბოროტი ფილისტერობით, რასაც ისინი თავიანთ გერმანელობას ეძახიან, ეშმაკსაც წაუღია. ისინი ფიქრობენ, რომ თვითონ არიან გერმანია, მაგრამ გერმანია მე ვარ, და თუ გერმანია ძირფესვიანად აღმოიფხვრება, იგი ჩემში განაგრძობს არსებობას. მოიქეციოთ ისე, როგორც გნებავთ, ნუ მიიღებთ ჩემსას, ხელი ჰკარით, მე მაინც თქვენთვის ვიღვწი. საქმეც ის არის, რომ მე უფრო შერიგებისთვის ვარ გაჩენილი, ვიდრე ტრაგედიისთვის. და განა მთელი ჩემი მოღვაწეობა, მთელი ჩემი საქმე, როგორც ერთის, ისე მეორის შერიგება და

შეთანხმება, დასტური, აღიარება და ნაყოფიერება, წონასწორობა და თანხმობა არ არის? მხოლოდ ყველა ძალა ერთად შეადგენს სამყაროს, და მნიშვნელოვანია თითოეული, თითოეული ღირსია განვითარებისა, და ყოველი მიდრეკილება, ყოველი უნარი თავის თავს მხოლოდ თვითონ ამთავრებს. ინდივიდუალობა და საზოგადოება, ცნობიერება და მიამიტობა, რომანტიკა და გერგილიანობა – ორივე, როგორც ერთი, ისე მეორე, მუდამ სრულად და თანაბრად უნდა მიიღო, შეიწოვო, შეითვისო, რათა მთლიანი იყო, შეარცხვინო ყოველი პრინციპის მომხრე პარტიზანი და მიმდევარი პრინციპის ბოლომდე მიყვანით, ისევე როგორც სხვა, მოპირისპირეც... ჰუმანურობა, როგორც უნივერსალური ყველგანარსებობა, როგორც უმაღლესი, მაცდური პირველხატი, როგორც იდუმალ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული პაროდია, მსოფლიო ბატონობა როგორც ირონია და მხიარული ღალატი ერთისა მეორისადმი, – ამით ტრაგედია დაძლეულია. იგი ემხოება იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის ოსტატობა, სადაც ჯერ კიდევ არ არის ჩემი გერმანელობა, რაც ამ ბატონობასა და ოსტატობაში მდგომარეობს, – წარმომადგენლობითი წესით, რადგან გერმანელობა თავისუფლებაა, განათლებაა, ყოველმხრივობა და სიყვარულია. მათ რომ ამეებზე არაფერი იციან, ეს საქმეს არ ცვლის. ტრაგედია ჩემსა და ამ ხალხს შორის? აჰ, მერე რა, მართალია, ვჩხუბობთ, მაგრამ იქ, ზემოთ, მსუბუქ, ღრმა თამაშში მე მინდა ვიზეიმო სამაგალითო შერიგება, მე მინდა ღრუბლებით დაფარული ჩრდილოეთის მაგიურად გამრითმავი სული შევუერთო ტრიმეტრიულად მარადიული ლაჟვარდის გონს გენიოსის შესაქმნელად. «მითხარი მაინც, როგორა ვთქვა

ასე ლამაზად? – გულიდან უნდა იღვრებოდეს თავისით, ლაღად».

– მე მიბრძანეთ რამე, თქვენო აღმატებულება?

– როგორ? არა! განა ვთქვი რამე? მაშ, შენთვის არ მითქვამს, ჩანს, ჩემს თავს ველაპარაკებოდი. სიბერის ბრალია, იცი, ადამიანი მაშინ იწყებს თავის თავთან ბუტბუტს.

– სიბერის ბრალი კი არ არის ეს, თქვენო აღმატებულება, არამედ აზროვნების სიცხოველისა. თქვენ ალბათ ახალგაზრდობაშიც სიამოვნებით ლაპარაკობდით თქვენს თავთან.

– აქაც მართალი ხარ. უწინ უფრო ხშირად მემართებოდა ეს, ვიდრე დღეს, ჭარმაგობის წლებში. თავის თავთან ლაპარაკი ცოტა სულელური რამ არის და ახალგაზრდობაც ცოტა მოსულელო ხანაა, მაშინ ეს თითქოს შესაფერია, მაგრამ გვიან უკვე აღარ ვარგა. მე დავქროდი ველ-მინდვრად, გული მიჩქროლავდა, სისხლი მიდუღდა, სანახევროდ რაღაც უაზრობას წარმოვთქვამდი და ლექსი გამოდიოდა.

– დიახ, თქვენო აღმატებულება, ეს ხომ სწორედ ის იყო, რასაც გენიალურ შთაგონებას უწოდებენ.

– შესაძლებელია. მე კი ვიტყვოდი, ასე უწოდებენ ისინი, ვისაც ეგ არ გააჩნია. უფრო გვიან ამ მოსულელო ბუნებას უნდა მოჰყვეს წინასწარგანზრახულობა და ხასიათი, და რასაც ისინი ქმნიან, ძირითადად გასაგებია და ძვირფასია ჩვენთვის. – ბოლოს, გამიშვებ თუ არა? მალე უნდა დაამთავრო. შენი მხრივ მართალი ხარ, რომ შენი საქმე მთავარ რამედ მიგაჩნია, მაგრამ ცხოვრებისთვის მზადება მართებულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს თვით მისდამი.

– გეთანხმებით, თქვენო აღმატებულება. მაგრამ საქმე ხომ უნდა მოთავდეს. ბოლოს, ხომ ვიცი და შეგნებული მაქვს, ვის ემსახურება ჩემი ხელები, – ინებეთ სარკე.

– მშვენიერია, მშვენიერია! მომეცი ახლა კელნის წყალი, ოდეკოლონი ჩემი ცხვირსახოცისთვის. ო, რა კარგია! რა სასიამოვნოა, გამაცოცხლებელი გამოგონებაა, ის შეპუდრული პარიკების დროსაც არსებობდა და მთელი ჩემი ცხოვრება ხარბად გიყნოსავდი. იმპერატორ ნაპოლეონსაც თავით

ფეხამდე ოდეკოლონის სუნი ასდიოდა, – იმედია, მას იგი არც წმინდა ელენეს კუნძულზე აკლია. მცირე სიხარული და ცხოვრების მცირე სიკეთე თუ მაღლი, უნდა იცოდე, ფრიად მნიშვნელოვან რამედ იქცევა, როდესაც თვით ცხოვრებაც და გმირული საქმეებიც დამთავრებულია. ასეთია კაცი, ასეთია ადამიანი! და აი ჩაკეტეს იგი იქ, ლაგამი ამოსდეს მის დაუოკებლობას დაუძლეველ ზღვის სივრცეში, რათა მსოფლიომ მისგან მოისვენოს, მშვიდობა ჰქონდეს და აქ ჩვენც ცოტა ხანს მშვიდად მივხედოთ ჩვენ-ჩვენს საქმეს... სრულიად სამართლიანადაც მოხდა, რადგან ახლა ომებისა და ეპოპეების დრო აღარ არის, «მეფე გარბის და მოქალაქე ხარობს, ზეიმობს», ახლა დგება სასარგებლო ხანა, უნდა დაინახოთ, რომ ახლა ფულთან და მიმოსვლასთან, გონიერებასთან, ვაჭრობასთან, დოვლათიანობასა და კეთილდღეობასთან გვაქვს საქმე. როგორ შეიძლება არ გსურდეს და არ გწამდეს, რომ თვით საყვარელი ბუნება მოეგო გონს და სამუდამოდ უარი უთხრა შეშლილ, ციებცხელებიან თავზარდამცემ რყევებს, რათა მშვიდობა და დოვლათი სამუდამოდ უზრუნველყოფილი იყოს. მთლად გამახალისებელი იდეაა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. მაგრამ როდესაც წარმოიდგენ, თუ რა უნდა ხდებოდეს ამ სტიქიის ნატეხში, რომლის ძალებიც წყალთა უდაბნოეთის დუმბილში უნდა ჩაიხრჩოს, ბორკილდადებულ, ყოველ საქმეს მოკვეთილ ბუმბერაზს და ნაცარწაყრილ ეტნას, რომლის გულშიც ყველაფერი დუღს და ბობოქრობს, ისე რომ ცეცხლოვანი ნაკადები გამოსასვლელს ვერ პოულობენ, უნდა იცოდე, რომ თუმცა ეს ლავა გამანადგურებელია, მაგრამ ანაყოფიერებს კიდევაც, – აქ სუნთქვა შეგეკვრება, სიბრალულის გრძნობა შეგიპყრობს, თუმცა ამ შემთხვევაში სიბრალული და თანაგრძნობა სრულიად უადგილო გრძნობებია. მაგრამ მას შეუძლია მაინც მოისურვოს, რომ კიდევ ჰქონდეს თავისი ოდეკოლონი, რომელსაც ასე მიჩვეულია. მე მზად ვარ, კარლ, მოახსენეთ ჰერ ჯონს, რომ შემოიხედოს.

– ელენე, წმინდა ელენე![261] კუნძულსაც რომ ეს სახელი ჰქვია, სადაც ახლა ის ზის. მე ხომ მას ვეძებ, ელენეს, ჩემს ერთადერთ სურვილს, ესოდენ ლამაზს, მომხიბლავსა და რჩეულს, ამ ლამაზსაც რომ იგივე სახელი ჰქვია, რაც პრომეთეს წამების კლდეს, ასულსა და საყვარელს, რომელიც მთლად მე მეკუთვნის და არა სიცოცხლეს, არა დროს, და მხოლოდ პოეტურ ნატვრას ვყავარ მიჯაჭვული ამ ცხოვრების

ბინდისფერ, დაუძლეველ შემოქმედებაზე – საოცარი რამ კი არის ცხოვრებისა და ბედისწერათა ასეთი გადახლართვა! აი, საწერი მაგიდა, მყუდრო სამუშაო ადგილი. ღამით მოსვენებული, დილაადრიან გამოფხიზლებული, კვლავ ახალი მიღწევებისკენ მიხმობს. აქ არის დამხმარე სახელმძღვანელოები, წყაროები, სტიმულაციები, სწავლულ სამყაროთა ყველა საშუალება და მონაპოვარი შემოქმედებითი მიზნისთვის. რაოდენ საინტერესოა მთელი ცოდნა, რომელსაც შეუძლია გაგიმდიდროს, განგიმტკიცოს შემოქმედება, თან თამაშისთვის ვარგისია. შეუფერებლისთვის გონი დახშულია. მაგრამ საჭირო და შესაფერი, რასაკვირველია, სულ უფრო იზრდება, რაც უფრო კაცი ხანში შედის, რაც უფრო ფართოდ იშლება, და თუ ასე განაგრძობს, მალე არასაჭირო და შეუფერებელიც აღარაფერი რჩება. აი ეს, მცენარეთა მახინჯი განვითარებისა და ავადმყოფობათა შესახებ, დღეს უნდა განვაგრძო კითხვა, დღეს – ნაშუადღევს, თუ მოვიცალე, ან საღამოს. გადახვევანი, არასწორი წარმონაქმნები და შემზარავი სიმახინჯე, ურჩხული უაღრესად მნიშვნელოვანია სიცოცხლის მეგობრისთვის, ნორმის შესახებ პათოლოგიური უფრო ღრმა და მეტ ცოდნას გვაძლევს და ხანდახან ისეთი გრძნობაც გვეუფლება, რომ, ავადმყოფობის მხრივ თუ მივუდგებით, შეიძლება უფრო ღრმად შევიჭრეთ სიცოცხლის ბნელით მოცულ სამყაროში... შეხედე, აგერ გელოდება გონის ზოგი რამ ნაწილი და კრიტიკული სიხარულის სამყარო, ბაირონის «კორსარი» და «ლარა», – მშვენიერი, ამაყი ტალანტია. ეს უნდა

განვაგრძო, კალდერონის გრიზისეული თარგმანიც, რუკმტულის წიგნსაც «გერმანული ენის შესახებ» შეუძლია აღმიძრას ზოგი რამ ახალი, ერნესტის[262] *Technologia rhetorica*-ს შესწავლაც მინდა განვაგრძო. ასეთი რამეები ცნობიერებას აცისკროვნებს და ხალისს აღვივებს. ჰერცოგის ბიბლიოთეკა კარგა ხანია ელოდება ამ ორიენტალიებს. დიდი ხანია გავიდა მათი ჩაბარების დრო, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ ჩავაბარებ. ვერ განვიძარცვები, ვერ შემოვიცილი ამ ხარაჩოებს, სანამ «დივანით» ვცოცხლობ და ვსუნთქავ, ფანქრითაც ჩავინიშნავ, ხმასაც ვერვინ გამცემს ამის გამო. *Carmen penegyricum in laudem Muhammedis*. [263] ეშმაკსაც წაუღია, ისევ ის დაბადების დღის სიმღერის დასაწყისი: «მთის ჰაერით, ვით ეთერით, ტყემალაღი უფსკრულების კლდის მწვერვალზე მონაბერი». ცოტა არ იყოს, ნამალადევი შეხამებაა: უფსკრულების მწვერვალი, – ეს უნდა მომიტევიონ, სამაგიეროდ, თამამი და ზეადმტაცი სურათი

გამოვიდა: უფსკრულში შთანთქმავ, ჰოდა, დაე, შთანთქან. «გააწითლებს პირქუშ კლდეებს» – ესეც ამდაგვარი რაღაც იყო. შემდეგ მოდის მგოსნის ბაღი, არცთუ მთლად უხიფათო ეროტთა მსუბუქი ისრების გამო: მესამე, კულტივირებული თავაზიანობა, რომელსაც მარსი ანგრევს, და ბოლოს, სანუგეშოდ კვლავ დამყარებული მშვიდობისას გასაჭირის გამო გვიჩნდება განზრახვა. ჩვენი აზრი კვლავ უბრუნდება, ორჯერ უბრუნდება პატიოსნად «მოხუცს» – zu dem Alten, რასაც ერთმეება erhalten[264] და მოჰყვება რამდენიმე ასეთი რითმა, რომელთაგან თითოეული მოითხოვს schalten-ს[265] კეთილი, თუ კარნახისთვის მოამზადებ, ოც წუთში შეადგენს სტროფებს.

ეს დამხმარე საშუალება და ნედლი მასალაა. თუმცა სულაც არ ჩაითვლება ნედლ მასალად. თავისთავად რაღაცას წარმოადგენს, თავისი თავის მიზანს და არა ისეთ რამეს, რომ ვიღაც მოვა და ერთ მცირე შუშა ვარდის ზეთს გამოწურავს ამ გროვიდან, რის შემდეგაც დარჩენილი ძველმანი შეუძლიათ გადაყარონ. საიდან წარმოდგება ეს უტიფრობა, რომ კაცმა თავი ღმერთად წარმოიდგინოს, ირგვლივ ყველაფერი მანჭვა-გრეხად გამოაცხადოს, რასაც ის თავის ჭკუაზე იყენებს, – ბუნების

ყოვლისმომცველობაში არეკლილი ერთადერთი ყოვლისმომცველობა, თავის მეგობრებსაც, ყველაფერს, რაც კი ხვდება, უყუროს როგორც ქაღალდს, რომელზეც ის წერს. ეს უტიფრობა და ქედმაღლობაა? არა, ეს ღვთის მიერ დაკისრებული არსებობის ფორმაა. – ამიტომ მომიტევეთ და დატკბით, ეს ყველაფერი მხოლოდ თქვენს სასიხარულოდ არის შექმნილი. ვარინგის «შირაზს მოგზაურობა» მეტად

სასარგებლო რამ არის; ავგუსტის «აღმოსავლეთის მემორაბილიები» ზოგიერთ რამეში გამომადგა; კლაპროთის[266] «აზიური ჟურნალი», «აღმოსავლეთის გათხრებში ნაპოვნი ძვირფასეულობა», დამუშავებული

მოყვარულთა საზოგადოების მიერ, გულმხურვალე მოყვარულთათვის პირდაპირ ოქროს საბადოა. გულდია მეფორნე. კიდევ და კიდევ უნდა გადავხედო შეიხ ჯელალ ედ-დინ რუმის[267] ორტაეპედებს, აგრეთვე «მოკაშკაშე პლეადებს არაბეთის ცაზე», [268] ხოლო შენიშვნების, თვის ფრიად დიდ სამსახურს გამიწევს ბიბლიური და აღმოსავლური ლიტერატურის ნუსხა. აი ეს არაბული ენის გრამატიკაც. კიდევ უნდა წავივარჯიშო კოხტად ჩაკრულ-ჩახვეულ დამწერლობაში.

ეს განამტკიცებს კონტაქტს. კონტაქტი ღრმა სიტყვაა, ბევრ რამეს ამბობს ჩვენს მოქმედებათა წესზე, ამ გამბურღავ თვითჩაღრმავებაზე სფეროსა და საგანში, ურომლისოდაც ვერაფერს გააწყობ, კვლევა-ძიებაში ღრმად შთანთქმის ამ სულისკვეთებით შეპყრობაზე, რაც შენ ხელდასხმულსა გხდის სიყვარულით აღქმულ-ათვისებული სამყაროს მიმართ, ისე რომ თავისუფლად და იოლად, ადვილად იწყებ მის ენაზე ლაპარაკს და არავის შეუძლია შესწავლილი დეტალი დამახასიათებელი გამოგონილისგან გაარჩიოს. უცნაურო წმინდანო! ადამიანები განცვიფრდებიან, ნუთუ ლექსებისა და გამოთქმების ერთი

პატარა წიგნაკისთვის ამდენი საგზალი, ამდენი მოგზაურობათა აღწერისა და ზნე-ჩვეულებათა სურათების შესწავლაა საჭირო. ძნელად თუ მიიჩნევენ ამას გენიალობად. ჩემს ახალგაზრდობაში, როდესაც «ვერტერმა» ქვეყნიერება შეძრა, ერთმა ფიცრის მხერხავმა, უხეშმა კაცმა, ჩემი თავმდაბლობისა და დაშოშმინებისთვის ზრუნვა იკისრა. მომდგა და უბოდიშოდ მომახალა პირში უკანასკნელი ჭეშმარიტებანი, ანუ ის, რასაც იგი ჭეშმარიტებად თვლიდა ჩემ შესახებ. «ძმობილო, რაღაცად ნუ წარმოგიდგენია თავი, არც იმდენი რამ მოგიხდენია, რასაც ჩაგაგონებს ის აურზაური და განგაში, შენმა ნაჯღაბნმა რომ ატეხა! ახლა თავი მართლაც დიდი ვინმე გგონია! გიცნობ, ვინცა ხარ! უმთავრესად მრუდედ მსჯელობ; გულში თვითონაც იცი, რომ შენი განსჯა და გონება სანდო არ არის, თუ დიდხანს არ იფიქრე. საკმაოდ ჭკვიანიც ბრძანდები, მაშინვე ეთანხმები ისეთ ადამიანებს, ვისაც გამჭრიახად მიიჩნევ, ნაცვლად იმისა, რომ შეედავო, შეეკამათო, ესა თუ ის მატერია მათთან ერთად განიხილო მთელი სიგრძე-სიგანით, ვერ გაგიბედავს, გეშინია საფრთხეში არ ჩავარდე და შენი სისუსტე არ გაამჟღავნო. აი, ვინა ხარ შენ. ამასთან არა ხარ მუდმივი სულისკვეთების კაცი, ერთ სისტემაზე ვერ ჩერდები, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდები, კაცი იოლად

მიგიჩნევს ჰერნჰუტერადაც[269] და თავისუფლად მოაზროვნედაც, რამეთუ ისე ადვილია შენზე გავლენის მოხდენა, რომ ღმერთმა დაგიფაროს! ამასთან სიამაყის ისეთი დოზა გაქვს, რომ მიუტევებელია: თითქმის ყველა ადამიანს, შენი თავის გარდა, სუსტ ქმნილებადა თვლი, მაშინ, როდესაც შენ თვითონ ყველაზე სუსტი ხარ, იმდენად, რომ თვით შენ მიერ აღიარებულ მცირე რიცხვის ადამიანებზეც კი არ შეგიძლია თავად იმსჯელო და ქვეყნის საერთო განაჩენს მისდევე. და ერთხელ მაინც ხომ უნდა გითხრა! შენ უთუოდ გაქვს

ნიჭიერების მარცვალი, პოეტური გენია, რომელიც მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც მასალას ძალიან დიდხანს ატარებ, ამუშავებ და ყველაფერს შეაგროვებ, რაც კი შეიძლება გამოგადგეს. მაშინ კი ყველაფერი კარგად მიდის და შეიძლება რაღაც გამოგივიდეს. თუ რამე თვალში მოგხვდა, შენს გულსა და გონებაში ჩაიბუდებს და რასაც წააწყდები, ცდილობ ყველაფერი იმ თიხის ბელტს მიაზილო, რომელზეც მუშაობ, აზროვნებ, ფიქრობ და სხვა, ამ ობიექტის გარდა, აღარაფერი გაგონდება. ამითა ხარ გართული. ეგა ხარ და ეგ, მეტი არაფერი, პოპულარობის ჭრელ-ჭრელ ოფოფებს ნუ ჩაისხამ თავში!» – ახლაც ვუსმენ მას, იმ ბუს; ერთი ახირებული კაცი იყო, ჭემბარიტების გამო ჭკუაშემლილი, ცოდნის მანიაკი, ტაკიმასხარა, თუმცა ბოროტი არ იყო, ალბათ საკუთარი კრიტიკული შეხედულების სიმწვავისგან თვითონვე იტანჯებოდა, – სახედარი, ჭკვიანი სახედარი, მელანქოლიურ-გონებამახვილი სახედარი; განა მართალი არ იყო? სამჯერ მართალი, ორ-ნახევარჯერ მაინც მართალი, ყველაფერი რომ პირში მომახალა? – უმტკიცობა, ცვალებადობა, უთავისთავადობა, დამყოლობა და გენია, რაც იმით გამოიხატება, რომ მაშინვე შევიგრძნობ და დიდხანს ვატარებ, ვიცი დამხმარე საშუალებათა შერჩევა და გამოყენება. განა ყველა ეს მეცნიერული საშუალება საერთოდ რამეში გამოგადგებოდა, თვით დროებას რომ არ დაჰყოლოდა ერთგვარი სისუსტე და ცნობისმოყვარეობა ყოველგვარი აღმოსავლურისადმი, სანამ შენ ამ საქმეს შეუდგებოდი? განა შენ თვითონ აღმოაჩინე ჰაფეზი? იგი ფონ ჰამერმა[270] აღმოგიჩინა და მშვენივრად თარგმნა; როდესაც მას კითხულობდი, რუსეთზე გალაშქრების წინ, მაშინ შეგიპყრო და მოგაჯადოვა, მოგხიბლა სულიერ სამყაროში იმ დროს მოდად ქცეულმა ამ წიგნმა. და რადგანაც შენ არ შეგიძლია ისე წაიკითხო, თუ არ განგაწყობ, თუ არ მოგცა რამე ნაყოფი და არ გარდაგქმნა ისე, რომ ხალისი გაგიჩნდეს, თავადაც ისეთივე რამე შექმნა და განცდილი პროდუქტიულად აღადგინო, შენც დაიწყე სპარსულ ყაიდაზე თხზვა და ბეჯითად, ხარბად დაეწაფე, მოიხმე ყველაფერი, რაც კი გჭირდებოდა ახალი მიმზიდველი საქმისა და მასკარადისთვის. დამოუკიდებლობა! ერთი ვიცოდე, რა არის იგი? «ის ორიგინალური იყო, და ორიგინალობის გამო სხვა სულელების მსგავსად ქმნიდა».

მაშინ ოცისა ვიყავი და საგონებელში ჩავაგდე თაყვანისმცემლები, ვერთობოდი, ვმხიარულობდი გენიოსთა

სკოლის ორიგინალობის მანჭვა-გრეხის გამო. ვიცოდი, რატომ. ორიგინალობა ხომ საშინელი რამ არის, სიგიჟეა, უგუნურება, ხელოვნურობა უშემოქმედებოდ, უჩანასახო, ბერწი კუდაბზიკობა, ყოყოჩობა, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, გონის შინაბერასებრი, ამაყი ბაქიაობა, სტერილიზებული სისულელე. მე იგი წარმოუდგენლად მძულს, იმიტომ, რომ მინდა პროდუქტიული, ნაყოფის მომცემი, ქალურობა და მამაკაცური საწყისი ერთად, ერთბაშად, მიმღები ქმნა, მაღალი პიროვნული დანიშნულება. ტყუილად როდი ვგავარ იმ პატიოსან ქალს! მე ის შავგვრემანი ლინდჰაიმერების ასული[271] ვარ მამაკაცის სახით, მე ვარ წიაღი და მე ვარ

თესლი, ანდროგინური ხელოვნება, ყველაფრით განსაზღვრებადი, მაგრამ ჩემგანვე განსაზღვრული, მიღებული ამდიდრებს სამყაროს. ასე უნდა მიიჩნიონ გერმანელებმა, ამაში მე მათი სახე და ნიმუში ვარ. სამყაროს მიმღები და სამყაროს მიმძღვნელი, ფართოდ გახსნილი გულები ყოველი ნაყოფიერი აღფრთოვანებისთვის, დიადი განსჯისა და სიყვარულის გამო, გონის შუამდგომლობით, რამეთუ შუამდგომლობა არის გონი. ასეთი უნდა იყვნენ ისინი. აი, ეს არის მათი დანიშნულება და არა ის, რომ ორიგინალურ ერად დალპნენ, უხამს თვითგანჭვრეტასა და თვითგანდიდებაში გამოსულელდნენ და ამ სისულელეში და სისულელით მსოფლიოზე იბატონონ. ბედუკუღმართი ხალხი! კეთილად არ დამთავრდება მისი საქმე, რადგან მას არ სურს გაიგოს თავისი თავი, და ყოველი თავისი თავის არგაგება იწვევს არა მარტო დაცინვას, მსოფლიოს სიძულვილს აღუძრავს და ეს კი უკიდურეს საფრთხეს უქადის. რა მოელით! ბედისწერა მათ არ დაინდობს, რადგან თავის თავს უღალატეს და არ ისურვეს ყოფილიყვნენ ის, რაც არიან. ბედისწერა მათ მთელ დედამიწაზე გაფანტავს ებრაელებივით, – მართებულები იქნება, ახია მათზე, იმიტომ, რომ მისი საუკეთესო შვილები მუდამ გაძევებული იყვნენ, და მხოლოდ გაძევებულნი, მიმოფანტულნი განავითარებენ, ერების სასიკეთოდ, უამრავ სიკეთეს, კარგს, რაც მათშია ჩამარხული, და დედამიწის შნო და მარილი იქნებიან... ვიღაცამ ჩაახველა და დააკაკუნა. ეს ხიხინა ჯონია.

– შემოდი, გადმოდგი ფეხი, ღვთის სახელით, შემოდი!

– თქვენი უერთგულები მსახური, ბატონო საიდუმლო მრჩეველო.

- მაშ, თქვენა ხართ, ჯონ? კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. მომიახლოვდით. დღეს ლოგინიდან ადრე ავმდგარვართ.
- დიახ, თქვენი აღმატებულება ყოველთვის დროზე შეუდგება ხოლმე საქმეებს.
- არა, მაგას არ ვამბობ. თქვენ გგულისხმობდით. დღეს ადრე ამდგარხართ, მზის ამოსვლასთან ერთად.
- ო, მაპატიეთ, არ მეგონა, თუ ლაპარაკი ჩემზე იყო.
- მაშ, როგორ? აი ამას ვეძახი მეტისმეტ თავმდაბლურ ვერგაგებას, რაო, ჩემი შვილის მეგობარი სასწავლებლიდან, ლათინურისა და სამართლის ჩინებული მცოდნე მეცნიერი, გაწაფული კალიგრაფი ღირსი არ არის, რომ მასზე იყოს ლაპარაკი?
- უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ. და თუ ეს ასეა, მაშინ ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ ჩემი ესოდენ სათაყვანებელი პირის მიერ დილაადრიან წარმოთქმული სიტყვა სასაყვედურო გამოდგა, რამეთუ სხვაგვარად არ შემიძლია განვმარტო ძვირფასი შენიშვნა, თუ არა ისე, რომ დღეს სამუშაოდ დროზე გამოვცხადდი. თუკი ჩემი გულმკერდის მდგომარეობა და ხანგრძლივი ხველება ჩაძინების წინ, – ეს ჩაძინება კი ძალიან გვიან ხდება, – ზოგჯერ მაიძულებს, ცოტა მეტხანს მოვისვენო, თავს ნებას ვაძლევ იმედი მქონდეს, რომ ბატონი საიდუმლო მრჩევლის უმაღლესი ადამიანურობა ამას მომიტევეს, თუმცა ისიც გამოირკვა, რომ, მიუხედავად ჩემი დროზე გამოცხადებისა, მაინც დილაადრიან კარნახისთვის კარლის სამსახური არჩიეთ.
- ოი, ოი! აი, როგორი კაცია! დილაადრიან ტყუილუბრალოდ გუნებას იფუჭებს. ჯერ ულმობელ სიტყვებს მაბრალებს, მერე კი სწყინს, რომ საქმეში მეტისმეტად დავინდე. კარლს საწოლიდან ცოტა რამ ვუკარნახე იმის გამო, რომ ახლოს იყო, მხოლოდ საუწყებო რაღაცები, ბევრად უკეთესი რამ სწორედ თქვენ მოგელით. გარდა ამისა, მე ცუდი არაფერი მიფიქრია ჩემი სიტყვებით და არც მინდოდა თქვენი განქიქება. როგორ შემიძლია თქვენს ავადმყოფურ სისუსტეს ყურადღება არ მივაქციო და ანგარიში არ გავუწიო? ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ! ძალიან აწოწილა, მე ქვევიდან შევყურებ, როცა მის წინ ვდგავარ, მერე კიდევ ხშირი ჯდომა ქალაღლებს შორის წიგნების მტვერში. ახალგაზრდის მკერდს ადვილად

ავიწროებს, გულზე უჭერს, – ეს საერთოდ ახალგაზრდობის ავადმყოფობაა; სიმწიფეში რომ შევა, მოერევა. ოცი წლის რომ ვიყავი, მეც სისხლს ვაყოლებდი ნახველს, მაგრამ დღეს საკმაოდ მაგრად ვდგავარ ბებერ ფეხებზე. ამასთან, ხელებს სიამოვნებით ვიწყოფ ზურგზე, მხრებს უკან ვწევ ისე, რომ მკერდი ამოიზიდოს, – შეხედეთ, ასე. თქვენ კი მხრები ჩამოგიყრიათ და მკერდი ჩაგიგდიათ, თქვენ მეტისმეტად დამყოლი ბრძანდებით, – ამას მთელი ქრისტიანული ჰუმანიზმით გეუბნებით. ჯონ, თქვენ მტვერს სუფთა ჰაერი უნდა დაუპირისპიროთ, როგორც კი საშუალება მოგეცემათ, მტვერს თავი უნდა დააღწიოთ, გახვიდეთ ველ-მინდორსა და ტყეში, ღია ცის ქვეშ, ცხენით იმოგზაუროთ; მე ასე ვაკეთებდი და თავიც დავაღწიე. სუფთა ჰაერზე, გაშლილ სივრცეში, ღია ცის ქვეშ უნდა გავიდეს ადამიანი, ბუნების წიაღში, იქ არის მისი ადგილი, სადაც ფეხს მიწას დაადგამს, რათა მისი წვენი, ძალა და ენერჯია შეიწოვოს და მალლა, ცაში მონავარდე ფრინველთა ჭიკჭიკი მოისმინოს. ცივილიზაცია და გონისეული ცხოვრება კარგი საქმეა, დიდი რამ არის, ჩვენ შეგვიძლია ეს მოვითხოვოთ. მაგრამ ანთეოსის კომპენსაციის გარეშე, როგორც გვსურს ვუწოდოთ, ადამიანებისთვის იგი დამანგრეველია და ავადმყოფობები მოსდევს, რის გამოც შემდეგ ამაყობს კიდევაც, რაღაც საპატიო და სასარგებლოც კი ჰგონია, რადგან ავადმყოფობასაც ხომ თავისი სასარგებლო რაღაც გააჩნია, იგი დისპენსია და გათავისუფლებაა, ქრისტიანობის თვალსაზრისით მას ბევრი რამ უნდა მიეტევოს, და თუ ვინმე კიდევ პრეტენზიულია, წუნიაა, ტკბილეულობის მოყვარულია, ღვინის გადაკვრაც უყვარს, ცხოვრობს თავის ნებაზე, უფროსების უნებურად, და თავის დროზე იშვიათად მუშაობს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, სამჯერ უნდა მოიაზროს, მოიფიქროს, სანამ ქრისტიანულ პირს შებილწავდეს და საყვედურებს იტყოდეს, ამიტომ უნდა ახსოვდეს, რომ ავადმყოფ მკერდს თამბაქოთი აღიზიანებს, ისე რომ ბოლი ზოგჯერ მისი ოთახიდან მთელ სახლში იჭრება, ვრცელდება და ცუდად მოქმედებს იმათზე, ვისაც არ ძალუძს მისი ატანა. მე ვლაპარაკობ თამბაქოს კვამლზე და არა თქვენზე, რადგან ვიცი, რომ თქვენ მაინც შეგიძლიათ ჩემი წყენის ატანა, რომ თქვენთვის მაინც ძვირფასი ვარ და გულს გტკენთ, როცა გეზუზღუნებით.

– ფრიად ვწუხვარ, თქვენო აღმატებულება, ბატონო

საიდუმლო მრჩეველო, ძალიან ვწუხვარ, გთხოვთ მერწმუნოთ! ჭეშმარიტად შეძრწუნებული ვისმენ, რომ ჩემი ჩიბუხის ბოლი, მიუხედავად სიფრთხილის ყველა წესის დაცვისა, ჭუჭრუტანებიდან თქვენთან შემოიჭრა. ჩემთვის ცნობილია ბატონი საიდუმლო მრჩეველის ზიზლი...

– ზიზლიო? ზიზლი ხომ სისუსტეა. თქვენ ჩემს სისუსტეზე ჩამოაგდეთ სიტყვა, მაშინ როცა თქვენს სისუსტეზეა ლაპარაკი.

– მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სისუსტეზე მოგახსენებთ, პატივცემულო ბატონო საიდუმლო მრჩეველო. არც ერთ მათგანს არ უავრყოფ და არც ვკადნიერდები, პატიება გთხოვოთ. მხოლოდ ერთს გემუდარებით, თქვენი მოწყალე გულით დამიჯეროთ: თუ ვერ შევძელი ამ სისუსტეთა დაძლევა, უთუოდ იმიტომ კი არა, რომ ჩემი ავადმყოფობით. თავი ვიმართლო და მოვიწონო. მე საბაბიც არ გამაჩნია, ჩემი ავადმყოფობა დავიმოწმო, პირიქით, მე მაქვს საბაბი, მას შევებრძოლო... ამას სრული სერიოზულობით მოგახსენებთ, თუმცა თქვენს აღმატებულებას ეს ღიმილს ჰგვრის. ჩემი სისუსტენი, მე ვიტყვოდი, მანკიერებანი, მიუტევებელია; მაგრამ ხანდახან მათ ვემორჩილები არა ფიზიკური უძლურების გამო, არამედ დაქუფრული სულის შეცბუნების გამო. დაე, ნუ ჩამეთვლება კადნიერებად, თუ ჩემს კეთილისმყოფელს, ადამიანთა მის არაჩვეულებრივ ცოდნას მოვაგონებ იმას, რომ გეგმაზომიერმა შრომამ, მისმა წარმოებამ, სამსახურებრივმა პუნქტუალობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ახალგაზრდა კაცს, როდესაც იგი სულიერ კრიზისს განიცდის, როდესაც მთელი მისი აზრები და მრწამსი შეტრიალდა ახალი და მნიშვნელოვანი გარემოს ძლიერი ზეგავლენის, კინალამ წამცდა, დაწოლის გამო, და მას მუდმივად აწუხებს საკითხი, მუდამ იმის ფიქრშია, რა მოელის, დაილუპება თუ იპოვის თავის თავს.

– დიახ, ჩემო ყმაწვილო, დღემდე ჩემთვის არ გიუწყებიათ და არც შეგიმჩნევინებიათ თქვენში მომხდარი კრიტიკული ცვლილებები. მე მიგიხვდით, თუ როგორია ეს თქვენში მომხდარი ცვლილებები და რისი თქმა გნებავთ, რა გინდათ მანიშნოთ. ნება მომეცით, გულახდილად მოგახსენოთ, მეგობარო ჯონ! მე არაფერი ვიცოდი თქვენი ადრინდელი დღეების იკაროსისებურ პოლიტიკურ გაფრენაზე, არაფერი ვიცოდი თქვენი პერფექციონისტული[272] ვნებების შესახებ. ჩემამდე არ მოულწევია, რომ ადრე თქვენ თავს ნება მიეცით,

გამოგექვეყნებინათ ის თამამი და თავადთა მოძულე აუგიანი წერილი საბატონო ბეგარის წინააღმდეგ, უაღრესად რადიკალური წყობილების სასარგებლოდ, – თორემ, მიუხედავად თქვენი კარგი ხელწერისა და ცოდნისა, არ მიგიღებდით ჩემს სახლელულში, რის გამოც ღირსეული ადამიანებისგან უმაღლეს და უზენაეს უწყებებში არაერთხელ მომისმენია გაკვირვების სიტყვები და გაკიცხვაც კი შემხვედრია. თუ სწორად მესმის საქმის ვითარება, – ჩემს ვაჟიშვილსაც უნიშნებია ზოგი რამ ამგვარი, – თქვენ აპირებთ თავი დააღწიოთ ამ ბუნდოვანებას, მოიცილოთ თავიდან შემბოქავი დაბნეულობანი, დადგეთ სახელმწიფოებრივი კეთილგონიერების, მიწიერი მართვა-გამგეობისა და რეჟიმის მხარეზე და სახელმწიფო მართლწესრიგის საკითხებში კეთილსინდისიერად, მართებულად და ღირსეულად იაზროვნოთ მის მხარდასაჭერად. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ გამორკვევისა და სიმწიფის ეს პროცესი, რითაც თქვენ უნდა ამყობდეთ, მიეწერება არა რაიმე გავლენას ან რაიმე განზრახულ დაწოლას გარედან, არამედ პირადად თქვენ, თქვენს უნარიან გონებასა და გულს; მიმაჩნია აგრეთვე, რომ იგი შეუძლებელია ზნეობრივი აღშფოთებისა და დამახინჯებული ყოფაქცევის ასახსნელად გამოდგეს, რადგან, ცხადია, რომ იგი გამოჯანმრთელების პროცესია და როგორც სულის, ისე სხეულისთვის განმკურნავი ზემოქმედების მაჩვენებელი შეიძლება იყოს. ეს ორი რამ ერთმანეთთან ისეთ შინაგან დამოკიდებულებაშია, ურთიერთთან ისეა გადაწნული და დაკავშირებული, რომ არ შეიძლება ერთზე ზემოქმედება ისე, რომ მეორეზე არ მოახდინოს კეთილისმყოფელი ან დამღუპველი გავლენა. იქნებ ფიქრობთ, რომ თქვენს რევოლუციურ ახირებასა და ექსცესებს არაფერი ხელი აქვთ იმასთან, რასაც მე ვუწოდებ ანთეოსის კომპენსაცია ცივილიზაციისა და გონისთვის, ჯანსაღი და ხალისიანი ცხოვრების ნაკლებობა ბუნების მკერდზე, და თქვენი ფიზიკური ავადობა და ქოშინი მთლად იგივე არ არის, რაც სულიერ სფეროში ის ახირებულება? ეს ყველაფერი ერთია. გაიკაჟეთ სხეული, იარეთ ჰაერზე, დაინდეთ თავი და ყელს ნუ ამოიწვავთ არყითა და თუთუნით, და თქვენს ტვინშიც გაჩნდება სწორი, მართებული, წესრიგისა და უფროსობის მოსაწონი აზრები, ერთხელ და სამუდამოდ განაგდეთ წინააღმდეგობის საძაგელი სული, მსოფლიოს გამოსწორების არაბუნებრივი მისწრაფებანი, მოუარეთ და განავითარეთ

თქვენი თვისებები, ეცადეთ საქმიანი და უნარიანი კაცის სახელი დაიმკვიდროთ კეთილისმყოფელ არსებულსა და განმტკიცებულ ვითარებაში, და დაინახავთ, რომ თქვენი სხეულიც გაკაჟდება, გახალისდება და ცხოვრებით კმაყოფილ მკვიდრი, საიმედო ჭურჭელივით გამაგრდება. აი, ეს არის ჩემი რჩევა, თუ გნებავთ, ყურად იღოთ.

– ოჰ, თქვენო აღმატებულებავ, როგორ შემიძლია ყურად არ ვილო თქვენი რჩევა! როგორ შემიძლია უგულითადესი მაღლიერების გრძნობით და ყურადღებით არ მივიღო ესოდენ გამოცდილი, ღრმა რჩევა, ესოდენ ბრძნული ხელმძღვანელობა! ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ის მანუგეშებელი შეპირებანი, რომელთა მოსმენის ღირსი მე გახლდით, სრულიად დადასტურდება და შესრულდება დროთა განმავლობაში, მაგრამ სწორედ ახლა, – უნდა გამოგიტყუო, – სანამ ამ სახლის უგანათლებულეს ატმოსფეროში კრიტიკულად და ჯაფით ხდება ჩემი აზრებისა და შეხედულებების შეცვლა და გარდაქმნა, ამ დროს აზრთა და განწყობილებათა ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისას, გასაგებია, რომ ჩემი სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად აწეწილია, ტანჯვა-წამებისა და განშორების სევდისგან თავისუფალი არ არის და შესაძლებელია, ამიტომაც გულთბილ შეწყნარებასაც მოითხოვს. ეს რა ვთქვი – მოითხოვს-მეთქი! რა მოთხოვნა შეიძლება მქონდეს მე! მაგრამ ვკადნიერდები და ამგვარი შეწყნარების იმედს მაინც უმორჩილესად მოგახსენებთ. იმ ცვლილება-გარდაქმნასა და მოქცევაზე უარის თქმა ხომ დაკავშირებულია უფრო დიდ, თუნდაც უმწიფარ და ყმაწვილურ იმედებსა და რწმენასთან, რომელთაც, მართალია, ტკივილი და განრისხება მოჰყვა, მაგრამ ადამიანი ნამდვილ ცხოვრებასთან გამაწამებელ წინააღმდეგობაში ჩააგდეს, მაგრამ ამავე დროს მის სულს ანუგეშებდნენ, აღაფრთოვანებდნენ და უმაღლეს სინამდვილეს უთანხმებდნენ. ადვილი არ არის ხელის აღება ერების რევოლუციურ განწმენდაზე, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის გაკეთილშობილებულ კაცობრიობაზე, – მოკლედ, დედამიწაზე გონების მეუფებით ბედნიერებისა და მშვიდობის სამეფოსთვის მეოცნებე რწმენაზე, მკაცრი ჭეშმარიტებით გამოწრთობა და იმ შეგნებით გამსჭვალვა, რომ მუდამ და მარად უსამართლო და ბრმა ძალთა შემოტევა, ტალღის აქეთ-იქით რწევა და ლელვა არასოდეს შეწყდება, რომ

შეუბრალებლად ხან ერთი იმპლავრებს და ხან მეორე, – ეს ადვილი არ გახლავთ. ის ადამიანს მწარე და შემამფოთებელ შინაგან წინააღმდეგობაში აგდებს, – და თუ ამგვარად შექმნილ ვითარებაში, ზრდის ასეთი ტკივილების ჟამს ყმაწვილი კაცი ერთხელ მაინც ეცდება ერთ ბოთლ კვლიავში ნახოს გამხიარულება ანდა, ფიქრისგან დაღლილი, თუთუნი ჩიბუხის კეთილისმყოფელ კვამლში გაეხვიოს, – განა ამ ვითარებაში მას არა აქვს ნება, იმედი ჰქონდეს, რომ ერთგვარ გულთბილ შეწყნარებას მოელოდეს ამ ქვეყნის უფროსთაგან, რომელთა მძლავრ ავტორიტეტსაც წილი უდევს ამგვარ სულიერ კრიზისში?

– ეს რა ამბავია! აი, მჭევრმეტყველებაც ამას ჰქვია! თქვენი სახით დაიკარგა პათეტიკური, ძალიან ეშმაკი ადვოკატი – ან იქნებ ჯერ არც დაკარგულა. თქვენ გაქვთ იმის უნარი, რომ თქვენი ტკივილები სხვებისთვისაც საინტერესო გახადოთ, მაშასადამე, მარტო ორატორი კი არა, პოეტიც ბრძანდებით, თუმცა მგოსნის ტიტულს პოლიტიკური აღტაცება ვერ უთავსდება, რადგან პოლიტიკოსები და პატრიოტები ცუდი პოეტები არიან და თავისუფლება არ გახლავთ პოეტის თემა. მაგრამ თქვენ რომ თანდაყოლილ ორატორის ხელოვნებას, რამაც ლიტერატორად და ხალხის კაცად უნდა გაქციოთ, იყენებთ იმისთვის, რომ მე ესოდენ ცუდ შუქში წარმომადგინოთ და საქმე ისე შეაბრუნოთ, თითქოს ჩემთან ურთიერთობამ კაცობრიობაზე რწმენა მოგისპოთ და თქვენი მომავლის გამო ცინიკურ უიმედობაში ჩაგაგდოთ, – გამიგონეთ, ეს ძალიან ცუდია! განა მე თქვენთვის კარგს არ ვფიქრობ, და იმისთვის უნდა გამინაწყენდეთ, რომ ჩემს რჩევას

თქვენი ინდივიდუალური სიკეთე აქვს უშუალოდ მხედველობაში და არა კაცობრიობისა? ამიტომ განა მე ტიმონი ვარ?[273] ცუდად არ გამიგოთ! მე სრულიად შესაძლებლად და სავარაუდოდ მიმაჩნია, რომ ჩვენი XIX საუკუნე წინა საუკუნის უბრალო გაგრძელება კი არ არის, არამედ, როგორც ჩანს, იგი მოწოდებულია იყოს დასაწყისი ახალი ერისა, როდესაც ჩვენ შევძლებთ გავიხაროთ სიწმინდეში წინ მიმავალი კაცობრიობის ცქერით. რასაკვირველია, ისიც კარგად ჩანს, რომ საშუალო დონის კულტურას სურს საერთოდ მოედოს ყველას, რომ არაფერი ვთქვათ მდაბიო, საშუალო კულტურაზე, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება სხვა ნიშანთა შორის ის არის, რომ ბევრი, ვისაც არაფერი ეკითხება და არც

შეჭფერის, მართვა-გამგეობისთვის იწუხებს თავს. ქვემოდან ვხედავთ ახალგაზრდა ადამიანთა ცდუნებას, გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს უმაღლეს საქმეებზე, ხოლო ზემოდან ვამჩნევთ მიდრეკილებას სისუსტისა და გადაჭარბებული ლიბერალობის გამო, უფრო მეტად დაუთმონ მათ, ვიდრე ეს მართებულია. მაგრამ მე ვიცნობ დიდი ლიბერალიზმის სიძნელეებსა და საფრთხეს, რაც ცალკეულთა პრეტენზიებს იწვევს და ფართო გასაქანს იძლევა. ასე რომ, ბოლოს კაცმა აღარ იცის, ამ ლიტონ სურვილთაგან რომელი უნდა დაკმაყოფილდეს, მუდამ ნათლად დაინახავენ, რომ მეტისმეტი სიკეთე, გულმოწყალება და მორალური

დელიკატურობა ზემოდან დიდხანს ვერ გაძლებს, იძულებული გახდებიან, ეს არეული და ზოგჯერ წყეული ქვეყანა წესრიგსა და მორჩილებაში იყოლიონ. აუცილებელია კანონის მთელი სიმკაცრით დაცვა. განა ახლა ისიც კი არ დაიწყეს, რომ მეტისმეტ სიღბოსა და მოდუნებას იჩენენ დამნაშავეთა შერაცხადობის საკითხში, როდესაც ექიმთა მოწმობებითა და დასკვნებით ხშირად ბოროტმოქმედს სასჯელს მოუხსნიან ხოლმე. საჭიროა ხასიათის გამოჩენა, რომ ასეთ საყოველთაო მოდუნებულობაში მტკიცე იყო; ამიტომ ვაქებ ახალგაზრდა ფიზიკოსს, სახელად შტრიგელმანს, რომელიც ახლახან წარმოადგინეს და რომელიც მსგავს შემთხვევაში ყოველთვის მტკიცე ხასიათს იჩენს. ამას წინათ, როდესაც სასამართლო დაექვდა, ჩათვალა თუ არა ჩვილი შვილის მკვლეელი ქალი შერაცხადად, მან მტკიცედ დასტურყო და დაამოწმა, რომ ის ქალი უდავოდ შერაცხადი იყო.

– როგორ მშურს ფიზიკოს შტრიგელმანისა, რომელმაც თქვენი ქება დაიმსახურა. მასზე ვიოცნებებ, ეს მე ვიცი. მისი ხასიათის სიმტკიცე ამამაღლებს და რამდენადმე დამათრობს კიდევაც. დიახ, დამათრობს კიდევაც! აჰ, მე ჩემს მფარველს ყველაფერში როდი გამოვუტყდი, როდესაც ჩემი შინაგანი გარდაქმნის სიძნელეებზე ველაპარაკებოდი; მე მსურს, ყველაფერი ვაღიარო თქვენ წინაშე, როგორც მამისა და მოძღვრის წინაშე. ჩემი რწმენის შეცვლას, ჩემს ახალ დამოკიდებულებას წესრიგისადმი, არსებული მდგომარეობის მხარდაჭერისა და კანონისადმი, უკავშირდება არა მარტო მწუხარება და გამოთხოვების სევდა უმწიფარ ბალღურ ოცნებათა გამო, რომელთაც უკვე გამოვემშვიდობე, არამედ კიდევ სხვა რამ, ესე იგი – ძნელია სათქმელად – დღემდე ჩემთვის უცნობი, გულის

ამატროლოგები, თავბრუდამხვევი პატივმოყვარეობა, რის მოზღვავეების გამოც ხელი მივყავი ბოთლსა და ჩიბუხს, ნაწილობრივ იმისთვის, რომ გავბრუებულიყავი, ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ მათი დახმარებით უფრო ღრმად და გულმხურვალედ ჩავძირულიყავი ახალ ოცნებებში, რომლებიც ჩემმა ახალმა პატივმოყვარეობამ შვა.

– პატივმოყვარეობა?! რა სახის არის ეგ პატივმოყვარეობა?

– მისი სათავე იმ აზრშია, რომ უფრო სახეიროა ხელისუფლებისა და კანონის შინაგანი აღიარება, ვიდრე წინააღმდეგობის სული. ეს უკანასკნელი მარტვილობაა, ხელისუფლების აღიარება კი სულისთვის უკვე ნიშნავს მისთვის სამსახურსა და მის სიამოვნებაში მონაწილეობის მიღებას. აი, ის ახალი, გულის აღმაფრთოვანებელი ოცნებანი, რომლებმაც ჩემი მომწიფების პროცესის წყალობით ძველი გარდაქმნეს და შეცვალეს. შემდეგი საკითხი, რაკი ავტორიტეტის აღიარება უკვე ნიშნავს მისდამი გონით სამსახურს, ამდენად, თქვენი აღმატებულება გასაგებად ჩათვლის, რომ ჩემი ახალგაზრდული სული დაუძლეველად ისწრაფვის, თეორია პრაქტიკაში გადაიტანოს, და აი, ეს მოულოდნელი პირადი საუბარი მაძლევს ნანატრ შემთხვევას, თქვენს აღმატებულებას ვთხოვო...

– სახელდობრ?

– რასაკვირველია, არც კი მჭირდება სიტყვა დავძრა იმის შესახებ, თუ რაოდენ ძვირფასია ჩემთვის ჩემი დღევანდელი მდგომარეობა და საქმიანობა, რასაც მე ვუმაღლი თქვენი დიდებულების ძესთან ნაცნობობას სწავლის პერიოდიდან, თუ რა უსაზღვროდ ვაფასებ ორ წელიწადს ამ ჩემთვის და მთელი მსოფლიოსთვის ძვირფას სახლში ყოფნას. მეორე მხრივ, უაზრობა იქნებოდა, თავი შეუცვლელ კაცად წარმომედგინა, რამეთუ მე ერთი იმ მრავალთაგანი გახლავართ, რომლებიც თქვენს აღმატებულებას დამხმარე სამუშაოებისთვის თავის განკარგულებაში ჰყავს, ისეთები, როგორც არიან თვით ბატონი კამერმრჩეველი, ჰერ დოქტორი რიმერი, ბიბლიოთეკის მდივანი ჰერ კროიტერი, თვით მსახური კარლიც კი. ამასთანავე კარგად მაქვს შეგნებული, რომ უკანასკნელ ხანს თქვენს აღმატებულებას საბაზი მივეცი უკმაყოფილებისა და მოჩივლებისა სწორედ ჩემი დაბნეულობისა და ქოშინის გამო. ასევე ყოველმხრივ ვგრძნობ, რომ თქვენი აღმატებულება

განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს ჩემს აქ ყოფნას, რაშიც სხვა მიზეზთა შორის შეიძლება ერთგვარ როლს თამაშობდეს ისიც, რომ მეტისმეტად აწოწილი ვარ, სათვალეს ვატარებ და არასასიამოვნო ნაყვავილარი სახე მაქვს.

– აი, ახლა, რაც შეეხება...

– ჩემი იდეა და მხურვალე სურვილია, თქვენი აღმატებულების სამსახურიდან სახელმწიფო სამსახურში გადავინაცვლო, სახელდობრ, ისეთ სფეროში, სადაც ჩემი ახალდაწმენდილი შეხედულებებით განსაკუთრებით ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემა გავშალო საქმიანობა. დრეზდენში ცხოვრობს ჩემი საბრალო, თუმცა ღირსეული მშობლების მეგობარი და მფარველი, ჰერ ჰაუპტმან ფერლორენი, რომელსაც პირადი ურთიერთობა აქვს პრუსიის ცენზურის უწყების ზოგიერთ მეთაურთან. და თუ ნებას დამრთავთ თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო, ჰერ ჰაუპტმან ფერლორენს სარეკომენდაციო წერილი მისწეროს და მიშუამდგომლოს, თანაც ქებით მოიხსენიოს ჩემი პოლიტიკურ-ზნეობრივი მეტამორფოზა, რათა მან, თუ შესაძლებელია, ერთხანს თავის სამსახურში მიმიღოს და თავის მხრივ სათანადო და სასურველ ადგილზე გამიწიოს რეკომენდაცია, რომ ჩემი მხურვალე და სულსწრაფი სურვილი აღსრულდეს და გზა გავიკაფო სწორედ ცენზურის უწყების ზეალმაველი კიბის საფეხურებზე, – მაშინ მე, ისედაც მუდამ თქვენი წყალობით სავსე, ჭეშმარიტად წარუშლელი მადლობის გრძნობით გამსჭვალული დავშთები ბატონი საიდუმლო მრჩევლისადმი.

– კეთილი, ჯონ, ეს შეიძლება გაკეთდეს. დრეზდენში წერილის გაგზავნაზე უარს არ გეტყვი და მე მოხარული ვიქნები, თუკი შევძლებ დავეხმარო იმათ, ვინც მოწოდებული არიან იმოქმედონ უკანონობის წინააღმდეგ, მიუხედავად თქვენი ადრინდელი ცოდვებისა, თქვენთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება მივიღო. ის, რაშიც გამომიტყდით თქვენი პატივმოყვარეობის შესახებ, რაც თქვენს გრძნობათა და აზრთა შეცვლასთან არის დაკავშირებული, მე, რა თქმა უნდა, მთლად როდი მომწონს. მაგრამ უკვე მიჩვეული ვარ, რომ თქვენი ზოგი რამ არ მომწონს, და შეგიძლიათ კმაყოფილი იყოთ, რადგან ეს ხელს უწყობს ჩემს მზადყოფნას, შემდგომაც დაგეხმაროთ. მე დავწერ, – ვნახოთ, რა გამოვა, – მეტად გამახარებს, თუ უნარიან ადამიანს დრო და ასპარეზი ექნება შეიგნოს თავისი

ცდომილებანი, თავიდან აიცილოს ისინი და წმინდა საქმიანობაში ჩაინთქას. ახლა მხოლოდ შემოდგომა გისურვოთ, რომ ეს ჰუმანური ცდა გამოგვივიდეს და ამიერიდან მსგავს შემთხვევებში რწმენა და გამბედაობა შემატებოდეს. ხომ მართებული იქნება ასე?

– დიდებულია, მშვენიერია, თქვენო აღმატებულება! ჭეშმარიტად თავს დავდებ თქვენთვის...

– და ხომ არ ფიქრობთ, რომ ახლა უკვე დროა, თქვენი საქმეებიდან ჩემს საქმეებზე გადავიდეთ?

– ო, თქვენო აღმატებულება, ეს სრულიად მიუტევებელია ჩემი მხრივ...

– ვდგავარ აქ და ვფურცლავ «დივანს», რომელიც ამ უკანასკნელ ხანს რამდენიმე მეტად კარგი ლექსით შეივსო. ზოგიერთი დავურთე და დავალაგე. იმდენად ბევრი ლექსი დაგროვდა, რომ წიგნებად დავყავი, აი ნახეთ: «იგავ-არაკების წიგნი», «ზულეიკას წიგნი», «მერიქიფის წიგნი». მაიძულებენ, ზოგიერთი რამ ქალთა კალენდრისთვის გადავცე, გული კი უარს მეუბნება. მე არ მიყვარს თითქმის შეკრულ-დამთავრებული გვირგვინიდან ქვების ამოტეხა და მათი ჩვენება ცერსა და საჩვენებელ თითს შორის. თან ვეჭვობ კიდევაც, ცალკეულ ამოგლეჯილს ის ფასი და ლაზათი ექნეს, მთავარია, მთელი და არა ცალკეული; მთელი ხომ მბრუნავი ცის თაღია და პლანეტარიუმი; თან ვყოყმანობ, უბირ საზოგადოებას რაიმე წარვუდგინო ამ ხელიხელსაგოგმანები ქმნილებებიდან უშენიშვნებოდ, განუმარტავად, დიდაქტიკური კომენტარის გარეშე, რასაც უკვე ვამზადებ, რათა მკითხველებს მივცე ისტორიული შესავალი აღმოსავლეთის აზრთა განწყობილებების, ზნე-ჩვეულებებისა და სიტყვათხმარების გასაგებად და შევადარო იმისთვის, რომ საფუძვლიანად დატკბეს და გაიხაროს ამ ლექსებით. მეორე მხრივ, არ მინდა უკარებას როლი გავითამაშო; ჩემი სურვილი – მცირე სიახლეებითა და გრძნობით გამსჭვალული გასართობით გულმინდობილი წარვდგე მკითხველის წინაშე – უკავშირდება ხალხის ცნობისმოყვარეობას. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გადავცე კალენდარს?

– იქნებ აი, ეს, თქვენო აღმატებულება: «არავის უთხრათ, მხოლოდ ბრძენკაცთ გაუზიარეთ...» – ეს იდუმალეებით არის

მოცული.

– არა, ეს არა! ეს ჩემთვის საზიანოა. იგი უცნაური ჩაგონებაა და ხიზილალა, რომელიც ხალხისთვის არ არის განკუთვნილი. ეს შეიძლება წიგნში იყოს, მაგრამ არა კალენდარში. მე ჰაფეზის მომხრე ვარ. ჰაფეზიც იმ აზრისა იყო, რომ ადამიანებს მხოლოდ მაშინ აამებ, როცა იმას უმღერებ, რაც მას ესიამოვნება. რაც მისთვის ადვილი და მოსახერხებელია, რაც ნებას გაძლევს დროდადრო მძიმე, ძნელი, მიუწვდომელი რამეც შეაპარო. უდიპლომატიოდ ვერც ხელოვნებაში გახვალ იოლას. ეს ხომ ქალების კალენდარია. «გულმობიერად მოეპყარ ქალებს, მრუდე ფერცხლისგან[274] არის შექმნილი!»... ეს გამოდგებოდა, მაგრამ «მრუდე ფერცხალი» არ უხდება. «გინდა მოღუნო, გატყდება იგი, და თუ მიუშვებ, კიდევ უფრო მოიღუნება», – ეს დიპლომატიასაც დაარღვევს და მხოლოდ წიგნში შეიძლება შეაპარო. «ჩემი კალამი სახიერის იყოს სათავე». ეს უკეთესია. შევარჩიოთ კიდევ ამგვარი რამ, მხიარული, ლაზათიანი და გულითადი, როგორც არის აი ეს: «თიხის გუნდა იყო მია ადამი», ანდა შესაძლებელია ეს გამოდგეს: «ცვარსა შემკრთალსა[275] ენიჭება ხანი და ძალა, რომ მარგალიტივით დაამშვენოს ხელმწიფის გვირგვინი». ან აი, ეს შარშანდელი: «მთვარის შუქზე სამოთხეში» ღვთის ორი ფარული აზრის შესახებ. რას იტყვით? თქვენი აზრი?

– ძალიან კარგი და ლამაზია, თქვენო აღმატებულებავ! შემდეგ კიდევ, იქნებ ეს ავიღოთ, მომხიბლავია: «მსურს არასდროს არ დაგკარგო!» ისინი, ეს ლექსები ეგზომ მშვენიერია: «შემიმკე ჩემი სიყმაწვილე ძლიერი ვნებით».

– ოჰ, არა! ეს ქალის ხმაა. მე კი მიმაჩნია, რომ ქალებს უფრო მამაკაცისა და მგოსნის ხმა სიამოვნებთ. მაშინ ავიღოთ წინა ლექსი: «ნაცარი ნახოს, თქვას მან, ჩემთვის დაიწვა იგი».

– ძალიან კარგი. გამოგიტყდებით, სიამოვნებით დავიჩემებდი საკუთარ წინადადებას. მაგრამ უნდა დავკმაყოფილდე იმით, რომ თქვენს არჩევანს სიხარულით დავეთანხმო. ნება მომეცით გაგაფრთხილოთ, რომ ლექსს «მზე, ბერძნების ჰელიოსი», მე მგონია, გადახედვა სჭირდება. «ბერძნების ჰელიოსი» და «დაუფლება სამყაროსი» კარგად ვერ არის ნათქვამი ენობრივად და რითმაც გაუმართავია.

– ოჰ, დათვი ისე ბურტყუნებს თავის ბუნაგში, როგორც

სჩვევია. დავტოვოთ როგორც არის, მერე ვნახოთ. დაბრძანდით, თუ გნებავთ, მინდა ჩემი ცხოვრებიდან გიკარნახოთ.

– მზად ვარ გემსახუროთ, თქვენო აღმატებულება.

– ძვირფასო მეგობარო, ადექით ისევ! თქვენ ზიხართ თქვენი სერთუკის კალთაზე. ერთი საათის შემდეგ საშინელი შესახედავი იქნება, დაჭმუჭნილი და დაღეჭილი, და ყველაფერი მე დამბრალდება, რომ ეს ყოველივე ჩემს სამსახურში დაგემართათ. ორივე კალთა ჩამოუშვით სკამიდან თავისუფლად, გთხოვთ.

– უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ ზრუნვისთვის, თქვენო აღმატებულება.

– ამრიგად, შეგვიძლია დავიწყოთ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, განვაგრძოთ, რადგან დაწყება უფრო ძნელია.

«იმ დროს... ჩემი ურთიერთობა უმაღლეს წოდებასთან ძალიან ხელსაყრელი იყო. თუმცა «ვერტერში» ასახულია უსიამოვნებანი ორი განსაზღვრული ურთიერთობის მიჯნაზე».

* * *

მოხარული ვარ, რომ წავიდა. საუზმის დადგომამ რომ შეწყვიტა ჩვენი მუშაობა. ვერ ვიტან ამ ყმაწვილს, ღმერთო, მომიტევე! რანაირი აზროვნების წესიც უნდა ჰქონდეს, მისი შეწყნარება მაინც არ ძალმიძს. თავისი ახალი აზრებით უფრო ავბედითია, ვიდრე ძველით. ჰუტენის წერილი პირკჰაიმერთან,[276]

რომელიც ქალაქებში მაქვს, მაშინდელი ჩვენი თავადაზნაურობის საქმიანი შეხედულებანი და ფრანკფურტის ვითარებანი შავად უკვე დაწერილი რომ არ ყოფილიყო, ამ ადამიანს თავს ვერ დავაღწევდი. ახლა კი მივირთვით ფრინველის ფრთა და ზედ დავაყოლოთ ამ მზის ნაბობვარი მაგარი ღვინის ერთი ყლუპი იმ უსიამოვნო გემოს ჩასაწმენდად, ამ ბიჭმა რომ დამიტოვა სულში. კაცმა რომ თქვას, რატომ შევპირდი დრეზდენში წერილის გაგზავნას? ვწუხვარ, რომ ეს გავაკეთე. საქმე ის არის, რომ მე მომხიბლა თხზულების მიმზიდველმა ფორმამ, – გამოთქმის ფორმით გამოწვეული სიხარული, მშვენიერი საქცევები სახიფათო რამ არის, ადვილად გავიწყებს სიტყვის პრაქტიკულ ზემოქმედებას

და დრამატულად აყალიბებს იმავე მოსაზრებებს იმის სასარგებლოდ, ვისაც ეს აზრები ჰქონდა. უნდა შევპირებოდი, მის უგემურ პატივმოყვარეობას დახმარებას გავუწევ-მეთქი? მერედა, რა აზრი აქვს, ის მაინც წესრიგის ფანატიკოსი, კანონიერების ტორკვემადა[277] გამოვა. გასტანჯავს ახალგაზრდობას, რომლებიც თავისუფლებაზე ოცნებობენ, როგორც ის თვითონ ოცნებობდა ოდესღაც, იძულებული ვარ ჩემი პრესტიჟი დავიცვა და შევუქო მოქცევა, თუმცა ყოველივე ამას თან ახლავს მორეგვნო სივალალე. მაგრამ რატომ ვარ პრესის თავისუფლების წინააღმდეგი? იმიტომ რომ ის მხოლოდ საშუალოს ბადებს. შემზღუდავი კანონი კეთილისმყოფელია, რადგან ოპოზიცია, რომელსაც საზღვარი არ უდევს, უკბილო და უგვანი ხდება. შეზღუდვა კი აიძულებს, რომ გონებამახვილი იყოს, ეს დიდი უპირატესობაა. პირდაპირი და ტლანქი შეიძლება იყოს ის, ვინც სრულიად მართალია. მაგრამ მოდავე მხარე სრულიად მართალი არ არის – ამიტომაც არის იგი მოდავე. მას უხდება არაპირდაპირი მეტყველება, რაშიც ფრანგები ოსტატები არიან. გერმანელებს კი არ ჰგონიათ გულმართალი იყვნენ, თუ თავიანთი ძვირფასი მოსაზრებანი პირდაპირ არ გადმოაფრქვიეს. ამრიგად არაპირდაპირ მეტყველებაში წინ ვერ წახვალ, კულტურა, კულტურაა საჭირო! იძულება გონებას აღძრავს, ამახვილებს, მეტს არაფერს ვამბობ. ეს ჯონი კი მოხიხინე ცხვრის თავია. ოფიციალური იქნება თუ ოპოზიციური, მთავრობის მომხრე თუ მოწინააღმდეგე, ეგ სულერთია, ისკუპებს თუ იხტუნებს, მაგისტვის ერთია – თანაც ფიქრობს, რომ მისი მოსულელო სულის გადატრიალება თითქოს რაღაც ამაღელვებელი მოვლენა იყოს...

საძაგელი და გამაწამებელი იყო ამ კაცთან ლაპარაკი, როგორც ამას მხოლოდ მოგვიანებით ვამჩნევ. ჰარპიების უწმინდურობით წამიბილწა საუზმე. რას ფიქრობს იგი ჩემზე? რას ფიქრობს, როგორ ვაზროვნებ? ნუთუ ფიქრობს, რომ ისიც აზროვნებს, როგორც მე? ვირი! მაგრამ რად ვჯავრობ მის გამო? განა შეიძლება, რომ ვიღაცის გამო ჯავრი მქონდეს? არა, ეს უფრო ნაღველს ჰგავს, ან უფრო საფუძვლიან ზრუნვასა და თვითდაკითხვას, რაც იმისთანა ვიღაცას კი არა, მხოლოდ შემოქმედებას ეხება და ყველა დარდსა და შემკრთალ ეჭვს მოიცავს, რამეთუ შემოქმედება გაობიექტებული სინდისია. მოქმედების სიამოვნება – აი, ეს არის! მშვენიერი, დიადი

მოქმედება და საქმე, – აი, ეს არის (რას ფიქრობს ის ჩემზე?). ფაუსტი უნდა შევიყვანოთ მოქმედ ცხოვრებაში, სახელმწიფო ცხოვრებაში, ისეთ ცხოვრებაში, კაცობრიობას რომ ემსახურება. მისმა მისწრაფებამ, რამაც მას გამოხსნა უნდა მოუტანოს, დიადი პოლიტიკური ფორმა უნდა მიიღოს, – მეორემ, დიდმა მოხიხინემ.[278] ეს დაინახა და მითხრა, მაგრამ ამით ახალი არა უთქვამს რა; ოღონდ მისთვის, რასაკვირველია, ადვილი იყო ლაპარაკი, საერთოდ ასეთი გახლდათ, იმიტომ, რომ ეს სიტყვა «პოლიტიკა» მჟავე ხილივით პირს არ უღმეჭდა და სულს არ უშფოთებდა, არა... მაგრამ რისთვის მინდა მეფისტოფელი? იგი კარგია, მინაზღაურებს იმას, რომ ფაუსტს დიდებისა და სახელის, დიადი საქმის, დიადი მოქმედების სულები ევლინება. «ფუი, გრცხვენოდეს, დიდებისკენ რომ მიისწრაფვი!» პულტში ჩანაწერებია, ჩავიხედოთ. «არა! დიადი საქმეებისთვის ეს დედამიწაც სრულიად კმარა. უნდა აღსრულდეს გასაკვირველი, შემართებისთვის მე შემწევს ძალა»... ეს კარგია. «შემართებისთვის მე შემწევს ძალა»...

შესანიშნავია – ოღონდ, სამწუხაროდ, სისაძაგლეს არ ეხებოდეს. მაგრამ ამ გრიგალისებურ, გულგატეხილ მაძიებელს მაინც შეუძლია და უნდა შემობრუნდეს მეტაფიზიკური სპეკულაციიდან და იდეალურ-პრაქტიკულს მიმართოს, თუნდაც ადამიანურის სკოლას ემშაკის ხელში გადიოდეს. რა იყო იგი, და რა ვიყავი მე, როდესაც თავის ბუნაგში ჩამჯდარი, ფილოსოფიურად ზეცას უტევდა, შემდეგ საბრალო გოგონასთან უბადრუკი სატრფიალო ფანდები იხმარა? ბიჭური სირეგვნიდან, გენიალური წვრილმანებიდან სიმღერა და გმირი გადაიზარდნენ ობიექტურში, მოქმედ მსოფლშეგრძნებად და ვაჟკაცურ გონად, სწავლულის სოროდან, მეოცნების ჯურღმულიდან იმპერატორის კარზე... ზღუდეების მოძულე, უმაღლესისა და შეუძლებლის მოსურნე, ასეთი უნდა დარჩეს, მარად გამრჯე, მარად მაძიებელი აქაც. მაგრამ ჩემს თავს ვეკითხები, როგორ უთავსდება მსოფლიო გრძნობა და მამაკაცის სიჭარმაგე ძველ დაუოკებლობას? პოლიტიკური იდეალიზმი, მსოფლიოს გამაბედნიერებელი გეგმები – იგი ამ მიუღწეველს მონატრებულ ყარიბად დარჩა? ეს კარგი აზრი მომივიდა თავში. მიუღწეველს მონატრებული ყარიბი. ჩავინიშნოთ ეს და სათანადო ადგილას ჩავურთოთ. მასში არისტოკრატიული რეალიზმის მთელი სამყაროა და იმაზე უფრო გერმანული უნდა იყოს, როცა გერმანულს გერმანულითვე დასჯი... კავშირი ძალაუფლებასთან იმისთვის,

რომ მოქმედებით დანერგო უკეთესი, კეთილშობილი და სასურველი დედამიწაზე. ის რომ მარცხს განიცდის, ხელმწიფეცა და მისი კარიც რომ მოქნარებას მოჰყვებიან მისი ლაქლაქის დროს და ემმაკი უნდა ჩაერიოს, რომ უკმეხი ყბედობით იხსნას მდგომარეობა, – ეს გადაწყვეტილია. პოლიტიკური მეოცნებე ხელდახელ იქცევა *maotre de plaisir, physicien de la cour*[279]და ჯადოქარ ფიერვერკერად. კარნავალი მახარებს. შეიძლება წარმოვადგინოთ ნიღბოსანთა მდიდარი სვლა მითოლოგიური ფიგურებით, მახვილგონივრული ხუმრობით, რისი მოწყობაც ძვირი დაჯდებოდა მისი უგანათლებულესობის დაბადების დღეს ან ხელმწიფის კარის წევრთა ვაიმარში მობრძანებისას. ამ ხუმრობით მთავრდება ყველაფერი – მწარე სატირული ფორმით. მაგრამ წინდაწინ ყველაფერი სერიოზული უნდა იყოს. თავიდან მას სურს ადამიანთა საბედნიეროდ მართოს და რწმენის ხმებიც უნდა მოიძებნოს. ამ მკერდიდან უნდა ამოიფრქვნენ ისინი. სად მაქვს მე ის? «კაცთა მოდგმას მახვილი აქვს სმენა, წმინდა სიტყვა აღძრავს ლამაზ საქმეს, კაცი გრძნობს და სიტყვის ძალისა სჯერა, და ამ სიტყვას საქმედ გადააქცევს». მომწონს. თვით ღმერთს, დადებითს, შემოქმედებით სიკეთეს ამ სიტყვებით შეეძლო ეპასუხა ემმაკისტვის და მე მას მხარს ვუჭერ. საერთოდ, პოზიტიურს ვუჭერ მხარს – მე არ მჭირს ის უბედურება, რომ ოპოზიციაში ვიყო. არც განზრახვა მაქვს, რომ მეფისტოფელს სიტყვა ვათქმევინო იმპერატორის სასახლეში. ფაუსტს არ სურს, რომ ემმაკმა ფეხი გადადგას მისაღები დარბაზის ზღურბლზე. იგი წინაღუდგება მას, რომ მისი დიდებულების იქ ყოფნის დროს დაიწყოს თვალის ახვევა და ოინბაზობა სიტყვასა თუ საქმეში. მაგია და ემმაკის ტყუილები ბოლოს უნდა ჩამოიშოროს თავისი გზიდან – აქაც ისევე, როგორც «ელენეში», რადგან პერსეფონე მასაც ნებას აძლევს დაბრუნდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველივე დანარჩენი მოხდება პატიოსნად, უბრალო ადამიანური წესით, და საქმროც მის სიყვარულს საკუთარი წმინდა ძალითა და ვნებით მოიპოვებს. საყურადღებო კორესპონდენციაა. ერთი რამ ვიცი, ვინც ამ პირობის დაცვას დაჟინებით მოითხოვს, თუკი შეუძლია დაიცვას... მაგრამ იქ მაინც სხვა პირობაა, რაზეც დამოკიდებულია ყველაფერი, რომლისგანაც მხოლოდ დამოკიდებულია ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ შეფერხებული ახალგაზრდულ-მოხუცებული გაცხოველებით დაიდრას წინ – ეს პირობა კი ადვილი შემართება და

აბსოლუტური ხუმრობაა. მხოლოდ თამაშში და ჯადოსნურ ოპერაშია ხსნა. მე ვფიქრობ, თუ შემოდის ასე ვიფიქრო, მხოლოდ ამრიგად შემოდის ამ ოინის დამთავრება. და რა შეგიძლიათ გქონდეთ თქვენ, ჩემო ძვირფასო, საწინააღმდეგო თამაშისა უმაღლესი ადვილაზრიანობის მიმართ, თქვენ, რომელსაც სიტყვა «არაპოეტური სერიოზულობის» შესახებ მუდამ ენაზე გეკერათ და თქვენს მოაზროვნის მიერ ავტორიზებულ წერილებში აღზრდის შესახებ ესთეტიკური თამაშის მეტისმეტად დამრიგებლურად თითქმის იზეიმეთ კიდევ? მართალია, ეს ადვილია, მაგრამ ეს ადვილი ძნელია. ხოლო სადაც ადვილს მძიმე შრომით აღწევენ, იქ საიმისო ადგილიც არის, უმძიმესიც ადვილად მიიღონ.

და თუ იქ ჩემს ლექსს ადვილი არა აქვს, მაშინ იგი სულაც არ არსებულა. კლასიკური «ვალპურგის ღამე» (აზრით მე გადავუხვევ პოლიტიკურ სცენას, ხომ შეამჩნიე, არცთუ უხალისოდ ვშორდები მას, და გულის სიღრმეში ვგრძნობ, რომ ჩემთვის უფრო კარგი იქნებოდა, თუ იმთავითვე გადავწყვეტდი მის გამოტოვებას, – ეს მე ახლახან უკვე ვიგრძენი ხიხინა ვირთან საუბარში და ამის გამო გავბრაზდი კიდევაც, მხოლოდ იმიტომ, რომ აფსუსი იყო უკვე ჩანიშნულ-დაწერილ ლექსებზე ხელის აღება)... დიახ, კლასიკური «ვალპურგის ღამე» გრანდიოზული სერიი უნდა გამომივიდეს, რაც სასიხარულოს, უაღრესად საიმედოს გვაფიქრებინებს და რამაც სასახლის კარის მასკარადს ბევრად უნდა გადააჭარბოს, – თამაში, გამსჭვალული იდეით, სიცოცხლის საიდუმლოებით და მახვილგონივრული, ზმანებისეული, ადამიანად გარდაქმნის ოვიდიუსისეული[280] განმარტებით, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, სტილისტურად ყოვლად უადვილესი და უმხიარულესი კვანძით. მენიპესეული[281] სატირა. მაგრამ ლუკიანე[282] თუ მაქვს? დიახ, აქვე მაქვს, ვიცი, სადაც არის, სუბსიდია, დამხმარე საშუალება ხელახლა უნდა წავიკითხო. გული შემიტოკდება ხოლმე, როგორც კი გავიფიქრებ, თუ რა

კარგად გამომადგა სრულიად გაუთვალისწინებლად ჰომუნკულუსი, რომელიც სიზმარში აღმოვაჩინე, – ვის შეეძლო ეფიქრა, რომ იგი მასთან, ულამაზეს ქალთან დაკავშირებული იქნებოდა დაუცხრომელი სიცოცხლის მისტიკური კავშირით, რომ გამომადგებოდა გრძნობადი და უმაღლესი ადამიანური მშვენიერების მოვლენის თამაშში მეცნიერული, ნეპტუნურ-თალესური დასაბუთებისა და მოტივირებისთვის! «სულ

უფრო აღმავალი ბუნების უკანასკნელი პროდუქტი მშვენიერი ადამიანია». დიახ, ვინკელმანს კარგად გაეგებოდა მშვენიერება და გრძნობადი ჰუმანიზმი. მას გაახარებდა ასეთი შემართება: მშვენიერის ბიოლოგიური წინა ისტორიის მის მოვლენაში მიღება; წარმოსახვა იმისა, რომ მონადის სიყვარულის ძალა ხელს უწყობს და ეხმარება ენტელექტიამდე ამაღლებას, და რომ იგი, ოკეანეში მყოფი ორგანული ლორწოს პატარა გუნდიდან დაწყებული, გამოივლის უსახელო დროთა მომჯადოებელი სიცოცხლის მეტამორფოზათა დენას და ამ კეთილშობილი სიყვარულის ღირს სახებამდე ამაღლდება. ყველაზე გონებამახვილური დრამაში მოტივირებაა. თქვენ ის არ გიყვარდათ, ჩემო ძვირფასო, თქვენ ის დიდ რამედ არ მიგაჩნდათ, მის გმობას დიდ სითამამედ მიიჩნევდით. მაგრამ ხედავთ, რომ არსებობს მოტივირების სითამამე, რასაც უკვე წვრილმანობას ვერ უკიჟინებ. ყოფილა კი ოდესმე დრამატული სახის გამოსვლა ასე მომზადებული? გასაგებია, ის თვით მშვენიერებაა. აქ განსაკუთრებული მზადება მიზანშეწონილი და საჭიროა. შემდეგ ისიც გასაგებია, რომ ეს მთლად შეფარვით უნდა მოხდეს, მხოლოდ წინათგრძნობით მიხვედრისა და გაგების საშუალებით უნდა ხდებოდეს. აქ ყველაფერი მითოლოგიურ იუმორს, ტრავესტის, პაროდიად წარმოდგენას შეიძლება დაემყაროს. აქ ღრმააზროვანი ნატურ-ფილოსოფიური შეგონება ეწინააღმდეგება მსუბუქ ფორმას, ისევე როგორც ტრაგედიიდან დასესხებული წარმოდგენის, გადმოცემის მკაცრი დიდმშვენიერება ელენეს გამოსვლაში სატირიკულად ეწინააღმდეგება საინტრიგო ცრუმოქმედებას. პაროდია... მასზე ყველაზე მეტად მიყვარს ფიქრი. «ბევრი ფიქრი, ბევრი აზრი, ცხოვრების ამ ტურფა გზაზე». ყველა ფიქრთაგან, ხელოვნებას რომ თან სდევს, ეს ყველაზე იშვიათი, ნათელ-მხიარული და უნატიფესია. სათნო რღვევა, განშორების ღიმილი... მემკვიდრეობის დაცვა, უკვე მასხრობად და ლანძვად ქცეული. შეყვარებული, წმინდა, ძველთაძველი, უმაღლესი პირველსახე, განმეორებული იმ საფეხურზე და ისეთი შინაარსით, რომლებიც მას უკვე პაროდიაულობის ბეჭედს ასვამენ, ისეთ პროდუქტად აქცევენ, გვიანდელ, უკვე სასაცილოდ ქცეულ რღვევის სახეებს, ისე როგორც ევრიპიდეს შემდეგ შექმნილ კომედიის სახეებს რომ უახლოებენ...

კურიოზული არსებობაა, განმარტოებული, ვერგაგებული, უთანაზიარო და ცივი! საკუთარი ხელით, თანაც ჯერ კიდევ უხეშ ხალხში, პირადად შენ უნდა დაიტოო მთელი მსოფლიო

კულტურა მორწმუნე აყვავებიდან ყველაფრის მცოდნე დაცემულობამდე.

ვინკელმანი...[283] «ზუსტად შეიძლება ითქვას: მშვენიერი ადამიანი მხოლოდ ერთ წამს არის მშვენიერი». საყურადღებო დებულებაა. მეტაფიზიკურში ვიჭერთ მშვენიერის წამს, რადგან ბევრი აღტაცება და ბევრი გაკიცხვაც დაუმსახურებია, მელანქოლიურ სრულქმნილებაში წარმომდგარა, – წამის მარადისობა, რომელიც განსვენებულმა მეგობარმა გულისტკივილით გააღმერთა ამ სიტყვით. ძვირფასი, გულის სიღრმემდე გამჭრიახი მეოცნებე და მოყვარული, გრძნობადში მახვილგონივრულად ჩაღრმავებული! ვიცნობ მე შენს საიდუმლოებას? შთაგონებულ გენიოსს მთელი შენი მეცნიერებით, დღეს უკვე დავიწყებულ, გარდასულ ენთუზიაზმს, რომელიც შენ ელადასთან გაკავშირებდა? შენი გონებამახვილი შენიშვნა ხომ საკუთრივ და ესოდენ მართებულად შეეფერება მამაკაცურ-ყმაწვილკაცურს, ჭაბუკის მხოლოდ მარმარილოში დაჭერილი მშვენიერების მომენტს. რაც მართალია, ბედმა გაგიღიმა, რომ «ადამიანი» მამრობითი სქესის არის, ასე რომ, შენ მშვენიერება გაამამაკაცურე მთელი შენი გულითა და სიხალისით. მე კი იგი, მშვენიერება მომეველინა ახალგაზრდა ყმაწვილი ქალის სახით... თუმცა – არცთუ მთლად. მე მესმის შენი ფანდები, გულწრფელი ნათელი გრძნობით ვიგონებ თავაზიან ქერა კელნერს, ყმაწვილკაცს, შარშან ზაფხულს რომ ვნახეთ ზევით გაისბერგის სამიკიტნოში, სადაც ბუასერე ჩემთან იყო მთელი თავისი კათოლიკური თავდაჭერილობით. «უმღერე სხვა ადამიანებს და დადუმდი მერიქიფესთან!».

თუ არის რამე ზნეობრივში, გრძნობად სამყაროში, რაშიც უწინარეს ყოვლისა, ჩემი გრძნობები, ჩემი გულისთქმა სიამოვნებასა და საშინელებაში სულითა და გულით ჩაძირულა მთელი ამ ცხოვრების განმავლობაში. ეს არის ცდუნება – ტანჯვით გადატანილი, მოქმედებით განცდილი და გამოვლილი, – ტკბილი, შემზარავი შეხება, ღმერთების ნებით ზემოდან მომავალი: ეს არის ცოდვა, რაშიც ჩვენ უდანაშაულო დამნაშავენი ვართ, დამნაშავენი, როგორც მისი საშუალება და აგრეთვე მსხვერპლიც, რადგანაც ცდუნების წინაღუდგომა არ ნიშნავს, რომ ეგ არის, მორჩა, ცდუნებას აღარ აჰყვები, ეს ისეთი გამოცდაა, რასაც ვერავინ გაუძლებს, რადგან ცდუნება ტკბილია, და როგორც გამოცდა იგი უკვე დაუძლეველი რჩება.

ასე ნებავთ ღმერთებს, ისინი ჩვენ ტკბილ ცდუნებას გვიგზავნიან, ისე განგვაცდევინებენ მას, თითქოს იგი ჩვენგან ამოდის როგორც ყველა ცდუნებისა და დანაშაულის პარადიგმა, რადგან ერთიც ის არის, რაც მეორე. არასოდეს მსმენია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენას მე ვერ შევძლებდი... იმით, რომ სამაგისო ამა თუ იმ ადამიანს ჯერ არ ჩაუდენია, მხოლოდ მიწიერ მსაჯულს აღწევს თავს და არა უზენაეს მსაჯულს, რადგან გულში ის ცდუნება მაინც ჩაუდენია... ცდუნება საკუთარი სქესის გამო შეიძლება განხილულ იყოს როგორც შურისგებისა და სამაგიეროს მიზღვის ფენომენი თვითგანცდილი ცდუნებისთვის, იგი ნარცისის თავის მოტყუებაა მარად თავის თავის ანარეკლის

გამო. შურისძიება სამარადისოდ დაკავშირებულია ცდუნებასთან, გამოცდასთან, რომელსაც ვერ აიცილებ მისი გადაღახვით – «ასე ინება ბრაჰმამ ეს». აქედან წარმოდგება სიამოვნება, ძრწოლა, როდესაც ამაზე ვფიქრობ. აქედან წარმოდგება ის ნაყოფის მომცემი შიშის ზარი, ლექსს რომ აღმიძრავს, რომელზეც ადრევე მიფიქრია, გულში ჩამყლია, მუდამ გადამიდვია და კიდევ გადავდებ, – ბრაჰმას მეუღლეზე, პარიების ქალღმერთზე;[284] მასში ზეიმით განვადიდებ ცდუნებას და მინდა ძრწოლით ვაუწყო, რომ მას ვინახავ, გულით ვატარებ და ყოველთვის გადავდებ ხოლმე, ათწლეულობით ჩემში მშვიდად ყოფნის და ქმნადობის ნებას ვაძლევ, რაც მისი მნიშვნელოვნების ნიშანია ჩემთვის. არ შემიძლია იგი თავიდან მოვიშორო, მე მას სათუთად ვუვლი, ვაცლი უფრო კარგად დამწიფდეს, ჩემი სიცოცხლის ყველა ასაკს გამოვატარებ, – დაე, ახალგაზრდობის წლებში ჩასახული განზრახვა ერთ დღეს დაიბადოს საიდუმლოებით დამძიმებულ დაგვიანებულ ნაყოფად, განწმენდილი, კონდენსირებული დროის მიერ, უაღრესად მოკლედ გამოკვეთილი, ვითარცა ფოლადის ძაფებით გამოჭედილი, ფხაალესილი, ნაწრთობი დამასკური ხმალი, ასე წარმომიდგება მისი საბოლოო სურათი.

ზუსტად ვიცი წყარო, საიდანაც მომევილინა იგი უთვალავი წლების წინ, როგორც «ღმერთი და ბაიადერი» აგრეთვე: გერმანულად გადმოთარგმნილი «მოგზაურობა ოსტინდოეთსა და ჩინეთში».[285] პროდუქტიული გაცვეთილ-დაძენძილი წიგნი, სადღაც ობი ეკიდება ლიტერატურულ ძველ საოჯახო ნივთებს შორის. ძლივსლა მახსოვს, როგორი იყო იქ საქმის ვითარება, მხოლოდ ის ვიცი, თუ რა მოკრძალებით

ყალიბდებოდა ჩემს სულში გონისეული მიზნით, უმაღლესი კეთილშობილების, ნეტარწმინდა ქალის სახე, ქალისა, რომელიც მდინარესთან მიდის ყოველდღიურად გამაგრილებელი სასმლის მოსატანად, ამასთან არც სურა სჭირდება და არც სათლი, რადგან მის ღვთისნიერ ხელებში ტალღა დიდებულ ბრძოლის ლარანკად იქცევა. მე მიყვარს ეს ძვირფასი ლარნაკი, რომელიც ყოველდღე უწმინდესის უწმინდეს მეუღლეს მხიარული მოწიწებით სახლში მოაქვს, გამჭვირვალობისა და აუმიღვრეველობის გრილად შესახები გრძნობადი სახე, სიმბოლო ხელშეუხებელი უბიწოებისა და იმისა, რისი უნარიც მხოლოდ მას აქვს თავის უბრალოებაში. «ოდეს მგოსნის წმინდა ხელი შეეხება, წყალი ბროლად გარდაიქმნება»...[286] დიახ, მე მინდა ბროლის ლარნაკად შევკრა ლექსი ცდუნებისა, რადგან მრავალგანცდილ, მაცდუნებელ და მრავალგზის ცდუნებულ მგოსანს კვლავაც შეუძლია, მას ისევ აქვს ნიჭი, რაც სიწმინდის ნიშანია. მაგრამ არა იმ ქალს, რადგან წყლის ტალღამ მას ზეციერი ჭაბუკის სახე აურევლა, რამეთუ ის ქალი მის ჭვრეტაში ჩაინთქა, ერთადერთმა ღვთაებრივმა მოვლინებამ მას მთელი ცხოვრება აუწეწა, წყლის ტალღამ უარი უთხრა, იგი ლარნაკად აღარ შეიკრა. ქალი ბარბაცით წავიდა შინ. უფლებამოსილმა მეუღლემ განჭვრიტა ყოველივე, შურისძიება აზობოქრდა მის გულში. სიკვდილმისჯილ ქალს, უდანაშაულო დამნაშავეს სამსხვერპლო ბორცვზე წაათრევს და მოჰკვეთს თავს, რომელმაც მარადიული მშვენიერება იხილა, მაგრამ შურის მაძიებელს ვაჟიშვილი ემუქრება: როგორც ქვრივი ქმარს ცეცხლში მისდევს, ისე დედას უნდა გაჰყვეს ხმალში. არა, ასე არა, ასე არა! ჭეშმარიტად, მახვილს სისხლი არ შეხმობია, ის ისე დის, როგორც ახალი ჭრილობიდან. იჩქარე! კვლავად მიადგი თავი ტანს, ამავე დროს თქვი ეს ლოცვა, აკურთხე მახვილით ეგ შეერთება და დედა აღდგება. მაგრამ მოხდა საშინელება. ორი სხეული გადაჯვარედინებულიყო. დედის წმინდა კეთილშობილი სხეული და პარიას ტომის მისჯილი დამნაშავე ქალის სხეული. ო, შვილო, შვილო, ეს რა მეტისმეტი აჩქარებაა! დედის თავს მიადგამს იგი განკიცხულის გვამს, მსაჯულს მახვილით აკურთხებს და გოლიათი ქალღმერთი – უწმინდურების ქალღმერთი წამოიძარტება. გალექსე იგი! შეჰკარ მჭიდროდ მიჯრილ ელასტიკურ ენობრივ ნაწარმოებად! ამაზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია. ის ქალღმერთად იქცა, მაგრამ ღმერთებს შორისაც მისი სურვილი ბრძნული იქნება,

ხოლო საქციელი ველური. წმინდა თავის თვალწინ ცდუნების სახე, ნეტარი ჭაბუკის ხატი იქნება ჩაქსოვილი მისი ციური სინატიფით, მაგრამ ჩავა უწმინდურის გულში და მასში აღეგზნება დაკმაყოფილების ვნებიანი ჟინი, გაშმაგებული და თავზე ხელაღებული. მარად ხანგრძლივია ცდუნება. მარად დაბრუნდება იგი უკან. გამაცბუნებელი ღვთაებრივი მოვლინება, წუთიერად რომ შეეხო მას და მსწრაფლ გადაიარა. «იგი მუდამ დაბრუნდება, აღზევდება, დაემშვება, იღუშება, განათდება, – ასეთია ბრაჰმას ნება».[287] ბრაჰმას წინაშე დგას საზარელი ქალღმერთი, აფრთხილებს ალერსით, შთააგონებს, ლანძღავს მას გაშმაგებით, აღელვებულს, აზავთებულს და საიდუმლოებებით დამძიმებული მკერდიდან აღმომხდარი ხმით, ყველა ტანჯულ ქმნილებას უმაღლესი შეწყალების ჟამს კეთილად რომ გამოადგება იგი.

ვეიქრობ, ბრაჰმას ეშინია ამ ქალისა; რადგან მე მეშინია მისი, – როგორც სინდისის მეშინია, მისი ალერსიანი და გაშმაგებული ჩემ წინაშე დგომისა, მისი ბრძნული სურვილისა და ველური საქციელისა, და ასევე მეშინია ამ ლექსისა, რომელიც ათეული წლებია გადადებული მაქვს, მაგრამ მაინც ვიცი, რომ ერთხელაც იქნება უნდა დავამთავრო. დაბადების დღისადმი მიძღვნილი ხოტბის მანიპულირებას უნდა შევუდგე, «იტალიური მოგზაურობის» შეჯერება გავაგრძელო; მაგრამ რაკი მარტო დავრჩი ოთახში პულტთან და კარგი მადერის სითბოც ესოდენ მახალისებს, სჯობია ეს დრო უფრო მნიშვნელოვანი, იშვიათი და იდუმალი ნაწარმოებისთვის გამოვიყენო. «ოდეს მგოსნის წმინდა ხელი».

* * *

– ვინ არის?

– დილა მშვიდობისა, მამა!

– ავგუსტ, შენა ხარ? კეთილი იყოს შენი მობრძანება.

– იმედია, ხელი არ შეგიშალე? ისე სახელდახელოდ დახვეტე ქალღმერთი.

– დიახ, შვილო, რას ნიშნავს ხელის შეშლა? ყველაფერი ხელშეშლაა, მაგრამ გააჩნია, ხელშეშლა კაცს ესამოვნება თუ

სწყინს.

– სწორედ საკითხავიც ეს არის. ამიტომ ვყოყმანობ პასუხი გავცე ამ კითხვას, რადგან ეს კითხვა ჩემს თავს კი არ უნდა დავუსვა, არამედ იმას, რა ამბავიც მომაქვს, თორემ უამისოდ არ შემოვიჭრებოდი ასე უდროოდ.

– მე შენი ნახვა მიხარია, სულერთია, რაც უნდა მოგქონდეს, მაინც რა ამბავი მოიტანე?

– რაკი აქა ვარ, ჩემი პირველი კითხვა იქნება: კარგად გამოიძინე?

– გმადლობ, ძილმა ხალისი შემმატა.

– საუზმე გემრიელი იყო?

– ძალიან. მაგრამ შენ ექიმ რეგბაინივით მეკითხები.

– არა, მე გეკითხები მთელი მსოფლიოს სახელით. მაპატიე, რაღაც საინტერესო გედო წინ? ცხოვრების ისტორია იყო?

– არა, მთლად ზუსტად ვერ თქვი, ყველაფერი ცხოვრების ისტორიაა. მაგრამ რა მომიტანე? ძალით უნდა გამოგგლიჯო?

– სტუმარი გეწვია, მამა, დიახ, სტუმარი შორი მხრიდან და შორეული დროებიდან. ჩამოხდა «სპილოს» სასტუმროში. მე ეს მანამდე გავიგე, სანამ ბარათი მოვიდოდა. ქალაქში დიდი მღელვარებაა. ის ძველი ნაცნობი ქალია.

– ნაცნობი ქალი? ძველი? ნუ აჭიანურებ!

– აი, აქ არის ბარათი.

– ვაიმარი, ოცდაორი... კვლავ მეხილა სახე ადამიანისა, რომელიც... ესოდენ მნიშვნელოვანი გახდა... დაბადებით... ჰმ, ჰმ. ჰმ... კურიოზულია. აი, ამას ჰქვია კურიოზული შემთხვევა. განა შენც ასე არ მიგაჩნია? მაგრამ ერთ წუთს მაცალე, მეც რაღაც მაქვს შენთვის, რაც გაგაკვირვებს და რასაც მომილოცავ. ოღონდ ყურადღებით! – აი, აქ, როგორ მოგწონს ეს?

– აჰ!

– ვიცოდი, თვალებს დააჭყეტდი და ღირს კიდევაც. მართლაც ისეთი რამეა, რაზეც კაცს თვალები გაუფართოვდება გაკვირვებისაგან, ეს ნივთი სინათლისაა, თვალთა საჭვრეტად.

ფრანკფურტიდან მივიღე საჩუქრად ჩემი კოლექციისთვის. ერთსა და იმავე დროს მივიღე რამდენიმე მინერალი ვესტერვალიდან და რაინიდან. მაგრამ ეს უმშვენიერესია. როგორ ფიქრობ, რა არის ეს?

– კრისტალი.

– მეც ასე მგონია. ჰიალიტია, წყალჯავარიანი კვარცი, მინისებრი ოპალი, მაგრამ დიდებული ეგზემპლარია სიდიდითა და აუმიღვრეველობით. გინახავს ასეთი რამ? არ შემიძლია მისი ცქერით გული ვიჯერო და არ ვიფიქრო, რომ ეს შუქია, სიზუსტეა, გამჭვირვალობა, ჰა, რაო? ეს ხელოვნების ნაწარმოებია, ანუ უფრო ნაწარმოებია და გამოცხადების ქმნილება ბუნებისა, კოსმოსისა, გონისეული სივრცისა, რომელიც თავისი მარადიული გეომეტრიის პროექციებას ახდენს მასზე და მას სივრცისეულს ხდის. ხედავ ზუსტ წიბოებს და მოციმციმე სიბრტყეებს, – მთლიანად ზუსტი წიბოები და მოციმციმე სიბრტყეები აქვს, მე მას ჩემთვის იდეალური სტრუქტურით გამსჭვალულობას ვუწოდებ. რამეთუ ამ ნივთს აქვს მხოლოდ ერთი, მთლიანად განმსჭვალავი, შიგნიდან მთლიანად გარეთ მიმართული შემადგენელი, მუდმივად განმეორებადი ფორმა და სახე, რაც განსაზღვრავს სწორედ მის ღერძებს, კრისტალის გისოსს, სწორედ ეს ანიჭებს გამჭვირვალეებას, სინათლისა და ჭვრეტისადმი ამგვარ განსხეულებას! თუ გსურს ჩემი მოსაზრება მოისმინო, მაშინ გეტყვი, რომ ეგვიპტის

პირამიდების კოლოსალურ-სოლიდური წიბოებისა და სიბრტყეების გეომეტრიასაც ეს საიდუმლო აზრი ჰქონდა: სინათლისადმი, მზისადმი დამოკიდებულება, პირამიდები მზის ხალებია, გიგანტური კრისტალები, გონისეულ-კოსმოსური წარმოსახვის მიბაძვა ადამიანის ხელით.

– ეს მეტისმეტად საინტერესოა, მამა.

– დიახ, დიახ! მერედა როგორ! მას ხომ საქმე აქვს ხანგრძლივობასთანაც, დროსთან, სიკვდილთან და მარადისობასთან, რამეთუ აქ ჩვენ ვამჩნევთ, რომ მარტო ხანგრძლივობა ცრუ გამარჯვებაა დროსა და სიკვდილზე, რადგან იგი მკვდარი ყოფიერებაა და აღარავითარი ქმნადობა მისი დასაბამიდან, იმიტომ, რომ მისი სიკვდილი მის გაჩენასვე თან ახლავს. ასე ხანგრძლივად დგანან კრისტალური პირამიდები დროში და ათასწლეულებმა გადაიარეს მათ

თავზე, მაგრამ მათში არც სიცოცხლეა და არც აზრი, იგი მკვდარი მარადისობაა, მას არა აქვს ბიოგრაფია. ყველაფერი ბიოგრაფიაზე დაიყვანება, მაგრამ მეტისმეტად მოკლეა და ღარიბი ადრე დამთავრებული ბიოგრაფია, ხედავ, ამ sal-ს, მარილს, როგორც ალქიმიკოსები უწოდებდნენ ყველა კრისტალს თოვლის ფიფქის ჩათვლით (მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ის მარილი კი არა, სილიციუმმყოფია). აი, ასეთ sal-ს ქმნადობისა და განვითარების მხოლოდ ერთადერთი წამი აქვს, როდესაც კრისტალური ლამელი, ფირფიტა დედატუტიდან გადმოვარდება და დასაბამ, საწყის წერტილს იძლევა შემდეგი ლამელების, ფირფიტების შეზრდა-დალექვა-დამრევეებისთვის, რითაც გეომეტრიული სხეული ნელა თუ სწრაფად იზრდება და შესამჩნევ ან მცირე სიდიდეს იძენს; მაგრამ შემდეგ მნიშვნელოვანი აღარაფერია, რადგან ამ წარმონაქმნის უმცირესი ნაწილი ისევე დამთავრებულია, როგორც უდიდესი, და მისი ცხოვრების ისტორია დამთავრებული იყო ლამელის, ფირფიტის დაბადებისთანავე, და მაინც აგერ განაგრძობს დროში არსებობას, როგორც პირამიდები, შეიძლება მილიონ წლებში, მაგრამ დრო მის გარეთ არის, თვით მასში არ არის. ამით იმის თქმა მიიწინაა, რომ ის არ ბერდება. რაც ცუდი როდი იქნებოდა, მაგრამ ეს ხომ მკვდარი მუდმივობაა და მას არა აქვს დროში სიცოცხლე. რაც იქიდან წარმოდგება, რომ შენებას რღვევა აკლია, ხოლო შექმნას – ლლობა, გახსნა, ესე იგი, ის არ არის ორგანული. მართალია, ყველაზე უმცირესი კრისტალური ჩანასახები ჯერ კიდევ არ არის გეომეტრიული, არა აქვთ წიბოები და სიბრტყეები, არამედ მომრგვალოა და ორგანულ ჩანასახებს ჰგვანან, მაგრამ ეს მხოლოდ მსგავსებაა, რადგან კრისტალი მთლიანად სტრუქტურაა, თავიდანვე, ხოლო სტრუქტურა ნათელია, გამჭვირვალეა და კარგად საჭვრეტი; მაგრამ ძნელიც სწორედ ის არის, რომ იგი სიკვდილია, ან სიკვდილისკენ მიდის, – კრისტალში სიკვდილი მაშინვე მოსდევს დაბადებას. არასოდეს სიკვდილი და მარადიული ახალგაზრდობა, – აი, რა იქნებოდა, რომ შეჩერებულიყო სასწორი სტრუქტურასა და რღვევას შორის, შენებასა და დაშლას შორის. მაგრამ არ ჩერდება სასწორი, არამედ დასაწყისიდანვე თვით ორგანულშიც კი სტრუქტურირება გადაწონის, და აი, ჩვენც ვკრისტალდებით და ჯერ კიდევ განვაგრძობთ არსებობას დროში პირამიდებივით. მაგრამ ეს ხომ ცარიელი ხანგრძლივობაა, უშინაარსო სიცოცხლე გარეგან დროში, უშინაგანოდ, უბიოგრაფიოდ. ცხოველებიც ასევე

განაგრძობენ უშინაარსო არსებობას, როდესაც სტრუქტურირება და ზრდა დაამთავრეს, – მხოლოდ მექანიკურად იმეორებენ შემდეგ კიდევ კვებასა და გამრავლებას, მუდამ ერთსა და იმავეს, როგორც კრისტალების შეზრდას, ერთმანეთზე დაშრევებას. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ცოცხლობენ, ისინი მიზანთან იმყოფებიან. ცხოველები ადრეც კვდებიან, – ალბათ, მოწყენილობისაგან. დიდხანს ვერ უძლებენ ისინი სტრუქტურის დამთავრებულობას და მიზანთან ყოფნას, ეს მოსაწყენია. უდაბურია, უშინაარსოა და სიკვდილივით მოსაწყენი, ჩემო საყვარელო, ყოველგვარი ისეთი ყოფნა, დროში რომ გაჩერებულა, ნაცვლად იმისა, რომ დრო თავის თავში ატაროს და საკუთარი დრო შეადგინოს, რომელიც პირდაპირ მიზნისკენ კი არ მიეშურება, არამედ, როგორც წესი, თავის თავში გადადის, მუდამ მიზანში და მუდამ დასაწყისში, ეს იქნებოდა ისეთი ყოფნა, რომელიც მუშაობს და მოქმედებს თავის თავში და თავისთავად, აი, ეს იქნებოდა ქმნადობა და ყოფიერება, მოქმედება და შემოქმედება, წარსულიცა და აწმყოც ერთდროულად, და მაშინ კი გამოაშკარავდებოდა ხანგრძლივობა, რაც იმავე დროს დაუცხრომელი აღმასვლა, ამალღება და სრულქმნა იქნებოდა და ასე დაუსრულებლად წინ... მიიღე ეს ვითარცა არეებზე მიწერილი შენიშვნა ამ ნათელი, გამჭვირვალე სიცხადისა და თვალსაჩინოების შესახებ და მაპატიე ჩემი დიდაქტიზირება. – როგორ არის თივის ალების საქმე დიდ ბაღში?

– დამთავრებულია, მამა. მაგრამ ცერად მაქვს საქმე იმ გლებკაცთან, რომელსაც კვლავ არ უნდა გადახდა და ამბობს, თიბვითა და გაზიდვით უკვე გასწორებული ვართო, და ეს სწორედ ის ბრძანდება, პირიქით ჩვენგან რომ მოითხოვს. მაგრამ ამ გაიძვერას თავისას არ გავაყვანინებ, შენ წყნარად იყავი, მან შესაბამისად კარგა გვარიანად უნდა გადაგიხადოს ნათიბზე, თუნდაც მისი სასამართლოში წათრევა დამჭირდეს.

– ყოჩაღ! შენ, მართალი ხარ. კაცმა უნდა იცოდეს თავის დაცვა. *A corsaire, corsaire et demi.*[288] მისწერე უკვე ფრანკურტს ბაჟისგან გათავისუფლების თაობაზე?

– ფაქტობრივად ჯერ ვერა, მამა. თავი სავსე მაქვს გეგმებით, მაგრამ ჯერ კიდევ ვაყოფნებ, ხელი მოვკიდო რესკრიპტს. როგორი უნდა იყოს წერილი, რომლითაც გვინდა უკუვაგდოთ

ის სულელური ვითომ საბუთი დანარჩენ მოქალაქეთა გამარცვის შესახებ! მათ გონს მოიყვანს ღირსებისა და ირონიის მხოლოდ შემაცბუნებელი და მომაკვდინებელი შეერთება. აქ მოუფიქრებლად მოქმედება არ შეიძლება...

– შენ მართალი ხარ, მეც ასე ვაყოვნებდი ამ საქმეს. საჭიროა ხელსაყრელ მომენტს დავუცადოთ. მე მაინც იმედი მაქვს ბაჟისგან გათავისუფლებისა. რომ შემემლოს პირდაპირ და პირადად მე მივწერო, მაგრამ არ შემიძლია გამოვჩნდე...

– არავითარ შემთხვევაში, მამა. ასეთ არასასიამოვნო საქმეებში შენ საფარი, შირმა გჭირდება. ამას საჭიროება მოითხოვს და ჩემთვის დიდი პატივია, რომ დავბადებულვარ თქვენდა სამსახურად. მერედა, რას წერს ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე?

– როგორ არის საქმეები სასახლის კარზე?

– აჰ, პრინცთან პირველი მეჯლისისა და კადრილის საქმეების გამო დიდი თავის ტეხაა. დღეს ჩვენ სადამოს ისევ უნდა ვივარჯიშოთ ამ კადრილში. ჯერ კიდევ ნათელი გადაწყვეტილება ვერ მიუღიათ კოსტიუმების თაობაზე, რომელთაც პოლონეზის დროს პირველად ზეგავლენა უნდა მოახდინონ. მაგრამ სწორედ ეს ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, იგი ჭრელ-ჭრელი პარადი იქნება *ad libitum*, [289] თუ ერთი რომელიმე იდეის განსახიერება. ჯერჯერობით სურვილები ინდივიდუალურია, პრაქტიკულად ხელშესახები მასალის გამოც. თვით პრინცი დაჟინებით მოითხოვს, ველური უნდა წარმოვადგინო. შტაფს სურს თურქი განასახიეროს, მარშალს – ფრანგი გლეხი, შტაინს – სავოიელი, ფრაუ შუმანს დაუჩემებია ბერძნული სამოსი, ხოლო აქტუარიუსის მეუღლეს რენჩინს – მებაღე გოგოს ტანსაცმელი.

– მისმინე, ეს უკვე *du dernier ridicule*. [290] რენჩინა და მებაღე გოგო?! რაო, თავისი წლოვანება აღარ იცის? ამის წინააღმდეგ უნდა წავიდეთ. რომელი მატრონა, აი, ყველაფერი, რის ნება და დასტურიც შეიძლება მისცე მას კაცმა. თუ პრინცი ველურზე აცხადებს პრეტენზიას, უიმისოდაც ვიცით, თუ რა აქვს აზრად. კარავში შეფარებულ მეწალკოტე გოგოსთან თავის თავს ხუმრობის ნებას მისცემს და სკანდალი ატყდება. სერიოზულად, ავგუსტ! მე თვითონ სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს, პოლონეზს მაინც; ჩემი აზრით, იგი

ქრელქრული და თვითნებური კი არ უნდა იყოს, არამედ ერთ მნიშვნელზე დაყვანილი, ანდა მიეცეს თავისუფალი, მოფიქრებულ წესრიგი. როგორც სპარსულ პოეზიაში, ყველგან ჭემმარიტი დაკმაყოფილება მხოლოდ უმაღლესი ხელმძღვანელი საწყისის უპირატესობას მოაქვს, რასაც ჩვენ, გერმანელები, «გონს» ვუწოდებთ. მე მშვენიერი მასკარადის იდეა მაქვს თავში.[291] მისი გამწესრიგებელი და მაუწყებელი ჰეროლდი მე თვითონ მინდა ვიყო, რადგან ყოველივე ამას თან უნდა ახლდეს მოფიქრებული მოკლე სიტყვა, მანდოლინებისა და გიტარების მუსიკა. მეწალკოტე ქალები – კეთილი, შეიძლება მოვიდნენ ტურფა ფლორენციელი ქალები და მწვანე თაღებქვემ გამოფინონ და შესთავაზონ ხელოვნური ყვავილების ქრელქრულა ზიზილ-პიპილები. ამ ტურფა ქალებს

წყვილ-წყვილად უნდა შეუერთდნენ სახეგარუჯული, მზემოკიდებული მეწალკოტე მამაკაცები, რომლებსაც უხვად შემოაქვთ ხილი, ისე რომ მწვანედ მორთულ თაღებქვემ გამხიარულებულ გულსა და გრძნობებს თვალწინ დაუდგეს წლის მთელი სიუხვე, კვირტები, ფოთლები, ყვავილები, ხილი და ნაყოფი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მშვენიერ ყმაწვილთა შორის უნდა შეერიოს რამდენიმე მეზადური, ფრინველზე მონადირენი ბადეებით, ანკესებითა და წკეპლებით; იწყება მხიარულება, გამოკიდება, ცდილობენ ერთმანეთი დაიჭირონ თავაზიანად, რასაც უხემ შეშისმპობელთა გამოსვლა შეწყვეტს, რომელთა როლი ის არის, რომ ამ სინატიფეში აუცილებელი სიტლანქე წარმოადგინონ. შემდეგ ჰეროლდი მოუხმობს

ბერძნულ მითოლოგიას, მიმზიდველი გრაციების გამოცხადებას ფეხდაფეხ მოჰყვებიან ჩაფიქრებული კლოთო, ლაქესისი და ატროპე[292] სართავი ჯარით, ნართითა და მაკრატლით. როგორც კი გაივლიან ფურიები, ამასთან, სწორად გამიგე, წარმოდგენილი იქნებიან არა მძვინვარე და საზარელი, არამედ მიმზიდველი, გველისებურად შემპარავი და ბოროტი ახალგაზრდა ქალების სახით, მათ მაშინვე დინჯად მოჰყვება, როგორც ნამდვილი მთა და ცოცხალი კოლოსი, ხალიჩა-ფარდაგებით მოკაზმული და კოშკით დაგვირგვინებული ნამდვილი სპილო, რომლის კისერზე ზის კოხტა ქალი, წვერწამახული კვერთხით, ხოლო ზემოთ ბალდახინში დიდებული ქალღმერთი...

– კეთილი, მამა, მაგრამ საიდან მოვიყვანოთ სპილო, როგორ, ისიც სასახლეში...

– მაცალე, გუნებას ნუ წამიხდენ! ეს მოხერხდება, შეიძლება, თუკი გულით გასურს, რაღაც მოვიგონოთ, ავაგოთ ამ ცხოველის მაგვარი ნაგებობა, გავუკეთოთ ხორთუმი და ეშვები, თან შთაბეჭდილების მოსახდენად ბორბლებზეც შევაყენოთ. მე ვფიქრობ, ის ფრთაშესხმული ქალღმერთი იქ, მაღლა, იქნება ვიქტორია, ყველა მოქმედების დიდოსტატი. მაგრამ ორივე მხრივ მოსდევს ბორკილდადებული ორი კეთილშობილი ქალი, რომელთა მნიშვნელობას ჰეროლდი, ვით შეჰფერის მის სამსახურს, განმარტავს, რადგან ესენია შიში და იმედი, შებორკილი გონიერების მიერ, რომელიც ორივეს საზოგადოებას წარუდგენს როგორც ადამიანთა ავსა და დიდ მტერს.

– იმედიც?

– უსათუოდ! ყოველ შემთხვევაში იმდენივე უფლებით იქნება მხილებული, როგორც შიში. აბა, ჩაუფიქრდი, რა სულელურ და ტკბილ ილუზიებს უქმნის იგი ადამიანებს და ადუნებს, ჩასჩურჩულებს მათ, რომ ოდესმე უზრუნველად და ნებისად შეუძლიათ იცხოვრონ, უკეთესი უთუოდ სადღაც იპოვონ. რაც შეეხება სახელგანთქმულ ვიქტორიას, დაე თერსიტემ[293] მიზნად ამოირჩიოს თავისი არასასიამოვნო დამამცირებელი ყიყინისთვის, რასაც ესოდენ ვერ იტანს ჰეროლდი, რომელმაც თავისი ჯოხით უნდა დასაჯოს ნათრევი ძაღლი, ისე რომ ჯუჯა ქმნილება წკმუტუნით იკრუნჩხებოდეს, გორგლად, გუნდასავით იკუმშებოდეს და ამ გუნდისგან ყველას თვალწინ კვერცხად იქცეოდეს, ხოლო კვერცხი იბერებოდეს, სკდებოდეს და იქიდან საზარელი ტყუპი ძვრებოდეს: ჭრელი გველი და ღამურა; მათგან ერთი მტვერში ცურავდეს, ხოლო მეორე შავად ჭერთან დაფრინავდეს...

– მაგრამ, ძვირფასო მამა, როგორ უნდა გავაკეთოთ ყოველივე ეს, თუნდაც მოჩვენებით როგორ ვაჩვენოთ ეს ორად გამსკდარი კვერცხი – გველგესლა და ღამურა!

– აჰ, ოღონდ იყოს სურვილ-ხალისი და სიყვარული შესაგრძნობი ხილვისთვის და ყოველივე ეს ადვილად მოეწყობა. მაგრამ ამით არ მთავრდება მოულოდნელობანი, რადგან მთელი ბრწყინვალეობით შემოდის ოთხცხენშებმული ლამაზი ეტლი, რომელსაც მომხიბლავი ბიჭი მართავს; მასში უნდა იჯდეს დოლბანდიანი, მთვარესავით გაბადრული ჯანმრთელი სახის მეფე; ორივეს წარდგენა საზოგადოების

წინაშე ისევ ჰეროდის სამსახურებრივი საქმეა სასახლის კარზე: მთვარესავით გაბადრული სახე იქნება მეფე პლუტოსი, სიმდიდრე, ხოლო მომხიბლავ მეეტლე ბიჭში, ბრჭყვიალა გვირგვინი რომ უმშვენებს შავ თმას, ყველამ უნდა შეიცნოს პოეზია, რომელიც ირგვლივ სიუხვეს აფენს, მეფის სიმდიდრეს, ზეიმს და ნადიმს შნოსა და ლაზათს სძენს; საკმარისია,

მხოლოდ ამ ცელქმა თითები გაატკაცუნოს, რომ გადმოსცვივდეს ელვარებითა და ბრწყინვალეობით თვალ-მარგალიტი, ოქროს ძეწკვები, ფარლულები და სავარცხლები, სამკაულები, სამაჯურები, მცირე გვირგვინები და ძვირფასი საყურეები, რათა საყვარელმა ბრბომ იძიძგილათ ამ თითების ტკაცუნში.

– სათქმელად ადვილია, მამა! სამაჯურები, თვალ-მარგალიტი, ოქროს ძეწკვები და ფარლულები! შენ ფიქრობ: «ქეჩოს ვიფხან და ხელებს ვიფშვნეტ».

– შეიძლება იაფფასიანი სისულელები და საანგარიშო ჟეტონებიც კი. მე მხოლოდ იმასთან მაქვს საქმე, რომ უხვი და მფლანგველი პოეზია და სიმდიდრე ალეგორიულ ურთიერთობაში დავაყენო, ასე რომ მოგვაგონებდეს ვენეციას, სადაც ხელოვნება ჰყვაროდა, როგორც ტიტა, სავაჭრო მოგების ნოყიერ ნიადაგზე. დაე, დოლბანდიანმა პლუტოსმა[294] უთხრას მომხიბლავ ბიჭს: «შვილი ხარ ჩემი, ნებიერი და საყვარელი!»

– მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მან ასე გაიგოს და გამოხატოს, მამა! ეს იქნებოდა...

– სასურველი ის იქნებოდა, რომ შეიძლებოდა იმის მოწყობა, ხან ერთისა და ხან მეორის თავზე პატარა ცეცხლის ალები გამოჩნდებოდა, რომელთაც მშვენიერი მეეტლის ხელი თავის უდიდეს ჯილდოებს მიმოაბნევდა: გონის ნაპერწკლები ერთზე ჩერდება, მეორეზე სხლტება, იქ სწრაფად აენტება, დიდხანს იშვიათად თუ გრძელდება, ხოლო უმრავლესს თვალს მოჰკრავს ვიდრე, მოწყენილი და დაშრეტილი ძლივსა ბჟუტავს და უქრება ისევ. ასე გვექნებოდა მამა, მე და სული წმინდა.

– ეს აბსოლუტურად არ შეიძლება და არ მოხდება, მამა, მექანიკურ შეუსრულებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ! სასახლის კარი აღელდება. ეს მართლმორწმუნეობის საწინააღმდეგო და გადაჭრით ღვთის გამოა იქნებოდა.

– როგორ? როგორ შეგიძლია ასეთ თაყვანისცემას და მარჯვე მინიშნებებს ღვთის გამობა უწოდო? რელიგია და მისი წარმოდგენების საგანძური კულტურის ერთი ინგრედიენტია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ როგორც მხიარული და მნიშვნელოვანი მეტაფორით, რათა ზოგადსაყოველთაო გონითი ჩანაფიქრი თვალთა საამო სახილველი და ხელშესახები იყოს.

– მაგრამ არა სხვა ინგრედიენტთა მსგავსი, მამა. ასეთი ინგრედიენტირელიგიაში იძლევა იყოს შენი თვალთახედვისთვის, მაგრამ არა ზეიმის საშუალო მონაწილისთვის, თვით სასახლის კარისთვისაც კი არა, ანუ დღეისთვის უკვე აღარ. მართალია, ქალაქი სასახლეს უსწორებს მხარს, მაგრამ სასახლეს ხომ ქალაქს უწევს ანგარიშს, და სწორედ დღეს, როდესაც რელიგია ახალგაზრდობასა და საზოგადოებაში კვლავ ასეთ პატივშია.

– მაშ, დავამთავროთ! ჩემი პატარა თეატრი ისევ უნდა ჩავალაგო, მთელი მისი სპირტის ცეცხლებით, და გეტყვით თქვენ, ვითარცა ფარისეველი იუდას: «თქვენ იხილეთ!» მართალია, ამას მერე უნდა მოჰყოლოდა ყოველგვარი ალიაქოთი და აურზაური, დიდი პანის სვლა,[295] ველური ლაშქარი, მარღვიანი და წვრილფეხებიანი ყურაცქვეტილი ფავნებითა და სატირებით, კეთილმოსურნე გნომები და ნიმფები, ველური მამაკაცები (ბუმბერაზები) ჰარციდან, – მაგრამ ყოველივე ამას თავის ნებაზე დავტოვებ, დავიმახსოვრებ, და სადღაც უკეთეს ადგილას ჩავრთავ, სადაც თქვენი მოდური ეჭვები და ქენჯნანი ვერ მომწვდება, რაკი თქვენ ხუმრობა და გართობა არ გესმით, მე თქვენი კაცი ვერ ვიქნები, – რომელ თემას გადავუხვიეთ?!

– ჩვენ გადავუხვიეთ თქვენ მიერ მიღებული ბარათის თემას, რომელზეც, მამა, უნდა გერჩიათ, თუ რა პასუხი გაგვეცა. რას წერს ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე კესტნერი?

– დიახ, ბარათი. შენ მომიტანე *billet-doux*. [296] რას იწერება? ყური მიგდე, მეც რაღაცა დავწერე. უკეთესია ჯერ ეს წაიკითხო *un momentino*, აი აქ, ეს «დივანისთვის» დავწერე.

– «ამბობენ, ბატები უჭკუონი არიან! ო, ნუ დაუჯერებთ ადამიანებს: – ერთი ჩერდება, ირგვლივ იხედება, – მეც უკან რაღაცას მანიშნებს». – დიახ, მართლაც ლამაზია, მამა, მართლაც

თავაზიანია, ანუ არცთუ თავაზიანი, როგორც გნებავდეთ, მაგრამ ვეჭვობ ეს პასუხად გამოდგეს.

– არა? მე კი მეგონა. მაშინ სხვა რაღაც უნდა მოვიფიქროთ, უფრო პროზაული რამ. ჩემი აზრია, ვაიმარის ყველა მომლოცველისთვის საპატიო მოწვევა სადილზე.

– ეს უამისოდაც ცხადია. ბარათი ძალიან კარგად არის დაწერილი.

– ო, ძალიან! რას ფიქრობ, რამდენ ხანს უნდა ემუშავა საბრალოს ამის შედგენაზე.

– ადამიანები საგულდაგულოდ არჩევენ სიტყვებს, როდესაც შენ გწერენ.

– არასასიამოვნო გრძნობაა.

– ეს ის დისციპლინა და კულტურის ბორკილებაა, შენ რომ ადამიანებს ადებ.

– და მე რომ მოვკვდები, ერთს ამოიძახებენ «უუჰ!» – და ისევ გოჭებივით მოჰყვებიან ჭყვიტინს.

– ეს საშიშროება მოელთ.

– ნუ ამბობ: «საშიშროება». დაე, მიეცი ნება თავის გუნებისად იცხოვრონ. მე არ მესიამოვნება ვინმეს დაჩაგვრა.

– ვინ ლაპარაკობს დაჩაგვრაზე ანდა სიკვდილზე. შენ ჯერ კიდევ დიდხანს ჩვენდა სასიკეთოდ და სასიხარულოდ დარჩები ჩვენი მბრძანებელი.

– შენ ასე ფიქრობ? მაგრამ დღეს მე სულაც ვერ ვგრძნობ თავს უკეთესად. მკლავი მაწუხებს. იმ ხიხინამ დღეს კიდევ უსიამოვნო გუნებაზე დამაყენა და, გულჯავრიანმა, დიდხანს ვუკარნახე, რაც აუცილებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

– ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, რომ შენ არ გადახვალ და პატივისცემის დასადასტურებლად არ ეახლები ბარათის მომწერს; ბარათზე პასუხის გაცემასაც გადადებას ამჯობინებდი.

– ესე იგი, ესე იგი. შენ დასკვნების გაკეთების არცთუ მთლად კარგი ჩვეულება გაქვს. დასკვნებს პირდაპირ პირიდან მგლეჯ.

– მაპატიე, მე შენი გრძნობებისა და სურვილების ამოცნობაში ხშირად ვიბნევი, ვერ ვერკვევი, ბნელში ხელების ცეცებით ვიკვლევ გზას.

– მეც ასევე. ხოლო სიბნელეში იდუმალი ჩურჩულია. როდესაც წარსული და აწმყო ერთდება, რისადმიც ჩემს ცხოვრებას იმთავითვე ჰქონდა მიდრეკილება, აწმყო ადვილად იღებს ზმანების ხასიათს, ლექსებში ის მართლაც კარგად, მშვენივრად გამოდის, სინამდვილეში კი რაღაც შემადრწუნებელია. – შენ ამბობ, რომ ამ ჩამოსვლის ამბავმა ქალაქში ხმაური გამოიწვია?

– არცთუ მცირე, მამა. აბა სხვაგვარად როგორ გნებავს, რომ იყოს. ხალხს თავი მოუყრია სასტუმროს წინ. მათ სურთ, «ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის» გმირ ქალს შეხედონ. პოლიცია ძლივს იცავს წესრიგს.

– სულელი ხალხია! – მაგრამ, ჩანს, კულტურა გერმანიაში დაუჯერებლად მაღლა დგას, რომ ამისთანა მღელვარება და ასეთი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. ძნელი, შემაწუხებელი, საძაგელი საქმეა, შვილო. წარსულს პირი შეუკრავს სისულელესთან და შეთქმულებას მიწყობს, რათა მღელვარება და უწესრიგობა შემოიტანოს ჩემს ცხოვრებაში. ვერ შეიკავა თავი და ვერ დაეტია თავის სახლში ეს ბებერი ქალი, რომ დავენდე და არ შევეწუხებინე?

– მეტისმეტს მეკითხები, მამა, შენ ხედავ, რომ ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე სრულიად მართალია, და უფლებაც აქვს. ის ეწვია თავის საყვარელ ნათესავებს, რიდელებს.

– რასაკვირველია, ის მათ სანახავად ჩამოსულა – პირის ჩასატკბარუნებლად. უნდა, რომ დიდება იგემოს და იმის გაგებაც კი არა აქვს, რომ დიდება და ყბადაღებული ჭორი მტანჯველი სახით ერთმანეთს გადაეხლართება. და აგერ უკვე რა მივიღეთ, ხალხის მოზღვაება მერედა, როგორ აღელდება საზოგადოება, როგორ დაცინვას დაიწყებს: კისრებს წაიგრძელებენ, თვალთვალს დაგიწყებენ და ჭორებს მოჰყვებიან! მოკლედ, მთელი ძალით ყოველივე ეს თავიდან უნდა ავიცილოთ და აღვკვეთოთ. ძალიან გონივრულად, წინდახედულად და თავშეკავებულად უნდა მოვიქცეთ, სადილად ვიწრო წრეს მოვიწვევთ, მის ნათესავებს, სხვა მხრივ თავი შორს უნდა დავიჭიროთ და საბაბი არ უნდა მივცეთ მითქმა-მოთქმის მოყვარულებს.

- როდის უნდა იყოს ეს, მამა?
- რამდენიმე დღეში. მაგრამ ახლავე არა! ზომიერება და დისტანცია! დროა საჭირო, რომ საქმე აწონ-დაწონო და შორიდან შეხედო, მეორე მხრივ, არც ძალიან უნდა გავაჭიანუროთ, სჯობს მალე მოვიცილოთ. ამჟამად, მზარეული და მოახლე გოგო ისედაც თეთრეულის რეცხვაში არიან გართული.
- ზეგ უკვე კარადებში გვექნება თეთრეული.
- კეთილი, მაშინ სამი დღის შემდეგ.
- ვის ვიწვევთ?
- ახლობლებს, შიგადაშიგ უცხო პირებიც გავურიოთ. ამ შემთხვევაში ჯობია ოდნავ გაფართოებული ინტიმურობა. ამრიგად, დედა და ქალიშვილი, და და სიმე, მაიერი და რიმერი მეუღლეებით, კუდრეი ან რეებანი ყოველი შემთხვევისთვის; სასახლის კამერმრჩეველი კირმსი[297] მეუღლით – და კიდევ ვინ?
- ბიძია ვულპიუსი?
- უარყოფილია, შენ ვერ ხარ ჭკვიანი!
- დეიდა შარლოტე?
- შარლოტე? ფონ შტაინს გულისხმობ? შენი წინადადებები მეტისმეტია! ორი შარლოტე უკვე ბევრია. მე განა არ გითხარი: სიფრთხილე, წინდახედულობა, გონიერება? ის თუ მოვიდა, სიტუაცია ძალიან დაიძაბება. უარს იტყვის და ყბედობის საბაზი მიეცემათ.
- მეზობლებიდან: ჰერ შტეფან შიუტცე.
- კარგი, მოიწვიე ეს მწერალი; ამჟამად ქალაქშია აგრეთვე სამთო საქმის მრჩეველი ვერნერ ფრაიბურგელი,[298] გეოგნოსტიკოსი. მას შეიძლება ვთხოვოთ, რომ ვილაცასთან გადალაპარაკების საშუალება მქონდეს.
- ამრიგად, ჩვენ ვიქნებით თექვსმეტი.
- შეიძლება ვილაცამ უარი თქვას მოწვევაზე.
- არა, მამა, ყველანი მოვლენ!

- ჩაცმულობა?
- საღამოს მორთულობა. მამაკაცები ფრაკებში იქნებიან გამოწყობილი, მკერდზე ორდენებით.
- როგორც გვიბრძანებ. თუმცა საზოგადოება მეგობართა წრისგან შედგება, მაგრამ მათი რაოდენობა ამართლებს ერთგვარ ფორმალობას. ეს ჩამოსულისადმი ყურადღების მაუწყებელიც არის.
- ასე ვფიქრობ.
- გარდა ამისა, ჩვენ სიამოვნება გვექნება, ერთხელ კიდევ ვიხილოთ თეთრი შევარდენით, – კინალამ ვთქვი ოქროს საწმისით.
- ეს იქნებოდა ჩვენი ახალგაზრდა ორდენისთვის მეტად მოსაწონი ლაფსუსი.
- და მაინც კინალამ წამცდა, ალბათ იმიტომ, რომ ეს შეხვედრა მაგონებს ეგმონტის დაგვიანებულ სცენას. ვეცლარის დღეებში შენ ჯერ კიდევ არ გაგაჩნდა სასახლის ეს ესპანური ფუფუნება, რომ ამ კლერჰენს მით სჩვენებოდი.
- შენ კარგ გუნებაზე ხარ, მაგრამ ეს შენი გემოვნების გაუმჯობესებას სულაც არ უწყობს ხელს.
- მეტისმეტად დახვეწილი გემოვნება ცუდი გუნების მაჩვენებელია.
- ორივეს დღეს დილით ბევრი სამუშაო გვაქვს.
- შენი უპირველესი საქმე ალბათ ბარათის დაწერა იქნება?
- არა. შენ წარუდგები და მოახსენებ. ეს ცოტაც არის და ბევრიც. შენ მოახსენებ ჩემს საღამოს და კეთილმოზრძანების სურვილს. უპირველესად იმასაც მოახსენებ, რომ ჩემთვის დიდი პატივი იქნება მისი სადილად მოზრძანება ჩვენთან.
- ჩემთვის დიდი პატივია, შენი სახელით წარუდგე მის წინაშე, ასეთი მნიშვნელოვანი საბაბი იშვიათად მომცემია. მხოლოდ ვილანდის დაკრძალვას თუ მოვიშველიებ შესაძარებლად.
- სადილობისას გნახავ.

თავი მერვე

შარლოტე კესტნერს არ გამძნელებია თავისი ესოდენ უზომო დაგვიანება განემარტა და ბოდიში მოეხადა, როდესაც 22 სექტემბერს ესპლანადაზე რიდელებთან გამოცხადდა. ბოლოს, როგორც კი მიაღწია დანიშნულ ადგილს, მაშინვე უმცროსი დის მკლავებში აღმოჩნდა; გვერდით მისი ქმარი იდგა და გულაჩუყებული შეჰყურებდა. ლოტე თავისუფალი იყო, ანგარიში ჩაებარებინა იმ ამბებისა და მოვლენების გამო, მთელი დილა და დღის ნაწილიც რომ წაართვეს. მხოლოდ მომდევნო დღეებში, ნელ-ნელა, დროდადრო, როცა შემთხვევა მოიტანდა, ხან კითხვებზე, ხანაც თვითონ უბრუნდებოდა იმ საუბრებს. თვით სასტუმრო «სპილოში» უკანასკნელი მნახველის მიერ სამი დღის მერე სადილად მიწვევა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაიხსენა და თან სიტყვები «დიახ, სწორი!» აჩქარებული მოთხოვნით დასძინა, რათა დათანხმებოდნენ და მოწონების დასტური მიეცათ, რომ სწორად მოიქცა, როცა მან ჩამოსვლის შემდეგ ბარათი გაგზავნა სახელგანთქმულ სახლში.

– როდესაც ეს გავაკეთე, საბოლოოდ და შესაძლებელია, პირველ რიგშიც შენზე ვფიქრობდი, – უთხრა თავის სიძეს, – ვერ გამიგია, რატომ არ უნდა განაახლო ურთიერთობა, თუნდაც ძველთაძველი იყოს იგი, თუკი ეს ურთიერთობა შენს საყვარელ ნათესავებს სასიკეთოდ გამოადგებათ.

მადლობის გრძნობით გაუღიმა იმ მხარის საიდუმლო კამერმრჩეველმა, რომელიც ჰერცოგის სამსახურში კამერდირექტორის თანამდებობას უმიზნებდა, მით უმეტეს, რომ ამ თანამდებობაზე დანიშვნა მის ჯამაგირს გაზრდიდა და მდგომარეობასაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა, – ფრანგთა ბატონობის დროს განცდილი ზარალის შემდეგ კი რიდელების ოჯახი მხოლოდ ხელფასით ხელმოკლედ ცხოვრობდა. მართლაც, პირველი შემთხვევა როდი იყო, როდესაც რიდელს თავისი ცხოვრების სარბიელზე კეთილი ხელი გაუწოდა მისი ცოლისდის ახალგაზრდობის მეგობარმა. გოეთე აფასებდა მას. თავის დროზე მან უშოვა ახალგაზრდა ჰამბურგელს, შინაურ მასწავლებელს ერთი გრაფის ოჯახში, საქსენ-ვაიმარის მემკვიდრე პრინცის აღმზრდელის ადგილი, რომელიც მას რამდენიმე წელიწადს ეკავა. ფრაუ

შოპენჰაუერის საღამოს საზოგადოებრივ წვეულებებზე დოქტორი რიდელი ხშირად შეხვედრია მგოსანს, მაგრამ მის სახლში არასოდეს ყოფილა, და მისთვის მეტისმეტად სასიამოვნო იყო, რომ შარლოტეს გამოჩენამ დიდი პოეტის სახლში წვევის საშუალება მისცა.

თუმცა ფრაუნჰოლანზე მომავალი სადილის შესახებ წერილობითი მიწვევა რიდელებმა იმავე საღამოს მიიღეს, მომდევნო დღეებში მხოლოდ გაკვრით, სხვათა შორის, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ერთგვარი აჩქარებით ლაპარაკობდნენ, თითქოს თავის საქმეებში გართულ ოჯახს იგი სრულიად დავიწყებოდეს. ის გარემოება, რომ მიწვეული იყვნენ კამერმრჩეველი და მისი მეუღლე, მათი ქალიშვილები კი არა, ასევე ნაბრძანები იყო ფრაკში გამოწყობა, მოწმობდა წვეულების არა ფამილარულ, არამედ უფრო ოფიციალურ ხასიათს, რასაც სხვა საუბარში ისე, სასხვათაშორისოდ შენიშნავდნენ, და პაუზის მერე, როდესაც თითოეული მათგანი, როგორც ჩანს, თავისთვის ყოველმხრივ წონიდა, მიეჩნია თუ არა ეს ვითარება გასახარელ თუ არაგასახარელ მოვლენად, საუბრის საგანი კვლავ იცვლებოდა.

დღემდე მხოლოდ გაჭირვების ჟამს წერილების მიწერ-მოწერით ერთმანეთს ძლივს აწვდენდნენ ხმას, ახლა, ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი, მოსაგონარი და გასაზიარებელი. იხილავდნენ შვილების, დაძმების, მათი შვილების ბედსა და მდგომარეობას. მხოლოდ მოწიწებით და გულისტკივილით უნდა გაეხსენებინათ ზოგიერთი წევრი იმ პატარა წრისა, რომლის სურათი, თუ როგორ უნაწილებდა ლოტე მათ პურს, თხზულებაში შევიდა და მთელი საზოგადოების საყოველთაო საკუთრებად და სამხიარულოდ იქცა. ოთხმა დამ უკვე სამარადისოდ განისვენა. ყველაზე უწინ – უფროსმა დამ კაროლინემ, სასახლის მრჩევლის დიტცის მეუღლემ, რომლის მემკვიდრე ხუთივე ვაჟიშვილს საპატიო თანამდებობა უჭირავს სასამართლოებსა და მაგისტრატურებში. გაუთხოვარი დარჩა, მხოლოდ მეოთხე და, სოფიო, რომელიც ასევე გარდაიცვალა უკვე რვა წლის წინ თავისი ძმის გეორგის სახლში. შესანიშნავი ვაჟკაცი დადგა გეორგი; მის

პატივსაცემად, ზოგიერთთა სურვილის წინააღმდეგ, შარლოტემ თავის პირმშოს სახელად გეორგი დაარქვა. მისმა ძმამ გეორგმა მდიდარი ჰანოვერელი ქალი შეირთო და, როგორც

თავისი მამის, ნეტარხსენებული მოხუცი ბუფის უშუალო მემკვიდრეს, ვეცლარში ამტმანის თანამდებობა უჭირავს და მართავს მას საკუთარი და საყოველთაო კმაყოფილების ვითარებაში.

საერთოდ იმ სანიმუშო ჯგუფის მამაკაცთა ნაწილი უფრო სიცოცხლისუნარიანი და გამძლე გამოდგა, ვიდრე ქალთა ნაწილი, თუ არ ჩავთვლით ორივე უფროს ქალს, რომლებიც ამჟამად ამაღლია რიდელის ოთახში ისხდნენ და ხელსაქმობდნენ, თან წარსულსა და აწმყო საქმეებზე საუბრობდნენ. მათი უფროსი ძმა ჰანსი, სწორედ ის ჰანსი,

რომელიც ოდესღაც განსაკუთრებით გულითად ურთიერთობაში იყო დოქტორ გოეთესთან და რომელმაც ბავშვური თავშეუკავებლობით გაიხარა, როდესაც ვერტერის წიგნი მიიღეს, სასარგებლო და შემოსავლიან მოღვაწეობას ეწეოდა როგორც კამერდირექტორი გრაფ ფონ სოლმს-რედელჰაიმთან; მეორე, ვილჰელმი ადვოკატი იყო, ხოლო უმცროსს, ფრიცს ნიდერლანდის სამხედრო სამსახურში ჰაუპტმანის თანამდებობა ეჭირა. არ შეიძლებოდა წინდის ჩხირების წკაპუნსა და ქსოვაში არაფერი ეთქვათ ბრანდტის ქალიშვილებზე, ანჰენსა და დორთელზე, იუნონას რომ ჰგავდა. ისმოდა თუ არა რამე მათ შესახებ? დროდადრო. შემთხვევით თუ მოჰკრავდნენ ყურს. შავთვალემა დორთელი ცოლად გაჰყვა არა იმ სასახლის კარის მრჩველ ცელას, რომლის აშკარა არშიყოფა ასეთ უხემ დაცინვას იწვევდა მაშინდელ მხიარულ წრეში, ყველაზე მეტად კი სამართლის იმ მოცლილი პრაქტიკანტის მხრივ, რომელიც თავადაც გულგრილი როდი გახლდათ შავი თვალების მიმართ, არამედ მედიცინის დოქტორ ჰესლერს, ასე მალე რომ გამოჰგლიჯა სიკვდილმა ხელიდან. ასე რომ, ახლა დორთელი დიდი ხანია ცხოვრობს ბამბერგში თავის ძმასთან და საოჯახო საქმეებს უძღვება. ანჰენს აგერ უკვე ოცდათხუთმეტი წელიწადიაა ფრაუ მრჩველ ვერნერს უხმობენ, მესამემ, თეკლამ, მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება გაატარა პროკურატორ ვილჰელმ ბუფის გვერდით.

ყველა გაიხსენეს, ცოცხალი და გარდაცვლილი, მაგრამ შარლოტე უფრო მაშინ გამოცოცხლდებოდა ხოლმე, ნაზად შეეფაკლებოდა ღაწვები, რაც მეტისმეტად უხდებოდა და აახალგაზრდავებდა, ცდილობდა ხელზე ნიკაპი მოხდენილად დაეყრდნო და ასე შეეკავებინა თავის ოდნავი ცახცახი, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდებოდა მის შვილებზე, მის

ვაჟიშვილებზე, ადამიანებზე, რომლებიც აგერ უკვე მეორმოცე წელიწადში გადამდგარიყვნენ და თვალსაჩინო ადგილებიც ეჭირათ ცხოვრებაში, როგორც მედიცინის პროფესორს, თეოდორს და დოქტორ ავგუსტს, ლეგაციის მრჩეველს. კვლავ გაიხსენეს ამ ორი უკანასკნელის მიერ მათი დედის ახალგაზრდობის მეგობრის ნახვა გერბერმიულეში. ასევე დების საუბარში საერთოდ კვლავ და კვლავ იპარებოდა ხოლმე ნებსით თუ უნებლიეთ, თუმცა ერიდებოდნენ, ესოდენ ახლო მცხოვრები დიდი ადამიანის სახელი, რომლის არსებობა, რაოდენ განსაკუთრებით ამაღლებულიც უნდა ყოფილიყო, ახალგაზრდობის დღეებიდანვე გადახლართულიყო ამ ოჯახური წრის ცხოვრებასა და ბედ-იღბალთან. მაგალითად, შარლოტემ გაიხსენა, კესტნერთან ერთად რომ იმოგზაურა ჰანოვერიდან ვეცლარში თითქმის ორმოცი წლის წინ, როდესაც ფრანკფურტზე გავლის დროს ინახულეს ლტოლვილი მეგობრის დედა. მათ, ახალგაზრდა წყვილსა და საიმპერატორო მრჩეველის მეუღლეს, ისე მოეწონათ ერთმანეთი, რომ ამ უკანასკნელმა განაცხადა, მზად იყო კესტნერების სულ უმცროსი ქალიშვილის ნათლია გამხდარიყო. ის კი, ვინც, მისივე სიტყვებით, ყველა მათ შვილს სიამოვნებით მონათლავდა, მაშინ რომში ბრძანდებოდა; დედა, რომელსაც ის-ის იყო, მოულოდნელად მიეღო მოკლე ცნობა თავისი სახელგანთქმული შვილის მარადიულ ქალაქში ყოფნის შესახებ, ენად გაიკრიფა და გულწრფელად ამაყობდა თავისი არაჩვეულებრივი შვილის გამო. ლოტემ ყოველივე ეს კარგად დაიმახსოვრა და ახლა თავის დასთან იმეორებდა, – რა ნაყოფიერი, ხელშემწყობი და უმაღლესი სარგებლობის მომტანი იქნება ეს მოგზაურობა, – წამოიძახა დედამისმა, – ისეთი ადამიანისთვის, ვისაც არწივის გამჭრიახი ხედვა აქვს, ყველასთვის სიკეთისა და სიდიადის მიმცემი, მაღლის მომფენი იქნება არა მარტო მისთვის, არამედ ყველასთვის. ვისაც კი ბედნიერება აქვს, მისი მოღვაწეობის წრეში იცხოვროს. დიახ, ასეთი იყო ხვედრი ამა დედისა, რომელიც აშკარად და ხმამაღლა ბედნიერად თვლიდა იმათ, ვისაც წილად ხვდა, მისი შვილის ცხოვრების წრეში მოხვედრილიყო. მან მოიყვანა სიტყვები ერთი მეგობარი ქალის, ნეტარხსენებული კლეტენბერგერისა: «თქვენი ვოლფგანგი მაინცში რომ ჩავიდეს, უფრო მეტს ჩამოიტანს, ვიდრე სხვები პარიზიდან და ლონდონიდან რომ დაბრუნდნენ». ბედნიერმა დედამ აუწყა მათ, რომ წერილებში შვილი ჰპირდებოდა, დაბრუნებისას

გინახულებო. მაშინ შვილი ყველაფერს დაწვრილებით უამბობს დედას, საამისოდ ის ყველა მეგობარსა და ნაცნობს სახლში დაპატიჟებს და დიდებულად გაუმასპინძლდება. ნადიმი ზარ-ზეიმით უნდა ჩატარებულიყო. ნანადირევის ხორცი, შემწვარი და მოხრაკული, შინაური ფრინველი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც ქვიშა ზღვაში. – არაფერი კი არ გამოვიდა, მგონია, აქედან, – ჩაურთო თავისი ვარაუდი ამალიე რიდელმა. მისმა დამაც თქვა, რომ მანაც ასეთი რამ მოისმინა, და საუბარი გადაიტანა ისევ საკუთარ ვაჟიშვილებზე, რომელთაც ისეთი სიყვარული და ერთგულება ჩაუნერგა, რომ რეგულარულად და თავზიანად ნახულობენ. რაც მასაც, როგორც დედას, საბაბს აძლევდა თავი მოეწონებინა თავისი შვილებით.

ამით დას რომ ცოტა თავი მოაბეზრა, თვითონაც მიხვდა. რაკი ბუნებრივი იყო, რომ სადილად მიპატიჟებულთ ტუალეტის საკითხზე უნდა ემსჯელათ. შარლოტემ კამერმრჩევლის მეუღლეს გულახდილად გაანდო თავისი ჩანაფიქრი ხუმრობა. გაემეორებინა მხიარული იდეა ვოლპერტსჰაუზენის სამეჯლისო კაბის თაობაზე, კაბისა, რომელსაც აკლდა ვარდისფერი ბაფთა. მოხდა ისე, რომ მან უმცროს დას საკუთარი გეგმების შესახებ ჰკითხა, ხოლო როდესაც თვით მასვე ჰკითხეს, ჯერ შეცბუნებულ-დარცხვენილი, ყოყმანითა და მოღიმარე დუმილით გაინაბა, შემდეგ კი გაწითლებულმა უამბო თავისი ლიტერატურული და პირადი თვალსაზრისით ფრიად დასამახსოვრებელი განზრახვა. თუმცა დის განაჩენს დაასწრო და ერთგვარად თავიდან აიცილა იგი იმით, რომ დას უამბო, თუ რაოდენ არასასიამოვნო იყო ლოტჰენ-უმცროსის ცივი და კრიტიკული დამოკიდებულება მისი ჩანაფიქრისადმი. რასაკვირველია, ბევრს არ ნიშნავდა, რომ ამალიემ მისი განზრახვა მომხიბლავად მიიჩნია, რადგან მის მიერ გამოთქმულ მსჯელობას სახის გამომეტყველება არცთუ ზუსტად შეესაბამებოდა, რის გამოც იქვე სანუგეშებლად დაუმატა, თუ სახლის პატრონი ამ ნართაულს ვერ გაუგებდა, მაშინ მისიანებს შორის მაინც იქნებოდა ვინმე, ვინც ამას შეამჩნევდა და მიუთითებდა. თუმცა შემდეგ ამ საკითხს ის აღარ დაჰბრუნებია.

აი, ყველაფერი, რაც შეიძლება ითქვას ერთად თავშეყრილი დების საუბრის შესახებ. დადგენილია, რომ შარლოტე ბუფის ვაიმარში ყოფნის პირველი დღეები მხოლოდ ოჯახურ წრეში

ყოფნით შემოიფარგლა. ცნობისმოყვარე საზოგადოება მის გამოჩენას ელოდა. საზოგადოებამ იგი ნახა იმ მცირე გასეირნებების დროს, რომელთაც ის თავის დასთან, კამერმრჩევლის მეუღლესთან ერთად აწყობდა ამ სოფლური ყაიდის ქალაქსა და პარკში, «ტამპლიერთა ტაძრის» ახლოს, ლაუტერქველესთან და კლაუზესთან, აგრეთვე სადამოობით, როდესაც მოახლის თანხლებით, ქალიშვილის, ზოგჯერ კი დოქტორ რიდელის საზოგადოებაში ესპლანადედან, ბრუნდებოდა ბაზართან მდებარე თავის სასტუმროში. ბევრი ცნობდა მას, – უშუალოდ თვით მას თუ არა, მის თანმხლებ პირთა მიხედვით მაინც. მშვიდი, ცისფერი თვალები სულ პირდაპირ წყნარად ჰქონდა მიპყრობილი; ესმოდა, როგორ შეანელებდნენ ხოლმე ნაბიჯს გზად შემხვედრი ადამიანები, თავს მისკენ მიაბრუნებდნენ, მაღლა აზიდული წარბებით ანაზღად შეხედავდნენ, გაუღიმებდნენ და გაივლიდნენ. რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ ისიც თავაზიანი და ღირსეული თავდაჭერით, ოდნავ მედიდური მანერით, მაგრამ კეთილი ღიმილით, სალამს მიაგებებდა ხოლმე მთელ ქალაქში ცნობილ მისი ნათესავების კეთილმოსურნეთა სალამს, რადგან იგი მასაც ეხებოდა.

ამრიგად, დადგა საპატიო წვეულების ნანატრი შუადღე თუ ნაშუადღევი, რასაც საუბარში თავშეკავებით ახსენებდნენ და შინაგანად დამაბული ღუმლით ელოდებოდნენ. რიდელმა ეტლი დაიქირავა: ნაწილობრივ ქალების სამეჯლისო ტანსაცმელსა და თავის ფეხსაცმელზე ზრუნვის გამო, – რადგან ამ სამახსოვრო ოცდახუთ სექტემბერს წვიმას აპირებდა, – ნაწილობრივ კი ამ არაჩვეულებრივი მოვლენისადმი საერთო პატივისცემით. ეტლი უკვე სახლის წინ იდგა. ოჯახმა სადილობის წინ ცოტა წაისაუზმა და სამის ნახევრისთვის

ყველანი ჩასხდნენ ეტლში. პატარა რეზიდენციის ცნობისმოყვარეთა მცირე ჯგუფი მომლოდინე ეტლის ირგვლივ შეგროვილიყო, როგორც ქორწილის ან დაკრძალვის დროს ხდება ხოლმე. მათ მეეტლისგან უკვე შეეტყოთ ამ

მოგზაურობის მიზანი, ასეთ შემთხვევებში უსაქმო მოთვალთვალეთა გაკვირვება ამ მნიშვნელოვანი ცერემონიის მონაწილეთა გულში უმეტესად შურს იწვევს იმის გამო, რომ ასე უზრუნველად განზე დგანან თავიანთ ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილნი და მათთან არაფერი ესაქმებათ, თანაც თავიანთი უპირატესობაც აქვთ შეგნებული, რაც

ზოგიერთში იწვევს უპატივცემულობის გრძნობას «თქვენ კი კარგად გრძნობთ თავს!», სხვებში კი ღრმა პატივისცემას ღვარძლიანობაც გაერევა ხოლმე.

შარლოტე და მისი და ეტლის უკანა მაღალ დასაჯდომებზე დასხდნენ. დოქტორმა რიდელმა და მისი ცოლის დისწულმა საკმაოდ მაგარი წინა მერხი დაიკავეს, რიდელს მოდური მაღალმხრებიანი ფრაკი ეცვა, თეთრი ყელსახვევი ეკეთა, მკერდზე ჯვარი და ორი მედალი დაემაგრებინა, აბრეშუმის ქუდი მუხლზე დაედო. იმ მოკლე მოგზაურობის დროს ესპლანადეს გასწვრივ, ფრაუნენთორშტრასეს გავლით, ვიდრე ფრაუნენპლანს მიაღწევდნენ, არც ერთს სიტყვა არ დასცდენია. პირადი ცხოველმყოფელობის დაზოგვა, ერთგვარი შინაგანი მზადება, თითქოს კულისებს უკან, საზოგადოებრივი აქტივობის მომავალი გამოცდისთვის ჩვეულებრივად ბატონობს ხოლმე ამგვარ გზებზე, აქ კი განსაკუთრებული გარემოებები არსებობდა, რათა, ჩაფიქრებულებს, თვით უსიამოვნოდაც კი ჩაეხშოთ თავიანთი გუნება-განწყობილება.

ნათესავეები, ცოლიცა და ქმარიც, პატივით ეპყრობოდნენ შარლოტეს დუმილს. ორმოცდაოთხი წელი! მასთან ერთად თვითონაც დუმდნენ, თანაუგრძნობდნენ ცხოვრებაში გამოტარებული გრძნობით, სიყვარულითა და ღიმილით დროდადრო თავს უქნევდნენ, ერთხელ მის მუხლებსაც შეეხნენ და ხელი გადაუსვეს. და ეს ლოტეს საბაბს და საშუალებას აძლევდა მოხუცებულობის გულისამაჩუყებელი მოვლენისთვის, – არათანაბარი, ხან გაძლიერებული, ხან კი შემცირებული თავის ცახცახისთვის – თავაზიანი საპასუხო თავის დაქნევის სახე მიეცა და ამით გაემართლებინა.

მერე ჩუმ-ჩუმად თავიანთ დისწულსაც გადახედავდნენ ხოლმე. იგი განზე გამდგარიყო, მთელ ამ ამბავს გამიჯნოდა და აშკარა იყო, რომ მთელი ეს წამოწყება არ მოსწონდა, ლოტჰენ-უმცროსი თავისი სერიოზული, ქველმოქმედი, მსხვერპლისთვის მზადყოფნის თავდადების უნარისა და თავისი ცხოვრების მკაცრი წესის წყალობით პატივცემული პიროვნება იყო, მის კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას წონა ჰქონდა, ამიტომაც მის მოწონებას თუ არმოწონებას ანგარიშს უწევდნენ. პირი ათვალწუნებით მოეკუმა და ეს მისი უარისმყოფელი გულჩათხრობილობა ხელს უწყობდა საერთო სიჩუმეს. ყველამ იცოდა, რომ მისი გამკილავი სიმკაცრე

განსაკუთრებით ეხებოდა მისი დედის ჩაცმულობას, ახლა შავი წამოსასხამით რომ დაეფარა. ყველაზე უკეთესად ეს შარლოტემ უწყობდა და დის უღიმღამო მოწონებასაც არ შეეძლო დაემშვიდებინა, რომ მისი ხუმრობა ჩინებული იყო. ხშირად მასაც ეკარგებოდა ხალისი და მხოლოდ სიჯიუტის გამო არ თმობდა ერთხელ უკვე შედგენილ იდეას. თავს იმით იმშვიდებდა, რომ მაშინდელი გარეგანი მოვლენის აღსადგენად მხოლოდ მცირე ღონისძიება იყო საჭირო, რადგან თეთრი სამოსელი ერთხელ და სამუდამოდ მისი საყვარელი სამოსი იყო. ასე რომ, მასზე რაღაც უფლება გააჩნდა, და მხოლოდ ვარდისფერი ბაფთა, უფრო კი ის, მკერდზე რომ აკლდა, შეადგენდა მთელ მის მოწაფურ ოინს, რომელზე ფიქრიც, აი ახლა, ეტლში რომ იჯდა, ამ მაღლა აქოჩრილი, ბაფთით შეკრული ფერფლისფერი თმის ვარცხნილობით, მრგვალად დახვეული კულულები ყელზე რომ ჩამოჰფენოდა, გულში ერთგვარ შურს აღუძრავდა სხვების არაფრისმთქმელი ჩაცმულობის გამო, და გული მისი მაინც ქურდული სიჯიუტით ძგერდა, მოლოდინის სიხარულით შეპყრობილი.

მაგრამ აგერ ეტლის თვლები უკვე აგრუხუნდა პატარა ქალაქის უსწორმასწორო მოედნის რიყის ქვებზე. მათ თვალწინ წარმოუდგათ ზაიფენგასე, გრძლად გაჭიმული სახლი ოდნავ უკან დაწეული გვერდითი ფლიგელებით, რომლის წინაც შარლოტემ ამალიე რიდელთან ერთად უკვე რამდენჯერმე ჩაიარა: ქვემო სართული, ბელეტაჟი და მანსარდის ფანჯრები ზომიერი სიმაღლის სახურავზე; ორივე მხარეს, ფლიგელებში, ყვითლად შეღებილი ჭიშკრები და სახლის შუა კარისკენ მიმავალი ბრტყელი საფეხურები. როდესაც ოჯახი ეტლიდან ჩამოდიოდა, ამ საფეხურების წინ ერთმანეთს უკვე ესალმებოდნენ სხვა სტუმრები, რომლებიც, სხვადასხვა მხრიდან ფეხით მოსულნი, აქ შეხვედროდნენ ერთმანეთს: ორი ჭარმაგი ბატონი მაღალი ქუდებითა და წამოსასხამი პალტოებით. ერთი მათგანი, დოქტორი რიმერი, შარლოტემ იცნო. ის ორი მამაკაცი ხელს ართმევდა მესამეს, უფრო ახალგაზრდას, უპალტოს, რომელსაც მხოლოდ ფრაკი ეცვა და ქოლგა ეჭირა ხელში. ჩანდა, მეზობელი სახლიდან იყო მოსული. იგი ჰერ შტეფან შიუტცე იყო, «ჩვენი შესანიშნავი ბელეტრისტი და ჯიბის ფორმატის წიგნთა გამომცემელი», როგორც შეიტყო შარლოტემ, როდესაც ფეხით მოსულნი ეტლით მოსულებისკენ გამოემართნენ და დაიწყო მხიარული ურთიერთმისაღმება,

კეთილმოზრძანების სურვილები და სავალდებულო წარდგინებანი. რიმერი იუმორისტული მაღალფარდოვნებით აღარ წარუდგა შარლოტეს, როცა უნდოდათ მისთვის გაეცნოთ, ამასთან იმედი გამოთქვა, რომ ქალბატონ კარის მრჩევლის მეუღლეს უთუოდ ახსოვდა აგერ უკვე სამი დღის გაცნობილი მეგობარი, და მამაშვილურად ხელი მოუთათუნა ლოტჰენ-უმცროსს. იგივე მოიმოქმედა მისმა თანამგზავრმა, მხრებში მოხრილმა ორმოცდაათი წლის კაცმა, რომელსაც სახის სათნო ნაკვთები ჰქონდა და გახუნებული გრძელი თმა მაღალ ქუდქვეშ კულულებად ჩამოშლოდა. სწორედ ეს ბრძანდებოდა კარის მრჩეველი, ხელოვნების პროფესორი მაიერი. ის და რიმერი, ორივენი პირდაპირ სამსახურებიდან მოვიდნენ აქ; მათი მეუღლეები ცალკე მოზრძანდებოდნენ.

სახლში რომ შედიოდნენ, მაიერმა თქვა:

- ამრიგად, იმედია, რომ დღეს გვექნება ბედნიერება და ჩვენი მაისტერი კარგსა და მხიარულ გუნებაზე დაგვიხვდება, არ იქნება სიტყვამუნწი, მოთენთილი და დაღვრემილი; ამით აგვცდება მტანჯველი გრძნობა, რომ ჩვენ მას თავს ვაბეზრებთ,
- მაიერს თავისი სამშობლოსთვის დამახასიათებელი განზრახ ნაწყვეტ-ნაწყვეტი წარმოთქმა ჰქონდა, წრფელ ძველგერმანულში შერეული, საზღვარგარეთული, ნახევრად ფრანგული აქცენტი ეტყობოდა.

ეს სიტყვები მან დარბაისლური სიდიდით წარმოთქვა და თან შარლოტეს მიუბრუნდა; აშკარად ჩანდა, რომ ვერ გრძნობდა, თუ ამ სახლის ინტიმური მეგობრის ეს სიტყვები რაოდენ ნაკლებგამამხნეველებელი უნდა ყოფილიყო იმათთვის, ვისაც ამ სახლის ზღურბლზე პირველად უნდა გადაეხიჯებინა. შარლოტემ თავი ვერ შეიკავა, რომ არ ეპასუხა:

- ამ სახლის ბატონ-პატრონს თქვენზე უფრო მეტი ხანია ვიცნობ და მისი პოეტური სულის მერყეობანიც კარგად მომეხსენება.
- რაც უფრო ახალია ნაცნობობა, მით მაინც უფრო სარწმუნოა, – ურყევად თქვა მან, ამასთან შედარებითი ხარისხის ყოველ მარცვალს მშვიდად და დაბეჯითებით უსვამდა ხაზს.

შარლოტე უკვე აღარ უსმენდა. სახლში შესვლისას მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კიბის უჯრედის მოხდენილობამ, მარმარილოს ფართო მოაჯირებმა, დაბალი საფეხურების

თანდათანობითმა დინჯმა და ბრწყინვალე ზესვლამ, ყველგან ლამაზად და ზომიერად განაწილებულმა ანტიკურმა მორთულობამ, კიბის ბაქანმა, სადაც თეთრ წალოებში იდგა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მშვენიერი ბერძნული ქანდაკებანი, მის წინ კი, მარმარილოს პოსტამენტზე, ასევე ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, მშვენიერ პოზაში მკვეთრად შემობრუნებული მწევარი; იქვე ავგუსტ ფონ გოეთე მსახურთან ერთად უცდიდა სტუმრებს. ის ძალიან კარგად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფიგურა და სახის ნაკვეთები ერთგვარად გათქვირული ჰქონდა, თმა შუაზე გაეყო და ვარცხნილობა კულულებით დამშვენებინა, ფრაკზე ორდენები დაემაგრებინა, აბრეშუმის ჰალსტუხი ეკეთა. აბრეშუმის სახეებიანი ჟილეტი ეცვა. იგი სტუმრებს რამდენიმე საფეხურზე წაუძღვა მისაღები ოთახისკენ, მაგრამ მაშინვე უკან მობრუნდა, რათა შემდეგ მოსულთ მისალმებოდა.

მეტისმეტად მედიდური და ღირსეული, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოქროსლილებიან ცისფერ ლივრეასა და ყვითელზოლებიან ჟილეტში გამოწყობილი მსახური რიდელეებსა და კესტნერებს, სახლის სამ მეგობართან ერთად, კიბის ბოლომდე მიჰყვა, რათა იქ ზედა ტანსაცმლის გახდაში მიხმარებოდა. კიბის ზედა ბაქანიც მდიდრულად, დიდი ხელოვნებით იყო მორთული. სკულპტურები, რომელთაც შარლოტე ჩვეულებისამებრ, «ძილი და სიკვდილის» სახელწოდებით მოიხსენიებდა, წარმოადგენდა ორი ჭაბუკის გამოსახულებას, ერთს მეორისთვის ხელი მხარზე დაედო, შავად ბრწყინავდა და კედლის თეთრ სიბრტყეზე მკვეთრად ისახებოდა შესასვლელის გვერდით; შესასვლელის თეთრი რელიეფი არქიტექტურულ ორნამენტს ქმნიდა, რომლის წინ ლურჯი მინანქრით იატაკზე გამოყვანილი იყო Salve. [299] «ამრიგად, – გაიფიქრა გამხნეებულმა შარლოტემ, – ჩვენ სასურველი სტუმრები ვართ. რას ნიშნავს სიტყვაძვირობა და უგუნებობა? მშვენივრად კი მოწყობილა ყმაწვილი! ვეცლარში კორნმარკტზე უფრო ხელმოკლედ ცხოვრობდა. მაშინ იქ, კედელზე ეკიდა ჩემი სილუეტი, კეთილმეგობრობისა და თანაგრძნობის ნიშნად ნაჩუქარი. დილა-სადამოს ესალმებოდა და კოცნიდა მას, როგორც წიგნში წერია. მაქვს თუ არა განსაკუთრებული უფლება, ეს Salve ჩემს წილად მივიღო?»

თავის დასთან ერთად შარლოტე გაღებულ სალონში შევიდა; უცბად ოდნავ შეკრთა, რადგან მისთვის უჩვეულო წესით

მსახურმა პირდაპირ წამოიძახა შემოსულთა სახელები, ასევე მისი სახელიც: «ქალბატონი კარის მრჩევლის მეუღლე კესტნერი!» როიალიან მისაღებ ოთახში, რომელიც საკმაოდ ელეგანტური იყო, მაგრამ ამოსასვლელი კიბის სიგანე-გაშლილობასთან შედარებით თავისი ზომიერი პროპორციებით ცოტა არ იყოს, იმედს გაგიცრუებდათ და უფროთო ღია კარებით სხვა მოსასვენებელი ოთახებისკენ გასახედ პერსპექტივას

წარმოგიდგენდათ, იუნონას ვეებერთელა ბიუსტის მახლობლად, უკვე იდგა რამდენიმე სტუმარი, ორი ბატონი და

ერთი ქალბატონი. მათ საუბარი შეწყვიტეს და შემოსულებისკენ შემობრუნდნენ, უფრო კი ერთ-ერთი

მათგანისკენ, – ამას ის კარგად მიხვდა, – ყურადღებაგამახვილებული გამომეტყველებით მოემზადნენ. რომ ერთმანეთს წარდგომოდნენ. მაგრამ ლივრეაში გამოწყობილმა მსახურმა იმავე წუთს გამოაცხადა შემდეგ მოსულ სტუმართა გვარები, სახელდობრ, ბატონი სასახლის კარის მრჩეველი კირმსი და მისი მეუღლე, რომლებიც ამ სახლის ძესთან ერთად შემოვიდნენ, მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ ქალბატონები მაიერი და რიმერი; ასე რომ, როგორც ეს მჭიდრო ურთიერთობისას ხდება ხოლმე, ყველა მოწვეული უცხად და თითქმის ერთბაშად შეიკრიბა. მისალმებანი და წარდგინებანი საერთო იყო. დოქტორმა რიმერმა და ახალგაზრდა ჰერ ფონ გოეთემ შარლოტეს, რომელიც ამ პატარა თავყრილობის ცენტრი იყო, გააცნეს ყველა მისთვის უცნობი პიროვნება, ცოლ-ქმარი კირმსები, აგრეთვე მთავარი ხუროთმოძღვართმრჩეველი კუდრეი და მისი მეუღლე, ფრაიბურგელი სამთო საქმის მრჩეველი ჰერ ვერნერი, რომელიც «მემკვიდრე უფლისწულში» დაბინავებულიყო, და ორი ქალბატონი: რიმერი და მაიერი.

შარლოტემ იცოდა, რომ იგი არცთუ უღვარძლო ცნობისმოყვარეობის საგანს წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, ქალების თვალში მაინც. ამიტომ მეტად ღირსეულად დაუხვდა ამ მოვლენას, ეგეც არ იყოს, ამ თავდაჭერას უკვე აუცილებლობა აიძულებდა, ვითარება კარნახობდა, რომ თავის გაძლიერებული ცახცახი შეეკავებინა.

ეს სისუსტე, რომელიც ყველამ შეამჩნია, მაგრამ სხვადასხვანაირად შეიგრძნო და აღიქვა, ძალიან უპირისპირდებოდა მის ქალწულებრივ სახებას: კოჭებამდე თავისუფლად ჩაშვებულ, მკერდზე საკინძით ნაოჭებად მიკრეფილ და ფერმკრთალი ვარდისფერი ბაფთებით

შემოვლელთა თეთრ კაბაში, მაღალქუსლებიან და ღილებიან პაწია შავ წაღებში გამოწყობილი იდგა იგი, მოხდენილი და იშვიათი; ფერფლისფერი თმა ნათელი შუბლიდან მაღლა აევარცხნა, სახე, რა თქმა უნდა, უნუგემოდ მობერებოდა, ლოყები უკვე ჩამოშვებოდა, რომელთა შორისაც სანდომიანად მოყვანილი პატარა პირი რაღაც ეშმაკურად უღიმოდა, კოხტა ცხვირი მიამიტურად გასწითლებოდა, კესანესფერი თვალები მშვიდი და მოქანცული კეთილშობილებით იმზირებოდნენ...

ასე ხვდებოდა იგი მოწვეულთა წარდგინებასა და მათ რწმუნებას, თუ როგორ იყვნენ აღტაცებული, რომ ერთხანს მათ ქალაქში იმყოფებოდა ის, და რაოდენი პატივი იყო მათთვის, რომ ნება და საშუალება ჰქონოდათ, დასწრებოდნენ ესოდენ მნიშვნელოვან, ღირსმოსაგონარ შეხვედრას.

მის გვერდით იდგა მისი კრიტიკული სინდისი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ლოტჰენ-უმცროსს, დროდადრო რომ ჩაიმუხლებდა ხოლმე რევერანსის დროს. ის ყველაზე ახალგაზრდა იყო ამ პატარა საზოგადოებაში, რომელიც მთლიანად შედგებოდა უკვე ხანდაზმულ დარბაისელ

პიროვნებათაგან, რადგან თვით მწერალი შიუტცეც ორმოციოდე წლისა ჩანდა. ძმის, კარლის მომვლელი საკმაოდ სუსხიან გავლენას ახდენდა თავისი ორად გაყოფილი, ყურებზე სადად ჩამოვარცხნილი თმით და უსამკაულო, მუქი

სოსანისფერი კაბით, რომელიც ყელთან, თითქმის ქადაგისებურად, გახამებული ფურჩალშემოვლელური საყელოთი იყო შეკრული. ის ორჭოფულად იღიმებოდა და წარბებს იჭმუხნიდა თავაზიან ქათინაურებზე, რომლებსაც მასაც ეუბნებოდნენ, განსაკუთრებით კი მის დედას, და რასაც ის დამსახურებულ გესლიან დაცინვებად მიიჩნევდა. გარდა ამისა, მას სტანჯავდა დედის ახალგაზრდული მორთულობა და ეს მისი განცდა, ცხადია, შარლოტესაც გადაეცემოდა, თუმცა ამ ზეგავლენას იგი მამაცურად უხვდებოდა. ლოტჰენ-უმცროსი იმდენად თეთრი კაბის გამო როდი წუხდა, რაც შეიძლებოდა ყოველ შემთხვევაში ნიუანსად და მიკერძოებად ან ახირებად მიჩნეულიყო, რამდენადაც ყბადაღებული ვარდისფერი ბაფთების გამო. გული დაუფლითა იმის სურვილმა, რომ ადამიანებს გაეგოთ აზრი ამ შეუფერებელი მორთულობისა და სასკანდალოდ არ მიეჩნიათ, აგრეთვე იმის შიშმაც, რომ ვაითუ, სულაც ვერ გაიგონო.

მოკლედ, ლოტჰენის მეტისმეტი უკმაყოფილება მთელი ამ

ამბის გამო სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა; მგრძნობიარე და მიხვედრილი შარლოტე იძულებული იყო, მისი გრძნობები გაეზიარებინა და მცირე ჯაფა როდი დასჭირდა იმისთვის, რომ თავისი ნაღვლიანი ხუმრობის უპირატესობის რწმენა შეენარჩუნებინა. თუმცა ამ წრეში არც ერთ ქალს არ გააჩნდა იმდენი საფუძველი, სინდისის ქენჯნით თავი შეეწუხებინა თავისი ტუალეტის თავისებურების გამო და შიში ჰქონოდა ექსცენტრულობის საყვედურისა. ქალბატონების სამოსელში ჭარბობდა ესთეტიკური თავისუფლება, თვით თეატრალობაც კი მამაკაცთა ოფიციალური გარეგნობისგან განსხვავებით, რომელთაგან ყველას, თვით შიუტცესაც კი, ღილ-კილოებში დაემაგრებინა სამსახურებრივი განმასხვავებელი ნიშნები, მედლები, ბაფთები და ჯვრები. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სასახლის კარის მრჩევლის მეუღლე კირსი შეადგენდა გამონაკლისს: როგორც ძალიან დიდი მოხელის ცოლი, ეტყობა, თავისთვის სავალდებულოდ თვლიდა ჩაცმულობაში თავაზიანობის მკაცრი წესების დაცვას, თუ, რა თქმა უნდა, მისი აბრეშუმის თავსაბურავის თითქმის ფანტასტიკურ, მეტისმეტად დიდ ფრთებს არად ჩავთვლიდით, მაგრამ რაც შეეხება მადამ რიმერს, მაშასადამე, სწორედ იმ ობოლ ქალს, რომელიც სწავლულმა ამ სახლიდან წაიყვანა და ცოლად შეირთო, აგრეთვე კარის მრჩევლის მეუღლეს, მაიერს, დაბადებით ფონ კოპენფელზს, მათ ჩაცმულობას მეტისმეტად აჩნდა მხატვრულობისა და პირადი სითამამის კვალი:

პირველის გემოვნება განასახიერებდა ერთგვარ ინტელექტუალურ სიდუხჭირეს – მოყვითალომაქმანებიანი საყელო შავი ხავერდის ტანსაცმელზე, სპილოს ძვლისფერი ქორისებრი პროფილი, შავი თმით შემოვლებული პირქუშად გამოშხირალი პირისახე, თეთრბაფთაჩაწნული და დახვეული დალალები, შუბლს რომ უჩრდილავდა, – მეორე, მაიერი, უფრო ხანში შესული, იფიგენიასავით იყო ჩაცმული, სტილიზებულიად, მოშიშვლებული მკერდის ცოტა ქვემოთ

სარტყელზე ნახევარმთვარე ეკეთა, ანტიკურად ქობაშემოვლებული კლასიკური თარგის ნარინჯისფერ კაბას ზემოდან ჩასდევდა მუქი ფერის დრაპირებული რიდე. მოკლე სახელოებზე მაიერს მოდერნიზებული წესით გრძელი ხელთათმანი მოერგო.

მადამ კუდრეი, მთავარი ხუროთმოძღვართმრჩევლის მეუღლე, გარდა იმისა, რომ მდიდრული კაბა ეცვა, გამოირჩეოდა

ფართოფარფლიანი ლეჩაქმემოვლებული კორონა-შროტერი[300] ქუდით, რომლის მოხრილი უკანა ფარფლი ხვეულ კულულებს ზედ ეყრდნობოდა; თვით ამალიე რიდელსაც, პროფილით იხვს რომ წააგავდა, თავისი გარეგნობისთვის, – მდიდრულად ფურჩალშემოვლებული სახელოებითა და მხრებზე მოკლე, გედის ბუმბულით მორთული მოსასხამით, – მხატვრული იშვიათობის სახე მიეცა. ამ მოვლენათა შორის შარლოტე არსებითად ყველაზე თავმდაბლური და უპრეტენზიო ჩანდა, და მაინც თავისი ხანში შესული ბავშვურობითა და ღირსეული თავდაჭერით, რასაც თავის ცახცახი ურღვევდა, მეტად ამაღელვებელი, თვალში საცემი და ღირსშესანიშნავი იყო, რაც ჩაფიქრებას ან დაცინვას თუ იწვევდა, – როგორც ეჭვებით გატანჯული ლოტკენ-უმცროსი შიშობდა, უფრო კი დაცინვას. ის მტკიცედ იყო

დარწმუნებული, რომ ღვარძლით სავსე ვაიმარელი ქალბატონები უკვე შეთანხმდნენ ერთმანეთს შორის, როდესაც პატარა საზოგადოება პირველი ურთიერთწარდგენის შემდეგ ოთახში ცალ-ცალკე ჯგუფებად დაიყო.

კესტნერებს, დედასა და ქალიშვილს, ოჯახის ვაჟიშვილმა უჩვენა ნახატი, დივანის თავზე რომ ეკიდა. მან სურათზე ჩამოფარებული მწვანე აბრეშუმის ფარდები ფართოდ გადასწია. სურათი წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული «აღდობრანდის ქორწინების»[301] ნახატის ასლს; პროფესორმა მაიერმა აუხსნა მათ, რომ იგი ერთხელ მეგობრული თავაზიანობით დაამზადა მგოსნისთვის. რადგან მაიერი თავად მიუახლოვდა მათ, ავგუსტმა ახლა სხვა სტუმრებს მიმართა. მაიერს ცილინდრი კი არ ეხურა, რომლითაც მობრძანდა, არამედ ხავერდის ჩაჩი, რაც ფრაკთან შეხამებით განსაკუთრებით შინაურულ შთაბეჭდილებას ახდენდა, ისე რომ შარლოტემ უნებურად მის ფეხებს დახედა, ხომ არ ეცვა რბილი ნაბდის ქოშები. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო, მაგრამ ხელოვნებათმცოდნე სწავლული თავისი განიერი ჩექმებით ისე ფრთხილად დაფრატუნებდა, თითქოს ლოტეს ვარაუდი მართალი ყოფილიყო. ხელები სიამოვნებით დაეწყო ზურგზე, თავი გვერდზე გადაეხარა. საერთოდ, ისე იქცეოდა, რომ ამ სახლის უზრუნველ მეგობრად სახავდა თავს და თითქოს სურდა თავისი სულიერი სიმშვიდე განერვიულებული ახალმოსულებისთვისაც გაენაწილებინა.

– ამრიგად, ჩვენ ყველამ უკვე თავი მოვიყარეთ, – წარმოთქვა

მან მშვიდი, თანაბარზომიერი, ბორძიკა კილოთი, რომელიც მას ციურის ტბასთან მდებარე შტეფიდან გამოჰყვა და შემორჩა მრავალ წელს რომსა და ვაიმარში ცხოვრების დროსაც. ამ სიტყვებს გამომეტყველების არავითარი ცვლა არ სდევდა თან, – ამრიგად, ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი მასპინძელიც მალე შემოგვიერთდება. გასაგებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იმათ, ვინც პირველად ეწვია ამ სახლს, ამ ბოლო წუთებში ერთგვარი მოკრძალების გამო მოლოდინი უფრო გაუჭიანურდათ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ამ ხნის განმავლობაში საშუალება მიეცათ გარემოსა და ატმოსფეროს შესჩვეოდნენ. მე სიამოვნებით ვკისრულობ, ასეთ პიროვნებებს რჩევა-დარიგებით დავეხმარო, რათა *experience*, [302] რაც მათთვის მუდამ საკმაოდ მნიშვნელოვანი დარჩება, გავუადვილო და უფრო გასახარებელი გაგხადო.

მან ფრანგული სიტყვის პირველ მარცვალზე დასვა მახვილი და სახის უძრავი გამომეტყველებით განაგრძო:

– ყველაზე უკეთესია (მან სიტყვა «ბესტეს» (უკეთესის) ნაცვლად თქვა «ბეშტე»), მას არ შეამჩნევინოთ, ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება ნაკლებად შეამჩნევინოთ ის დამაბულობა, რაც აუცილებლად დაგეუფლებათ; მას უნდა მიეგებოთ რაც შეიძლება ძალდაუტანებლად, აუღელვებლად. ამით მდგომარეობა უადვილდება ორივე მხარეს, როგორც მაისტერს, ისე თვით სტუმარს. მის ყოვლად მგრძნობიარე ბუნებას სტუმრის მორიდებულობა, რასაც მან ანგარიში უნდა გაუწიოს, წინდაწინ გადაედება ხოლმე შორიდანვე, ასე რომ, ისიც თავის მხრივ თავს ძალას ატანს და სხვისი უხერხულობა

აუტანელ ურთიერთზეგავლენას ახდენს. ყველაზე გონივრულია, თავი სრულიად ბუნებრივად გეჭიროთ; მაგალითად, არ უნდა იფიქროთ, რომ მას მაშინვე ძალა და გონება მახვილ საგნებზე, ვთქვათ, მის თხზულებებზე ელაპარაკოთ. ამაზე უფრო არასასურველი არაფერია. უმჯობესია უფრო უწყინრად ემუსაიფოთ მას მარტივ და კონკრეტულ რამეზე საკუთარი გამოცდილებიდან. ის ყოველთვის ხარბად ეწაფება ადამიანურ და ნამდვილ ამბებს, ხელდახელ გამოცოცხლდება ხოლმე და მალე ახერხებს კიდევ თავის თანამგრძნობ სიკეთეს მყუდრო სარბიელი გაუხსნას. რა თქმა უნდა, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მიუხედავად ამისა, თავში აზრადაც არ უნდა გაივლოთ ფამილარობა და არ

დაიცვათ მანძილი, რასაც ის ჩვენთან ურთიერთობაში იცავს. იგი წამსვე აღკვეთს ამგვარ ფამილარობას, საამისოდ მას ბევრი გამაფრთხილებელი საშუალება აქვს.

შარლოტემ ამ საუბრის დროს მხოლოდ თვალების მოჭუტვით შეხედა ჭკუის დამრიგებელ ერთგულ მეგობარს და არ იცოდა, რა ეპასუხა. მან უნებურად თავისი თავი წარმოიდგინა, – და ამაში იმწამსვე დარწმუნდა, – რაოდენ ძნელია შორით მოსული ახალბედებისთვის, განსაკუთრებით მორცხვთა და მორიდებულთათვის. ამგვარი მოწოდებებიდან ძალდაუტანებლობის შესახებ რაიმე სასარგებლო დასკვნა გამოიტანონ და სულიერი წონასწორობა შეინარჩუნონ. უფრო სავარაუდოა, რომ საწინააღმდეგო გავლენა მოახდინოს. პირადად ლოტე შეურაცხყოფილი იყო ამგვარი ჩარევითა და ამდენი ჭკუის დამრიგებით, რასაც ასეთ ღონისძიებათა ჩატარება შეიცავდა.

– დიდად გმადლობთ, – თქვა მან ბოლოს, – ბატონო კარის მრჩეველო, თქვენი მითითებებისთვის. ბევრი მადლობელი დარჩება ამისა. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ჩემს შემთხვევაში საქმე ეხება ორმოცდაოთხი წლის ნაცნობობის განახლებას.

– ადამიანი, – ცივად მიუგო მაიერმა, – რომელიც ყოველდღე, ყოველ საათსაც კი იცვლება, ორმოცდაოთხი წლის შემდეგაც შეიძლება სხვად იქცეს. – აბა, კარლ, – უთხრა მან ოთახის გასასვლელის მიმართულებით მიმავალ მსახურს, – როგორ გუნებაზუა დღეს?

– არა უშავს რა, ბატონო კარის მრჩეველო, – უპასუხა ახალგაზრდა კაცმა. შარლოტემ პირველად დაინახა, რომ კარის საგდულები კედელში შეიკეცა. ერთი წუთის შემდეგ კართან მდგომმა მსახურმა ისე გამოაცხადა, რომ მაინცდამაინც დიდად საზეიმო ხასიათი არ მიუცია, უფრო მეტიც; ხმას შინაურულად დაუწია:

– მისი უდიდებულესობა!

ამის შემდეგ მაიერმა მიაშურა სხვა სტუმრებს, რომლებმაც ისევ ერთად მოიყარეს თავი, მანამდე რომ გაფანტულად და ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ; ისინი მათ წინ განცალკევებით მდგომი ფრაუ კესტნერისგან განსაზღვრულ მანძილზე გაჩერდნენ.

გოეთე შემოვიდა დაჯერებული, მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით, მხრებგამოღობილი, მკერდი ოდნავ წინ წამოეწია, ორ მწკრივად დილებშეკრულ ფრაკსა და აბრეშუმის გრძელყელიან წინდებში გამოწყობილიყო. მკერდზე, საკმაოდ მაღლა, უბრწყინავდა ლამაზად დამუშავებული ვერცხლის ვარსკვლავი, თეთრი ბატისტის ყელსახვევი გადაჯვარედინებული და ამეთვისტოს ქინძისთავით ჰქონდა შეკრული. საფეთქლებთან დახვეული და უკვე შეთხელებული თმა მაღალ შუბლს ზემოთ თანაბრად ჰქონდა პუდრწყარილი. შარლოტემ იცნო და ველარც იცნო იგი. ცნობამაც და ვერცნობამაც ერთნაირად შეაშფოთა. უწინარეს ყოვლისა, პირველი შეხედვისთანავე იცნო მოშავგვრემნო სახის ფერთან შეხამებით მუქად მობიბინე და თავისებურად ფართოდ გახელილი არცთუ იმდენად დიდი თვალები. მარჯვენა თვალი საგრძნობლად უფრო დაბლა იყო დაწეული, ვიდრე მარცხენა, – ესოდენ გულუბრყვილო და დიადი მზერა, რომელიც ახლა კიდევ უფრო ძლიერდებოდა ოდნავ დახრილ ქუთუთოებთან ნაზად მორკალულ ფრიად ნატიფ წარბთა ზეაზიდულობით, და რომლის გამომეტყველება ისეთი იყო, თითქოს უნდოდა ეთქვა: «ვინ არის ეს ამდენი ხალხი?» – მოწყალე ღმერთო! როგორ იცნო მან მთელი ცხოვრების განმავლობაში მომორებული ჭაბუკის თვალები: თაფლისფერი თვალები, ზუსტად თუ ვიტყვით, და ცოტა ერთმანეთთან ახლოს მდებარე, უფრო შავი რომ ეგონა ხშირად, მეტადრე ყოველი სულიერი მოძრაობის დროს – თუმცა როდისღა არ იყო სული მისი მოძრაობაში! – გუგები ისე ძლიერ უფართოვდებოდა, რომ სიშავე სჯახნიდა ფერადი გარსის თაფლისფერს და ეს იპყრობდა შთაბეჭდილებას. იყო და არც იყო იგი. ასეთი კლდესავით მაღალი შუბლი მას ადრე არასგზით არ ჰქონდა. – რაღა თქმა უნდა, შუბლის ეს სიმაღლე იმით აიხსნება, რომ შეთხელებულმა თმამ უკან დაიხია, თუმცა

კი ძალიან უხდებოდა. იგი უბრალოდ ყოვლის გამაშიშვლებელი დროის ნაყოფი იყო, როგორც სურდა ლოტეს თავის დასამშვიდებლად ეთქვა, თუმცა ნამდვილი დამშვიდება არ გამოუვიდა; რამეთუ დრო, ეს იყო ცხოვრება, შემოქმედება, რომელთაც ათეული წლების განმავლობაში მისი შუბლის მთის ქანი გამოჩარხეს, გამოაქანდაკეს, ეს ოდესღაც სალუქი სახის ნაკვთები სერიოზულად გამოკვეთეს და შთამაგონებლად დაღარეს. დრო, ასაკი, – აქ ისინი უფრო მეტი რამ იყო, ვიდრე თმის გაცვენა, გაშიშვლება, ბუნებრივი მოქანცულობა, რასაც შეეძლო გული აეჩუყებინა და მელანქოლიურად განეწყო,

დაენაღვლიანებინა; ისინი აღსავსე იყო აზრით, გონით, მიღწევებით, ისტორიით, და მათი გამომეტყველება სულაც არ იწვევდა წუხილსა და სინანულს, პირიქით, მოაზროვნე გულს სიხარულის ძრწოლით უბგერებდა.

გოეთე მაშინ სამოცდამეოთხედი წლისა იყო. შარლოტეს შეეძლო ეთქვა, ბედნიერი ვარო, რომ ახლა შეხვდა მას კვლავად და არა თხუთმეტი წლით ადრე, საუკუნის დამდეგს, როდესაც მოუქნელმა სიმსუქნემ, რომელიც ჯერ კიდევ იტალიაში მოგზაურობისას შეეპარა, მწვერვალს მიაღწია. ეს სიმსუქნე დიდი ხანია ჩამოიბერტყა და თავისი გარეგანი ფორმა კვლავ დაიბრუნა. თუმცა გაჭიმული სიარული აქვს, რაც მუდამ დამახასიათებელი იყო მისთვის, ნაკვთები ახალგაზრდული ჩანდა შავი ფრაკის გამორჩეულად ნაზი და ბრწყინვალე აბრეშუმის ქვეშ; მისი ფიგურა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს სიჭაბუკის ხანის ფორმას ისევ მიახლოებოდა. კეთილ შარლოტეს ბევრი რამ გამორჩა გოეთეს გარეგნულ ცვლილებათაგან, განსაკუთრებით – რაც მის სახეს შეეხებოდა. როგორ შეცვლილა ვეცლარის დროინდელი მეგობრის სახე, რა შორს იყო მაშინდელისგან ახლანდელი, მის წინაშე რომ წარმოდგა, რამეთუ მრავალი სტადია გამოიარა, რომლებსაც ლოტე არ იცნობდა. ერთხანს სიმსუქნისგან ლოყები ჩამოშვებოდა და კუშტი გამოხედვა ჰქონდა, ისე რომ ახალგაზრდობის დროინდელ მეგობარ ქალს მაშინ უფრო ძალიან გაუჭირდებოდა გარკვეულიყო და შეეცნო იგი, ვიდრე ამჟამად: თუმცა მის გამომეტყველებაში შეინიშნებოდა რაღაც ხელოვნური, რაღაც ნამალადევი, რის გამოც ისმებოდა კითხვა, რისთვის? უმთავრესად კი ცუდად მოტივირებული

გაკვირვების უდანაშაულო გამომეტყველების გამო მომლოდინე სტუმართა შეხედვის ჟამს. მაგრამ ამასთან ჩანდა, თითქოს ფართოდ გამოკვეთილი და სრულყოფილი სილამაზის პირი, არც მეტისმეტად წვრილი და არც მეტისმეტად მსხვილი ტუჩები, ღრმა კუთხეები, რომლებიც მოხუცებულის დაწვებს შორის ჩაკეცილიყო, იტანჯებოდა უზომო მოძრაობისგან, გამომეტყველების სწრაფი ცვლის, ურთიერთუარმყოფელ

შესაძლებლობათა ნერვული მეტისმეტობისგან, და უმართებულოდ მერყეობდა ამ შესაძლებლობათა არჩევანში. აშკარა იყო წინააღმდეგობა ამ ნაკვთთა თითქოს გამოძერწილ-გამოქანდაკებულ ღირსებას, მნიშვნელოვნებასა და ბავშვურ ეჭვს შორის, კეკლუცობასა და ორჭოფობას შორის, რასაც ოდნავ

გვერდზე გადახრილი თავიც უდავოდ გამოხატავდა.

შემოსვლისას სახლის ბატონ-პატრონმა მარჯვენა ხელი მარცხენა ხელს, რევმატულ ხელს წაავლო. ოთახში რამდენიმე ნაბიჯი რომ შემოდგა, მარჯვენა ხელი ჩამოუშვა, შეჩერდა, იქ მყოფ საზოგადოებას თავაზიანი ცერემონიით დაუკრა თავი და ახლოს მდგომ ქალებთან მივიდა.

ხმა სრულიად ძველებური შერჩენია – მჟღერი ბარიტონი; ამ ხმით ესაუბრებოდა და უკითხავდა ჯერ კიდევ გამხდარი ჭაბუკი, ძალიან გაოცდა, რომ კვლავ მოესმა უკვე მოხუცებულისგან ის ხმა. შესაძლებელია ცოტა უფრო დინჯი და მოზომილი, მაგრამ ერთგვარი მედიდურობა ხომ მაშინაც იყო ამ ხმაში.

– ჩემო ძვირფასო ქალბატონებო! – თქვა გოეთემ და თან მარჯვენა ხელი გაუწოდა შარლოტეს, მარცხენა კი – ლოტჰენს, შემდეგ ორივე ხელი ერთმანეთთან მიიტანა, ერთხანს ასე ეჭირა, შემდეგ განაგრძო: – ბოლოს, როგორც იქნა, შესაძლებლობა მომეცა, ვაიმარში კეთილმოზრძანება გისურვოთ და საკუთარი პირით სალამი მოგახსენოთ! შეხეთ, რა დიდი ხანი გავიდა მას მერე ამ წუთამდე. აი, ამას ჰქვია ჭეშმარიტად მშვენიერი, გამაცოცხლებელი მოულოდნელობა. როგორ გაიხარებდა ჩვენი მხარის კეთილი კამერმრჩევლის რიდელის ოჯახობა ამ სასიამოვნო და სასურველი წვეულების გამო. ჭეშმარიტად, თქმა არც უნდა, თუ რა დიდად ვაფასებთ, რომ თქვენ ჩვენი სახლის კარს გვერდზე არ ჩაუარეთ და ერთხელ მაინც ინებეთ ამ კედლების ხილვა!

მან თქვა: «სასიამოვნო და სასურველი», – იმ ნახევრად მორცხვი, ნახევრად კმაყოფილი გამომეტყველებით, მისმა მოლიმარე ბაგემ რომ გამოხატა; სახელდახელოდ და სათუთად შეთხზული სიტყვები მშვენიერი გამოდგა. ეს ხიბლი რომ დიპლომატიასთან იყო გადაბმული და წინასწარ განზრახული, მგოსანმა პირველი სიტყვებიდანვე რომ გადაჭრით შორს დაიჭირა თავი, შარლოტესთვის ცხადზე ცხადი იყო; ამას ქალი იმთავითვე ადვილად მიხვდებოდა თუნდაც იმით, რომ პოეტის ყოველი სიტყვა ფრთხილი, აწონილ-დაწონილი და მოფიქრებული იყო. ასეთი თადარიგის დასაჭერად მან იმითაც ისარგებლა, რომ შარლოტე მარტო არ იდგა მის წინაშე, მას თან ქალიშვილი ახლდა, ოთხი ხელი შეეერთებინა და მრავლობითი რიცხვით უბნობდა, თანაც პირადად თავისი სახელით როდი

ლაპარაკობდა, არამედ ამბობდა «ჩვენ», ასე ვთქვათ, სახლს ამოეფარა და ვარაუდიც კი გამოთქვა, სტუმრებს შეეძლოთ «ჩვენი სახლის კარისთვის» გვერდზე ჩაევლოთო. თვით მშვენიერი სიტყვები «სასიამოვნო» და «სასურველი» რიდელეებთან დაკავშირებით შეთხზა.

თვალთა მზერა მოუსვენრად ხან დედაზე გადაჰქონდა, ხან ქალიშვილზე, ხანაც ფანჯრებს მიაჰყრობდა ხოლმე. შარლოტეს არც შეჰქმნია იმის შთაბეჭდილება, რომ იგი საკუთრივ მას უყურებდა, მაგრამ ამავე დროს ლოტეს არც ის გამოჰპარვია, გოეთემ წამიერად შენიშნა, რომ მოხუც ქალს თავი უცახცახებდა, რაც ახლა კიდევ უფრო გაძლიერებოდა და ვერაფრით ვერ შეეკავებინა. ამის აღქმაზე გოეთეს მკვდრისფერი დაედო, სახეზე სერიოზული და სიბრალულის გამომეტყველება აღებეჭდა, ერთი წუთით თვალეები დახუჭა, მაგრამ წამსვე გონს მოეგო და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისევ დაუბრუნდა თავაზიან საუბარს.

– და სიჭაბუკე, – განაგრძო მან, არა მთლად ლოტე-ქალიშვილისკენ შებრუნებულმა, – ოქროსფერი მზის სხივივით შემოიჭრა ჩვენს დაბინდულ სახლში...

აქამდე თუ შარლოტემ მხოლოდ გაკვრით აღნიშნა, რომ თავისთავად ცხადია, მისი მხრივ მიუტევებელი იქნებოდა და არც აუვლიდა გვერდს გოეთეს სახლის კარს, ახლა სასწრაფოდ და აშკარა სურვილით ხელი ჩასჭიდა ამ შემთხვევას და თავისი ასული წარუდგინა; თანაც თქვა, რომ მისი მთავარი სურვილი იყო, ეჩვენებინა მისთვის თავისი მეორე უმცროსი ქალიშვილი შარლოტე, რომელიც ელზასიდან დედის სანახავად რამდენიმე კვირით ჩამოვიდა. ლოტემ მას მიმართა: «თქვენო აღმატებულება»; ამ სიტყვებს შარლოტე ჩქარ-ჩქარა და გაურკვევლად წარმოთქვამდა; გოეთეს ამაზე შენიშვნა არ მიუცია და არც სხვა მიმართვა შეუთავაზებია, შესაძლებელია ამიტომაც, რომ მის წინაშე წარდგენილ ქალიშვილს აკვირდებოდა.

– მშვენიერია, მშვენიერია, მშვენიერია! – თქვა მან, – ამ თვალეებმა ალბათ მრავალი მამაკაცის გული შემუსრა.

კომპლიმენტი იმდენად პირობითი იყო და იმდენად არ შეეფერებოდა თავისი ძმის კარლის მომვლელს, რომ თითქმის ცამდე ღალადებდა შეუსაბამობა. მკაცრმა და ნაწყენმა

ლოტჰენმა უარყოფის გამოსახატავად მწარედ გაიღიმა და ტუჩზე იკბინა; ალბათ ამან განსაზღვრა ისიც, რომ გოეთემ თავისი შემდგომი სიტყვები დაიწყო მორიდებით: «ყოველ შემთხვევაში».

– ყოველ შემთხვევაში, – თქვა მან, – მართლაც, მართლაც მშვენიერია, რომ როგორც იქნა, მეღირსა ბედნიერება სინამდვილეში მეხილა იმ სანუკვარი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომლის სილუეტი ჩვენმა საყვარელმა, აწ განსვენებულმა კარის მრჩეველმა გამომიგზავნა. ვისაც მოთმინებით ლოდინი შეუძლია, მას დრო ყველაფერს მოუტანს.

ეს ერთგვარ აღსარებას ჰგავდა; სილუეტისა და ჰანს კრისტიანის ხსენება უკვე დისტანციის ერთგვარ დათმობას ნიშნავდა, რაც შარლოტემ იგრძნო, და შესაძლოა, არც იყო სწორი, როდესაც ქალმა მას მოაგონა, რომ იგი უკვე გაეცნო მის ორ ვაჟიშვილს, სახელდობრ ავგუსტსა და თეოდორს, როცა მათ გაბედეს და გერბერმიულეში ეწვივნენ. შესაძლებელია ლოტეს არც უნდა ეხსენებინა სწორედ იმ ადგილ-მამულის სახელი, რადგან გოეთემ მეტად შეცბუნებული, გაოგნებული თვალებით შეხედა ქალს, როდესაც ეს სახელი მის ბაგეებს დასცდა; ეს შეხედვა ისეთი ეჩვენა, რომ არ შეიძლებოდა შეხვედრის უბრალო მოგონების გამო ჩაფიქრებად ჩაეთვალა.

– ო, რა თქმა უნდა! – წამოიძახა გოეთემ. – როგორ შეიძლება ეს დამვიწყებოდა! აპატიეთ ამ ბებერ თავს! – და იმის მაგიერ, რომ გულმავიწყ თავზე დაედო ხელი, მარჯვენა ხელი მარცხენაზე გადაისვა, როგორც შემოსვლის დროს; ამით, ცხადია, უნდოდა ყურადღება მიეპყრო, რომ მარცხენა ხელი სტკიოდა. – როგორ არიან ის შესანიშნავი ყმაწვილკაცები? კარგად, ხომ? მეც ასე ვფიქრობდი. მათი კეთილდღეობა მათ შესანიშნავ ბუნებაშია, ეს თან დაჰყოლიათ – არც არის გასაკვირი, როცა ასეთი მშობლები ჰყავთ შვილებს. ხომ კარგად იმგზავრეს ქალბატონებმა? – იკითხა მან კიდევ, – მჯერა, რომ კარგად; ჰილდესჰაიმ-ნორდჰაუზენ-ერფურტის გზა მოვლილია კარგად და საუკეთესოა, – უმთავრესად კარგი ცხენები ჰყავთ, გზად სადგურებში კარგი კერძებია და ფასებიც ზომიერია. ალბათ ორმოცდაათ ტალერზე მეტი არ დაგიჯდებათ.

თქვა ეს თუ არა, ამით დაამთავრა ამ ორ ქალბატონთან ცალკე საუბარი და კესტნერებთან ერთად დანარჩენ საზოგადოებას

შეუერთდა.

– მე ვფიქრობ, – თქვა მან, – სახლის ჩვენმა ახალგაზრდა უფროსმა (ამით ავგუსტს გულისხმობდა) უკვე გაგაცნოთ ჩვენი მცირერიცხოვანი, აქ დამსწრე ძვირფასი სტუმრები. ყველა ეს მშვენიერი ქალი თქვენი მეგობარია, ხოლო ეს ღირსეული მამაკაცები თქვენი თაყვანისმცემლები... იგი ერთიმეორის მიყოლებით მიესალმა თავსაბურავით მორთულ ფრაუ კრიმსს, მთავარი ხუროთმოძღვართმრჩევლის მეუღლეს კუდრეის, რომელსაც დიდფარფლებიანი ქუდი ეხურა, «გონებამახვილ» ფრაუ რიმერს, კლასიკურ მაიერს და ამალიე რიდელს, რომელსაც წელან შორიდანვე მეტყველი მზერა მიაპყრო, როდესაც წარმოთქვა სიტყვები «სასიამოვნო და სასურველი წვეულება»; შემდეგ კი ხელი ჩამოართვა მამაკაცებს მიყოლებით, როგორც იდგნენ, განსაკუთრებით გამოყო ქალაქისთვის უცხო ადამიანი, სამთო საქმის მრჩეველი ვერნერი, ორმოცდაათი წლის ჩასკვნილი, თავაზიანი, მელოტი კაცი, რომელსაც ცოცხალი თვალები ჰქონდა და კეფაზე ჭადარა თმა კულულებად ეყარა. სასიამოვნოდ გაპარსულ ლოყებს თეთრყელსახვევიანი პერანგის საყელო მიბჯენოდა და მხოლოდ ნიკაპი ჰქონდა თავისუფალი. ვერნერს თავი დაუკრა და ერთგვარი მოღლილი გამომეტყველებით შეხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, როგორც იქნა, ფორმალობა მოთავდაო: «აჰ, დაბოლოს, რა უაზრობაა ეს ყოველივე, ახლა კი ჩვენ შეგიძლია მართებულ რამეს მოვკიდოთ ხელი». ამ გამომეტყველებამ მაიერისა და რიმერის სახეებზე მოწონება და თვალთმაქცური ეჭვიანობა გამოიწვია. როდესაც სტუმართა ჩამოვლა და მისალმებანი დაამთავრა, ისევ გეოგნოსტიკოსს მიუბრუნდა, მაშინ როდესაც ქალები შარლოტეს შემოეხვივნენ და მარაობს ამოფარებულნი ჩურჩულით ეკითხებოდნენ: როგორ ფიქრობთ, გოეთე ძალიან გამოიცვალაო?

ისინი ერთხანს კიდევ იდგნენ მისაღებ ოთახში უზარმაზარი კლასიკური ბიუსტის ირგვლივ, რომელსაც მთავარი ადგილი ეჭირა, ოთახი მორთული იყო კედლის ნაქარგი ბორდიურებით, აკვარელის და ზეთისსაღებავიანი ნახატებით, სპილენძის ჭედურობით. კედლების გასვწვრივ, თეთრჩარჩოიანი კარების გვერდით და ფანჯრების წინ, კოლექციების თეთრად გალაქულ კარადებს შორის სიმეტრიულად ჩამწკრივებული იყო ფაქიზი ფორმის სკამები. ოთახს სამუზეუმო კაბინეტის მაგვარ სახეს და შთაბეჭდილებას უქმნიდა ყველგან დადგმული უამრავი

სანახაობა, ხელოვნების ობიექტი, პატარა სიძველენი, ანტიკური ნაწარმოებები, ქალკედონური გაპრიალებული ფიალები მარმარილოს მაგიდებზე, ფრთაშესხმული ნიკე, რომელიც ამშვენებდა გადაფარებულ მაგიდას დივანის გვერდით, «ქორწინების» სურათის ქვეშ, ანტიკური ღმერთების, ლარებისა და ფავნების პატარა ქანდაკებანი მიწის ხუფებს ქვეშ გამოსაწევ მაგიდებზე. შარლოტე თვალს არ აცილებდა სახლის პატრონს, რომელიც მტკიცედ იდგა გაფარჩხულ ფეხებზე, მეტად გამართულიყო წელში და, უკან გადაწეულს, ხელები ზურგზე დაეწყო; ნატიფი აბრეშუმის ფრაკზე ვერცხლის ვარსკვლავი უბრწყინავდა ყოველი მოძრაობის დროს; რიგრიგობით ესაუბრებოდა ხან ერთ, ხან მეორე სტუმარ მამაკაცს, ვერნერს, კირმსს, კუდრეის, მაგრამ მას, ლოტეს კი – ადარ, ეს ლოტეს მოსწონდა კიდევ და ამჯობინებდა ჩუმ-ჩუმად თვალი ედევნებინა, ვიდრე იძულებული ყოფილიყო მასთან ელაპარაკა, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, მასთან საუბრის გაგრძელების მოუთმენელ

მოლოდინს შეეპყრო, რადგან ამის გადაუდებელ აუცილებლობას გრძნობდა, მაშინ როდესაც გოეთეს სხვებთან საუბარს რომ აკვირდებოდა, ერთგვარად ამის ხალისიც უქრებოდა და რწმუნდებოდა, რომ ვისაც კი წილად ხვდა პატივი მასთან საუბრისა, თავს კარგად ვერ გრძნობდნენ;

მისი ახალგაზრდობის მეგობარი მეტისმეტად არისტოკრატიულ შთაბეჭდილებას ახდენდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მისი ჩაცმულობა, ოდესღაც რომ ესოდენ ამპარტავნული იყო, ახლა კი – დახვეწილი, უკანასკნელ მოდას ზომიერად და ოდნავ ჩამორჩენილი, ცოტა ძველფრანკული,

კარგად ეხამებოდა მის მეტისმეტ გაბლენძილ თავდაჭერილობას დგომისა თუ სიარულის დროს, რათა ყოველივე ამით ღირსეული და დიდებული შთაბეჭდილება მოეხდინა. მიუხედავად წარმოსადევობისა და იმისა, რომ გაჭიმულიყო და ამაყად ეჭირა ლამაზი თავი, მაინც კაცს ეგონებოდა, რომ ეს ღირსეული დიდებულება მტკიცედ ვერ იდგა ფეხებზე; მაშინაც, როდესაც ვინმეს ელაპარაკებოდა, მის ქცევაში შეინიშნებოდა რაღაც მერყეობა, უხერხულობა, შებოჭილობა, მორიდებულობა, რაც თავისი უაზრობით დამკვირვებელსაც ისევე შეაშფოთებდა, როგორც ამა თუ იმ თანამოსაუბრეს, რამეთუ ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ იძულებას ახვევდა თავს. რადგან ყოველმა კაცმა იცის და

გრძნობს, რომ ბუნებრივი თავისუფლება და ყოფაქცევის თავდავიწყებული უშუალოება ემყარება იმას, თუ რამდენად შთანთქმულია ადამიანი საგნით და საქმით, ამიტომ ეს იძულება სრულიად თავისთავად უნერგავდა წინათგრძნობას, რომ იგი ადამიანთა და გარემოებათა მიმართ ნაკლებ თანაგრძნობას იჩენდა და ამით თანამოსაუბრესაც უიმედოდ ჩამოაცილებდა საუბრის საგანს. სახლის პატრონს ჩვეულებად

ჰქონდა, ყურადღებით ედევნებინა თვალი თანამოსაუბრისთვის, სანამ ის ლაპარაკობდა და არ უყურებდა, მაგრამ როგორც კი იგი შეხედავდა მას, გოეთე მზერას ააცილებდა და მის თავს ზევით მოუსვენრად აცეცებდა თვალებს ოთახში.

შარლოტე ყოველივე ამას ქალური გამჭრიახი თვალთ ამჩნევდა, და შეიძლება მხოლოდ გავიმეოროთ, რომ ეს გარემოება ერთსა და იმავე დროს იმის შიშსაც უნერგავდა, რომ სიჭაბუკის დროინდელ მეგობართან საუბარი განეახლებინა და თან იმის გარდაუვალი აუცილებლობის გრძნობასაც შეეპყრო, რომ ეს საუბარი წამოეწყო. თუმცა გოეთეს ქცევის თავისებურებათაგან ბევრი რამ შეიძლებოდა მიეჩნიათ სადილისწინა მოლოდინის მდგომარეობად, რაც დიდხანს გაგრძელდა. მან რამდენჯერმე გადახედა კითხვის გამომხატველი აწეული წარბებით თავის ვაჟიშვილს, რომელსაც, როგორც ჩანდა, სახლში ამჟამად მთავარი მსახურთუფროსის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

ბოლოს მსახურიც მიუახლოვდა და მოახსენა სასურველი ცნობა; გოეთემ სასწრაფოდ გააწყვეტინა და აუწყა პატარა შეკრებილობას:

– ძვირფასო მეგობრებო, სადილად გვთხოვენ, – თქვა მან. ამ სიტყვებით მიუახლოვდა ლოტესა და ლოტჰენს, მოხდენილი კონტრდანსით ხელი მოჰკიდა ორივეს და მათთან ერთად შევიდა მეზობელ, ეგრეთ წოდებულ ყვითელ დარბაზში, სადაც დღეს სუფრა იყო გაწყობილი იმის გამო, რომ მის შემდეგ მდებარე პატარა სასადილო ოთახი თექვსმეტი პიროვნებისთვის საკმარისი არ იქნებოდა.

დარბაზის სახელი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული იყო იმ ოთახისთვის, რომელშიც საზოგადოება გადავიდა, თუმცა ეს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ის, ახლა რომ დატოვეს. აქაც ორი თეთრი კოლოსალური ბიუსტი იდგა: ანტინოესი,

მელანქოლიური – სილამაზის გამო, და ერთიც დიდებული იუპიტერისა. სპილენძის შეღებილ ჭედურობათა სერია მითოლოგიურ თემაზე და ტიციანის «ზეციური სიყვარულის» პირი ამკობდნენ კედლებს. აქაც ღია კარებიდან მოჩანდა სხვა ოთახების სანახაობანი, განსაკუთრებით ლამაზი იყო გასახედი, ყვითელი დარბაზის იქით ვიწრო მხარეს რომ მისდევდა ბიუსტების ოთახიდან მოაჯირიანი აივნისკენ, და კიბე, ბაღში რომ ჩადიოდა. მაგიდა მეტად მოხდენილად იყო გაწყობილი, უფრო ელეგანტურად, ვიდრე მოქალაქეთა მაგიდა. გადაფარებული იყო უფაქიზესი სახეებიანი აბრეშუმის სუფრა. ყვავილები, ვერცხლის დიდი კანდელაბრები, მოოქრული პორცელანი და სამნაირი ჭიქები იდგა ყოველი ჭურჭლის წინ, სტუმრებს ემსახურებოდა ახალგაზრდა ლაქია და სოფლურად ლოყებლაჟღაჟა თავსაბურთიანი შინამოახლე, რომელსაც წელზე კორსაჟი შემოეჭირა, თეთრი პუფებიანი სახელოებით გაწყობილი სქელი, შინნაკერი კაბა ეცვა.

გოეთე იჯდა მაგიდის მოგრძო მხარეს, შუა ადგილას, შარლოტესა და მის დას შორის, მათ მარჯვნივ და მარცხნივ ისხდნენ კარის კამერმრჩეველი კირმსი და პროფესორი მაიერი, შემდეგ – ერთ მხარეს მადამ მაიერი და მეორე მხარეს მადამ რიმერი მოთავსებულიყვნენ. მამაკაცთა სიმრავლის გამო ავგუსტმა ვერ შეძლო მონაცვლეობის პრინციპის მთლიანად დაცვა. სამთო საქმის მრჩეველი თავისი მამის წინ დასვა, ხოლო მას მარჯვნივ მეზობლად დოქტორი რიმერი მოუსვა. მის გვერდით იჯდა ლოტჰენ-უმცროსი, რომელსაც რიმერთან ერთად ავგუსტიც უწევდა თანამეინახეობას. ვერნერის მარცხნივ, შარლოტეს პირდაპირ, იჯდა მადამ კუდრეი, რომელსაც მოსდევდნენ დოქტორი რიდელი და მადამ კირმსი, ჰერ შტეფან შიუტცემ და უფროსმა ხუროთმოძღვართმრჩეველმა მაგიდის ვიწრო მხარეები დაიკავეს.

წვნიანი, ძალიან გემრიელი ბულიონი, შიგ ტვინის გუფთებით, სუფრაზე უკვე ჩარიგებული იყო, როდესაც ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ოჯახის თავკაცმა თავის თეფშზე პური გატეხა ხელის ისეთი მოძრაობით, რაც კურთხევის მაგვარი წესის აღსრულებას ჰგავდა. დამჯდარი ბევრად უფრო უკეთესად და თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე როცა იდგა ან დადიოდა. პირველ ყოვლისა, დამჯდარი უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე გამართული რომ იდგა. რასაკვირველია, თვით

სიტუაცია ისეთი იყო, რომ სტუმართმოყვარე ოჯახის თავკაცობა მაგიდასთან მას სიამოვნებას და მხიარულებას ანიჭებდა. აქ ის თავის სტიქიაში გრძნობდა თავს. დიდრონი თვალები, ეშმაკურად რომ უელავდა, მიმოავლო ჯერ კიდევ მდუმარე საზოგადოებას და სახის იმავე გამომეტყველებით, წელან პური რომ გატეხა სადილის დაწყებისას, წარმოთქვა მშვიდი, დარბაისლური, აშკარად არტიკულირებული, კარგად მოფიქრებული და დალაგებული სიტყვა ისეთი კილოთი, როგორც სჩვევიათ სამხრეთგერმანელებს, ჩრდილოგერმანელთა კილოს რომ გადაიღებენ ხოლმე:

– მადლობა შევწიროთ ზეციერს, ძვირფასო მეგობრებო, ამ მხიარული შეხვედრისთვის, რაიცა გვიძლვნა ჩვენ ესოდენ სასიხარულო და ძვირფასი საბაბისა გამო, და ჩვენც განვიხაროთ ეგზომ თავმდაბალი, მცირე, მაგრამ სიყვარულით გამზადებული ტრაპეზით!

ამ სიტყვების შემდეგ მან კოვზით წვნიანი მიირთვა, ყველამ იგივე გააკეთა, ამავე დროს საზოგადოების წევრებმა ერთმანეთს გადახედეს, ურთიერთს თავი დაუქნიეს, აღფრთოვანებული ილიმებოდნენ, მოწონებას გამოხატავდნენ ამ მოკლე სიტყვის გამო, თითქოს ერთმანეთს ანიშნებდნენ: «რას იზამ, რაც უნდა თქვას, მაინც მუდამ ყველაზე ლამაზად გამოუდის».

შარლოტე ოდეკოლონის სუნში გახვეულიყო, რომელიც მის მარცხნივ მჯდომი მეზობლისგან მოდიოდა. ამის გამო უნებურად გაახსენდა «კეთილსურნელება», რითაც, თუ რიმერის სიტყვებს დავუჯერებთ, ღვთაებრივი რამ შეიცნობა. ერთგვარ დაუკმაყოფილებელ სიზმარეულ ზმანებასავით შარლოტეს ოდეკოლონის ეს სუნი ეგრეთ წოდებული ღვთაებრივი ოზონის ფხიზელ სინამდვილედ ეჩვენებოდა. ამავე დროს მის დიასახლისეულ ჭკუას არც ის გამოჰპარვია, რომ ტვინის გუფთები მართლაც «გულმოდგინედ დაემზადებინათ», ესე იგი, სამაგალითოდ ფაქიზი და ჰაეროვანი იყო. მთელი მისი არსება დაძაბული ელოდა რაღაცას. ამ ერთგვარ დისტანციას გული მისი ეურჩებოდა, არამც და არამც არც იმაზე იტყოდა უარს, რომ ბოლო მოელო მისთვის. ამ იმედით შეპყრობილი, რისი უფრო ზუსტი განსაზღვრაც ძალიან ძნელი იქნებოდა, თავს მტკიცედ გრძნობდა იმის გამო, რომ მისი მეზობელი, როგორც ნადიმის

თავკაცი, სასიამოვნოდ და თავისუფლად იქცეოდა; და მაინც, გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მის გვერდით იჯდა, რაც, რა თქმა უნდა, გარდაუვალი იყო, და არა მის პირდაპირ: რაოდენ ხელსაყრელი იქნებოდა მისი შინაგანი მისწრაფებებისთვის, რომ გოეთესთვის თვალებში პირდაპირ ეცქირა, და რამდენად უკეთ შესამჩნევი იქნებოდა მისთვის ქალის მახვილგონივრულად ჩაფიქრებული სამოსი, რაც ამ მისწრაფებათა საშუალება იყო! მას შური აღედრა თვალებგაბრწყინებული ვერნერის მიმართ, რომელიც გოეთეს პირდაპირ იჯდა. ლოტეს სურდა ვერნერის ადგილას მჯდარიყო. ახლა კი დამაბული უსმენდა და მგოსნის მიმართვას გვერდიდან მოელოდა. მაშინ კი პირდაპირ თვალებში შეხედავდა. მაგრამ სუფრის თავკაცი მაინცდამაინც განსაკუთრებით მას კი არ მიმართავდა, არამედ საერთოდ ყველას, ვინც კი მის მეზობლად იჯდა. რამდენიმე კოვზი წვნიანი რომ მიირთვა, გოეთემ მის წინა ვერცხლის სადგამებზე დადგმული ღვინით სავსე ორი ბოთლი (მაგიდის თავსა და ბოლოს კიდევ წყვილ-წყვილი ბოთლი იდგა) რიგრიგობით ხელში აიღო და ცოტა ირიბად გადახარა, რათა ეტიკეტი წაეკითხა.

– მე ვხედავ, – თქვა მან, – ჩემს ვაჟიშვილს არ უძუნწია, კარგად ერკვევა ამ საქმეში და მაგიდაზე დაგვიდგა ორნაირი სანაქებო, გულის გამამხნევებელი სასმელი, რომელთაგან სამამულო არ ჩამოუვარდება ფრანგულს. ჩვენ პატრიარქალური ჩვეულების მომხრედ ვრჩებით, ყველამ თვითონ დაისხას – ამას ვამჯობინებ მსახურთაგან ღვინის მორთმევას და ჭიქებით მედიდურ ჩამორიგებას, რასაც ვერ ვიტან. ამრიგად, ყველას თავისუფლად შეუძლია რამდენიც ნებავს მიირთვას. აგერ ბოთლი და აგერ ღვინო, სინჯოს, რამდენსაც მოერევა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩემო ქალბატონებო, და თქვენ, ძვირფასო სამთო საქმის მრჩეველო? წითელი გნებავთ თუ თეთრი? მე ვფიქრობ: ჯერ სამამულო ვაზისა ვსინჯოთ, ხოლო ფრანგული – შემწვარ-მოხრაკულზე, ანდა შესახურებლად პირდაპირ ამით დავიწყოთ. მე ამის მომხრე ვარ, – ეს ლაფიტი რვა წლის ღვინოა, გულს ეამება, და ჩემი მხრივ მთლად ვერ შეგპირდებით, რომ მერე ერთხელ კიდევ არ მივუკაკუნებ, – მაგრამ ამ ეილფერის პორტვინის ოქროს წვეთები მთლად იმისთვის არის შექმნილი, რომ მონოგამური მიდრეკილებები გაუღვიძოს იმას, ვისაც ერთხელ მაინც უგემია. ჩვენი ძვირფასი გერმანელები

უცნაური ხალხია, თავიანთ წინასწარმეტყველებს მუდამ უამრავ საზრუნავს უჩინენ, ისე როგორც ებრაელები თავიანთ წინასწარმეტყველებს, მაგრამ სამაგიეროდ, მათი ღვინოები ყველაზე კეთილშობილურია ღვთით ბოძებულთა შორის.

გაკვირვებული ვერნერი სახეში უცინოდა. მაგრამ კირმსმა, კაცმა, რომელსაც ჭადარა ხუჭუჭი თმით დაფარული ვიწრო თავის ქალა და მძიმე ქუთუთოები ჰქონდა, უპასუხა:

– თქვენო აღმატებულებავ, ერთი რამ დაგავიწყდათ, ამ ცუდ გერმანელებს ის მაინც ჩაუთვალეთ დამსახურებად, რომ თქვენ წარმოგშვეს.

მოწონების სიცილი, მარცხნიდან მაიერმა და სუფრის იქიდან რიმერმა რომ ერთმანეთს აუბეს, იმას მოწმობდა, რომ მათ ყური სახლის თავკაცის საუბრისკენ ეჭირათ და არა მეზობლებისკენ.

გოეთემაც გაიცინა ისე, რომ პირი არ გაუღია, ალბათ, იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის თავისი კბილები არ დაენახებინა.

– დაე, ეს ჩაუთვალეთ შემარბილებელ გარემოებად, – თქვა მან. შემდეგ მარლოტეს ჰკითხა, რომელ სასმელს ინებებთო.

– ღვინოს არ ვარ მიჩვეული, – მიუგო ქალმა. – ძალიან ადვილად მიბრუებს თავს. მხოლოდ მეგობრობის ხათრით შემძლია ცოტა მოვსვა. მაგრამ რა მინდოდა კერძოდ მეკითხა თქვენთვის. ჩემი ყურადღება მიიპყრო აი, ამან, – და თავის დახრით ანიშნა ახლახან ჩამწკრივებულ წყლით სავსე ბოთლებზე, – რა უნდა იყოს ეს?

– ო, ეს ჩემი ეგერის წყალია, – უპასუხა გოეთემ. – თქვენმა ალღომ სრულიად სწორად მიაგნო. ეს წყარო არასოდეს ილევა ჩემს სახლში. გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ყველა მიწიერ სიფხიზლეთა შორის ყველაზე მეტად ეს მიხდება. მე შემოგთავაზებთ ერთ მათგანს, ოღონდ იმ პირობით, რომ ჯერ აი, ეს ოქროს სასმელი ცოტა მოსინჯეთ, მეორეც, არ შეურიოთ სხვადასხვა სფერო და ღვინოში წყალი არ გაურიოთ, რაც ძალიან ცუდი ჩვეულებაა.

თავის მხარეს თვით გოეთე სთავაზობდა სასმელს. სუფრის მეორე მხარეს კი მისი ვაჟიშვილი და რიდელი ემსახურებოდნენ თანამეინახეებს. ამასობაში თეფშებიც

გამოცვალეს და მოართვეს ნიჟარებში შემწვარი თევზის რაგუ სოკოთი. შარლოტეს თუმცა ჭამის მადა არ ჰქონდა, მაგრამ იძულებული იყო მიუკერძოებლად რაგუ განსაკუთრებით გემრიელად დამზადებულ კერძად მიეჩნია. ცნობისმოყვარეობით გამსჭვალული, დამაბული ყურადღებით წყნარად ადევნებდა თვალს ყველაფერს. სამზარეულო საქმის ესოდენ მაღალი დონე ძალიან საინტერესოდ ჩათვალა და ოჯახის უფროსის მომთხოვნელობას მიაწერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეამჩნია, რომ ავგუსტი თავისი

მელანქოლიურ-თვინიერი და ამდენად ნაკლებად მზერამდიერი მამისეული თვალებით გაუბედავად გადახედავდა ხოლმე მაგიდის თავკაცს, თითქოს ეკითხებოდა, მოსწონდა თუ არა მირთმეული კერძი. მხოლოდ გოეთემ გადაიღო ორი ნიჟარა, მაგრამ მეორე თითქმის ხელუხლებლად დატოვა. როგორც იტყვიან ხოლმე, საჭმლის დანახვაზე თვალები უფრო უფართოვდებოდა, ვიდრე კუჭი. ეს მერეც გამოჩნდა, როდესაც ჩამოარიგეს გრძელ ლანგრებზე ბოსტნეულით უხვად მოკაზმული საუცხოო სუკები; იმდენი გადაიღო, რომ თევში გაივსო, თუმცა ბოლოს ნახევარი დატოვა. სამაგიეროდ, რაინგაინს და ბორდოს სვამდა დიდი ყლუპებით; ღვინოს რომ ისხამდა, ამას ისეთივე ცერემონიით ასრულებდა, როგორც პურის გატეხისას. პორტვეინის ცარიელი ბოთლი მალე სავსემ შეცვალა. ისედაც მუქი ფერის სახე ნადიმის დროს ჩაუმუქდა და მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა თეთრად შეპუდრულ მის თმასთან.

შარლოტე მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს არ აშორებდა და სულ უფრო დაჟინებული, ერთგვარი გაოგნებული ყურადღებით აკვირდებოდა მის ფურჩალებიანი მანჟეტით შემოვლებულ, მოკლედ და ლამაზად ფრჩხილებდაქნილ ხელს, როდესაც ღვინოს ისხამდა; მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელი ფართო და ღონიერი იყო, მაინც რაღაც ზემთაგონებით

გასხივოსნებული და სრულქმნილი, მტკიცედ და მიმზიდველად შემოევლებოდა ხოლმე ბოთლს. მან განმეორებით შესთავაზა ლოტეს ეგერის წყალი და განაგრძო თხრობა იმავე დინჯი, მაგრამ არა მონოტონური, ღრმა,

მოზუბუნე ხმით, განსაკუთრებით ნათლად არტიკულირებული კილოთი; ხანდახან ბოლო თანხმოვნებს გამოტოვებდა ხოლმე იმ მხარის კვალობაზე, საიდანაც თვითონ წარმოდგებოდა. მოუთხრო, თუ პირველად როგორ გაეცნო ამ

კეთილისმყოფელ წყაროს, ყოველწლიურად როგორ აზიდვინებს ამ წყალს ეგრეთ წოდებულ ფრანცენდორფელ სურით დამტარებლებს, განსაკუთრებით ბოლო წლებში, რაც ბოჰემიის აბაზანები მისთვის შორს დარჩა და ცდილობს მისი დაღევით სახლში ჩაიტაროს სისტემატური მკურნალობა. უთუოდ მისი მეტყველების არაჩვეულებრივად ზუსტად და განსაზღვრულ კილოში, ღიმმორეული ბაგეების უაღრესად სასიამოვნო მოძრაობაში იყო რაღაც უნებურად გულში ჩამწვდომი, განმსჭვალავი, დამატყვევებელი, რის გამოც ყველა, ვინც მაგიდასთან იჯდა, მას უგდებდა ყურს. თუ მთელი ნადიმის მსვლელობისას სადმე ცალკეული საუბარი წამოიჭრებოდა, უშინაარსო, დუნე და სპორადული რჩებოდა. როგორც კი ის დაიწყებდა ლაპარაკს, ყველას ყურადღება ისევ და ისევ სახლის თავკაცისკენ მიიმართებოდა. მას არ შეეძლო ამისთვის ხელი შეეშალა. როდესაც იგი მეტისმეტი თავშეკავებით თავისი რომელიმე მეზობლისკენ გადაიხრებოდა და ძალიან დაბალი, დახშული ხმით მიმართავდა, მაშინაც კი ყველა მას აყურადებდა!

ასე იყო ეს, როდესაც მას შემდეგ, რაც სასახლის კარის მრჩეველმა კირმსმა გერმანელი ხალხის მისამართით კეთილი სიტყვა ჩაურთო, მან შარლოტეს ჩამოუთვალა მის მარჯვნივ მჯდომი ბატონის პიროვნული ღირსებანი და უპირატესობანი: თუ სახელმწიფოსთვის რაოდენ დიდად დამსახურებული კაცი იყო, მეურნეობის გამოჩენილი პრაქტიკოსი, სული და გული ჰოფმარშლის უწყებისა, ამასთანავე მუზათა მეგობარი და დრამატული ხელოვნების გონებამახვილი მოაზროვნე და მოყვარული, ამ წელს ახალდაარსებული სასახლის თეატრის ხელმძღვანელობის ფასდაუდებელი წევრი. თითქმის ისე ჩანდა, რომ გოეთეს სურდა ლოტე კირმსთან საუბარში ჩაება, ასე ვთქვათ, მისთვის გადაელოცა, მაგრამ მაშინვე შეაბრუნა სიტყვა და ქალს ჰკითხა, თუ რა დამოკიდებულებაში იყო თეატრთან, თან ვარაუდი გამოთქვა, აქ ყოფნას უთუოდ გამოიყენებდა იმისთვის, რომ გასცნობოდა ვაიმარის თეატრის წარმატებებსა და შესაძლებლობებს, რათა ერთგვარი სურათი შეედგინა მასზე. მან თავისი ლოჟა შესთავაზა, იგი მის განკარგულებაში იქნებოდა და როცა მოესურვებოდა, გამოიყენებდა. შარლოტემ მრავალი მადლობა გადაუხადა და უპასუხა, რომ პირადად მას კომედიები ყოველთვის ბევრ სიხარულს ანიჭებდა, მაგრამ მის წრეებში თეატრს ნაკლები

ინტერესით ეპყრობოდნენ, ჰანოვერის თეატრიც ვერ იდგა იმ დონეზე, რომ დრამატული ხელოვნებისადმი სიყვარული და მიდრეკილება გამოეცოცხლებინა, ამიტომ, ისედაც ცხოვრების მოვალეობებით მუდამ მეტისმეტად დატვირთული, ამ სიამოვნებას რამდენადმე მოკლებული იყო. მაგრამ მის მიერ გაწვრთნილი ვაიმარის ანსამბლის გაცნობა, დიდად მნიშვნელოვანი და ფრიად სასიამოვნო იქნებოდა მისთვის.

როდესაც ლოტე ამას რამდენადმე დაბალი ხმით ამბობდა, გოეთე მისი თეფშისკენ გადახრილი ყურს უგდებდა, თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, თან ფიქრებში გართული ქალის მიერ აგორებულ პურის რამდენიმე ნამცეცს და ბურთულას ბეჭდიანი არათითით მწყობრ მცირე გროვად უყრიდა თავს, რის გამოც შარლოტე გაცბუნებული და დარცხვენილი იყო. გოეთემ გაუმეორა თავის ლოჟაში მიწვევა და იმედი გამოთქვა, რომ გარემოებანი ნებას დართავდნენ მისთვის «ვალენშტაინის» წარმოდგენა ეჩვენებინა, სადაც მთავარ როლს ვოლფი[303] შეასრულებდა; ეს ფრიად თვალსაჩინო სპექტაკლია და ბევრ უცხოელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინაო. შემდეგ თვით მას სასაცილოდ მოეჩვენა, რომ ორი რამის – შილერის პიესისა და ტრაპეზზე მოტანილი წყლის ხსენებამ და დაკავშირებამ მოაგონა ეგერის ძველი ციხესიმაგრე ბოჰემიაში,[304] სადაც ვალენშტაინის უმთავრესი და უკეთილშობილესი მომხრეები ამოჟლიტეს. ამ ციხე-კოშკმა დააინტერესა იგი როგორც ხუროთმოძღვრების ნაწარმოებმა. აქედან დაიწყო მან ლაპარაკი, შარლოტეს თეფშს თვალი მოაცილა და ინტიმურ დაბალ, ჩახშულ ხმას აუწია, რათა მეინახეთა ყურადღება კვლავ დაეპყრო. ეგრეთ წოდებული შავი კოშკი, თქვა მან, განსაკუთრებით თუ შეხედავთ იმ მხრიდან, სადაც ოდესღაც ასაწევი ხიდი იყო, დიდებული ნაგებობაა, რომლის ქვები, ალბათ, კამერბერგიდან მოუზიდავთ. ეს უთხრა სამთო საქმის მრჩეველს და თან პროფესიულ-კონფიდენციალური ჟესტით თავი დაუკრა. ეს ქვები, მოახსენა მან დამსწრეთ, ფორმით თითქმის ელბოგენის მინდვრის ერთგვარ დიდ კრისტალებს ჰგავს, გამორჩეული ხელოვნებით არის გამოთლილი და ერთმანეთთან მიჯრილ-მისადაგებული, რათა უკეთესად გაუძლოს ამინდსა თუ უამინდობას. ფორმათა ამ ნათესაობასთან დაკავშირებით მეტად გაცხოველებით, თვალეგაბრწყინებულმა დაიწყო ლაპარაკი იმ მინერალოგიურ მონაპოვარზე, რომელიც მან

აღმოაჩინა ეგერიდან ლიბენშტაინისკენ ეტლით გასეირნების დროს, საითკენაც იგი მიიზიდა არა მარტო ღირსშესანიშნავმა რაინდულმა ციხე-დარბაზმა, არამედ კამერბერგის პირისპირ აღმართულმა და გეოლოგიურად ძალიან საყურადღებო პლატენბერგმაც.

იქით მიმავალი გზა, ხალისიანად და ცოცხლად აღწერდა გოეთე, ისეთი ცუდი იყო, რომ კაცი კისერს მოიტეხდა; ოღროჩოღრო გზა წყლით სავსე დიდი გუბეებით იყო დაფარული. მათ სიღრმეს კაცი თვალთ ვერ გაზომავდა. მისი გამყოლი, ერთი იქაური მოხელე, შიშით სულს ლევდა, – თავს ისე აჩვენებდა, ვითომც მის გამო, ამ ამბის მთხრობელის პიროვნებაზე წუხდა, სინამდვილეში კი, სრულიად უდავოდ, თავისი საკუთარი სიცოცხლე ადარდებდა. ასე რომ, გოეთე განუწყვეტლივ ამშვიდებდა, არწმუნებდა, მეეტლე ისეთი ყოჩაღია და თავისი საქმე ისე კარგად ესმის, ნაპოლეონს რომ ეს კაცი ცნობოდა, უსათუოდ თავის პირად მეეტლედ დანიშნავდაო. დიდ ღრანტეებში იგი ფრთხილად გადიოდა, რაც საუკეთესო საშუალება გახლდათ, რომ ეტლი არ გადაბრუნებულიყო.

გოეთე განაგრძობდა თხრობას: – როგორც კი აღმართს ტაატით შევუდექით, გზის პირას რაღაც შევნიშნე, რამაც გადამაწყვეტინა, ეტლიდან სრულიად წყნარად გადმოვსულიყავი და ის ნივთი ახლოს მენახა. «შენ აქ რამ მოგიყვანა? დიახ, მაინც საიდან გაჩნდი აქ?» – ვეკითხები მე, რადგან რა მიცქერდა, რა ბრწყინავდა ტალახში? მინდვრის შპატის ტყუპი კრისტალი!

– აუ, უყურეთ ამას! რას ბრძანებთ! – წამოიძახა ვერნერმა. და თუმცა სავარაუდო იყო, – ასე ფიქრობდა და იმედოვნებდა შარლოტეც, – რომ ეს კაცი მაგიდასთან მყოფთა შორის ერთადერთი იყო, რომელმაც ნამდვილად იცოდა, რა არის ეს მინდვრის შპატის ტყუპი კრისტალი, მაინც ყველამ აღფრთოვანება გამოხატა იმის გამო, რომ ამბის მთხრობელი ბუნების ასეთ საოცრებას შეხვედრია, და ეს აღფრთოვანება სრულიად გულწრფელი იყო; იგი ისე სასიამოვნოდ და დრამატულად ჰყვებოდა, კერძოდ მისი გაოცებული, გულითადი სიხარულის გამომხატველი წამოძახილი ამ ნაპოვნის გამო – «შენ აქ რამ მოგიყვანა?» იმდენად მომხიბლავი იყო, რომ ცხოველი, ამაღელვებელი და ზღაპრული

შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, რომ ადამიანი – და ისიც როგორი ადამიანი! – ქვას შენობით მიმართავდა; ასე რომ, ასეთი ამაღელვებელი შთაბეჭდილება მარტო სამთო საქმის მრჩეველზე როდი მოახდინა. შარლოტემ, რომელიც ერთნაირად დამაბული ყურადღებით აკვირდებოდა მოსაუბრესა და მსმენელებს, სიყვარული და სიხარული დაინახა ყველას სახეზე, მაგალითად, თვით რიმერის უკმეხ სახეზეც კი; ავგუსტის სახეზეც, ლოტჰენის სახეზეც იგივე შენიშნა. განსაკუთრებით კი მაიერის სხვა დროს მუდამ სუსხიან, უძრავ ნაკვთებზე; იგი ამალიე რიდელსაც აღარ ერიდებოდა და მის წინ პირდაპირ მთხრობელისკენ გადახრილიყო, რათა გოეთეს ბაგეებით წარმოთქმული ყოველი სიტყვა დაეჭირა; მის მზერაში ისეთი შინაგანი სინაზე აღბეჭდილიყო, რომ თვით ლოტესაც უნებურად თვალზე ცრემლები მოადგა.

შარლოტესთვის არანაკლებ სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, რომ სიყმაწვილის მეგობარმა მასთან მოკლე კერძო საუბარი მოითავა და თავისი სიტყვა თანდათან ტრაპეზის მონაწილე მთელ საზოგადოებაზე გადაიტანა, – ნაწილობრივ იმიტომ, რომ ასე უნდოდათ დამსწრებს, ნაწილობრივ კი «დისტანციის» დასაცავად, რაც ქალს არ გამოჰპარვია. და მაინც ოჯახის მამისა და სუფრის თავკაცის ამ პატრიარქალურ მონოლოგიზირებას არ შეიძლება მასში არ გამოეწვია დამახასიათებელი, შეიძლება ითქვას, მითურად შეფერილი მოწონება. ძველებური სიტყვის წარმოთქმის ჯერ ბუნდოვანი მოგონება მოუვიდა აზრად, შემდეგ კი ეს მოგონება მტკიცედ ჩაუჯდა თავში, «ლუთერის სანადიმო საუბრები», – გაიფიქრა მან და ამ შთაბეჭდილებას იცავდა ყოველგვარ ფიზიოგნომიურ შეუსაბამობათაგან.

გოეთე ჭამდა, სვამდა, ღვინოს ასხამდა, დროდადრო სკამის ზურგს ეყრდნობოდა, ხელებს თავის ხელსახოცს ზემოთ შლიდა და ლაპარაკს განაგრძობდა უმთავრესად დინჯად, ღრმა მობუბუნე ხმით. გულმოდგინედ ირჩევდა სიტყვებს, ხანაც – თავისუფლად და მარდად, მაშინ კი ხელებსაც ააყოლებდა ხოლმე ძალიან მსუბუქად და მიმზიდველად. ყოველივე ეს შარლოტეს აგონებდა იმას, რომ გოეთე მიჩვეული იყო

მსახიობთა გემოვნებისა და თეატრალური კეთილთავაზიანობის დღესასწაულებს. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელ დახრილუპეებიან თვალებს მთელი ბრწყინვალეობითა და გულითადი სითბოთი მიმოავლებდა მაგიდასთან მყოფ საზოგადოებას, მაგრამ

ყოველთვის ერთნაირად სასიამოვნოდ როდი მოძრაობდა მისი პირი: ბაგეები დროდადრო ულაზათო იძულების გამო დაეღმიჭებოდა ხოლმე, რის შეხედვაც დამკვირვებელს მტანჯველად და გამოცანისებურად ეჩვენებოდა. და მისი საუბრით მიღებულ სიამოვნებას მოუსვენრობად და თანაგრძნობად აქცევდა. მაგრამ ეს იძულებითი ჯადო უმაღვე ქრებოდა, მაშინ კი ლამაზად მოყვანილი პირის მოძრაობა ისეთი სასიამოვნო და მომხიბლავი იყო, რომ გაოცებული იყვნენ, რა ზუსტად და გადაუჭარბებლად გამოხატავდა ჰომეროსის ეპითეტი «ამბროზული» ამ სიმშვენიერესა და მიმზიდველობას, თუმცა ეს ეპითეტი არასოდეს უხმარიათ სინამდვილისადმი.

ის ლაპარაკობდა კიდევ ბოჰემიაზე, ფრანცესბრუნზე, ეგერსა და მზრუნველობით მოვლილი მისი ველის სიტურფეზე, აღწერა საეკლესიო და მოსავლის დღესასწაული, რასაც დაესწრო იქ, მსროლელთა, ამქრის შეგირდთა და თვითმყოფი ხალხის ჭრელ-ჭრელი ალმების პროცესია, რომელსაც წინ უძღოდნენ მძიმედ და მდიდრულად მორთული სასულიერო პირები, წმინდა ბაირალები რომ მოჰქონდათ და მთავარი ეკლესიიდან მოედანი გადაიარეს. შემდეგ ხმას დაუწია, ტუჩები წინ გამოსწია და ავის მომასწავლებელი გამომეტყველებით დაიწყო თხრობა, რასაც კვლავ ერთგვარი ეპიკური ხუმრობის ელფერი დაჰკრავდა, ისე როგორც ბავშვებს საზარელ რამეს რომ უამბობენ ხოლმე: მან დამსწრეთ

მოუთხრო სისხლიან ღამეზე, რაც ერთხელ ამ ღირსშესანიშნავმა ქალაქმა გვიან შუა საუკუნეებში იხილა; ეს იყო ებრაელთა ჟლეტა; ქალაქის გააფთრებული მოსახლეობა, კრუნჩხვაატანილივით, ვიღაცის დამახილზე უცხად ეკვეთა მათ; ამის შესახებ ცნობა არის ერთ ძველ ქრონიკაში სახელდობრ, ეგერში ისრაელის ბევრ ძეთა და ასულთ უცხოვრიათ მათთვის მიჩენილ მრავალ შუკაში, სადაც ყოფილა მათი ერთ-ერთი განთქმული სინაგოგა, აგრეთვე ებრაელთა უმაღლესი სკოლა, ებრაელთა ერთადერთი უმაღლესი სკოლა გერმანიაში. ერთ დღეს ვიღაც ფეხშიშველა ბერი, რომელსაც, ჩანს, ფატალური მჭევრმეტყველების უნარი ჰქონდა, ეკლესიის კათედრაზე შემდგარს, შებრალების ღირსი სიტყვებით აღუწერია ქრისტეს ვნებანი და აღმფოთებულს ებრაელები დაუსახავს ყველა უბედურებათა მომრგენად. ამ სიტყვებზე სამოქმედოდ განწყობილი და ქადაგების სიტყვებით

თავგზააბნეული ვიღაც მეომარი მაღალ საკურთხეველზე შემხტარა, ჯვარცმა ჩამოუხსნია და უკიდურესად აღზნებულ ბრბოში აღშფოთების ნაპერწკალი გადაუსროლია, თან უღრიალია: «ვინც ქრისტიანია, მომყვეს!» ბრბოც მიჰყვოლია, გარეთ ყოველი ჯურისა და ჯილაგის ნაძირლები შეერთებიან, და გაუგონარი ძარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა დაუწყია – ებრაელთა ქუჩაბანდებში ბედკრული მცხოვრებნი შეურეკავთ და მოუმწყვდევიათ ერთ ვიწრო შუკაში, მათ ორ მთავარ ქუჩას შორის, და იქ დაუწყიათ ხოცვა-ჟლეტა. ისე რომ, იმ შუკიდან, რომელსაც დღესაც მკვლელობათა შუკა ჰქვია, სისხლი რუსავით მოედინებოდა თურმე. ამ ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ ერთადერთი ებრაელი გადაურჩა, ბუხარში შემძვრალიყო და იქ დამალულიყო. სიწყნარე რომ ჩამოვარდა, მომნანიებელმა ქალაქმა, რომელსაც მაშინდელმა რომის მეფე კარლ მეოთხემ ამ შემთხვევის გამო საკმაო ჯარიმა დაადო, ის ებრაელი საზეიმოდ ეგერის მოქალაქედ გამოაცხადა.

– ეგერის მოქალაქედ! – წამოიძახა მთხრობელმა, – ეგერის მოქალაქეობა რომ მიიღო, ებრაელმა ამით თავი სავსებით დაჯილდოებულად, ზარალანაზღაურებულად ჩათვალა. ამ ხოცვა-ჟლეტის დროს, საფიქრებელია, რომ მან დაკარგა ცოლი, შვილები, მთელი თავისი ქონება, ყველა მეგობარი, ნათესავი, მთელი სათვისტომო, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ის საშინელი საათები მხრჩოლავ კვამლსადენში გაატარა. შიშველ-ტიტველი იდგა იგი იქ, მაგრამ ახლა უკვე ეგერის მოქალაქე იყო და ბოლოს ეამაყებოდა კიდევ ეს. ახლაც იტყვით, ვიცნობთო ადამიანებს? ასეთი არიან ისინი, სიამოვნებით სჩადიან საზარელ საქმეს და შემდეგ, როდესაც დამშვიდდებიან, დაწყნარდებიან, დიდსულოვანი მონანიებით ტკბებიან

კიდევაც, ამით ფიქრობენ, სამარცხვინო საქციელი გამოვისყიდეთო, რაც სასაცილოც არის და ამაღელვებელიც, რამეთუ აქ ძნელიც კია კოლექტიურ ქმედებაზე ვილაპარაკოთ, აქ მხოლოდ შემთხვევაზე შეიძლება იყოს საუბარი; ამგვარ აფეთქებებს უკეთესია შეხედოთ როგორც ბუნების ამოუცნობ მოვლენებს, რომლებიც ეპოქის სულთა მდგომარეობიდან წარმოდგება. ამასთან მუდამ არსებული ზემდგომი და მომწესრიგებელი ჰუმანურობის თვით დაგვირგვინებული ჩარევაც კი კეთილისმყოფელია, – ჩვენს შემთხვევაში რომის უდიდებულესობის არსებობა, რომელიც რამდენადმე მაინც იხსნის კაცობრიობის ღირსებასა და პატივს, რამეთუ სავალალო

შემთხვევის გამოძიება ბრძანა და სათანადო მაგისტრანტს ფორმალურად ფულადი ჯარიმა დააკისრა.

შეუძლებელიც კი იქნებოდა ამ საზარელი შემთხვევის არსებითად უფრო დამამშვიდებლად და უფრო გულგრილ-შემრიგებლურად კომენტირება, ვიდრე ის აკეთებდა, და შარლოტემ ამბის ამგვარი გადმოცემა სწორად და მართებულად მიიჩნია, თუკი ამგვარი რამეების მოყოლა სუფრაზე საერთოდ მოსათმენია. ებრაელთა ხასიათი და ბედი ერთხანს კიდევ იყო მისი საუბრის საგანი, ამასთან ტრაპეზის ამა თუ იმ სტუმრის, კირმის, კუდრეის ან ჭკვიანი მაიერის მიერ ამ შემთხვევის გამო ჩართულ შენიშვნებს აიტაცებდა და თითქოს გადაამუშავებდა ხოლმე. იგი განზე გამდგარი სიმშვიდითა და მსუბუქი, სალაღობო ღრმა პატივისცემით გამოთქვამდა თავის აზრს ამ ღირსშესანიშნავი ხალხის თავისებურების შესახებ. ებრაელები, თქვა მან, პათეტიკურნი არიან, მაგრამ არა გმირულნი; მათი რასის სიძველემ და სისხლის გამოცდილებამ ისინი ბრძენი და სკეპტიკური გახადა, რაც სწორედ გმირულის საპირისპიროა, და მართლაც ერთგვარი სიბრძნე და თვით ირონიაც გამოსჭვივის ყველაზე უბრალო ებრაელის ინტონაციაშიც კი – პათოსისადმი აშკარად გამოხატულ მიდრეკილებასთან ერთად. ოღონდ, ეს სიტყვა აქ ზუსტად უნდა გავიგოთ, სახელდობრ, ტანჯვის აზრით; ებრაული პათოსი ტანჯვის ემფაზისია, რაც ჩვენზე, სხვებზე ხშირად

გროტესკულ და მართლაც უცნაურ, საძულველის შთაბეჭდილებას ახდენს, – ისე როგორც წყლულისა და ბნედიანის კრუნჩხვის დანახვაზე ჯანმრთელ ადამიანს გულში ზიზღისა და თვით სიძულვილის გრძნობების ჩახშობაც კი უხდება, ძალიან ძნელია განსაზღვრო ერთდროულად დაცინვასა და იდუმალ პატივისცემასთან შერეული გრძნობა ნამდვილი გერმანელისა, რომელიც ხედავს, თავმოებურებული მსახური როგორ გამოაგდებს უხეშად გარეთ კარდაკარ მოსიარულე ებრაელ მეწვრილმანეს, როგორ ალაპყრობს ზეცად ხელს ეს უკანასკნელი და შესძახებს: «მონამან მომაგო მე წამებაი და შეურაცხმყო წკეპლითა თვისითა!» ჩვენი ქვეყნის ამ საშუალო მკვიდრს არც გააჩნია ასეთი ძლიერი, უძველესი და მაღალი სამეტყველო საგანძურიდან წარმომდგარი სიტყვები,

მაშინ როდესაც მე ძველი აღთქმისა უშუალოდ დაკავშირებულია პათოსის ამ სფეროსთან და არ აყოვნებს, ეს მაღალფარდოვანი სიტყვები დიდებულად გამოიყენოს თავის

ყოველდღიურ მდაბიურ გამოცდილებაში.

ეს მართლაც ყველაზე უკეთესი რამ იყო და საზოგადოებაც არანაკლებ გამხიარულდა – შარლოტეს გემოვნების მიხედვით თუ ვიტყვით, მეტად ხმამაღლაც კი – მეწვრილმანის ურვისა გამო. ებრაელის ხმელთაშუაზღვისპირულ ხატოვან მიხრამოხრას მთხრობელმა საუკეთესოდ გამოაჯავრა, ანუ, უკეთ რომ ვთქვა, მსუბუქ-მიმიკური მინიშნებით გაიმეორა ისინი. შარლოტეც იძულებული იყო გაეღიმა, მაგრამ მისი გონება სულ სხვა ფიქრებში იყო გართული, თავში მრავალი აზრი უტრიალებდა, ამიტომ მისი გამხიარულება ნაძალადევ ღიმილს ვერ გასცდა. დამსწრე საზოგადოების, ამ წრის მოწონების სიცილს მორჩილებისა და მამებლობის ელფერი დაჰკრავდა, რაც მასში მოუთმენელ ზიზღს იწვევდა. რამეთუ ეს მისი ახალგაზრდობის მეგობარს ეხებოდა, მაგრამ სწორედ ამის გამო თვითონაც ნასიამოვნები იყო. ბუნებრივია, ისინი გულაჩუყებული უნდა ყოფილიყვნენ მისი მეგობრული თავაზიანობით, რითაც იგი თავისი სიმდიდრის ნაწილს უწყალობებდა; ყოველთვის გაურჯელი და უზრუნველი რომ არ იყო ეს თავაზიანობა, ეს მისი ბაგეების მოძრაობაზეც შეიმჩნეოდა. მთელი ამ მხიარული გულითადობის უკან ხომ მისი ცხოვრების დიადი საქმე იდგა და ის ანიჭებდა მის გამოთქმებს რეზონანსს, რაც გასაგებს ხდიდა უზომო მადლობის გამოხატულებას. გარდა ამისა, უცნაური იყო ისიც, რომ ამ შემთხვევაში გონისეული იშვიათი წესით განუყრელად უერთდებოდა საზოგადოებრივ-სამსახურებრივს, ისე რომ ძნელად გაარჩევდით, რით იყო გამოწვეული ეს უსაზღვრო პატივისცემა: იმით, რომ დიდი მგოსანი შემთხვევით – თუ იქნებ არც შემთხვევით – ამავე დროს დიდი ბატონი იყო და რომ ეს მეორე თვისება აღიქმებოდა არა მისი გენიოსობისგან განსხვავებული რამ, არამედ როგორც ამ გენიოსობის საერო-ავტორიტეტული გამოხატულება. მორიდებულ და შთამაგონებელ ტიტულს «თქვენო აღმატებულება», ყოველ მიმართვას რომ ცერემონიულს ხდიდა, არსებითად ისევე არაფერი ჰქონდა საერთო მის მგოსნობასთან, როგორც იმ ვარსკვლავს, მკერდზე რომ უბრწყინავდა; ისინი ფავორიტის, მინისტრის ატრიბუტები იყო; მაგრამ ამ განმასხვავებელმა ნიშნებმა მისი სულიერი სიდიადის აზრი შეიძინეს, ისე რომ ისინი იმთავითვე მის კუთვნილ, მისგან განუყოფელ ნიშნებად ჩანდნენ. «ადვილი შესაძლებელია, – ფიქრობდა შარლოტე, –

თვით პოეტის ცნობიერებაშიც ასე იყოს შთაბეჭდილი».

ასეთ ფიქრებში ჩაფლულიყო იგი, თანაც არ იყო დარწმუნებული, ღირდა კი ამეებზე შეჩერება. სხვათა მამებელ სიცილში ყოველ შემთხვევაში იხატებოდა კმაყოფილება ამ პიროვნებაში გონისეულისა და მიწიერის ამგვარი შეერთების გამო, სიამაყე, მონური აღფრთოვანება მის წინაშე; და ერთი მხრივ ეს მას მიაჩნდა არასწორად, არცთუ კარგ მოვლენად, აღმაშფოთებლადაც კი, მართლაც, უფრო ზუსტად თუ განვსჯით, გამოირკვევა, რომ ამ სიამაყეს და ამ აღფრთოვანებას მამებლობის მონური აზრი აქვს, მაშინ სწორია და მართებული მისი ფიქრი და მასთან დაკავშირებული ერთგვარი კაეშანი. ლოტე ფიქრობდა, როგორ ეადვილებათ ადამიანებს, ქედი მოიხარონ სულიერი სიდიადის წინაშე, როცა იგი წარმოუდგებათ ვარსკვლავითა და ტიტულით მოსილი, ცხოვრობს დიდებული სადარბაზო კიბითა და ხელოვნების ნაწარმოებებით დამშვენებულ სახლში ელეგანტური მოხუცის სახით, რომელსაც თვალები უბრწყინავს, ნაზი ფაფუკი თმა უმშვენებს თავს, როგორც აი იმ იუპიტერს, და ამბროზული ბაგით მეტყველებსო. სულიერი საწყისი, ფიქრობდა ლოტე, ღატაკი, საძულველი და მიწიერ პატივთაგან განძარცული უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანთა უნარი მისი პატივისცემისა ნამდვილად შემოწმებულიყო. რიმერს გადახედა, რადგან მისი ნათქვამი სიტყვა ისევ ყურში ჩაესმოდა: «ყოველივე ამასთან ერთად ეს ქრისტიანობა არ არის». რას იზამთ, არ არის და ნუ არის, დაე ნუ იქნება ქრისტიანობა. მას არ უნდოდა ამის განსჯა და არც ჰქონდა არავითარი ხალისი, ეფიქრა იმ ბუზლუნსა და წუწუნზე, რომელთაც ეს განაწყენებული კაცი თავისი ბატონისა და მაისტერის ხოტბასა და ქებათა ქებაში გაურევდა ხოლმე. მაგრამ ლოტე უცქერდა რიმერს, რომელიც ასევე უმორჩილესი და უერთგულესი მოწონებით იცინოდა, მაშინ როდესაც მის შეწუხებულ ხარისებურ თვალებს შორის მაინც ჩაფიქრებულობის, დაბნეულობის, წინააღმდეგობის, ნალველის, ბუზლუნის გამომხატველი მცირე ნაოჭი ჩაკეცილიყო... მერე მშვიდი, მაგრამ დაკვირვებული მზერა გადაიტანა ორი სკამის შემდეგ ლოტკენის იქით მჯდომარე ავგუსტზე, ჩრდილში მყოფ და საზოგადოებისგან უარყოფილ ძეზე, რომელიც სამარცხვინო დაღს ატარებდა, მოხალისედ ბრძოლის ველზე არ გავიდა და «ჰერზონჰენის» დაწინდდა

სურდა. პირველად როდი შეხედა მას სადილობის ჟამს. როდესაც მამამისი ჰყვებოდა მარჯვე მეეტლეზე, რომელმაც იცოდა, როგორ გაეტარებინა ეტლი ოღროჩოლო გზაზე ისე, რომ არ გადაებრუნებინა, მაშინ ლოტე მიაშტერდა კამერმრჩეველს, რადგან გაახსენდა ის სასიერო თავგადასავალი ავგუსტმა რომ უამბო იმ ავბედითი გამგზავრების თაობაზე, მისი ახალგაზრდობის მეგობრისა და მაიერის მარცხის შესახებ ეს უკანასკნელი დიდებულების მედიდური წარმოდგენით ქუჩის გასწვრივ გაყოლებულ თხრილში რომ გადაეშვა და აი, ამ აქეთ-იქით ცქერაში თამულურსსა და მას შორის, ლოტე უცბად ეჭვმა შეიპყრო, შიშმა შეაკრთო, რაც უკვე მარტო იმ ორს კი არა, ყველა ირგვლივმყოფს ეხებოდა: მას ერთი წუთით გაუელვა საზარელმა აზრმა, თითქოს ამ საყოველთაო ერთგულების ხარხარს სხვა რამ უნდა ჩაეხშო და დაეფარა, მით უფრო საზარელი იმ მხრივ, რომ მასში იყო რაღაც მუქარა, მუქარა თვით მისთვისაც, მაგრამ ამავე დროს მიწვევასაც შეიცავდა, რათა თვითონაც გამხდარიყო მისი მონაწილე.

მადლობა ღმერთს, რომ ეს ეჭვი და შიში უაზრო, სახელსა და საფუძველს მოკლებული ფუჭი ვარაუდი იყო. სიყვარული, მხოლოდ სიყვარული სუფევდა ამ სიცილში მთელი მაგიდის გარშემო, სიყვარული მეტყველებდა და კრთოდა თვალეში, რომლებიც მიპყორბილი იყო მეგობრის მხიარულად, ფრთხილად და მოსაზრებულად მოუბნე ბაგეებს. მეტს მოელოდნენ და მეტსაც იღებდნენ. ლუთერის პატრიარქალური

სანადიმო საუბარივით მოედინებოდა მჟღერი და გონებამახვილი ბაასი. ებრაელთა თემაზე ერთხანს კიდევ ილაპარაკა, თუმცა ერთგვარი მედიდური სამართლიანობით, ისე რომ კაცს ეგონებოდა, ისიც დაადებდა გამოსასწორებელ ფულად ჯარიმას ეგერის მაგისტრატს. გოეთე აქებდა ამ ღირსშესანიშნავი მოდგმის მეტად მაღალ სპეციალურ ნიჭიერებას, მუსიკის გრძნობას, მის სამედიცინო უნარს: – ებრაელმა და არაბმა ექიმებმა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო აღიარება და უპირატესი ნდობა მოიპოვეს. რაც შეეხება ლიტერატურას, ამ მოდგმას, ფრანგებისა არ იყოს, მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს: შეიძლება ვაღიაროთ, რომ თვით საშუალო ნიჭის ებრაელნი უმეტესწილად უფრო სუფთად და ზუსტი სტილით წერდნენ, ვიდრე ეროვნებით გერმანელი, რომელსაც

სამხრეთის ხალხებისგან განსხვავებით, როგორც წესი, სტილისადმი ზრუნვა და მოწიწება არ გააჩნია. ებრაელები საღმრთო წერილის ხალხია და, ამდენად, ადამიანურ თვისებებსა და ზნეობრივ შეხედულებებს რელიგიურობის საერო ფორმებად განიხილავენ. მაგრამ დამახასიათებელია,

რომ ებრაელთა რელიგიურობა დავალებულია ამქვეყნიურობით და მასთან არის დაკავშირებული. და აი სწორედ მათი ეგ მიდრეკილება და უნარი, რომ მიწიერ საქმეებსა და ვითარებებს რელიგიურის დინამიზმს ანიჭებენ, გვაფიქრებინებს, რომ ისინი მოწოდებული არიან კიდევ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღონ დედამიწაზე მომავლის ფორმირებაშიც. მეტად საყურადღებოა, საოცარი და ძნელად გამოსაცნობი, რომ მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რაც ებრაელებს საყოველთაო კულტურაში შეუტანიათ, მაინც ებრაელთა ჯიშისა და ჯილაგის წინააღმდეგ ხალხებში ძველთაძველი ანტიპათია ჩაბოღმილა და ყოველ წუთს მზად არის, ძალმომრეობით სიძულვილად აგიზგიზდეს, როგორც ეს საკმაოდ დაგვანახვა იმ უწყესრიგობამ, ეგერში რომ მოხდა. ეს

ანტიპათია, როდესაც მეტისმეტი პატივისცემა უკმაყოფილებასა და სიძულვილს აძლიერებს, საკუთრივ შევადაროთ კიდევ მეორეს: ანტიპათიას, სიძულვილს გერმანელთა მიმართ, რომელთა ბედისწერის როლი და შინაგანი, ისე როგორც გარეგანი მდგომარეობა სხვა ხალხთა შორის საოცრად ენათესავება ებრაულს. მას არ უნდა, რომ ამაზე ვრცლად ილაპარაკოს და ენად დაშვრეს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ხანდახან შიში შეიპყრობს, სუნთქვა ეკვრის, ვაითუ, ერთ დღეს მსოფლიოს შებოჭილმა სიძულვილმა გადმოხეთქოს, აჯანყდეს და ისეთი ისტორიული ლაშქრობა მოაწყოს დედამიწის მეორე სიამაყის, გერმანელობის წინააღმდეგ, რომელთან შედარებით ის შუასაუკუნეობრივი მკვლელობათა ღამე მინიატურულ ნიმუშად და ანარეკლად გამოჩნდება... თუმცა ამგვარი შეჭირვებანი დაე ისევ მისი საზრუნავი იყოს, მოწყალეობა მოიღონ და აპატიონ, რომ ესოდენ გაბედული შედარებები და ეროვნული შეპირისპირებანი მოახდინა. მართალია, კიდევ უფრო მოულოდნელი შედარებებიც არსებობს. დიდი ჰერცოგის ბიბლიოთეკაში არის ერთი ძველი გლობუსი, რომელზეც ზოგჯერ დედამიწის

სხვადასხვა მოსახლეობათა მოკლე და გასაოცარი დახასიათებებია წარწერილი. იქ, მაგალითად, გერმანიაზე ნათქვამია: «გერმანელი ხალხი ჩინელებთან დიდ მსგავსებას

ამჟღავნებს». თუმცა ეს სასაცილოა, მაგრამ რაღაც მართებულსაც შეიცავს, თუ გავიხსენებთ გერმანელთა სიყვარულსა და სიხარულს ტიტულებისადმი, მათ ძვალსა და რბილში გამჯდარ თაყვანისცემას განსწავლულობის წინაშე. რასაკვირველია, ხალხთა ამგვარი ფსიქოლოგიური მიმოხილვა მუდამ თვითნებურია და ეს შედარება ასევე კარგად ან უკეთესად მოერგება ფრანგებს, რომელთა კულტურული თვითკმაყოფილება და მეტისმეტად მკაცრი, პედანტური კონტროლი, შემოწმების სიყვარული ჩინურს უფრო ჩამოჰგავს. გარდა ამისა, ისინი დემოკრატები არიან და აქაც ჩინელებს ენათესავენ, თუმცა კი ისინი ჩინელების დემოკრატიულ შეხედულებათა რადიკალურობას ვერ დაეწევიან. სწორედ კონფუციუსის თანამემამულეებმა გამოსჭედეს ხომ სიტყვა: «დიდი კაცი საზოგადოებრივი უბედურებაა».

აქ კი ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ბევრად უფრო ხმამაღალი იყო, ვიდრე ამას წინათ. ასეთი დიდი კაცის ბაგეთაგან წარმოთქმულმა ამ სიტყვამ მხიარულების ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია. სტუმრები სიცილ-ხარხარით ხან სკამის ზურგზე გადაწვებოდნენ, ხან თავს მაგიდაზე აყრდნობდნენ და ხელისგულს ურტყამდნენ ამ პრინციპული უაზრობით შეცბუნებულნი და გამხიარულებულნი, იმის სურვილით გამსჭვალულნი, რომ მასპინძლისთვის ეჩვენებინათ, თუ რაოდენ აფასებდნენ ისინი იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვები მან თავის თავზე მიიღო, თუმცა ამით იმავე დროს იმასაც ამცნობდნენ, თუ რა საშინელ და მკრეხელურ აბსურდულობად მიაჩნდათ ეს გამოთქმა. მხოლოდ შარლოტე იჯდა გაჭიმული, გარინდებული, შემკრთალი, კესანესფერი თვალები გაფართოებოდა. სიცივეს აეტანა. მართლაც, ფერი დაჰკარგოდა, მხოლოდ ბაგის კიდეები უთრთოდა, ეს იყო და ეს, რითაც მას საყოველთაო მხიარულებაზე მინიშნება სურდა. თვალწინ დაუდგა ზმანებასავით ხილვა. მრავალსახურავიან და ზანზალაკებიან კომკებს შორის ხან ერთ და ხან მეორე ფეხზე კინკილაობდა ძველთაძველი სასეირო, საზიზღრობამდე ჭკვიანი ხალხი, ნაწნავებიანი, ძაბრისებრი ქუდებითა და ჭრელჭრული ჯუბებით შემოსილი. დროდადრო მონაცვლეობით ხან ერთ და ხან მეორე გამხმარ და გრძელფრჩხილებიან საჩვენებელ თითს მაღლა სწევდა და ჭიკჭიკა ენაზე წამოიძახებდა უკიდურეს და მომაკვდინებლად აღმაშფოთებელ ჭემმარიტებას. მაგრამ როდესაც ეს მაჯლაჯუნა

მოელანდა, კვლავ იმავე ადრეულმა შიშმა შეიპყრო და ზურგში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა: ხომ შეიძლება, მეტრაპეზეთა ეს ხმამალალი ხარხარი ბოროტ რაღაცას ფარავდეს და მალავდეს, და რომელიღაც უბედურ წუთს უცბად გადმოხეთქოს, ვიღაცა წამოხტეს, მაგიდა ააყირავოს და იყვიროს: «ჩინელები მართალი არიან!»

ჩანდა, თუ როგორ ნერვიულობდა ლოტე. მაგრამ ამ ნერვიულობიდან მუდამ წმინდა ატმოსფერულად რაღაც დამაბული შიში წარმოიშობა, ყველაფერი კარგად ჩაივლის თუ არაო. მუდამ ჰაერში ტრიალებს, როდესაც ადამიანები დაყოფილი არიან ერთ და მრავალ პიროვნებად, როდესაც ერთი განკერძოებით უპირისპირდება მასას, რა აზრითა და მიმართებითაც უნდა იყოს ეს; თუმცა შარლოტეს ძველი ნაცნობი ყველა მათთან ერთად ერთ რიგში თანაბრად იჯდა, მაგრამ ის გარემოება, რომ მარტო ის ლაპარაკობდა, დანარჩენები კი მსმენელ საზოგადოებას შეადგენდნენ, აქ მუდამ შეუსაბამო, მაგრამ მაინც სწორედ ამით მიმზიდველ სიტუაციას ქმნიდა. ეს ერთადერთი დიდრონი, მუქი, მოელვარე თვალებით უყურებდა მეტრაპეზეთა მხიარულების გრიგალს, რაც მის მიერ წარმოთქმულმა ციტატამ გამოიწვია, და მისმა სახემ, მისმა თავდაჭერამ კვლავ მიიღო ნაძალადევი გაოცების ის მიამიტური, არაგულდია გამომეტყველება, თავიდანვე ოთახში შემოსვლის დროს მის სახეზე რომ ასახულიყო. «ნეტარამბროზული» ბაგენი ისევ ამოდრავდნენ საბოლოო სიტყვის წარმოსათქმელად. როდესაც სიცილი შეწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა, გოეთემ თქვა:

– რასაკვირველია, ასეთი გამოთქმა სულაც არ მეტყველებს ჩვენი გლობუსის სიბრძნეზე. ამგვარ აღიარებათა მტკიცე ანტიინდივიდუალიზმით მთავრდება ჩინელებისა და გერმანელების ნათესაობა. ჩვენთვის, გერმანელებისთვის, ინდივიდუუმი ძვირფასია – და სამართლიანადაც, რამეთუ მხოლოდ ინდივიდუუმში ვართ ჩვენ დიდი. მაგრამ ეს რომ ასეა, ის რომ ჩვენში უფრო მკვეთრად არის გამოხატული, ვიდრე სხვა ერებში, ინდივიდუუმისა და საზოგადოების ურთიერთობას, მიუხედავად იმ ფართო და მდიდარი შესაძლებლობებისა, მას რომ გააჩნია, ანიჭებს რაღაც ნაღვლიან-საეჭვო ხასიათს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ფრიდრიხ მეორეს ხანშესულობის ბუნებრივმა «ცხოვრებისეულმა მოწყენილობამ» ათქმევინა «დამღალა მონებზე ბატონობამ».

შარლოტე ვერ ბედავდა მალლა ახედვას. თუმცა შეეძლო ამ სიტყვების დამოწმების გამო დაფიქრებული თავის ქნევა და აქა-იქ მოწონების დამადასტურებელი გამხიარულებაც შეენიშნა ტრაპეზის ირგვლივ, მაგრამ მის აღზნებულ ფანტაზიას წარმოუდგა, რომ ერთთავად დახრილი ქუთუთოებიდან მზაკვრული მზერა გამოსჭვიოდა მოსაუბრის მიმართ; მას საშინლად ზარავდა ამის აღქმა. სრულმა განდგომამ, განრინებამ, დაბნეულობამ და მტანჯველმა ფიქრებმა მისი ცნობიერება დიდხანს მოსწყვიტა საუბარს და აღარ მისცა საშუალება, მის ასოციაციებს მიჰყოლოდა. ის ვერ გეტყოდათ, როგორც მიიღო საუბარმა ესა თუ ის მიმართულება, როდესაც დროდადრო გონს მოდიოდა. კინალამ გამორჩა სუფრის თავკაცის ყურადღებისა და თავაზიანობის გამოჩენას პირადად მისადმი. იგი სთხოვდა ლოტეს ამ კომპოტის «მინიმუმი» მაინც მიერთვა (ასე გამოთქვა მან), და ქალმაც ნახევრად გაუთავისებლად მართლაც გადაიღო თავისთვის. შემდეგ შარლოტემ გაიგონა, როგორ ლაპარაკობდა გოეთე სინათლის მოძღვრების საკითხებზე, კარლსბადის მინის რომელიღაც თასების საბაბით; ის შეჰპირდა ტრაპეზის მონაწილეებს, რომ ნადიმის შემდეგ აჩვენებდა, თუ განათების შედეგად რა საყურადღებო ფერთა გარდაქმნებს განიცდიან მინის ის თასები. მერე ამას დაუკავშირა რაღაც უარყოფითი, თვით უხეში შენიშვნაც კი ნიუტონის მოძღვრების წინააღმდეგ, ფანჯრის დარაბის ნახვრეტში და ჭიქის პრიზმაში გავლილი მზის სხივის თაობაზე ხუმრობდა; ჰყვებოდა ქალაქის რაღაც ფურცელზე, რომელსაც იგი ინახავდა ამ საგნის შესახებ თავისი პირველი შტუდიების მოსაგონრად. ფურცელს აჩნდა წვიმის წვეთების კვალი, რომლებიც თხელ კარავში დასცემოდა მაინცის ალყის დროს. ასეთ პატარა რელიკვიებსა და წარსულის მოსაგონარ ნიშნებს იგი დიდი პატივისცემით ეპყრობა და ფრიადი ზრუნვით ინახავს მათ, რამეთუ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში უხვად გროვდება ამგვარ გრძნობისეულ წვრილმანთა დანალექი. ამ სიტყვებზე შარლოტეს გული აუჩქროლდა თეთრი კაბის ქვეშ, რომელსაც ბაფთა აკლდა, მას ეგონა, რომ სწრაფად უნდა ჩარეულიყო საუბარში და გაეგო ცხოვრების ამ დანალექის სხვა დანარჩენი შემადგენელი ნაწილების შესახებაც, მაგრამ მალე მიხვდა ასეთი კითხვის შეუძლებლობას და ხელი აიღო მასზე; ისევ დაეკარგა საუბრის ძაფი.

შემწვარ-მოხრაკულის თეფშები რომ ტკბილეულის თეფშებით შეცვალეს, ამ დროს შარლოტეს კვლავ მოესმა თხრობა; არც იცოდა, როგორც ჩამოვარდა მასზე საუბარი, მაგრამ მასპინძელი დიდი სითბოთი კი ჰყვებოდა ხელოვანის იშვიათი და მორალურად მშვენიერი ცხოვრების ისტორიას. ამბავი ეხებოდა იტალიელ მომღერალ ქალს, რომელმაც გადაწყვიტა თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი საზოგადოებისთვის ეჩვენებინა მხოლოდ იმის სურვილით, რომ დახმარებოდა თავის მამას, რომელსაც გამოსაღებთა ამკრეფს, რომელიც ხასიათის სისუსტემ სილატაკეში ჩააგდო. ახალგაზრდა პიროვნების საკვირველი ნიჭი მოყვარულთა კონცერტზე გამოჩნდა; თეატრალური საზოგადოების დირექტორმა იქვე მიიწვია; ისეთი ძლიერი იყო მის მიერ გამოწვეული აღფრთოვანება, რომ ფლორენციაში გამოსვლის დროს ერთმა მუსიკის ენთუზიასტმა ერთი სკუდოს[305] ნაცვლად თავის ბილეთში ასი ცეხინი[306] აჩუქა. მანაც არ დააყოვნა, ამ პირველად აღებული იღბლიანი ფულით თავისი მშობლები უხვად დააჯილდოვა. იგი ზევით და ზევით მიიწევდა, მუსიკალურ ცაზე ვარსკვლავით ბრწყინავდა, სიმდიდრე ნაკადულივით მოედინებოდა მისკენ. ქალიშვილის მთავარი საზრუნავი მუდამ მაინც მოხუცი დედ-მამის ოჯახური მყუდროებითა და ყოველგვარი კეთილდღეობით გარემოცვა იყო, – წარმოიდგინეთ დარცხვენილი კმაყოფილება მამისა, რომლის უუნარობა ბრწყინვალე ქალიშვილის ენერჯითა და ერთგულებით ანაზღაურდა. მაგრამ ამ ცხოვრების ცვალებადი ბედ-იღბალი ამით არ დამთავრებულა. ერთ ვენელ ბანკირს შეუყვარდა ქალიშვილი და ხელი სთხოვა. ქალიც ნამდვილად გამოეთხოვა თავის დიდებას და მისი ცოლი გახდა. ეგონა, მისი ბედნიერების გემმა დიდებულ და საიმედო ნავსადგურს შეაფარა თავი. მაგრამ ბანკირი გაკოტრდა და მათხოვრად მოკვდა. მთელი რიგი წლების მდიდრული თავშესაფრიდან ქალი, უკვე არცთუ ახალგაზრდა, უბრუნდება თეატრს. თავისი ცხოვრების უდიდესი ტრიუმფი მოელის მას. საზოგადოება მიესალმება მის კვლავ გამოჩენას, მის ახალ მიღწევებს ისეთი თაყვანისცემით ხვდება, რომ ახლავს იგებს, თუ რაზე უთქვამს უარი და რა წაურთმევია ხალხისთვის, როდესაც კრეზუსე[307]

გათხოვება თავისი კარიერის დამაგვირგვინებელ დამთავრებად მიიჩნია. ბიურგერულ-საზოგადოებრივი ბრწყინვალეების ეპიზოდის შემდეგ ეს დღესასწაულებრივი კვლავ გამოსვლა მისი ცხოვრების უბედნიერესი დღე იყო, და საკუთრივ პირველად მხოლოდ ამან გახადა ხელოვანი

სულითა და გულით, მაგრამ ამის შემდეგ ქალმა მხოლოდ რამდენიმე წელიწადს იცოცხლა.

მთხრობელმა ამ ამბავს დაუკავშირა შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა ამ უცნაური პიროვნების განსაკუთრებულ არასერიოზულ, გულგრილ და გაუცნობიერებელ დამოკიდებულებას თავისი მხატვრული მოწოდების მიმართ. გოეთეს თავისი მსუბუქი და დიდებული ჟესტით თითქოს სურდა მსმენელთა თანაგრძნობა გაეღვიძებინა ამგვარი დაუდევრობისადმი. უცნაური ქალი! განსაკუთრებული სერიოზულობით და ზეიმით ის თავის ხელოვნებას, და საერთოდ ხელოვნებას, ცხადია, არასოდეს მოჰყრობია, მიუხედავად ესოდენ დიდი ნიჭისა. მხოლოდ იმისთვის, რომ თავის დავრდომილ მამას დახმარებოდა და ფეხზე დაეყენებინა იგი, საერთოდ გადაწყვიტა, აქამდე ყველასგან და თვით მისთვისაც შეუმჩნეველი ნიჭი გამოეყენებინა პრაქტიკული მიზნით და დიდი ხნით ჩაეყენებინა მშობლის სიყვარულის სამსახურში. ფრიად ყურადსაღებია ის მზადყოფნა, პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე რომ მიატოვა დიდების სარბიელი, რასაკვირველია, იმპრესარიოთა სამწუხაროდაც, და პირად ცხოვრებას დაუბრუნდა; ყველაფერი ლაპარაკობდა იმაზე, რომ იგი თავის ვენის სასახლეში სულაც არ მისტიროდა ხელოვნებას და არც კულისების მტვრის სურნელებასთან, მისი რულადებისა და სტაკატოებისადმი მიძღვნილ ყვავილთა მსხვერპლშეწირვასთან გამოთხოვება გასძნელებია. მართალია, როდესაც მკაცრი ცხოვრების ორომტრიალმა მოითხოვა, ის კვლავ დაუბრუნდა საჯარო გამოსვლებსა და მოღვაწეობას. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ის, რომ ამ ქალს, რომელსაც საზოგადოებრივმა აღიარებამ შთააგონა იმის შეგნება, რომ ხელოვნება, – რასაც იგი მაინცდამაინც დიდ წონასა და მნიშვნელობას არ ანიჭებდა და მეტ-ნაკლებად მიზნის საშუალებად თვლიდა, – მუდამ მისი სერიოზული და ნამდვილი დანიშნულება იყო, თურმე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. ხელოვნების სამეფოში ესოდენ ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ მოკლე ხანში გარდაიცვალა. ცხადია, ცხოვრების ეს განაჩენი, დაგვიანებული აღმოჩენა იმისა, რომ მშვენიერებასთან ნამდვილი იდენტიფიკაციის არსებობისთვის იყო იგი მოწოდებული, მას არ შეჰფეროდა – მშვენიერების შეგნებული ქურუმის არსებობა მას არ ესადაგებოდა, მისთვის შესაძლებელი არ იყო. მას, ამ ამბის მთხრობელს, მუდამ

გამორჩევით აინტერესებდა არატრაგიკული ტრაგიკა ნიჭით დაჯილდოებული ქმნილების ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაში, რაშიც ძალიან ძნელი გასარჩევია თავმდაბლობა და უპირატესობის გრძნობა, და დიახაც სიამოვნებით ისურვებდა ამ ქალბატონის გაცნობას.

მსმენელებმაც მიახვედრეს, რომ ისინიც სიამოვნებით ჩაიდენდნენ იმასვე, მხოლოდ საწყალ შარლოტეს არ ჰქონდა საამისო ხალისი. მას გული ატკინა და მოუსვენარ ყოფაში ჩააგდო ამ ამბავმა თუ მისმა კომენტარმა, თან რომ ახლდა. ლოტეს თავისი და მთხრობელის სულის მოსაოხებლად იმედი ჰქონდა მორალური გულაჩუყებისა, რაც უნდა გამოეწვია საქმიანი ქალიშვილის ერთგულების მაგალითს; მაგრამ შემდეგ მოსაუბრემ საქველმოქმედო-სენტიმენტალურს გულისგამტეხი მიმართულება მისცა და საუბარი უმაღლეს ინტერესთა სფეროში გადაიტანა, ყველაფერი ფსიქოლოგიურზე დაიყვანა, და გენიოსის მხრივ თავისი ხელოვნების აუცილებელი უგულებელყოფა კეთილად მოიხსენია, რამაც – ისევ თავისი თავისა და მის გამო – გული გაუცივა და შეაკრთო. ისევე ღრმა ფიქრებმა წაიღო და განრინებაში ჩავარდა.

მსუბუქ საჭმელად ჩამოარიგეს ჟოლოს ძალიან სურნელოვანი კრემი, ათქვეფილი ნაღებით მორთული, მოგრძო ორცხობილებით შემოწყობილი. იმავე დროს შამპანურიც მოართვეს, ამჯერად ხელსახოცშემოხვეული ბოთლებიდან ღვინოს მსახური უსხამდა, და გოეთემაც, რომელმაც ამას წინათ მორთმეული ღვინოებიც უხვად იგემა, მოწყურებულივით ორი სირჩა ერთიმეორეზე მიყოლებით ზედიზედ სწრაფად დალია; გამოცლილი ჭიქა მხარზევით მაშინვე უკან მიაწოდა მსახურს. რამდენიმე წუთს თავისი ახლო-ახლოს ჩამჯდარი თვალები ალმაცერად ზევით სიცარიელეს მიაპყრო, რაღაც მხიარულ მოგონებას მინდობოდა, რასაც მაიერი სიყვარულით ადევნებდა თვალს, დანარჩენი მეტრაპეზენიც ღიმილიანი მოლოდინით მისჩერებოდნენ. შემდეგ მაგიდასთან პირისპირ მჯდომ ვერნერს მიუბრუნდა და ამცნო, რაღაც მინდა გაიმბოთო. «აჰ, რა მინდა მოგიყვებ!» – თქვა მან სიტყვასიტყვით; ამ ლაფსუსმა – ან რაც იყო – მოულოდნელი შთაბეჭდილება მოახდინა საზრიანი და დახვეწილი მჭევრმეტყველების შემდეგ, რასაც მისი ყური მისჩვეოდა. მან დასძინა, რომ აქაურ სტუმართაგან უმრავლესობას ეს დიდი ხნის მხიარული ამბავი უთუოდ ახსოვს, მაგრამ ჩამოსულთათვის ის უეჭველად უცნობია;

იმდენად სასიამოვნო ამბავია, ყველა გულისყურით მოისმენს.

თავიდანვე ისეთი გამომეტყველებით დაიწყო თხრობა, ჩანდა, თუ რა შინაგან კმაყოფილებას განიცდიდა ამ საგნის გამო; ამბავი ეხებოდა ცამეტი წლის წინ ხელოვნების ვაიმარელ მეგობართა კავშირის მიერ მოწყობილ გამოფენას, სადაც ბევრი ძალიან კარგი ნაწარმოები გამოგზავნეს სხვა ქალაქებმაც. ამ ფრიად სასიამოვნო ობიექტთა შორის იყო – ახლავე უნდა ითქვას ეს – ლეონარდო და ვინჩის ქარიტას[308] თავის უაღრესად მარჯვედ შესრულებული ასლი. – თქვენ იცით ქარიტები კასელის გალერეაში, იცნობთ აგრეთვე ასლის გადამღებს: ის გახლდათ ჰერ რიპენჰაუზენი, ფრიად გასახარელი ნიჭის კაცი, აქ მან გამორჩეულად სათუთი და სანაქებო ნაწარმოები შექმნა: თავი დახატული იყო აკვარელის ფერებით, რომელიც იმეორებდა ორიგინალის ფერთა მიმქრალ ტონს, თვალთა მიბნედილ მზერას; ნაზი, თითქოს მავედრებელი დახრა თავისა, განსაკუთრებით კი მშვენიერ

ბაგეთა ტკბილი მოწყენილობა ზედმიწევნით იყო გადმოღებული. მისი შეხედვა ერთობ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ყველას.

ჩვენი გამოფენა იმ წელს ჩვეულებრივზე უფრო გვიან გაიხსნა, ხოლო საზოგადოების დაინტერესებამ გვაიძულა კიდევ უფრო მეტხანს გაგვეგრძელებინა. დარბაზებში ციოდა, მომჭირნეობის მიზნით მხოლოდ დათვალიერების საათებში ათბობდნენ. ერთხელ შესვლისთვის მცირე გადასახადი დაწესდა, რასაც კერძოდ უცხოელები იხდიდნენ; ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის აბონემენტი შემოვიღეთ, რაც ნებისმიერ დროს, იმ საათებშიც, როცა არ ათბობდნენ, შესვლის უფლებას იძლეოდა.

აი, აქედან იწყება ამბავი. ერთ დღეს სიცილით მიგვიხმეს ქარიტას მშვენიერი თავის წინაშე და ჩვენი საკუთარი თვალთ ვნახეთ მალული, მოკრძალებული, მშვენიერი ფენომენი: სურათის ბაგეებზე, უფრო სწორად, მინაზე იმ ადგილას, ტუჩებს რომ ფარავს, აჩნდა უდავო ანაბეჭდი, მშვენიერ გამოსახულებაზე აღბეჭდილი იყო კობტად გაფორმებული ფაქსიმილე ლამაზ ბაგეთა – ამბორი.

წარმოიდგინეთ ჩვენი თავშექცევა და სეირი, წარმოიდგინეთ ასევე მხიარულ-კრიმინალისტური საქციელის გამოძიებანი; არც დავაყოვნეთ იმის გამოკვლევა, ვის უნდა ჩაედინა;

ჩამდენის იდენტიფიკაცია ხელთ გვექონდა. იგი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, ამის წინასწარ დადგენა შეუძლებოდა, ამაზე მეტყველებდა მინაზე აღბეჭდილ ბაგეთა ნაკვთები. ეს მარტომყოფს უნდა ჩაედინა, – ბევრი ხალხის წინაშე ამისთანა რამეს ვერავინ გაბედავდა. აბონემენტის მქონე ადგილობრივ მცხოვრებს ეს ვნებიანი საქციელი დილით ადრე უნდა ჩაედინა, როდესაც ოთახებს არ ათბობდნენ: ცივი მინა დაორთქლა და თავისი კოცნა თავისსავე დანაორთქლზე აღბეჭდა, რაც შემდეგ გაიყინა და გამკვრივდა, მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა ეს ამბავი. ძნელი არ იყო იმის დადგენა, გაუთბობელ ოთახებში მარტო ვინ დადიოდა. ვარაუდი ერთ ყმაწვილკაცზე შეჩერდა, ვარაუდი რწმენად იქცა. ამ ყმაწვილს არ დავასახელებ, არც დაწვრილებით აღვწერ. მას არასოდეს არ გაუგია, თუ სათუთ ოინებს როგორ მივუხვდით, მაგრამ შემდეგ ჩვენ, ამ ამბავში განდობილებს, არაერთხელ გვექონია შემთხვევა მეგობრულად მივსალმებოდით იმ ნამდვილად საკოცნელი ტუჩების მქონე ახალგაზრდას.

ასეთი იყო ლაფსუსით დაწყებული მოთხრობა, რომლითაც არა მარტო სამთო საქმის მრჩეველი ტკბებოდა, არამედ მთელი მაგიდის ირგვლივ მსხდომნი განცვიფრებით უსმენდნენ. შარლოტე ძალიან გაწითლდა. მართლაც მას შუბლზე მაღლა ავარცხნილი ფერფლისფერი თმის ძირებამდე მუქად მოედო სიწითლე, რამდენადაც ამის ნებას მისი ნაზი სახის ფერი იძლეოდა, და მისი თვალების სილურჯე საოცრად ფერგამკრთალი ჩანდა და ამავე დროს მკვეთრად ბრწყინავდნენ წამოწითლებულ სახეზე. იგი მთხრობელისკენ პირშექცევით იჯდა, თითქმის შებრუნებულიყო თავის მეორე გვერდით მჯდომი მეზობლისკენ, სასახლის კარის მრჩეველ კირმსისკენ, თითქოს მის მკერდზე ეძიებდა თავშესაფარს, რაც თხრობით მეტად გართულ და ნასიამოვნებ კირმსს, რა თქმა უნდა, არ შეუძმჩნევია. საბრალო ქალი შიშმა შეიპყრო, სახლის თავკაცს ხომ შეეძლო ამ არარაობაში გაყინული და გამკვრივებული კოცნის, მისი ფიზიკური პირობების შემდგომი განმარტება. მაგრამ მას კომენტარი აღარ მოჰყოლია, როდესაც მხიარულება ჩადგა. ახლა ის უფრო მშვენიერის ფილოსოფიას ეხებოდა და არა, ვთქვათ, სიტბოს მოძღვრებას. მასპინძელი მუსაიფობდა ბელურებზე, რომელთაც აპელესის ნახატ ალუბლებს კენკვა დაუწყეს, და იმ ჯადოსნურ ზეგავლენაზე, რაც შეუძლია მოახდინოს გონებაზე ხელოვნებამ, ამ სრულიად

თავისებურმა და სწორედ ამის გამო მიმზიდველმა ყველა ფენომენტა შორის. არა უბრალოდ ილუზიის შექმნის აზრით, – რამეთუ იგი არ არის რაღაც ოპტიკური ცდუნება და თვალის ამხვევი ნაწარმოები, – არამედ უფრო ღრმა სახით: სახელდობრ, იმით, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ზეციურ და მიწიერ სფეროებს ეკუთვნის, იმიტომ რომ იგი გონისეული და გრძნობისეულია ერთსა და იმავე დროს, ანუ, თუ პლატონის ენით ვიტყვით, ღვთაებრივი და იმავე დროს გრძნობებით დასანახი გონისეულისათვის მოუხმობს, აქედან წარმოდგება ის განსაკუთრებული, შინაგანად შეფერილი სულიერი კაემანი, რასაც მშვენიერი აღძრავს, და რამაც თავისი – სითბოსა და სიცივისგან შობილი გამოხატულება პოვა ხელოვნების იმ ახალგაზრდა მეგობრის ინტიმურ საქციელში. ხოლო ის, რაც ჩვენს სიცილს იწვევს, მარტოობაში იდუმალ ჩადენილი აქტის დაბნეული არაადეკვატურობა გახლავთ. რაღაც კომიკური სევდა შეიპყრობს ადამიანს იმის წარმოდგენაზე, თუ რა უნდა განეცადა მოხიბლულ და ცდუნებულ ახალგაზრდას, როდესაც მისი ბაგეები ცივ და გლუვ მინას შეეხო. მაგრამ, ზუსტად თუ ვიტყვით, წარმოუდგენელია იმაზე უფრო ამაღელვებელი და უფრო მნიშვნელოვანი სურათი, ვიდრე ყინულივით ცივსა და გაუზიარებელზე აღბეჭდილი მხურვალე ალერსის შემთხვევითი მატერიალიზაცია. ეს პირდაპირ რაღაც კოსმოსურ ხუმრობას ჰგავს, და ა.შ. და ა.შ.

სადილს მაშინვე ყავა მოაყოლეს. გოეთეს ის არ დაუღევია. დესერტის ნაცვლად, ხილს რომ მოჰყვა და ყოველნაირი კანფეტებისგან, გამომშრალი კრენდელების, შაქარყინულისა და ქიშმიშისგან შედგებოდა, მან კიდევ დაისხა ერთი ჭიქა სამხრეთული ღვინო, «ტინტო როსოს» რომ ეძახიან. ამის შემდეგ ის წამოდგა და მთელი საზოგადოება იუნონას ოთახში შეჰყვა, აგრეთვე მის მეზობლად მდებარე კაბინეტის მსგავს გვერდით ოთახში, რომელსაც იქ დაკიდებული რენესანსის დროინდელი ჰერცოგ ურბინოს[309] პორტრეტის გამო ოჯახის მეგობრებში «ურბინოს ოთახი» ერქვა. შემდგომი საათი, უფრო სწორად, სამ მეოთხედ საათზე მეტი ხანი, მართლაც მოსაწყენი იყო, მაგრამ ისე, რომ შარლოტე ეჭვობდა და ყოყმანობდა, ხომ არ ერჩია იგი იმ ღელვისა და უხერხულობის საათებს, სადილის დროს რომ განიცდიდა. სიამოვნებით გაათავისუფლებდა თავისი სიჭაბუკის მეგობარს იმ გულმოდგინებისგან, სტუმართა გასართობად რომ ეგონა ზრუნავდა, რასაც ის თავის

მოვალეობად თვლიდა. ამასთან ის უმთავრესად ირჯებოდა ჩამოსული სტუმრებისთვის, იმათთვის, ვინც მის სახლში პირველად იმყოფებოდნენ, მაშასადამე, შარლოტესა და მისიანებისთვის, ასევე სამთო საქმის მრჩეველ ვერნერისთვის; განუწყვეტლივ იმაზე ფიქრობდა, როგორც თვითონ გამოთქვამდა, «მათთვის «რაც მნიშვნელოვანი ეჩვენებინა». ხან საკუთარი ხელით, ხან ავგუსტისა და მსახურის დახმარებით, სადგურებიდან გადმოჰქონდა დიდი პორტფელები სპილენძქედურობით და უშველებელ სახურავებს ხდიდა იქვე მსხდომი ქალბატონებისა და მათ უკან ფეხზე მდგომი მამაკაცების წინაშე, რათა მათთვის ეჩვენებინა შიგ ფენა-ფენად ჩაწყობილი «ღირსსანახაობანი» – ასე უწოდებდა იგი ბაროკოს ეპოქის სურათებს. ამასთან ზემოთ მდებარე საგნებზე იმდენ ხანს ყოვნიდებოდა, რომ მომდევნო ნივთებისთვის მხოლოდ თვალის შევლებას ასწრებდნენ. რომელიღაც «კონსტანტინეს ბრძოლას» დიდ ფურცლებზე დაწვრილებითი ახსნა-განმარტება ხვდა წილად; თითოთ უჩვენებდა აქეთ-იქით. ამასთან, ყურადღებას ამახვილებდა ფიგურების განაწილებასა და დაჯგუფებაზე, ადამიანებისა და ცხენების სწორ ნახატზე, და ცდილობდა მნახველებისთვის ჩაეგონებინა, თუ რაოდენი ჭკუა და ნიჭია საჭირო, რომ ასეთი სურათი ჩაიფიქრო და ასე ბედნიერად განახორციელო. ყუთებში ნაწილ-ნაწილ ჩაწყობილი მონეტების კოლექციაც იმავე პორტრეტის ოთახიდან გამოიტანეს საჩვენებლად; სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ იგი, მართლაც საოცრად სრული და მდიდარი იყო; იქ გახლდათ ყველა პაპის მონეტები XV საუკუნიდან დღემდე, გოეთე სტუმრებს უჩვენებდა მონეტებს და სრულიად სამართლიანად ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს ამგვარი მიმოხილვა ხელოვნების ისტორიის გაგებას. როგორც ჩანდა, ყველა გრავიორს სახელით იცნობდა, მედლების გამოჭრის ისტორიულ საბაბ-მიზეზებშიც კარგად ერკვეოდა და ანეკდოტებს აფრქვევდა იმ მამაკაცთა ცხოვრებიდან, ვის პატივსაცემადაც მოჭრილი იყო ისინი.

– არც კარლსბადის მინის თასები დავიწყებია. ოჯახის უფროსმა ბრძანა მოეტანათ ისინი. შუქზე ნამდვილად სხვადასხვანაირად იცვლიდნენ ფერს, ლივლივებდნენ. ფრიად მიმზიდველი და თვალწარმტაცი იყო ფერთა გადასვლები ყვითლიდან ცისფერში, წითლიდან მწვანეში. ეს მოვლენა

გოეთემ დაწვრილებით ახსნა ერთ პატარა, – თუ შარლოტემ სწორად გაიგო, – მის მიერვე კონსტრუირებულ აპარატზე, რომელიც მისმა ვაჟიშვილმა მოიტანა: ხის ჩარჩოში შავსა და თეთრ გრუნტზე მქრქალი ფერის მინის ფირფიტები აქეთ-იქით იწეოდა და ექსპერიმენტულად კვლავ იმეორებდა მინის თასების იმავე ფენომენს, ფერთა ცვალებას.

ამასობაში, როცა მან თავისი საქმე გააკეთა და ფიქრობდა, რომ სტუმრები ერთხანს დასათვალისწინებელი მასალით უზრუნველყო, ხელები ზურგზე დაიწყო და ოთახში გაიარგამოიარა, დროდადრო ღრმად ამოსუნთქავდა ხოლმე; ამოსუნთქვას თან სდევდა მცირე ბგერა, რაც რამდენადმე კვნესას ჰგავდა. ოთახის სხვადასხვა ადგილას და კაბინეტში გავლის დროს შეჩერდებოდა, საუბარს გაუბამდა თავისუფლად მდგომ სტუმრებს, რომლებიც ამ კოლექციებს უკვე იცნობდნენ. ფრიად საყურადღებო და დაუვიწყარი იყო შარლოტესათვის, როდესაც დაინახა, როგორ ესაუბრებოდა იგი მწერალ ჰერ შტეფან შიუტცეს. როცა შარლოტე თავის დასთან ერთად ოპტიკურ აპარატთან დახრილი იჯდა და მინის ფერად ფირფიტებს აქეთ-იქით სწევდა, ორივე, უფროსიცა და უმცროსიც, ერთმანეთთან სრულიად ახლოს იდგნენ; ლოტე თავის ყურადღებას მალულად ფერთა ეფექტსა და ამ სცენას შორის ანაწილებდა. შიუტცეს სათვალე მოეხსნა, მუჭში ჩაემალა, შუშებს მიჩვეული გადმოკარკლული თვალები დაეძაბა და ნახევრად ბრმად და უაზროდ მიშტერებოდა შავგვრემან, კუნთოვან და გამომეტყველებაცვალებად სახეს. ორივე ავტორს შორის საუბარი იყო «სიყვარულისა და მეგობრობის უბის წიგნაკზე», რომელსაც რამდენიმე წელია სცემდა შიუტცე. სწორედ მასზე ჩამოუგდო ლაპარაკი მასპინძელმა. გოეთე ძალიან აქებდა ამ წიგნაკს. მასალა მრავალფეროვანია და მახვილგონივრულად არის შერჩეულიო. ხელები ზურგზე დაიწყო, ფეხები გაფარჩხა და ნიკაპშეწეულმა განუცხადა, რომ, როგორც წესი, ამ წიგნაკიდან ბევრ თავშესაქცევ და ჭკუის სასწავლ რამეს იღებს ხოლმე. ის ურჩევდა, აქეზებდა, რომ შიუტცეს მასში გამოქვეყნებული იუმორისტული მოთხრობები შეეკრიბა და გამოეცა. ეს

უკანასკნელი გაწითლებული და თვალებდაჭყეტილი გამოუტყდა, რომ ისიც ამ აზრს დროდადრო ელოლიავება და მხოლოდ იმას ეჭვობს, ამგვარი კრებული ღირს თუ არა გარჯად და გამართლებული იქნება თუ არა გამოცემა. გოეთემ თავი

გააქნია ამ ეჭვების პროტესტის ნიშნად და თავისი საწინააღმდეგო მოსაზრება დაასაბუთა არა მოთხრობათა ღირსებით, არამედ წმინდა ადამიანური, ასე ვთქვათ, კანონიკური წესით: უნდა შეიკრიბოს, თქვა მან. მოვა დრო, დადგება ცხოვრების შემოდგომა, როდესაც მოსავალი ბელელში უნდა იყოს დაბინავებული, ველად მიმოფანტული ჭირნახული

– თავმოყრილი და ჭერქვეშ საიმედოდ შენახული, თორემ სხვაგვარად ვერ მოისვენებ, მაშინ გავლილი ცხოვრებაც ვერ ყოფილა ნამდვილი და სანიმუშო. ახლა საქმე მხოლოდ იმას ეხება, კრებულს კარგი სათაური მოეძებნოს – და თავისი ახლო-ახლოს ჩამჯდარი თვალები მოავლო ოთახს, ჭერქვეშ თითქოს რაღაცას ეძებსო. ჩანდა, დიდი იმედი არ ჰქონდა წარმატებისა, როგორც ამას შიშობდა შარლოტე, რომელიც მის საუბარს ყურს უგდებდა. რამეთუ ქალი ნათლად გრძნობდა, რომ გოეთე არც კი იცნობდა იმ კაცის მოთხრობებს. მაგრამ აქ გამოირკვა, თუ თავის ყოყმანსა და განზრახვაში მაინც რა ღრმად შეჭრილიყო უკვე ჰერ შიუტცე, რადგან კრებულის სათაურიც ხელთ ჰქონდა: ფიქრობდა, «მხიარული საათები» დაერქმია წიგნისთვის იმ შემთხვევაში, თუ გამოსცემდა. გოეთემ მოუწონა, შესანიშნავი სათაურიო. უკეთეს სათაურს თავადაც ვერ მოვიგონებდიო. ეს სათაური სასიამოვნოა და არ არის მოკლებული ფაქიზ ამაღლებულობას. იგი გამომცემელს მოეწონება, საზოგადოებას მიიზიდავს, და რაც მთავარია, წიგნს ძალიან მოუხდება. ასეც უნდა იყოს. კარგი წიგნი კარგ სათაურთან ერთად იბადება; ის გარემოება, რომ აქ სულაც არავითარი საზრუნავი და ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, სწორედ მისი შინაგანი სიწმინდისა და მართებულობის დამამტკიცებელია. – მაპატიეთ! – თქვა მან, რადგან მშენებლობის საქმეთა მრჩეველი კუდრეი მიუახლოვდა. ხოლო შიუტცეს, რომელმაც თავისი სათვალე ისევ მოირგო, დოქტორმა რიმერმა მიაშურა, ჩანს, იმ განზრახვით, რომ გამოეკითხა, რაზე ელაპარაკებოდა გოეთე.

წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა. სახლის თავკაცს აზრად მოუვიდა, შარლოტესთვის ეჩვენებინა მისი შვილების ადრინდელი გამოსახულება, რომელიც ერთ დროს საჩუქრად მიიღო ახალგაზრდა ცოლ-ქმრისაგან. მოხდა ისე, რომ ერთხანს ოთახში დაატარებდა ქალბატონებს კესტნერებსა და რიდელებს უკვე გადაწყობილ გრავიურებს, მონეტებსა და ფერად სათამაშოებს შორის, რათა მათთვის ეჩვენებინა

ცალკეული იშვიათობა თავისი განძეულიდან: ღმერთების ქანდაკებანი მინის ხუფქვეშ, ძველებური კოშკი ფანჯრის ჩარჩოზე დაკიდებული გასაღებით, ნაპოლეონის პატარა ოქროს გამოსახულებით ქუდითა და დაშნით, რომელიც ჩადგმული იყო ბარომეტრის ზარისებრი მილის დახურულ ბოლოში. აი, სწორედ აქ გაუელვა აზრმა: – ახლა ვიცი, – წამოიძახა და უცბად მიმართვის ინტიმური ფორმა მოიშველია, – კიდევ რა უნდა ნახოთ, ბავშვებო! ძველი მოსაგონარი საჩუქარი, თქვენი და თქვენი სანაქებო საქმეების ჩრდილგამოსახულებანი! მინდა დარწმუნდეთ, თუ ათეული წლების განმავლობაში როგორ ერთგულად და რაოდენი პატივით ვინახავდი და ვიცავდი. ავგუსტ, მიყავ სიკეთე და მომიტანე მუყაოს საქალაღდე სილუეტით! – წარმოთქვა მან ძლიერი ფრანკფურტული კილოთი; და სანამ ასე უცნაურად დამწყვდეულ ნაპოლეონს ათვალთქვებდნენ, კამერმრჩეველმა საიდანღაც მოიტანა საქმეთა საქალაღდე და, რაკი მრგვალ მაგიდაზე ადგილი აღარ იყო, როიალზე დადო და იქით მოუხმო მამას და თანხმლებთ.

გოეთემ თვითონ გამოხსნა ბაფთები და გაშალა საქალაღდე. იქ ეწყო ერთმანეთში არეული გაყვითლებული, დაობებული, ლაქებით დაწინწკლული სურათებიანი დოკუმენტები და სუვენირები, მაკრატილით გამოჭრილი სილუეტები, ფერგადასული სადღესასწაულო პოემები ყვავილწნული გვირგვინებით და კლდეების, მიდამოების, მდინარეთა ნაპირებისა და მწყემსთა ტიპების ჩანახატები, რომლებიც მათ პატრონს დიდი ხნის წინა მოგზაურობისას რამდენიმე შტრიხით მოუხაზავს მოსაგონრად. მოხუც ბატონს, ჩანდა, მისთვის ხელი კარგა ხანი აღარ უხლია, ამიტომ ვერ გააგნო, ვერ იპოვა, რასაც ეძებდა. – ეშმაკს წაულია, სად გაქრა ის ნივთი! – წამოიძახა გაჯავრებულმა; თან მისი ხელები სულ უფრო ჩქარ-ჩქარა და ნერვიულად ურევდნენ ერთმანეთში ფურცლებს. ირგვლივ მყოფნი წუხდნენ, ასე რომ ირჯებოდა, და ლამის უარი ეთქვათ ნახვაზე – საჭირო არ არის ძებნა იმისთვის, რომ სამახსოვრო საჩუქარი კვლავ ვიხილოთ, ისედაც თვალწინ ნათლად გვიდგასო. უკანასკნელ წუთს თვითონ შარლოტემ მოჰკრა თვალი არეულ-დარეულ გროვაში და იქიდან გამოიღო, – მე ვიპოვე იგი, თქვენო აღმატებულებავე, – თქვა ქალმა. – აგერ ვართ ჩვენც, – სახტად დარჩენილმა გოეთემ ცოტა არ იყოს, ეჭვით დაუწყო თვალთქვება ქალაღდეზე დაწებებულ პროფილებს და ოდნავ განაწყენებული ხმით მიუგო: –

ჭემმარიტად, თქვენ გხვდათ წილად გეპოვათ იგი. ეს თქვენ ხართ, ჩემო კეთილო მეგობარო, მშვენიერად გამოკვეთილი, და არქივის ნეტარხსენებული მდივანი, აგრეთვე თქვენი ხუთი უფროსი შვილი. აქ მყოფი ლამაზი ქალიშვილი ჯერ კიდევ არ არის გამოსახული. რომლები არიან, მე რომ ვიცნობ? აი ისინიც. დიახ, დიახ, იზრდებიან ბავშვები.

მაიერი და რიმერი მიუახლოვდნენ, ჩუმ-ჩუმად და არაორაზროვნად ყველას ანიშნებდნენ, წარბებს ჭმუხნიდნენ, თვალებს ჭუტავდნენ, ოდნავი თავის ქნევით ატყობინებდნენ და აგრძნობინებდნენ, რომ საკმარისი იყო დათვალიერება. ისინი ფიქრობდნენ, რომ დრო იყო, ამით დაემთავრებინათ ვიზიტი. ვერც ვერავინ გაამტყუნებდა, პირიქით, ყველა გაამართლებდა მათ, რომ სურდათ, მეტისმეტად არ მოექანცათ მაისტერი. სტუმრები მივიდნენ მასთან გამოსამშვიდობებლად, მიეახლნენ ისინიც, ურბინოს ოთახში რომ მუსაიფობდნენ.

– მაშ, თქვენ გნებავთ, რომ მიმატოვოთ, ბავშვებო, ისიც ყველამ ერთად? – ჰკითხა მათ ოჯახის უფროსმა. – რას იზამთ, თუ თქვენ გული მიგიწევთ მოვალეობისა და სიხარულისკენ, ამის გამო ვერავინ გაგკიცხავთ. მშვიდობით, მშვიდობით! ჩვენი სამთო საქმის მრჩეველი ცოტა ხანს კიდევ დარჩება ჩემთან. მართალს არ ვამბობ, ძვირფასო ვერნერ, ხომ შევთანხმდით? კაბინეტში მაქვს კიდევ რაღაც თქვენთვის საინტერესო, უცხოეთიდან მიღებული. ამით სიამოვნებით დავამთავრებთ დღესასწაულს ძველი ავგურები: ეს არის მტკნარი წყლის გაქვავებული ლოკოკინა ლიბნიციდან, ელბოგენის მხარიდან.

– პატივცემულო მეგობარო! – მიმართა გოეთემ შარლოტეს, – ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ვფიქრობ, ვაიმარი და თქვენი საყვარელი ნათესავები რამდენიმე კვირას კიდევ დაგაყოვნებენ. ცხოვრებამ დიდი ხნით გაგვყარა და ახლა შემძლია იმავე ცხოვრებას მოვთხოვო, რომ თქვენი აქ ყოფნის დროს ერთხელ კიდევ მომცეს თქვენთან შეხვედრის საშუალება. სამადლობელი არაფერია. ნახვამდის, დიდად პატივცემულო ქალბატონო! მშვიდობით, ჩემო ქალბატონებო! მშვიდობით, ჩემო ბატონებო!

ავგუსტმა ჩააცილა რიდელები და კესტნერები მშვენიერ კიბეზე გასასვლელ კარამდე, რომლის წინ, გარდა რიდელების დაქირავებული ეტლისა, გამზადებული იდგა კიდევ კუდრეისა

და კირმისის მეუღლეთა ორი ეტლი. ახლა გარეთ დაჟინებით წვიმდა. სტუმრებმა, რომლებიც ზემოთ უკვე გამოემშვიდობნენ მათ, თავის ქნევით და სალმით გვერდით ჩაუარეს.

– მამაჩემი განსაკუთრებით გამოაცოცხლა თქვენმა სტუმრობამ,
– თქვა ავგუსტმა, – მკლავის ტკივილიც კი საერთოდ გადაავიწყდა.

– იგი მომხიბლავი იყო, – თქვა იმ მხარის კამერმრჩევლის მეუღლემ, ქმარიც დაბეჯითებით დაეთანხმა.

შარლოტემ თქვა:

– თუ მას ტკივილი აწუხებს, მით უფრო აღტაცებას იწვევს მისი გონება, მისი ცხოველმყოფელი სიმკვირცხლე, მე მრცხვენია, ახლა რომ ვფიქრობ, ჩემს თავს საყვედურებით ვავსებ, რომ მისი ტკივილის შესახებ ვერა ვკითხე რა. რევმატიზმის გამაყუჩებელ ჩემს საცხებელს, ოპოდელდოკს შევთავაზებდი. კაცს დიდი ხნის განშორების შემდეგ რომ კვლავ შეხვდები, ბევრი რამ გამოგრჩება და მერე ნანობ.

– რაც უნდა იყოს, – მიუგო ავგუსტმა, – გამოსწორება ყოველთვის შეიძლება, თუნდაც ეს მაშინვე არ მოხდეს; რასაკვირველია, ვფიქრობ, რომ მამას ერთხანს დასჭირდება დასვენება და უახლესი შეხვედრებისგან თავის შეკავება. მეტადრე რაკილა სასახლის კარის წინაშე ავადმყოფობის გამო პატიებას ითხოვს, ცხადია, საზოგადოებასთან სხვა შეხვედრებშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას. ეს მე წინასწარ უნდა შევნიშნო.

– ღვთის გულისთვის, – თქვეს მათ, – ეს ხომ თავისთავად გასაგებია! ჩვენი სალამი, ჩვენი მაღლობა ერთხელ კიდევ!

ამრიგად, ისინი კვლავ ოთხნი ისხდნენ თავიანთ ოთხადგილიან მაღალ ეტლში და ქუჩის სველ ქვაფენილზე გრიალ-გრუხუნით ბრუნდებოდნენ შინ, ლოტჰენ-უმცროსი კოფოს უკანა სკამზე იჯდა გაჭიმული, ცხვირის ნესტოები დაებერა და დედის ყურის გასწვრივ უცქერდა პირდაპირ ეტლის სიღრმეს. დედის ავბედითი უბაფთო კაბა კვლავ შავ მოსასხამს დაეფარა.

– ის დიდი და კეთილი ადამიანია, – თქვა ამალიე რიდელმა.

ქმარმაც დაუდასტურა: – დიახ, ასეთი გახლავთ ის.

შარლოტე ფიქრობდა თუ ოცნებობდა:

«ის დიდია და თქვენც კეთილნი ბრძანდებით. მაგრამ მეც კეთილი ვარ, მართლაც გულით კეთილი, და ასეთიც მინდა ვიყო, რამეთუ მხოლოდ კეთილმა ადამიანებმა იციან დიადის დაფასება. ჩინელები კი, იქ რომ დახტიან და ჭრიჭინებენ თავიანთი ზარისებრი სახურავების ქვეშ, რეგვენი და ბოროტი ადამიანები არიან».

ახლა ხმამაღლა უთხრა ჰერ დოქტორ რიდელს:

– მე ვგრძნობ, რომ შენ წინაშე დამნაშავე, ძალიან დამნაშავე ვარ. სიძვე! ამას მე თქვენს უკითხავადაც ვაღიარებ. როდესაც ვამბობდი, ბევრი რამ გამომრჩა-მეთქი, ძალიან კარგად ვიცოდი, რასაც ვგულისხმობდი. ახლა საკმაოდ გულგატეხილი, ჩემი საკუთარი თავით უკმაყოფილო ვბრუნდები შინ. ნამდვილად ვერც სუფრასთან, ვერც შემდეგ, ვერა და ვერ მოვახერხე, გოეთესთან შენი იმედებისა და სურვილების შესახებ მელაპარაკა და შემეპირებინა, რომ სამსახურში დაგხმარებოდა, რაც მე წინასწარ მტკიცედ მქონდა განზრახული. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, როგორ შეიძლებოდა გამომრჩენოდა, მაგრამ მთელი იმ ხნის განმავლობაში სიტყვამ არ მოიტანა და მეც ვერაფერი გავაწყვე. ასე რომ, აქ დამნაშავეც ვარ და უდანაშაულოც. მაპატიე!

– ეგ არაფერია, – უპასუხა რიდელმა, – ძვირფასო ლოტე; მაგაზე ნუ იწუხებ! აგრერიგად საჭირო აღარც კი იყო, რომ მაგაზე გელაპარაკა. უკვე შენი აქ ყოფნით და იმით, რომ ჩვენ მის უდიდებულესობასთან სადილად ვიყავით, საკმაოდ სარგებლობა გაგვიწიე და შემდეგ ყოველივე დანარჩენი როგორმე ჩვენი ინტერესების სასარგებლოდ წარიმართება.

თავი მეცხრე

შარლოტე ოქტომბრის შუა რიცხვებამდე კიდევ დარჩა ვაიმარში და მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის ქალიშვილთან, ლოტჰენთან ერთად სასტუმრო «სპილოში» ცხოვრობდა. სასტუმროს მფლობელმა, ფრაუ ელმენრაიჰმა, ნაწილობრივ საკუთარი ჭკუის გამჭრიახობითა და მოსაზრებულობით,

ნაწილობრივ კი თავისი ფაქტობრივობის, მაგერის მეცადინეობითა და წაქეზებით, ოთახის ფასს ძალიან დაუკლო. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით ეგზომ სახელოვანი ქალის ეგზომ სახელოვანი ქალაქში ყოფნის შესახებ. როგორც ჩანს, მისი წლოვანების შესაფერისად ვაიმარში ყოფნა ღირსეული კარჩაკეტილობის ხასიათს ატარებდა, მაგრამ არცთუ მთლად მიუდგომელ-მიუკარებელს. თუ ლოტემ თავისი ვაიმარს ყოფნა უმთავრესად საყვარელ ნათესავებს მიუძღვნა, ისიც გავიგეთ, რომ იგი რამდენიმე დიდსა თუ მცირე წვეულებას სიამოვნებით დასწრებია იმ კვირებში და რეზიდენციის სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებშიც ყოფილა. ერთ-ერთი წვეულება, როგორც შეეფერებოდათ კიდევაც, მოუწყიათ თვით რიდელებს, ამას მოჰყოლია კიდევ ერთი-ორი მიღება-გადაპატიჟება მათ ახლობელ მოხელეთა წრეში. შემდეგ კარის მრჩველ მაიერს და მის მეუღლეს, დაბადებით ფონ კოპენფელზს, აგრეთვე ხუროთმოძღვართა მთავარ მრჩველს კუდრეის ერთხელ მიუწვევიათ გოეთეს ახალგაზრდობის მეგობარი. იგი უნახავთ სასახლის მაღალ საზოგადოებაშიც, სახელდობრ გრაფ ედლინგის, სასახლის თეატრის გამგეობის წევრის და მისი ლამაზი მეუღლის, მოლდაველი პრინცესა სტურცას სახლში. ოქტომბრის დამდეგს ამ უკანასკნელთ ლოტეს დასწრებით მოუწყიათ საღამო, სადაც მუსიკა და რეჩიტატივებიც[310] შეუსრულებიათ, და, ალბათ, ამ დროს გაიცნო შარლოტემ შილერის მეუღლე, რომელმაც სხვა ქალაქში მცხოვრები თავისი მეგობრისადმი მიმართულ წერილში დაგვიტოვა ლოტეს პიროვნებისა და გარეგნობის სიმპათიურ-კრიტიკული აღწერა. ეს მეორე შარლოტე მოიხსენიებს აგრეთვე საიდუმლო კამერმრჩველის მეუღლეს რიდელს იმასთან დაკავშირებით, რომ «წარმავალია მიწიერი საგნები», თან გვამცნობს სახელდობრ იმასაც, თუ როგორ დარბაისლურად გაჭიმული იჯდა ქალთა შორის რომანის გმირი, უკვე ხანში შესული «მატრაკვეცა ქერა ქალბატონი».

ყველა ამ ვითარებაში შარლოტე, გასაგებია, რომ გარემოსილი იყო დიდი პატივისცემითა და მოწიწებით, ხოლო მის თავაზიან და ღირსეულ თავდაჭერას, რითაც იგი ხვდებოდა ამ საყოველთაო თაყვანისცემას, მალე ის მოჰყვა, რომ ეს პატივი ეხებოდა უკვე არა მარტო მის ლიტერატურულ მდგომარეობას, არამედ თვით მის პიროვნებასა და ადამიანობას; ამ თვისებათა შორის მისი მშვიდი, წყნარი მეღანქოლია არანაკლებ

მიმზიდველი იყო. აღზნებულ ქცევას, იმ აღტყინებას, მისი გამოჩენა რომ იწვევდა, იგი მშვიდი თავდაჭერილობით ხვდებოდა. ასე, მაგალითად, გვაუწყებენ, რომ ერთ საზოგადოებაში, ალბათ, გრაფ ედლინგთან, როდესაც ერთი მეტისმეტად აღზნებული ბანოვანი ეცა გაშლილი მკლავებითა და შემახილით – «ლოტეხ, ლოტეხ» მან უკან დაიხია და სულელი ქალი გონს მოიყვანა შენიშვნით: «ზომიერებას მოუხმეთ, ჩემო ძვირფასო!», თუმცა შემდეგ გულითადი საუბარი გაუბა ქალაქისა და ქვეყნის ამბებზე. ბოლმას, ჭორსა და გაქირდვას, რა თქმა უნდა, მთლად არ დაუნდვიათ იგი, მაგრამ ყველა უკეთესი ზნის ადამიანთა კეთილმოსურნეობამ ლაგამი ამოსდო მათ. თვით მაშინაც კი, როდესაც მერე ხმა დაირხა, – უნდა ვიფიქროთ, რომ თვით მისი დის ამალიეს უტაქტობით, – მოხუცი ქალი გოეთეს წარუდგა ისეთი მორთულობით, რომელიც ვერტერის სიყვარულის უგემოვნო მინიშნებას ჰგავდაო, მისი მორალური პოზიცია უკვე იმდენად განმტკიცებული იყო, რომ ამ მითქმა-მოთქმამ ბევრი ვერაფერი დააკლო მის სახელს.

ვეცლარელი მეგობარი მან ვერც ერთ ამ გამობრძანებათა დროს ვეღარ ნახა. იცოდნენ, რომ, ჯერ ერთი, მკლავში ნიკრისის ქარი აწუხებდა, მეორეც, ძალიან დაკავებული იყო თავისი თხზულებების სრული კრებულის ორი ახალი ტომის შემოწმებით. ფრაუნჰელანზე მოწყობილი ზემოთ აღწერილი სადილის შესახებ შარლოტემ ჩვენ წინაშე მდებარე წერილში თავის ვაჟიშვილს, ავგუსტს, ლეგაციის მრჩეველს აცნობა. შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ წერილი მეტისმეტად ნაჩქარევად არის დაწერილი, იგი სულ მცირედაც არ ცდილობს გაისარჯოს, უფრო მეტიც, თითქოს საპირისპიროდაც ირჯება, რომ სამართლიანობა მიაგოს განცდილსა და ნახულს. ლოტე სწერდა:

«დიდი კაცის კვლავ ნახვის თაობაზე მე თქვენ ჯერ კიდევ ვერაფერი გითხარით: მასზე ბევრს ვერც ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ხელახლა გავიცანი ბებერი კაცი, რომელსაც, რომ არ მცოდნოდა, ის გოეთე იყო, სასიამოვნო შთაბეჭდილება არც მოუხდენია ჩემზე. შენ იცი, რა ცოტას მოველოდი ამ შეხვედრისგან თუ უფრო ხელახალი გაცნობისგან, ამიტომაც ძალიან მიუკერძოებელი ვიყავი და ძალდაუტანებლად ვგრძნობდი თავს; ისიც თავისებური ქედმაღალი და თავდაჭერილი მანერით ყველაფერს აკეთებდა,

რაც კი შეეძლო, რომ ჩემდამი თავაზიანი ყოფილიყო. დიდი ინტერესით მოგიგონათ შენ და თეოდორი... შენი დედა შარლოტე კესტნერი, დაბადებით ბუფი».

ამ სტრიქონების შედარება ჩვენი მოთხრობის დასაწყისში მოყვანილ გოეთესადმი მიწერილ ბარათთან გვაიძულებს შევნიშნოთ, თუ რაოდენ გულმოდგინე შინაგან მზადებას გამოხატავდა ის პირველი ბარათი თავისი მოხდენილი ფორმით.

მაგრამ სიჭაბუკის მეგობარმაც ერთხელ, თითქმის მისთვის მოულოდნელად, ვაიმარში ყოფნის უკანასკნელ კვირას მოსწერა: შარლოტემ ცხრა ოქტომბერს ადრიანად, დილის ტუალეტის დროს სასტუმრო «სპილოში» მიიღო მისი ბარათი მაგერის ხელით, რომლის ოთახიდან გაყვანა წერილის გადაცემის შემდეგ ადვილი როდი იყო. ლოტემ ამოიკითხა:

«თუ თქვენ, პატივცემულო მეგობარო, დღეს საღამოს ინებებთ ისარგებლოთ ჩემი ლოჟით, მაშინ ჩემს ეტლს გამოგიგზავნით. არავითარი ბილეთი არ გჭირდებათ. ჩემი მსახური გიჩვენებთ გზას პარტერზე გავლით. მაპატიეთ, რომ მე თვითონ არ შემიძლია გეახლოთ. ასევე მომიტევეთ, რომ აქამდე ვერ გინახულეთ, თუმცა ფიქრით ხშირად თქვენთან ვიყავი. გულით გისურვებთ ყოველივე კარგს – გოეთე».

პატიება და ბოდიში, რომელსაც წერილის დამწერი ითხოვდა იმის გამო, რომ პირადად ვერ გეახლებითო, აგრეთვე იმის გამოც, რომ აქამდე ვერ გინახულეთო შარლოტემ დუმილით მიიღო და იმით დაკმაყოფილდა, რომ მხოლოდ პირადად თვითონ ისარგებლა თეატრში მიწვევით, რადგან ლოტჰენ-უმცროსს თალიას ნიჭთა მიმართ პურიტანული უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, ხოლო მისი და ამალიე თავის ქმართან ერთად სხვაგან იყო შეპირებული. ამრიგად, გოეთეს ეკიპაჟმა, ლურჯმაუდგადაკრულმა, მოხერხებულმა ლანდომ, რომელშიც წყვილი ბეწვმზინავი წაბლისფერი ცხენი იყო შებმული, შარლოტე მარტოდმარტო მიიყვანა კომედიის თეატრში, სადაც მთელი საღამო გაატარა ჰანოვერელმა სასახლის კარის მრჩევლის მეუღლემ, ბევრიც უცქირეს ლორნეტებით, ბევრს შურიც აღეძრა, მაგრამ საზოგადოების ესოდენ ცნობისმოყვარეობას მისთვის ხელი არ შეუშლია ყურადღებით ედევნებინა თვალი წარმოდგენისთვის, იგი იჯდა იმ საპატიო ადგილას, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის

წინ ეგზომ ხშირად ეჭირა მეორეს, სულ სხვაგვარი გარეგნობის ქალს, კრისტიანას, მამზელს, ლოტეს სცენის წინა ლოჟა დიდი შესვენების დროსაც კი არ მიუტოვებია.

იდგმებოდა თეოდორ კერნერის ისტორიული ტრაგედია «როზამუნდე».[311] კარგად და გულმოდგინედ მომზადებული, მშვენივრად დადგმული და გაფორმებული წარმოდგენა იყო და მუდამ თეთრ, ოღონდ ამჯერად მუქი იისფერი ბაფთებით შემოვლებულ კაბაში გამოწყობილი შარლოტე თავიდან ბოლომდე სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს. დახვეწილი ენა, ამაყი სენტენციები, კარგად დაყენებული ხმით წარმოთქმული ვნებიანი შემახილები, რასაც თან სდევდა ფაქიზი და ზომიერი ჟესტები, ადამიანურობით ხიბლავდა და მის ყურს ესიამოვნებოდა. მოქმედების უმაღლესი წერტილი, სიკვდილის გასხივოსნებული სცენები, როდესაც მომაკვდავი ბოლო წუთამდე იდეალურად ძლიერი ხმითა და მეტყველების უნარშენარჩუნებული გართიმულ სტრიქონებს წარმოთქვამს, გულისმომწყვლელი და შემზარავი სიმკაცრის გამოჩენა, აგრერიგად რომ უყვარს ტრაგედიას, რომლის დასასრულს თვით ბოროტი ტემპერამენტი დაადასტურებს: «და ჯოჯოხეთი დაემხო ძირს», დრამატული ხელოვნების ყველა წესის დაცვით საზრიანად იყო ერთმანეთზე მძივივით ასხმული. პარტერში ბევრი ტიროდა, შარლოტესაც რამდენჯერმე მოადგა თვალებზე ცრემლი, თუმცა თავს ნება მისცა, პოეტის აშკარა ჭაბუკური

გულუბრყვილობის გამო შინაგანად შენიშვნებიც წამოეყენებინა. მას არ მოეწონა, რომ გმირი ქალი, როზამუნდე, ერთ ლექსში, რომელსაც რეჩიტატივით წარმოთქვამს სოლო სცენაში, თავის თავს განმეორებით მიმართავს «როზა». შემდეგ, მას ბავშვებისა ბევრი რამ გაეგებოდა და ძალიან კარგადაც იცნობდა მათ, ამიტომ არ შეეძლო არ დაეგმო პიესაში მოქმედ თეატრის შეგირდთა საქციელი. მათ მკერდს ხანჯალი მიაბჯინეს, რათა მათი დედა იძულებული გაეხადათ შხამი დაეღია, და როცა ეს მოხდა, ბავშვები დედას ეუბნებიან: «დედა, რა ფერმკრთალი ხარ! გამხიარულდი, ჩვენც კარგად რომ ვიყოთ!» ამის შემდეგ სცენაზე დადგმულ კუბოზე ანიშნებენ და გაიძახიან: «შეხედე, რა მხიარულად ციმციმებენ სანთლები!» ამაზეც პარტერში ქვითინი გაისმა, მაგრამ შარლოტეს ამის გამო ცრემლი აღარ მოსდგომია თვალებზე. ასეთი სულელებიც არ არიან ბავშვები, ფიქრობდა ნაწყენი ლოტე; მართლაც, ძალიან ახალგაზრდა უნდა იყოს

თავისუფლებისთვის მებრძოლი კაცი, რომ ბავშვების უმანკოება ასე წარმოადგინოს.

ის სენტენციები, რომელთაც მსახიობები ჩაურთავდნენ ხოლმე საგანგებოდ დაყენებული ხმითა და მათ საყვარელ პიროვნებათა ავტორიტეტით, მთლად საუკეთესო და ეჭვმიუტანელი როდი ეჩვენა მას; მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი სითბოთი და ოსტატობით წარმოთქვამდნენ ბრძნულ აზრებს, ეს მაინც იმას მოწმობდა, როგორც მას ეგონა, რომ ავტორს არ გააჩნდა დიდი გამოცდილება და ცხოვრების ღრმა ცოდნა, რასაც ასე ადვილად ვერ შეიძენს კაცი თვით მხედრული ცხოვრების მწვანე ასპარეზზეც კი. იქ იყო დიდი პათოსით წარმოთქმული ერთი გრძელი ტირადა, რომელსაც თავი ვერა და ვერ დააღწია, კრიტიკულად ჩხრეკდა, მანამდე ფიქრობდა, სანამ არ მიხვდა, რომ ბევრი რამ, რაც მას მოსდევდა, გამორჩა და სულაც არ გაუგონია, თვით მაშინაც კი, თეატრიდან რომ გამოვიდა, უკმაყოფილოდ იგონებდა. საქმე ეხებოდა იმას, რომ ერთი აქებდა თავზე ხელაღებულ შმაგ სიმამაცეს, ეს კეთილშობილებათაა; მეორე, უფრო ჭკუადაძვადარი კი გმობდა მეტისმეტ აჩქარებულ მსჯელობას, როცა ადამიანები მზად არიან, თავხედობას კეთილშობილება უწოდონ. თუ ვილაცას ეყოფა გამბედაობა და ყოველივე წმიდათაწმიდასა და ღირსეულზე კადნიერ ხელს აღმართავს, შებლაღავს, მაშინვე გმირად გამოაცხადებენ, დიდებულს უხმობენ და ისტორიის ვარსკვლავთა შორის შერაცხავენ. მაგრამ პოეტი იმასაც ამბობს, რომ სულმდაბლობა და საზიზღრობა ვერ აქცევს კაცს გმირად. ძალიან ადვილია ადამიანობის იმ საზღვრის გადალახვა, ჯოჯოხეთს რომ ემიჯნება; ამგვარი საგმირო საქმის ჩასადენად საჭიროა მხოლოდ ჩვეულებრივი სისაძაგლე. პირიქით, იმ მეორე საზღვარს რომ გადაუფრინო, რომელიც ზეცას ებჯინება, საჭიროა მხოლოდ სულიერი სიწმინდისა და უმაღლესი შთაგონების ფრთები. – ყოველივე ის, რაც ნახა და მოისმინა, მშვენიერი იყო, მაგრამ საპატიო ლოჟის ჩვენს ერთადერთ სტუმარს ასე ეჩვენა, თითქოს ავტორი და მოხალისე ეგერი თავისი ამ ორი მიჯნით მორალურის გამოუცდელ და მცდარ ტოპოგრაფიას სთავაზობდნენ. ადამიანობის საზღვარი, ფიქრობდა ლოტე, შესაძლებელია, მხოლოდ ერთია, რომლის მიღმა არც ზეცაა და არც ჯოჯოხეთი, ან ერთიც არის და მეორეც, ზეცაც და ჯოჯოხეთიც, და ამ მიჯნის გადამლახავი საზღვარიც

შედლებისდაკვალად მხოლოდ ერთია. მაშასადამე, სულმდაბლობა და სიწმინდე მასში იმგვარად აღრეულა, რომ პოეტის მეომრულმა გამოუცდებლობამ მეტი არა იცოდა, გარდა ბავშვების არაჩვეულებრივი სიჭკვიანისა და ნაზი მგრძნობიარობისა. მაგრამ იქნებ კიდევაც იცოდა ავტორმა ეს და მხოლოდ იმ აზრისა იყო, რომ პოეზიაში საჭიროა ადამიანობის ორი სხვადასხვა მიჯნა დაადგინო და ბავშვები ამალეღვებელ იდიოტებად გამოიყვანო. ნიჭიერი ნაწარმოები იყო, მარამ ავტორის ნიჭი ცდილობდა ისეთი პიესა შეექმნა, როგორც უნდა იყოს იგი საყოველთაო შეთანხმების მიხედვით, და ადამიანობის საზღვარი, რასაკვირველია, პოეტმა ვერ გადალახა ვერც ერთ მხარეს. დიახ, მწერალთა ახალი თაობა, მიუხედავად მისა, რომ ფრიად უნარიანია, მაინც რაღაც უბადრუკია და დიდებულ მოხუცებულთ მათგან საბოლოოდ მაინცდამაინც დიდი საშიშროება არ მოელოთ.

ასე ეკამათებოდა ფიქრში გართული ლოტე ავტორს და შინაგანად ებრძოდა თავისი საწინააღმდეგო აზრებით მანამდე, სანამ ფარდა უკანასკნელად ერთხელ კიდევ დაეშვებოდა ტაშის გრიალში, როდესაც მსახური ფრაუნჰლანდიდან მოკრძალებით გამოეცხადა და მხრებზე მანტია წამოახურა.

– აბა, კარლ, – მიმართა ქალმა (მსახურს უკვე მოესწრო ეთქვა მისთვის, რომ მას კარლს ეძახიან), – ძალიან მშვენიერი რამ იყო. მე ძალიან ვისიამოვნე.

– მის უდიდებულესობას გაუხარდება, ამას რომ მოისმენს, – უპასუხა მსახურმა; მისმა ხმამ, ყოველდღიურობისა და სინამდვილის პირველმა ფხიზელმა და არარიტმულმა ბგერამ, ლოტემ რომ გაიგონა ამაღლებულის სამეფოში საათობით ყოფნის შემდეგ, მიახვედრა, რომ მთელ მის შარიან კრიტიკანობას უმთავრესად ის მიზანი ჰქონდა, როგორმე ჩაეხშო ქედმაღალი და რაღაც მოწუწუნე გაუცხოების მდგომარეობა, რომელშიც მშვენიერებასთან შეხება ასე იოლად ჩაგვაგდებს ხოლმე. არავის უნდოდა დაეთმო მშვენიერის სამეფო და მისთვის ზურგი შეექცია, ამას ადასტურებდა მხურვალე მოწონება: ხალხი იდგა პარტერში და ტაშს უკრავდა, რაც იმდენად მსახიობებისადმი მაღლიერების გრძნობას როდი გამოხატავდა, რამდენადაც იმას, რომ ცოტა ხანს კიდევ დაეყო მშვენიერების სფეროში, შემდეგ კი ხელები ძირს დაეშვა და ღვთის სახელით ისევ ჩვეულებრივ ცხოვრებას დაბრუნებოდა.

შარლოტეც, უკვე ქუდდახურული და წამოსასხამიანი, კიდევ რამდენიმე წუთს იდგა ლოჟის მოაჯირთან და აბრეშუმის თათმანებში გაყოფილი ხელებით ტაშს უკრავდა. ამ დროს მსახური ელოდებოდა. შემდეგ გაჰყვა წინ მიმავალ კარლს, რომელსაც ბაფთიანი მაღალი ცილინდრი ეხურა. კიბეს დაუყვა. სიბნელიდან ჩახჩახა სინათლეში ცქერით დაღლილი, მაგრამ გაბრწყინებული თვალები პირდაპირ კი არ იცქირებოდნენ, არამედ ზევით აღმაცერად, რაც იმის ნიშანი იყო, თუ ნამდვილად როგორი ნასიამოვნები გახლდათ მაინც ტრაგედიით, თუნდაც სადავო თავისი ორი მიჯნით.

მაღალსახურავიანი ლანდი კვლავ გაჩერდა შენობის მთავარი შესასვლელის წინ. ეტლის მაღალი კოფოს ორივე მხარეს ორი ლიფლიფა იყო დამაგრებული. კოფოზე მჯდომმა მეეტლემ ცილინდრი მოიხადა და ისე მიესალმა ლოტეს. კოფოზე წამომჯდარ მეეტლეს გადაკეცილი ჩექმები დამრეცი საფეხურისთვის მიებჯინა. მსახური ეტლში ჩაჯდომის დროს მიეხმარა შარლოტეს. დიდი მზრუნველობითა და სიფრთხილით გადააფარა მუხლებზე შალი; მანვე კარი მიუხურა, სწრაფად შეხტა კოფოზე და მეეტლის გვერდით გამოიჭიმა. მეეტლემ შოლტი გაუტკაცუნა ცხენებს და ეტლიც დაიდრა.

ლანდო შიგნიდან ძალიან მყუდრო გახლდათ. არც იყო გასაკვირი, ის ხომ მრავალი მოგზაურობის დროს ბევრჯერ გამოსდგომია მის პატრონს და კიდევ რამდენი მოგზაურობა ელოდა ბოჰემიაში, რაინსა და მაინზე. შიგნითა კედლებზე გაკრული დალიანდაგებული მუქლურჯი მაუდი შნოსა და ლაზათს მატებდა და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. მინის ლიფლიფაში ჩადგმული სანთელი ერთ კუთხეში იყო მიმაგრებული. საწერი მოწყობილობაც კი არ აკლდა: გვერდით, სადაც შარლოტე ავიდა და დაჯდა, ერთ ტყავის ჩანთაში ბლოკნოტი და ფანქარი ჩაედოთ. წყნარად იჯდა იგი თავისთვის კუთხეში, ხელები პატარა საგზაო ნესესერზე ჯვარედინად დაეწყო. შირმის პატარა სარკმლებიდან იჭრებოდა და მის სახეს ეცემოდა ლიფლიფების გაფანტული, მოუსვენრად მოციმციმე შუქი, და აი, ამ შუქზე შენიშნა, რომ კარგად მოიქცა, როცა იმ მხარეს დაჯდა კუთხეში, საიდანაც ეტლში ამოვიდა, რადგან ის მარტო როდი იყო, როგორც ლოჟაში. მის გვერდით გოეთე იჯდა.

ლოტე არ შემკრთალა; ასეთ რამეზე ადამიანები არ კრთებიან. ოღონდ უფრო ღრმად მიჯდა თავის კუთხეში, უფრო განზე გაიწია, გასწორდა. ოდნავ მოციმციმე შუქით განათებულ მეზობლის ფიგურას თვალი შეავლო და მიაყურადა.

გოეთეს მაღალსაყელოიანი, წითელსარჩულიანი და წითელქობიანი ფართო წამოსასხამი მოეხურა, ქუდი მუხლებზე დაედო. მაღალი შუბლის ქვემოდან მისი შავი, დიდრონი თვალები ეშმაკური გამომეტყველებით უცქერდნენ ქალს. იუპიტერისებრი თმა ამჯერად არ დაეკუდრა და თითქმის სულ ახალგაზრდული, ისევ წაბლისფერი ჰქონდა, თუმცა ოდნავ შეთხელებოდა.

– სალამო მშვიდობისა, ჩემო სანუკვარო! – უთხრა მან იმავე ხმით, ოდესღაც სხვის საპატარძლოს ოსიანსა და კლოპშტოკს რომ უკითხავდა. – რადგან ამ სალამოს თქვენ გვერდით ვერ ვიყავი და მთელი ამ დღეების განმავლობაში ვერ გინახულეთ, ამიტომ გადავწყვიტე შემთხვევა ხელიდან არ გამეშვა და, ხელოვნების მშვენიერებით ნასიამოვნები, თეატრიდან შინ მიმეცილებინეთ.

– ეს მეტად სასიამოვნოა, თქვენო აღმატებულება, გოეთე! – მიუგო ლოტემ, – მოხარული ვარ უმთავრესად იმიტომ, თქვენი გადაწყვეტილება და სიურპრიზი მე რომ მომიმზადეთ, ჩვენს სულთა ჰარმონიაზე მეტყველებს, თუკი შეიძლება ასეთი რამ ითქვას დიდ კაცსა და პატარა ქალზე, რადგან იგი მიჩვენებს, რომ თქვენც არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევდით, სევდისმომგვრელ დაუკმაყოფილებლობად შეიგრძნობდით, ჩვენი ამასწინანდელი გამომშვიდობება ფრიად ყურადსაღები დათვალაირების შემდეგ უკანასკნელი რომ გამომდგარიყო და მას არ მოჰყოლოდა თუნდაც ერთი კვლავხილვა. მე ნამდვილად მზად ვარ, იგი უკანასკნელად ვაღიარო, თუკი საერთოდ გამოდგება მთელი ამ ამბის საკმარის შემარიგებელ დასკვნად.

– განშორება ერთი მონაკვეთია, ხოლო კვლავხილვა პატარა თავია, ფრაგმენტული, – მოესმა ლოტეს მისი ხმა მეორე კუთხიდან.

– მე არ ვიცი; შენ მანდ რას ამბობ, გოეთე, – მიუგო ქალმა. – და არც ის ვიცი, ნამდვილად სწორად მესმის თუ არა შენი სიტყვები, მაგრამ მე არ მიკვირს და არც შენ უნდა გიკვირდეს,

ერთიანობაში; ტყუილად როდი მომხვდა კვლავ ხელში ამას წინათ, გაზაფხულზე, ჩვენი პატარა წიგნი «ვერტერი», რათა თქვენს მეგობარს ჩაეყვინთა ძველსა და ადრე განცდილში, რადგან, მან კარგად იცოდა, რომ შედიოდა განახლებისა და კვლავდაბრუნების ეპოქაში, რომელშიც მართლაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მაღალი შესაძლებლობები სუფევდა, რათა ვნებისეული გონში გადაეზარდა. მაგრამ იქ, სადაც აწმყო გაახალგაზრდავებული წარსულის სახით ესოდენ გონებამახვილურად გვეცხადება, არც შეიძლება გაგვიკვირდეს, რომ მოვლენათა მნიშვნელოვან ორომტრიალში გაუახალგაზრდავებელი წარსულიც სანახავად გვეწვევა, ფერგადასული ნართაული სამკაულებით წარმოგვიდგება და ამასთან თავის ცახცახით გულისამაჩუყებლად გვაუწყებს დროის უღმობელ კვალს.

– შენი მხრივ ლამაზი არ არის, გოეთე, რომ ამას ასე პირდაპირ ასახელებენ, საქმეს არც ის შველის, მას გულამაჩუყებელს რომ უწოდებ, რადგან გულაჩუყებისთვის შენ სულაც არა ხარ გაჩენილი; იქ, სადაც ჩვენ, უბრალო ადამიანებს, შეიძლება გული აგვიჩუყდეს, შენ საქმე გულცივად საინტერესოზე გადაგაქვს. მე კარგად შეგატყვე, რომ შენ შენიშნე ჩემი ეს პატარა სისუსტე, რაც ჩემს მთლიანად მხნე საერთო მდგომარეობასა და განწყობილებაზე სრულიად არაფერს ამბობს და გამოწვეულია არა იმდენად დროის უღმობელი

კვალით, რამდენადაც იმით, რომ ჩემი ცხოვრება გადახლართულია შენს მეტისმეტად დიად ცხოვრებასთან, რასაც მე მხოლოდ საფრთხილოს, საგანგაშოსა და ამაღელვებელს ვუწოდებ, ოღონდ ის აღარ ვიცოდი, თუ შენ ჩემი კაბის ფერდაკარგული ნართაული მორთულობაც შენიშნე

– რაღა თქმა უნდა, შენ უფრო ბევრს ამჩნევ, ვიდრე შენს მზერაგაფანტულ თვალებს ეტყობა, რომ შენიშნე, და ბოლოს შენ უნდა შეგენიშნა ის; მე ხომ სწორედ ამისთვის მოვიგონე ეს ოინი, თანაც შენი იუმორის გრძნობის იმედი მქონდა, თუმცა ახლა ვხედავ, რომ იგი არც იმდენად იუმორისტული იყო. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმას, რომ დრომ თავისი დალი დამაჩნია; მაშინ ნება მომეცი მოგახსენო, რომ არც კი გაქვს საფუძველი, ამ გარემოებაზე შეაჩერო ყურადღება, რადგან, მიუხედავად პოეტური განახლებისა და გაახალგაზრდავებისა, დგომაცა და სიარულიც გაგხევებია, ღმერთო, შემიწყალე, ხოლო შენი მედიდური, თავმომწონე თავაზიანობა, მგონია, საცხებელ

ოპოდელდოკსაც კი საჭიროებს...

– მე თქვენ გაგაჯავრეთ, ჩემო კარგო, ჩემი სხვათა შორის ნათქვამის შეხსენებით, – უთხრა გოეთემ მშვიდი, უწყინარი ტონით, – მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იგი დავუკავშირე თქვენი ჩამოსვლის გამართლებასა და იმის განმარტებას, თუ რატომ ვუწოდე მას სასიამოვნო და მრავალმნიშვნელოვნად გააზრებული, რომ თქვენ მომეველინეთ გარდასულ სახეთა ამ გრძელ მწკრივში.

– საყურადღებოა, – ჩაურთო ლოტემ, – ავგუსტმა, ჯერ კიდევ დაუწინდავმა სასიძომ მიაძმო, რომ დედამისს, მამზელს შენობით ელაპარაკებოდი, ის კი თურმე თქვენობით მოგმართავდა. მე ის მათგებს, რომ ჩვენ შორის აქ პირიქით ხდება.

– «შენ» თუ «თქვენ», – უპასუხა გოეთემ, – მაშინაც, შენს დროს, ჩვენ შორის მუდამ გაურკვეველი იყო, ახლა კი ამა თუ იმ მიმართვის შერჩევას ორივეს სულიერი მდგომარეობა განაპირობებს.

– კეთილი და პატიოსანი. ახლაც შენ ამბობ «შენს დროს» და არა «ჩვენს დროს», ის ხომ შენიც იყო. მაგრამ ეს მაინც შენი დროა, განახლებული და გაახალგაზრდავებული, როგორც გონით მდიდარი აწმყო, ჩემი კი მხოლოდ ერთხელ იყო. ამიტომ ძალიან არც უნდა ვიყო ნაწყენი, როცა შენ პირდაპირ ახსენებ ჩემს არაფრისმთქმელ პატარა სისუსტეს, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრის მთქმელს, რამეთუ ის დრო ჩემი დრო იყო.

– ჩემო მეგობარო, – მიუგო გოეთემ, – განა შეიძლება გაწუხებდეთ დროის კანონს დამორჩილებული წარმავალი თქვენი სახე და განა შეიძლება საწყენად დაგრჩეთ რაღაც გახსენება მისი, რამეთუ ბედმა მოწყალება მოიღო და მილიონთა შორის მხოლოდ თქვენ მოგანიჭათ სამარადისო სიჭაბუკე ლექსში? ის, რაც წარმავალია, ჩემს სიმღერაშია შენახული.

– ეს კარგად ჟღერს და საამურია მოსასმენად, – თქვა ლოტემ, – და მეც მადლობით უნდა ვაღიარო, მიუხედავად იმ მძიმე ტვირთისა და ღელვისა, მე რომ მხვდა წილად მის გამო. ამასთან მინდა აქვე დავძინო ის, რასაც შენ მხოლოდ მედიდური თავაზიანობის გამო დუმილით გვერდს უვლი: სისულელე ვქენი, რომ ჩემი წარმავალი სახე მოვრთე

წარსულის ემბლემებით, რომლებიც მუდმივ ხატებას ეკუთვნიან შენს ლექსში. დასასრულ, არც ისეთი გემოვნებას მოკლებული ხარ, რომ ლურჯ ფრაკში, ყვითელ ჟილეტსა და შარვალში გამოწყობილმა იარო, როგორც მაშინ ბევრი მოსეირნე ბიჭი დადიოდა. პირიქით, შავი ნაზი აბრეშუმის ფრაკი გაცვია ამჟამად, და უნდა გითხრა, ვერცხლის ვარსკვლავი ისევე გამშვენებს, როგორც ეგმონტს ოქროს საწმისი. დიახ, ეგმონტი,

– ამოიხრა ქალმა. – ეგმონტი და ხალხის ასული. შენ მართლაც კარგად მოიქეცი, გოეთე, შენი საკუთარი სიჭაბუკის სახეც რომ უკვდავყავი ამ ლექსში, რათა ახლა გაჭიმულ-გახევებულმა და ქედმაღალმა დიდებულებამ, განდგომილობის ყველა ღირსებით შემოსილმა, შენი მლიქვნელებით გარშემორტყმულმა, ტრაპეზი აკურთხო.

– მე კარგად ვხედავ, – ერთხანს შესვენების შემდეგ უპასუხა გოეთემ ღრმა და მღელვარე ხმით, – ჩემი მეგობარი ქალი გამსჭვალულია არამეგობრული გრძნობით არა მარტო ჩემი ვითომც უთავაზო, ნამდვილად კი სიყვარულით სავსე გახსენების გამო დროის უღმობელი კვალის შესახებ. თქვენს წყრომას თუ თქვენს გულისტკივილს, მრისხანებაში გამჟღავნებულს, უფრო სამართლიანი, უფრო პატივისცემის ღირსი სათავე აქვს, და განა მე ეტლში არ გელოდებოდით სწორედ იმიტომ, რომ ვგრძნობდი აუცილებლობას, ამ ტკივილნარევ მრისხანებას დავხვედროდი, მეღიარებინა მისი სამართლიანობა და ღირსება, იქნებ იგი შემერბილებინა კიდევ შენდობის გულითადი თხოვნით?

– ო, ღმერთო, – თქვა შემკრთალმა ლოტემ, – რა საჭიროა, აღმატებულება, ეგ შემწყნარებლობა? ამის მოსმენა როდი მინდოდა და ახლა ისევე ვწითლდები ამ სიტყვებზე, როგორც იმ ამბის გამო, ჟოლოს კრემის ჩამორიგებისას რომ მოჰყევი. პატიება! შენდობა! ჩემო სიამაყევ, ჩემო ბედნიერებავ! მე შეგინდო? მე გაპატიო? სად არის ისეთი კაცი, ჩემს მეგობარს შეედრებოდეს? როგორც ახლა სცემს თაყვანს მთელი ქვეყნიერება. ასევე დიდებითა და პატივისცემით მოიხსენიებს მას მომავალი თაობა.

– ვერც თავმდაბლობა აქ და ვერც უდანაშაულობა იქ ვერ გააქარწყლებს სიმკაცრეს, როდესაც უარს ეტყვი იმაზე, რასაც გთხოვენ. – მიუგო გოეთემ, – იმის თქმა: მე არაფერი მაქვს საპატიებელიო, ნიშნავს, შეურიგებლობა გამოიჩინოთ იმის

მიმართ, ვისი ბედიც იმთავითვე ის იყო, უდანაშაულო დანაშაულში ყოფილიყო გაბმული, სადაც მიტევების საჭიროებაა, თავმდაბლობამაც ხელი არ უნდა ჰკრას. ამგვარი თავმდაბლობა არ იცნობს სულის წამებას, გულმდუღარე, მხურვალე გრძნობას, ადამიანს რომ განმსჭვალავს, როცა უეცრად სამართლიანი საყვედური მოხვდება საკუთარ ღირსებას დანდობილი თვითშეგრძნების წყვდიადში, ისე რომ იგი ჰგავს გავარვარებული ნიჟარების გროვას, აქა თუ იქ მშენებლობაში რომ იყენებენ კირის მაგიერ.

– ჩემო მეგობარო, – უთხრა ლოტემ, – მე შევძრწუნდებოდი, ჩემ შესახებ აზრმა თუნდაც ერთი წუთით რომ შეგირყიოს შენს საკუთარ ღირსებას დანდობილი თვითშეგრძნება, რაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული ქვეყნიერებისთვის. მაგრამ მე იმასაც ვაღიარებ, რომ ეგ მხურვალე გრძნობა უწინარეს ყოვლისა, ეხება პირველს, რომლისგანაც დაიწყო უართქმა, რათა შემდეგ მუდამ გამეორებულიყო: ხალხის ასულს, რომელსაც გამგზავრებისას ცხენზე შემჯდარმა ხელი გამოუწოდე; ჩემს დასამშვიდებლად ხომ წავიკითხე, რომ მე უფრო ნაკლები დანაშაულის გრძნობით დამშორდი, ვიდრე იმას. საწყალი ქალი, ახლა ის სამარეში წევს ბადენის სასაფლაოს ბორცვქვეშ! გულახდილად გითხრა, გულით არ ვდარდობ მასზე, რადგან თავს ვერ მოუარა და დაჭლექდა, რადგან საქმე ის არის, მხნეობა გამოიჩინო და საკუთარი თავი თვითმიზნად გაიხადო მაშინაც კი, როცა საშუალებად გიყენებენ. ახლა იგი სადღაც ბადენის მახლობლად სამარეში წევს, მაშინ როცა მეორე, ნაყოფიერი ცხოვრების შემდეგ, ხარობს ქვრივი ქალის ღრსეული მდგომარეობით და ამ მხნეობასთან შედარებით მცირეოდენი თავის ცახცახი არაფერს ნიშნავს. გარდა ამისა, მე ხომ დიდი წარმატებაც მხვდა წილად, რადგან შენი უკვდავი წიგნის აშკარა და ეჭვმიუტანელი გმირი ვარ, უეჭველი და უდავო თვით წვრილმანებშიც, მიუხედავად მცირე აღრევისა შავი თვალების გამო და თვით ჩინელიც კი, რაოდენ სხვაგვარი და ჩვენთვის უცხო აზრთა წყობაც უნდა ჰქონდეს, მე მხატავს მინაზე ათრთოლებული ხელით ვერტერის გვერდით – მხოლოდ მე და არა სხვას. ამის გამო ვამაყობ და არც არავის შეუძლია შემომედაოს. შემეცილოს, და გულშიც არ გავივლებ ეჭვს, რომ ის, ვინც ახლა სამარეში წევს ბორცვის ქვეშ, იყოს ამ ამბის მონაწილე, ვითომც ის იყოს სათავის დამდები, და თითქოს შესაძლებელი იყო მას აღედრას პირველად შენს

გულში ვერტერის სიყვარული, – რადგან ეს არავინ იცის. ჩემი სახე, ჩემი ნაკვთები და ვითარებებია, ადამიანებს რომ თვალწინ უდგას. მე მხოლოდ იმის მეშინია, ვაითუ, ოდესმე გაირკვეს და ერთ დღეს ხალხმა აღმოაჩინოს, თითქოს იგი იყოს საკუთრივ ის, ვინც შენ გეკუთვნის შენს პოეტურ სამყაროში, როგორც ლაურა პეტრარკას, მე კი დამამხონ და დამამცრონ, ჩემი სურათი ჩამოიღონ კაცობრიობის ტაძრის ნიშიდან. ეს არის, რომ ზოგჯერ სულს მიშფოთებს და ცრემლებს მგვრის.

– ეჭვი? – ჰკითხა გოეთემ ღიმილით, – განა ლაურა ერთადერთი სახელია, რომელიც ყველა სათუთმა ბაგემ მოწიწებით უნდა წარმოთქვას? ეჭვი ვის მიმართ? შენი დის მიმართ? არა, შენი გამოსახულებისა და მეორე შენისადმი? განა ღრუბელი რომ გარდაიქმნება და სახეს იცვლის, იგივე ღრუბელი არ არის ისევ? და განა ასსახელა ღმერთი მხოლოდ ერთ ღმერთს არ აღნიშნავს, ჩვენთვის და თქვენთვის, ჩემო საყვარელო ბავშვებო? ეს ცხოვრება სახის მხოლოდ ცვალებათა, ერთიანობა – მრავალში, ხანგრძლივობა – ცვალებადობაში. შენცა და ისიც, თქვენ, ყველანი, მხოლოდ ერთი ხართ ჩემს სიყვარულსა და ჩემს დანაშაულში. ეს მოგზაურობა იმისთვის მოაწყვე, რომ შენი სულისთვის ნუგეში გეცა?

– არა, გოეთე, – უთხრა ლოტემ, – მე იმისთვის ჩამოვედი, რომ თვალი შემეველო შესაძლებლისთვის, რომლის ნაკლოვანება ნამდვილთან შედარებით ეგზომ ცხადია, და მაინც ყველა თავისი «ასე რომ ყოფილიყო» ყოველთვის მის გვერდით დარჩება ამქვეყნად და ღირსი იქნება ჩვენი შეკითხვისა. არ ფიქრობ, ძველო მეგობარო, და არ კითხულობ ზოგჯერ შესაძლებლის შესახებ შენს ღირსებით მოსილ სინამდვილეში? იგი უართქმის ნაყოფია, ეს მე კარგად ვიცი, მაშასადამე, მაინც ჭკნობის ნაყოფია, რადგან უართქმა და ჭკნობა მხარიმხარ ცხოვრობენ, და მთელი სინამდვილე და შემოქმედება სწორედ მხოლოდ დამჭკნარი შესაძლებლობათაა. საშინელი რამ არის ჭკნობა, ამას გეუბნები მე, და ჩვენ, პატარა ადამიანები, უნდა ვერიდოთ მას, მთელი ძალღონით წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ, თუნდაც თავი ცახცახებდეს დამაბულობისგან. თორემ ჩვენგან აღარაფერი დარჩება, გარდა სამარის ბორცვისა ბადენთან, შენ, – შენი საქმე სულ სხვა იყო, შენ იცოდი, როგორ შეგევსო იგი. შენი სინამდვილე სულ სხვაგვარია, შენი სინამდვილე არა ჰგავს ხელისაღებას, უართქმასა და უერთგულობას, ღალატს, პირიქით, – მხოლოდ და მხოლოდ

აღსრულებას და უმაღლეს ერთგულებას. იგი ეგზომ დიდია, შთამბეჭდავია, რომ ვერავინ გაბედავს მის წინაშე იკითხოს შესაძლებელი. მიიღე ჩემი პატივისცემა!

– შენი თანაზიარობა, საყვარელო ბავშვო, გამხნეებს მაგ უცნაური აღიარებისთვის.

– ამის უფლება მაინც მინდა მქონდეს. მეც გითხრა რაღაც და უფრო გულწრფელად შეგასხა ხოტბა, ვიდრე უთანაზიარო ბრბომ, მაგრამ ნება მომეცი, გოეთე, ერთი რამ მაინც გითხრა: არც ისე კარგად და მყუდროდ ვგრძნობდი თავს სწორედ მაგ შენს სინამდვილეში. შენს ხელოვნებით შემკულ სახლსა და შენი ცხოვრების წრეში; იგი უფრო დამაბეჩავებელი და შიშის აღმძვრელი იყო ჩემთვის; ნება მომეცი გულახდილად გითხრა, რადგან შენს მახლობლად მსხვერპლშეწირვის მეტისმეტი სუნი ტრიალებს, მე ვგულისხმობ არა გუნდრუკის კმევას, ამას კიდევ გავუძლებდი, იფიგენიაც ხომ უკმევდა გუნდრუკს სკვითების დიანას, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლშეწირვის წინააღმდეგ ხმა აღიმალლა შესაოკებლად; სამწუხაროდ, შენ ირგვლივაც ასეთი სურათია, იგი თითქმის ბრძოლის ველსა და ბოროტი ხელმწიფის სამეფოს ჰგავს... ეს რიმერები, სულ რომ ბუზღუნებენ და იბუტებიან, მათი მამაკაცური ღირსება და პატივი ანკესზე რომ ფართხალებს; შენი საბრალო ვაჟიშვილი თავისი ჩვიდმეტი ჭიქა შამპანურითა და «ჰერზონჰენით», რომელზეც, ალბათ, შენი ძე საახალწლოდ ჯვარს დაიწერს და შენს ზემო ოთახებში ის ქალი ისე შემოფრინდება ვით ფარვანა სანთლის ალზე. აღარაფერს ვამბობ ორ მარია ბომარშეზე,[312] რომელთაც არ იცოდნენ თავის ისე დაჭერა, როგორც მე, და ჭლექმა სამარემდე მიიყვანა, – რანი არიან ისინი, თუ არა შენი სიდიადის მსხვერპლნი? აჰ, საუცხოოა მსხვერპლშეწირვა, მაგრამ მეტად მწარე ხვედრია, როცა მსხვერპლად ადამიანი ეწირება.

მის გვერდით მჯდომ წამოსასხამიან კაცს მოუსვენარი ათინათი დასთამაშებდა.

– სანუკვარო სულო, – მიმართა გოეთემ, – ნება მიბოძე, გულწრფელად გიპასუხო გამოსათხოვრად და შესარიგებლად. შენ მსხვერპლზე ლაპარაკობ, მაგრამ სწორედ მასშია საიდუმლოება და დიადი ერთიანობა სამყაროსთან, სიცოცხლესთან, პიროვნებასა და შემოქმედებასთან, და ცვალებადობა ყველაფერია. ღმერთებს სწირავდნენ მსხვერპლს

და ბოლოს თვით ღმერთი გახდა მსხვერპლი. შენ აქ მოიშველიე შედარება, რომელიც ჩემთვის ყველაზე სანუკვარი და ახლობელი, და რომლითაც ჩემი სული იმთავითვე შეპყრობილია: ფარვანასა და სასიკვდილოდ მომტყუებელი სანთლის ალის შედარება. შენ გინდა თქვა, რომ მე ის ალი ვარ, რომელშიც ფარვანა ხარბად ინთქმება და იწვება. მაგრამ ნივთთა წარმავალ ცვალებადობასა და მიქცევ-მოქცევაში მე ხომ ანთებული სანთელიც ვარ, საკუთარ სხეულს რომ სწირავს მსხვერპლად, რათა დაიწვას და სინათლედ ენთოს, მე ამასთან, დაბანგული ფარვანაც ვარ, ალში რომ ვიფერფლები, – მსგავსი სახე სიცოცხლისა და სხეულის ყოველგვარი მსხვერპლად შეწირვისა გონისეული გარდაქმნისთვის. ძველო მეგობარო, სულს საყვარელო და ბავშვურო, უპირველესად და საბოლოოდ მე თვითონ ვარ მსხვერპლიცა და მსხვერპლის შემწირავიც. ერთხელ ავენთე, შენთვის და ვენტები მარადჟამს შენთვის გონად და შუქად. იცოდე, მეტამორფოზა შენი მეგობრის უსაყვარლესი და უშინაგანესი, უდიდესი იმედი და უღრმესი სურვილია, მისწრაფებაა, გარდაქმნათა თამაშია, ცვალებადი სახეა, სადაც მოხუცი ჭაბუკად გარდაიქმნება და ჭაბუკი – ბიჭად. სრული ადამიანური სახეა, რომელშიც სიცოცხლს ასაკს ნაკვეთები ცვალებადობს, სიჭაბუკე მოხუცებულობიდან და მოხუცებულობა სიჭაბუკიდან მაგიურად გამოსჭვივის: ამიტომ ჩემთვის ესოდენ სანუკვარი, ესოდენ ახლობელი იყო, – დაე, სავსებით დამშვიდებული იყავი, – ჩემთან მოსვლა რომ მოიფიქრე და მოხუცებულის სახე სიჭაბუკის ნიშნებით შეამკე. ერთიანობა, ჩემო საყვარელო, ერთმანეთისგან გამიჯვნა,

ერთმანეთიდან ამოსვლა, ერთმანეთში გადასვლა, ურთიერთშეცვლაა, ნივთთა ერთმანეთში შერევა. და როგორც ცხოვრება ხან თავის ბუნებრივ სახეს გიჩვენებს, ხან ზნეობრივს, როგორც წარსული აწმყოში გადადის, ეს უკანასკნელი მასზე უკუმითითებს, და გამოჩნდება მომავალი, რომლითაც ორივე უკვე სულიერად გამსჭვალული იყო. გრძნობის გამოძახილი, წინათგრძნობა – გრძნობა ყველაფერია. დაე, აღვაპყროთ მზერა ჩვენი და ფართოდ აღვახილოთ თვალნი ჩვენი სამყაროს ერთიანობისთვის – ფართოდ, მხიარულად და ცნობიერად. შენ მოითხოვ მონანიებას. მაცალე, მე ვხედავ, როგორ მოქრის იგი ჩემკენ ჭენებით, ნაცრისფერ სამოსში გამოწყობილი. მაშინ კვლავ დარეკავს ვერტერისა და ტასოს საათი, ისე როგორც შუადამისას და შუადლისას რეკავს თანაბრად, და რომ ღმერთმა მომანიჭა

ძალა ვთქვა, როგორ ვიტანჯები,[313] ესღა დამრჩება მაშინ მხოლოდ – ეს პირველი და უკანასკნელი. მაშინ განშორება იქნება მხოლოდ გამოთხოვება, გამოთხოვება სამუდამოდ, გრძნობის სასიკვდილოდ ბრძოლა და საშინელი ტკივილებით სავსე ჟამი, ტკივილებით, რომლებიც სიკვდილს ერთხანს წინ უსწრებს, რამეთუ ის კვდომია და ჯერ კიდევ სიკვდილი არ არის, სიკვდილი უკანასკნელი გაფრენაა ცეცხლის ალში. ყოვლად ერთიანობაში რა უნდა იყოს იგი, თუ არა მხოლოდ გარდაქმნა? ჩემს დამშვიდებულ გულში მშვიდად განისვენეთ, ძვირფასო სახეებო, და რაოდენ გულითადი იქნება ის წუთი, როდესაც ჩვენ კვლავ ერთად გამოვიღვიძებთ.

დიდი ხნის ნაცნობი ხმა დადუმდა. «მშვიდობა სიბერეს შენსას!» – ჩურჩულით წარმოთქვა მან. ეტლი გაჩერდა. მისი ლიფლიფების სინათლე შეუერთდა სასტუმრო «სპილოს» შესასვლელის ორივე მხარეს დაკიდებული ფარნების შუქს. მათ შორის იდგა მაგერი, ხელები ზურგზე დაეწყო, ცხვირი მაღლა აეწია და შემოდგომის ნისლიან-ვარსკვლავიანი ღამის ჰაერს იყნოსავდა. მსახურის რბილ ფეხსაცმელში გამოწყობილმა, სწრაფად ჩაირბინა ტროტუარზე, რათა ეტლის კარის გაღება დაესწრო ლაქიასთვის. რა თქმა უნდა, მან მსუბუქად კი არ ჩაირბინა, არამედ ძუნძულით, როგორც უკვე სირბილს გადაჩვეულმა კაცმა, ხელები მხრებამდე აეწია, თითები ფაქიზად გაეშალა და ლივრეის კუდს ღირსეულად აქიცინებდა.

– ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, – მიმართა მან ლოტეს, – მუდამ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! უთუოდ დიდებულად გაატარა საღამო ქალბატონმა კარის მრჩევლის მეუღლემ ჩვენი მუზეუმის ტაძარში! ნება მომეცით, ხელი გამოგიწოდოთ საიმედო დასაყრდენად! მოწყალეო ქალბატონო კარის მრჩევლის მეუღლე, უნდა მოგახსენოთ: შეეშველო ვერტერის ლოტეს გოეთეს ეტლიდან ჩამობრძანებაში, ეს დიადი განცდაა! სხვაგვარად რა ვუწოდო? ეს მოვლენა ღირსია უკვდავყოფისა.